მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა

«ნაციონალური ბიბლიოთეკა» 1993

რომენ როლანი

კოლა ბრონიონი
ბეთჰოვენის ცხოვრება
მიჰელანჯელოს ცხოვრება

«ბაბილონი ნაკადული» ...

მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სარედაქციო საბჭო

გ.. აბაშიძე
ა. ადამია
ზ. ახვლედიანი
მ. ბაქრაძე
თ. ბუაჩიძე
გ. გაჩეჩილაძე
ა. გომიაშვილი
დ. დუნდუა
თ. ერისთავი
მ. თოდუა
ც. თოფურიძე
მ. კვესელავა
დ. ლაშქარაძე
კ. ლორთქიფანიძე
ე. მაღრაძე
გ. მელაძე
გ. ნატროშვილი
ბ. ჟღენტი
ს. ყაუხჩიშვილი
ნ. ყიასაშვილი
დ. შენგელაია
ო. ჩხეიძე
გ. ციციშვილი
ვ. ჭელიძე
გ. ხუციშვილი
ო. ჯინორია

მხატვარი
ლადო გრიგოლია

ილუსტრაცია სუპერზე
ე. ა. კიბრიკისა

პირველი სიტყვიერი

სამი ათეული ხელი გვაბოროებს ოთეზ როლანისაგან, მისი მღელვარე მოქმედება და შემოქმედება კი თითქოს დღევანდელია.

კლასიკი, 1866 წ. — ვეზლე, 1944 წ. ამ პატარა ქალაქებს შორის ოცდასაში კილომეტრი ფეხითაც დაიფარება, მაგრამ მოუსვენარი ბურგუნდელის ცხოვრებამ ეს მანძილი დედამიწის ზურგზე გავლილ შორეულ გზებზე გადაამრავლა, ხოლო თარიღთა შუალედში ქვეყნები და საუკუნეები მოიცვა.

ხავერდოვანი ღვინო, ამწვანებული ბორცვები ამ მხარის მკვიდრს საკუთარი ხვედრით კმაყოფილებას შთააგონებს, მწერლის მოხიბლული სული კი სამართლიანობის დანერგვასა და სილამაზის გავრცელებაზე ოცხებობს.

რასაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი, ხელი კი ბევრ რამეზე მიუწვდება, ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი სრულყოფა დარჩება მისთვის მთავარი. მიშელ მონტენიდან ალენსა და ალბერ კამიუმდე ფრანგულ მიწას არა ერთი მორალისტი აღუზრდია. მათ წყებაში ნაწერისა და საქმის შერწყმას ლამობს რომენ როლანი: მის სიტყვას ქმედების ერუანტელი უელის.

ქმედება ასაზრდოებს შინაგან ეიდილს, დაპირისპირებას: ხელოვანი განკვრეტს სამყაროს. ზოგჯერ მოჩვენებითი უდარდელობით, ოხუნჯობით, უფრო ხშირად — სევდიანად, თუმცა იმედს არასდროს ჰკარგავს; მეცნიერი ფაქტებსა და დოკუმენტებს ეყრდნობა, ცალკეული დაკვირვება თუ არგუმენტის გაშლა დინჯია, განზოგადება კი მკვერმეტყველი, აღგზნებული ან დისპროპორციული. გეგონება, როლანს მიზნად დაუსახავს დიალექტიურად მოხსნას პასკალის შენიშვნის პოლარულობა: „Le coeur a ses raisons que la raison ne connail pas“ (გულს თავისი, გონებისათვის უცნობი მოსაზრებანი აქვს). ჩავარდნის, შეცდომის, მიგნების მიღმა ერთი რამ რჩებოდა ურყევი: როლანის დაუნდობი და წრფელი ძიება ადამიანური ჭეშმარიტებისა. ეს ცეცხლი დიდხანს არ შეიძლებოდა დარჩენილიყო ფარული. თანამედროვეთა თვალს იგი სხვადასხვაგვარად ეცა ზოგმა როლანს სატრობლად მოღალატე და საფრანგეთის მტერი უწოდა, სხვებმა, ამ კაშკაშა შუქით ნაკლებად დაბრმავებულებმა, ევროპის სინდისი.

არიან სილამაზეში შეყვარებული ხელოვანები, საკუთარ სუნთქვას ჰარმონიულ ქმნილებას რომ შთაბერავენ. მათში თელემს ნარცისი ან პიგმალიონი. მძლავრია ესთეტიური საწყისის ზიარება როლანთანაც, ოღონდ აქ მის პრიმატს განდისა და ტოლსტოის მსგავსად ადამიანის არსებობის ძირეული მოთხოვნილებების მოწესრიგება ეცილება.

ამ მიზანს ემსახურება ყველა საშუალება. როლანი მრავალია: მუსიკათმცოდნე,

დრამატურგი, რომანისტი, ხელოვნებათმცოდნე, ლიტერატურათმცოდნე, თეატრის თეორეტიკოსი, ბიოგრაფი, ლექტორი, მოგზაური, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მოაზროვნე, კინოსცენარისტი...

როლანი ერთია: იგივე ფიქრები გადადის მისი გამოკვლევიდან მის რომანში, სტატიიდან პამფლეტში, ფილოსოფიური ნარკვევიდან დღიურში, ნაფიქრალი განაპირობებს სორბონის კათედრიდან თუ მსოფლიოს ნებისმიერი ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვას.

მუსიკათმცოდნის დაწერილია: „ოპერის ისტორია ევროპაში ლიულიდან სკარლატიმდე" (1895 წ.), „წარსულის მუსიკოსები" (1908 წ.), „დღევანდელი მუსიკოსები" (1908 წ.), „ჰენდელი" (1910 წ.), ოთხი ნაშრომი ბეთჰოვენზე. დრამატურგმა, ცალკეული ნაწარმოებების გარდა, დაგვიტოვა სამ და რვაპიესიანი ციკლები: „რწმენის ტრაგედიები" და „რევოლუციის თეატრი", ხელოვნებათმცოდნემ — გამოკვლევა მიქელანჯელოზე, თეატრმცოდნემ — წერილების კრებული „ხალხური თეატრი" (1903 წ.), ლიტერატურათმცოდნემ — ორტომიანი გამოკვლევა „ეგი" (1944 წ.), ბიოგრაფმა—„გმირული ცხოვრებანი",—„ბეთჰოვენის ცხოვრება" (1903 წ.), „მიქელანჯელოს ცხოვრება" (1906 წ.), „ტოლსტოის ცხოვრება" (1911 წ.), რომანისტმა — „ჟან-კრისტოფი" (1904—1912 წწ.), „კოლა ბრონიონი" (1914 წ.), „პიერი და ლუსი" (1920 წ.), „კლერამბო" (1920 წ.), „მოხიბლული სული" (1922—1933 წწ.), კინოსცენარისტმა — „მანქანების ჯანყი" (1921 წ მხატვარ ფრანს მაზერელის თანაავტორობით). ადამიანებზე და საკუთარ თავზე დაკვირვების შედეგია დღიურები, ავტობიოგრაფიული ციკლი: „შინაგანი მოგზაურობა" (1924—1942 წწ.), „ზღურბლი" (1945 წ.), „მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (1946 წ.).

თუმცა პირველი მსოფლიო ომის წლებში რომენ როლანმა „შეჯახების მაღლა" პოზიცია აირჩია და შემდგომშიც თავს არიდებდა რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებაში შესვლას, რათა განსჯის დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა, იგი მაინც დღენიადაგ თავისი დროის ორომტრიალში იყო: გასული საუკუნის დამლევს დრეიფუსის საქმეში ემილ ზოლას მიემხრო; 1914—1918 წლებში ებრძოდა ძმათაჩკვლელ ომს, შოვინიზმსა და ნაციონალიზმს, ოცდაათიან წლებში — ფაშიზმს, დაუახლოვდა მაჰატმა განდის მოძღვრებას და ინდურ ფილოსოფიას, გამოდიოდა როგორც საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი, 1935 წელს კიდევაც ესტუმრა მაქსიმ გორკის, მეგობრობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა თავისი დროის სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მოღვაწეებთან: შტეფან ცვაიგთან, გეორგ ბრანდესთან, მაქსიმ გორკისთან, როჟე-მარტენ დიუ გართან, ჟან-რიშარ ბლოკთან, ეპტონ სინკლერთან, მაჰატმა განდისთან, ალბერტ აინშტაინთან, ელეონორა დუზესთან...

ძიებისა და ბრძოლის გზებზე მწერლის საიმედო დასაყრდენი გახდა ხელოვნება. თუმც ბევრი რამით როლანი ენათესავება ჟან-ჟაკ რუსოსა და ლევ ტოლსტოის, ხელოვნების ღირებულებაში მას არასდროს შეუტანია ეჭვი. ამით როლანმა ევენეული მეოცნებისა და იასნაია პოლიანას პატრიარქის საშინელი გაორება აიცილა თავიდან. დაპირისპირებული წყვილის ნაცვლად — ზნეობა და ხელოვნება — მან ზნეობრივი ხელოვნება იწამა და თავისივე ნებით, დიდი ხალისით ჩადგა მის სამსახურში.

წინამდებარე ტომში შესულ ნაწარმოებებს — „ბეთჰოვენის ცხოვრებას", „მი-

ჟელანჯელოს ცხოვრებას“ და „კოლა ბრონიონს“ — ხელოვანთა თავგადასავალი ერთიანებს. ქანდაკებისა და ფერწერის იტალიელი მესაიდუმლე მიქელანჯელო, მუსიკის გერმანელი მესაიდუმლე ბეთჰოვენი და მწერლური ფანტაზიის ნაყოფი — კლამსელი ხის მეჩუქურთმე ოსტატი—სამივე მსოფლიოს როლანისეული აღქმის შვილია. თვით მსოფლშეგრძნებაც ხომ მასალის შერჩევასა და გაშუქებაში ყალიბდება.

* * *

რომენ როლანის ხელწერა მკაფიოა. მწერალი არ მალავს დაუოკებელ წყურვილს პირველ რიგში დახატოს, მისი გაგებით, სათაყვანო პიროვნებანი ამიტომ ბუნებრივია, რომ როლანის ნაწერი მისეულ ფასეულობებს ნერგავს. ეს გარემოება რომანტიკოსებთან სიახლოვის მომასწავებელია, რაც ხორცს ისხამს ვიქტორ ჰიუგოსადმი დამოკიდებულებაში: ორივე მწერალს ბევრი აქვთ საერთო ფრაზის ძალუმ სუნთქვაში, დიად შედარებებსა და ამაღლებულ მეტაფორეულობაში. ვიქტორ ჰიუგოსი არ იყოს, რომენ როლანის პროზა ავტორიტარულია, მჭადაგებლური და, ამდენად, შეუპოვარი, თუმცა თავის უკიდურეს განზოგადებაში იგი ყოველის შეწყნარებისკენ მიილტვის.

როლანი დგას ცდუნების წინაშე — დაშალოს ზღვარი ფიქციასა და სინამდვილეს შორის: თუ ჟან-კრისტოფი ან კოლა ბრონიონი ზოგიერთ თვისებას ბეთჰოვენის ხასიათიდან სესხულობს, მეორეს მხრივ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბონელი მუსიკოსიც თავისი პიროვნების ამა თუ იმ გამოვლინებას როლანის პერსონაჟებს უმადლის. რა თქმა უნდა, ეს ილუზიაა და მწერალი (შეგნებულად მაინც) ზღვარს არ გადადის.

ფაქტი ფაქტად რჩება: როლანის „გმირული ცხოვრებების“ კითხვა თავის უშუალო დანიშნულებასაც პასუხობს და მწერლის სამყაროსაც გვაცნობს. ამას როლანი ზემოხსენებული საშუალებით აღწევს: თუ პიროვნება არ მოსწონს, მის გამოყვანაზე ხელს იღებს. ხელუხლებელი რჩება ცხოვრების სიმართლეც და როლანისეული სამყაროს ჭეშმარიტებაც

მორალისტის მოქმედება ხომ სელექციურია: აღზრდა მაგალითებზე წარმოებს. რომენ როლანის აზრით, ნამდვილი ხელოვნება ყოველთვის აღმზრდელობითია, დიდი ხელოვანის ცხოვრება კი მეტწილად მაშინ, როცა ეს ცხოვრება მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს შეესატყვისება. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი ამ მხრივ თითქმის იდეალური მაგალითი აღმოჩნდა. მიქელანჯელოს ტანჯულ სულშიც ასეთი შესატყვისობა ამოიკითხა მწერალმა. როლანისათვის აუტანელი იყო გულწრფელობის მოდუხება: ეს ვერც შილერს შეუნდო; ამით გამორიცხული იყო, რომ როლანს ოდესმე შილერის ცხოვრება დაეწერა.

ამრიგად, როლანისათვის დუმილი არ ნიშნავს სიცრუეს. წიგნის, ქანდაკების, ფერწერული ტილოს, სიმფონიის დანიშნულება გამათავისუფლებელიცაა და მომაწესრიგებელიც. მათ გარკვეული მიმართულებით უნდა წარმართონ ადამიანის ღირსეული ძალები და შესაძლებლობანი. ამ არჩევანშიც, „ჟან-კრისტოფშიც“, როლანის სხვა ნაწერებშიც ადგილი აქვს ნებსით შეზღუდვას ამეტყველებული ობი-

ექტისა. როლანის მხატვრული პროზა მოგვაგონებს არა ტბის სარკისებრი ზედაპირით დაფარულ ხებისმიერ ნაირსახოვან ნიადაგს (რაც „მადამ ბოვარის“ ტიპის ქმნილებას წარმოშობს), არაძედ მიწის ურჩ ფენებში გაჭრილ მდინარის კალაპოტს. ამას, პირველ რიგში, თვით როლანი გრძნობდა. მდინარის სიმბოლიკას ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მასალის შერჩევისას როლანი გაურბოდეს ცხოვრების ბნელ და ულამაზო მხარეებს. ცხოვრებას ისეთად ხედავდე, როგორიც სინამდვილეშია და მაინც გიყვარდეს, — რომენ როლანი ამას უმთავრეს ღირსებად თვლიდა. სხვა ამბავია, რომ თავის ნაწარმოებებში იგი ჰეროიკულ მხარეს გამოჰყოფს და არა ყოველდღიურ-პროზაულს

საერთოდ როლანის შემოქმედებას და, კერძოდ, მის ბიოგრაფიებს საფუძვლად უდევს მწერლის ფართო განსწავლულობა, ეპოქისა და ხელოვანის მშობელი მხარის თავისებურებათა მიუხედავად ახლის აღსაქმელად მზადყოფნა. დემოკრატიულია რომენ როლანთან საშენი მასალის შერჩევაცა და გადამუშავებული ნედლეულის მიწოდებაც მკითხველისადმი.

ასეთია როლანისეული გაგება ბიოგრაფიული ჟანრისა. „ბეთჰოვენის ცხოვრება“, „მიქელანჯელოს ცხოვრება“ და მწერლის სხვა ამგვარი ნაწარმოებები თავისებურ ადგილს იკავებს კაზმულსიტყვაობის ამ უძველეს დარგში, სადაც წარმოდგენილია ბერძენი პლუტარქე, როლანის მეგობარი გერმანელი შტეფან ცვაიგი, ჩვენი თანამედროვე ფრანგი ანდრე მორუა. ჩანს, როლანს პლუტარქე თავის წინამორბედად მიაჩნდა როლანის ციკლის სათაურშიც იგრძნობა ბერძენი ავტორის „რჩეული ბიოგრაფიების“ გამოძახილი. აღფრთოვანებით კითხულობს ამ ნაწარმოებს კოლა ბრონიონიც.

ნიშანდობლივია ის შემოქმედებითი პროცესები, რომლებიც უბიძგებენ როლანს რეალური პიროვნების ბიოგრაფიიდან მოგონილი პერსონაჟის თავგადასავლის გადმოცემისაკენ: ასე მოჰყვა „ჟან-კრისტოფი“ „ბეთჰოვენის ცხოვრებას“, „კოლა ბრონიონი“ კი—„მიქელანჯელოს ცხოვრებას“. კომპოზიტორისა და მოქანდაკის სახეებმა ამუშავა მწერლის წარმოდგენა, სათქმელი მას გაცილებით მეტი გაუჩნდა, ვიდრე ამას გაკეთება რეალური ცნობების ფარგლებში წარმართულ დოკუმენტურ თხრობაში მოხერხდებოდა. „ჟან-კრისტოფის“ შემკვიდრეობითი კავშირი ბეთჰოვენთან ტოუიზმია. სავარაუდოა სიღრმისეული მონაცვლეობა აგრეთვე „კოლა ბრონიონისა“ მიქელანჯელოსთან, თუმცა, ავტორის აღიარებით, ეს უკანასკნელი რომანი მისდა მოულოდნელად იშვა.

ეს ორი პარალელი რამდენიმე მოსაზრებას უხმობს. დიდი ხელოვნების არსებული ნიმუშები თვით არიან მატარებელნი მომავალი, ჯერ შეუცნობი და არნახული ქმნილებებისა. არცთუ ისე იშვიათად ხელოვანისთვის გზა აღმოჩენისაკენ იწყება არა ცხოვრებისეული ფაქტით, არამედ უშუალოდ ხელოვნების სფეროდან. შესაძლოა, ამასთან იყოს დაკავშირებული როლანის მიერ ფიქსირებული „კარნახის“ ცნებაც, რაზედაც ცალკე გვექნება საუბარი. ვის შეუძლია, მაგალითად, ახლა, გარეშე მდგომის პოზიციიდან განსაჯოს, თუ რარიგ ნაყოფიერი აღმოჩნდა ბალზაკისათვის ერთი შეხედვით შემთხვევითი და გარეგნული მომენტი, როდესაც იგი გაეცნო დანტეს და თავისი „ადამიანური კომედიის“ სათაურზე შეჩერდა? ხელო-

ვანთა მონაცვლეობას, წარსულის ოსტატებთან ერთგვარ ერთობლიობას, როლანი მრავალჯერ ჰიგვანიშნებს. ახალგაზრდებს იგი ურჩევს მიქელანჯელოს ქმნილებების წინ კი არ გაირინდონ, არამედ მოქმედების წყურვილით აივსონ. როლანი ბეთჰოვენის დაკვირვებასაც გამოჰყოფს: პირველივე მიგნებული ბგერები მთელ ნაწარმოებს შეიცავსო.

თუკი როლანი ცალკეულ შემოქმედთა ძშობლიურ ნიადაგში გაშვებულ ღრმა ფესვებს მნიშვნელობას ანიჭებდა, საამისოდ მას საკმაო მიზეზი ჰქონდა: მიქელანჯელო მან იტალიის ცის ქვეშ აღმოაჩინა, ბეთჰოვენის შესახვედრად კი გერმანიაში გაემგზავრა. ამ შეხვედრებმა იმდენი „პირველი ბგერა" მიაწოდა როლანს, რომ ისინი თავისუფლად უნდა განვითარებინა. ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო ბიოგრაფიიდან რომანზე გადასვლისა, თუმცა მწერალს არც „ცხოვრების" ჟანრი მიუტოვებია საბოლოოდ.

როგორც ჩანს, ხატოვანი აზროვნებიდან ანალიტიკურზე გადასვლა უფრო გაურცელებულია: კრიტიკოსი ლეონარდო და ვინჩი მხატვარ ლეონარდო და ვინჩის ჭამოცდილებას განაზოგადებს. მაგრამ არსებობს თვალსაჩინო მაგალითები პირუკუ ბრუნვისა: ასეთია მუსიკათმცოდნე რომენ როლანი, პიესებისა და რომანების წერას რომ იწყებს. როლანის შემოქმედების ამ საერთო ტენდენციაში გარდამავალი რგოლია „გმირული ცხოვრებანი"

რომენ როლანის ბიოგრაფიებს, თემის მიუხედავად, საერთო მიზიდულობის ცენტრი აქვთ: ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი. და ეს საყოველთაო სკეპტიციზმის, ტრადიციული ფასეულობების გაჟიანურებული კრიზისის ხანაში. ამ გრძნობის მრავალი სახეობიდან როლანი აქ ვნებასა და ხორციელ სიყვარულს კი არ მიმართავს, არამედ სულიერ სიახლოვეს, დიდებულსა და. ხშირად. ძმური განწყობილების შემცველს (მოფლიოში სახელმოხვეჭილმა გრაფმა ლევ ტოლსტოიმაც ხომ ასე უპასუხა უცნობი პარიზელი სტუდენტის, რომენ როლანის, წერილს: „ჩემო ძმაო"). საკუთარი არსებობის ქარცეცხლში გახვეული ბეთჰოვენი ყურადღებას არ აკლებს ძმისწულს, თან ჰყვება უმადურ მამასა და ნათესაობას მიქელანჯელო, ასევე გულუხვია ქალიშვილის, სატრფოსა და მეგობრების მიმართ კოლა ბრონიონი.

შემოქმედების ცერებრული სახესხვაობის ნაცვლად რომენ როლანი რომანტიკული ტიპის ხელოვანს გვთავაზობს, რომლის გენიას გ უ ლ ი განაპირობებს (გავიხსენოთ ალფრედ დე მიუსეს სიტყვები: „ხელი გულს იკარ, ნიჭი იქ არის!"). თავის ფასეულობათა სკალაში როლანი თუმცა პატივს სცემს ინტელექტს, მას მაინც გრძნობას უმორჩილებს; აკი სილამაზეც სინდისს დაუქვემდებარა. გულში ჰპოვებს როლანი თავის მებრძოლი ჰუმანიზმისა და ადამიანში რწმენის დასაყრდენს. გული ეკისრება უკვლა მნიშვნელოვანი მოქმედების მამოძრავებლად. ამის საილუსტრაციოდ ბეთჰოვენის, ჟან-კრისტოფისა თუ კოლა ბრონიონის ცხოვრების მატიანის ნებისმიერი ფურცელი გამოდგებოდა.

როლანისეული სიყვარული არსებითად მეოცნებეა. გარდა ამისა, იგი გულუხვია, უფრო გაცემა ეხერხება, ვიდრე მოხვეჭა და, რაც მთავარია, სიყვარული იმდენად თავისთავად მიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს. როლანის სამყარო თითქმის გამორიცხავს ეროტიზმს, ამიტომ სიყვარული მისთვის შეიცავს ადამიანური სითბოსა და ენთუზიაზმის ბუნებრივ მარაგს.

კარგია მისი არსებობა, იმიტომ, რომ იგი უზომოდ ამრავლებს ადამიანის შესაძლებლობებს, ბევრად მდიდარს და ამდენად უფრო მიმზიდველს ხდის მის სულიერ სამყაროს.

სიყვარული მოკავშირეა, რომელსაც, მართალია, ზოგჯერ ტანჯვაც მოაქვს, მაგრამ უფრო ხშირად აღმაფრენას გვანიჭებს და, ორივე შემთხვევაში, ხელს უწყობს იხტროსპექციულ ხილვას. როლანის სამყაროს რეალური და წარმოსახვით პროეცირებული პერსონაჟების პირისპირ ჩვეულებრივ არც სილამაზე აღიმართება (როგორც ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტში"), არც სიყვარული (როგორც აბატ პრევოს „მანონ ლესკოში" ან პროსპერ მერიმეს „კარმენში"), არამედ ქმედება.

სიყვარულის წყალობით როლანის პერსონაჟები პირადი ბედნიერების მოსაპოვებლად კი არ იბრძვიან, არამედ ემორჩილებიან ადამიანური საქციელის იმპერატივს. როლანის ადამიანი ვერც უსიყვარულოდ იმოქმედებდა და ვერც მხოლოდ სიყვარულისათვის.

მოკავშირედ სიყვარული რომ აირჩია, რომენ როლანს აქედან გარკვეული დასკვნების გამოტანა მართებდა. მან ძალადობაზე აიღო ხელი. ამ რჩევას ქრისტე, განდი და ტოლსტოი აძლევდნენ. სიმართლით, სამართლიანობით, თანაგრძნობით, ალტრუიზმითა და სინდისით აღჭურვილ ადამიანს რეალურ მოუწესრიგებელ სამყაროში ტანჯვა და დამცირება ელოდა (ჩვენ ვნახავთ, თუ ამ საკითხს რა გადაჭრა მოუნახა მწერალმა). აქედან რელიგიურ ასკეტიზმამდე ერთი ნაბიჯი იყო, რომელსაც როლანი არ გადადგამს — ხასიათის ბუნებრივი კეთილშობილებისა თუ სიცოცხლის სიყვარულის გამო. თავისი სულიერი მასწავლებლებისაგან განსხვავებით არსებობის არსი ზეციური სფეროებიდან მიწიერ ადამიანზე გადააქვს და მას ნამდვილად ღვთაებრივ მოთხოვნილებებს წარუყენებს. უფრულ არსებობათა მტერი, როლანი, მათ ზოლასავით როდი გამოუცხადებს სიძულვილის წმიდა ომს, პირიქით, სანუგეშოდ გადაუშლის ბეთჰოვენისა თუ მიქელანჯელოს მწარესა და უტკბეს არსებობას.

თვით ძალადობაზე ხელის აღება როლანთან თავისებურია: არსებითად, ბოროტების გავრცელებას მწერალი ხელოვნებას უპირისპირებს.

ხელოვნება ამხნევებს და აკაჟებს ადამიანს, რომელიც მას ემსახურება, ისეთ გამძლეობას ანიჭებს, რომელიც უამისოდ არ ექნებოდა. ასეთნაირად გაგებულ ხელოვნებას მხოლოდ პიროვნების ჯანსაღი გაფურჩქვნა ძალუძს. ამიტომ, სხვა არგუმენტებთან ერთად, ეს გარემოებაც ამართლებს ხელოვნებისადმი ნდობას. ხელოვნება ერთგვარად „სულთა მკურნალია", ტონუსის მიმცემი. ასე ხედავს როლანი მიქელანჯელოს ხვედრს: სუსტ და წინააღმდეგობრივ ადამიანს ხელოვნება გარდაქმნის და გაასხივოსნებს, რათა მიწიერი არსებობის მწვერვალებზე აიტაცოს იგი. სხვა გარემოებაში წვრილმანი კაცი ამიერიდან გარდუვალი, თითქოსდა მისგან დაშოუკიდებელი, და მარად განახლებული შინაარსით ივსება.

შემოქმედებითი წვა წარმტაცი ფორმაა არსებობისა, ხელოვანისათვის — ეშრეტი სიხარულის წყარო. ამ ორივე მიზეზით, ნაწარმოების წარმოშობის საიდუმლოება როლანის შეუნელებელ ყურადღებას იპყრობს. მწერლის დაკვირვების და თვითდაკვირვების შედეგად დასტურდება სხვათა მიერ ამ ბურუსით დაფარულ

მხარეში აღმოჩენილი კანონზომიერება და ჩვენს ცოდნას რამდენიმე ახალი კრისტალი ემატება. აქ ბევრ რამეში შთაბეჭდილებას, შეგრძნებას, შეუმოწმებელ ასოციაციას უნდა ვენდოთ.

ერთი დაკვირვება მრავალგზის გეხვდება მიქელანჯელოზე თხრობისას და სხვა-განაც. დიდოსტატის ხელიდან, გვეუბნება როლანი, ქმნილება თითქოსდა მის დაუკითხავად გამოდის, შთაგონება თუ სხვა რამ უსახელო ძალა მის სხეულს ბრმა, მორჩილ იარაღად იყენებს, ქმნის მ ი ს მ ი ღ მ ა, მასზე გავლით. შედეგი, იღბლიან შემთხვევაში, სიცოცხლის განუმეორებელ ნაპერწკალს შეიცავს, თაობებს რომ მოაჯადოვებს და რომლის ზუსტად იმავე სახით ხელმეორედ მიღება არავის ძალუძს, თვით ავტორის ჩათვლით. ეს კარგად იციან ხელოვნების მოყვარულებმა, როდესაც მხატვრის მიერ რამდენჯერმე ასახული სიუჟეტიდან ერთ რომელიმე ეგზემპლარს ამოიჩემებენ, ანდა ავტორისეულ ასლს დედნისაგან რომ გაარჩევენ. ეს დაკვირვება არ არის ახალი. მას რომენ როლანი თავის შემოქმედებაზეც ახდენს, როდესაც „კოლა ბრონიონისათვის“ დაწერილ წინასიტყვაობაში „კარნახის“ ცნება შემოაქვს. მკითხველს ეუბნება, ასეთი მოულოდნელი ნაწარმოების შექმნით თავადაც გაოცებული ვარო. ოინბაზ „კოლა ბრონიონის“ თვითნებური გამოჩენა ორი „ოდნავ ტრაგიკული ატმოსფეროს“ შემცველი ჩანაფიქრის განხორციელების ნაცვლად რაღაცით გვაგონებს მოგზაურობის დროს გასართობად დაწერილ ერაზმ როტერდამელის „სისულელის ქებას“, რომელსაც ავტორი მნიშვნელობას არ ანიჭებდა და რომლის გარდა დღევანდელი მკითხველი მისას არაფერს კითხულობს. წარსულის კოლა ბრონიონებმა, განაგრძობს როლანი, მე თავიანთ „მდივნად“ ამიყვანეს:

„რა გაეწყობოდა? იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი და მათი კარნახით მეწერა“

ცნებანი და ვითარება „ადამიანური კომედიის“ წინასიტყვაობიდან გეგონება გადმოღებული: „შემთხვევა მსოფლიოს უდიდესი რომანისტია, ნაყოფიერი რომ იყო, უნდა შეისწავლო იგი. ისტორიკოსი თვით ფრანგი საზოგადოება უნდა ყოფილიყო, მე მისი მდივნობაღა დამრჩენოდა“.

ეს დამთხვევა კანონზომიერია: ორივე შემთხვევაში რეალისტმა მწერლებმა სინამდვილის კარნახით რეალისტური ნაწარმოებები შექმნეს.

მსგავსი სიტუაცია გამოხატა პაბლო პიკასომ. როდესაც „გერნიკას“ სიმძაფრით გაოცებულმა ესესელებმა მხატვარს ჰკითხეს:

— ეს თქვენ გააკეთეთ?

პიკასოს უპასუხია:

— არა, თქვენ.

რა არის ეს, თუ არა რეალური სამყაროს მდივნობა? მაგრამ, ჩანს, ამ კარნახის პროცესში ხელოვანი არც ისე პასიურია, როგორც ამას ერთი შეხედვით ბალზაკი, როლანი ან პიკასო გვეუბნებიან. მართლაც, ასეთივე „კარნახით“ ჯეიმს ჯოისმა სულ სხვა ხასიათის, „ქვეცნობიერების ნაკადის“ ნაწარმოები მიიღო — „ულისე“, მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“ კი სინამდვილემ მანამდე არნახული არეკვლა ჰპოვა. მაშასადამე, მასალის გადამუშავებისას გეზს შემოქმედი იძლევა.

ამას ანდრე ბრეტონმა ხელოვანის კონტროლი უწოდა, მოხსნა ეს კონტროლი და მიიღო „ავტომატური წერის“ ნიმუშები, ანუ სიურრეალიზმი, „ზე-რეალიზმი“.

როგორი სიმკაცრითაც აწესრიგებს რომენ როლანი მის მიერ განხილულ სხვა მოვლენებს, ასევე აწესრიგებს იგი შემოქმედებითი პროცესის ამ სათუთ უბანს. აქაც, როგორც „გმირული ცხოვრებებისათვის“ მასალის შეკრებისას, მწერალი ნაწილს ღებულობს, ნაწილს უკუაგდებს არჩევანის უფლებით. თუმცა როლანი ჯოისისა და პრუსტის ძიებების მოწამე და თანამედროვე იყო, მან მხოლოდ ერთი სახეობა აირჩია „კარნახისა“ და თავის შემოქმედებაში დაამკვიდრა: რეალისტური, ბალზაკისეული კარნახი, რომელსაც იგი ხედავს, თითოეული ეპიქმისა და ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით, ბეთოვენის სიმფონიებში, მიქელანჯელოს ქანდაკებებსა და სიქსტის კაპელის მოხატულობაში, ჟან-კრისტოფის თხზულებებში, კოლა ბრონიონის ხელში გამოკრილ სახეებში.

სიამეთა და ტანჯვის პროპორციას შემოქმედის არსებობაში თვით სიცოცხლე განსაზღვრავს. აქ როლანი სინამდვილის ძგერას უგდებს ყურს. სიამე თითქმის არ უგეშია მიქელანჯელოს, ცოტა სიხარული ხვდა წილად ბეთოვენს, არა ერთი ბედნიერი წუთი ჰქონია ჟან-კრისტოფს, ხოლო კოლა ბრონიონი ისე განეწყო, რომ ბუნებისაგან თავისი წილი ლხენა მიეღო. დანარჩენი დრო? დანარჩენი თითქმის ეთიანად ტიტანურ შ რ ო მ ა ს უჭირავს. აშკარა ზიზღს იწვევს როლანსა და ძის პერსონაჟებში უსაქმურობა.

„დანტეს ცხოვრებაში“ ბოკაჩო მოგვითხრობს თუ როგორ კითხულობდა დანტე ფლორენციის ერთ პატარა მოედანზე, სკამზე პირქვე დაწოლილი, წიგნს, რომელმაც დაინტერესა: ქუჩაში ხალხმრავლობა იყო და ცეკვა-სიმღერით ახალგაზრდების ჯგუფსაც ჩაუვლია, მაგრამ დახტეს საღამომდე ერთხელაც არ აუღია თავი, ვიდრე წიგნის ბოლო ფურცელი არ ჩაუკითხავს. გარე სამყარო ამ ხნის განმავლობაში მისთვის არ არსებობდა.

ასეთი თავდავიწყებით, გაშმაგებით შრომობენ როლანის პერსონაჟები. ცხადია, როლანს არ მოუგონია დაუცხრომელი ჰიდილი, სიქსტის კაპელის მოხატვის ეპიზოდი. სმენადასუსტებულ და ბოლოს მთლად დაყრუებულ ბეთოვენს მუსიკის სტიქიონი თან სდევდა ქუჩაში, საუბრისას, არისტოკრატულ სალონში. წერის დროს სანოტო ნიშნები გიჟურ სრბოლაში ვერა და ვერ ეწეოდნენ ბგერებისა და აკორდების მოზღვავებას, ფანტაზიის ბობოკრობას. შესაძლოა ამ შემთხვევაშიც, მისი ავადმყოფობის გამო, ბეთოვენის მაგალითი სხვაზე თვალნათლივ მოწმობდეს იმას, რომ რეალურ შეგრძნება-შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ხელოვანი სულ სხვა, შემოქმედების სამყაროში გადადის, სადაც ყოველდღიურობის კანონზომიერება ქარწყლდება და ძალაში შედის მისი გენიის დაუწერელი კანონები. სხვანაირად რომ ყოფილიყო, იგი ვერც შექმნიდა ცოცხალ სამყაროს, ჰომეროსის ეპოსისა ან ესქილეს ტრაგედიებივით სიცოცხლისუნარიანს, რომლებიც მსოფლიო იმპერიების ზრდასა და გაქრობას მოესწრნენ ისე, რომ მათ ნათელმხილველ ტექსტში ერთი სტრიქონიც არ დამხობილა

თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ადამიანი ხელმისაწვდომ მონაკვეთებს აწესრიგებს. ხელოვნება კი თვალუწვდენელ სივრცეებს ეკიდება. ორივე ერთნაირად აუცილებელია კაცობრიობის წინსვლისათვის: პრაქტიკული საქმიანობის გარეშე

იგი ფიზიკურად დაიღუპებოდა, ხოლო ხელოვნების შექს მოკლებული ბრმასავით რეალობის კედლებს გაკაკუნებოდა. ერთის საზიმი მეორეს არ უნდა მივუკუნოთ ამ პრობლემას რომენ როლანი ხელოვნებისა და საზოგადოების რთულ ურთიერთობაში იხილავს.

როლანის მიერ გადაშლილი შემოქმედებითი შრომის შინაარსი ის არის, რომ აქ ხვდება წამიერი მარადიულს, ზედაპირული — არსებითს და თვით სიცოცხლის ფეთქვა, შესაძლოა, ყველაზე მძლავრად აქ გაისმოდეს.

გარდა ამისა, ხელოვნების დიდ ქმნილებებს შორისაც არის განსხვავება: ზოგნი შედარებით ვიწრო და ინტიმურ სფეროს განიხილავენ, ერთეულნი კი სამყაროს მის მთლიანობაში ეკიდებიან. ეს უნივერსალური ტიპი იზიდავს როლანს მიქელანჯელოსა და ბეთჰოვენის სახით.

ამ ორი ელემენტის — შრომისა და ხელოვნების — გადაჯვარედინებაში თავს იყრის რომენ როლანისათვის სხვა საკვანძო ფასეულობანიც.

შრომის თემის ძიშვეობით როლანი დემოკრატიული პოზიციებიდან იძლევა ხელოვნების ფენომენის ანალიზს. მიუხედავად ხელოვანის სოციალური მდგომარეობისა — არისტოკრატია იგი, მდაბიო თუ გლეხი, მისი შემოქმედება არის სერიოზული შრომა, უღელი და არა შრომა-გართობა, წარჩინებულთა ან არისტოკრატიულთა ლამაზი თავშესაქცევი. ჰოდა, როლანის ფიქრით, შემოქმედებითი შრომა ერთგვარად მიწათმოქმედებას უახლოვდება (სიტყვამ მოიტანა და ისიც აღვნიშნოთ, რომ ქართული ენის არსმა როლანის საყვარელი ეს სამი ცნება ფუძით დაიკავშირა. მოქმედება, შემოქმედება და მიწათმოქმედება, მართლაც, ფრანგი მწერლისთვის ადამიანის დამოკიდებულებას გამოხატავს სამყაროს მიმართ). მიწათმოქმედება და შემოქმედება, ორივე სასიცოცხლო მოთხოვნილებას უპასუხებს (ამრიგად მიუახლოდა როლანი ბოდლერის დებულებას: პოეზია პურივით აუცილებელიაო), ორივე დამქანცველია და ნაყოფიერების სამსახურში დგას. არსებობს სიღრმისეული ახლოგიაც გლეხის მიწასთან ურყევი კავშირისა და შემოქმედებისა — ცხოვრებასთან. მოქმედება ორივე შემთხვევაში შ ე ჯ რ ა ს გულისხმობს (მიწაში, ცხოვრებაში) და როლანის ხელოვნება-მეგინარე, როგორც ვთქვით, ასეც იქცევა

ამ ვითარების ნათელსაყოფად რომენ როლანი ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რომ არ შეაქოს ბეთჰოვენის თუ მიქელანჯელოს „გლეხური" თვისებები. მთელი სისრულით კი ამ სიახლოვეს გამოხატავს კოლა ბრონიონი, გლეხი-ხელოვანი. კლამსელის თავზე დატეხილი მრავალი ჭირისა, ბედის უკუღმართობისა თუ ადამიანთა სულმდაბლობის მიუხედავად, ამ ორ საწყისში სიხარულისა და სისავსის საწინდარია.

ცხადია, ამ შეწყვილებას პატრიარქალობის ელფერიც გადაჰკრავს, ისმის გამოძახილი რუსოისტული თეზისისა, რომელიც მოგვიანებით თავს იჩენს „მანქანათა ჯანყის" ტექნიკური ცივილიზაციის გროტესკულ აბსურდულობასა და პირველყოფილ ადამიანთა მოდგმის ყოფის იდილიურ სურათებში.

შრომისა და ნიჭის გარდა, ხელოვნებისათვის არც ის არის უმნიშვნელო. თუ რა ცხოველმყოფელობა მოაქვთ მის საკურთხეველზე. ვინაიდან როლანისეულ ზნეობრივ ხელოვნებაში ურყეობის იგივე გამოვლინებანი ფასობს, რაც ნამუსიან ცხოვრებაში, ჰეშმარიტ ჰარმონიას ოსტატი მაშინ მიაღწევს, როცა მას, ბეთჰოვენი-

ვით. პირადი ვაჟკაცობა და მტკიცე ხასიათი აქვს. ასევე ძღვენს ხელოვნებაც საკადრისად უპასუხებს, იქცევა რჩეულ სულთა ელექსირად და ამავე სიმხნეევს უბრუნებს გახსაცდელისა თუ ეჭვის ქამს. გამწარებული, იმედგაცრუებული, გაუგებრობის ბარიერთან ძიმწყვდეული ბეთჰოვენი მუსიკამ იხსნა თვითმკვლელობისაგან: ხელოვნება სამკვდრო-სასიცოცხლო რამაა.

არ შეიძლება გვერდი აუარო ალტრუისტულ აქტს, რასაც არსებითად წარმოადგენს ხელოვნება წიგნის დაწერა თუ ქანდაკება განუყოფელია როგორც შრომისაგან, ისევე გულუხვობისაგან. ბეთჰოვენთან ეს თითქოს აშკარაა. ამიტომაც უფრო გაიფურებით უკუაგდებს როლანი მიქელანჯელოს წინააღმდეგ დახვავებულ სიძუნწის ბრალდებებს. როლანისათვის ძუნწი გენიოსი ისეთივე შეუსაბამობაა, როგორც, ალბათ, მუნჯი მქადაგებელი

აქ კვლავ მეღავნდება როლანისეული რწმენა ხელოვნების სიწმინდისა, სისპეტაკისა. საიდანაც გამოძღინარე მწერალი განასხვავებს ნამდვილ ხელოვანთ (მხოლოდ ესენი არიან ღირსნი ამ სახელისა) სხვა დანარჩენ მღებავთა თუ მჭღაბნელთაგან, რომლებმაც თავიანთი ამორალობით წინასწარვე დაგმეს საკუთარი თავი. ასეთია პიეტრო არეტინო, რომლის სილუეტი რამდენჯერმე უხალისოდ გაიელვებს მკითხველის თვალწინ „მიქელანჯელოს ცხოვრებაში". ესეც მოქანდაკის კეთილი სახელის დაცვის აუცილებლობამ მოიტანა, თორემ როლანის ზიზღი ავხორცობის მიმართ ისეთია, რომ იგი თავს ძალას ატანს და იძულებული ხდება ასეთი პიროვნებების გამოყენით დაიმეცროს კალამი. ამ მხრივ როლანის მორალურ შეურიგებლობას, ერთგვარ პურიტანიზმსა და დასავლური ლიტერატურის ერთი ნაწილის „ღამის კიდემდე მოგზაურობებს" შორის საგრძნობი ზღვარია. რა თქმა უნდა, ცნობილია, რომ სწორედ მორალური შეფასების ფაქტორი იჩენს დროთა განმავლობაში დიდ ცვალებადობას (ბეთჰოვენის მუსიკა ზოგ მის თანამედროვეს უზნეოდ და გარყვნილად ეჩვენებოდა, ხოლო არეტინოს ნაწარმოებთა დადებითი გადაფასება ახლა მიმდინარეობს), მაგრამ როლანი სამყაროს მყარი მოწესრიგების შინაგანი მოთხოვნილებიდან გამოდის.

როლანი გვიჩვენებს მორალურ თავდაჭერილობას და უბიწოებას, რის გამოც იგი თავისუფლად გრძნობს თავს მოზარდთა თუ ახალგაზრდათა აუდიტორიის წინაშე (ამიტომაც იქცა „ბეთჰოვენის ცხოვრება" მთელი ერთი თაობის განუყრელ თანამგზავრად). მას არ სჭირდება მიმართოს რაიმე საგანგებო „თვითცენზურას", ვინაიდან ეს უკანასკნელი მასში გამუდმებით მოქმედებს, მისი ნიჭისა და ბუნების ნაწილია. ასე შეაქვს თვით როლანს დაზუსტება ზემოხსენებულ „კარნახის" ცნებაში.

ჟეშმარიტი ზნეობა როლანის მიერ გაძოყვაილი პიროვნებებსაც ახასიათებს. ამის გამო ისინი ზოგჯერ სტოიციზმისა და ბერად შედგომის მიჯნაზე აღმოჩნდებიან ხოლმე. ალტერნატივის შემთხვევაში მიქელანჯელო და ბეთჰოვენი პირად კეთილდღეობას ხელოვნების მოთხოვნებს ანაცვალებენ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ნამდვილ ამბავთან და რომ მწერალი მხოლოდ ამა თუ იმ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. თუმცა შემოქმედებითი პროცესი და ესთეტურ ღირებულებათა შექმნა თავისთავად ხალისის მომგვრელია. როლანს სურს, როგორც ჩანს, უშუალოდ ხელოვანის არსებობაშიც მეტი სიხარული დაგვანახოს.

იქნებ ამით მწერალი ხსენებულ ასკეტიზმის ცთუნებასაც განზრახ უპირისპირდებოდეს ეს შესაძლებლობა მას მხატვრულ ნაწარმოებებში ეძლევა: „კოლა ბრონიონისა“ და „ჟან-კრისტოფის“ ატმოსფერო უფრო გამთბარია მეგობრობით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, ვიდრე „გმირული ცხოვრებანი“, როლანი აქ კაცობმოყვარეობას გვიანდერძებს.

ბიოგრაფიების ციკლისათვის მოგვიანებით მიცემულ სათაურშიც და თვით ტექსტშიც რომენ როლანი საგანგებოდ გამოჰყოფს შემოქმედების გმირულ ასპექტს. როლანი ემიჯნება გ მ ი რ ო ბ ი ს განყენებულ. შელამაზებულ და მიუდგომელ გაგებას. ასეთი გაგება მისთვის ადამიანური შინაარსისაგან არის დაცლილი. მწერლის კონცეფციით გმირობა მტკიცდება ადამიანის სისუსტეთა მიუხედავად, ან თუნდაც მათი მეოხებით. გმირობის მთავარი საზომი გულია, მიზანი კი — ადამიანთა ურთიერთობის სრულყოფა. სულდგმულის უმაღლეს ღირსებას განსაზღვრავს სიცოცხლესთან რაც შეიძლება ახლო მისვლა, ეს კი გმირობაა

გმირობაა თუნდაც იმიტომ, რომ გზად ადამიანს აუცილებლად ტ ა ნ ჯ ვ ა გადაეღობება. ჩვენ უკვე ვახსენეთ რომანტიზმთან და, კერძოდ, ალფრედ დე მიუსეს და ვიქტორ ჰიუგოს მსოფლშეგრძნებასთან როლანის შეხების წერტილები. ტანჯული ხელოვანის სახე როლანთან გარკვეულად უახლოვდება მიუსეს „ვარხვში“ დასახულ ალეგორიას პოეტისა, რომელიც საკუთარი სისხლით წერს ლექსებს. ოღონდ ამ ხილვაში როლანს მძლავრი ოპტიმისტური კორექტივი შეაქვს. ამაში ბეთჰოვენის ცოცხალი მაგალითი ეხმარება. სწორედ კომპოზიტორის მიერ განვლილი გზიდან გამოაქვს როლანს მთელი თავისი მოღვაწეობისათვის გამოსადეგი პარაბოლა: ტანჯვის გავლით — სიხარულისაკენ.

პარაბოლა სხვა მხრივაც გვაინტერესებს. იგი, როგორც წვეთი, არეკლავს არა მხოლოდ „ბეთჰოვენის ცხოვრების“ შემაჯამებელ სიბრძნეს, არამედ შეიცავს „ჟან-კრისტოფის“ ჩანაფიქრსაც. ეს არის თავისებური მ ა თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი პ რ ო გ რ ე ს ი ი ს პ ი რ ვ ე ლ ი წ ვ ე თ ი: სხვადასხვა ელემენტების მიმატებით (ან გამოკლებით) ვღებულობთ ორ ან მეტ დამოუკიდებელ თვითმყოფად ნაწარმოებს. ცხადია, ყოველივე ეს ხდება შემოქმედების რთული პროცესების გავლით და არა შაშის პარტიის კანონზომიერებით. ასეთი პ რ ო გ რ ე ს ი უ ლ ი წყობა ბევრ ნაწარმოებში შეიმჩნევა. ამასვე გულისხმობს ბეთჰოვენისეული „პირველი ბგერა“. შექსპირის ტრაგედიების პირველსავე მოქმედებაში ხედავენ კონფლიქტის ჩანასახს. ამოსავალი წერტილის ძიებით იწყება გოეთეს შედევრი. და როდესაც დოქტორი ფაუსტი ბიბლიის თარგმნისათვის მისეულ ეკვივალენტს მიაგნებს — „დასაბამიდან იყო ქმედება“ — „ფაუსტი“ უკვე „დაწერილია“. მოულოდნელ „პირველ წვეთს“ გვთავაზობს ბალზაკი „ადამიანური კომედიისათვის“. „ამ ნაწარმოების იდეა, — წერს იგი, დაბადა კაცობრიობისა და ცხოველთა სამყაროს შედარებიდან“. აქაც მოპოვებულია ვეება ფრესკის დედაზრი. თვით ეს სიტყვა „დედაზრიც“ უდკვება ამ მოვლენას, რადგან სწორედ იგი ბადებს ნაწარმოებს. ამ უკანასკნელ მხარეს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

დედაზრის ხორცშესხმის თავისებურ ფორმას წარმოადგენს პ ო რ ტ რ ე ტ ი ა ე ი ზ ა ჟ ი. მას როლანი ზოგჯერ დასკვნის ნაცვლად მიმართავს. ასეთია „ბეთჰოვენის ცხოვრების“ ბოლოს შესანიშნავი აბზაცი, რომელიც იწყება სიტყვებით: „მისი

სიცოცხლე ქარიშხლიან დღესა ჰგავს“ და სადაც ერთი დღის ცვალებადი პეიზაჟი შეესატყვისება კომპოზიტორის მიერ განვლილი გზის მთავარ ეტაპებს. იმაზე, რომ ეს შემთხვევითი ხერხი არ არის, მეტყველებს „მიქელანჯელოს ცხოვრების“ ბოლოს სხვა ამდაგვარი პორტრეტი-პეიზაჟი: „დიადი სულები მაღალ მწვერვალებს გვანან“... ამ მწვერვალებზე ასვლა, გვეუბნება მწერალი, განაახლებს ჰაერს ფილტვებში და ახალი ბრძოლებისათვის მოგვიხმობს.

პორტრეტი-პეიზაჟი კლასიკური ფორმით ჯერ კიდევ შარლ ბოდლერმა შემოიღო „შუქურებში“, სადაც რუბენსის, ლეონარდო და ვინჩის, რემბრანდტის და სხვათა დახასიათებას თითო კატრენი ეთმობა (გარდა დელაკროასი, რომელსაც ლექსის ოთხი დასკვნითი სტროფი უჭირავს).

მკითხველს შეუძლია როლანის მიერ დახატული მიქელანჯელოს პორტრეტი-პეიზაჟი ბოდლერისეულ წარმოსახვას შეუდაროს:

> მიქელანჯელო, ეს ბურუსი, სადაც ქრისტეებს
> ჰერაკლეები აღრეევიან და სად კირთებით
> წამომართულნი წყვდიადიდან წყვდიადს მისდევენ
> და თეთრ სუდარას დაკრუნჩხული ხვევენ თითებით.*

პორტრეტი-პეიზაჟი მხოლოდ ერთი განზომილებათაგანია რომენ როლანთან ბ უ ხ ე ბ ი ს თემისა. როგორც მოტანილი მაგალითებიდანაც ჩანს, მწერალი თვალსაჩინო ადგილს უთმობს ბუნებას თავისი პერსონაჟების ენებიან სამყაროში. ცხადია, ამ მხრივ ყველაზე თავისუფლად იგი თავსა გრძნობს ჟან-კრისტოფთან, რომელიც შადლიერებით ერწყმის შამა-რაინის ძაცოცხლებელ სტიქიონს, მშობლიური გერმანიის, მეზობელი შვეიცარიისა თუ გულით არჩეული სამშობლო-საფრანგეთის ბუნებას. როდესაც ისტორიულ პიროვნებებთან აქვს საქმე, როლანმა ნამდვილ ძოხაცემებს უნდა გაუწიოს ანგარიში: ბეთჰოვენს უყვარდა ბუნება, რომლის მიმართ მიქელანჯელო მეტ-ნაკლებად გულგრილი იყო. მიუხედავად ამისა, თვით მწერლის ღამოკიდებულება ბუნებისადმი ორივე შემთხვევაში ახერხებს გამოვლინებას და სწორედ ამგვარად განმტკიცდება როლანისეული ერთიანი საწყისი, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი. როლანმა ჩინებულად იცის ბეთჰოვენის ბუნების ტრფიალის წინა პლანზე წამოწევა. მიქელანჯელოს მოთმინებით ელის, სანამ სიბერეში შესული მხატვარი ბუნებისაკენ იგრძნობს ლტოლვას და მაშინ როლანიც მორიდებით ნათელყოფს ამ შემობრუნებით მოპოვებულ სიმშვიდესა და წონასწორობას.

ახლოს დგას იგი ბუნებასთან თუ შორს, ხელოვანი მის სიღრმისეულ არსს დაეძებს და გამოხატავს. ფაქტიურად, იგი ყოველდღიურობასთან შედარებით ს ხ ვ ა, თავისი ხელოვნების რ ე ა ლ ო ბ ა შ ი არსებობს. მაგრამ, ხელოვნების დიალექტიკის თანახმად, სინამდვილის შესაცნობად ჯერ უნდა დაშორდე მის ყოველწამიერ გამოვლინებებს, რათა აღიქვა გარდუვალი ბირთვი. მართალია, რომენ როლანი მთავარ ამოცანად ისახავს გააშუქოს შემოქმედების ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი გ ა ნ ზ ო მ ი ლ ე ბ ა და ამიტომ მეტწილად გაკვრით ეხება ამ „განზე გამდგარობას“, რომლის

---

* თარგმანი გივი გეგეჭკორისა.

აღსახიშვნავად იგი ეოთგან ბეთჰოვენის სიტყვებს მოიშველიებს. ბეთჰოვენი ამბობს, რომ მისი „სამეფო ჰაერშია“, რაც მოგვაგონებს ანალოგიურ სახეს, ჟან-პოლ სარტრის „სიტყვებს“ დაკინებით რომ გაპყვება, ანდა ალბერ კამიუს ნოველების კრებულს, რომლის სათაურშიეა გადმოცემული ყოველდღიურობისა და არსებითის დაპირისპირება: „სამეფო და ბანდევნა“

არსებითის საკითხმა კიდევ სხვა განზომილებასთან მიგვიყვანა. მართლაც, არსებითი ხომ კონდენსირებული რეალობაა. ეს მხარე ზუსტად გამოხატა მაიაკოვსკიმ: ერთი გრამი მხატვრული მასალის მისაღებად საჭიროა ათასობით ტონა სიტყვის ნედლეული გადაამუშაო. ასე გადადის რაოდენობა ნაწარმოების ხასიათში. ამავე ვითარებას გაშოხატავს სხვაგვარად ჰემინგუეის აისბერგის ცნება. ყოველივე ეს მიუთითებს ხელოვნების ინტენსიურ არსებობაზე, ექსტენსიურად მიღებული ცოდნის ერთი მიმართულებით ზიდვა-აყოლიებაზე (ამ შინაარსსაც წვდება როლანისეული „ოდინარის სიმბოლო). ინტენსიური არსებობა ხელოვანში იწვევს სურვილს, რომელსაც ესოდენ კარგად გამოხატავს ბეთჰოვენი ვეგლერისადმი მიწერილ ბარათში: „ო! რა მშვენიერია ათასი სიცოცხლე იცოცხლო“! სწორედაც რომ ბეთჰოვენის სიცოცხლე — ათასი სიცოცხლე. ეს სიტყვები იმდენად ნიშანდობლივი მოეჩვენა რომენ როლანს, რომ თავისი პატარა ბიოგრაფიის ფურცლებზე მათ სამ ადგილას იმოწმებს.

ინტენსიურ არსებობას როლანის პერსონაჟები ა ბ ს ო ლ უ ტ ი ს ძ ი ე ბ ა ს თ ა ნ მიჰყავს. ჩვენ გვახსოვს, რომ ბალზაკის სტუდენტმა რაფაელ დე ვალანტენმა სცადა სრული ნეტარება ეგემა და ამისათვის უმოკლესი გზა ამჯობინა — შეიძინა ჯადოსნური შაგრენის ტყავი, მაგრამ, როგორც ჩანს, აქაც ირიბ გზას უფრო ნაღვაწად მიეყავართ მიზანთან, ვიდრე სწორს. ტყუილია, თითქოს მიქელანჯელოს და ბეთჰოვენს ცოტა სიხარული ეგემოთ ცხოვრებაში. სინამდვილეში წარმავალ პატარა სიამეებზე ხელის აღებით ისინი ეზიარნენ ათასი სიცოცხლის სიხარულს, რაც არც იმდენთა ხვედრია. ამიტომ სავსებით სწორია როლანი თავის „გმირულ ცხოვრებათა“ დადებითი ჯამის გამოყვანისას. რაფაელ დე ვალანტენმა კი არა, მიქელანჯელო ბუონაროტიმ და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა იპოვეს, როგორც დღეს იტყოდნენ, აბსოლუტის ძიების ოპტიმალური ვარიანტი. მხოლოდ სიამეებ მოხვეჭით ყოველგვარ სიამეს ჰკარგავ და გრჩება მხოლოდ სიცარიელე და სასოწარკვეთილება. მიღებული ტანჯვისა და სიმწრის საპასუხოდ უხვად და სამარადისოდ გაცემული სიხარულით კი მთელი ამ ქვეყნის პოტენციურ სიხარულს ეზიარები.

ხსენებულ თვისებებს უმადლის ხელოვნება იმ პატივისცემას, რასაც მის მიმართ მოკვდავნი იჩენენ. უკმაყოფილო ბეთჰოვენის წასვლა ვენიდან ავსტრიის სირცხვილი იქნებოდა და ამ ქვეყნის მოამაგენი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა თავიდან ააცილონ მშობლიურ მხარეს ეს დამცირება. ხელოვნება არის გენიის გმირული დაძაბვით მიღწეული სულის იშვიათი განწყობილება, უზენაესი გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა ადამიანური არსებობისა, მისი უსაზღვრო შესაძლებლობების ხელშესახები დასტური. ხელოვანს, რომელიც თავის განზოგადებაში ხილვადი სინამდვილის მიღმა შეაღწევს, სჭირდება ს უ ლ ი ე რ ი ს ა მ შ ვ ი დ ე ; რომლის უქონლობას ბევრნი და. ერძოდ, დოსტოევსკიც უჩიოდა და შატეაბრიანი საზრუნავისაგან

განტვირთვა. ხშირად ადამიანები და საზოგადოებები გაბრაზებულნი უკუაგდებენ გენიის შეკრას ჩვეულებათა მდორე სფეროში, ამ ჩარევისაგან უხერხულობას გრძნობენ და ცდილობენ მისი გამომწვევი გასრისონ. დრო და გენიის გასხივოსნებული სიაშკარავე ზოგჯერ აიძულებენ თანამედროვეებს აღიარონ იგი. გარემოებათა ბედნიერი დამთხვევისას, გარშემომყოფნი ცდილობენ შეუქმნან გენიას სათანადო პირობები. თუმცა, უველაზე ხშირად, კეთილი ზრახვანი დიდხანს ვერ უტოლდება სინამდვილის მკაცრ შეხებას. უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, გენია იძულებულია საკაცობრიო საქმე ნაწილობრივ კაცობრიობის წინააღმდეგ, ანდა მისდა მიუხედავად გააკეთოს. ამ ვითარებას რომენ როლანი ნათლად აღიქვამს და გამოხატავს „წინამორბედნის" წინასიტყვაობაში.

ეს პრობლემა გაშლილია ბიოგრაფიებში, ერთის მხრივ, გენიისა და ბრბოს ურთიერთობის ასპექტით. მიქელანჯელოსა და ბეთჰოვენს მტერი და ავის მოსურნე იმთავითვე ბევრი ჰყავდათ. მიუხედავად ამ დაპირისპირების სიმძაფრისა, ცხადია, რომ მთავარი ბრძოლის ხაზი აქ არ გადის, რადგან გენიის დანიშნულება ხომ სწორედ შემწყნარებლობის დამკვიდრებაა და ახალ შესაძლებლობათა აღმოჩენა.

მაგრამ არსებობს დაპირისპირების სხვა ხაზიც, სადაც გენია რეაქციულ წესწყობილებებს უნდა გაუმკლავდეს. ხელოვანს რომც არ უნდოდეს, ეს დაპირისპირება გარდუვალია. რეაქცია ფანატიზმს ეყრდნობა, ხოლო ფანატიზმის პირველი მტერია კრიტიკული გონება და შემოქმედება. ფანატიზმის მასაზრდოებელი არსია ვიწრო და უცვლელი დოგმა, შემოქმედების კი — ნაცნობისა და უცნობის მიჯნაზე ძიება, მოულოდნელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი აღმოჩენები. ეჭვი, ძიება და აღმოჩენა აშოშმინებს ობსკურანტიზმს და გამორიცხავს ბრმა თვითდაჯერებულობას. ამიტომ თრგუნავენ პაპები და არისტოკრატები მიქელანჯელოს, ამიტომ ელის ვოლტერს ბასტილია, დიდროს კი ვენსენის საპყრობილე, ხოლო ბეთჰოვენი, ფლობერი და ბოდლერი სხვადასხვა დროს უზნეობის ბრალდებას უზნეოთაგან ისმენენ.

ამ პრობლემას გულისყურით იხილავს როლანი თავის ნაწერებში. სოციალურ-ისტორიული ვითარებისა და არტისტული ტემპერამენტის მიხედვით ხელოვანი სხვადასხვაგვარად უპირისპირდებიან რეაქციას, მათი მიზანი კი ერთია. ეს იძლევა ბეთჰოვენის ტ ო ტ ა ლ უ რ ჯანყს, გოეთეს გ ო ნ ი ვ რ უ ლ, მაგრამ არა ნაკლებად მტკიცე და მთლიან პოზიციას, ანდა მიქელანჯელოს მოჩვენებით მორჩილებას და თავდაცვისათვის მოშჯელიებულ დამამცირებელ ხერხებს. ამ მხრივ ხელოვნება გამონაკლისს კი არ წარმოადგენს, არამედ განუყოფელი შემადგენელი ნაწილია კაცობრიობის წინსვლისა. ხელიხელჩაკიდებული მეცნიერი და ხელოვანი სოლიდარულნი არიან: მიქელანჯელო იქნება ეს თუ გალილეო გალილეი, ისტორიულ პერსპექტივაში რეაქციონერ ხელისუფალთათვის მათთან გათამაშებული პარტია წინასწარვე წაგებულია.

უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ გოეთესა და ბეთჰოვენის ურთიერთობიდან ეიმარის გახმაურებულ ეპიზოდზე, სადაც მისალმება-არმისალმებისა თუ გზის დათმობა-არდათმობის ალტერნატივა დისვა. ამასთან დაკავშირებით ხშირად უთქვამთ, გოეთე ფილისტერულად მოიქცა, ბეთჰოვენი კი — როგორც დამოუკიდებელი ადამიანი და მეამბოხეო. საპირისპირო აზრიც არსებობს: ბეთჰოვენმა უპასუ-

ხისმგებლო ბიჭივით დაიჭირაო თავი, გოეთე კი მოქმედებდა როგორც ზრდილი და ბრძენი ოსტატი, რომელიც თავისი ნაწარმოებებით იბრძვის და იცის, რომ გამომწვევად ჯიბეში ჩაწყობილი ხელები აძვეუნად ვერაფერს შეცვლის.

ამ შემთხვევაში ჩვენ ბეთჰოვენის საქციელი გვაინტერესებს, თანაც გარკვეული კუთხით. კომპოზიტორის პიროვნება ახლო დგას რომენ როლანის სულისკვეთებასთან (სწორედ „ბეთჰოვენურად“ იქცევა ჟან-კრისტოფი). ბეთჰოვენის საქციელს მაგალითის ძალა აქვს, იქნება არც იმდენად საქმეში ჩახედულთათვის, ვისთვისაც ყოველივე ისედაც ნათელია, არამედ „საშუალო“ ადამიანისათვის, რომელიც შორსაა ხელოვნების სპეციფიური პრობლემებისაგან. ამ „ჟესტით“ ბეთჰოვენმა განამტკიცა ხელოვნების ადგილი და ღირებულება და თავი — სახელმწიფო მასშტაბებით უმწეო ეული ფიგურა — ძალაუფალთ დაუპირისპირა. თუკი ხელოვანმა პატივი უნდა სცეს ხელისუფლების წარმომადგენელს მისი საჭირო და აუცილებელი საქმიანობისათვის (იმდენად, რამდენადაც იგი საზოგადოების ინტერესებიდან გამოდის), თავის მხრივ ხელისუფალს არანაკლები დაფასება მართებს ხელოვანისა, რომლის „დანიშნაცა“ არ იქნება და რომლის არსებობასაც შემოქმედებითი პროცესი მთლიანად შთანთქავს. თანაც, როგორც ვთქვით, ხელოვნება განასახიერებს ადამიანთა ურთიერთობის მომწიფებულ, მაღალ მოდელს. ისევე როგორც მედიცინა შესაძლებლობისდაგვარად ისწრაფვის ქირურგიული ჩარევისაგან თერაპიული მკურნალობისაკენ, ასევე ადამიანთა ურთიერთობაში მეტ-ნაკლებად იძულებული ძალადობის ადგილს ესთეტიკისა და მეცნიერების კატეგორიები უნდა იკავებდეს. ამას გვეუბნება რომენ როლანი შემოქმედთა მრავალი მხატვრული სახით, რომელთა სულიერი მამაა ბეთჰოვენი და საწყისი — მისი ეს „ბიჭური გამოხტომა“

გარკვეულ ეტაპზე ოიძეს როლანიც ყოყმანობს ნიცშესა და განდის, ძალადობასა და ძალდაუტანლობას შორის. ეს დილემა, როგორც ვთქვით, მწერალმა იმით გადაჭრა, რომ ძალა ხელოვნების მშვიდობიანი ზემოქმედების სამსახურში დააყენა და არსებითად კეთილ, ხალხის ღრმა ზნეობის მატარებელ. მოქმედსა და შთაგონებულ „გლეხურ“ პიროვნებას დაეყრდნო.

თავისებურად ავითარებს ხელოვნების როლანისეულ კონცეფციას „კოლა ბრონიონი“, სადაც, ბეთჰოვენის პარაბოლას თუ გავიხსენებთ: „ტანჯვის გაელით — სიბარულისაკენ“, მახვილი აშკარად მეორე კომპონენტზეა გადატანილი. წიგნის მაეორულ ტონალობაში გამოსჭვივის გალური, რაბლესებური, ბურგუნდული ოხუნჯობა. აქაც ხელოვანის სახე არის გამოყვანილი, ოღონდ ბიოგრაფიებთან შედარებით უფრო მკვეთრად ჩანს ის გარემოება, რომ „სიცოცხლეა უპირველეს ყოვლისა“, ხელოვნება კი მის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს. ცხადია, ამ წიგნში არის დაბრუნება პირველსაწყისებისაკენ. მ ა რ ა დ ი უ ლ ი გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს წ ყ ა რ ო ს ა კ ე ნ.

მწერლისათვის დამახასიათებელი ხერხია ამ ვითარების გახსნისათვის მოშველიებული პარალელი: სიცოცხლე-მდინარე. ამ ცნების გარშემო შეიძლება აიგოს რომენ როლანის შემოქმედების „ტიპოლოგიური“ ანალიზი. არც კოლა ბრონიონია ბეთჰოვენი და ვერც ბურგუნდიის პატარა მდინარე ბოერონი გაუტოლდება დიდებულ რაინს. სათანადო პროპორციის დაცვით, ბოვრონი ხშირად ჩნდება „კოლა ბრონიონის“ ფურცლებზე; მას ხალისი და მხნეობა მოაქვს ადამიანებისათვის მოძ-

რავი წყალი მჭიდროდ ერწყმის როლანის პერსონაჟების ხეედრს ვინ დაგვარწმუნებს, რომ მხოლოდ შემთხვევით გადაჰყურებს ჟან-კრისტოფის სახლი რაინს (რომლის გუგუნი გვაუწყებს მომავალი კომპოზიტორის და მისი მუსიკის დაბადებას) და რომ კოლა ბრონიონიც სწორედ ბოვრონის პირას იშენებს საცხოვრებელს? ბოვრონი სიცოცხლესა და ნაყოფიერებას განასახიერებს.

„მოხიბლული სულიდან" მკითხველს ეხსომება ანეტ რივიერის სახე, რომლის გვარი ფრანგულად „მდინარეს" ნიშნავს. თუმცა რივიერები, ლარივიერები, დერივიერები და სხვ. არსებობენ საფრანგეთში, ცხადია, რომ მწერალი სიტყვის სემანტიკას მიიზიდა. ასევე არ მოუგონია როლანს გვარი „ბრონიონი" და მისი ბურგუნდული ვარიანტი „ბრენიონი", რომელსაც ეხათმეცნიერი ალბერ დოზა სიტყვა „შავგვრემანს" უკავშირებს. როლანის ხატოვან აზროვნებაში კი ჩვენს ყურადღებას სხვა გარემოება იპყრობს ფონეტიკურად „ბრონიონი" ახლოა „ბოვრონთან", მეტიც, მის ანაგრამას გვაგონებს, სადაც მხოლოდ ერთი კომპონენტია განსხვავებული: „ნ"-ს ცვლის ბგერა „ვ" განზრახ თუ უნებლიეთ. როლანმა აქაც გამოჰყო კლამსელი ოსტატისა და ბურგუნდიის მდინარის ნათესაური კავშირი.

მიამიტ და უაზრო გაიგივებას თუ გამოვრიცხავთ, შეუმჩნეველი არ დაგვრჩება ის, რომ მდინარეთა მრავალი განსაზღვრება, ამავე დროს, ზედმიწევნით უდგება პერსონაჟთა დახასიათებას. გავიხსენოთ, თუ რა მოაქვს რაინის აღწერას ჟან-კრისტოფის ფიზიკური და მორალური პორტრეტისათვის. ასევე ბოვრონის აღწერა ავსებს, აზუსტებს, ნიუანსებს ჰმატებს კოლა ბრონიონის სახეს. ისევე როგორც „გარგანტუა და პანტაგრუელში", „კოლა ბრონიონშიც" ხდება „მიწის საკვებთა" სუბლიმაცია.

მართლაც, სხვა კუთხით თუ მივუდგებით ზემოხსენებულ ცნებას, როლანის ნაწარმოები რაბლესებური მონაცვლეობის პროგრესიას წარმოადგენს ისევე, როგორც გოეთეს ტრაგედია—ხალხური „ფაუსტისას", ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი" — ბალზაკის „შაგრენის ტყავისას", ჯოისის „ულისე" კი — ჰომეროსის „ოდისეასას". ცხადია, მოტანილ მაგალითებს მხოლოდ აპოზიციურობა აერთიანებს და არა ამ აპოზიციის კონკრეტული ფორმები და ხასიათი.

თავის ძირეულ ფასეულობას — თავისუფლებას — რომენ როლანი უხვად უნაწილებს მდინარეებსა და ადამიანებს. ბოვრონის პირას იგემებს კოლა ბრონიონი ხსნასა და შვებას.

არტისტული ლოგიკის თანახმად, მდინარეები იმიტომ უწყობენ ხელს ადამიანთა ნაკვთების გამოყოფას, რომ მათ თვითონ განსაზღვრავენ ადამიანის თვისებები. პერსონიფიკაციის ამ მორევში ადამიანის თვისება მასვე უბრუნდება, ოღონდ მდინარის სტიქიონის გავლით, სადაც იგი განახლდება და თავს იგრძნობს ბუნების ნაწილად. ასეთია ბოვრონისა და ბურგუნდიის მთავარი მდინარის, იონის დახასიათება: იონი „ზარმაცია", ხოლო ბოვრონი „უსაქმური".

ორივე ამ ეპითეტს, რა თქმა უნდა, აფექტური, მოფერებითი ელფერით, ფოლკლორში გავრცელებული ხერხის მსგავსად, რომენ როლანი სისტემატურად იყენებს ბურგუნდიის მდინარეების დასახასიათებლად. ესეც ერთი კომპონენტია კოლა ბრონიონის პერსონაჟის განსაზღვრაში იმდენად, რამდენადაც შემოქმედება შეიცავს, თავის გარეგნულ გამოვლინებაში, „სიზარმაცის", ანუ ოცნების მომენტს, რასაც

კოლა ბრონიონი უწოდებს „ღვთაებრივ უსაქმურობას, როდესაც ამდენს საქმიანობ“. სწორედ აქ, ბოკრონის წყლებში, ისევე როგორც ბურგუნდელის ბუნებაში, ძევს ტკბობისა და ნეტარების საიდუმლო.

ასე მიგვიყვანა „სიზარმაცის“ განმტოებამ სიცოცხლის სიხარულისა და სიტკბოების რაბლესებურ პერსპექტივასთან. იონის და მისი შენაკადის, ბოკრონის, თვისებები ერთმანეთში ირევა და კიდევ სხვა ხარისხში გადადის. ასე წარმოიმართა „ნომაჯადოებელი იონი“. იგივე ითქმის კოლა ბრონიონის ხელოვნებაზეც.

იონი „კოლა ბრონიონში“ სხვა შინაარსსა და ასოციაციებსაც გულისხმობს. იონის სახელი ჰქვია იმ დეპარტამენტს, რომლის მიწასაც იგი ჰკვეთს და ანაყოფიერებს, იგივე ითქმის საფრანგეთის ბევრ სხვა დეპარტამენტზე და, ალბათ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე: მდინარე პეიზაჟის აქტიური შემადგენელი ნაწილია. ამ აქტიურობას უნდა უმადლოდეს იგი, სხვა მიზეზთა შორის, თავის წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ს. მართლაც, ნილოსი ეგვიპტეს „წარმოადგენს“, მისისიპი — ამერიკაა, ვოლგა — რუსეთს და ა. შ., ხოლო განგის ტალღას უერთდება, სიცოცხლის დასასრულს, ინდოელის ფერფლი. ამრიგად, მდინარის წარმომადგენლობა რომენ როლანის ნაწერებში თავისებური ანარეკლია მისი მდგომარეობისა თვით ბუნებაში. ამ კონტექსტში ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ ქართული სიტყვა „მდინარე“ ინარჩუნებს თავის კავშირს „დინების“ ცნებასთან, რაც გამოყოფილია ბუნებაშიც და როლანთანაც (ხოლო ფრანგული სიტყვა — rivière“ პარადოქსალურად უკავშირდება სტატიკურ ნ ა პ ი რ ს). ის გარემოება, რომ „მდინარე“ უდგება ისეთ ცნებებს, როგორიცაა „მიმდინარეობა“, „აქედან გამომდინარე“ და სხვა, რ ო ლ ა ნ ი ს ე უ ლ ი ა თავისთავად. ასე მოულოდნელად გვეხმარება ქართული სიტყვის ბუნება როლანისეული ცნების აღქმაში.

ფრანგული ენის მასალაზე ფართო დამიგნებებით სავსე ექსკურსს შეიცავს ტოპონიმიკისა და ადგილობრივი კულტურის, ცივილიზაციის, თვით ადამიანთა ბუნების ურთიერთკავშირის თაობაზე მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიება“, რასაც ცალი კუთხით „კოლა ბრონიონიც“ უდგება.

კოლა ბრონიონის სახით რომენ როლანი ესალმება ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო, ან თუნდაც უტილიტარული დანიშნულების ხელოვნებას. ამით როლანი ეხმაურება ლოტრეამონის დევიზს: „პოეზიას მიზნად უნდა ჰქონდეს პრაქტიკული ჭეშმარიტება“. ასეთია კოლა ბრონიონის სახლი, მის მიერ მრავალგზის აშენებული და აღდგენილი. ოსტატის ახირება — პირველადელი სახით აღადგინოს ომისა თუ სხვა მიზეზით დაზიანებული ნაგებობა, არის, ამავე დროს, ხელოვნების ღირსებისა და საჭიროების განმტკიცება. ისევე როგორც მდინარეს თუ ბუნების სხვა ნებისმიერ ელემენტს, არქიტექტურულ ნაგებობასაც ადამიანური განზრახვა აქვს. ასეთია, მაგალითად, მოჭარგულაბიანი „სენ-მარტენის კოშკი“.

ჭკუამოკლე არისტოკრატთან საუბარში კოლა ბრონიონი ერთს ამბობს, ზუსტად საპირისპიროს კი გულისხმობს, შენიღბულად ხოტბას ასხამს „გამოყენებით ხელოვნებას“, რომელიც თითქოსდა „შეზღუდული გონების“ ხვედრია. კოლა ბრონიონი ერთმანეთს უკავშირებს სილამაზისა და საჭიროების ცნებებს და დასკვნის სენიერს, რომლისთვისაც მხოლოდ უსარგებლო რამ შეიძლება იყოს ლამაზი.

შემოქმედების ნაყოფი კოლა ბრონიონისათვის ნაზი ქმნილებაა, რასაც სათუ-

თი შენახვა და ფრთხილი მიდგომა სჭირდება ამ მხრივ ნიშანდობლივია წიგნის პირველსავე თავში მოქცეული კოლა ბრონიონის ტირადა, სადაც იგი ერთ მწკრივში მოიხსენიებს ხელოვნებას, სიცოცხლის სიმეს, ნაყოფიერ მიწას. რაბლესეულ სიუხვით, მრავალ ზმნას იშველიებს რომენ როლანი, რათა გადმოგვცეს ოსტატის უხეში თითებიდან მშვენიერი ნახელავის წარმოშობა, ის დაუვიწყარი წუთები, როდესაც ბუნება პირველად აშიშვლებს თავის საიდუმლოებას ცნობის წყურვილით შეპყრობილი ადამიანის თვალწინ. საგულისხმოა, რომ კაკლის ხე, რომლისგანაც გამოკვრის კოლა ბრონიონი ნიმფებს, და ბურგუნდიის მდინარეები მსგავსი ან იდენტური ეპითეტებითაა დახასიათებული: „ნაზი და მსუყე". მეორე კომპონენტს, ნაყოფიერებას, რომენ როლანი ამავე პასაჟშიც და წიგნის სხვა ადგილებშიც გამოჰყოფს. მშობლიურ ნიადაგთან ურყევი კავშირის დასრულებულ პროგრამას შეიცავს ოსტატის სიტყვები: „ჩემი ველი მე თავის სხეულს მაძლევს, ჩემი ვაზი კი თავის სისხლს". ასევე სხარტად გადმოგვცემს სიცოცხლის ნადიმს, რასაც ხელოვნება წარმოადგენს, მეტაფორა: „მიწისა და მზის გაშლილი სუფრა".

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა შედარებითი ანალიზი როლანისეული ცნებებისა: ღვინო, ვაზი, სუფრა, სიცოცხლე-ნადიმი — და ქართული მწერლობიდან ამოკრეფილი მათ: შესატყვისობებისა. ასეთი შედარება უთუოდ მოგვცემდა შეხების წერტილებსაც და ნიუანსებსაც, რასაც ორი ცივილიზაციის თავისებურება გახაპირობებს. მათ ბევრი რამ აშორებს, მაგრამ საერთოც აქვთ: ისტორიულად ქრისტიანობა და ხმელთაშუა ზღვის აუზი დღემდე „ვაზის ცივილიზაციაა". ასეთი შეპირისპირებისათვის, რაბლეს წიგნის გარდა, სწორედ როლანის „კოლა ბრონიონი" იძლევა უხვ მასალას და ესეც იმის საწინდარია, რომ ქართველი მკითხველი ინტერესით გაეცნობა კლასიკური ოსტატის თავგადასავალს თავის ენაზე.

„კოლა ბრონიონში" შემოქმედებითი აქტი დანახულია როგორც შობა (engendrement). ნაწარმოების წარმოშობა ცოცხალი არსების დაბადებაა. ხატოვანი აზროვნების ეს კატეგორია იმდენად ბუნებრივია როლანისათვის, რომ იგი მას სწრაფად დაწერილ და გადაუმუშავებელ პირად ბარათებშიც მიმართავს. ასე მაგალითად, მხატვარ ფრანს მაზერელს „მანქანათა ჯანყის" შავ ვარიანტს რომ უგზავნის, როლანი აუწყებს: „ესეც ცხოველი, ჯერ ისევ თბილი და გამოუშიგნავი. იმედი მაქვს, რომ ამ სიცხეში (ბარათი იელისის თვეშია დაწერილი — გ. ბ.) საკმაოდ შენახული მოაღწევს თქვენამდე".

აქ რომენ როლანი არსებითად ემიჯნება ბოდლერისეული უნაყოფობის ცნებას. როლანისათვის, ისევე როგორც პოლ ელუარისთვის, შემოქმედება არის სასიცოცხლო მოქმედება, თბილი, ცეცხლოვანი, ამიტომ ბუნებრივია, რომ შობის, მოდგმის გამრავლების ცნება მასთან შემოქმედებასაც მოიცავს. მის მიერ არარაობას მოწყვეტილ ქმნილებებს კოლა ბრონიონი უყურებს ხან როგორც თავის ქალიშვილებს, ხან კი, ზოგადად, როგორც თავის ნაშიერთ. სიცოცხლისეული ძალა და შემოქმედების ნაყოფიერება მისთვის პარალელურია: „ვიდრე ხელოვანს ჯანი მოსდგამს, იგი სიცოცხლეს ბადებს და ნაშიერზე აღარა ფიქრობს".

წრე შეიკრა. ბუნებისაგან მიღებული სითბო და საკვები ხელოვანმა ბუნებასავე დაუბრუნა გამრავლებული, ცოცხალი არსების — ნაწარმოების — სახით. ცხოვრების ჩარხს აყოლილი ხელოვანი წვდება იშვიათ სიხარულს — ათას სიცოცხლეს.

გასტონ ბუაჩიძე

ქოლა ბრონიონი

თარგმანი

გიორგი გეგელიასი

წმინდა მარტენს გალიისას.
კლამსის მფარველს

წმინდა მარტენი კაოგ ღვინოსა სვამს,
ხოლო წყალს უხვად ფისქვილზე ასხამს.

(XVI საუკუნის ნათქვამი)

ომის შემდგომი წინასიტყვაობა

ეს წიგნი, მთლიანად დასტამბული, ჯერ კიდევ ოთამდე მზად იყო გამოსაცემად და მასში არაფერს ვცვლი. სისხლიანმა ეპოპეამ, რომლის მსხვერპლნი და გმირები კოლა ბრონიონის შვილიშვილები გახდნენ, მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ „კიდევ ცოცხლობს ძმაკაცი".

და მე მგონია ევროპის ხალხები, შარავანდმოსილნი და დაბეჟილნი, გვერდების ზელით იპოვიან ცოტაოდენ საღ აზრს „მწყემსსა და მგელს შორის მოქცეული ჩვენებური ბატკნის" მსჯელობაში.

ნოემბერი. 1918.

რ. რ.

გაფრთხილება მკითხველისადმი

„ჟან-კრისტოფის“ მკითხველები უთუოდ არ ელოდნენ ამ ახალ წიგნს. არანაკლებ მოულოდნელი იყო იგი ჩემთვისაც.

მე სხვა ნაშრომებს ვამზადებდი, — დრამასა და რომანს თანამედროვე თემაზე, — „ჟან-კრისტოფივით“ ტრაგიკულს, მაგრამ იძულებული გავხდი, განზე გადამედო ჩანაწერები და დამზადებული სცენები ამ უწყინარი წიგნის გამო, რომელზედაც წინადღითაც კი არ მიფიქრია.

ასე ავუმხედრდი ათი წლის მანძილზე „ჟან-კრისტოფის“ საგურველის ტარებას, რომელიც თავდაპირველად ტანს კარგად მედგა, მერე კი მეტად დამივიწროვდა. ისევ მომწყურდა ლაღი, გალური მხიარულება, რომელიც ხშირად თავხედობამდეც კი მიდის. მშობლიურ მხარეში დაბრუნებამაც, მხარეში, ჭაბუკობის დროიდან რომ არ მენახა, კვლავ დამაკავშირა ნეგერული ბურგუნდიის მშობლიურ მიწასთან; გააღვიძა წარსული, რომელიც სამუდამოდ მიძინებული მეგონა, გააღვიძა ყველა კოლა ბრონიონი, ჩემს სულში რომ თვლემდა. იძულებული გავხდი, მათ ნაცვლად მელაპარაკა. ამ შეჩვენებულ ყბედებს, ჩანს, სიცოცხლეში ლაპარაკით გული ვერ მოუჯერებიათ. ისარგებლეს იმით, რომ ერთ მათ შვილიშვილთაგანს მწიგნობრის ბედნიერი ხვედრი ერგო (ხვედრი, რომელიც თავადაც უნატრიათ) და მდივნად ამიყვანეს. რამდენი არ ვეცადე:

— პაპაჩემო, ბოლოს და ბოლოს, თქვენ გქონდათ თქვენი დრო! ახლა მეც მალაპარაკეთ. ყველას თავისი დრო აქვს.

— ჯერ ჩვენ გვაცალეო, — მიპასუხეს. — ჯერ ერთი, საინტერესო არაფერი გაქვს სათქმელი. აი, აქ დაჯექ. მისმინე და ერთი სიტყვაც არ გამოტოვო... აბა, აბა, ჩემო ბი-

ჭიკო, შენს მოხუცს დაუჯერე! მერე კი, როდესაც აქ მოხვალ, სადაც ჩვენა ვართ, მიხვდები, ჩემო, რომ... ყველაზე საზარელი სიკვდილში დუმილია...

რა უნდა მექნა? იძულებული გავხდი, დამეთმო და მათი კარნახით მეწერა.

ახლა კი მორჩა, გათავდა... და აი მეც ისევ თავისუფალი ვარ (ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია). მივუბრუნდები საკუთარ სათქმელს, თუკი რომელიმე ჩემს ყბედთაგანს არ მოეპრიანა კვლავ დატოვოს საფლავი, რათა შთამომავლობისათვის თავისი წერილები მიკარნახოს.

ფიქრადაც ვერ გავივლებ იმას, რომ ჩემი კოლა ბრონიონი მკითხველს ისევე გაართობს, როგორც ავტორს. ჭაგრამ ეს წიგნი მიიღონ ისე, როგორიც არის, — გულღია, მოურიდებელი. იგი არ ცდილობს მსოფლიო გარდაქმნას ან ახსნას, ეს არის უპოლიტიკო, უმეტაფიზიკო წიგნი „კარგ ფრანგულ ყაიდაზე", რომელიც დასცინის ცხოვრებას, იცის მისი გემო და თვითონაც ჯანსაღია. მოკლედ, როგორც ამბობს „ქალწული" (აუცილებელი იყო მისი სახელის ხსენება გალური მოთხრობის თავში), მეგობრებო, „კეთილი თვალით შეხედეთ".

მაისი. 1914 წ. *რომენ როლანი*

I

მირქმის ტორტილა

2 თებერვალი

იკურთხოს წმინდა მარტენი! საქმეები ჩახლართულია, არცა ღირს წელის წყვეტა. ცხოვრებაში შრომა არ მომკლებია, მოდი და, ცოტა დროც გავატაროთ. აი, მეც ჩემს მაგიდას ვუზივარ, ხელმარჯვნივ ხელადით ღვინო ძიდგას, ხელმარცხნივ — სამელნე, წინ კი ახალი რვეული საწერად ძეპატიჟება. შენი სადღეგრძელო იყოს, ბიჭო, მოდი ერთი, ვიბაასოთ. ქვემოთ ცოლი ბუზღუნებს. გარეთ ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი ზუზუნებს და ომიც იმუქრება. დაე, იბობოქროს, ეჰ! რა სიხარულია, ჩემო ჩაგოდრებულო გვრიტუნიავ, ჩვენი პირისპირ შეყრა! (ჰეი, შენ გეუბნები, ჯიგრისფერო, ცნობისმოყვარე და ხითხითა სიფათო, გრძელი ბურგუნდული ცხვირი გვერდზე მოქცეული ქუდივით რომ ვაქვს დაკოსებული.) ერთი მითხარი, გეთაყვა, თუ იცი, როგორ ძსიამოვნებს შენი დანახვა, ჩემს მოხუც პირისახეს რომ ჩავხედავ, მის ნაოჭებში მხიარულად რომ გავივლ-გამოვივლი და როგორც ჭის სიღრმიდან... რაო? (ჯაჭნაბას ჭა!) როგორც ჩემი ქვევრის სიღრმიდან, ჩემი გულიდან ძველ მოგონებათა ერთ ყლუპს დავლევ? კაცმა რომ იოცნებო, არა უშავს, მაგრამ დაწერო ის, რაზეც ოცნებობ!.. რაო? ოცნებაო? რას ვროშავ? თვინიერი, დამცინავი, ნაოჭებშემოვლებული თვალები ხომ ფართოდ მაქვს გახელილი. ცარიელი ოცნება სხვისთვის დამილოცნია, მე კი ვყვები იმას, რაც მინახავს, მითქვამს ან გამიკეთებია. მერედა, ეს დიდი სიგიჟე არ არის? რისთვისა ვწერ? რასაკვირველია, სახელისათვის არა, მადლობა უფალს, ჩერჩეტი არა ვარ, საკუთარი თავის ფასიც ვიცი... მაშ, შვილიშვილებისათვის? ჰე!... ათი წლის შემდეგ რაღა დარჩება ჩემი ნაჯღაბნისგან? ჩემი დედაბე-

რი ჩემ ნაჯღაბნებზე ეკვიანობს და, რაც ხელში ჩაუვარდება, წვავს... მაშ, ვიღასთვის ვწერ? ეჰ, ჩემთვის, ჩემი სიამოვნებისათვის. გული მისივდება, თუ არ დავწერე. ტყუილად ხომ არა ვარ შვილიშვილი პაპა-ჩემისა, რომელიც მანამ ვერ დაიძინებდა, სანამ ძილის წინ არ ჩაწერდა რამდენი ხელადა დაელია და ამოენთხია. ლაპარაკი მოთხოვნილებად მექცა. ჩემს კლასიში მკვევრმეტყველებთან პაექრობა რას გამაძღებს, რა ბრძანებაა! მეფე მიდასის დალაქისა არ იყოს, რაც გამიგია, უნდა გადმოვანთხიო. ენაც ცოტა გრძელი მაქვს. ჩემი ლაპარაკი რომ გაიგოს ვინმემ, კოცონი არ ამცდება. ეჰ, ჩემდათავად, მოხდეს, რაც ეოსახდეხია, კაცი რომ ყველაფერს მოერიდო, სევდისაგან გაიგუდები; ჩვენი დიდი თეთრი ხარებისა არ იყოს, მეც მიყვარს დღისით ნაშამის საღამოთი გადაცოხნა; მერედა, რა კარგია შეხება, ცაცუნი, ფათური ყოველივე იმისა, რაც გიფიქრია, რასაც დაკვირვებიხარ და დაგიგროვებია; რა კარგია ჩანისკარტება, ჩაკვნეტა, მირთმევა, ენაზე დადნობა, მოგონება და ნელა ჩახრამუნება ყოველივე იმისა, რისი მშვიდად დაჭაშნიკების დროც არ გქონია. რა კარგია შემოუარო შენს პატარა სამყაროს, უთხრა შენს თავს: „ეს ჩემია, აქ მე ვარ ბატონ-პატრონი, ჩემს სამყაროს არ აშინებს არც სუსხი, არც მეფე, არც რომის პაპი, არც ომები და არც ჩემი ბუზღუნა დედაბერი“...

აბა, ერთი ამ სამყაროს ნუსხა შევადგინოთ!

* * *

უპირველეს ყოვლისა, და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემს ავლადიდებაში მე მყავს ჩემივე მე, ჩემი თავი, კოლა ბრონიონი, ბურგუნდელი, ხათრიანი და დარდიმანდი ბიჭი, ღიპიანი, ჩასუქებული, ჩაკურატებული, არც მთლად ჭაბუკი — ორმოცდაათ წელს გადასული, მაგრამ ჯანიანი, კარგად ჩასხმული, საღებილებიანი, ნაფოტასავით მკვირცხლთვალებიანი. ხშირი, ოდნავ შეევრცხლილი თმა ხოშიანად მაქვს აჯაგრული. ვერ გეტყვით, რომ ჭაღარა თმას ქერა არ მერჩიოს. იმაშიც გამოგიტყდებით, მაინცდამაინც თავს არ შევიპატიჟებ, თუ ოცი ან ოცდაათი წლით უკან დახევას შემომთავაზებთ, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნახევარი საუკუნეც დიდებული რამ არის. იცინეთ, ჯეელებო, იცინეთ, ამ ხანს ყველა როდი აღწევს. გგონიათ, არა-

ფერია, შენი ტყავი ორმოცდაათი წლის მანძილზე საფრანგეთის გზებზე ათრიო და ისიც ასეთ დროს?.. ღმერთო! ეჰ, ჩემო კარგებო, თავს რამდენი გვალვა და დელგმა დაგვტყდომია, რამდენჯერ შევბრაწულვართ, გადავბრაწულვართ და გავრეცხილვართ. ამ ძველ, დათრიმლულ ქიშელაში რამდენი დარდი და შვება, ოინბაზობა და ოხუნჯობა, გამოცდილება და სიახცე ჩაგვიწყვია. დაგვიგროვებია ჩალა და თივა, ლეღვი და ყურძენი, მკვახე და მწიფე ხილი, ვარდი და ასკილი, ნახული, წაკითხული, ყურმოკრული, გაგონილი, შეძენილი და გადატანილი! ეგ ყველაფერი ჩვენს სანადირო ჩანთაშია დაგროვილი, არეულ-დარეული. ოჰ! რა კარგია ამ ჩანთაში ქექვა და ხელის ფათური... აბა, აქ შესდექ, ჩემო კოლა! ხვალ ვქექოთ, დღეს რომ დავიწყო, ვერ მოვრჩები... მოდი და, ჯერ ჩემი ავლადიდების ნუსხა შევადგინოთ.

მაქვს სახლი, მყავს ცოლი, ოთხი ბიჭი, ერთი ქალიშვილი, გათხოვილი (მადლობა უფალს), სიძე (რა გაეწყობა, საჭიროა), თვრამეტი შვილიშვილი, ნაცრისფერი ვირი, ძაღლი, ექვსი ქათამი და ერთი ღორი. ეჰე! ბარაქალა! ხედავთ, რა მდიდარი ვყოფილვარ! აბა, ეოთი სათვალე მოვიმარჯვოთ და დაკვირვებით შევხედოთ ჩვენს საუნჯეს. თუმცა, მართალი რომ გითხრათ, ზოგი მათგანი მოგონებაშიღა შემრჩა, რადგან ომები გადავიტანეთ, ჯარისკაცებმა ჩაიარეს, მტრეიცაც და მოკეთეებმაც. ღორი დამარილდა, ვირი ოთხივე ფეხით კოჭლობს, მარანი დაილია და ქათმები გაიპტყვნა. მაგრამ ცოლი შემრჩა. ჰაი, ჰაი, რომ ნამდვილად შემრჩა! ერთი უსმინეთ, როგორ ჩხავის. შეუძლებელია ჩემი ბედნიერების დავიწყება. ჩემია, ჩემი, ეს ტურფა ჩიტუნია, მე ვარ მისი მფლობელი. ჰა! შე ყალთაბანდო ბრონიონო! მთელი ქვეყანა შენ შემოგნატრის... ბატონებო, აბა მიბრძანეთ, თუ ვინმეს გინდათ... გამრჯე ქალია, ყაირათიანი, უშიშარი, პატიოსანი, ერთი სიტყვით, მადლით სავსე (თუმცა ეს მადლი მას არ აპურებს; მე კი, ცოდვილი, უნდა გამოვტყდე, შვიდ მჭლე მადლს ერთი ფუნჩულა ცოდვა მირჩევნია. ეჰ! რა გაეწყობა, დავრჩეთ უცოდველი, რადგან სხვა გზა არ არის. ასეთია ნება უფლისა)... ჰაიტ! როგორ ბორგავს ჩვენი ფეთხუმი მარიანო, როგორ ძირისძირამდე ავსებს სახლს თავისი აწოწილი სხეულით და მთელ სახლს აქოთებს. დაძვრება, ანჩხლობს, წუწუნებს, ბუხუნებს და ბუზღუნებს, გვის მტვერსა და მყუდროებას. თითქმის ოცდაათი წელია, რაც დავქორწინდით, ეშმაკმა იცის, რატომ. მე სხვა მიყვარდა, ის დამცინოდა, ამას მე ვუნდოდი, მე კი მასზე გუ-

ლი არ მიმდიოდა; იმ დროს ერთი ფერმიხდილი, შავგვრემანი გოგონა იყო. მისი მკაცრი თვალები მზად იყვნენ შეეჭამე და ისე დავედაგე, როგორც წყლის ორი წვეთი დაჟანგავს ხოლმე რკინას. ვუყვარდი ისეთი სიყვარულით, რომელსაც შეეძლო სამარის კარამდე მიეყვანა. იმდენი მდია, იმდენი მაწვალა, ისე მომაბეზრა თავი, ისე დამღალა, რომ (რა სულელები ვართ მამაკაცები!) შემებრალა, სულგრძელობამ და სიამაყემ დამძალა და, ბოლოს და ბოლოს, ცოლად შევირთე (ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე). იმ დღიდან მყავს ის, მყავს ოჯახში მადლიანი და ეს ნაზი ქმნილება ჯავრს იყრის ჩემზე. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ვუყვარდი. მაბრაზებს; არა, ცდილობს გამაბრაზოს, მაგრამ ამაოდ, სიმშვიდე ისე მიყვარს, რომ დარდს ახლოსაც არ გავიკარებ. როდესაც წვიმს, ხელს არ ვუშლი, დაე, იწვიმოს. როცა გუგუნებს, ჩემთვის ვღეღუნებ; თუ ყვირის, ვიცინი, რატომ არ უნდა იყვიროს? სულაც არ ვაპირებ ყვირილი დავუშალო, მისი სიკვდილი როდი მინდა, სადაც ქალია, იქ მყუდროება ხომ ზღაპარია. დე, იგალობოს, მე ჩემს სიმღერას ვიტყვი. რატომ ვერ ბედავს, ჩარბები დამიმუწოს? იცის, ძვირი დაუჯდება და ძალიან ერიდება. თვითონ ხომ შეუძლია ჭიკჭიკი... ყველა თავის მუსიკას უკრავს.

ერთი სიტყვით, ჩვენი ჩონგურები შეწყობილნი იყვნენ თუ არა, მაინც საკმაოდ საამური ნაწყვეტები შევასრულეთ; ერთი ქალიშვილი და ოთხი ვაჟკაცი გვყავს, ყველა ბრგე და ტანადი; ამისათვის არც ქსოვილი დამიზოგავს და არც ხელობა დამიკლია, თუმცა ამ ნაბარტყში ერთადერთი, რომელშიც ჩემს თესლსა ვცნობ, არის ჩემი მატრაბაზი, ჩემი ოინბაზი მარტინა. რამდენი ჭაპანწყვეტა გადამხდა, სანამ ქორწინების ნავსადგურს უხიფათოდ მიადგებოდა. უჰ! აი, ისიც დამშვიდებულია!.. არა, ძალიან კი არ უნდა დაენდო, მაგრამ ეგ უკვე ჩემი საქმე აღარ არის. მარტინამ საკმაოდ მატეხინა ღამეები. მაცუნცულა და მაძუნძულა; ახლა ალავერდს ჩემს სიძესთან ვარ, მისი ჯერია, ჩემი სიძის, ფლორიმონ მეფუნთუშისა, ახლა მან იკითხოს, მან მიხედოს თავის თონეს... ყოველ ნახვაზე მე და მარტინა ერთ ბასტიბუბუს ავტეხთ ხოლმე, მაგრამ არავისთან ვართ ისე შეხმატკბილებული, როგორც ერთმანეთთან. ყოჩაღი გოგოა, თავის სიანცეშიც კი ფრთხილი და პატიოსანი; ოღონდ პატიოსნებამ იცინოს, ვინაიდან მარტინას ყველაზე დიდ ზადად ის მიაჩნია, რაც ადამიანს ადარდებს. ჯაფისა არ ეშინია. ჯაფა ბრძოლაა, ბრძოლა კი სიამოვნებაა და მარტი-

ნასაც უყვარს ცხოვრება. ჩემი არ იყოს, იცის, რა არის კარგი. ჩემი სისხლი და ხორცია, მხოლოდ მის გაკეთებაში ვყოფილვარ ძეტად გულუხვი.

ბიჭები კი აგრე კარგი ვერ გამომივიდნენ, დედამ თავისი საფუარი გაურია და ცომიც დამიმქავდა. ოთხიდან ორი მოწმინდანია, დედის კვალობაზე, მაგრამ სხვადასხვა ჯურისა. ერთი შავანაფორიანებს გადაჰკიდებია, ხუცებს, ღვთისმსახურ ბაღლინჯოებს, მეორე კი ჰუგენოტია. ვერ გამიგია, როგორ გამოვჩეკე ასეთი ბეიტები. მესამე ჯარისკაცია, ომობს, ღმერთმა იცის, სად დაწანწალებს: მეოთხე მთლად არარაობაა, ერთი პატარა მეწვრილმანეა, უმნიშვნელო, სხვისი ფეხის ამყოლი, მის გახსენებაზე მამთქნარებს ხოლმე. ჩემს ჯილაგს მხოლოდ მაშინა ვცნობ, როდესაც ექვსივე დანა-ჩანგალ მოშარჯვებული მაგიდას შემოვუსხდებით. სუფრაზე არც ერთს არ გვძინავს, ყველანი შეუმატჯბილებულნი ვართ; მართლაცდა, საამური სანახაობაა და არაფერი სჯობს იმის ცქერას, თუ როგორ ვიქნევთ ყბებს, რა ჯიგრიანად ვილუკმეზით და ლოთიანად გადავუძახებთ ხოლმე ნუნუას წიაღსა შინა სტომაქისასა.

მოძრავ ქონებას თავი გავანებოთ, ახლა სახლზე გადავიდეთ. ესეც ჩემი პირმშოა, ჩემი ხელით ნაგები, აგური აგურზე თვითონვე დამიდვია, ერთხელ კი არა, სამჯერ ამიშენებია ზანტი, ბინძური, მწვანე ბალახებითა და ნეხვით უხვად ნაკვები ბოვრონის პირად. ქალაქის კარიბჭესთან, ხიდს გაღმა ჩაცუცქულა ეს მოკლეფეხა ფინია, წყალი მუცელს უსველებს. მის პირდაპირ აღმართულა ქედმაღალი, ჰაეროვანი, ჩიხორამოქარგული წმინდა მარტენის კოშკი და ყვავილებით ჩაჩუქურთმებული სტოვა, რომლისაკენაც ისე, როგორც სამოთხისაკენ, ძველი რომის შავი და ციცაბო საფეხურები მიიმართება. ჩემი ხულა, ჩემი ხუხულა, გალავანს გარეთ არის მოქცეული. ასე რომ, როდესაც კოშკიდან ბარში მტერს შენიშნავენ, ქალაქი გალავნის კარს კეტავს და მტერი მე მესტუმრება ხოლმე. თუმცა მუსაიფი ძალიან მიყვარს, ასეთი სტუმრები არაფრად მეპიტნავება და მეც, უმეტეს შემთხვევაში, სახლს ვტოვებ და გასაღებს კარის ქვეშ ვინახავ, მაგრამ დაბრუნებისას არც კარია და არც გასაღები, ოთხი კედელიღა მხვდება და ისევ თავიდან ვიწყებ შენებას. მიკიჟინებენ:

— გამოთაყვანებულო! მტრისთვის მუშაობ, დაეხსენი მაგ თხუნელას სოროს და გალავნის კედელს შემოაფარე თავი, უშიშრად მაინც იქნები.

მე კი ვუპასუხებ:

— ღმერთო ჩემო! სადაცა ვარ, კარგადა ვარ. რა თქმა უნდა, სქელი კედლის უკან უშიშრად ვიქნები, მაგრამ სქელი კედლის უკან რას დავინახავ! მხოლოდ კედელს. სევდისაგან ჩამოვხმები. მე სილაღე მინდა, მინდა, თუ ხოში მაქვს, ბოვრონის პირად წამოვწვე, და თუ ბაღში არ ვმუშაობ, მშვიდად ვუმზირო წყალზე ამოხატულ ათინათებს, წყლის ზედაპირზე თევზების ბოყინით ამომსხდარ ბუშტულებს, წვერა ბალახებს, წყლის სიღრმეში რომ ირხევიან, მინდა ვითევზაო, ჩემი ძონძები ვრეცხო მდინარეში და ღამის ქოთანი ჩავცალო შიგ. არა, გეთაყვა, ავად თუ კარგად, ნიადაგ აქ ვყოფილვარ; წასვლა გვიანღაა, რაც მომსვლია, იმაზე ცუდი რა უნდა მომივიდეს. მეუბნებით, სახლს კიდევ დაგინგრევენო. შესაძლებელია. მერე რა? ხალხნო! ხომ არ ვამბობ, სამუდამჟამო რამ უნდა ავაშენო-მეთქი; მაგრამ სადაც ფესვი გამიდგამს, იქიდან ჩემი აღმოფხვრა, ჰაი დედასა, ადვილი როდია. სახლი ორჯერ ამიშენებია. კიდევ ათჯერ ავაშენებ. იმიტომ კი არა, რომ ეს მართობს, — ათჯერ მეტს შევწუხდები, ადგილი რომ გამოვიცვალო, გატყავებულ სხეულს დავემსგავსები. სხვა სახლს მთავაზობთ? უფრო კარგს, უფრო ახალს, უფრო მშვენიერს? ისე მომიხდება, როგორც აქლემს ცალია, თვითონვე დავანგრევ. არა, ძმაო, ჩემი მირჩევნია, ჩემი...

აბა, გადავთვალოთ: ცოლი, შვილები და სახლი. განა მთელი ჩემი ქონება ჩამოვთვალე? არა! დამრჩა უკანასკნელი, ყველაზე უკეთესი. გემრიელი ლუკმა ყელის ჩასატკბარუნებლად შემოვინახე. ჩემს ხელობაზე მოგახსენებთ. მე წმინდა ანას ამქარს ვეკუთვნი, დურგალი ვარ. დაკრძალვებისა და პროცესიების დროს მე მიმაქვს ფარგლიანი ქხარით შემკული კვერთხი. ფარგალზე ქრისტეს ბებია კითხვას ასწავლის თავის პაწაწინა ქალიშვილს, ცეროდენა გოგონას, კურთხეულ მარიამს. მე ჩემს დაზგასთან ვდგავარ, ცულითა და შალაშინით შეიარაღებული, კორძებიანი მუხისა და გულკრიალა კაკლის მეფე ვარ. რას ვაკეთებ მათგან? რაც მომეპრიანება, ანდა რის ფულსაც მუშტარი მომცემს. რამდენ მიჩქმალულსა და მიმალულ ფორმას სძინავს ამ ხეებში. მზეთუნახავი რომ გააღვიძოთ, მისი შეყვარებულის დარად, ხის სიღრმეში უნდა შეიჭრათ. სილამაზე, რომელსაც შალაშინის ქვეშ ვპოულობთ, პრანჭია როდია. იტალიელ ხელოვანთა რომელიმე უმკერდო, უუკანალო და კაფანდარა დიანას მირჩევნია ბრინჯაოს ფერ-

მოდებული, მკვრივი, ნაყოფით დამძიმებული ვაზივით დოვლათიანი ბუოგუნდული ავეჯი, მშვენიერი, ბუცელგამობერილი ზანდუკი, ანდა კიდევ ოსტატ ჰიუგ სამბენის მკაცრი ფანტაზიით მოჩუქურთმებული კარადა. მე ლირსით და ჩუქურთმებით ვმოსავ სახლებს. ვშლი ხვეულ კიბეთა რგოლებს და, შპალერებზე ამოხატული ვაშლების მსგავსად, კედლებში მძიმე და განიერი ავეჯი გამომყავს, იმ ადგილისათვის ზედგამოჭრილი, სადაც დამიდგამს. მაგრამ ჩემი ყველაზე საამო მაზა არის ფურცელზე გადატანა ყოველივე იმისა, რაც ჩემს ფანტაზიაში იცინის: რაიმე მოძრაობა, ჟესტი, გადაზნექილი წელი, მსუქანი ყელი, აყვავებული ხვია, გირლანდა, გროტესკი, ანდა რომელიმე გამვლელის სიფათი, რომელსაც სახელდახელოდ დავიჭერ და ჩემს დაფაზე მივაკრავ ხოლმე. მონრეალის ეკლესიის საგალობლის მერხებზე ჩემსა და კიურეს სანეტაროდ ამოვაქანდაკე (ეს ჩემი შედევრია) სუფრაზე ხელადასთან მჯდარი ორი მედაბური, ლხინში მხიარულად ჭიქებს ერთმანეთს რომ უჭახუნებს, და ორი ლომი, ძვლისათვის რომ უღრენს ერთიმეორეს.

ვსვამ და ვმუშაობ, ვმუშაობ და ვსვამ — რა საამური ცხოვრებაა... ჩემს ირგვლივ უხიაგი ხალხი ჯუჯღუნებს. მეუბნებიან: შენც რაღა სიმღერისათვის მოგიცლიაო, ახლა ახირებული დროება არისო... არა, გეთაყვა, არ არსებობს ახირებული დროება, არიან მხოლოდ ახირებული ადამიანები. მადლობა უფალს, მათ რიცხვს არ ვეკუთვნი. ერთმანეთს ყლეტენ? ძარცვავენ? ყვლეფენ? მუდამჟამს ასე ყოფილა, მუდამჟამს ასე იქნება. თავი წამჭერით, თუ ოთხასი წლის შემდეგ ჩვენი შთამომავალნი ასევე გააფთრებით არ დაერევიან, თავ-პირს არ დაამტვრევენ და თმებით არ ათრევენ ერთიმეორეს. ის კი არა და, მრავალ ახალ ხერხს გამონახავენ, ეს ჩვენზე უკეთ მოიმოქმედონ, მაგრამ გარწმუნებთ, სმის ახალ ილეთს ვერ გამოიგონებენ. აბა, თუ ბიჭები არიან, ჩემზე უკეთ დალიონ... თანაც, ვინ იცის, რას ჩაიდენენ ეს აოამზადები ოთხასი წლის შემდეგ? შესაძლებელია, მედონის კიურეს ბალახის, საოცარი პანტაგრუელონის წყალობით მთვარის სამყაროს, მეხის სამჭედლოს, ან წვიმების სათავეს ეწვიონ, ზეცაში დაბინავდნენ და ღმერთებთან ილოთონ... კეთილი, მეც მათთან ერთად წავალ. განა ისინიც ჩემი ხორცი და ჯილაგი არ არიან? იმრავლეთ, ჩემო კეთილებო! მაგრამ ჩემი დრო უფრო ნაღდია. აბა, ვინ მეტყვის, რომ ოთხი საუკუნის შემდეგ ღვინო ისეთივე კარგი იქნება, როგორც დღეს არის?

ქეიფი მეტად გიყვარსო, მაყვედრის ცოლი. მე არაფერს ვწუნობ, მიყვარს ყველაფერი, რაც კარგია, მიყვარს კარგი პურ-მარილი, კარგი ღვინო და უხვად ხორცშესხმული, ნაზკანიანი, ხავერდოვანი და ჩაქვირითებული... ნეტარება, რომლითაც ოცნებაში ტკბები. ოცნება! ღვთიური უსაქმობა, სადაც ამდენს საქმიანობ (ხარ სამყაროს მბრძანებელი, გესმის როგორ იზრდება ბალახი, ესაუბრები ხეებს, ცხოველებსა და ღმერთებს). შენც მიყვარხარ, ჩემო ძველო თანამგზავრო, შენ, ვისთვისაც ღალატი უცხოა, ჩემო მეგობარო, ჩემო აქატო, ჩემო შრომავ!.. რა საამურია იარაღით ხელში დაზგასთან დგომა, გამოხარატება, შემოჭრა, გამოთლა, გალესვა, რანდვა, ქლიბვა, ხერხვა, ქექვა მშვენიერ და მკვრივ მასალაში, რომელიც ჯერ ურჩობს და შემდეგ ეედს იხრის, მიყვარს ნაზი და მსუქანი კაკლის გარანდვა, ხელში ფერიის ტანივით რომ თრთის, რა საამოა ცქერა ცულით სამოსელშემოძარცვული. ჩვენი ტყეების ნიმფების ვარდისფერი, შავგვრემანი და ოქროსფერი სხეულებისა, რა კარგია ლხენა მარჯვე ხელისა, გონიერი და მსუქანი თითებისა, რომელნიც ქმნიან ხელოვნებას სათუთ ნიმუშებს, ლხენა გონებისა, რომელიც მბრძანებლობს მიწიერ ძალებზე და ხეზე, რკინასა და ქვაზე თავისი კეთილშობილი და დალაგებული ფანტაზიის ჟინს ასახავს ხოლმე. ქიმერთა სამეფოს მბრძანებელი მგონია თავი. ჩემი მინდორი თავის ხორცს მაჭმევს და ვენახი თავის სისხლს მასმევს, შანარის სულები ჩემი ხელოვნებისათვის ზრდიან, ასუქებენ, აგრძელებენ და აკრიალებენ ხეების ტანის მშვენიერ ნაკვთებს, რომელთაც ვეალერსები. ჩემი ხელები მორჩილი მუშებია, რომელთაც ჩემი პირველი თანაშემწე — ჩემი ტვინი ხელმძღვანელობს. ტვინი მე მემორჩილება და ჩემი ოცნებისათვის სასიამოვნო ტაშფანდურს მართავს. განა ოდესმე ვინმეს ჩემზე უკეთ მომსახურებიან? ხომ მაქვს უფლება, ჩემი სადღეგრძელოც დავლიო? ნურც ჩემს ყოჩაღ ქვეშევრდომებს დავივიწყებთ (უმადური როდი ვარ). კურთხეულ იყოს ამქვეყნად ჩემი გაჩენის დღე. რამდენი რამ არის თვალწარმტაცი, საამური და ტკბილი ამ მრგვალ მანქანაზე. ღმერთო დიდებულო! რა საამურია ცხოვრება! რამდენიც არ უნდა ჩავცეცხლო, მაინც მშია, შიმშილისაგან ნერწყვი მომდის, უთუოდ ავადაც ვარ. რა დროც არ უნდა იყოს, მიწისა და მზის მიერ გაშლილი სუფრის დანახვაზე იშტაზე მოვდივარ...

• • •

მაგრამ, ძმობილო, მგონი წავიტრაბახე, მზე ჩაესვენა, ჩემს სამყაროში ყინავს. სათოკე ზამთარი ოთახში შემოპარულა. გათოშილ თითებში კალამი ბორძიკობს. უფალმა შემიწყალოს, ჭიქას ყინული ედება და ცხვირი გამფითრებია. დაწყევლილი ფერი მაქვს, სასაფლაოს სამოსის მსგავსი. მძაგს მკრთალი ფერი. ჰეი! რეკენ და გუგუნებენ წმინდა მარტენის ზარები. დღეს მირქმაა... „ზამთარი ან სულს ღაფავს, ან ანჩხლდება“... ზვაობს ავაზაკი, ლონიერდება. კეთილი, მოდი, მივბაძოთ, დიდ შარაგზაზე გავიდეთ და პირისპირ შევხვდეთ...

დიდებული სიცივეა, ლოყებზე ნემსებივით მჩხვლეტს. ქუჩის მოსახვევში ჩასაფრებული ქარი ღაწვებში მწვდება. გავთბი, ვიწვი. იდიდოს უფალი, ადამიანის ფერი დამედო... მიყვარს ფეხქვეშ გამაგრებული მიწის ღრჭიალი, თავი ჭაბუკი მგონია. რა ჩემი ცოდვა დაემართა ამ ხალხს, რა საბრალო და აპრუწული გამომეტყველება აქვთ, რა აბუზული დადიან?

— აბა, აბა, მხიარულად, მხიარულად, ტურფა მეზობელო, ვისზე ხართ გაჯავრებული? ამ ცულლუტ ქარზე, კაბის კალთებს რომ გიფრიალებთ? კარგს შვრება, ჭაბუკია. რატომ მეც ჯეელი არა ვარ? კარგ ადგილს კბენს ეგ სალახანა, კარგ ადგილს. იცნობს მსუნაგი გემრიელ ლუკმას. მოთმინება იქონიე, ნათლიდედ, ყველამ უნდა იცხოვროს, მაშ!.. კი მაგრამ, სად გარბიხართ ასე დაოთხილი? თითქოს უკანალზე ეშმაკი მოგკიდებოდეთ. წირვაზე? ვადიდოთ უფალი, ის ყოველთვის მოერევა ტარტაროზს. ვინც ტირის, იცინის კიდეც, გაყინული გათბება... ოო, თქვენ უკვე იცინით? მაშ, ყველაფერი რიგზეა. მე სად გავრბივარ? მეც წირვაზე მიმეჩქარება, მაგრამ ხუცებისა კი არა, მინდვრების წირვაზე.

ჯერ ჩემს გოგონასთან მივდივარ პატარა გლოდის გამოსაყვანად. ყოველდღე ერთად ვსეირნობთ მე და გლოდი. ის ჩემი საუკეთესო მეგობარია, ჩემი ბეკეკა კიკინა, ჩემი ვასაკა ყიყინა. მეექვსე წელშია გადამდგარი, წრუწუნაზე უფრო ფხიზელი და ეშმაკზე უფრო ეშმაკუნაა. როგორც კი დამინახავს, ჩემკენ მორბის. იცის ცულლუტმა, რომ პაპას გუდაკალათი სავსე აქვს ზღაპრებით. ზღაპრები ჩემსავით უყვარს. ხელს ვკიდებ:

— აბა, წამოდი, ჩემო პატარა. ტოროლას შევხვდეთ.

— ტოროლას?

— ეაშ! განა არ იცი, რომ დღეს მირქმაა და ტოროლა ციდან ბრუნდება?

— იქ რას აკეთებდა?

— ჩვენთვის ცეცხლს ეძებდა.

— ცეცხლს?

— მზის ცეცხლს. ცეცხლს, დედამიწის ქოთანს რომ ათუხთუხებს.

— ცეცხლი განა წასული იყო?

— მაშ, ყოველწლიურად, ნოემბერში, ყველაწმინდობა დღეს ცეცხლი ციური ვარსკვლავების გასათბობად მიემგზავრება.

— მერე უკან როგორღა ბრუნდება?

— სამი ჩიტუნია მიდის მის საძებნელად.

— პაპა, მოყევი, რა...

წრუწუნასავით მოცუნცულებს გზაზე ჩემი გლოდი. თეთრი შალის ქსოვილით თბილად შეფუთნულს თავზე ლურჯი კაპიუშონი ახურავს და წიწკანას დამსგავსებია. სიცივისა არ ეშინია, თუმცა ფუნჩულა ლოყები ვაშლივით გასწითლებია და ბოტოტები ცხვირიდან შადრევანივით სცემს...

— აბა, აბა, კუდიანო, ცხვირი მოიხოცე, აბა, კელაპტრებს შეუბერე, მირქმის გამო ხომ არ აგინთია? ცაზე კანდელი აინთო.

— პაპა, პაპა, მიამბე, როგორ წავიდა სამი პატარა ჩიტუნია...

(რა ვქნა, მიყვარს, რომ მეხვეწებიან).

— გზას გაუდგა სამი პატარა ჩიტუნია; სამი მამაცი ძმაკაცი: ნარჩიტა, კოტა და ძმა-ბიჭი ტოროლა; არტაბანივით ქედმაღალმა, ცეროდენასავით მკვირცხლმა და ფუსფუსა ნარჩიტამ პირველმა შეამჩნია ფეტვის მარცვლისოდენა მშვენიერი ცეცხლი, რომელიც ჰაერში მოგორავდა და მყისვე მისკენ გაფრინდა ყვირილით: ჩემია, ჩემი! არა, ჩვენია, აჰყვნენ სხვებიც, მაგრამ ნარჩიტამ ცეცხლს უკვე ჩაუქროლა, ნისკარტი ჩაავლო და მიწისკენ ისარივით დაეშვა... „მიშველეთ! ცეცხლი! ცეცხლი მედება! ვიწვი!“ მდუღარე ფაფასავით გადააკვს ნარჩიტას ცეცხლი ნისკარტის ერთი კუთხიდან მეორეში. მეტი არ ძალუძს, ნისკარტს აღებს, ენა გაჰყვლეფია, ცეცხლს ეფურთხებს და პატარა ფრთებქვეშ მალავს. „ვაი! ვაი! ვიწვი!“ ფრთებს ალი ედება (განა არ შეგიმჩნევია, რა გარუჯული ლაქები და ხუჭუჭა ბუმბული

ქვს?). ფიცხლად მიიჭრა კიოტა საშველად. ცეცხლის მარცვალს მარ-
ჯვად დაავლო ნისკარტი და მოკრძალებით თბილ ელეგში ჩამალა. და
ი ლამაზი ელეგი გაწითლდა, სულ გაწითლდა. კივის კიოტა: „კმარა!
მარა-მეთქი! ხალათი სულ დამეწვა!“ მაშინ მოვარდა ტოროლა, პატა-
ია, ყოჩაღი ძმობილი. ცეცხლი ზეცისკენ მიიძურწებოდა, ჰაერში
ეაიჭირა ალი ტოროლამ და მარდი, ცქვიტი და ზუსტი, როგორც ისა-
ი, მიწაზე რომ დაეშვა, სწორედ ის არი: მზის ლამაზი მარცვალი
ვენს გაყინულ ორნატებში ჩამალა და მიწამაც სიხარული ვერ იქნა,
ერ დამალა.

გათავდა ჩემი ზღაპარი. ახლა გლოდი კაკანებს. ქალაქიდან გავდი-
ართ. აღმართში მხრებზე ვისვამ. ცას ლეგა პირბადე აუკრავს. ფეხ-
ქვეშ თოვლი ხრაშუნობს, თეთრი საბანი წამოუსხამს წვრილ და სუსტ-
ანიან ხეებს. ქოხებიდან ლურჯი და ზანტი კვამლი სწორად მიიმარ-
ება ზეცისაკენ. ჩქამი არ ისმის, მხოლოდ ჩემი ვასაკა არღვევს მყუდ-
ოებას. ბორცვის წვერზე ავდივართ და აი, ჩვენს ქვეშ, ზარმაცი
ონისა და ცუღლუტი ბოვრონის ბაბთებშემორტყმული ჩემი კლამსი
ადაიშალა. თოვლით დაფარული, გათოშილი, მცივანა და აცახცახე-
ულიც კი მუდამ გულს მითბობს ჩემი ქალაქი...

წარმტაცი ათინათინებისა და გლუვი ბორცვების ქალაქო... ირ-
ვლივ, როგორც ბუდეში ჩაწნული ნამჯის ღეროები, დახნული ფერ-
დობების ფაქიზი ზოლები გაკრავს. ხუთი თუ ექვსი წყება ტყით და-
ურული მთები წაგრძელებული ზვირთებივით ზანტად ლივლივებენ;
ორიდან ლურჯად მოჩანან, გეგონებათ, ზღვა არისო, მაგრამ ამ
ღვას არაფერი აქვს საერთო იმ ვერაგ სტიქიასთან, რომელმაც იტა-
ელი ოდისევსი აბურთავა; არც მზაკვრობა და არც ქარიშხალი. ყვე-
ლაფერი მშვიდი და წყნარია, მხოლოდ აქა-იქ ოხვრა თუ აღმოხდება
ეკრული სუნთქვით დაბერილ რომელიმე ბორცვის მკერდს. ზვირთე-
ის ერთი წვეროდან მეორემდე ნავის ნაკვალევის მსგავსი სწორი
ზები ზლაზვნით მიიმართებიან. და აი შორს, ამ ტალღების ქოჩორზე
ეზლეის წმინდა მარიამ მაგდალინელის ტაძარს ანძები ცისკენ აუშ-
ერია. იქვე ახლოს, დაკლაკნილი იონის მოსახვევთან, ბასერვილის
ლდეები ტახისებრ ეშვებს აჩენენ. დალბა ტაფობში კი დაუდევარ
და მორთულ, სათოფურებიანი კოშკით დამშვენებულ ქალაქს მდი-
არეებისაკენ დაუხრია თავისი ბაღები, ქოხები, ძონძები, სამკაულები,
რძელი სხეულის ჭუჭყი და ჰარმონია.

ასე შევხარი ლოკოკინა ჩემს ნიჟარას. ხეობაში ჩემი ეკლესიის ზარების რეკვა გაისმის. ეს კოიალა ხმა ახკარა ნაკადულივით ეფიხება სუფთა და გაყინულ ჰაერს და მაშინ, როდესაც ამ მუსიკის ხმენით ვტკბები, მზის სხივი აპობს ზეცაში გაშლილ ყომრალ პირბადეს; და ამ დროს, ანაზდად, პატარა გლოდი ტაშს უკრავს, ყვირის:

— პაპა, პაპა! მისი ხმა მესმის! ტოროლაა, ტოროლა!

მის წკრიალა ხმაზე ბედნიერებისაგან ვიცინი, ვკოცნი, ვკოცნი და ვეუბნები:

— მეც მესმის, ჩიტუნიავ ჩემო სულისა, მეც მესმის, ტოროლავ გაზაფხულისა...

II

ალყა, ანუ მწყემსი, მგელი და ბატკანი

შამუს ბატკანი ყველა ბატკანს სჯობს,
სამი მოუშვი, მგელსაც წაახრჩობს.
შუა თებერვალი

მარანი მალე დამიცარიელდა. ჩვენი ჰერცოგის, ბატონიშვილ დე ნევერის მიერ ჩვენს დასაცავად გამოგზავნილმა მეომრებმა ოერი'ში უკანასკნელ კასრზე მიიტანეს. აბა, დროს ნუ დავკარგავთ, მათთან ერთად გადავკრათ. დავიქცევი? კეთილი და პატიოსანი, წინააღმდეგი როდი ვარ, მაგრამ მინდა მხიარულად დავიქცე; პირველი ხომ არ არის და, თუ უფალმა ინება, უკანასკნელიც არ იქნება...

კარგი ბიჭები არიან, მე და ჩემმა ღმერთმა! კარგი ბიჭები! წარმოიდგინეთ, ღვთიური სითხე მელევა-მეთქი, რომ ვუთხარი, ჩემზე უფრო ეწყინათ. ვიცი, ზოგიერთი მეზობელი ასეთ რამეზე სასოწარკვეთილებას მიეცემოდა; მე კი მეტი აღარ შემიძლია, თავი მობეზრებული მაქვს; ჩემს ცხოვრებაში თეატრში ხშირად ვყოფილვარ და ჯამბაზებს ყურადღებას არ ვაქცევ. ბევრი მინახავს ასეთი სიფათი ამ ქვეყანაზე ხეტიჯლისას: შვეიცარიელები, გერმანელები, გასკონელები,

ლოტარინგიელები, მეომარი ხვადაგები, ჯავშან-ჩაჩქანში ჩამსხდარნი, იარაღით ხელში, გაუმაძღარნი, დამშეული ნაგაზები, კეთილი კაცის ჭამით რომ ვერ ძღებიან. ნეტავი ოდესმე თუ ვინმე მიმხვდარა, ვისთვის ან რისთვის იბრძვიან ეს ვაჟბატონები? გუშინ მეფისათვის, დღეს კი ლიგისათვის. ხან ფარისევლები არიან და ხან ჰუგენოტები. საუკეთესო მათგანნი ჩამოსახრჩობ თოკადაც არა ღირან. აბა ერთი მითხარით, ჩვენ რა გვესაქმება, თუ რომელიმე ხელძღუდე ბარონი თაღლითობს სამეფო კარზე? მერე რარიგ უნდათ თავიანთ საქმეებში მამა-ღმერთიც ჩარიონ... ჯანაბა და დოზანა, ხალხნო და ჯამაათნო, შეეშვით უფალს, ხნიერი კაცია. თუ კანი გექავებათ, ერთმანეთი ატყავეთ, ღმერთს არაფერში სჭირდებით, რამდენადაც ვიცი, ცალხელა არ არის და თუ ესიამოვნება, თვითონვე მოიფხანს.

მაგრამ აი უბედურება; განუზრახავთ, მეც ღმერთს ვეღლაბუცო... პატივსა გცემ, უფალო! ბაქიობა რა საჭიროა და მწამს კი, რომ დღეში რამდენიმეჯერ გხვდები, თუ მართალია ჩვენი გალური ანდაზა: „ვინც თვრება, ღმერთს ხვდება". არა, უფალო, მე ფიქრადაც არ მომივა დავიჩემო, როგორც ამას ის მუზმუზელა ხალხი ამბობს, ღმერთს კარგად ვიცნობ, ჩემი დეიდაშვილია და თავის ნება-სურვილს ნიადაგ მამცნობს-მეთქი; ხომ არ გაწუხებ, უფალო, მოდი და, ნურც შენ შემაწუხებ. ორივეს თავსაყრელი საქმე გვაქვს, შენ შენს სამყაროში, მე კი — ჩემს პატარა სამთავროში. ზეციერო, თავისუფლება მიბოძე, არა? ბეც შენს ნებაზე მიმიშვიხარ, მაგრამ იმ ნაძირალებს განუზრახავთ, შენი საქმეები განვაგო, შენი სახელით ვილაპარაკო, ვთქვა, თუ როგორ შეგახრამუნებ და ვინც სხვანაირად შეგახრამუნებს, შენსა და ჩემს მტრად გამოვაცხადო! ჩემს მტრად? ღმერთმა დამიფაროს, როგორ გეკადრებათ. მე მტერი არა მყავს. ყველა ჩემი ეგობარია. ჩხუბობენ? კისერიც უტეხიათ. მე არ ჩაევრევი. „ქვა აგორდი, მე ამშორდი". მაგრამ იმ უნიფხოებს რომ არ უნდათ? თუ ერთის მტერი არა ვარ, მეორე ამეკიდება ზურგზე, თუ არც მეორესა ვმტრობ, — ორივე მეცემა ხოლმე. კეთილი, რაკი ორივემ ყოველთვის მე უნდა მბეგვოს, მოდი, ჩვენც ვბეგვოთ. ასე სჯობია. ჯერ გოდემლი ვიყოთ, მერე კი — ურო.

ნეტავ ვინ მეტყვის, რად გაჩნდა ამქვეყნად ყველა ეს ხვადაგი, ძარცვის თავადი, ფეოდალი, პოლიტიკოსი, ბატონიშვილი, ამდენი ცხოველი, საფრანგეთის სისხლისმწოველი. მარად ქვეყნის დიდებაზე

გალობენ და მის ძარცვას კი არ თაკილობენ; ჩვენი ღლეტით ოომ ვერ იჯერეს გული, სხვისი ბეღლის შესანსვლას ლამობენ. ემუქრებიან გერმანიას, იტალიის დაპყრობა სურთ, ცხვირს ყოფენ სულთანის ჰარამხანაში, დედამიწის ნახევარი უნდათ ხელთ იგდონ და კომბოსტო რომ კომბოსტოა, ისიც ვერ მოუყვანიათ. აბა, აბა, მშვიდად, კოლა, ნუ ბრაზობ-მეთქი; ყველაფერი, რაც არის, რიგზეა... სანამ არ გავაუმჯობესებთ (როგორც კი შესაძლებლობა მოგვეცემა). წყალწაღებული ცხოველიც გამოსადეგია. გამიგონია, ვითომც ერთხელ მამა-ღმერთს (უფალო, რა ხათაბალაა, დღეს სულ შენზე ვლაპარაკობ) წმინდა პეტრესთან ერთად ბეიანის გარეუბანში სეირნობისას ერთი კარის ზღურბლზე მოწყენილი ქალი დაენახოს. იმდენად დაღონებული ყოფილა ქალი, რომ უფალს შებრალებია, ჯიბის ღილი შეუხსნია, ასიოდე ტილი ამოუღია, ქალისთვის გადაუყრია და უთქვამს: „გამომართვი, შვილო, და გაერთე“. ქალი მყისვე გამოცოცხლებულა, დაუწყია ნადირობა და როგორც კი დაიჭერდა ტილს, კისკისებდა თურმე. ჩვენი ორფეხა ტილებიც უთუოდ ჩვენს გასართობად ბოძებული ციური წყალობაა. ბაშ, ვიმხიარულოთ! ტაში! ტაში! ტილები თურმე ჯანმრთელობის ნიშანია (ტილები ჩვენი ბატონებია). თუკი ასეა, მაშ, გავიხაროთ, ჩვენზე ჯანსაღი კაცი არ ყოფილა. ერთ რამეს გეტყვით (ჩვენში კი დარჩეს): „მოთმინება იქონიეთ და... ბოლო ჩვენია. სუსხსა და ყინვას, ბანაკებისა და სამეფო კარის ნაძირალებს დიდი დღე არა აქვთ... წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო; დარჩება მადლიანი მიწა და დავრჩებით ჩვენც მის დასამაკებლად. ზარალს ერთი ნაბარტყით ავანაზღაურებთ... მანამ კი კასრი სულ გამოვცალოთ. მომავალი რთველისათვის ჭურჭელი გვჭირდება“.

* * *

ჩემი ქალიშვილი მარტინა მეუბნება:

— ბაქია ხარ. ვინმემ რომ გისმინოს, იფიქრებს, ეს კაცი მხოლოდ ყბებით ბუ'შაობს, დოყლაპიასავით დაეხეტება, ბუზებს ითვლის, სარეკელასავით ყბედობს, უსმელობისაგან ამთქნარებს, ქეიფისათვის ცხოვრობს და მზად არის, რონა და გარონა შესვასო. ნამდვილად კი უქმად ერთი დღეც ვერ გაჩერდები. ძალიან გინდა იფიქრონ შენზე,

რომ ქარიფანტია ვინმე ხარ, ჩიტირეკია, ქარაფშუტა, ბედოვლათი, უწესრიგო, რომელმაც არც კი იცის, რა აქვს ქისაში, ანდა, რა დაუ-ხარჯავს; ავად გახდებოდი, შენი სამუშაო დღე საათივით აწყობილი რომ არა გქონდეს. უკანასკნელ გროშამდე იცი, რა დაგიხარჯავს აღ-დგომიდან დღემდე და შენი გამბრიყვებელი არავის უნახავს... უცოდ-ველი გიჟუნია! ერთი ამ ლამაზ ბატკანს დამიხედეთ!.. შამუს ბატკანი ყველა ბატკანს სჯობს, სამი მიუშვი, მგელსაც წაახრჩობს.

ვიცინი, არ ვედავები ენამახვილ ქალბატონს. მართალია გოგო, მხოლოდ იმაში ცდება, რომ ამბობს ამას, მაგრამ ქალს მარტო იმის დამალვა შეუძლია, რაც არ იცის. მიცნობს მარტინა, მიცნობს იმი-ტომ, რომ ჩემი ნაშიერია; აბა, კოლა, ამაში მაინც გამოტყდი, ბიჭო, რომ რამდენიც არ უნდა იგიჟმაჟო, არა და არა, ვერ გახდები გიჟლა-რა. რა თქმა უნდა, როგორც ყველა ფრანგს, შენცა გაქვს შემონახუ-ლი სიანცე, რომელსაც როდესაც გსურს, გამოაჩენ, ანდა გადამალავ, თუ სამუშაოდ თავისუფალი ხელები და ნათელი გონება გჭირდება. როგორც ყველა ფრანგს, შენცა გაქვს მაგ გოგრაში ჩანერგილი გონი-ერებისა და წესრიგის ინსტინქტი, ამიტომაც შეგიძლია თავშესაქცევად იბაქიბუქო; ეს მხოლოდ იმათთვისაა საშიში, ვინც დოყლაპიებივით პირდაღებულნი გიყურებენ და სურთ მოგბაძონ. (ბრიყვები!) ლამაზი სიტყვები, როხროხა ლექსები, ზვიადი ზრახვები საამო რამ არის; აღვეგზხები, ცეცხლი მედება, მაგრამ მხოლოდ ფიჩხსა ვწვავ, ბეჯითად დაწყობილ შეშას კი საწყობში ვინახავ. მხიარულდება ჩემი ფანტაზია, წარმოდგენას უმართავს გონებას, რომელიც არხეინად მოკალათებუ-ლა და ტკბება სანახაობით. ყველაფერი მართობს და მახალისებს. სამ-ყარო თეატრად მაქვს, ჩემი სავარძლიდან ვუყურებ კომედიას, ტაშს ვუკრავ მატამორს, ანდა ფრანკატრიპას; ასპარეზისა და მეფური ზეი-მების ცქერით ვტკბები, შეძახილებით ვამხნევებ ხალხს, რომელიც ჩემი სიამოვნებისათვის ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ და ბოლოს, უფრო სასაცილო რომ გავხადო, ყასიდად მეც ვერევი, თითქოს ამ ოიხბაზობისა მჯეროდეს. მაგრამ ოჰე: ვინ მოგახსენათ, ზუსტად იმდენი მჯერა, რამდენიც გასართობადაა საჭირო. ასევე ვუსმენ ზღაპრებს ფე-რიებზე... და განა მარტო ფერიებზე! აი, ცის კამარის ყველაზე მაღალ და ნათელ სფეროში ერთი მსუქანი ვაჟბატონი ცხოვრობს... ჩვენ მას დიდ პატივსა ვცემთ: როდესაც ის გალობით, ჯვრითა და ბაირაღით ხელში ჩვენს ქუჩებში გაივლის, კედლებს თეთრი ზეწრებით ვმოსავთ.

ჩვენს შორის დარჩეს და... ენა ჩაიგდე, შე სულძაღლო ლაზღანდარავ, შენა. კოცონის სუნი მცემს... უფალო, არაფერი მითქვამს. ბოდიში. ქუდს ვიხდი შენს წინაშე.

თებერვლის ბოლო

ვირმა ველი შოასუფთავა და იფიქრა, ახლა რა საჭიროა ამ მინდვრის დარაჯობაო და მეზობელი ველებისაკენ გაემართა საბალახოდ (სადარაჯოდ-ძეთქი, უნდა ძეთქვა). დილით აიყარა ბატონ დე ნევერის გარნიზონი. ბიჭები ისე იყვნენ კურატებივით ჩასუქებულნი, რომ მათი ნახვა გეამებოდათ. ნამდვილად მქონდა უფლება მეამაყა ჩვენი სამზარეულოთი. ერთმანეთს გულთბილად დავემშვიდობეთ. თავაზიანად, ალერსიანად გვისურვეს პურის უხვი მოსავალი, გვისურვეს, ვენახი არ დაგვსეტყვოდა.

— ძია, ყოჩაღად იმუშავეთ, — მითხრა ჩემმა სტუმარმა ფიაკრ ბოლაკრმა (ძიას მეძახის და მე ეს უდავოდ დავიმსახურე. ხომ გაგიგონიათ: იმას ვეძახი ბიძაჩემს, ვინც რომ გემრიელ პურს მაჭმევს), — ჯაფას ნუ დაიზარებ, ვაზის გასხვლა არ დაგავიწყდეს, წმინდა მარტენის დღეობაზე დასალევად გეახლებითო...

კარგი ბიჭებია, მე და ჩემმა ღმერთმა; ყოველთვის მზად არიან სუფრას შოუსხდნენ და ხელადასთან მოჭიდავე კაცს შეეშველონ.

მათი წასვლის შემდეგ თავს შეღავათიანად ვგრძნობთ. ფრთხილად აღებენ სამალავის კარს მეზობლები. ასე გასინჯეთ, იმანაც კი, ვისაც ბოლო დღეებში ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა და შიმშილისაგან ისე კვნესოდა, თითქოს მუცელში მგელი უზისო, თავის ბეღელში ჩალის ქვეშ ან მარნის სამალავში ნადირის დასაპურებელი აღმოაჩინა. არ დარჩენილა არც ერთი კონკიაჟღარუნა, ვისაც კვნესა-წუწუნის მიუხედავად ერთი კასრი კარგი ღვინო მაინც არ შემოენახა. წარმოიდგინეთ, მეც კი (ღმერთმანი, ვერ გამიგია, როგორ მომივიდა ასეთი რამ), ჩემი დისწული ფიაკრ ბოლაკრი გავისტუმრე თუ არა (იუდეის გარეუბნამდე მივაცილე), თავში შემოვირტყი: უცბად შაბლის ერთი პატარა, ჩამრგვალებული კასრი მომაგონდა; ნაკელში ეგდო, მივიწყებული, თბილად რომ ყოფილიყო, იქ იმიტომ შევინახე, მეტად შევწუხდი, ვაი, როგორ შევწუხდი; მაგრამ მახლას, რაც მოხდა, მოხდა; რაღას გააწყობ, უნდა შეურიგდე... მეც შევურიგდი. ბოლაკრ, ჩემო

დისწულო! აფსუს, ბოლაკრ, რომ იცოდე, რა დაკარგე, რა ნექტარი, რა ბუკეტი!.. არა, არაფერს დაკარგავ, შვილოსა, შენს სადღეგრძელოს მაინც დავლევ.

სახლიდან სახლში გადავდივართ. ვმეზობლობთ, შემთხვევით სარდაფში ნაპოვნ ხორაგს ვათვალიერებთ, ერთმანეთს ვკოცნით. ძოგვებივით ვეუტავთ თვალებს, ვლაპარაკობთ ზარალზე და ენებაზე (ქალებისთვის მიყენებულ წყენაზე); კაცს ხომ მეზობლის ზიანი გართობს, შენსას გავიწყებს. გვაინტერესებს ვენსენ პლუვიოს მეუღლის ჯანმრთელობა. ქალაქში ჯარის ყოველი ბანაკობის შემდეგ, საოცარი შემთხვევითობით, გალთა ქვეყნის ამ მხნე ასულს ფეხი უმძიმდება და მუცელი უსივდება. ვულოცავთ ბედნიერ მამას, აღტაცებაში მოვდივართ მისი თირკმლების ნაყოფიერებით ჟამსა საზოგადოებრივის ეანსაცდელისასა. ყოველგვარი ბოროტი ზრახვების გარეშე, მეგობრულად, ხუმრობით ღიპზე ვუთათუნებ ცუღლუტს და ვამბობ: „დიდებული სახლ-კარის პატრონო, ვენსენ ბატონო, თქვენი ოჯახი ერთადერთია, სადაც მუცელი მადლიერია, როდესაც სხვების ცარიელია". ყვავლა გულიანად იცინის, რა თქმა უნდა, მორიდებით, ესე იგი, ფართოდ ხახადაფჩენილი, როგორც აღვირაწყვეტილი ტუტრუცანა; მაგრამ მეზობელი პლუვიო ქებას თაკილობს და მეუბნება, უკეთესია შენს ცოლს მიხედოო. ვეუბნები: პლუვიო, ჩემი ცოლის ბედნიერ პატრონს შეუძლია არხეინად ეძინოს, საუნჯეს არავინ მოსტაცებს-მეთქი. იმდენად ბოროტია ხალხი, რომ ზრდილობისათვისაც კი არავინ მედავება.

* * *

აი, ყველიერის ბედნიერი დღეებიც. რაც უნდა გვიჭირდეს, მაინც ღირსეულად უნდა დავხვდეთ ყველიერს. ეს ხომ ჩვენი ქალაქის, ყოველი ჩვენთაგანის ღირსების საქმეა. აბა, რას იტყვიან კლამსიზე, ძეხვებით სახელგანთქმულ მხარეზე, ყველიერის ძეხვი რომ არ გვქონდეს... ისმის ტაფების შიშხინი, ქონის საამო სუნით იყღინთება ქუჩაში ჰაერი. ააგდეთ ფასალი! უფრო მაღლა, უფრო მაღლა ააგდეთ ჩეძი გლოდისთვის!..

ისმის დოლების დაფდაფი, სტვირის შემოძახილი, სიცილი, კივილი. ოუდეის მეუფენი მობრძანდებიან სტუმრად რომში. წინ მუსიკოსები და შუბოსნები მოუძღვებიან; ცხვირებით აპობენ ბრბოს. ხორთუ-

მისებრი, შუბისებრი, სანადირო ბუკისებრი, საყვირისებრი ცხვირებით. ზოგს ცხვირზე ეკლები აუსხამს, ზოგს ჩიტი წამოუსკუპებია. ეს ცულლუტები ჯგვლემენ დოყლაპიებს, გოგოებს კალთებქვეშ ხელებს უფათურებენ; ჭყვირიან ლამაზები. ანაზდად ყველა განზე დგება, გარბის. ურნალივით მოექანება ცხვირთა მეფე და ძველებური ქვემეხის მსგავს გორგოლებიან ზედადგარზე მოაგორებს თავის ცხვირს.

უკან მოსდევს დიდი მარხვის ეტლზე გაპაპაჯვარებული... თევზიყლაპიათა იმპერატორი. რამდენი გაფითრებული, გამწვანებული, გაძვალტყავებული, ანაფორაწამოსხმული, არახჩინის ქვეშ მოკანკალე ან თევზის თავით შემკული სიფათია. რამდენი თევზი! ერთს ქორჭილა ან ჭანარი უჭირავს ხელში, მეორე ლიფსიტებწამოცმულ ორკაპს ატრიალებს, მესამეს ქარიყლაპიას თავი წამოუცვამს. ქარიყლაპიას პირიდან ნაფოტა გამოდის; ნაფოტა თევზით სავსე მუცელს ხერხით იფატრავს, რათა იმშობიაროს. ვუყურებ და მათ შემყურეს მუცლის გვრემა მომდის... აი, ამათ კი პირი დაუღიათ და შიგ თითებს იჩრიან, ცდილობენ პირის გაგანიერებას, რომ კვერცხები გადაყლაპონ, (მოიტათ ღვინო!) სუნთქვა ეკვრით, ყელში კვერცხი აღარ გადასდით. აქეთ და იქით, მარჯვნივ და მარცხნივ, ეტლზე, ბუკნაჭოტების ღრანჭები, ბერები, ანაფორები, მეთევზეები წილკავით ბიჭბუჭებს იჭერენ; თიკნებივით ხტიან ანკესზე წამოცმული ცუღლუტები, პირი დაუღიათ და ჰაერში იჭერენ კანფეტებს და შაქარლამას, ხრამუნ, ხრამუნ, ხრამუნე, მოდი შეახრამუნე! მათ უკან კი მზარეულად გადაცმული ავი სული ცეკვავს, — ხელში ქვაბი და ჩამჩა უჭირავს და კიბის თვალიდან ამოყოფილ ჩაჩიან და დაღრანჯულ თავებს, ერთმანეთზე გადაბმულ ექვსიოდე ფეხშიშველ ცოდვილს პირში თხლეს ასხამს.

აი გამარჯვებულნიც, დღევანდელი დღის გმირები! ლორების ტახტზე დაშაშხულ ენათა თაღქვეშ მობრძანდება ცერცველების გვირგვინით თავშემკული დედოფალი, ყელი სოსისების კრიალოსნით შეუმკია, ფუნჩულა თითებით კეკლუცად ეალერსება და მარცვლავს ამ საუველიერო ყელსაბამს. დედოფალს შეიარაღებული მხლებლები მოჰყვებიან, თეთრი და შავი კუპატები, კლამსის ძეხვები. ისინი პოლკოვნიკ კუპატმაჭახელას გამარჯვებისკენ მიჰყავს: კრიალა მახათ-შამფურით შეიარაღებულთ ჩასუქებულთ მართლაც დიდებული იერი აქვთ. მიყვარან ეს დიდებულნიც, მათი მუცელი ქვაბია, სხეული — შებრაწული პაშტეტი; მოგვ მეფეთა მსგავსად, ვის ღორის თავი, ვის

შავი ყურძნის დოქი ღვინო და ვის კიდევ დიუონის მდოგვი მოაქვს. თითბერის საკრავების, წინწილების, ქაფქირებისა და ტაშტების დაფდაფზე, საერთო ხმაურში ვირზე ამხედრებული მობრძანდება რქოსანთა მეფე, დოსტი პლუვიო ვენსენი! ძაღლის ბედი აქვს, ის აურჩევიათ, ის. ვირზე პირუკუ შემჯდარი, დოლბანდით თავწაკრული, თასით ხელში ზვიადად უსმენს ჭოკითა და ჭოგრით შეიარაღებულ მეტივეებს, თავის მხლებლებსა და რქიან ეშმაკებს. მხლებლები კრიალა ხმით, კაოგ და გულღია ფრანგულ ენაზე დაუმალავად ღრიალებენ ვენსენ ბატონის ამბავსა და დიდებას; ჩვენი ვენსენი, ვითარცა ბრძენი, უკადრისობას როდი ამჟღავნებს. გულცივად სვამს, ყელს ისველებს, მაგრამ, როდესაც მსგავსი ბედნიერებით ცნობილი სახლის წინ გაივლის, თასს მაღლა სწევს და ყვირის: „ჰეი, კოლეგა, შენი სადღეგრძელო იყოს“.

კორტეჟის ბოლოში მობრძანდება გაზაფხული: კეკლუცი ასული, ლამაზი, ვარდისფერი, მალხაზი, თხილნარში მოკრეფილ მწვანე კოკობებით ჯვარედინად გარშემორტყმული. ხუჭუჭა, ქერა თმებში ღიაყვითელი ფერისულები ჩაუწნავს, მკერდს ორი საამო მრგვალი კოკორი უმშვენებს, ქამარზე სავსე და წკარუნა ქისა ჰკიდია, ხელში კალათა უჭირავს. ქერა წარბები აუწევია, თვალები ფართოდ გაუხელია, დახასავით მჭრელკიჭებიანი პირი დაუღია და „მერცხალი დაგვიბრუნდებაო“, მღერის და მღერის. ორ უღელ თეთრხარებშებმულ ურიკაზე გვერდს მზეთუნახავები უმშვენებენ, — მორთული, ფუნჩულა, ტახაყრილი, ჩამრგვალებული, ზომაზე შებრაწული ხათუნების ჯარი. ისეთი ლამაზები არიან, ერთი სიტყვით, ისეთი, რომ... თითებს ჩაატან... მათ გვერდით კი გარდამავალი ასაკის, აქა-იქ ამოსული სუსტი ხეების მსგავსი პატარა გოგონები ჩაცუცქულან. ყოველ მათგანს რაღაც აკლია ან წინ, ან უკან, მიუხედავად ამისა, მგელი ასეთ საუზმეზე უარს არ იტყოდა. ამ უშნო, მაგრამ მაინც ლამაზ გოგონებს გალიით გადამფრენი ჩიტები მოჰყავთ, ან კიდევ გაზაფხულის დედოფლის კალათიდან დოყლაპიებს უყრიან ფუნთუშებს, სიუპრიზებს, ქაღალდის ფუთებს, რომელშიაც პოულობენ ჩიხორებსა და ქუდებს, დაშაქრულ ნუშის გულს, დაწერილ ბედს, სატრფიალო ლექსს, ანდა, კიდევ უკეთესს, დაგრძელებულ რქებს.

ბაზრის მახლობლად, კოშკის მისადგომთან, ქალწულნი ურიკიდან დიდ ძოედანზე ხტებიან, ნოკრებთან და გადამწერლებთან ცეკვავენ; ყველიერი, დიდი მარხვა და რქოსანთა მეფე კი ტრიუმფალურ მარშს

განაგრძობენ, ყოველ ოც ნაბიჯზე ჩერდებიან, რათა ამცნონ ხალხს და ჯამბათს ჭეშმარიტება, ან სასმისის ფსკერზე ეძიონ იგი...

ოაგვისხით ღვინო, დაგვალევინეთ,
ძმაკაცი ისე როგორ გავუშვათ,
მის ყელში ღვინო რომ არ ჩავუშვათ.

ბევრი სმა ენას აძძიმებს, გუნებას ასველებს. მეგობარ პლუვიოს თავისი ამალითურთ მორიგ გაჩერებაზე სამიკიტნოს აბრის ჩრდილში ვტოვებ. დიდებული და მშვენიერი დღეა. გალიაში გამოკეტილი რად უნდა დავრჩე? წავიდეთ, მინდვრის ჰაერი ვისუნთქოთ.

თავისი სოფლიდან ვირშებმული ურიკით წმინდა მარტენის ეკლესიის დეკანოზთან სანადიმოდ ჩამოსული ჩემი ძველი მეგობარი მოძღვარი შამაი მთხოვს, ცოტაზე გავაცილო. მიმყავს გლოდი და ჯაბახანა საზიდარში ვსხდებით. აცე, ვირო!.. მუტრუკი ისე პატარაა, ისე პატარა, რომ შამაის ვეუბნები, ჩემსა და გლოდს შორის საზიდარზე დავსვათ-მეთქი... ჩვენ წინ თეთრი გზა იშლება, ჩაჩანაჯი მზე თვლემს; თავის კერიასთან თვითონ ძლივს თბება, ჩვენ რას გაგვათბობს. იძინებს ფიქრსმიცემული მუტრუკიც და ჩერდება. აღშფოთებული მოძღვარი თავისი ზარისებური ხმით შეუძახებს:

— მადელონ!

ვირი კრთება. წვრილ ფეხებს აბაკუნებს, ორ ნაკვალევს შორის დაბორიალობს, კვლავ ჩერდება. ფიქრს ეძლევა. ჩვენს ლანძღვა-გინებას აინუნშიაც არ აგდებს.

— ჰა, შე წყეულო შენა, ზურგზე ჯვარი რომ არ გქონდეს გამოსახული, როგორ გადაგამტვრევდი ამ ხელკეტს ხერხემალზე, — იღრინება შამაი და მუტრუკს გავაზე ჯოხს უთათუნებს.

პირველ სახამროსთან, გზის მოსახვევში ვისვენებთ. გზა ჩადის თეთრ სოფელ არმში, თავმომწონედ რომ იცქირება ანკარა წყალში. იქვე, მახლობლად, მინდვრის შუაგულში, დიდი კაკლის ირგვლივ, რომელსაც შავი მკლავები და ამაყი, ტიტველი ტანი ცისკენ აუშვერია, ქალიშვილებს ფერხული ჩაუბამთ. წავიდეთ. ვიცეკვოთ... გოგონებს ყველიერის ფასალი მოუტანიათ ჭორიკანა კაჭკაჭისათვის.

— აბა, გლოდი, ბუდის კიდეზე თეთრ ელეგში მორთულ ყიჭალა მარგოს შეხედე, აი იქ, მაღლა, სულ მაღლა. ძირს იყურება, უნდა ყველაფერი დაინახოს; ცნობისმოყვარე სალახანა! მის მრგვალ თვალს

და ლაქლაქა ენას რომ არაფერი გამოეპაროს, სახლი მაღალი ხის კენწეროზე გაუშეხებია, არც კარი აქვს და არც ფანჯარა, აწვიმს და ათოვს. იყინება, სველდება, მერე რა! სამაგიეროდ ყველაფერს ხედავს. რატომღაც ცუდ ხასიათზეა. თითქოს გვეუბნება: „რა თავში ვიხალი მე თქვენს ძღვენს, უკანვე წაიღეთ. როგორ გგონიათ, თქვენი ფასალი რომ მსურდეს, ვერ მოვფრინდებოდი და ვერ წავიღებდი? ჭამო ის, რასაც გაძლევენ, აბა, რა გასახარია. მხოლოდ ის არის საამო, რაც ნაქურდ-ნაპარავია“.

— პაპა, მაშ, რად აძლევენ ლამაზი ბაბთებით მორთულ ფასალს, რად ულოცავენ დღესასწაულს მაგ ბაცაცა კანტალას.

— ეს იმიტომ, ჩემო პატარა, რომ სჯობს ბოროტთან მეგობრობა, ვიდრე მასთან დავა, მტრობა.

— ეჰ, კოლა, კოლა, კარგ რამეს ასწავლი ბავშვს, — ბუზღუნებს შამაი.

— მე განა ვეუბნები, კარგია-მეთქი, მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ყველა აკეთებს; აბა, გაბედე და თქვი, როდესაც საქმე ერთ-ერთ შენს ღვთისმოსავ დედაკაცთან გაქვს, რომელიც ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის, არ აჩერებს პირს, ყველგან ყოფს ცხვირს, ქიშელა ავყიობით აქვს სავსე, თქვი, რომ ჩავაჩუმო, პირში ფასალს არა ვჩრიო!

— ეჰ, უფალო! ეგ რომ კმაროდეს! — წამოიძახა მოძღვარმა.

— მე კი მარგოს ცილი დავწამე, ის ასეთ ქალს სჯობია, მის ენას ზოგჯერ სარგებელიც მოაქვს.

— მაინც როდის, პაპა?

— როდესაც მგელი მოდის, ყვირის ხოლმე...

სწორედ ამ სიტყვებზე კაჭკაჭი იწყებს ყვირილს, ლანძღვას, წყევლას; ფრთებს შლის, ნავარდობს, გინებით ამკობს, არ ვიცი, ვის, რას; უთუოდ ვიღაცას, ვინც არმის ველზეა. ტყისპირეთიდან მკვახე და გაბრაზებული ტონით ბანს აძლევენ მისი ფრთოსანი ძმაკაცები, მხიარული გუგული შარლო და ყვავი კოლა; ხალხი იცინის, ყვირის: „მგელი, მგელი“. არავის სჯერა, მაგრამ მაინც სანახავად მიდიან (ყურით გაგონილს თვალით ნანახი სჯობიაო...) და რას ხედავენ? ღმერთო ჩემო! ამხედრებული ბანდა ჩორთით ამოდის ფერდობზე. ვიცანი, ეს ვეზლეის ჯარია, გაიგეს ავაზაკებმა, რომ ქალაქი დაუცავია და გადაწყვიტეს წაასწრონ კაჭკაჭს (ამას კი არა) ბუდეში.

მერწმუნეთ, რომ მათ ცქერაში დროს არ ვკარგავთ. ყველა ყვირის, ქყივის: „თავს უშველეთ!“ ატყდა ერთი ჯახა-ჯუხი, აურზაური. მიიძურწებიან გზაზე, მინდვრებზე, ვინ ქუდმოგლეჯილი გარბის, ვინ კიდევ უკანალზე მიგორავს. ჩვენ სამნი ურიკაზე ვსხდებით, ისარივით მიფრიხავს მადელონი, თითქოს ესმოდეს რა ხდება ირგვლივ. მოძღვარ შამაის დაავიწყდა ჯვარგამოსახული მუტრუკის პატივისცემა და უბოწყალოდ უმათრახებს ზურგს. დასაკლავი გოჭებივით მყვირალა ხალხის ტალღას მივაპობთ, და ბოლოს, როგორც იქნა, მტვრითა და დიდებით მოსილნი შევდივართ კლასმსიში, ფეხდაფეხ მოგვდევენ დანარჩენებიც, მივქრივართ, ურიკა ხტის, მადელონი ფეხს მიწას არ აკარებს, მოძღვარი მუტრუკს ამათრახებს, ყვირილით ბეიანის გარეუბანს ვკრეთ:

— მტერი მოდის, მტერი!

ჩვენს დანახვაზე ხალხი იცინოდა, მაგრამ მალე მათაც ალღო აართვეს და მყისვე, თითქოს ჭიანჭველების ბუდეში ჯოხი შეყვესო, იწყეს ფუსფუსი, შერბენ-გამორჩენა. იარაღს ისხამენ მამაკაცები, ფუთებს კრავენ დედაკაცები; სახელდახელოდ შეკრულ ფუთებს, გუდაკალათებს, ურიკებზე აწყობენ; ქოხმახებს ტოვებენ გარეუბნელები, ქალაქის გალავანს აფარებენ თავს, ისევე, როგორც იყვხენ, საყველიეროდ გამოწყობილნი, ნიღბებით, რქებით, ბრჭყალებით, ღიპებით; ვინ გარგანტუად და ვინ კიდევ ბელზებელად გადაცმულმა, ბარჯებით და ხოჭებით შეიარაღებულმა მეტივეებმა ფიცხლად სიმაგრეებისაკენ გასწიეს. ასე რომ, როდესაც ვეზლეის ჯარი ჩვენს კედლებს მოადგა, ხიდი აწეული დახვდა და თხრილის იქით დარჩა ის, ვისაც გადასარჩენი არაფერი ჰქონდა, რამდენიმე ბეჩარა და მათთან ერთად ამალის მიერ მივიწყებული, თავის მუტრუკზე მიძინებული, კასრივით მრგვალი, ვით ნოე მთვრალი, რქოსანთა მბრძანებელი, მეფე პლუვიო.

აი, სწორედ ასეთ გარემოცვაში დაინახავ კაცი, რომ სხვა ხალხის მტრად ყოლას ისევ ფრანგის მტრობა სჯობია. სხვები რომ ყოფილიყვნენ, მაგალითად, რეგვენი გერმანელები, შვეიცარიელები ან კიდევ ინგლისელები, ვისაც ჭკუა-გონება თავში კი არა, ფაშვში აქვთ და რასაც ეტყვი ახალწელს, იფიქრებს, იფიქრებს და მადლობა უთხარი, თუ გაიგო დეკემბერს, რქოსანთა მეფის დანახვაზე იფიქრებდნენ, დაგვცინიანო და მშვიდობით, ჩვენო საყვარელო პლუვიო. მაგრამ ჩვენ, ფრანგებს, უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთისა. რომელი კუთხი-

დანაც არ უხდა ვიყოთ, ლორენიდან თუ ტუოეხიდან, ‘ბაძკახიდან ‘თუ ბრეტანიდან, ბოსის ბატები ვიქნებით, ბონის ვირები თუ ვეზლეის კურდღლები, თუნდაც ერთმანეთს ვეჰამდეთ, სისხლსაც რომ ვსვამ-დეთ, ლაზათიანი ხუმრობა ფრანგ ვაჟკაცებს ყოველთვის გვეამება. ლოთი სილენივით გამსკდარი რომ დაინახეს რქოსანთა მეფე ვენსენი, მტრის ბანაკმა მორთო ჰიხვინი, ხვიხვინი, ხარხარი, სიცილი, იცინოდ-ნენ პირით და ცხვირით, გულით და მუცლით, ყელით და ხელით. წმინდა რიგობერს გეფიცებით, ჩვენც გადმოგვედო მათი სიცილი და ვხარხარებდით ჩვენს კედლებს უკან, სამშვიდობოში. მერე კი თხრი-ლის ორივე მხარეს აიაქსისა და ჰექტორ ტროელის მსგავსად ჩვენე-ბური ძმაბიჭური ლანძღვა-გინებით გავუმასპინძლდით ერთმანეთა, მაგრამ ჩვენი გინება უფრო ლაზათიანი და ჯიგრიანი იყო. მინდა ჩავ-წერო, მაგრამ დრო არა მაქვს, თუმცა, (მოთმინება იქონიეთ!) ჩავწერ კოებულ‘ში, რომელსაც აი, თხუთმეტი წელი იქნება, რაც ვადგენ. როცა ვიგონებ პილპილით შეკაზმულ-შენელებულ ურიდო ხუმრობას, ‘ასხრობას, ოხუნჯობას, რაც ამ სევდის ველზე ჩემი ხეტიალის ჟამს უთქვამთ, ‘სმენია ან წამიკითხავს (დასანანი იქნებოდა, რომ დაიკარ-გოს), სიცილით ვსკდები. ფუი ეშმაკს! აი, წერისას ლაქა დავაავი.

• • •

კარგა ხნის ღრენისა და ყვირილის შემდეგ რაღაც უნდა გვეღონა (საქმიანობა ლაპარაკის შემდეგ ადამიანს ამშვიდებს), თუმცა, მართა-ლი გითხრათ, რაიმეს გაკეთების ხალისი არც ჩვენა გვქონდა და არც იმათ. მათი საქმე წაგებული იყო, ჩვენ სამშვიდობოს ვიყავით; არა-ფრის შიში არ გვქონდა, მათაც არ სურდათ მოეტანათ ჩვენს კედლებ-ზე იერიში, ასეთი რამ ხომ სახიფათოა, შეიძლება კაცმა თავიც წა-აგო, მაგრამ გულხელდაკრეფილებიც ხომ ვერ ვისხდებოდით, რამე მაინც უნდა გვეღონა. დავწვით თოფის წამალი, დავცალეთ მაჭაე-ლები. აჰა! მიირთვით, გაამოთ, თქვენი სადღეგრძელო იყოს! ეს იყო და ეს. ბეღურების მეტი არავინ დაზარალებულა. მიწაყრილის ქვეშ კედლებზე მიყრდნობილნი მტრის ფინდიხებს მშვიდად ველოდით, შემდეგ ჩვენც ვცლიდით მაჭარებს, ისე, დაუმიზნებლად (რა საჭიროა მეტისმეტი თავის გამოდება). ტყვეების ღრიალს რომ გავიგებდით,

მხოლოდ მაშინ გავბედავდით გახედვას. გალავნისაკენ პირუკუ გაძ-წკრივებულ თორმეტიოდე ბეიანელ კაცსა და ქალს მტერი მათრახით უკრელებდა უკანალს. საახალწლო გოქებივით ჭყვიროდნენ საბრა-ლონი, მაგრამ ეს დიდი უბედურება როდი იყო. ჯავრი რომ გვეყარა, ჩვენც კედლებს მშვიდად ამოფარებულებმა გალავნის გასწვრივ მაღ-ლა აშვერილი შუბებითა და შუბებზე წამოცმული ცერცველათი და ლორით, ძეხვითა და ღორით პროცესია მოვაწყვეთ. ამის დანახვაზე მტერმა შურისა და ბრაზისაგან ყვირილი მორთო. მათი ყვირილი სმე-ნას გვიტკბობდა, გულს საამოდ ეფინებოდა (კარგი ოინი თუ წამო-იწყე, ბოლომდე უნდა მიიყვანო ხოლმე). შებინდებისას, ვარსკვლავე-ბით მოქედილი ცის ქვეშ, ფერდობებზე, კედლებს ამოფარებულებმა გავშალეთ სუფრა, საამო, ტურფა, ხორაგითა და ღვინის დოქებით დატვირთული; ვიმღერეთ და ვიქეიფეთ, ვინადიმეთ, ვადღეგრძელეთ ბედნიერი ყველიერი. გაცოფებული მომხდურნი კი ჭიპზე სკდებოდ-ნენ. დღე ასე გავიდა, დიდი ზარალი არც ჩვენ მოგვსვლია და არც იმათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაბერილი გენო დე პუსიოს სიკვდილს, რომელიც კარგად გამძღარი, ღვინით გამსკდარი, სასმი-სით ხელში მტრის გასახელებლად გალავანზე აბრძანდა, მაგრამ საბ-რალოს დამბაჩის ტყვიამ აუზილა ტვინი და ჭიქა. სამაგიეროდ ჩვენც დავასახიჩრეთ ერთი თუ ორი ვეზლეელი ღორი, მაგრამ ამან არ დაგ-ვიდუმა ენა, არ დააცხრო ლხენა. აბა, რა ქეიფია ის ქეიფი და ლხენა, თუ არ დარჩება დამსხვრეული ჭურჭლის თუნდაც პატარა ფენა.

ჩვენი მამაცი მოძღვარი შამაი ქალაქიდან გასასვლელად ღამეს ელოდა. შინ უნდოდა დაბრუნება. რამდენი არ ველაპარაკეთ:

— მეგობარო, სახიფათო საქმე განგიზრახავს. სჯობს დაიცადო, შენს მრევლს უფალი მოუვლის.

დაიჟინა:

— ჩემი ადგილი ჩემს მრევლთანაა. უფლის ხელი ვარ. იქ მელის ყველა, უჩემოდ ღმერთი არის ცალხელა. მე მისი მეორე ხელი ვარ, მერწმუნეთ ამაში.

— მწამს, მწამს, — ვუთხარი მე, — შენ ეს მაშინ დაამტკიცე, რო-დესაც შენს სამრეკლოს ჰუგენოტები შემოერტყნენ და შენც ერთი დიდი სიპი ქვით მათ კაპიტანს, პაპიფაკს, სული გააცხებინე.

— მაშ! მაშ! მეტად განცვიფრდა' ურწმუნო და, შენ წარმოიდგინე, მეც. კეთილი კაცი ვარ და სისხლის დანახვა არ მიყვარს. საზიზღრო-

ბაა, მაგრამ ეშმაკმა იცის, ტანში რა გიზის, როდესაც გიჟებში ხარ! ამბავი ძველი, შენც ხდები მგელი.

— მართალია, — ვუთხარი მე, — საკმარისია ერთად თავი მოვიყაროთ, რომ გონება დავკარგოთ. ანგარიში ასეთია: ასი ბრძენი — ერთი ხელი, ასი ცხვარი — ერთი მგელი... მაგრამ, მღვდელო, ეოთი ეს ამიხსენი: როგორ ათანხმებენ ამ ორ მორალს: პირველს, ადამიანისას, ვინც ეულად, პირისპირ ცხოვრობს თავის სინდისთან, თხოულობს შშვიდობას სხვისთვის და თავისთვის და მეორეს, ადამიანთა ჯოგისა და სახელმწიფოთა მორალს, ომსა და ავაზაკობას თავდაღებად რომ თვლის? რომელია ცთური და ღვთიური?

— ღმერთო ჩემო! რა საკითხავია? ორივე, კოლა. ორივე, ორივე ცთურია, ორივე ღვთიურია.

— მაშ, იცი, რა გითხრა? როგორც ჩანს, შენმა ღმერთმა თვითონაც არ იცის, რა უნდა. უფრო სწორად, კარგად იცის, მაგრამ არაფერი შეუძლია. თუ საქმე ეულ ადამიანთან აქვს, ადვილია: დიდი ჯაფა არ სჭირდება მის დასამორჩილებლად. მაგრამ როდესაც ადამიანები ჯოგად არიან, უფალი ველარ არის მხნე და მამაცი. აბა, რას გააწყობს ერთი ყველას წინააღმდეგ? მაშინ ადამიანი მარჩენალი მიწის ანაბარად რჩება, დედამიწისა, რომელიც შთაბერავს მასში თავის მხეცურ ინსტინქტს... ჩვენებური, ძველებური ზღაპრები მოიგონე, ზოგჯერ ადამიანები მგლები რომ ხდებიან, შემდეგ კი ისევ თავიანთ ტყავში ძვრებიან. ჩვენებურმა ზღაპარმა უფრო მეტი იცის, ვიდრე შენმა ლოცვანმა, მოძღვარო. სახელმწიფოში ყოველი ადამიანი მგლად იქცევა. შენი სახელმწიფოები, მეფეები და მათი მინისტრები, რამდენიც არ უნდა მოირთონ მწყემსებად და რამდენიც არ უნდა იძახონ ცბიერად, დიდი მწყემსის, შენი კეთილი მწყემსის, ბიძაშვილები ვართო, სინამდვილეში მგლები და ბუღები, ღრანჭები და მუცლები არიან, რომლებსაც ვერაფერი ამოავსებს. და მერე რატომ? იმიტომ, რომ გაძღეს მიწის დაუცხრომელი მადა.

— ბოდავ, წარმართო, — ყვირის შამაი. — მგლებიცა და სხვა დანარჩენიც ღვთის წყალობაა. ყველაფერი ჩვენი კეთილდღეობისათვის გააჩინა ღმერთმა. განა არ იცი, რომ თვით იესომ შექმნა მგელი, ოათა მისი ნეტარი დედის, უბიწო მარიამის ბოსტნის კომბოსტო თხეების, ბატკნებისა და ციკნებისაგან დაეცვა? იესო მართალია. მუხლი მოვიდრიკოთ მის წინაშე. ჩვენ მუდამ ვუჩივით ძლიერებს ამა ქვეყ-

ნისა, მაგრამ იცოდე, სუსტნი რომ გამეფდნენ, უარესი იქნება. მაშასადამე: ყველაფერი საჭიროა. საჭიროა მგლებიც და ცხვრებიც. ცხვრებს სადარაჯოდ ძგლები სჭირდებათ, მგლებს კიდევ ცხვრები: ხომ უნდა ჭამონ... აბა, ჩემო კოლა, მოვრჩეთ ამაზე, მე ჩემი კომბოსტოს სადარაჯოდ მივდივარ.

კომბალს ეცა, ანაფორა აიკეცა, მეამბორა, მომაბარა მადელონა და უმთვარო ღამეში გზას გაუდგა

ლაღი დღე მწარე დღეებმა შეცვალეს. პირველ საღამოს ღორმუცლობამ, ბაქიობამ, სიტუტუცემ, ხეთქვამ, ცეცხლვამ ჩვენი სანოვაგის მარაგი ძალზე შეამცირა. ქამრის მოჭერა გახდა საჭირო. ჩვენც მოვუჭირეთ: მაგრამ მაინც ვყოყოჩობდით, იხტიბარს არ ვიტეხდით. ძეხვი შემოგველია. დავამზადეთ კუპრში ამოვლებული კანაფით და ქატოთი გატენილი ნაწლავები და ბარჯებზე წამოცმული მტრის ცხვირწინ დავატრიალეთ: მაგრამ ყურუმსაღი ყალთაბანდობას მიგვიხვდა. ერთმა ტყვიამ ასეთი ძეხვი შუაზე გაფატრა და ვინ იცინა, თუ იცით? მტერმა, ჩვენ არა. და ბოლოს, ჩვენთვის რომ საბოლოოდ აეგოთ წესი, ავაზაკებმა შეამჩნიეს თუ არა, სიმაგრიდან ანკესით თევზს ვიჭერდით, მდინარეში აღმა და დაღმა ბადეები გადაისროლეს. თევზაობა შეწყდა. ბევრს ემუდარა ჩვენი დეკანოზი, ბევრი არწმუნა წარმართნი, მარხვა დაგვანებეთო, მაგრამ ამაოდ. რა გვექნა? სამარხვოს არ გვაძლევდნენ, ჩვენს საკუთარ ქონს მივუბრუნდით.

მართალია, შეგვეძლო ბატონიშვილ ნევერისათვის გვეთხოვა დახმარება, მაგრამ, რაღა დაგიმალოთ და გამოგიტყდებით, სულაც არ გვეპიტნავებოდა გაგვეღო კარი და შეგვეკედლებინა მისი ლაშქარი, სჯობს მტერი გყავდეს კარში, ვიდრე აბეზარი მოყვარე სახლში. ასე რომ, სანამ შეგვეძლო თავის დაცვა, ჩუმად ვიყავით. მტერიც მოკრძალებით დუმდა, საშველად არავის უხმობდა. არ გვინდოდა შუაკაცი, მორიგება ორში სჯობდა. მოლაპარაკება დინჯად დავიწყეთ. აბა რა გვეჩქარებოდა. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა, ვწვებოდით ადრე, ვდგებოდით გვიან, ვთამაშობდით კოჭს, ვამთქნარებდით უფრო ძოწყენილობისაგან, ვიდრე შიმშილისაგან და იმდენს ვთვლემდით, რომ მარხვის მიუხედავად, გავსუქდით.

ვცდილობდით ნაკლებ გვემოძრავა, მაგრამ ბავშვებს ვინ გააჩერებს. არამზადები დარბოდნენ და ხვიხვინებდნენ, იცინოდნენ, ჭიხვი-

ნებდნენ: აცოცდებოდნენ კედლებზე, დაწანწალებდნენ, ენას უყოფდნენ და ქვების სეტყვას უშენდნენ მტერს. ცუღლუტებს ანწლის მაჰახელების მთელი არტილერია ჰქონდათ: კანაფიანი შურდულები, გაპობილი ჯოხები, და... აჰა, მიირთვი, დაიჭი, არ დაგეკარგოს, გემრიელია? შეგარგოს! და პატარა მაიმუნებს კისკის-სიცილისაგან მუცელზე კანი აღარ რჩებოდათ. გაბრაზებული და ჩაქოლილი მტერი ბავშვების გაჟლეტით იმუქრებოდა. გაგვაფრთხილეს: პირველ ცუღლუტს, რომელიც კედელზე ცხვირს ამოყოფს, იქვე მივაწვენთო. დავპირდით, რომ ყურადღებას მივაქცევდით, მაგრამ რამდენი არ ვუყვირეთ, ყურები ავუწიეთ, მაინც ვერაფერს გავხდით და აი, უბედურებამაც გვიწია (რომ მაგონდება, ახლაც ელეთ-მელეთი მომდის). ერთ საღამოს კივილი შემოგვესმა: თურმე ნუ იტყვით, გლოდი, ეს ქვეშქვეშა, ჩუმჩუმელა, პატარა კრავი, ეშმაკის თავი, ფერდობიდან თხრილში გადაეშვა... ღმერთო ჩემო! მზად ვიყავი გამეწკეპლა... კედელზე ავვარდი და იქიდან გავყურებდი პატარას. მტრისთვის ადვილი იყო ჩვენი მიზანში ამოღება, მაგრამ ისიც ჩვენსავით უყურებდა ჩემს საუნჯეს, რომელიც (იკურთხოს წმინდა ღვთისმშობელი მარიამი!) პატარა ფისუნიასავით რბილად დაგორებულა და იჯდა აყვავებულ მდელოზე, უშიშრად აეწია თავი, ორივე მხრიდან მისკენ დახრილ თავებს უღიმოდა და ყვავილებს კრეფდა. მტრის მეთაურმა, ბატონიშვილმა დე რენიმ ბრძანა, ბავშვისათვის ხელი არ ეხლოთ და, უშველოს ღმერთმა, ტკბილეულით სავსე კოლოფი გადაუგდო გლოდის.

და აი, იმ დროს, როცა ჩვენ გლოდის ცქერით ვიყავით გართული, მარტინა (ეშმაკმა იცის ქალების თავი და ტანი) თავისი ბატკნის გადასარჩენად კისრისტეხით, სრიალით და კოტრიალით დაეშვა ფერდობზე. ჯუბა კისრამდე ასწეოდა და მტერს უჩვენებდა თავის აღმოსავლეთს და დასავლეთს, ცის კამარის ოთხ მხარეს, მოკაშკაშე ცაზე მოელვარე მნათობს, პატიოსანი კაცის გულს რომ ათბობს. უდაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ ამან როდი შეაკრთო. აიყვანა თავისი გლოდი, ჯერ ჩაიხუტა, აკოცა, მერე მიტყეპა, გაცოცხა.

მარტინას ორივე ნახევარსფეროთი აღტაცებული ერთი ახმახი, ურჩი მეომარი გადახტა თხრილში და სირბილით მისკენ გაექანა. მარტინა შედგა. სიმაგრიდან ცოცხის ტარი გადავუგდეთ: დაავლო ხელი და ძამაცურად მტერს შეუტია... თხლაშ, თხლუშ, ტყაა, ტყუპ, მიირ-

თვი ბიჭო, კიდევ ხომ არ გსურს? გული არ დაგწყდეს. შეშინდა წუწკი ამბიკი, მეტი ვერ გაძლო, ველარა, ზურგი იბრუნა, გაქუსლა, დაჰკარით ბუკი-ნაღარა! ორივე ბანაკის სიცილ-ხარხარში თოკით ამოვიყვანეთ გამარჯვებული დედა-შვილი. ფარშავანგივით აყოყოჩებული ვექაჩებოდი თოკს, რომელზედაც ეკიდა თხრილში ჩასული ჩემი მამაცი ასული. მას კი მტრისათვის მიეშვირა თვალის დამტკბობი შუაღამის მნათობი.

კიდევ ერთ კვირას გაგრძელდა შოლაპარაკება (სასაუბროს, თუნდაც ჭირში, რა გამოლევს). უეცრად ხმა დაირხა, ბატონიშვილი დე ნევერი კლამსისკენ მოიჩქარისო და ჩვენც შევთანხმდით; საბოლოო ჯამში ზავი იაფი დაგვიჯდა. ვეზლეელებს მომავალი ჭირნახულის მეათედს შევპირდით. ადვილად იმეტებ იმას, რაც არა გაქვს, რაც გექნება... ხომ შეიძლება, არც კი გექნეს; ასეა თუ ისე, დანაპირების შესრულებამდე ხიდების ქვეშ ბევრი წყალი ჩაივლის და ჩვენს მუცელში ბევრი ღვინო ჩავა.

ორივე მხარე დიდად კმაყოფილი ვიყავით ერთმანეთისა. რა თქმა უნდა, ჩვენი თავი უფრო მოგვწონდა. მაგრამ აი ხათა, ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ. ზუსტად დაზავების ღამეს ცაზე ნიშანი გამოისახა. სამბერის უკანა მხარეს ყოფილა მიმალული, ღამის ათ საათზე გამოძვრა, ვარსკვლავების ველზე გასრიალდა და სენ-პიერ-დიუ მონისკენ წაგრძელდა. იტყოდით, ხმალიაო; წვერი კვამლის ენებიან ჩირაღდანს მიუგავდა. ხელს ხმლის ტარი ეჭირა. ხუთივე თითის ბოლო საზარელ თავებს წარმოადგენდა. არათითზე ნათლად ჩანდა ქალი, რომელსაც თმებს უფრიალებდა ქარი. ვადას ერთი მტკაველი სიგანე ჰქონდა, წვერი სანტიმეტრ-ნახევარი, თვითონ მახვილი ორ გოჯ-ნახევარი იყო. ფერი სისხლივით წითელი ჰქონდა, მეწამული, როგორც ჭრილობაა ფერდზე. ირგვლივ კბილების კაწკაწი გაისმა, დავაღეთ პირი, ცისკენ ავწიეთ ცხვირი; ორივე ბანაკი თავის თავს ეკითხებოდა, ნეტა ვის ემუქრებაო ციური ნიშანი. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მათ ემუქრებოდა, თუმცა საამისო საბუთი არა გვქონდა რა. ყველა შიშმა აიტანა, ყველა, ჩემს გარდა. მე არ შემშინებია. უნდა გამოგიტყდეთ კი, რომ არაფერი მინახავს, ცხრა საათიდან ლოგინად ვიყავი. დავწექი კი იმიტომ, რომ ალმანახის ნებას დავყევი, ეს თარიღი წამლების მისაღებ დღედ ითვლება და სადაც არ უნდა ვიყო, თუ ალმანახი ბრძანებს, უსიტყვოდ ვემორჩილები, რადგან ბრძა-

ნება და ღვთის მცნება ერთია. მაგრამ რაკი ყველაფერი მითხრეს, მიამბეს, თუნდაც საკუთარი თვალით მენახოს და შთამომავლობას რომ შეენახოს.. ჩავწერე.

* * *

ზავს ხელი რომ მოვაწერეთ, მტერი და მოყვარე საქეიფოდ დავსხედით და რადგანაც დიდი მარხვის ხუთშაბათმა მოგვისწრო, გავიხსნილეთ, მოვილხინეთ, არაფერი დავიკელით; ჩვენი განთავისუფლების აღსანიშნავად ახლო სოფლებიდან მოგვიტანეს საჭმელი და სასმელი, ბლომად გვეწვია მჭამელი. რა დიდებული დღე იყო, მე და ჩემმა ღმერთმა, რა დიდებული. კედლების გასწვრივ გაიშალა სუფრა; მოგვართვეს დაკეპილი კუჭმაჭი, ჯიგრითა და ყანჩის ღვიძლით დატენილი სამი შებრაწული გოჭი; ღვიის ტოტების ბოლში გამოყვანილი სურნელოვანი ლორი; ნივრითა და დაფნით შენელებული კურდღლისა და ღორის პაშტეტი; შავი კუპატები და შიგნეული; ქარიყლაპიები და ლოკოკინები; ხაში და ისეთი ღვინისწვნიანი კერძი, რომლის სუნიც კი ათრობდა ადამიანს; ისეთი ხბოს თავები, რომ ენაზე გადნებოდათ. მოგვიტანეს პილპილმოყრილი ღაჟღაჟა კიბოების პირამიდა, ვჭამდით და ყელში ალი გვედებოდა; ეს ალი რომ დაგვეცხრო, წვრილი ხახვითა და ძმრით შეზავებულ სალათასა და შპროტს მივირთმევდით, მანდრისა და ვოფიუს ადგილობრივ მადლიან ღვინოს ვაყოლებდით, დესერტად კი მკვრივი და გრილი მაწონი გვქონდა, რომელიც სასასა და ენას შუა დნებოდა და ჭიქაში ღვინოს ღრუბლებივით რომ იწოვდნენ, ისეთი ბისკვიტები.

ფეხი არავის მოუცვლია, სანამ ჩასახეთქი რამ იყო. იკურთხოს უფალი, რომელმაც იმდენი შნო და ძალა მოგვცა, რომ მოკლე ხანში ჩვენი მუცლის ტომარაში ჩავუშვათ ამდენი პური და ღვინო შეუბრალებელი ორთაჭიდილი გაიმართა მტრის ჯარის თანმხლებ, ვეზლეის წმინდა მარტენის მონასტერში დაყუდებულ ბერ მოკლეყურასა (აჰ დიდმა მეცნიერმა თურმე პირველმა აღმოაჩინა, რომ ვირი ვერ დაიყროყინებს, თუ კუდი არ ასწია) და ჩვენს, ვიროს კი არადა, მწირ დონ ენეკენს შორის, რომელიც ამტკიცებს, წინა ცხოვრებაში ქარიყლაპია ან ჭანარი ვიყავი, რადგან მიყვარს მაჭარი და მძულს წყალი, წინა ცხოვრებაშიც უთუოდ ბევრი დამილევიაო. ერთი სიტყვით, ვეზ-

ლეელებს და კლამსელებს უფრო მეტი ურთიერთპატივისცემა გვქონდა, როდესაც სუფრიდან ავდექით, ვიდრე მაშინ, როდესაც დავსხედით. მიყვარს, ვისაც კარგი უყვარს. აი, ასეთია ბურგუნდელი.

ის იყო, ვახშამს ვინელებდით, რომ ჩვენი თანხმობის დასაგვირგვინებლად გამოჩნდა ბატონ დე ნევერის მიერ ჩვენს დასახმარებლად გამოგზავნილი ჯარი. ბევრი ვიცინეთ. მერე კი ორივე ბანაკმა ზრდილობიანად, თავაზიანად ვთხოვეთ, საიდანაც მობრძანდნენ, იქით წაბრძანებულიყვნენ. უარის თქმა ვერ გაბედეს. ყურჩამოყრილები წავიდნენ, იმ ნაგაზებივით, ცხვრებს რომ მიჰყავთ საძოვარზე, ჩვენ კი ერთმანეთს ვკოცნიდით და ვეუბნებოდით.

— განა სულელები არ ვიყავით, ერთმანეთს ჩვენი დარაჯების სახეიროდ რომ ვეჩხუბებოდით! მტრები რომ არ გვყავდეს, მათ ჩვენივე დარაჯები გამოიგონებდნენ ჩვენს დასაცავად. დიდი, დიდი მადლობა! უფალმა დაგვიცვას დამცველებისაგან! დანარჩენებისაგან კი როგორმე თვითონვე დავიცავთ თავს. საბრალო ცხვრები! მარტო მგლისაგან რომ გვჭირდებოდეს თავის დაცვა, რამენაირად გავართმევდით თავს; მაგრამ გვითხარით, ამ მწყემსისაგან ვინ დაგვიცავს?

III

ბრეშვის მეძაღარი

პირველი აპრილი.

როგორც კი ამ დაუპატიჟებელი სტუმრებისაგან გაიწმინდა გზები, გადავწყვიტე დაუყოვნებლივ მოძღვარი შამაი მომენახულებინა, მასთან სოფელში წავსულიყავი. მართალი გითხრათ, დიდად არ მაშფოთებდა მისი ხვედრი. თავს არავის დააჩაგვრინებს, მაგრამ გული საგულესა გაქვს, როცა შენივე თვალით ხედავ მეგობარს... ისე კი, გამოგიტყდებით, გავლა მინდოდა.

გზას გავუდექი. არავისათვის მითქვამს, რატომ, ან რისთვის. სტვენით მივყვებოდი ტყით დაბურული ბორცვების ქვეშ გაჭიმული მდი-

ნარის ნაპირს. ნორჩ ფოთლებს ნამავდა ჟუჟუნა წვიმის კურთხეული წვეთები, გაზაფხულის ცრემლები. ჟუჟუნა წვიმა ერთხანს დადუმდებოდა, მერე კვლავ რაკრაკს მოჰყვებოდა. ტყეში შეყვარებული ციყვი კნაოდა. მინდვრად ყიყინებდნენ ბატები, გულიანად ჭახჭახებდნენ შაშვები და პატარა წიწკანა „ტი-ტი-პიუს“ გაიძახოდა...

გზაში გადავწყვიტე, დორნესშიც გამევლო და ჩემი მეორე მეგობარი, ნოტარიუსი მეტრ პაიარი წამომეყვანა: ძველი საბერძნეთის გოაციებივით ჩვენ სრული შემადგენლობით მხოლოდ მაშინ ვართ, როდესაც სამივე ერთად ვიყრით თავს. თავს მაშინ წავადექი, როდესაც თავის დავთრებში წერდა, თუ რა დარი იდგა, რა დასიზმრებოდა და როგორი იყო მისი პოლიტიკური მრწამსი. „De Legibus“-ის გვერდით ნოსტრადამიუსის წინასწარმეტყველებათა გადაშლილი წიგნი ედო; როდესაც მთელი შენი სიცოცხლე სახლში ხარ გამოკეტილი, გონება თავისას შვრება, ოცნების მინდვრებში და მოგონებათა ტევრში გარბის და ჩვენი პლანეტის მანქანას რომ ვერ წარმართავს, ცდილობს მომავლის წიგნში ამოიკითხოს, რა ბედი ეწევა ქვეყნიერებას. ასე ამბობენ, ამ წიგნში ყველაფერიაო დაწერილი: მჯერა, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ მხოლოდ მაშინ მოვახერხე „ცენტურიებში“ მომავალი ამომეკითხა, როდესაც უკვე წარსულად ქცეულიყო.

ჩემს დანახვაზე ძმაკაცს სახე გაებადრა. ჭერი ავხადეთ სიცილ-ხარხარით. მახარებს ამ პატარა კაცის ცქერა; ღიპიანია, ჩოფურა, ლოყებგამობერილი, სახედაბღვერილი და ბუზღუნა. წითელი ცხვირი აქვს, ნაოჭებით შემორკალული ეშმაკუნა და ცოცხალი თვალები. წყევლის ამ დროებას, ადამიანებს; სინამდვილეში კი ოხუნჯი, მასხარა, ლაზღანდარა და ჩემზე მეტი ეშმაკის ფეხია; და როცა მკაცრი და მრისხანე თავისებური ოხუნჯობით გაგიმასპინძლდებათ, მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. უნდა ნახოთ, როცა მაგიდას ბოთლით ხელში დინჯად მიუჯდება, კომიუსსა და მომიუსს იგონებს და სიმღერას შემოსძახებს. ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდა, ჩამავლო თავისი ტლანქი და უხეში ხელები, რომელთაც საოცრად ემარჯვებათ დურგლობა და ქლიბვა, თლა და აკინძვა. სახლში ყველაფერი მისი გაკეთებულია, ყველაფერი უშნოა, მაგრამ მისი ნახელავია: ავია თუ კარგია, მისი სახე და ხატია.

პაიარი ჩვეულებისამებრ წუწუნებს ამაზე და იმაზე, მე კი, მის ჯინაზე აღტაცებაში მოვყაყარ ამასაც და იმასაც. ის არის „მით უა-

რესის“ მეცნიერებათა დოქტორი, მე კი — „მით უკეთესისა“. ასეთი ხასიათი გვაქვს. სალამ-ქალამს მოვრჩით თუ არა, თავის მუშტრებზე ბუზღუნი და წუწუნი მორთო. მართალი გითხრათ, მუშტრებიც ფულის გადახდას არ ჩქარობენ, ზოგიერთის ვალი ოცდათხუთმეტი წლისაა და თუმცა ჩემი ნოტარიუსი ფულის მოყვარული კაცია, მაინც არ აჩქარებს მოვალეებს და თუ ზოგიერთები ჟამიდან ჟამზე მაინც უხდიან, მხოლოდ შემთხვევით, როდესაც მოაგონდებათ და ისიც ნატურით. მიუგდებენ ერთ კალათა კვერცხს, ანდა წყვილ ვარიას. ასეთია ჩვეულება; მოვალეები შეურაცხყოფად ღებულობენ, თუ ვალი მოსთხოვა. მეტრ პაიარი იღრინება, მაგრამ თავის ფულს არ ითხოვს და მე მგონია თავად რომ იყოს მათ ადგილას, ისიც ასე მოიქცეოდა.

საბედნიეროდ, საკუთარი ქონება ჰყოფნის, კარგი ავლადიდების პატრონია, დიდი მოთხოვნილებაც არა აქვს. მარტოხელა, ბებერი კაცია, მექალთანეც არ არის; ტაბლის სიამოვნებაზე კი ჩვენში ბუნება ზრუნავს. სუფრა ჩვენს მინდვრებშია გაშლილი; ჩვენი ვენახი, ბაღები, პალაურები, საკურდღლეები სასმელ-საჭმელის მდიდარი საკუჭნაოა. ფული მარტო წიგნებში ეხარჯება; ამ წიგნებს მხოლოდ შორიდან გიჩვენებთ (ხვადაგს არ უყვარს მათი თხოვება). ძვირი უჯდება აგრეთვე ჰოლანდიიდან ჩამოტანილი დურბინდებით მთვარისა და ქალების კურტუმების ცქერა. (ცუღლუტი!) სხვენის სახურავზე საკვამლეებს შორის აქვს მოწყობილი ერთი დანჯღრეული დანადგარი და იქიდან ყურადღებით ადევნებს თვალყურს ცის კამარის ტრიალს და საწყალი, ცდილობს ამოიკითხოს ჩვენი სვე-ბედის ანბანი. უნდა გითხრათ, რომ თვითონაც არ სჯერა, მაგრამ სურს დაიჯეროს. მესმის მისი, აბა რა სჯობს ფანჯრიდან ცის მნათობების მზერას, ქუჩაში მოსეირნე ქალიშვილების ზვერვას. უცქერ და მიაწერ ათასგვარ ოინებს, ამბებს, რომანებს; ჭეშმარიტია თუ ყალბი, მაინც გართობს და გალაღებს.

დიდხანს ვიდავეთ ყველიერის სასწაულზე, პრიალა მეწამულ ხმალზე, გასულ ორშაბათ ღამით რომ მოგვეელინა ცაზე. ის სასწაულს თავისებურად ხსნიდა, მე — ჩემებურად და, რა თქმა უნდა, ორივე თავგამოდებით ვიცავდით ჩვენსავე აზრს, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ არაფერი გვინახავს არც მე, არც იმას, რადგან ზუსტად იმ ღამეს ჩემს ასტროლოგს თავის იარაღებთან ჩასძინებოდა. რას გავაწყობდით; რადგან სისულელე მარტო შენ არ მოგსვლია, ბედს უნდა

შეურიგდე; ჩვენც მხიარულად შევურიგდით, მაგრამ გადავწყვიტეთ მღვდლისთვის არაფერი გვეთქვა.

გავედით სახლიდან და გზას გავუდექით. გავყევით მინდვრებს, ყურს ვუგდებდით ფოთოლთა შრიალს, ვათვალიერებდით ბუდეების კეთებაში გართულ ჩიტებს, ნორჩ ყლორტებს, გასხლული ხეების ვარდისფერ ტოტებს, ვუცქერდით ჩვენს თავზე ცაში ქორის ბორბალივით ტრიალს. მოგვაგონდა, ერთხელ რა ოინი მოვუწყვეთ შამაის, წარმოიდგინეთ, მთელი თვეების მანძილზე პაიარი და მე ოფლში გავიწურეთ, რომ ერთი დიდი შაშვისათვის ჰუგენოტური სიმღერა გვესწავლებინა და, როგორც კი შაშვმა სიმღერა ისწავლა, შევუშვით ბატონ შამაის ბაღში. ჩიტმა თავი ლაღად იგრძნო მოძღვრის ბაღში, სოფლის სხვა შაშვებს ჩაუდგა თავში და სიმღერა ასწავლა. ჩიტების ქორომ შეაწუხა მღვდელი. ლოცვანის კითხვაში შეუშალა ხელი. წმინდა კაცი პირჯვარს იწერდა, ილანძღებოდა და იგინებოდა, ფიქრობდა, ეშმაკი შემომეპარა ბაღშიო, სწყევლიდა ბოროტ სულს და დარაბის უკან ჩასაფრებული უმოწყალოდ კლავდა მაცდურს; მაგრამ ეშმაკის ამბავი სავსებით როდი სჯეროდა ჩვენს ღვთის მსახურს, რადგან, როგორც კი მოკლავდა, იმ წამსვე ჰამდა ბოროტ სულს.

* * *

ლაპარაკ-ლაპარაკში სოფელს მივადექით.

გეგონებოდათ, ბრევს სძინავსო. გზის გასწვრივ ამთქნარებდნენ სახლები, გამვლელთა ცხვირწინ გაზაფხულის მზისათვის გაეღოთ კარი. ძეხორციელი არ გვინახავს, გარდა ერთი ბალღის უკანალისა. ღლაპი თხრილთან იდგა, უკანალს ანიავებდა და თხრილში შარდავდა. მაგრამ, როგორც კი ხელიხელგადახვეული მე და პაიარი ფუნითა და ჩალით მოფენილი გზით დაბის ცენტრს მივუახლოვდით, ჩვენს ყურამდე გაბრაზებული ფუტკრების ბზუილისებურმა ხმამ მოაღწია. ეკლესიის მოედანზე გავედით. მოედანი ხალხით იყო სავსე, იქნევდნენ ხელებსა და ფეხებს, წუწუნებდნენ, გუგუნებდნენ, გაჰყვიროდნენ და გაჰკიოდნენ. მღვდლის ბაღის ნახევრადგაღებული კარის ზღურბლზე ბრაზისაგან აჭარხლებული შამაი ღრიალებდა და მუშტებით ემუქრე-

ბოდა მთელ მრევლს. შევეცადეთ მიზეზი გაგვეგო, მაგრამ მხოლოდ ღრიალ-დგრიალი ისმოდა:

„...მუხლუხი და მუხლუხუნა... ხოჭოები და თაგუხა... ისმინე, უფალო“...

შამაი ყვიროდა:

— არა, არა, არ წამოვალ.

ბრბო კი:

— ე'შმაკმა წაგიღოს! ხარ თუ არა ჩვენი მოძღვარი? გვიპასუხე, ჰო თუ არა? და თუ ჩვენი მოძღვარი ხარ (ამას კი ვერ უარყოფ), უნდა გვემსახურო კიდეც.

შამაი კი უპასუხებდა:

— უტიფარო ავაზაკებო, მე უფლის მსახური ვარ და არა თქვენი.

ატყდა სოდომ-გომორი. ამ აურზაურისათვის ბოლო რომ მოეღო, შამაიმ მრევლს ცხვირწინ კარი მიუჯახუნა და დავინახეთ, მოაჯირს იქით როგორ იქნევდა ხელებს, ცალით ნეტარად ასხურებდა ლოცვა-კურთხევის წვიმას ერთგულებს, მეორეთი კი წყევლა-კრულვას აფრქვევდა დედამიწაზე. ცოტა ხნის შემდეგ ფანჯარაში მისი ჩამრგვალებული მუცელი და ბრტყელი სახე დავინახეთ. რაღაც უნდოდა ეთქვა. მაგრამ, რადგანაც ხალხის ყაყანს მიჰქონდა ყურთასმენა, გაბრაზებულმა მოძღვარმა ერს გამოუყო ენა; მერე დარაბები დაკეტა და სახლი სიჩუმემ მოიცვა. ხალხს მოსწყინდა ყაყანი, დაიღალა, დაიშალა, მოედანი დაიცალა, ჩვენც დრო ვიხელთეთ, შეთხელებულ დოყლაპიებს შორის გავძვერით და მეგობრის კარზე დავაკაკუნეთ.

დიდხანს ვაკაკუნეთ, ხმას არავინ გვცემდა, ხვადაგს არ სურდა კარის გაღება.

— ჰეი, მასპინძელო, ბატონო მღვდელო!..

რამდენი ვეძახეთ (ხმას განგებ ვიცვლიდით).

— მეტრ შამაი, შინა ხართ?

— ჯოჯოხეთში წასულხართ, ვინა ხართ, ვინა? რით ვერ გაიგეთ, არა ვარ შინა.

და რაკი არ მოვეშვით, გაცეცხლებულმა გამოგვძახა:

— აბა, მოუსვით აქედან, თუ არ წათრეულხართ, თქვე წუნკლებო, თქვენა, გაძლევთ სიტყვას, რომ დაგატეხოთ ჭექა და მეხი, ისე მოგნათლოთ, რომ ვერ წაიღოთ თავი და ფეხი.

ავაზაკი! კოკა წყალი უნდა გადმოესხა ჩვენთვის. ვუყვირეთ:

— შამაი, ღვინო მაინც გადმოგვასხი, შე კაი კაცო!

ამ სიტყვებზე, თითქოს სასწაულიაო, ჩაქრა ცეცხლის ალი, ჩადგა ქაოსი ხალი. შამაის გაწითლებული და მზესავით გაბადრული სახე გამოჩნდა.

— ღმერთო ჩემო! ბრონიონ, პაიარ, თქვენა ხართ? ვაიმე! კიდევ ცოტა და, კარგ ოინს გიზამდით. ყურუმსაღებო, ვერა თქვით, რომ თქვენ იყავით?

საფეხურებზე ჩამოგორდა წმინდა კაცი.

— შემოდით, შემოდით! წყალობა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა. მოდით, გაკოცოთ! საყვარლებო, რა ბედნიერი ვარ, იმ სიფათების შემდეგ ადამიანის სახეებს რომ ვხედავ! ერთი მითხარით, იმათი ფუნდრუკი თუ ნახეთ? რამდენიც უნდათ, იმდენი იხტუნონ, ფეხს არ მოვიცელი. ამოდით, ამოდით, დავლიოთ, დაგცხებოდათ; წარმოიდგინეთ, წვიხდა საუფლო ძღვენით უნდოდათ გავყოლოდი. მალე წვიმა წამოვა და მე და უფალი ხომ გავიწუწებოდით. არა, ერთი მითხარით, მათი მსახური ხომ არა ვარ, ანდა მათი მოჯამაგირე? გაგონილა, ღვთის მსახურს ისე მოექცე, როგორც მოჯამაგირეს? ავაზაკები! მე მათ სული უნდა განვუწმინდო და არა მინდორ-ველი.

— ერთი ადამიანურად აგვიხსენი, რასა მღერი, ვისზედა ხარ აღრენილი? — ვკითხეთ ჩვენ.

— ამოდით, ამოდით, — გვითხრა შამაიმ, — ზევით სჯობია, მაგრამ ჯერ უნდა დავლიოთ. ბრაზი მახრჩობს. მეტი არ შემიძლია... ჰა! ამ ღვინოზე რას იტყვით? ჰე, ჰე, ჰე, არც ისე ცუდია... არა, წარმოიდგიხეთ, იმ ხვადაგებს უნდოდათ ყოველდღე პარაკლისი მეხადა აღდგომიდან ამაღლებამდე... ნათლისღებიდან ახალწლამდე არ უნდათ? მერედა, რისთვის? ხოჭოებისათვის.

— ხოჭოებიო! — გავოცდით ჩვენ. — რა ხოჭო შეგიძვრა? ბოდავ, შამაი.

— არა ვბოდავ, — შეჰყვირა აღშფოთებულმა შამაიმ. — არა, ეს მეტისმეტია! მათი სიგიჟე უნდა ვითმინო და თანაც გიჟად მე ჩამთვალონ.

— მაშ, გონივრულად, მშვიდად აგვიხსენი.

— ჭკუიდან შემშლით, წაწყმედამდე მიმიყვანთ, — ყვირის შამაი და გამწარებული ოფლს იწმენდს, — მშვიდად როგორ ვთქვა, როდესაც ძე და უფალს, უფალსა და მე მთელი წმინდა დღე თავს ლათაიებით

გვაბეზრებენ. (უჰ! სული მეხუთება!) ეგ უღვთოები და წარმართები, ოომელთაც ფეხებზე ჰკიდიათ საუკუნო სასუფეველი და არ განიბანენ არც სულს, არც ფეხებს, მოძღვრისაგან ითხოვენ ხან წვიმას, ხან დარს; უნდა ვუბრძანო მთვარესა და მზეს: ოდნავი ალი, მერე წყალი, კმარა! ბევრი არა, ეხლა ცოტა მზე, თბილი და რბილი, ნიავი გრილი, გვაშორე ყინვა, ვენახისათვის გვიბოძე წვიმა. ჰაიტ! შესდექ! გეყოფა ფისი, ცოტა შეგვათბე. ამ უქნარებს რომ ყური უგდო, ლოცვებით გამათრახებული უფალი მებაღის იმ ვირს უნდა დაემსგავსოს, ჰას გარშემო რომ უვლის და წყალს ეჭაჩება. ამას ისიც დაუმატეთ. რომ ერთმანეთშიც ვერ რიგდებიან; ზოგს მზე უნდა, ზოგს კი — წვიმა. და აი, საშველად წმინდანებს უხმობენ. იქ, ზევით, ოცდაჩვიდმეტი წმინდანი განაგებს წყალს; მათ წინ მიუძღვის შუბოსანი მხედარი, ქვეშაფსია მედარი. მეორე მხარეს კი მხოლოდ ორი წმინდანია, წმინდა რეიმონი და დია ღრუბელთრეკია; მათ დასახმარებლად მორბიან წმინდა ბლეზი ქარირეკია, სეტყვამაშორე წმინდა ქრისტეფორე, ჰექა-ქუხილისყლაპია ვალერიანე, მეხიკვეთია ორელიანე და წმინდა კლერი, კარგი ამინდის მქნელი. უთანხმოებაა ცათა შინა. ეს დიდებულნი ერთმანეთს სცემენ, ჩხუბობენ. წმინდა სიუზანი, ელენე და სქოლასტიკაც ერთმანეთს თმებში ჩაფრენიან. არ იცის უფალმა, რომელ წმინდანს მიენდოს. და თუ უფალმა არ იცის, მისმა მღვდელმა საიდან უნდა იცოდეს?.. საბრალო მღვდელი!.. ბოლოს და ბოლოს, ეს რა ჩემი საქმეა? მე ჩემი მრევლის ვედრება უნდა გადავცე უფალს, შესრულება კი მისთვის მიმინდვია. კიდევ არაფერს ვიტყოდი, (თუმცა ჩვენს შორის დარჩეს და, ეს კერპთაყვანისმცემლობა მეზიზღება. მოწყალეო იესო, ნუთუ ამაოდ ეცვი ჯვარს?) მაგ არამზადებს ცის აყალმაყალში ჩემი გარევა რომ არ სურდეთ. ჭკუიდან შეიშალნენ, მე და ჯვარი თილისმად უნდათ გამოგვიყენონ, უნდათ დაგვაპირისპირონ ჭია-ღუებს, მათ მინდვრებს რომ ღრღნიან. დღეს ვირთაგვების წინააღმდეგ აგვამხედრონ, აქაოდა, ბეღლებს შესევიან და ხორბლისაგან გაგვცალესო. ეს ლიტანიაო, ეს შეჩვენება, წმინდა ნიკესისადმი ვედრება, თანაც დეკემბრის სუსხიან დღეს, ყელამდე თოვლში წელკავი ავიკიდე... ახლა მუხლუხოების მოსასპობად წმინდა პერტრუდას ევედრე, კვლავ ლიტანია, პროცესია. ეს იყო მარტში: თოვლ-ჭყაპი იდგა, წვიმდა. გავცივდი, დღესაც მახველებს. დღეს კიდევ ხოჭოებიო, კიდევ ეოთი პროცესია, სურთ, რომ მათ ბაღებს, თითქოს სხვა საქმე

აღარა მქონდეს, ასეთ სიცხე'ში ლოცვა-გალობით შემოვუარო (პაპანე-ბაა, მაგრამ ცას საავდროდ შეუკრავს პირი. ჩამოწოლილი, სქელი ღრუბლები ცას ბუზებივით შემოჯარვიან, ჭექა-ქუხილიც რომ ემზადე-ბა? ვერ გადავრჩები, ფილტვების ანთება დამემართება). „Ibi cecide-runt უსამართლობის მომქმედნი, atque expulsi sunt და ვერ შეძლონ stare"... ეაგრამ გაძევებით მე გამაძევებენ... „Ibi cecidit შამაი ბატისტ, მეტსახელად „ტკბილო მამაო"... არა, მადლობელი ვარ, არსად მეჩქა-რება, ბოლოს და ბოლოს, კარგი ხუმრობაც მოსაწყენია. არა, ერთი მითხარით, ვინ დამავალა მათი ჭია-ღუების დევნა? თუ ხოჭოები აწუ-ხებენ მაგ უსაქმურებს, თვითონვე შეებრძოლონ. თავს უშველე და უფალიც გიშველის. რა ადვილია გულზე ხელები დაიკრიფო და უფალს უბრძანო: ეს გააკეთე, ის გააკეთე! მე იმას გავაკეთებ, რაც გვნებავს უფალსა და მე, დავლევ, დიახ, დავლევ, თქვენც მომბაძეთ. მეგობრებო... მათ კი, თუ სურთ, ალყა შემომარტყან. გეფიცებით უფალს, ისინი უფრო ადრე დაშლიან რკალს, ვიდრე მე ამ სავარძლი-დან ავწევ უკანალს. დავლიოთ!

• • •

ამდენი მჭევრმეტყველებითა და ქებით არაქათგამოლეულმა მოძ-ღვარმა გადაჰკრა, ჩვენც მაღლა ავწიეთ ჭიქები და განვეკრიტეთ მათში ცის კიდეგანი და ჩვენი სვე-ბედიც, და ისიც ვარდისფრად გვეჩვენა რამდენიმე წუთით ჩამოვარდნილ სიჩუმეს პაიარის ენის წკლაპუნი და შამაის ხახაში ღვინის რაკრაკიღა არღვევდა. მღვდელი ეთი გადაკვრით სვამდა. პაიარი კი ყლუპ-ყლუპად; შამაი ღვინის ნა-კადს ორმოში რომ გადაუშვებდა, „იფო", იტყოდა, მაღლა ასწევდა თავს და ცის კამარას მიაპყრობდა თვალს, პაიარი კი ჭიქას ათვალიე-რებდა ზევიდან და ქვევიდან, სვამდა ცხვირითაც, თვალითაც, ხახი-თაც, მუ კი სასმელებითა და მსმელებით ვტკბებოდი; ჩემს სიხარულს მათი მხიარულება აორკეცებდა; სასიამოვნო იყო მათი მზერა: ტყუ-პებია სმა და ცქერა, მეფის კერძია. მათ კი ვუმზერდი, მაგრამ მერ-წმუნეთ, ბუზებს არ ვთვლიდი. თავგამოდებით მეც ჭიქას ვცლიდი. ერთმანეთს უკან არ ვრჩებოდით, ძმაბიჭურად, ვაჟკაცურად, ფეხ-აწყობით მივდიოდით!.. მაგრამ, ღმერთო, აბა ამას ვინ იფიქრებდა? საბოლოო ჯამში, რამდენიმე ყლუპით გაგვასწრო და გაჩნდა თავში Legibus-ის პატრონი, ნოტარიუს ბატონი.

და როდესაც მარნის ცვარმა საბოლოოდ დავვისველა ჩიჩახვები, გაგვიმტკიცდა ძალა, გული, გაგვინათდა სახე, სული. ფანჯრის რაფას იდაყვებით დავეყრდენით და აღტაცებით დავუწყეთ მზერა ლამაზ დედოფალს, ჩვენს მინდვრებში მობრძანებულ ახალ გაზაფხულს, ჩინარების ახლადშეფოთლილ შტოებში მოციაგე მზის სხივებს, შორს, თვალსაწიერში მოკარგულ იონს, გიჟმაჟ მურიასავით რომ უტრიალებს მინდვრებს. იქიდან ჩვენს სმენამდე ტაბუცების ხმა, მრეცხავი ქალების ყაყანი და იხვების ყიყინი აღწევდა. გამხიარულებული შამაი მკლავზე გვჩქმეტდა და გვეუბნებოდა:

— ვაჰ, რა კარგია ამ მხარეში ცხოვრება! იკურთხოს უფალი, რომ სამივე აქ დაგვბადა! განა შეიძლება რამე ამ კუთხეზე უფრო ლამაზი, მალხაზი, ტკბილი, რბილი, მსუქანი, ნოყიერი, მადლიანი და ეშხიანი იყოს? როცა ვუყურებ, ცრემლი მერევა, ეგ სალახანა შემომეკმევა...

ჩვენ თანხმობის ნიშნად თავი დავუკანტურეთ... მაგრამ უეცრად შამაი განრისხდა:

— არა, ერთი მითხარით, რა ეშმაკად მოუვიდა იმ ზეციერს თავში, ხვადაგებიც გაეჩინა ჩვენს ველსა და ბარში? რა თქმა უნდა, უფალი მართალია; იცის, რას აკეთებს... მაგრამ გამოგიტყდებით, მერჩია, შემცდარიყო და ჩემი მრევლი ეშმაკს წაეღო: ინკებთან ან სულთანთან, სადაც ნებავდა იქ დაეყარა, ოღონდ აქ არა.

ჩვენ ვუთხარით:

— შამაი ჩემო, ალია და ოსმანა ორივე თათარი არ არის განა? სხვას ისევ ესენი გერჩიოს. ღირს განა გაცვლა?

— მაშ, ეს პირუტყვები უფალს ამქვეყნად ჩემს გადასარჩენად და ცოდვების მოსანანიებლად გაუჩენია და არა იმიტომ, რომ მე გადავარჩინო ისინი. დამეთანხმეთ, ძმაკაცებო, დამეთანხმეთ, ამას არ უნდა ფიქრი და ბჭობა, არ არსებობს სოფლის მღვდლობაზე უფრო უბადრუკი ხელობა. საბრალო მოძღვარი, ოფლში იწურება, რომ იმ გამოთაყვანებულთ რეგვენ გოგრაში წმინდა ჭეშმარიტებანი ჩაუნერგოს. მაგრამ მათ და მათ ღლაპებს რამდენიც არ უნდა ასვათ წმინდა სახარების წვენი, კატეხიზმო აწოვოთ, ეს რძე როგორც კი ჩაუვათ პირში, მყისვე ამოსდით ცხვირში; მათ დიდ ყანყრატოებს სალაფავი სჭირდებათ, მართალია ხანდახან „ძამაო ჩვენოს“ წაიდუდუნებენ,

ანდა თავიანთი ყროყინით რომ სმენა დაიტკბონ. ლიტანიობენ და მწუხრის ლოცვას იტყვიან, მაგრამ წმინდა სიტყვისა არაფერი გადასდით მოწყურებული საყლაპავის კარიბჭეს იქით. გულსა და სტომაქამდე არაფერი აღწევს. ლოცვისა და ლიტანიობის შემდეგაც, მღერიან თუ არ მღერიან, მაინც წარმართად რჩებიან. საუკუნეთა მანძილზე ამაოდ ვცდილობთ ჭინკებისა და ფერიებისაგან განვწმინდოთ ჩვენი ძინდვრები, ნაკადულები და ტყეები, ამაოდ ვუბერავთ, ბერვისაგან ფილტვები გვტკივა, ვუბერავთ და ვუბერავთ, რომ ჩავაქროთ ეს ჯიჯოხეთური ჩირაღდნები, რათა სამყაროს უკუნეთ ღამეში მხოლოდ ჭეშმარიტი უფლის სინათლე კაშკაშებდეს, მაგრამ ვერ იქნა, ვერ გავწყვიტეთ დედამიწის ეს წარმართი მოციქულები, ეს ბინძური ცრუმორწმუნეობა, ეს ნივთიერების სული. მუხების ძველი ჯირკვები და სიპი ქვები მალავენ ამ სატანურ ჯილაგს. რამდენი დავწვით, ავჩეხეთ, ავკუწეთ, ამოვაგდეთ ძირფესვიანად, მაგრამ ამაოდ. ვფიქრობ, ყოველი ბელტის, ყოველი ქვის, ჩვენი დედის, გალების მიწის, მშობელი ფუძის გადმობრუნება დაგვჭირდება, რომ ამოვგლიჯოთ ბოროტი სული, ამ ბედოვლათებს ტანში რომ უზით და, მგონი, მაშინაც ვერაფერს გავხდეთ. წყეული ბუნება ხელიდან გვისხლტება: თათებს ჩამოსჭრი, ფრთები ესხმება, ერთი რომ კვდება, ათი ცოცხლდება. ამ ტუტუცებისათვის კი ყველაფერი სულ ერთია, ყველაფერი ეშმაკი და ღმერთია, სწამთ თეთრი და უთავო მერანი, შავი დედალი, დიდი გველკაცი, ბოროტი სული, ჯადოქარი იხვები და მაქცია მგლები... აბა, ერთი მითხარით, გეთაყვა, რა ხასიათზე უნდა იყოს უბიწო მარიამისა და ღვთისმოსავი დურგლის უწყინარი ძე ამ ნოეს კიდობანიდან გაქცეულ ურჩხულთა შორის?

პაიარმა უპასუხა:

— ძმაკაცო, ხომ გაგიგონია, „სხვის თვალში ხიწვს ვხედავ, საკუთარში დირესაც ვერაო". შენი მრევლი უდაოდ გიჟია, მაგრამ შენ? შენ რა, მათზე ჭკვიანი ბრძანდები? მღვდელო, არაფერი გეთქმის, შენც ისევე მღერი, როგორც შენი მტერი. ერთი მითხარი, შენი წმინდანები მათ ავსულებს ან ფერიებს რითი ჯობიან? თითქოს არ კმაროდეს სამსახე და ერთარსება ერთი ღმერთი და წმინდა ქალწული, ღვთისმშობელი მარიამი, დედა-ღმერთი, რომ თქვენს პანთეონში დაგაბინავეთ მანდილიანი და შარვლიანი პატარა ღმერთების მთელი ხროვა, რათა შეგეცვალათ ოქვენს მიერვე დამსხვრეული ძველი კერპების

გროვა და დაცარიელებული ნიშები შეგევსოთ: მაგრამ ამ ღმერთებს, ვფიცავ ნამდვილ ღმერთებს, არ ვანაცვალებ ძველ კერპებს. ეშმაკმა იცის, საიდან მოდიან, ლოკოკინებივით ძვრებიან ყოველი ხვრელიდან, მიწიდან და ციდან: გონჯები, გაძვალტყავებულნი, ტურტლიანები, ხეიბარნი, პირუბანელნი, კოპებით და იარებით შემკულნი: ერთი დასისხლიანებულ ტაკვს გიჩვენებთ, ანდა ბარძაყზე მბრწყინავ წყლულს, მეორეს კეკლუცად რაღაცნაირი ფიცარი გაუყრია ქეჩოში, მესამე იღლიაში ამოჩრილ თავს დაასეირნებს, მეოთხე, დიდებით მოსილი, საკუთარ ტყავს ხალათივით ფერთხავს. რომელი ერთი გავიხსენო. შორს რომ არ წავიდეთ, შენს წმინდანზე რაღას იტყვი, მამაო, აი იმაზე, შენს საყდარში რომ მბრძანებლობს, დაყუდნებულ მესვეტე სვიმონზე, ორმოცი წელი სვეტის წვერზე ყანჩასავით ცალ ფეხზე რომ იდგა?

შამაი შეხტა და შემოტრიალდა:

— კმარა, შესდექ! სხვა წმინდანებთან რა მესაქმება. მათი თვალყური არ მევალება, მაგრამ წარმართო, სვიმონს მოეშვი, ჩემი წმინდანია, მის სახლში ვარ. ჰოდა, მეგობარო, ზრდილობით იყავი.

— კეთილი (რა გაეწყობა, შენი სტუმარი ვარ), დარჩეს ასე ცალ ფეხზე დაყუდებული შენი მესვეტე, მაგრამ ეს მაინც მითხარი, რა აზრისა ხარ კორბინის აბატზე, რომელსაც დაუჩემებია, ბოთლში ყოველად წმინდა უბიწო ღვთისმშობლის რძე მაქვსო, ანდა რას ფიქრობ ბატონ დე სირმიზელზე, რომელმაც ერთხელ, როდესაც კუჭი აეშალა, წმინდანთა ნაწილების ფხვნილგარეული წყლის ოყნა გაიკეთა.

— რასა და, იმას, — უპასუხა შამაიმ, — რომ შენ თვითონაც, ვინც ეს ამბავი ასე ახსენი, იმასვე იზამ, თუ აგტკივდება სახსენე. კორბინის აბატს კი ნუ მიხსენებ. ეს წუწკი ბერები, მუშტრები რომ წაგვართვან, მზად არიან დუქნები გახსნან და ივაჭრონ მთავარანგელოზების რქით, ანგელოზების ნაღებითა და სერაფიმების კარაქით. მაგ ხალხს ნუ მიხსენებ-მეთქი. ბერი და მღვდელი ძაღლსა და კატასავით ემტერებიან ერთმანეთს.

— მღვდელო, მაშ, არც შენა გწამს წმინდანთა ნაწილები?

— არა! ჩემი წმინდანების ნაწილები მწამს, სხვების კი არა. მე წმინდა დიეტრინის ბეჭის ძვლის მორჩი მაქვს, რომელიც წმენდს შარდს და სირსველით აქერცლილ კანს. მაქვს აგრეთვე წმინდა ეტუ-

პის თხემის ძვალი (რას იღრიჭები, დაგიდგა თვალი), იგი ცხვრის მუცლიდან ავსულებს დევნის. ნუ იცინი-მეთქი. ურწმუნოვ, კვლავ იკრიჭები? არაფერი გწამს განა? მე სიგელებიცა მაქვს თანა (ბრმანი არიან, ვისაც არ სჯერათ, ახლაკე წავალ და მოვიტან). ხელმოწერილი პერგამენტები დაგარწმუნებენ სინამდვილეში.

— იჯექი, იჯექი და მოეშვი მაგ შენს ქაღალდებს. სახეზე გატყობ, თვითონ არ გჯერა, საიდანაც არ უნდა მოიტანო, ძვალი ძვლად რჩება და წარმართია, ვინც მას ეთაყვანება. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს: მიცვალებულებს სასაფლაოზე წაასვენებენ ხოლმე. მამაო, მე ცოცხლები მწამს. მწამს აგრეთვე, რომ დღეა, რომ ვსვამ და კარგად ვმსჯელობ. ვამბობ, რომ ორჯერ ორი ოთხია და დედამიწა მოძრავ სივრცეში მიკარგული მნათობია. მწამს გი კოკი და შემძლია ზეპირად გითხრა ჩვენი ნეველის ზნე-ჩვეულებანი, მჯერა აგრეთვე წიგნები, სადაც წვეთ-წვეთად გროვდება ადამიანის ცოდნა-გამოცდილება, ყველაზე მეტად კი ჩემი გონებისა მჯერა და. რა თქმა უნდა, მწამს საღვთო წერილი. სიბრიყვეა, კაცმა საღვთო წერილში ეჭვის შეტანა გაბედოს. ხომ კმაყოფილი ხარ, მამაო?

— არა. არა ვარ კმაყოფილი, — იყვირა მეტად გაბრაზებულმა შამაიმ. — შენ რა, კალვინისტი ხარ? ერეტიკოსი? ჰუგენოტი, ცხვირში ბიბლიას რომ ბურტყუნებს, დედა ეკლესიას ჭკუას ასწავლის და გველის წიწილას ჭგონია, ცხოვრებას უმღვდელოდაც შესძლებს.

ახლა კი პაიარი გაბრაზდა და თქვა, რომ არავის მისცემს ნებას, პროტესტანტი უწოდოს, განაცხადა, რომ ის კარგი ფრანგია, მართლმორწმუნე კათოლიკე, კაცი გონიერი, საკმაოდ ღონიერი, და რომ უსათვალოდაც კარგად ხედავს, სულელს სულელს ეძახის, შამაის კი სამ სულელს ერთში, ან ერთს სამში (როგორც თავად ინებებს), და რომ ადიდებს უფალს და თავის გონებას, რაც დიდი მნათობის ყველაზე მშვენიერი სხივია.

* * *

გაჩუმდნენ. ბუზღუნით დალიეს. მაგიდას იდაყვებით დაეყრდნენ და გაბუტულებმა ზურგი შეაქციეს ერთმანეთს. გადავიხარხარე. უცბად შეამჩნიეს, რომ არაფერი მითქვამს. გარწმუნებთ, რომ მეც მხოლოდ მაშინ შევნიშნე ეს ამბავი. მანამდე კი მათი ცქერითა და სმენით

ჯუკავი გართული. მათი საბუთიანობა მართობდა, ორთავეს ვაჯავრებდი თვალებითა და წარბებით, ჩუმად ვიმეორებდი მათ ნათქვამს, კომბოსტოს ღეკვით გართული კურდღელივით ვაცმაცუნებდი ტუჩებს და აი, მეცნენ გააფთრებული მოდავეები და მომთხოვეს მეთქვა, ვის ვემხრობოდი.

ვუპასუხე: ორივესა და კიდევ მესამეს-მეთქი.

— განა ამქვეყნად ცოტა მოკამათეა? რაც მეტი გიჟია, მით უფრო მეტს იცინი და რაც უფრო მეტს იცინი, მით უფრო ჭკვიანი ხარ... ძმაკაცებო, როდესაც გსურთ გაიგოთ, თუ რა გაგაჩნიათ, ჯერ ფურცლებზე ჩამოსწერთ და მერე შეაჯამებთ ხოლმე; ახლა კი რატომ არ ჩამოსწერთ და არ შეაჯამებთ ყველა თქვენს ხუსტურს. შეჯამებამ, შეიძლება, ჭეშმარიტებაც გიჩვენოთ. თქვენ რომ ჭეშმარიტების ხელში ჩაგდება გინდათ, ის ენას გამოგიყოფთ ხოლმე და ეს იმიტომ, რომ სამყაროს მარტო ერთი ახსნა როდი აქვს, ყოველი ადამიანი საკითხის ერთ მხარეს განმარტავს, შვილნო ჩემნო. მე ყველა თქვენი ღმერთის მომხრე ვარ: წარმართებისაც და ქრისტიანებისაც. ისევე, როგორც ღმერთ-გონებისა.

ეს რომ ვუთხარი, ჩემს წინააღმდეგ პირი შეიკრეს და განრისხებულებმა პირონელი და ურწმუნო მიწოდეს.

— ურწმუნოო! კიდევ რა გნებავთ? რა გინდათ ჩემგან? თქვენ ღმერთს თუ ღმერთებს, კანონს თუ კანონებს ჩემთან მობრძანება სურთ? მობრძანდნენ. მივიღებ. ყველას მივიღებ. სტუმართმოყვარე ვარ. მამაუფალი ძალიან მომწონს. კიდევ უფრო მისი წმინდანები მიყვარს, პატივსა ვცემ და ვუღიმი (კეთილი ხალხია). ჩემთან მოსვლას და მასლაათს არ თაკილობენ: მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ერთი ღმერთი არ მყოფნის. რა ვუყო, რომ მსუნაგი ვარ... თქვენ კი გსურთ მამარხულოთ. მე ჩემი წმინდა მამები და წმინდა დედები მყავს, ჩემი ფერიები და სულები, ციური და მიწიერი, ტყისა და წყლის; მწამს გონება, ჭეშმარიტების მჭვრეტელი გიჟებიც, მჯერა კუდიანებისა. მინდა ვიფიქრო, რომ სივრცეში დაკიდული დედამიწა ჰაერში ქანაობს, ღრუბლებში ბანაობს. მსურს მას შევეხო, ავშალო და დავშალო, ავაწყო და დავაწყო მსოფლიოს საათის მშვენიერი მექანიზმი; მაგრამ ეს ხელს არ მიშლის ციური ჭრიჭინების, მრგვალთავა ვარსკვლავების გალობით დავტკბე და მთვარეზე ჩირაღდნიან კაცს ვუთვალთვალო... მხრებს იჩეჩავთ, არა? წესრიგი გინდათ? ე, ე,

წესრიგს თავისი ფასი აქვს! უფასო როდია. ქისის გახსნას მოითხოვს. წესრიგი ინას კი არ ნიშნავს, გააკეთო ის, რაც გინდა, ის უნდა გააკეთო, რაც არ გინდა: ცალი თვალი უნდა გამოითხარო, რომ მეორეთი უკეთ დაინახო. გაკაფო ტყეები, რომ გაიყვანო დიდი და სწორი გზები. რასაკვირველია, ეს კარგი და საჭიროა... მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა უშნოა! მე ძველი გალი ვარ. მინდა ბევრი ბელადი მყავდეს. ულიცხვი კანონი მქონდეს. სუყველას ვეძმო და ყველა თავის ნებაზე ვაცხოვრო. გინდა? ერწმუნე, მე კი მომეშვი, ნება მიბოძე, მინდა ვერწმუნები და მინდა არა. თაყვანი ეცი გონებას და, რაც მთავარია, ღმერთებს შეეშვი, უთვალავნი არიან, ღმერთების წვიმა მოდის, რიყის ქვებივით ყრიან. მაკე ღორივით ღმერთებით გაბერილა სამყარო. ყველას პატივს ვცემ, იმრავლონ და იბედნიერონ. მაგრამ, აბა, გაბედეთ და შეეცადეთ, თუნდაც ერთი წამართვათ ან გამასტუმრებინოთ, არ გამოვა, არა. თუ ეშმაკმა გზა-კვალი არ ამირია და ჩემი გულუბრყვილობა ბოროტად არ გამოიყენა, ვერ მოგართმევთ, ვერა.

შევებრალე პაიარსა და მღვდელს, მკითხეს, ამ დავიდარაბაში როგორ ვიკვლევდი გზას.

— ჩინებულად, — ვუპასუხე მე, — ძალიან კარგად ვიცნობ ყველა ბილიკს და არხეინადაც დავსეირნობ: როგორ ფიქრობთ, შამუდან ვეზლეიში ტყით რომ მივდივარ, ფართო გზა მჭირდება? ბრაკონიერების საცალფეხო ბილიკებით თვალდახუჭული მივდი-მოვდივარ და თუ ზოგჯერ ჩემს ბუნაგში უკანასკნელი ვბრუნდები, სამაგიეროდ ნახადირევით სავსე მაქვს აბგა. იქ ყველაფერი აღნუსხულია და ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩნეული. კეთილი უფალი თავის ეკლესიაში მყავს, წმინდანები — თავიანთ ეკვდირებში, ფერიები — მინდვრებში დამიდიახ, გონება — თავში მაქვს ჩაჭედილი. წარმოიდგინეთ, ჩინებულად ეგუებიან ერთმანეთს: ყველა ვარდს თავისი გულის მურაზი ჰყავს, თავისი საქმე გააჩნია, თავისი სახლი აქვს, არ ემორჩილებიან მტარვალ მეფეს და ბერნის ბატონებისა და მათი კონფედერატების მსგავსად მოკავშირე კანტონები აქვთ მოწყობილი. ჩემს სოფელში სუსტნიც არიან და ძლიერნიც, თუმცა ამას არ უნდა ენდო; ზოგჯერ ძლიერების წინააღმდეგ სუსტია საჭირო. ცხადია, უფალი ფერიებზე ძლიერია, მაგრამ თვით მანაც კი უნდა გაუწიოს ფერიებს ანგარიში, რადგან უფალი თუ მარტო დარჩა, ისეთი ძლიერიც აღარ იქნება. ძლიერიც ხედება მასზე ძლიერს, რომელიც მას შეახრამუნებს. მაშ,

როგორ! ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ყველაზე „უძლიერესი ღმერთი“ ენახოს. ის ზეცასაა, ძალიან შორს, ძალიან მაღლა, ისე მაღლა, როგორც ჩვენი ბატონი მეფე. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ მის მთავრებს, მოურავებს, ლეიტენანტებს; თვითონ კი თავის ლუვრში განისვენებს. გონება მეუბნება, რომ დღეის ღმერთი, რომელზეც ყველა ლოცულობს, არის ბატონი კონჩინი... გეყოფა, ჰო, მუჯლუგუნებს ნუ მკრავ, შამაი... გული რომ არ გატკინო, ვიტყვი, რომ დღევანდელი უფალი არის ნეველის ხელისუფალი, ჩვენი კეთილი ჰერცოგი; აკურთხოს უფალმა, პატივსა ვცემ, მაგრამ ლუვრის ბატონთან ჭკუით არის და კარგადაც იქცევა. ამინ! და იყოს ასე!

— ამინ, ასე იყოს, — გაიმეორა პაიარმა, — მაგრამ ასე რომ არ არის, ეს ყველამ იცის! „პატრონის შინ არყოფნისას შემოძვრება მაცდური და მაშინ დაფასდება ამ ოჯახის მსახური“. ჩვენი დიდი ანრის სიკვდილის შემდეგ დედაკაცები გამეფდნენ ჩვენს დალოცვილ მხარეში და დაიწყო თავადების უნამუსო თარეში... დიდკაცები შენსა და ჩვენს ხარჯზე ხელს ითბობენ. დიდ პალაურში თევზაობენ ქურდბაცაცები. ხაზინიდან იტაცებენ არსენალის სკივრებში მიძინებულ ოქრო-ვერცხლსა და მომავალ გამარჯვებებს, რომელსაც ბატონი დე სიული დარაჯობს. აჰ! ნეტავი მოვიდეს შურისმაძიებელი, მაგ ყაჩაღებს წააცალოს თავი, ამოჰხადოს სული და წაართვას ნაქურდალი ფული.

იმდენი ვილაპარაკეთ, იმდენი ვქენით, ისე ხმაშეწყობილად ვიმღერეთ და ისეთი ვარიაციები შევასრულეთ ქოჩრიან დიდებულებზე, ქოშიან მუზმუზელებზე, გასუქებულ მღვდელმთავრებზე და მუქთახორა ბერ-მონაზვნებზე, რომ სიფრთხილე ნებას არ მაძლევს ყველაფერი ჩავწერო. ისე კი, უნდა ვთქვა, რომ ყველაზე ლამაზ და ბრწყინვალე სიმღერებს ამბობდა მოძღვარი შამაი. და ჩვენი სამება გზას გაუდგა ფეხაწყობით, ვაჟკაცურად, რა აიღო ერთხმად თემად: ლაქუცები, ავყიანი, ღვთისმოსავნი, ფლიდნი, ავნი, ფანატიკოსნი, ჰუგენოტნი, თითლიბაზნი, ჭკუათხელნი, ბრიყვნი, შტერნი, ვისაც განუზრახავთ ღვთის სიყვარული კომბლითა და ხმლით ჩაგვინერგონ გულსა და სულში. მამაუფალი მევირე ხომ არ არის, ჯოხით რომ გვრეკოს. ვისაც წაწყმედა სურს, დაე წაწყმდეს! ესეც ეყოფა, რა საჭიროა ცოცხლად წამება ან ცეცხლზე დაწვა? მოგვეშვით, ღვთის მადლსა, დაგვანებეთ თავი. ამ ჩვენს საფრანგეთში ყველამ, როგორც სურს, ისე

მოაწყოს თავისი ცხოვრება და ნუ დაეძებს, როგორ ცხოვრობს მოყვასი თვისი. ურწმუნოც კი ქრისტიანია, იესომ ხომ ყველა ადამიანის ცოდვათა მოსანანიებლად იტვირთა ჯვარი. ეგეც არ იყოს, საბოლოო ჯამში ორთავ ერთია: ავიცა და კარგიც, ამაყიცა და მკაცრიც. და ერთმანეთს ისე ჩამოჰგავს, როგორც ორი წვეთი.

ლაპარაკით რომ გული ვიჯერეთ. ბახუსს სამ ხმაზე შეეასხით ქება. ეგ ერთადერთი ღმერთი იყო, რომელზედაც მე, პაიარსა და მღვდელს დავა არ გვქონდა. შამაი გაჰყვიროდა, რომ ბახუსი ერჩია ყველა იმ ღმერთს, რომელზეც ქადაგებენ კალვინისა და ლუთერის ლაზღანდარა და ბინძური ბერები. ბახუსი, ამბობდა იგი, პატივისცემის ღირსია, მასში ნამდვილი ფრანგული ჯილაგის ღმერთი ჩანსო... ფუი ეშმაკს, რას ვამბობ? ფრანგული კი არადა, ქრისტიანული, ძვირფასო ძმებო, ქრისტიანული. განა იესო ზოგიერთ ძველ სურათზე ბახუსად არ არის წარმოდგენილი? ხელთაც რომ ყურძნის მტევანი უპყრია. მაშ, ჩვენი მხსნელის სადღეგრძელო დავლიოთ, ძმებო, ჩვენი ბახუსის, ქრისტიანულის, მომღიმარი იესოსი, ვისი ალისფერი სისხლიც მოჩუხჩუხებს ჩვენს ფერდობებზე და ასურნელებს ჩვენს ვენახს, გულს და თავის ფაქიზ, უხვ, . ადამიანურსა და უწყინრად დამცინავ სულს შთაბერავს ჩვენს ნათელ საფრანგეთს, ჯანსაღი სისხლის პატრონს. მახვილგონიერ ბატონს.

• • •

ამ საუბარში რომ ვიყავით და ჭიქებიც ერთმანეთს მივუჭახუნეთ, რათა დაგველია სადღეგრძელო ზომიერი და მხიარული ფრანგული გონიერებისა, რომელიც ყოველგვარ უკიდურესობას დასცინის („ორთა შუა ბრძენი ჯდება“... ამიტომაც ზოგჯერ მიწას ენარცხება), კარების ჯახუნმა, კიბეზე მძიმე ნაბიჯების ხმამ, ოხვრამ, ძახილმა: „იესო ქრისტე“, „დედაო ღვთისა“, გოდებამ, ქშენამ, მღვდელ-ქალბატონის, ან როგორც ეძახდნენ შამაის მსახურ ელოიზას — „მოძღვარ-ქალბატონის“ შემოსევა გვამცნო. ხვნეშით შემოვიდა, წინსაფრით ბრტყელი სახე მოიწმინდა და წამოიძახა:

— ვაი, ვაი! გვიშველეთ, ბატონო მოძღვარო!

— ჰა, რა ამბავია, სულელო? — შეეკითხა მოთმინებადაკარგული შამაი.

— მოდიან! მოდიან! ისინი მოდიან!

— ის მუხლუხები, ლიტანიით მინდვრებში რომ დადიან? აკი გითხარით, ჩემს წარმართ მრევლზე არაფერი მითხრათ-მეთქი.

— გემუქრებიან, ბატონო მოძღვარო, თქვენ გემუქრებიან!

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრან რითი მემუქრებიან? საეკლესიერო სასამართლოში გიჩივლებთო? როგორც ენებოთ! მზად ვარ.

— ვაიმე, ბატონო მოძღვარო, მარტო საჩივარი რომ იყოს...

— მაშ რაა? მითხარ!

— აყლაყუდა პიკთან შეყრილან, რამლს ყრიან, ულოცავენ და მღერიან: „მუხლუხებო, ხოჭოებო, ხვრელებიდან გამოძვერით ერთად და შამაის ბოსტანსა და მარანს შეუტიეთ მედგრად“.

ამ სიტყვებზე შამაი შეხტა.

— ვაიმე! ვაიმე! წყეულები! მათი ხოჭოები ჩემს ბოსტანში უნდათ მორეკონ... ვაი, ჩემს მოსწრებას! უფალო! წმინდაო სვიმონ! უშველეთ თქვენს მსახურს!

ამაოდ ვეცადეთ დაგვემშვიდებინა. ბევრიც ვიცინეთ.

— იცინეთ, იცინეთ, ჭკუის კოლოფნო! ჩემს ადგილას რომ იყოთ, ვნახავდი, როგორ გაიცინებდით. მეც ეგრე ვიზამდი, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, ხომ გაგიგონიათ? ერთი თქვენ იყოთ ჩემს დღეში, ვნახავდი, რა მასპინძლობას გაუწევდით, რა სუფრას გაუშლიდით ასეთ ყურუმსაღებს. ხოჭოებიო, რა საზიზღრობაა... მუხლუხები... არ მინდა, არა! მაგრამ რა მოვუხერხო, რა წყალში ვეცე?

— რა ამბავია, რამ გადაგრია, მღვდელი არა ხარ? რისი გეშინია? შენს მრევლს ჭკუით მაინც არ სჯობიხარ? განიწმინდე მათი შელოცვებისაგან. მათზე ძლიერი არა ხარ განა?

— ჰე, ჰე, ჰე! მე არაფერი ვიცი; ვერაფერს გავხდები, ვერა, ახმახი პიკი ისეთი გაიძვერა და ბოროტია. მეგობრებო, ჩემო მეგობრებო! სად გაგონილა, ამ სათოკეებს სურთ ხოჭოებს შეაჭამონ ჩემი თავი. მე კი როგორი იმედი მქონდა... დაიმედებული, დამშვიდებული ვიყავი... მაგრამ ამქვეყნად მყარი არაფერია, მხოლოდ უფალი არს დიდი. რა შემიძლია? მაგათ ხელთა ვარ... ელოიზა, გეთაყვა, გასწი, გაკურცხლე, საყვარელო, და უთხარ, შეჩერდნენ! მოვდივარ, მოვდივარ, მაშ, რა უნდა ვქნა. ავაზაკები! ჩემი დღეც მოვა, სიკვდილის წინ ჩემს ხელში იქნებით. მანამ კი (რა გაეწყობა), მათ დუდუკზე უნდა

ვიცეკვო!.. უნდა დავცალოთ ეს ფიალაც. დავცალ, განა ეს ერთი დამიცლია?

წამოდგომა რომ დააპირა, ჩვენ შევეკითხეთ:

— ერთი გვითხარი, სად გარბიხარ, სად ჯანდაბაში.

ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ხოჯოებთან საომოადო. გვიპასუხა შამა

წყალსადენთან ცხენების ფრუტუნი, მათრახების ტკაცუნი, მეწაღის ჩაქუჩის კაკუნი და მღერა, სამჭედლოში საბერველის ქშენა, ყასბების ფიცრებზე ძვლების კეპვა, გამვლელთა ლაყბობა, ლანძღვა, ზარების რეკვა, ერთი სიტყვით, მშრომელი ქალაქის სუნთქვა და კვნესა: „ბა-ბაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“, სანამ შენ გვაღირსებ, ჩვენ თა-ვად მოვიზელთ „პურსა ჩვენსა არსობისასა“, ასე არ სჯობს?“ თავზე კი გაზაფხულის დიდებული ლურჯი ცა დაგვნათის, ქარი ქრის და თეთრ ღრუბლებს მიერეკება, მზე თბილია, ჰაერი — გრილი. თით-ქოს... სიჭაბუკე მკვდრეთით აღმსდგარა და ჟამთა სიღრმიდან მოფ-რინავს, მოჰქრის, რომ აღადგინოს მერცხლის ბუდე ჩემი ბებერი გუ-ლის ფარდულქვეშ. რა საყვარელია ძვირფასი წარსული, როცა ბრუნ-დება. უფრო საყვარელი, უფრო სანატრელი, ვიდრე პირველ დღეს...

უცბად სახურავიდან აფქიოს ჭრიალი და ჩემი დედაბერის კრიახი მესმის. ისევ უყვირის, არ ვიცი რას, არ ვიცი ვის, შეიძლება მეც მე-ძახის. არ ვუსმენ, მაგრამ მახლას, დამფრთხალი სიჭაბუკე გაფრინდა. ეშმაკსაც წაუღია აფქიო!.. ის კი (ჩემს დედაბერზე ვამბობ) გაცოფე-ბული ჩამოდის, რომ თავისი გალობით ყურთასმენა წაიღოს:

— აბა, აქ რას დამჯდარხარ გულხელდაკრეფილი, დოყლაპიავ, ბუზებს რომ თვლი ურცხვად პირდაღებული, მუქთახორავ, ერთი მი-თხარი, რას შვრები? შენს დანახვაზე დაფრთხნენ ზეციერი ჩიტები. მითხარ, რას ელოდები? იქნებ ფიქრობ, მაგ სავერანე ხახაში ჩაგიცვივ-დეს მოხრაკული ხოხბები, ან მერცხალმა ჩაგაწვეთოს ცრემლები? მე აქ თავს ვიკლავ, ვქშინავ, ოფლში ვბანაობ, ვით ქანქარა, აქეთ-იქით ვქანაობ, მოსვენება აღარა მაქვს, ვით წამებულ ქადაგს, რომ ვაამო ამ უქნარა ხვადაგს... ეჰ! საბრალო ქალო, ასეთია შენი ხვედრი... მაგრამ, არა, ზეციერო მამა, ხომ არ გითქვამს, რომ მთელი ჯაფა ჩვენი ხვედ-რი იყოს და ადამმა უსაქმურად იყიალოს. მსურს ისიც დაიტანჯოს, დე, იმანაც იდარდოს. სხვანაირად რომ იყოს, რომ ილხინოს ავარამ. შენში რწმენას დავკარგავდი! მაგრამ არა, მე აქა ვარ, რათა აღვასრუ-ლო შენი ნება-სურვილი. მორჩი სიცილს თუ არა? ადე ჩქარა, უქნ-რა, თუ გინდა, რომ იჩუხჩუხოს ქოთანმა!.. ერთი ამას დამიხედეთ, არც კი მისმენს! გაინძრევი თუ არა?

ნაზი ღიმილით ასე ვეუბნები:

— რა თქმა უნდა, ჩემო მშვენიერო. ასეთ ლამაზ დილას სახლში დარჩენა ცოდვა იქნება.

შევდივარ სახელოსნოში და შეგირდებს ვუძახი:

— მეგობრებო, ხის ნაჭერი მჭირდება, მკვრივი, დოეკადი, ფაფუკი. რიუსთან მივდივარ, ვნახავ ერთი, კარგი მორი თუ აქვს. აბა, კანია! რობინე! წავიდეთ, ავარჩიოთ.

ერთად გამოვდივართ. დედაკაცი კივის. ვეუბნები:

— შენ დაუკარ.

მართალი რომ გითხრათ, ეს უკანასკნელი რჩევა ზედმეტი იყო. რომ იცოდეთ, რა დასცხო და დასცხო. მისი საკრავის ნარნარი ხმა რომ გამეძლიერებინა, სტვენით ბანი ვუთხარი. კეთილმა კანიამაც შემაწია:

— აბა, რა მოგდით, ქალბატონო, თითქოს სამოგზაურო მიდიოდეთ, თხუთმეტ წუთში დავბრუნდებით.

— ასეთ ავაზაკთან საქმე რომ გექნება, — თქვა ჩემმა დედაკაცმა, — აბა, რა იცი!

• • •

ჩამოჰკრა ცხრა საათმა. ბეიახში ძივდიოდით, შორი გზა არა იყო, ბოვრონის ხიდზე შევჩერდით (აბა ისე როგორ იქნება, ხალხი უხდა მოიკითხო, მოინახულო), რომ ფეტიუს, გადენს და ტრინკეს, მეტსახელად ლამაზ-ჟანს, მივსალმებოდით; შარაგზაზე ჩამომსხდარი ეს ვაჟბატონები მდინარის დინების ცქერით იწყებდნენ დღეს. ცოტა ხანი ვილაპარაკეთ ამასა და იმაზე, ავდარსა და წვიმაზე. მერე კი დინჯად განვაგრძეთ გზა. ნამუსიანი ხალხი ვართ, გზაზე არ ვჩერდებით, აქეთ-იქით არ ვიცქირებით, პირდაპირ მივდივართ, არავის ვესაუბრებით (თუმცა, მართალი რომ გითხრათ, არც არავინ შეგვხვედრია), მხოლოდ (ბუნების მშვენებით აღტაცებულნი) შევხარით ზეცას, კედლის ახლოს ჩრდილში აყვავებულ ვაშლს. ვუყურებთ მერცხალს, ვჩერდებით, ვკამათობთ საიდან უბერავს ქარი.

შუა გზაზე მომაგონდა, რომ დღეს გლოდისათვის არ მიკოცნია. შეგირდებს ვეუბნები: თქვენ წადით, მე კი აქეთ შევუხვევ და რიუსთან დაგეწევით-მეთქი.

სახლს რომ მივუახლოვდი, მარტინა დუქანს რეცხდა. გაუჩერებლივ მუსაიფობდა, ყბედობდა. ლაყბობდა ერთთან, მეორესთან, ქმართან, ბიჭებთან, შეგირდთან, გლოდისთან და სამიოდე მეზობელ დე-

დაკაცთან. კისკისებდა, ხითხითებდა ისე, რომ ლაყბობას და ყბედობას არ წყვეტდა და როდესაც გაათავა, ყბედობა კი არა, რეცხვა, გამოვიდა და ერთი მოქნევით გადმოღვარა თასლიდან წყალი. კარიდან რამდენიმე ნაბიჯზე ვიდექი, მსურდა ცქერით დავმტკბარიყავი, გულსა და თვალს ახარებს ჩემი მარტინა. რომ იცოდეთ რა ნაჭერია. უჰ! ნახევარი წყალი ფეხებზე მომასხა. ამაზე სიცილს უმატა, მეც ვალში არ დავრჩი და ავტეხეთ ერთი სიცილ-ხარხარი. მარტინას შუბლზე თმა ჩამოშლოდა. ხშირ წამწამებიანი თვალები და ნაკვერჩხლებზე უფრო წითელი და ქლიავივით ფუნჩულა ტუჩები უცინოდა. იდგა ეს გალების ქვეყნის მშვენიერი ასული და ცხვირწინ მიცინოდა. მკერდგაღეღილი იყო, მკლავტიტველა, კაბაც გაბედულად ჰქონდა აკეცილი.

მითხრა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება. მოგხვდა თუ არა?

ვუპასუხე:

— მომხვდა, სულო და გულო, მაგრამ არა უშავს, წყლისა არ მეშინია, თუ მის დალევას არავინ მაძალებს.

— შემოდი და გვნახე, წარღვნას გადარჩენილო, ნოე მეევნახე.

შევედი. დავინახე დახლის ქვეშ ჩაცუცქული მოკლე ჩიხორიანი გლოდი.

— სალამი პატარა მეფუნთუშეს.

—გინდა დაგენაძლეო, -- მეუბნება მარტინა, — რომ ვიცი, ასე დილაადრიან რად გამოხვედი სახლიდან.

— ნაღდზე ნაძლეობ, იცი, არ წააგებ. რა თქმა უნდა, მიზეზი იცი, შენ ხომ მისი ძუძუ გიწოვია.

-- დედა გეჩხუბა, არა?

— სხვა ვინ იქნებოდა?

— რა ლაჩრები ხართ მამაკაცები!

ფლორიმონმა, რომელიც ამ დროს შემოვიდა, მიირთვა ქათინაური და აიფხორა, ვით ინდაური. ვუთხარი:

— ეს მე მომართვეს, ნუ იწყენ, ბიჭო!

— ორივეს გეყოფათ, ნუ ხარ მსუნაგი. — მითხრა მარტინამ.

ფლორიმონი მაინც შეურაცხყოფილი დარჩა. ნამდვილი ბურჟუაა. ვერ იტახს, როცა დასცინიან. სწოლედ აძიტომ მე და მარტინას ერთად რომ დაგვინახავს, სულ გვითვალთვალებს, უნდო თეალით ელო-

დება სიტყვებს, რომელთაც ჩვენი მოღიმარი პირი იტყვის. ეჰ! და საბრალო ალალმართლებს რა ოინებს არა გვწამებს!

გულუბრყვილოდ ვეუბნები მარტინას:

— ხუმრობ, მარტინა; მე ხომ ვიცი, ფლორიმონი ოჯახის ბატონია, ჩემსავით თავს არავის დააჩაგვრინებს. თანაც მისი ხათუნა ალერსიანია, მშვიდი, უენო, მოკრძალებული, ქმრის მონა-მორჩილი, გულჩვილი. ძამამისია პირწავარდნილი, სულ მე მგავს. აკი მეც საბრალო კაცი ვიყავი, გაუბედავი, მორიდებული, მივიწყებული!

— კმარა, გეყოფა, მალე მორჩები ხალხის გამასხარავებას? — მითხრა დაჩოქილმა მარტინამ, რომელიც ფანჯრებს შმაგი სიხარულით წმენდდა და აკრიალებდა (წმენდს და წმენდს, რაც შეუძლია).

ის მუშაობდა, მე ვუყურებდი. ლაზათიანი და მოურიდებელი სიტყვებით ვამკობდით ერთმანეთს. დუქანში, რომელსაც მარტინა ავსებდა თავისი მოძრაობით, ყბედობითა და ჯანსაღი სიცოცხლით, კუთხეში მივიწყებული იჯდა შუბლშეკრული და გაბღენძილი ბატონი ფლორიმონი. ჩვენს შორის თავს ცუდად გრძნობს. გაბედული სიტყვა და ჯანსაღი გალური ოხუნჯობა აშინებს, მის ღირსებას შეურაცხყოფს. ვერ გაუგია, ჯანმრთელი ადამიანი რომ იცინის. პატარა კაცია, ფერმკრთალი, ჩამომხმარი, დაღრეჯილი და ჩამომდნარი. ყველაფერზე ჩივის და წუწუნებს. კარგს ვერაფერს ამჩნევს, უთუოდ იმიტომ, რომ ცხოვრების სარკეში მხოლოდ თავის თავსა სედავს. აი, ახლაც, წვრილ კისერზე პირსახოცშემოხვეული, შეწუხებული აქეთ-იქით აცეცებს თვალებს და ბოლოს ამბობს:

— როგორც კოშკზე, ყოველი მხრიდან ქარი ქრის. ყველა ფახჯარა დაღებულია.

მარტინა მუშაობას განაგრძობს და ეუბნება:

— რას ბრძანებთ, მე კი სული მეხუთება.

ფლორიმონმა ცოტა კიდევ გაიბრძოლა (მართალი გითხრათ, არა უშავდა რა, სასიამოვნო და გრილი ქარი ქროდა)... ვეღარ გაუძლო და გაცოფებული კარში გავარდა. ჩაცუცქულმა მარტინამ თავი აიღო და მოსიყვარულე და დამცინავი ღიმილით თქვა:

— თონეს მიუბრუნდება.

გავიღიმე. ვკითხე, თავის მეფუნთუშესთან ძველებური განწყობა თუ კიდევ ჰქონდა. აუგი არ უთქვამს. აჰ! წყეული არამზადა, რომ აკუწო კიდეც, თავის შეცდომას არ აღიარებს.

— რატომაც არა, ის ჩემი გემოსია.

— მე კი შევეამდი, მაგრამ შენი დიდი პირისათვის ეს ნამცხვარი პატარაა, ლუკმადაც არ გეყოფა.

— უნდა დასჯერდე იმას, რაცა გაქვს, — მიპასუხა მან.

— კარგი სიტყვაა, მაგრამ გამოგიტყდები, პატარა ნამცხვრის ადგილას რომ ვიყო, დამშვიდებული ვერ ვიქნებოდი.

— რატომ? საშიში არაფერი აქვს, ჩემი სიტყვის პატრონი ვარ, მაგრამ იცის ამ არამზადამ, თუ მიღალატებს, ერთ დღესაც არ დავაყოვნებ და რქებს დავადგამ. ყველას საკადრისი უნდა მიეზღოს (კუთვნილს არ დავუკარგავ), ამიტომ კეთილინებოს და შეასრულოს თავისი ვალი.

— მთელი თავისი მოვალეობა.

— მაშ, როგორ? აბა, ერთი გაბედოს და ქალწული მეტისმეტი სილამაზისათვის დაიწუნოს!

— კუდიანო! არ ვცდები, სწორედ შენ იყავი, ციური ბრძანების მომტან ძელქორს რომ უპასუხე.

— მე ბევრ გაქუცულ ძელქორს ვიცნობ, რომელზე ბრძანებ?

— განა იმ ძელქორის ამბავი არ იცი, რომელიც ზეციერ მამას დედაკაცებმა გაუგზავნეს თხოვნით, რომ ახალშობილთ მყისვე ცუნცული დაეწყოთ? მამა უფალმა ბრძანა, „თანახმა ვარ (თავაზიანია ქალებთან), მხოლოდ ერთი პირობით: ამიერიდან ჩემი მრევლის ქალები, ასულები და გოგონები მარტონი დაწვნენ“. ძელქორმა ფრთის ქვეშ ამოიდო უფლის პასუხი და მოწიწებით წამოიღო. რომ დაბრუნდა, იმ დღეს მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ გავიგე, რა დღე დაადგა ზეციერის მოციქულს.

ჩაცუცქული მარტინა წმენდას შეეშვა, ხარხარი მორთო; მერე მუჯლუგუნი მკრა და მიყვირა:

— ბებერო ყბედო! კაჭკაჭივით ლაქლაქავ, ენას აღარ აყენებ, არ იღლები, ქაქანებ, ლათაიებს კაკანებ, აბა, მოწყდი აქედან, მითხარ, რის მაქნისი ხარ? ხალხს დროს რად აკარგვინებ? აბა, მალე მომშორდი. ხელში არ ჩამივარდე... ეგ უკუდო ფინიაც წაიყვანე, ფეხებში რომ მედება. აქეთ მოდი! დიახ, დიახ, შენი გლოდი. ისევ გამოაგდეს სახაბაზოდან, უთუოდ იმიტომ, რომ ცომში ჩაყო თათი (ცხვირიც გათხუპხული აქვს). აცხა! მოუსვით აქედან, მუშაობას ნუ მიშლით. არ მათქმევინოთ მეტი, თორემ მოვიდა კეტი.

კარში გამოგვყარა. ჩვენ კმაყოფილები გავუდექით გზას, რიუსკენ გავწიეთ, მხოლოდ ცოტა ხნით იონის პირას შევისვენეთ. თევზაობას ვუყურებდით, რჩევა-დარიგებას ვიძლეოდით, გვალაღებდა ტივტივას ყვინთვა, ანდა მწვანე და სარკესავით კრიალა ზედაპირზე ნაფოტას ხტუნვა. მაგრამ გლოდიმ უცებ შეამჩნია, ანკესზე ჭია სიცილისაგან რომ იგრიხებოდა და უკმაყოფილოდ მითხრა:

— პაპა, სტკივა საცოდავს, უთუოდ შეჭამენ.

— ეჰ, ჩემო პატარავ, უთუოდ! შეჭამონ. ეგ დიდი უბედურება როდია. არ უნდა იფიქრო ამაზე. სჯობს იმ თევზზე იფიქრო, ვინც მაგ ჭიას ჩაყლაპავს და იტყვის: „გემრიელია“.

— შენ რომ ჩაგყლაპონ, რაღას იტყოდი?

— იმასვე: „ვაჰ! გემრიელი ვარ განა! ბედნიერი სალახანა! ბედნიერია ვაჟკაცი, ვინც შემჭამს-მეთქი!“ ამრიგად, ჩემო წრუწუნა, მუდაჰ-ჟამს კმაყოფილია შენი ბებერი პაპა: თვითონ ჭამს თუ მას ჭამენ, როგორც გინდა, ისე გაიგე. ბურგუნდელისათვის ორივე კარგია.

ასეთი ბაასით, ჯერ თერთმეტი საათიც არ იყო, რომ რიუსთან გავჩნდი. ნაპირზე გაწოლილი კანია და რობინე არხეინად მელოდებოდნენ, წინდახედულ ბინეს ანკესი წამოეღო და ლიფსიტას ელაციცებოდა.

საწყობში შევდივარ. როგორც კი შიშველ, გატიტვლებულ, მშვენიერ და გაწოლილ ხეებს შორის გავჩნდები ხოლმე, როგორც კი ნახერხის საამო სუნი ცხვირში მეცემა, გამოგიტყდებით, სულ მავიწყდება, რომ დრო და წყალი მიედინება, ვერ ვძღები მათ ბარძაყებში ხელის ფათურით. ხე ქალზე მეტად მიყვარს. ყველას თავისი ხუსტური სჭირს. მართალია, კარგად ვიცი, რომელი მინდა, მაგრამ მერე რა? სულთანთან რომ ვიყო და ბაზარზე ოც ტიტველ ლამაზთა შორის დავინახო ის, რომელიც მიყვარს, როგორ გგონიათ, ჩემი სატრფოს სიყვარული ხელს შემიშლის გზადაგზა თვალი დავატკბო დანარჩენების სიტურფით? არა, ასეთი სულელი როდი ვარ. მაშ, რა ჯანდაბად მომცა უფალმა თვალები, თუ სიტურფის დანახვაზე უნდა დავხუჭო? არა, გახელილი მაქვს თვალები, ვით ალაყაფის კარები. ყველაფერს იტევს, არაფერი იკარგება და ბებერ გაქნილს იოლად შემიძლია ამოვიკითხო ცბიერ დედლების კანქვეშ მათი სურვილი, სიმუხთლე და ვერაგი ფიქრი, ისევე როგორც ჩემი ხეების გლუვი ან ხორკლიანი ქერქის ქვეშ შემიძლია დავინახო დატყვევებული სული, რომელიც გამოიჩეკება კვერცხიდან, თუ კრუხად ჯდომა ვინებე.

და სანამდე ვინებებდე, მოთმინებადაკარგული კანია (ეგ უმიჭამია; მხოლოდ ბებრებმა ვიცით ჭაშნიკის გემო), თათხავს იონის მეორე ნაპირზე ძოხეტიალე ანდა ბეიანის ხიდზე აყუდებულ რამდენიმე მეტივეს. გარეუბანში სხვადასხვა ჩიტუნები არიან, მაგრამ ჩვეულება ერთი და იგივე აქვთ: მთელი გრძელი დღე საჯდომებით ხიდების კიდეზე მოჯაჭვული სხედან და მეზობელ დუქანში პირს ისველებენ. საუბარი ბოვრონელ ბიჭსა და ბეთლემის შვილს შორის ჩვეულებისამებრ უხეირო ხუჭრობით იწყება. იუდეის ბატონები ჩვენ გლეხებს, ბურგუნდელ ლოკოკინებს და ნეხვიჭამიებს გვიწოდებენ. ჩვენ კი, ამ ქათინაურების პასუხად მათ „მყვარებსა“ და ქარიყლაპიების ღრანჭებს ვეძახით... ჩვენ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ, როდესაც მესმის ლიტანიების გალობა, ჩემი „Ora pro nobis!“ რომ არ დავურთო, არ შემიძლია. გული არ მიშვრება. როდესაც გელაპარაკებიან, თავაზიანობა მოითხოვს, პასუხი გასცე. ლამაზი სიტყვებით რომ გავუმასპინძლდით ერთმანეთს (ვაიმე! შუადღის ლოცვას რეკენ. ჰეი, დრო! ჰეი! შენი საათის ქვიშა იცლება. რა ჩქარა გარბის ეს სატიალე!), ყოჩაღ მეტივეებს ჯერ ვთხოვე კანიასა და რობინეს დატვირთვაში შეშველებოდნენ. ბერე ურიკაში გაბმულიყვნენ და ტვირთი ბოვრონში წაეღოთ. ბევრი იყვირეს:

— ბრონიონ! ეშმაკის კერძო! მორიდებაც რომ არა გაქვს!

ბევრს ყვირიან, მაგრამ მაინც მეხმარებიან, მაინც ვუყვარვარ.

დაოთხილი მივქროდით უკან. დუქნების კართან შეყრილი ხალხი აღტაცებული იყო ჩვენი გულმოდგინებითა და გაოცებული გვიყურებდა; მაგრამ როდესაც ჩემი „ცხენები“ ბოვრონის ხიდს მიადგნენ და დაინახეს სამი ერთგული ბეღურა, ფეტიუ, გადენი და ტრინკე, რომლებიც ისევ წყლის დინებას უყურებდნენ, გაჩერდნენ ფეხები და ფიცხლად დატრიალდნენ ენები. ერთნი ლანძღავდნენ ამათ იმიტომ, რომ ესენი რაღაცას შვრებოდნენ, მეორენი კიცხავდნენ იმათ, რადგან ისინი არაფერს აკეთებდნენ... მომღერლებმა მთელი რეპერტუარი შეასრულეს. მე კი კუნძზე მიმჯდარი შეჯიბრის დამთავრებას ველოდი, რომ გამარჯვებულებისათვის ჯილდო გადამეცა. უცბად ვიღაცამ ყურში ჩამჩხავლა:

— ყაჩაღო! დაბრუნდი განა! მეტყვი თუ არა, ცხრა საათს აქეთ ბოვრონიდან ბეიანამდე დრო რაში დაკარგე? სახლში გასწი, ავაზაკო! შენს ლოდინში სადილი დამეწვა.

ვთქვი:

— ჯილდო შენია. მეგობრებო, ნუ ირჯებით: სიმღერაში მაგასთან ძუძუმწოვრები ბრძანდებით.

ქალს ჩემი ქება თავში აუვარდა და კიდევ ერთი არიით დაგვატკბო. ვიყვირეთ:

— ვაშა!.. ეხლა კი შინ წავიდეთ. უკან მოგყვები, გამიძეხ წინ!

• • •

ცოლმა პატარა გლოდის ჩაავლო ხელი და ორივე შეგირდის თანხლებით შინისაკენ გასწია. მორჩილად, თუმცა აუჩქარებლად, ის იყო, უკან უნდა მივყოლოდი, რომ ზემო ქალაქიდან მხიარული ხმები მოისმა. ატყდა ბუკების ძახილი, წმინდა მარტენის კოშკიდან ზარების ლაღი გუგუნი. ბებერმა მეძებარმა ჰაერი დავყნოსე, ახალი სანახაობა ვიგრძენი. დღეს ბატონ დე ამაზის და მადმუაზელ ლუკრეცია დე შამპოს, ხარკისა და ბეგარის ამკრეფის ასულის, ქორწილი იყო.

ნეფე-დედოფალი და მათი მაყრები რომ ენახათ, ციხე-კოშკის მოედნისკენ გაეშურა ყველა. მეც არ ჩამოვრჩი და ვიკადრე რბენა. ყოველდღე როდი გვაქვს ამისთანა წყალობა. საამური. სანდომი: მხოლოდ ტრინკემ, გადენმა და ფეტიუმ არ ინებეს აეწიათ წყლის ნაპირზე მოხრახნილი საჯდომები, თქვეს, გარეუბნის მკვიდრებს არ გვეკადრება ციხე-კოშკის მცხოვრებთ ვეახლოთო. კარგია ქედმაღლობა, მიყვარს თავმოყვარეობა, მაგრამ მათ ვანაცვალო მოლხენა და გართობა?.. ნურას უკაცრავად, ეგ რა სიყვარულია? კარგად გნახეთ, დიდი, დიდი მადლობა; მაგონდება, მოძღვარი ჩემს პატარა ბიჭობაში რომ მცემდა და ამბობდა, თითქოს ამას ჩემი სიკეთისათვის სჩადიოდა...

მიუხედავად იმისა, რომ ერთი ნახტომით გადავევლე ოცდათექვსმეტსაფეხურიან კიბეს, წმინდა მარტენის ეკლესიისკენ რომ მიემართება, მაინც დავაგვიანე (ბედი არ გინდა!), ნეფე-დედოფალი და მათი ამალა უკვე ეკლესიაში იყვნენ. ასე რომ, იძულებული გავხდი მათი გამოსვლისათვის დამეცადა. აბა, მათ უნახავად შინ რა წამიყვანდა. მაგრამ ამ წყეულ მღვდლებს არასოდეს ეღლებათ ენა და არ ბეზრდებათ საკუთარი გალობის სმენა, და დრო რომ მომეკლა, ეკლესი-

აში შევედი. ამისათვის თავაზიანად მივწი-მოვწიე ღიპები და ლამაზ-ძანების ხორცშესხმული ბალიშები. კარიბჭეს რომ მივაღწიე, ცოცხალი საბნის ქვეშ აღმოვჩნდი, თითქოსდა ბუმბულის თბილ ლოგინში. გამოგიტყდებით, წმინდა ადგილი რომ არ ყოფილიყო, თავში ცუღლუტი აზრები მომივიდოდა, მაგრამ კაცს სიდინჯე შვენის. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს და როდესაც სიდინჯე მმართებს, შემიძლია ვირივით დინჯი ვიყო. ოღონდ ხდება ხოლმე, რომ ვირი ვირობას ვერ დამალავს და ყროყინს იწყებს. ასე მოხდა ამ დღესაც: იმ დროს, როდესაც კრძალვითა და რიდით მივიწევდი წინ, რათა უკეთ დამენახა, ქალწულ ლუკრეციას როგორ მიჰქონდა თავი ზვარაკად ამაზის საძსხვერპლოზე, გაისმა, მოწმეა წმინდა ჰუბერი, ოთხი სანადირო ბუკის გუგუნი, რომელმაც მონადირის პატივსაცემად ბანი მისცა წირვა-გალობას; ძაღლების ხროვაღა აკლდა, აფსუს! ძლივს შევიკავე სიცილი და, რა თქმა უნდა, ბუკების გუგუნს სტვენით ავყევი (ისე, ჩუმად, მხოლოდ ჩემთვის). და აი, დადგა საბედისწერო წუთი, როდესაც საცოლემ ცნობისმოყვარე მღვდლის კითხვაზე „დიახ“ უპასუხა და დაბერილმა ლოყებმა ნადირის დაჭერის აღსანიშნავად დასცეს დაფი-ნაღარა. ეს მეტისმეტი იყო. ვერ მოვითმინე და შევყვირე:

— არ გაუშვა! ჰკა მაგას!

წარმოიდგინეთ, რა სიცილი ატყდა. წარბშეკრული მნათე ჩემკენ გამოემართა. თავი მოვიკატუნე, კურტუმოებს შორის გავძვერ-გამოვძვერი და კარში გამოვედი.

მოედანზე აღმოვჩნდი. აქაც ხალხმრავლობა იყო. სულ ჩემსავით პატიოსან ხალხს მოეყარა თავი, იმათ, ვისთვისაც ღმერთს თვალი საკჭერლად და ყური სასმენად მიუცია. ზოგჯერ გაგონილსაც დასჯერდებიან, ენა ხომ უჭრით, რომ მოყვნენ ამბავს, რაც არ უნახავთ. რა სავალდებულოა თვითონვე ნახო ის, რასაც ჰყვები. გაგიხარია, გზა მივეცი ჩემს აღმაფრენას!.. კარგად რომ იცრუო, რომ მიედ-მოედო, საჭირო არ არის შორი ქვეყნიდან იყო მომავალი. ასე რომ, დრო ჩქარა გავიდა, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, და აი, ორღანების გუგუნში გაიღო ეკლესიის მთავარი კარი. გამოჩნდნენ ნადირობის მონაწილენი: თავში დიდებით მოსილი ბატონი ამაზი მოდიოდა და ხელკავით მოჰყავდა ნანადირევი, რომელიც პრანჭვითა და მანჭვით აქეთ-იქით აცეცებდა ჯეირანივით ლამაზ თვალებს... რა კარგია, გეუბნებით თქვენი მონა-მსახური, რომ მე არ მევალება ამ ლამაზის თვალყური. ვინც

გაუღებს სახლის კარებს, ბევრს ინანებს, ბევრს იდარდებს. ვინც მოიტანს ნანადირევს. ლამაზ რქებსაც ის მოირგებს...

უნდა გითხრათ. რომ კარგად ვერ დავინახე ვერც ნადავლი და ვერც მონადირე, და ვერ აღვწერ (ბაქიობაში კი ნუ ჩამომართმევთ), თუ რა ფერისა იყო სამოსელი ბატონისა, ანდა კაბა ლამაზი ქალბატონისა, რადგან ზუსტად იმ დროს ჩემი გონება და ყურადღება მეტად მნიშვნელოვანმა საკითხმა მიიპყრო: საქორწილო კორტეჟის წესრიგმა და მონაწილეთა უფროს-უმცროსობის საკითხმა. მიამბეს, რომ შესვლისას (ვაიმე! ვაიმე! რატომ ჩემი თვალით ვერ ვნახე), თურმე სამთავროს მოსამართლე, იგივე პროკურორი და მუნიციპალიტეტის მრჩეველი, იგივე მერი, ერთმანეთს დაეჯახნენ, როგორც ორი ერკემალი. მაგრამ ქალაქის თავი უფრო მსხვილი და ღონიერი აღმოჩნდა და პირველი შევიდა; ახლა კი გვსურდა გაგვეგო, ეკლესიიდან გამოსვლისას პირველი ვინ გვიჩვენებდა პირს. ვის გამოყოფდა ცხვირს. სანაძლეოსაც კი ვდებდი. მაგრამ არავინ გამოდიოდა. შუაზე გაწყვეტილი გველივით საქორწინო კორტეჟის თავი მიჰყვებოდა გზას, ტახი კი არა ჩანდა. მივუახლოვდით კარის ზღურბლს და დავინახეთ ერთმანეთის პირისპირ ჩვენი ორი გააფთრებული ხვადაგი. ერთმანეთს გამოსვლას უშლიდნენ. და ვინაიდან წმინდა ადგილას ყვირილს ვერ ბედავდნენ, აცმაცუნებდნენ ცხვირსა და ლაშებს, კარკლავდნენ თვალებს, იბღინძებოდნენ, შუბლს იკრავდნენ. ხვნეშოდნენ, იბერებოდნენ, მაგრამ უსიტყვოდ, ჩუმად. ჩვენ კი ვიჭაჭებოდით. ბოლოს დავნაძლევდით, ორ ბანკად გავიყავით, ხნიერნი ბატონ ჰერცოგის წარმომადგენლის, ბატონი მოსამართლის მომხრენი ვიყავით (ვისაც პატივისცემა უნდა, ის სხვის პატივისცემასაც ქადაგებს). მამლაყინწები ჩვენი ქალაქის თავს ემხრობოდნენ. ჩვენ თავისუფლებათა ფალავანს. ყველა ყვიროდა, ყველა თავის ფალავანს აქეზებდა:

— ქს! ქს!.. მიდი, ბატონო გრასე! ბიბილოზე უკბინე, პეტო ბატონო! ასე, ასე, მაგრად მოაკვნიტე! ხმა ჩააწყვეტინე, აუ! აუ! არ შეშინდე, ვირიკელა!..

მაგრამ ეს ჯაგლაგები ერთმანეთს მხოლოდ ცოფს აყრიდნენ პირში, მკლავს კი არ იშველიებდნენ, ლამაზი ტანსაცმლის დახევისა თუ ეშინოდათ... ასე რომ, მათ აყალ-მაყალს ბოლო არ მოეღებოდა (მათ ენას რა ჭავლი მოედებოდა), ბატონი დეკანოზი სადილზე დაგვიანების შიშით დავაში რომ არ ჩარეულიყო.

— ძვირფასო შვილებო, უფალი გისმენთ. სადილი გელოდებათ, არ ხამს სადილზე დაგვიანება და ჩვენი დავიდარაბით უფლის შეწუხება და ისიც მის წმინდა სამლოცველოში. მოდით და ჩვენი თეთრეული შინ გავრეცხოთ...

მე არაფერი მსმენია და ასე თუ არ უთქვამს, ყოველ შემთხვევაში, აზრი ასეთი უნდა ყოფილიყო: რადგან დავინახე, რომ მოძღვარმა თავისი მსხვილი ხელები კისერში ჩაავლო და შესარიგებლად ერთმანეთს დაუახლოვა მათი დრუნჩები; ორი დედაბოძივით პეტო და გრასე მოედანზე ერთად გამოვიდნენ. გული არავის დასწყვეტია, ბატონების დავაში ხალხი არ არის ზარალში.

* * *

ყველა წავიდა. თავი ციხე-დარბაზს შეაფარეს, რომ ეჭამათ ტკბილად შენელებული და ასეთი ჯაფითა და შრომით მოპოვებული სადილი. ჩვენ კი, ტუტრუცანები, მოედანზე უჩინარი ქოთნის ირგვლივ ვაძთქნარებდით და საჭმლების სუნით ვძღებოდით. მეტი სიამოვნება რომ მიმეღო, ჩამოვათვლევინე კერძები. სამი მსუნაგი ვიყავით: ბატონი ტრიპე, კეთილი ბოლდეკენი და ბრონიონი, თქვენი მონაძორჩილი. ყოველი კერძის დასახელებაზე ერთმანეთს ვუცინოდით და ძუჯლუგუნებს ვკრავდით, მოგვწონდა ერთი კერძი, მეორეს წუნს ვდებდით, ვამბობდით, შეიძლებოდა უკეთ შეენელებინათ, ჩვენისთანა გამოცდილ ხალხს რომ მოთათბირებოდნენო. მაგრამ საბოლოო ჯამში ვერც გრამატიკული შეცდომა ვიპოვეთ და ვერც მომაკვდინებელი ცოდვა. საერთოდ, სადილი საამოდ გამოიყურებოდა; მხოლოდ კურდღლის რაგუზე გამოვთქვით ჩვენი აზრი, მსმენელებმაც თავიანთი ჩაურთეს და მალე გაიმართა კამათი (მეტად საჭირბოროტო თემაა და ძალიან ცუდი კაცი უნდა იყო, რომ ამაზე მშვიდად და გულცივად ილაპარაკო). კამათი მეტად გამწვავდა პერინასა და ჟაკოტას შორის. ჩვენს ქალაქში დიდ ნადიმებს ეს ქალბატონები ამზადებენ და სულ ერთმანეთის ქიშპობაში არიან, თითოეულ მათგანს თავისი პარტია ჰყავს, სუფრაზე ერთიმეორის დაჩრდილვას ცდილობენ. მათი ჭიდილი მშვენიერი პაექრობაა. ჩვენს ქალაქებში გემრიელი სადილები მოსახლეთა ნამდვილ ასპარეზობად იქცევა ხოლმე. მართალია, მარილიანი

დებატების დიდი მოყვარული ვარ, მაგრამ ისე არაფერი მოლის, როგორც სხვისი საგმირო საქმეების მოსმენა. როდესაც თვითონ გულხელი მაქვს დაკრეფილი და დამუნჯებული მაქვს ენა. ისეთი კაცი როდი ვარ, რომ ჩემი ფიქრების წვეხითა და იმ კერძების ახოდილით ვიკვებო, რომელთაც თვითონ არ ვჭამ: ამიტომ ცას ვეწიე სიხარულით, როდესაც ტრიპე ბატონმა მითხრა (ეტყობა, ისიც იტანჯებოდა):

— ბრონიონ! როდესაც ბევრს ყბედობენ გემრიელ კერძებზე, კაცი იმ "შეყვარებულს ემსგავსება, რომელიც სიყვარულზე ლაპარაკით ვერ ძღება. მეტი არ შემიძლია. ვაიმე! ვიღუპები. მეგობარო, ალი მედება, ვიწვი, კუჭმაჭი მეფუფქება. წავიდეთ, ყელი ჩავისველოთ, დავაბოროთ ნადიო, შიგნეულობას რომ მიღრღნის.

— კისერს მოვუგრეხთ, ბოლოს მოვუღებთ, ჩემი იმედი გქონდეს. "შიმშილი რამ მოკლა და კარგმა ქეიფმაო, ასე ამბობდა თურმე ჩვენი წინაპარი.

დიდი ქუჩის კუთხეში მდებარე „საფრანგეთისა და დოფინეს" სასტუმროში გავემართეთ. ორი საათის შემდეგ შინ დაბრუნებაზე არც კი ვფიქრობდით. ტრიპესაც ჩემსავით ეშინოდა, რომ გაციებული სადილი და ათუხთუხებული ცოლი დახვდებოდა. ბაზრობა დღე იყო. მილეთი ხალხი ფუსფუსებდა დარბაზში. თუ მაგიდასთან მარტო და ლაღად ხარ, რაღა თქმა უნდა, კარგად ჭამ, მაგრამ, როდესაც კარგი მეინახეებით გარშემორტყმული ვიწროდ ზიხარ, უკეთ ილუკმები. მაშ, ყველაფერი რიგზეა.

ერთხანს "შევწყვიტეთ სჯა-ბაასი. ვსაუბრობდით მხოლოდ in petto, ესე იგი, გულითა და ყბებით, ერთ კომბოსტოთი შეკაზმულ და ახლად დამარილებულ შაშხთან, ვარდისფერი, გემრიელი და სურნელოვანი ორმ იყო და ენაზე გვადნებოდა. ამას დავუმატეთ წითელი ღვინის ხელადა. თვალებიდან ნისლი რომ გაეფანტა. ხნიერნი ამბობენ. რომ ჭამო და არ დალიო, არ შეიძლება, თვალის ჩინი დაგეკარგებაო. მერე მხედველობადაწმენდილნი და ყანყრატოგარეცხილნი კვლავ შეეუდექი ადამიანებისა და ცხოვრების პატივისცემით თვალიერებას. მაძღარ კუჭზე ყველაფერი ლამაზი გეჩვენება.

მეზობელი სოფლიდან მოსულ, გვერდით მაგიდასთან მჯდომ მღვდელს ერთი ხნიერი, ზურგაფხორილი ფერმერი დედაკაცი ეჯდა. დედაბერი ხან მღვდლისკენ გადაიხრებოდა, ხან თავს მხრებში ჩამალავდა, ხან განზე გადახრიდა, ხან კიდევ მოძღვარს ნეტარად მიაპყ-

რობდა თვალებს, თითქოს აღსარებაზე დგასო; ყურადღებით უსმენდა მოძღვარი და, როგორც თავაზიანი კაცი, რევერანსზე რევერანსით პასუხობდა, მადიანად ილუკმებოდა და თითქოს ეუბნებოდა: „კეთილი, კეთილი, შვილო ჩემო, absolvo te. უფალმა ყველა ცოდვები მოგიტევათ. უფალი მოწყალეა. კარგად ვისადილე. მოწყალეა უფალი, და ეს შავი ძეხვიც გემრიელია“.

ცოტა მოშორებით ჩვენი ნოტარიუსი მეტრ დელავო ერთ თავის კოლეგას უმასპინძლდება, ლაპარაკობს სათნოებაზე, ფულზე, ხელშეკრულებებზე, პოლიტიკაზე, რომაულ რესპუბლიკაზე (ის რესპუბლიკელია, როცა ლათინურ ლექსებს წერსო; მაგრამ ცხოვრებაში ფრთხილი და მეფის ერთგული კაცია).

უეცრად ჩემმა გამჭრიახმა თვალმა დარბაზის სიღრმეში აღმოაჩინა კოოვოლ-ლორგელი მზარეული პერენი; გახამებული ლურჯი ხალათი ეცვა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. პერენმა რაღაც წამოიძახა, წამოდგა და დამიძახა (დავიფიცებ, თავიდანვე დამინახა, მაგრამ იმ წუწკს და გაიძვერას ეუხერხულა, რადგან ორი წელია მასზე არის ვალადა ორი კაკლის კარადა). მოვიდა ჩემთან და ჭიქა მომაწოდა:

— გულით, სულით, გესალმები!..

...მომაწოდა მეორედ.

— თუ გსურს, გზა არ ამერიოს, ორივ ფეხით ხამს იარო!

...წუწკმა შემომთავაზა მასთან მეჭამა პური, სალახანას ეგონა რადგან ნასადილევი ვიყავი, უარს ვეტყოდი; მაგრამ ბევრი არ ვახვევწე. მაშინვე დავეთანხმე. მეტს რას გამოვრჩებოდი.

ასე რომ, კვლავ შევუდექი ჭამას, მაგრამ ამჯერად უფრო მშვიდად, უფრო დინჯად. შიმშილისა უკვე არ მეშინოდა. თანდათან წავიდ-წამოვიდნენ უშნო მჭამელნი, დაკავებული ხალხი, ვინც არც ჭამა იცის და არც სმა და ხვადაგვით მხოლოდ იმიტომ ჭამს, რომ გაძღეს. დარჩა ხნიერი ხალხი, ვინც კარგის, მშვენიერისა და ნებიერის ფასი იცის, ვისთვისაც კერძი გემრიელი, საქმეა მშვენიერი. კარი ღია იყო. შემოვიდა ჰაერი, მზე და სამი თამამი შავი ქათამი; კისერგაგრძელებულნი კენკავდნენ ნამცეცებს და კორტნიდნენ მიძინებული ბებერი ძაღლის თათებს; ქუჩიდან ისმოდა ქალების ჭარტალი, მუშების ყვირილი, მეთევზის ძახილი: „თევზი, ახალი თევზი“ და სახედრის ლომისებური ბდღვინვა. მტვრიან მოედანზე ურემში შებმული ორი თეთრი სარი

უძრავად იწვა და დუქიანი დრუნჩებით არხეინად იცოხნებოდა. სახურავზე ჩამომსხდარი მტრედები ღუღუნებდნენ. იმდენად ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ მეც და, მგონია, სხვებიც მალე ავყვებოდით და ვინმეს ზურგზე ხელი რომ გადაესვა, კატებივით დავიწყებდით კრუტუნს.

შეიქმნა ერთი გადაძახება, ღრიანცელი. საუბარი გავაბით, ყველამ ერთად. ყველამ. ძმებმა, მეგობრებმა, მღვდელმა, მზარეულმა, ნოტარიუსმა, მისმა სტუმარმა და სასტუმროს დიასახლისმა. რომელსაც ბეზლა ერქვა (ეს მაცდური გვარი ბევრ რამეს გვპირდება კაცს და მახაც პირნათლად დაიმშვენა). უფრო მადიანად რომ მესაუბრა, ერთი მაგიდიდან მეორეზე გადავდიოდი, ვჯდებოდი ხან აქ. ხან იქ და თან პოლიტიკაზე ვლაპარაკობდი. ბედნიერება სრული რომ იყოს, ზოგჯერ დროთა ვარამზეც უნდა იფიქრო. ჩვენც ვწუწუნებდით სიღატაკეზე, სიძვირეზე, ცხოვრების სიძნელეზე, ჩვენი საფრანგეთის აოხრებაზე, ფრანგული მოდგმის დაცემაზე, მმართველებსა და მძარცველებზე. ვწუწუნებდით, მაგრამ ფრთხილად. არავის ვასახელებდით. დიდ ბატონებს ყურები აქვთ და ვინაა თავდები, რომ მათი ყურები კარებში არ გამოჩნდება; თუმცა ჭეშმარიტება ხომ ბურგუნდელი ტურფაა, რომელიც კასრის ძირში ცხოვრობს და მისი ძებნით აღგზნებულმა მეგობრებმა ნელ-ნელა ხმა აიმაღლეს იმ ბატონების წინააღმდეგ, ვინც შორს იყო. მედგრად დაესხნენ იტალიელებს, კონჩინის, ამ ტილს, რომელიც ფლორენციელმა ფაშფაშა ინდაურმა, ჩვენი ღირსეული მეფის მეუღლემ თავისი. კალთის ქვეშ დამალული თან მოიყვანა. თუ წაასწარით ორ ძაღლს, რომლებიც თქვენს მწვადს ჭამენ, და თუ ერთი თქვენია და მეორე კი სხვისი, თქვენსას გაჯოხავთ და სხვისას მოკლავთ: საწინააღმდეგო რამ რომ მეთქვა და თანაც სიმარილე გადამერჩინა. განვაცხადე. ორივე დაისაჯოს-მეთქი. ხალხს რომ ყური უგდო, იტყვი, საფრანგეთში სხვა სახადი არ არის, გარდა იტალიურისა. თუმცა ღვთის წყალობით არც სიავე გვაკლია და არც ავი კაცი-მეთქი. ყველამ ერთხმად მიპასუხა, რომ ერთი იტალიელი გაიძვერა სამ სხვას უდრიდა და რომ სამი პატიოსანი იტალიელი ერთი პატიოსანი ფრანგის მესამედადაც არა ღირდა. ვუთხარი: აქ იქნება თუ იქ, სადაც ადამიანები დადიან, ერთი და იგივე ხვადაგები არიან, მათ კი ყველგან ერთი ფასი აქვთ. კეთილი კაცი, სადაურიც არ უნდა იყოს, პატივისცემის ღირსია. ამას ისიც დავსძინე, რომ მიყვარს კაცი

წესიერი, გინდ იყოს იტალიელი. ამ სიტყვებზე ყველა ერთხმად, ყველა ერთად თავს დამესხა. დამცინეს, მითხრეს, ვიცით შენი გემოვნება, ბებერი გიჟი ხარ, ბრონიონ, მოუსვენარი, ყარიბი, მაწანწალა, ბრონიონ "შარახვეტია, ბრონიონ მოხეტიალე... ეს მართალია; ვინ მოსთვლის წინათ რამდენი მიბორიალია, რამდენი მიწოწიალია. ეს მაშინ იყო, როდესაც ჩვენი ახლანდელი ჰერცოგის ნეტარხსენებულმა მამამ მინანქრის, ფაიფურისა და ხელოვნების სხვა სახეობათა შესასწავლად მანტუსა და ალბისოლაში გამგზავნა. ხელობა ვისწავლე და ჩვენს მშობლიურ მიწაზე გადმოვიტანე, არ მოვრიდებივარ აოც გზებსა და არც ფეხები დამნანებია. მთელი მანძილი კომბლით ხელში სენ-მარტენიდან სენტ-ანდრე-მანტუანამდე ფეხით გავიარე. რა სასიამოვნოა ქუსლებით თვალუწვდენელი მიწა გადათელო და ფეხებით ზილო სამყაროს ცომი... მაგრამ ამაზე ბევრს ნუ ვიფიქრებთ, თორემ, მგონია, კვლავ კომბალი ავიღო ხელში და გზას გავუდგე... დამცინიან! ბერე რა? დაცინვას კაცი არ მოუკლავს, ეჰე! გალი ვარ, გალი, იმათი "შვილი, ვინც მთელ მსოფლიოს ძარცვავდა. სიცილით მეუბნებიან: „რა გაგიძარცვავს, რა მოგიტანია?" ის მომიტანია, რაც ჩემს წინაპრებს-მეთქი. არავისზე ნაკლები. სავსე თვალები, ცარიელი ჯიბე და შთაბეჭდილებებით სავსე თავი!.. ღმერთო ჩემო, რა საამოა ნახო, გაიგონო, იგემო და მოიგონო! ვიცი, ყველაფრის ნახვა და ცოდნა არ შეიძლება, მაგრამ, რისიც შეიძლება, ის მაინც მენახოს! მე ის ღრუბელი ვარ, ოკეანეს ხარბად რომ სწოვს, ან კიდევ მეტი, მიწის საამური წვენით სავსე, დაბერილი მწიფე ყურძნის მტევანი. ჰაი, დედასა, რა ბარაქიანი ღვინო დადგება, ვინმე რომ დამწურავდეს! არა, შვილოსა, გიჟი როდი ვარ, თვითონვე დავლევ! თქვენ ითაკილებთ: კეთილი და პატიოსანი. შემხვეწნი მოგიკვდეთ. ჩემთვისაც ასე სჯობს. იყო დრო, როდესაც მსურდა თქვენთვის გამეყო დაგროვილი ბედნიერების ნამცეცები, მოგონებანი შარავანდედიან მხარეებზე; მაგრამ ჩვენი კუთხის ხალხი არ არის ცნობისმოყვარე, მას მხოლოდ ის აინტერესებს, რას აკეთებს მეზობელი, ან კიდევ, მეზობლის ცოლი. დანარჩენი შორსაა და როგორ უნდა ერწმუნო. თუ ძალიან გინდა, წადი და თვითონვე ნახე! მე ისიც მეყოფა, რასაც აქ ვხედავ. „წინაც ჯურღმულია და უკანაც. არა, რითი გვჯობიან, ვინც რომიდან მოდიან!" კეთილი, კეთილი! ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ, ძალას არავის ვატან. არ გინდათ და ნუ გინდათ. მე კი ქუთუთოებქვეშ, თვალების წი-

აღში შემომინახავს რაც ამ ქვეყნად მინახავს. ბედნიერებას ძალიდ ვერავის შემოახვევ თავზე. სჯობს აქაური ქუდი დავიხუროთ, მათ ბედნიერებას ვეზიაროთ. ორი ბედნიერება, გეფიცებით ღმერთს, რომ სჯობია ერთს.

სწორედ ამიტომ მალულად ვხატავ დელავოს სიფათს და აგრეთვე მღვდლისას, რომელიც ლაპარაკისას ფრთებს აფრიალებს, ვუსმენ და მეც მათ ყაიდაზე ვმღერი: „რა საამოა, რა მოსალხენი, რომ ხარ კლამსელი!“ მაშ, როგორ! დიდებული ქალაქია. სხვანაირად არც შეიძლება, არ შეიძლება ქალაქი, რომელმაც მშობა, ცუდი იყოს. ადამიანთა მცენარე ხარობს, ლაღი, მგზნებარე, მშვიდი, მსუქანი, უეკლო, უბოროტო და უნაკლო, თუ არაფერს ვიტყვი დანის პირივით ალესილ ენაზე, მაგრამ ცოტას თუ იჭორიკანებ მოყვასზე (რომელიც ვალში არ დაგრჩება), ამით ის ავად არ გახდება, ჩვენ კი უფრო მეტად გვეყვარება და ბეწვსაც არ შევეხებით მის თავზე. დელავო გვახსენებს (და ყველანი ვამაყობთ, თვით მღვდელიც კი), რომ ჩვენი ნეველის საბთავრო მაინც ინარჩუნებს მშვიდ ირონიას მთელი სამყაროს სიგიჟის მორევში, რომ ჩვენი მოურავი რაგონი არ მიემხრო გიზებს, ლიგას, ერეტიკოსებს, კათოლიკებს, ღვთისმშობელს თუ ევას, რომს თუ ეენევას, გაცოფებულ ქოფაკებს ან ბოროტ ფოცხვერებს; მოიგონა წმინდა ბართლომე, ჩვენთან რომ იბანდა სისხლიან ხელებს. მაშინ ჩვენ, ჩვენი ჰერცოგის ირგვლივ მჭიდროდ შეკრულნი, გონიერების პატარა კუნძულს წარმოვადგენდით, რომელსაც ამაოდ ეხეთქებოდა ბობოქარი ტალღები... განსვენებული ჰერცოგი ლუი, ნეტარხსენებული მეფე ანრი, აბა როგორ შეიძლება ისინი მოიგონო და გული არ აგიჩუყდეს! როგორ გვიყვარდა ერთმანეთი. ისინი ჩვენთვის იყვნენ დაბადებულნი და ჩვენ კიდევ — მათთვის. ნაკლიც საერთო გვქონდა. მაგრამ ეს ადამიანური ნაკლი იყო და ერთმანეთს გვაახლოებდა. ღიმილით ამბობდნენ ხოლმე: „ნეველის ჰერცოგი ჯერ კიდევ მწვანეა“, ანდა „ჩვენი მეფე მექალთანეა, კიდევ ერთი ყმა გაგვიკეთა. წელიწადი უხვი იქნება. ბავშვები არ მოგვაკლდებიან“... ეჰ! აბა, მაშინ ვჭამდით შემწვარ-მოხრაკულს. ამიტომაც გვიყვარს იმ დროებაზე სჯა-ბაასი. დელავო ჩემსავით იცნობდა ჰერცოგ ლუის, მაგრამ მეფე ანრი მხოლოდ მე მინახავს და ამით ვსარგებლობ: ვუყვები მეასედ (მე კი მგონია, რომ პირველად, და თუ კარგი ფრანგები არიან, პირველად იქნება მათთვისაც), თუ როგორ ვნახე მეფე ნაცრისფერი, ქუდი

ნაცრისფერი, ტანსაცმელი ნაცრისფერი (დახეულ სახელოებში იდაყვები მოუჩანდა), ნაცრისფერ ცხენზე მჯდარი, ნაცრისფერთმიანი, ნაცრისფერთვალებიანი, გარედან სულ ნაცრისფერი, შიგნით კი ბაჯაღლო ოქრო...

საბწუხაროდ, ამ დროს ბატონი ნოტარიუსის უფროსი მწერალი მოდის, სიტყვას მაწყვეტინებს და დელავოს ეუბნება, ერთი შენი კლიენტი კვდება და გეძახისო. თუმცა დელავო ძალიან წუხს, მაგრამ, რა გაეწყობა, უნდა წავიდეს, წასვლამდე მაინც გვასაჩუქრებს ერთი აბით, რომელსაც მთელი საათი ამზადებდა (კარგად ვხედავდი, რომ ენის წვერზე ჰქონდა მომდგარი, მაგრამ როდი ვაცალე. ჯერ მე მოვყევ ჩემს ამბავს). მართალი უნდა ვთქვა, მარილიანი ამბავი იყო, ბევრიც ვიცინეთ. ოხუნჯობაში დელავოს ტოლი არა ჰყავს.

* * *

და როდესაც დავმშვიდდით, დავწყნარდით, განვიბანეთ თხემით ტერფამდე, ყველა ერთად გავედით... (მგონი, ხუთს თხუთმეტი წუთი აკლდა, ან ძლივს ხუთი საათი იქნებოდა... ეჰე, სამ მოკლე საათში მოვიმკე ორი გემრიელი სადილი, მხიარული მოგონებანი და ნოტარიუსისაგან ორი სკივრის შეკვეთა)... მეაფთიაქე რატრისთან მოცხარის ნაყენში დასველებული ბისკვიტები მივირთვით, დელავომ თავისი ამბის მოყოლა აქ დაამთავრა და სხვისიც რომ მოესმინა, მირანდოლამდე გამოგვაცილა, ჩვენი კამპანია აქ დაიშალა, მაგრამ დაშლამდე ცოტა ხნით კედელთან შეეჩერდით, რათა ნასვამის ბეგარა იქ მშვიდად გადაგვეღვარა.

ვინაიდან უკვე გვიან იყო, მაგრამ შინ დაბრუნებისათვის კი მეტად ადრე გახლდათ, ერთ მენახშირესთან ერთად, რომელიც თავის ურიკას გვერდით მისდევდა და საყვირს უკრავდა, ბეთლემისაკენ გავემართე. ლურდოს კოშკთან მეფორნე შემოგვხვდა, სირბილით მიაგორებდა ბორბალს და როდესაც ბორბალი სიჩქარეს შეანელებდა, მივარდებოდა და ფეხს ჰკრავდა; იმ კაცს ჰგავდა, რომელიც ბედის ბორბალს მისდევს და ჰგონია, ესაა დაეწიე და უნდა შევახტეო, ბორბალი კი გაურბის. ეს სურათი დავიმახსოვრე, რომ შემდეგში გამოვიყენო.

მაინც ვყოყმანობდი, ვერ გადამეწყვიტა, შინ დასაბრუნებლად

რომელ გზას გავყოლოდი, უფრო გრძელს. თუ უფრო მოკლეს. ამ ყოყმანში რომ ვიყავი, დავინახე, რომ პანტეხოიდან პროცესია გამოვიდა, წინ მოუძღოდა მუცელზე შუბივით დაყრდნობილი ჯვრით ერთი თითისტოლა ცუღლუტი, პატარას მეორე ძგალობელი ბავშვისთვის გამოეყო ენა, თვალები კი წმინდა ჯოხის ბოლოსკენ გაურბოდა. უკან ოთხ მოხუცს ბაჯბაჯით მიჰქონდა სუდარაში გამოხვეული მიძინებული, რომელიც მღვდლის ფრთისქვეშ მიემგზავრებოდა მიწაში ძილის გასაგრძელებლად. ... ...ილი კაცი ვარ და სამუდამო სასუფევლისკენ გავაცილე. უფრო მსიარულობ, როდესაც მარტო არა ხარ. ისე კი, გამოგიტყდებით, პროცესიას იმიტომ ავედევნე, რომ ქვრივისთვის მესმინა. ქალი მოძღვარის გვერდით მიდიოდა და ჩვეულებისამებრ გოდებდა, მოთქვამდა, ყვებოდა, ქმარი როგორ უკვდებოდა, როგორ ავადმყოფობდა და რა წამლებს იღებდა. დაწვრილებით გვიამბობდა ყველა მის ღირსებას, სულიერსა თუ ხორციელს; ერთი სიტყვით, როგორც საკუთარი, ისე თავისი ქმრის მთელი ცხოვრება გადმოგვიშალა. მის ელეგიებს მღვდლის გალობა ცვლიდა. დაინტერესებულნი მივდევდით უკან: ალბათ, თვითონაც მიხვდებით. რომ გზადაგზა ბლომად გვიერთდებოდნენ თანამგრძნობი და კეთილი გულები, სმენადქცეული დაცქვეტილი ყურები. როგორც იყო, მივაღწიეთ საუკუნო ტკბილ სასუფეველს. მიცვალებული პირდაღებული ორმოს წინ დაასვენეს; ვინაიდან საწყალ კაცს არ შეუძლია თავისი ხის პერანგი თან წაიღოს (ტიტველაც ტკბილად იძინებს), ყუთს სახურავი ახადეს, მკვდარს ზეწარი მოხადეს და ორმოში გადაუძახეს.

და, როდესაც მუჭა მიწა მივაყარე, რათა საწოლი შემესწორებინა, თან პირჯვარი გადავსახე, რომ ცუდ სიზმრებს მისთვის ძილი არ დაეფრთხო, გამოვბრუნდი მეტად კმაყოფილი: ყველაფერი ვნახე, ყველაფერი ვისმინე. გავინაწილე ჭირი და ლხენა და გავავსე ჩემი ქიშელა.

უკან წყლის პირს გამოვყევი, გადავწყვიტე, შინ დასაბრუნებლად ოლი მდინარის ,,შესართავთან ბოვრონს ავყოლოდი; მაგრამ ისეთი წარმტაცი საღამო იყო, რომ ,,შეუმჩნეველად ქალაქგარეთ აღმოვჩნდი და მომხიბვლელ იონს გავყევი. მდინარემ ლა ფორეს ხეობამდე მიმიყვანა. მდორედ მიდიოდა მშვიდი და გლუვი წყალი, ერთი ნაოჭიც კი არ აუშნოებდა მის ღია ფერის კაბას; წყალს თვალი ვერ მოვწყვიტე, ისევე, როგორც ანკესზე წამოცმული თევზი ვერ მოსწყვეტს პირს

ანკესს. ზეცაც ჩემსავით მოჰყოლოდა მდინარის ბადეს; თავის ღრუბლებიანად შიგ ბანაობდა და პაწაწინა, ფთილა ღრუბლები ლივლივით ჩამოჰკიდებოდნენ ბალახებსა და ლერწმებს; მზეც წყალში იბანდა თავის ოქროსფერ ფაფარს. მივუჯექი ერთ მოხუცებულს, რომელიც ორ მკლე ძროხას დარაჯობდა (ფეხს ძლივს ითრევდა საწყალი). ჯანმრთელობა გამოკითხე, ვურჩიე სუსხიანი ჭინჭარით დატენილი წინდა ჩაეცვა (თავისუფალ დროს მიყვარს ექიმბაშობა). ბერიკაცმა თავისი ამბავი მითხრა. მხიარულად მომიყვა თავის ჭირსა და ვარამს; იწყინა, რომ ხუთი თუ ექვსი წლით უფრო ახალგაზრდა მეგონა, ვიდრე სინამდვილეში ყოფილიყო (სამოცდათხუთმეტისა ვარო). ამით ქედმაღლობდა; ამაყობდა, რომ სხვებზე მეტი ეცხოვრა, მეტიც გადაეტანა; ბუნებრივად მიაჩნდა კაცს ვაება აეტანა, კეთილსა და ბოროტს ერთნაირად ეტანჯა და სწამდა, რომ ციური წყალობა თანაბრად ნაწილდება კეთილებსა და ბოროტებს შორის; ასე რომ, საბოლოო ჯამში ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი კარგადაა, ღარიბი თუ მდიდარი, ლამაზი თუ გონჯი, ერთ მშვენიერ დღეს ყველანი ერთი და იმავე მამის მკერდზე მიიძინებენ... მისი ფიქრები, ხრინწიანი ხმა, ისევე, როგორც ბალახებში ჭრიჭინების ჭრიჭინი, რაბის ჩუხჩუხი, ქარის მიერ ნავსადგურიდან მოტანილი ხისა და კუპრის სუნი, მშვიდად მდინარე წყალი, მშვენიერი ანარეკლები, ყველაფერი მწუხრის სიმშვიდეს ეხამებოდა, მასში დნებოდა.

წავიდა მოხუცი. უკან დავიწყვე ხელები და შინისაკენ გავემართე, გზადაგზა წყლის ზედაპირზე რგოლების ტრიალს ვუცქერდი. ბოვრონზე მოლივლივე სურათებით ისე ვიყავი გართული, რომ დამავიწყდა, სად მივდიოდი, არც ის ვიცოდი, თუ სად ვიყავი; ასე რომ, ანაზდად შევკრთი, როდესაც მომესმა მეტად საამური და კარგად ნაცნობი ხმა, რომელიც მდინარის მეორე ნაპირიდან მეძახდა... თურმე სახლში არ მოესულვარ! ფანჯრიდან ჩემი ცოლი, ჩემი სული საამური, მუშტებს მიღერებდა. თავი მოვიკატუნე, თითქოს არ დამენახოს, წყალს მივაშტერდი; მართობდა ხილვა იმის, თუ როგორ ბობოქრობდა და ანჩხლობდა ჩემი ცოლი მდინარის სარკეში. ხმას არ ვიღებდი, მაგრამ სიცილისგან მუცელი მიცახცახებდა. რაც მეტს ვიცინოდი, მით უფრო აღშფოთებული ყვინთავდა ჩემი სულიკო ბოვრონის ტალღებში. ბოლოს გაცოფებულმა კარი და ფანჯარა მიაჯახუნა და გრიგალივით ჩემკენ გამოქანდა... მაგრამ ჩემამდე რომ მოეღწია, წყალზე

უნდა გამოსულიყო. აქეთ ეცა, იქით ეცა, ორ ხიეს შუა ეიყავით. აირჩია საცალფეხო ხიდი, მარჯვნივ. რომ დავინახე, ამ გზით მოდიოდა, რა თქმა უნდა, მარცხნივ გავუხვიე, გავსწიე დიდი ხიდისაკენ, სადაც ეული გადენი დილიდან ყანჩასავით დაყუდებული იდგა.

სახლში ვარ. ღამეა. რა მალე გარბიან დღეები! საბედნიეროდ ტიტუსი არა ვარ, ის რომაელი უქნარა, რომელიც მუდამ ეამს იმას წუწუხებდა, რომ დღე დაკარგა; მე არაფერი დამიკარგავს. ჩემი დღით კმაყოფილი ვარ, ოღონდ არა მყოფნის, გული მწყდება, რომ ყოველი დღე ორი დღისოდენა არ არის. სმას დავიწყებ თუ არა, ჭიქა ცარიელია, ხანდახან ეპვიც კი შემეპარება, გაბზარული ხომ არ არის-მეთქი. ზოგიერთი კი წრუპავს სასმისს, სმას კი ბოლო არ უჩანს. ეპე! მათი ჭიქა უფრო დიდი ხომ არ არის? აბა! აბა! ეს ხომ საშინელი უსამართლობა იქნებოდა. ჰეი შენ, მანდ, მზის აბრიანო მერიქიფევ, დღეებს რომ გვისხამ, წესიერად დამისხი რაღა!.. მაგრამ არა, არა, იკურთხე უფალო; იკურთხე შენ, ვინც დამიწესე მაგიდიდან ყოველთვის მშიერი ავდგე და მიყვარდეს დღე (არც ღამეს ვწუნობ), არც ერთი არ მყოფნის. შენ მაინც სად გარბიხარ, აპრილო? დღეც რა ადრე გათავდა!.. არაფერია. მაინც კარგად გიგემე, ტურფა მთვარის დარი; ჩაგიხუტე, გულში ჩაგიკარ, დაგიკოცნე ძუძუები, ნეტარებავ გულისო, ტანწერწეტა ქალწულო, ტურფა გაზაფხულისო... ახლა შენი ჯერია! გესალმები, ჩემო ღამევ! მობრძანდი, გელი გაშლილი ხელით. ყველაფერს თავისი დრო აქვს! ერთად დავწვებით... ვაიმე! ვაიმე! ჩვენს შორის ხომ ის ჩაწვება... დაბრუნდა ჩემი დედაბერი...

V

დედოფალა

ქაისი.

ამ სამი თვის წინათ ანუას ციხე-დარბაზისათვის ბურჯებიანი კარადა შემიკვეთეს. სანამ მუშაობას შევუდგებოდი, გადავწყვიტე კიდევ ერთხელ დამეთვალიერებინა სახლი, ოთახი და ადგილი. ლამაზი ავეჯი ხილივითაა, ხეზე უნდა მოწყვიტო; როგორიცაა ხეხილი, ისეთია მისი ხილი. ვერ წარმომიდგენია მშვენიერება, რომელიც აქაც არის,

იქაც დადის, ყველას უღიმის, ყველას უცინის და ვით კახპა-როსკიპი პატივს იმას სცემს, ვინც რომ მეტს მისცემს. ასეთი ტურფა გზაჯვარედინების ვენერაა. ხელოვნება ჩვენთვის მშობლიური რამ არის, ოჯახის გენიაა, მეგობარია, ამხანაგია. ის ჩვენზე უკეთ გამოხატავს ჩვენს გრძნობებს; ხელოვნება ერთია, ჩვენი ოჯახის ღმერთია, რომ გაიცნო, ძის ბინას უნდა ეწვიო. ღმერთი შექმნილია ადამიანისათვის, ხელოვნების ქმნილება კი იმ გარემოსათვის, რომელსაც იფერებს და აგვირგვინებს. ლამაზი ის არის, რასაც ადგილი მოიხდენს.

ასე რომ, ადგილის სანახავად გავემართე, ადგილისა, სადაც შევძლებდი ჩემი ავეჯი დამემყნო; ნახევარი დღე იქ გავატარე, სადილიც იქ გეახელით. გიყვარდეს სული, მაგრამ, სხეულიც არ დაივიწყო. ორივე დავაპურე თუ არა, იქით წავედი, საიდანაც მოვედი. შინ კარგ გუნებაზე ვბრუნდებოდი.

გზაჯვარედინს მივადექ უკვე. კარგად ვიცოდი, რომელ გზას უნდა დავდგომოდი. მაგრამ მაინც მეორეზე მეპირა თვალი; იმაზე, რომელიც მინდვრებში ბრწყინავდა, ლამაზი, კოხტა, ყვავილებში ჩამჯდარი.

ჩემს თავს ვეუბნებოდი: „აჰ! რა კარგი იქნება, ეს ოხერტიალი, იმ მხარეში ყიალი. ეშმაკსაც წაუღია ეს შარაგზა, დღე გრძელი და კარგია, მეგობარო, ნუ გავრბივართ აპოლონზე სწრაფად. რა მეჩქარება. ლოდინისაგან დედაბერი არ დაკარგავს ლაილაის მადას... ღმერთო დიდებულო! რა საამო სანახავია ეს პატარა, თეთრად მორთული ქლიავი! მივიდეთ მასთან. მანძილი? დიდი არაფერია, — ხუთი თუ ექვსი ნაბიჯი. ნიავი მის პატარა ბუმბულებს ჰაერში დააფრიალებს: გეგონება, თოვლი მოდისო. აუ, რამდენი მოჭიკჭიკე ჩიტია! რა ნეტარება!.. ეს ნაკადულიც დუდუნით ბალახებში რომ მისრიალებს, თითქოს კატის კნუტი ხალიჩაზე მატყლის გორგალს ეთამაშებაო... მოდი და მივყვეთ. აი, ხეების მწკრივი გზას უღობავს. ვაიმე, ვაიმე, გამოიჭერენ საბრალოს... არა, გაექცა. ნეტავ, სად გაძვრა ეგ სალახანა?.. აქ არის, აი აქ, ბებერ და თავმოჭრილ თელას დასიებულ, ნეკრესიან და დაკოჟრილ ფესვებში. ერთი ამ თავხედს დამიხედეთ!.. მაინც სად ჯანდაბაში მივყევარ ამ გზას?..“

ასეთი ბაასით ფეხდაფეხ მივდევდი ჩემს ლაზღანდარა აჩრდილს; თავს ვიკატუნებდი, თითქოს არ ვიცოდი ფარისეველმა, სად მივყავდი ამ მაცდურ ბილიკს. ჰა, კოლაჯან, რა კარგად ცრუობ. ოდისევსზე უფრო საზრიანი ხარ და თავს იტყუებ, თავს იგდებ: შე სულძაღლო

შენა, მშვენივრად იცი, სადაც მიდიხარ! ქვეშქვეშავ, მაშინაც იცოდი, როცა ანუას ციხე-დარბაზიდან გამოდიოდი. აქედან ერთი საათის სავალზე ჩვენი ყოფილი ტრფიალის, სელინას, ფერმაა. მივალთ, უეცრად თავს წავადგებით, გავაკვირვებთ... მაგრამ ვინ უფრო გაკვირვებული დარჩება, მე თუ ის? რამდენი წელია, არ მინახავს! ნეტავი რა დარჩა ჩემი დედოფალას მშვენიერი სახისგან, ტურფა ლამაზმანისგან? ახლა ხომ თამამად შემიძლია პირისპირ შევეყარო, არ მეშინია, თუ თავისი გალესილი კბილებით დამიღრღნის გულს. ჩემი გული ხომ ბებერი ვაზის რქასავით გახმა. ნეტავ, კბილები თუ შერჩა? ეჰ, დედოფალავ, დედოფალავ, სიცილის დროსაც როგორ იკბინებოდნენ ეგ შენი კიბეები, როგორ აპამპულე საბრალო ბრონიონი! ბზრიალასავით ახტუნავე და ატრიალე. რა ვუყოთ, ეს თუ გართობდა, ღმერთმა შეგარგოს, ჩემო გოგონი, ღმერთო ჩემო, რა ტუტრუცანა ვიყავი.

მაგოხდება ჩემი თავი ახალგაზრდა, მთელ ამ მხარეში სახელგანთქმულ მოქანდაკე მედარ დანიოს შეგირდად რომ ვედექი. რაგზე იდაყვებით დაყრდნობილი ვარ და პირდაღებული მეზობლის ბოსტანში ვიცქირები. იქ სალათების, მარწყვების, მწვანე კიტრების, ვარდისფერი ბოლოკებისა და ოქროსფერი ნესვების მარგებში ლამაზი და შარდი გოგონა დადის. დადის ფეხშიშველა, მკლავტიტველა, მკერდგაღეღილი, ქერა ნაწნავები აქვს, უხეში ტილოს ხალათი მკვრივ ძუძუებს ამოუბურცავს და მოკლე კაბა მუხლებამდე ძლივს სწვდება. მზისაგან დამწვარი ხელებით ორ სავსე სარწყულს მცენარეების თავზე ხრის, იმათაც პატარა ნისკარტები დაუფჩენიათ და წყალს დასწაფებიან... და მეც, მოჯადოებულ კოლას, უკეთ რომ დამენახა, არც თუ ისე პატარა ხახა დამიფჩენია. მიდი-მოდის ლამაზი, ცლის სარწყულებს, მერე ისევ წყალსაცავისაკენ მიდის, ავსებს ორივეს, ლერწამივით წელში იმართება, უკან ბრუნდება, ვიწრო ბილიკებზე, დასველებულ მიწაზე ფრთხილად ადგამს თავის გრძელთითებიან ფეხებს, სიარულისას მწიფე ხენდროებსა და მარწყვებს რომ ეალერსებიან. ჭაბუკივით მრგვალი და მაგარი მუხლები აქვს. თვალებით ვეჭამ. თითქოს ვერ ამჩნევს, რომ ვუყურებ და თავის ჟუჟუნა წვიმის პკურებით სულ ახლო და ახლო მოიწევს; მომიახლოვდა, თვალთ ისარი მესროლა... ვაიმე! ამ ისარმა შიგ გულში დამკოდა. ვიგრძენ, მახეში გავები. რა კარგი ნათქვამია: „რა ქალის თვალი, რა დედაზარდლი". წამოვეგე თუ არა მის ანკესზე, ბორგვა დავიწყე... გვიანღა იყო!

დავრჩი ჩემს რაგვზე მიჯაჭვული... თითქოს მივავიწყდი, ყურადღებასაც არ მაქცევს, ჩაცუცქულა და კომბოსტოს რგავს; მხოლოდ დროდადრო გადმომხედავს. თვალს შემავლებს. ამოწმებს ვერაგი ნადირი, ხადავლი ხომ არ გამექცაო. ვხედავ, როგორ იცინის, ამაოდ ვეუბნები ჩემს თავს: საბრალო ძმაკაცო, მოუსვი აქედან, ხომ ხედავ, მასხრად გიგდებს-მეთქი. მაგრამ მის სიცილზე მეც ვიკრიჭები. უთუოდ გამოთაყვანებულის სიფათი მაქვს!.. და აი უეცრად განზე გახტა: ერთ, მეორე, მესამე მარგს გადაევლო, გარბის, ხტის, იქერს ბაბუაწვერას მფრინავ ბუსუსებს, რომლებიც ნებივრად მიცურავენ ჰაერის ტალღებზე, ხელს მიქნევს, მიყურებს და მიყვირის:

— გაბმულხარ ჩიტო მახეში!..

და ამის თქმაზე ღია მკერდში, ორ კოკორს შუა, ჰაერში მოცურავე ფაფუკ ნავსა დებს. მართალია, ბრიყვი ვარ, მარამ სატრფიალო საქმეებში არც ისეთი არიფი. ვეუბნები:

მეც იქ ჩამდევი-მეთქი.

გაიცინა ლამაზმა, დოინჯი შემოიყარა, ფეხები გაშალა და მომახალა:

— ერთი ამ მსუნაგს დამიხედეთ; დაგიდგება თვალები, შენთვის როდი მწიფდება ჩემი ქორფა ვაშლები.

ასე გავიცანი აგვისტოს მიწურულის ერთ საღამოს დედოფალა მალხაზი, ის მებაღე ლამაზი. დედოფალას იმიტომ ეძახდნენ, რომ იმ წვრილდრუნჩა ქალბატონს ჰგავდა: გრძელი ტანი ჰქონდა, პატარა თავი, პიკრდული ეშმაკუნა ცხვირი, წინ წამოწეული და ფართო პირი, რომ ეცინა და ეღრღნა გულები და კაკლები. მაგრამ ავდრის მომასწავებელი მზიანი დარის ნისლში მობანავე მისი მუქი ლურჯი თვალებიდან და დამცინავად მოღიმარე ბაგეების კუთხეებიდან, ტყის კეკლუც ფერიას რომ მიუგავდა, იშლებოდა ძაფი, რომლითაც ქერა ობობა ადამიანების ირგვლივ თავის აბლაბუდას ქსოვდა.

ამის შემდეგ მუშაობას ვუკელი და პირდაფჩენილი რაგვზე მანამდე ვიჯექი, სანამ დუნდულოებში უსტა მედარის ჯიგრიანი პანღური სინამდვილეს არ მომაგონებდა. ზოგჯერ დედოფალაც გაბრაზებით დამიყვირებდა:

— ხომ კარგად შემათვალიერე წინიდანაც, უკნიდანაც; სანახავი მეტი რა დაგრჩენია? კარგად უნდა მიცნობდე, მგონია.

მე კი თვალს ეშმაკურად ჩავუკრავდი და ვეტყოდი:

— ქალი და ნესვი ძნელი შესაცნობია.

რომ იცოდეთ, რა სიამოვნებით მოვჭრიდი ერთ ნაჭერს!.. არა, შეიძლება სხვა ხილზედაც არ მეთქვა უარი, ჭაბუკი ვიყავ, მქონდა მჩქეფარე, მდუღარე სისხლი, მგზნებარე გული, ათას ქალწულზე ვიყავ შეყვარებული; განა ეს მიყვარდა? ცხოვრებაში არის წუთები, როდესაც კაბაჩაცმული თხაც შეიძლება შეგიყვარდეს. არა, ბრონიონ, მკრეხელობ, სულ ტყუილია, რასაც ამბობ. პირველად ვინც გიყვარს, ის არის ნამდვილი საყვარელი, სანეტარო, საამური და სწორედ ის უნდა გიყვარდეს კუბოს კარამდე. ჩვენი წყურვილის მოსაკლავად გაუჩენია მნათობებს და უთუოდ მუდამ ჟამს იმიტომ მწყურია, რომ ის არ დამილევია. და ალბათ მთელი სიცოცხლე მეწყურება.

როგორ ვიყავით შეხმატკბილებული! ერთმანეთის თრევაში ვაღამებდით და ვათენებდით. ორივეს კარგად გვქონდა გალესილი ენა. ლანძღვა-გინებით მამკობდა, არც მე ვრჩებოდი ვალში. ერთმანეთს თვალებით ვჭამდით და კბილი საკბენად გვქონდა გამზადებული. ხან ჩვენს სისულელეებზე სიცილით ვკვდებოდით, ან კიდევ რომელიმე ავი სიტყვის შემდეგ, უფრო გულიანად რომ ეცინა, მიწაზე დაეშვებოდა, კრუხივით ჩაცუცქდებოდა, თითქოს თალგამების და ხახვის გამოჩეკა უნდაო.

საღამოთი ჩვენს ღობესთან სამუსაიფოდ მოდიოდა, მაგინებდა. ერთ დღეს გაბედულად თვალში თვალი გამიყარა, ჩემ გულში სუსტ ადგილს ეძებდა, სურდა მისი აკვნესება. ეხლაც ვხედავ ხელებაწეულს; ალუბლის წითელი ნაყოფით დახუნძლულ ტოტს თავისკენ ეწევა, ქერა თმებს ტოტი ყვავილწნულად ეხვევა, კისერდაგრძელებული ნაყოფს ტოტზევე კენკავს, კურკებს კი ხეზევე ტოვებს. სურათი წუთიერი, მარადიული და მშვენიერია, ეს სიჭაბუკეა, ციურ ცურებს დაწაფებული გაუმაძღარი სიჭაბუკე! მერე ავეჯის პანოებზე რამდენჯერ ამომიკვეთავს აყვავებულ თელას ქვეშ მისი მშვენიერი მკლავების, კისრის, ძუძუების, გაუმაძღარი პირის და უკან გადახრილი თავის მოხატულობა... ვერ მოვითმინე, კედელზე გადავიხარე, ტოტი გამოვგლიჯე, ტოტი, რომელიც ხელში ეჭირა, ვწვდი პირით და სველ კურკებს ხარბად დავუწყე წუწნა.

კვირაობით სეირნობაზე ან ბოჟის მარანთან ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთად ვცეკვავდით; ლარტყასავით მოქნილი და კოხტა ვიყავი. სიყვარული ფრთებს მასხამდა, ამბობენ, ტრფობა ვირსაც ააცეკვებ-

სო. ვცეკვავდით, მაგრამ კინკლაობას ერთი წუთითაც არ ვწყვეტ-დით... ღმერთო! რა ჭირვეული რამ იყო! რა არ უთქვამს ჩემს დაღ-რანჯულ გრძელ ცხვირზე, დაფჩენილ დიდ პირზე; შიგ ნამცხვრის გაძოცხობა შეიძლებაო. გამუდმებით დასცინოდა ჩემს მეჯღანის წვერ-სა და სიფათს, რომელიც, თუ ჩვენს მოძღვარს დავუჯერებთ, ჩემი გამჩენი უფლის ნაღდი ასლია (რამდენს ვიცინებთ, ერთმანეთს რომ შევხვდებით). ერთი წუთითაც არ მაძლევდა მოსვენებას. არც მე ვი-ყავი ენაბლუ ან ცალხელა.

რაც უფრო გრძელდებოდა ეს თამაში, ცეცხლი მით უფრო გვე-დებოდა... კოლაჯან, უსტა მედარ ლანიოს რთველი თუ გახსოვს! დე-დოფალაც მოეწვიათ. კვლებში ერთმანეთის გვერდით ვიყავით დახ-ოილი. თავებით თითქმის ვეხებოდით ერთმანეთს. ზოგჯერ, კრეფის დროს, ჩემი ხელი შეცდომით მის კანჭს ან დუმას ხვდებოდა, მაშინვე სახე წამოენთებოდა, ნორჩი ფაშატივით ტლინკებს მესროდა ან ყურძნის წვენით მითხუპნიდა ცხვირს, მე კი შავი მტევნით ვუსრესდი მზით დამწვარ ოქროსფერ ყელს.. თავს ალქაჯივით იცავდა. ბევრი ვუარე, ბევრი ვდიე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გამოვიქირე. ერთმანეთს ვუთვალთვალებდით. ის ცეცხლს აღვივებდა, ენას მიყოფდა და მიყუ-რებდა, როგორ ვიწვოდი.

-- ვერ გამომიქერ, კოლა...

მე კი იმ ჩასუქებულ კატას ვემსგავსებოდი, ღობეზე რომ მოიკა-ლათებს, თვალებს მილულავს, მალულად უქვრეტს მოცეკვავე წრუ-წუნას და წინდაწინ ილოკავს ტუჩებს:

— იცინე, იცინე, ვნახოთ ბოლოს ვინ გაიცინებს.

და აი, ერთხელ, ნაშუადღევს (ეს იყო იმავე თვეს), მაისის მიწუ-რულს (მაგრამ უფრო ცხელოდა, ვიდრე დღეს), როცა სულშემხუთავი პაპანაქება იდგა, თეთრი ცა თონის პირივით თავის მგზნებარე ალმურში გვხვევდა. და ამ ბუდეში უკვე ერთი კვირა ჩასაფრებული გრიგალი კრუ-ხივით თავის კვერცხებს ამაოდ აჯდა. ადამიანი სიცხისაგან დნებოდა; სველი იყო შალაშინი, ხელზე მეწებებოდა ბურღი და აღარ მესმოდა დედოფალას ხმა, წეღან რომ მღეროდა. თვალებით ძებნა დავუწყე, ბაღში არავინ იყო... უეცრად კარვის ჩრდილში ჩამომჯდარი დავინახე, პირი დაეღო, თავი გადაეხარა და კარის ზღურბლზე მიწოლილს ეძი-ნა... ერთი ხელი სარწყულზე ჩამოედო. ძილს ერთბაშად მოეცელა. ჩემს წინ იყო, ვით დანაე მცხუნვარე ცის ქვეშ, ტანაყრილი, ნახევ-

რად შიშველი და მიბნედილი, ვიფიქრე, იუპიტერი ვარ-მეთქი. ღობეს გადავევლე, გზად კომბოსტო და სალათა გავთელე, გულში ჩავიკარ, ხარბად დავკოცნე: შიშველი იყო, ცხელი და მთლად გაოფლილი, ნახევრად მძინარე და ვნებააშლილი მორჩილად მნებდებოდა. თვალმინაბული, ტუჩებით ჩემს ტუჩებს დაეძებდა. კოცნაზე კოცნით მიპასუხებდა და... რა მოხდა, რა მომივიდა, რა ტუტუცურად მოვიქეცი. ვხების ჩანჩქერი მიჩუხჩუხებდა კანქვეშ: მთვრალი ვიყავი, გულში მყავდა ჩაკრული სიყვარულს მოწყურებული სხეული; სანატრელი დავლა, მოხრაკელი ტოროლა ხახაში მივარდებოდა... და მე გამოთაყვანებულმა ვერ გავბედე ამეღო. ვერ გეტყვით, რა უგუნურმა რიდმა დამიპყრო, მაგრამ ფიქრი იმისა, რომ ძილი ბოჭავდა, რომ ხელში მისი სხეული მეკავა და არა სული, რომ ჩემს ამაყ მებაღე ასულს მხოლოდ ღალატით დავეუფლებოდი, მეტად მიმძიმდა. და გავეცალე ბედნიერებას, ხელი გავუშვი, ტუჩი ტუჩს მოვაცილე და დავშალე ბორკილები, რომელიც გვბოჭავდა. ეჰ! ეს ადვილი როდი იყო: მამაკაცი ცეცხლია, ქალი კი ფარტენა, ასე რომ, ორივე ვიწვოდით, ალი გვედებოდა, ვკანკალებდი და ვხვნეშოდი ისე, როგორც ის გამოთაყვანებული, რომელმაც ანტიოპე დაიმორჩილა. გავიმარჯვე, არ წავიქეცი, ესე იგი, გავიქეცი. უჰ! ტუტუცი სიშაბუკე!.. მაგრამ რა საამოა იმის მოგონება, რომ სულელი იყავი, როგორ აშაბუკებს ეს გულს!..

ამ დღიდან დედოფალა ჩემთვის ნამდვილ ალქაჯად იქცა. სამას მოუსვენარ თხაზე უფრო ახირებული, ზმანებაზე უფრო ცვალებადი, ერთ დღეს შეურაცხმყოფელი ზიზღით მგესლავდა, ან თითქოს ვერ მამჩნევდა; მეორე დღეს მიბნედილი თვალებით გადმომხედავდა, მომხიბლავად გამიცინებდა, ანდა ხეს ამოფარებული მუხანათურად მუჭა მიწას მიმიზნებდა და, თუ ზურგი შექცეული მქონდა, შიგ კისერში მაყრიდა, ან კიდევ, თუ ცხვირს ავწევდი, თხლაშ, და ზედ ხორთუმზე ქლიავის კურკა მხვდებოდა. სეირნობისას კი კაკანებდა, ლიკლიკებდა, ჭიკჭიკებდა, ხან ერთს, ხან მეორეს თავს აწონებდა.

და რომ უფრო გავემწარებინე, განიზრახა მახეში მეორე ჩემისთანა შაშვიც გაება და საამისოდ ჩემი რჩეული ძმაკაცი კირიას პინიონი აირჩია. მე და პინიონი ერთი ხელის ორი თითივით ვიყავით, ორესტისა და პილადესავით. არ ყოფილა ჩხუბი, ქორწილი თუ არიფანა, სადაც ერთი ყოფილიყო და მეორე არა, ყველგან ერთად დავდიოდით და ერთგულად ვიქნევდით ღრანჭსა თუ ხელებს. პინიონი

ჯმუხი, ჩაფსკვნილი, მხარბეჭიანი, გონებამახვილი, ენაწყლიანი და ძოჩხუბარი იყო. მზად იყო მოეკლა ყველა, ვინც კი აყალმაყალის ატეხვას გაბიბედავდა. ჩემს გასამწარებლად სელინამ სწორედ ის აირჩია. მის გამოსაჭერად დიდი ჯაფა არ დასდგომია. ერთი ორჯერ გაეკეკლუცა, თვალი ჩაუკრა, თავი უცოდველად მოაჩვეხა, მიბნედილი მსერა ესროლა, მის წინ ცბიერად ახითხითდა... ეჩურჩულებოდა, ეპრანჭებოდა, თვალებს ნაზად ახამხამებდა, კბილებს უკრეჭდა, ტუჩებს იკბენდა, თეძოებს არხევდა, ბოლოქანქარასავით კურტუმოს აქნევდა. აბა, ერთი მითხარით. რომელი ძე ადამისა არ გაებმებოდა იმ ხრიკების ქსელში, რომელსაც ქსოვდა ეს თავგასული გველის ასული. პინიონმა, რაც გონება ჰქონდა, ისიც დაკარგა და ამ დღიდან ორივენი ჩვენს ღობეზე მოვიკალათებდით და გაოგნებული და ათრთოლებული დედოფალას ვუთვალთვალებდით. თან კრიჭაშეკრულხი ერთმანეთს თვალებს ვუბრიალებდით. ის კი ცეცხლს აღვივებდა და, რომ უფრო გავემწარებინეთ, დროდადრო ცივ წყალს გვაპკურებდა. მიუხედავად იმისა, რომ განაწყენებული ვიყავი ამ ღვართქაფზე, მაინც ვხარხარებდი. პინიონი კი ეზოში კვიცივით ჩლიქებს სცემდა, ბრაზისაგან ხვიხვინებდა, იგინებოდა, ილანძღებოდა, იმუქრებოდა და ბობოქრობდა. სხვისი ხუმრობა არ ესმოდა (თავის ოხუნჯობაზე კი მხოლოდ თვითონ ეცინებოდა, მაგრამ თვითონ სამის მაგივრად იცინოდა), პირიმზე კი ნეტარებდა, როგორც ბუზი თაფლზე და შარბათივით მიირთმევდა ამ სამიჯნურო ძაგებას. თუმცა პინიონი უხეშად იქცეოდა და ლამაზი, ხითხითა და ანცი გალის ასული ჩემთან უფრო ახლო იყო, ვიდრე იმ ხვიხვინა, გაქირ. ტლინკია და კუანა ცხოველთან, მაინც სიახლის სიყვარულით, ჩემი გულის მოსაკლავად, მხოლოდ მისთვის ჰქონდა შემონახული იმედის მიმცემი გადმოხედვა და დაპირებით აღსავსე მომხიბლავი ღიმილი. მაგრამ, როცა საქმე დაპირების ასრულებაზე მიდგებოდა, ტურფა ჩემს მეგობარს პირში შესცინებდა და დარცხვენილი დატოვებდა. რა თქმა უნდა, მეც ვიცინოდი. ბოღმამორეული პინიონი ბრაზით მომეარდებოდა. ასე ეგონა, ლამაზმანს ვპარავდი. და აი, ერთ დღეს პირდაპირ მთხოვა, გუდანაბადი აიკარ და ადგილი დამიცალეო.

ძმობილო, მეც ეს მინდოდა შენთვის მეთხოვა-მეთქი, მშვიდად ვუპასუხე.

— მაშ, ერთმანეთს კისერი უნდა დავუზილოთ. — მომიგო მან.

— მეც ასე მგონია, მაგრამ, მართალი გითხრა, მეტად მეძნელება.

— ჩემზე ნაკლებად, უთუოდ. ბრონიონ, გეთაყვა, გამეცალე. გაყრაა ჩვენი წამალი. ერთ საკათმეს რად უნდა ორი მამალი.

— შენს პირს შაქარი, — ვუთხარი მე, — მაშ, გამეცალე აქედან, მზად ვარ გაგიღო კარია, რადგან ჩემია ვარია.

— როგორ თუ შენი!—იყვირა მან,—შე დოყლაპია, რეგვენო გაგრია, მაწვნისყლაპია, ტყუი, ჩემია, ჩემს მეტი იმას ვერავინ იგემებს.

ვუპასუხე:

— საბრალო ძმაო, ერთი შენს სიფათს დახედე! ოვერნელო ფხალიყლაპიავ, ეს კერძი ჩემია, შენ სხვაგან ეძებე! ვერც ეს ტკბილი ბურგუნდული ნამცხვარი მოგართვი. საშენო აქ არაფერია, წადი და ფხალი მოკრიფე.

მუქარით დავიწყეთ და მუშტიკრივზე გადავედით. ძეტად ვწუხდი, რადგან ერთმანეთი გვიყვარდა.

— მისმინე, ბრონიონ, — მითხრა მან, — დამითმე ქალი, ხომ ხედავ, მე ვუნდივარ.

— აპა, პა, პა, პა, შენ კი არა, მე ვუყვარვარ.

— მაშ, თვითონ ვკითხოთ. ვისაც აირჩევს, დარჩება, მეორე კი წავა აქედან.

— ყაბულსა ვარ, დაჰკარ ხელი. მან აირჩიოს!

კი, მაგრამ, მიბრძანდით და სთხოვეთ ქალს, რომ ამოირჩიოს! მას უსაზღვროდ სიამოვნებს მოლოდინის გახანგრძლივება, შეუძლია ოცნებაში ერთიც ჰყავდეს და მეორეც, მერე კი ორივე მშრალზე დატოვოს, შამფურზე ააყოს და დადაგოს თავისი მოტრფიალენი. შეუძლებელია მისი დაჭერა. არჩევანი რომ მოვთხოვეთ კანკალით, დედოფალამ გვიპასუხა კისკისით და ხარხარით.

სახელოსნოში დავბრუნდით. ქურთუკები გავიხადეთ.

— სხვა გზა არ არის, ერთი ჩვენგანი უნდა ჩაძაღლდეს.

ის იყო ერთმანეთს უნდა ვცემოდით, რომ პინიონმა მითხრა:

— მაკოცე.

ორჯერ ჩავეკარით ერთმანეთს.

— აბა, ახლა კი დავიწყოთ.

და დაიწყო ფერხული. ერთმანეთს ჯიგრიანად ვეცით. პინიონი ისე ძირტყამდა, რომ, მეგონა, თავის ქალა თვალებზე ჩამომაფხატა. მეც მუხლებით ვუბეგვავდი მუცელს. შეუბრალებელნი არიან მეგობრები,

თუკი ერთმანეთს გადაემტერნენ. წამიც და ორივე სისხლში ვცურავდით. ძველ ბურგუნდულ ღვინოსავით მოჩუხჩუხებდა წითელი ნაკადულები ჩვენი ცხვირებიდან. ვერ გეტყვით, რით დასრულდებოდა ყოველივე ეს, ან ვინ ვის მოუგრეხდა კისერს, რომ, ჩვენდა საბედნიეროდ, აღელვებულ მეზობლებსა და უსტა მედარ ლანიოს, რომელიც სწორედ ამ დროს დაბრუნდა სახლში, არ გავეზავებინეთ. ადვილი საქმე როდი იყო, ნაგაზებივით ვუღრენდით ერთმანეთს. ერთი-ორჯერ სახრეც გადმოგვიქირეს, ერთმანეთისთვის ხელი რომ შეგვეშვა. უსტა მედარი ძალზე გაბრაზდა, შოლტი გადმოგვიქირა, გაგვწკეპლა, სილაც არ დაგვაკლო და მერე ლაზათიანად შეგვახურა. ბურგუნდელი ცემა-ტყეპის შემდეგ მოდის ჭკუაზე. ნაცემ-ნაგვემი ფილოსოფოსი ხდები, უფრო ადვილად გესმის გონიერი სიტყვა. ერთმანეთს რომ ვუყურებდით, სირცხვილი გვწვავდა; სწორედ ამ დროს შემოძვრა მესამე ბაცაცა.

ეს გასიებული მეწისქვილე, გაპარსული, წითური, მრგვალი ღორისთავი ჟან-ჟიფლარი გახლდათ, პატარა ჩაცვენილი თვალები და დაბერილი ლოყები ჰქონდა, ასე გეგონებოდათ, ბუკს უკრავსო.

— რა ყვინჩილებივით დარევიხართ ერთმანეთს! — ხარხარით თქვა მან. — ბევრს კი მოიგებთ, როცა მაგ ვარიისთვის ერთმანეთს დააგლეჯთ ბუმბულსა და ბიბილოს! დოყლაპიებო! ნუთუ ვერ ხვდებით, რა ნეტარებით იფხორება, როდესაც თქვენ იბღვირებით და ერთმანეთსა ჭამთ. რა თქმა უნდა, ყოველ დედალს უხარია კალთაზე გამოიბას შეყვარებულთა ხროვა, რომელიც მის ტყავს შებღავის... გინდათ, გონიერი რჩევა მოგცეთ? მუქთად ვიძლევი. შერიგდით. ქალს ქედმაღლურად გასცილდით, ხომ ხედავთ, დაგცინით. ზურგი აქციეთ, ორივენი წადით. დაღონდება, მოენატრებით, თავის გრძნობებში გაერკვევა და მაშინ ვნახოთ, რომელს აგირჩევთ. აბა, მოუსვით, ჩქარა! ნუ აყოვნებთ! უცბად გადავჭრათ, მხნედ! ხალხნო კეთილნო, დამიჯერეთ! და სანამ თქვენ საფრანგეთის შარაგზებზე გაცვეთდეთ თქვენს მტვრიან წაღებს, მე აქ დავრჩები, რომ გემსახუროთ. მზეთუნახავს მე ვუთვალთვალებ, გაცნობებთ, ვით იწუწუნებს და როდესაც ერთს აირჩევს, მეორეს კი დაიწუნებს, გამარჯვებულს შევატყობინებ. დამარცხებული წავიდეს და სახრჩობელა ეძებოს... მოდით, ამით გავათავოთ, წავიდეთ და დავლიოთ! გადაკრავ, დალევ, დაახრჩობ ხსოვნას, წყურვილსა და სიყვარულს...

დარდი ისე კარგად ჩავახრჩვეთ (ქვეევრებივით დავლიეთ), რომ იმავე საღამოს, სამიკიტნოდან გამოსელისთანავე, ავიკარით გუდანაბადი, ხელში კომბალი ავიღეთ და კეთილი ეიფლარის მადლიერი ორი სულელი უმთვარო ღამით თავმომწონედ გზას გავუდექით. ეიფლარი კი სიამოვნებისაგან იბერებოდა, ღორივით გასიებული სახე გაბადროდა და მსუქან ქუთუთოებქვეშ პატარა თვალები უციმციმებდა.

მეორე დილით უკვე ისე აღარ მოგვწონდა თავი, მაგრამ ამაში არ ვტყდებოდით, იხტიბარსაც არ ვიტეხდით; ვფიქრობდით, თავს ვიმტვრევდით, არ გვესმოდა ეს სამხედრო მანეერი: ციხე-სიმაგრე უნდა აგვეღო და ჩვენ კი თავაწყვეტილი გავრბოდით. რაც უფრო მაღლა ადიოდა მზე ცის კამარაზე, მით უფრო ვგრძნობდით ჩვენს სისულელეს. საღამო ხანს ერთმანეთს უკვე თვალთვალი დავუწყეთ. მართალია გარეგნულად არაფერს ვიმჩნევდით და უდარდელად ვსაუბრობდით დარსა და ავდარზე, მაგრამ გულში ვფიქრობდით:

„მეგობარო, რა კარგად ჭიკჭიკებ! ვხედავ, გაპარვა გინდა, მაგრამ ვერ მოგართვი, თვალს ვერ ამიხვევ, თავზე მეტად მიყვარხარ, ძმობილო, მარტო როგორ დაგტოვო. თუ სადმე წაბრძანდები (ვიცი, ვიცი, გაიძვერავ), მეც ფეხდაფეხ მოგყვები“.

რა ხერხს არ მივმართეთ, ერთმანეთს რომ გავპარვოდით (უკვე საშარდავადაც ერთად დავდიოდით), ღამით ვხვრინავდით, თავს ვიმძინარებდით, მაგრამ ჩალაზე დაყრილებს რწყილები და სიყვარული გვჭამდა; ბოლოს, პინიონმა ვერ მოითმინა, წამოხტა და იყვირა:

— ჯანაბა და დოზანა, ვიწვი, დავიდაგე, მეტი არ შემიძლია! ვბრუნდები.

— დავბრუნდეთ. — ვუთხარი მე.

გზას მთელი დღე მოვუნდით. მზე ჩადიოდა და დაღამებამდე მარშეს ტყეს შევაფარეთ თავი. არ გვინდოდა, ჩვენი დაბრუნება გაეგოთ. მასხრად აგვიგდებდნენ. თანაც გვსურდა მოულოდნელად წავდგომოდით მოწყენილ, თვალცრემლიან, მიტოვებულ, თავის თავის მოსაყვედურე დედოფალს:

„ვაი, ვაი, საყვარელო, საყვარელო, რად წახვედი, რად დამტოვე!“ ეჰვი არ გვეპარებოდა, რომ თითებს იკვნეტდა და იმდუღრებოდა, მაგრამ ვინ იყო საყვარელი? ორივენი ვამბობდით:

— მე.

და აი, მის ბაღს ჩუმად მიეუახლოვდით (გული უცნაურად გვეკუმშებოდა) და მთვარის შუქით განათებული ღია ფანჯრის ქვეშ, ვაშლის ტოტზე დავინახეთ... იცით რა? ვაშლი? არა... მეწისქვილის გაფქვილული ქუდი!.. გიამბოთ დანარჩენიც? ძალიან გაიხარებთ, მეგობრებო. ცუღლუტებო, კარგად ვხედავ, სახე გინათდებათ. კაცს ისე არაფერი ახარებს, როგორც მეზობლის უბედურება. რქოსნებს მუდამ უსარიათ სათვისტომოს გამრავლება...

კირიასი გაქანდა, ირემივით გადახტა (ირმის რქები ხომ ჰქონდა), ხაყოფდაფქვილულ ვაშლის ხესთან მიიჭრა, კედელზე აცოცდა და ოთახში შეიჭრა. გაისმა ყვირილი და წკავწკავი, ხბოს ბღავილი, გინება...

— ჯანაბა და დოზანა, არამზადავ, ღვთის რისხვა! მიშველეთ, მკლავენ! რქოსანო, წუპაკო, წუწკო, კახპა, ჩათლახო, ორპირო, ბაყაყო, მუტრუკო, ყურებს დაგაჭრი, შიგანს დაგაყრევინებ, აგიჭრელებ დუნდულებს, ჰა, მიირთვი, ოყნის თავო!..

ატყდა ცემა-ტყეპა, ტყაპატყუპი... ტყლაშ! ტყლუშ! თხლაშ! თხლუშ! ჭურჭელი დაიმტვრა. მიწაზე გორაობენ, ისმის ქალის წივილი, უნამუსოთა ბღავილი... ამ ჯოჯოხეთურ მუსიკაზე (შენ დაუკარ!), რა გასაკვირია, მთელი უბანი ფეხზე დადგა.

მეც მეტი არ დავაყოვნე. ისიც კმაროდა, რაც ვიხილე, და საიდანაც მოვედი, იქით გავეშურე, ცალი თვალით ვიცინოდი, მეორეთი ვტიროდი, ყურჩამოყრილი, ცხვირაწეული მივდიოდი და ჩემს თავს ვეუბნებოდი:

— ხომ ხედავ, ჩემო კოლა, კარგად გადარჩი, მე და ჩემმა ღმერთმა!

გულის სიღრმეში კი წუხდა კოლა, რომ არ გაება ამ მახეში. ბაქიობდა, ხუმრობდა, აჯავრებდა ხან ერთს, ხან მეორეს, დასცინოდა მეწისქვილეს, მზეთუნახავს და ვირს. სული კი წუხდა, გოდებდა და ტიროდა.

— იფ, რა კარგია! გული მიწუხს! ვაიმე! მოვკვდები სიცილისაგან... არა, ტირილისაგან. ცოტა კიდევ და, თვალთმაქცი ამკიდებდა ქორწინების კურტანს! ნეტავ რად არ ამკიდა! ან რქები რატომ არ დამადგა! ის ხომ მეყოლებოდა. განა ცუდი საქმეა, გყავდეს შეყვარებული კურტნად აკიდებული!.. დალილა! დალილა, ტრადერიდერა.

ორი კვირა ორ ცეცხლშუა ვიყავი: არ ვიცოდი, მეტირა თუ მეცინა. ჩემს დაღრანჯულ სიფათზე მეწერა მთელი ანტიკური სიბრძნე. ხან მტირალა ჰერაკლიტე ვიყავი, ხან კი ხითხითა დემოკრიტე. ხალხი პირში დამცინოდა. ზოგჯერ, ჩემს გულისვარდზე რომ ვფიქრობდი, მზად ვიყავი თავი მომეკლა, მაგრამ ასეთი სურვილი ხანმოკლე იყო. საბედნიეროდ... სიყვარული საამურია, მაგრამ ღმერთმანი, ტრფობისათვის არ ღირს თავის მოკვლა. ეს ამადისებს და გალაორებს შეჰფერით! ჩვენ კი, ბურგუნდელები, რომანების გმირები როდი ვართ. ჩვენ ვცოცხლობთ, ვცხოვრობთ. როდესაც გვაჩენდნენ, არავის უკითხავს, გინდათ სიცოცხლე თუ არაო; მაგრამ რაკი გავჩნდით და მოვევლინეთ ამ ქვეყანას, დასწყევლოს ეშმაკმა, აქვე ვრჩებით, არსად გვეჩქარება, ქვეყანას ვეჩრდებით... შეიძლება. ჩვენ გვეჩრდება. კარგია თუ ცუდი ეს ქვეყანა, ჩვენი ნებით არ დაეტოვებთ, ძალით უნდა გაგვაბრძანონ აქედან. ქვევრს თუ თავი მოჰხადე, უნდა დასცალო კიდეც ბოლომდე. ღვინო თუ დაილია, ახალი ჩავასხათ ჩვენი მადლიანი ფერდობებიდან. ბურგუნდელ კაცს სიკვდილისათვის სად სცალია. ტყუილად ნუ ტრაბახობთ, ჩვენც ვიტანჯებით და ამ ტანჯვა-ვაებას თქვენზე ნაკლებ როდი ვართმევთ თავს. ოთხი თუ ხუთი თვე ძაღლივით ვეტანჯე, მაგრამ დრო ყველაზე კეთილი მკურნალია, ცხოვრების მდინარეზე გადავყავართ და ჩვენს მძიმე მწუხარებას მეორე ნაპირზე ტოვებს. ახლა ჩემს თავს ვეუბნები: ვითომც მყოლია-მეთქი ჩემი დედოფალა...

ეჰ! დედოფალა, დედოფალა!.. სადედოფლო ქალი იყავ და ის გაბერილი ძეხვი ჟიფლარი, ფქვილის ტომარა, გოგრის სიფათი კი დაგეპატრონა. და უკვე ოცდაათი წელია, რაც გეალერსება და გეაზიზება!.. უთუოდ გაძღა კიდეც, ასე მითხრეს, ქორწინების მეორე დღესვე მადა დაეკარგაო. ღორმუცელა მსუნაგებისთვის, მეგობარო ჩემო, გადაყლაპულ ლუკმას ეკარგება გემო. თუ ის ალიაქოთი არა, რომლის გამოც ლოგინში, არა ბოდიში, ბუდეში წაასწრეს გუგულს (ეხ! ეგ ღრიალა პინიონი), მუქთახორა ჯამილოკია თავის სქელ თითს არ გაყოფდა ვიწრო ხიშხობის ბეჭედში... ოჰ, ჰიმენ, ჰიმენე! თქმა არ უნდა, კარგად გაება! მაგრამ დედოფალას უფრო მაგრად მოხვდა. უკმაყოფილო ძეწისქვილე ჯავრს იყრის მასზე. მაშ, გავიცინოთ, ბრონიონ-ჯან, (სასაცილო ბევრია) ვიცინოთ ჟიფლარზე, ლამაზზე და საკუთარ თავზე...

• • •

და აი, სიცილში რომ ვიყავ, ოც ნაბიჯზე, ხეივნის მოსახვევთან (მამა ზეციერო! ნუთუ მთელი ორი საათი ვყბედობ), წითელსახურავიანი, მწვანედარაბებიანი სახლი შევნიშნე; გველივით დაკლაკნილი ვაზი თავისი მორცხვი ფოთლებით მოსავდა მის თეთრ მუცელს. ღია კარის წინ, კაკლის ჩრდილში, ქვის გეჯიდან, სადაც ანკარა წყალი მოჩუხჩუხებდა, თავდახრილი ქალი წყალს იღებდა. დავინახე და მყისვე ვიცანი (თუმცა წლების მანძილზე არ მენახა), მუხლები მომეკვეთა...

ცოტა დამაკლდა, არ გავიქეცი, მაგრამ თვალი შემასწრო, დამაცქერდა და აი, მივხვდი, რომ მანაც მიცნო... არა, არაფერი დაიტყო, მეტად ამაყი იყო; მხოლოდ თასლი დაუცურდა გეჯაში და წყნარად მითხრა:

— დახე, ვაჟბატონი, რომელსაც ბევრი თავისუფალი დრო აქვს... რა გეჩქარებოდა?

— როგორ, მიცდიდი? — ვკითხე მე.

— მეტი საქმე არა მქონდა, შენზე ფიქრში ჩამოვდნი!

— ჩემსავით ყოფილხარ, — ვუთხარი, — მაგრამ მაინც მახარებს შენი ნახვა.

— არც შენ მიშლი ხელს.

პირისპირ ვიდექით, ის მკლავებდასველებული, მე — პერანგის ამარა. ორივე ვტოკავდით, ვუმზერდით ერთმანეთს და ძალა არ შეგვწევდა ერთმანეთი დაგვენახა. წყალსატევში სათლი მიცურავდა.

— დრო ხომ გაქვს? შემოდი რაღა, — მითხრა ქალმა.

— მხოლოდ ორი წუთით, ცოტა მეჩქარება.

— არ გეტყობა. რამ მოგიყვანა?

— მე? არაფერმა, — ვუთხარი უტიფრად, — ისე, ვსეირნობდი.

— მაშ, მდიდარი ყოფილხარ.

— ფანტაზია მაქვს მდიდარი, ქისა კი არა.

— არ გამოცვლილხარ. ისევ ის გიჟლარა ხარ.

ვუპასუხე:

— ვის უნახავს გიჟად დაბადებული, ერთ დღეს განკურნებული.

ეზოში შევედით; ჭიშკარი მოიხურა. მარტონი ვიყავით. გარს მოკ-

რიახე ქათმები გვეხვია. ფერმის ხალხი მინდვრად იყო გასული მოელ-ვარება რომ დაეძლია და თანაც ჩვეულებისათვის არ ეღალატა, საკი-როდ მიიჩნია დაეხურა თუ გაეღო (ზუსტად არ მახსოვს) ფარდულის კარი; გზად მედორს გაუწყრა. მე არ მინდოდა ჩემი დარცხვენა შე-ემჩნია. ლაპარაკი გავუბი სახლზე, ქათმებზე, იხვებზე, მტრედებზე, ძაღლზე, ღორზე, კატაზე და მამალზე. რომ მივეშვი, ნოეს კიდობნის ყველა ცხოველს ჩამოვუთვლიდი! მაგრამ მოულოდნელად მითხრა:

— ბრონიონ!

სუნთქვა შემეკრა. ისევ დამიძახა:

— ბრონიონ!

უსიტყვოდ შევცქეროდით ერთმანეთს.

— მაკოცე, — მითხრა ქალმა.

თავი არ გავიპატიჟე. როდესაც ხნიერი ხარ, კოცნა თუ საამო არ არის, ვნებაც არავისთვის მოაქვს (ჩვენს შორის დარჩეს და, კოცნა ყოველთვის საამოა) და როდესაც ჩემს ბებერ და ხორკლიან ლოყებ-ზე მისი დაჭმუჭნილი ლოყები ვიგრძენი, ტირილი მომერია. მაგრამ არ მიტირია, ტუტუცი როდი ვარ.

იჩხვლიტებიო, მითხრა.

— გეფიცები, ამ დილით რომ ვინმეს ეთქვა, მაკოცნინებდი, გავი-პარსავდი. ამ ოცდათხუთმეტი წლის წინ უფრო რბილი წვერი მქონ-და, მაშინ მე მსურდა და შენ კი არა. ჩემო გოგონავ, წვერით გავხა-ხუნებოდი შენს ფუნჩულა ლოყებს.

— განა დღემდე ფიქრობ ამაზე? — მკითხა ძან.

— მე? არა, არასოდეს.

სიცილით თვალი თვალში გავუყარეთ ერთმანეთს და ველოდით. პირველი ვინ დახრიდა თავს.

— ჯორის თავო, როგორ მგავდი—ჩემსავით ამაყი და ჯიუტი იყავი! ჭაღარა ვირიკელავ, დაბერება არ გინდა. ერთი მაინც უდავოა, სულ არ დამშვენებულხარ, სახე დაგღარვია, თვალს ნაოჭი გარტყია, ცხვირი გაგ-ბრტყელებია; შენს დღეში ლამაზი არ ყოფილხარ, დასაკარგავიც არა-ფერი გქონია და არც დაგიკარგავს. ერთი ღერი თმაც არ ჩამოგვარ-დნია, ეგოისტო! მხოლოდ ჭაღარა შეგპარვია.

სულელ კაცს რა გაათეთრებს-მეთქი, ვუპასუხე.

— არამზადები ხართ მამაკაცები, თავს არაფერზე იწუხებთ და დროსაც მხიარულად ატარებთ. ჩვენ კი, ჩვენ ებერდებით, ებერდებით

ჩვეხსა და თქვენს მაგივრადაც. ერთი ბეხრეკს შემომხედე. ვაი! ვაი! ხეტავ, სად არის ნაზი, მოქნილი სხეული, სამზერად საამო და საალერ-
სოდ კიდევ უფრო ტკბილი? სად არის ის ყელი, ფეხი, კოკრები, წელი და ხორცი, ქორფა ხილივით მკვრივი და გემრიელი. ვაი, სად დავკარგე? სად დავიღუპე? ბაზარში რომ გენახე, მიცნობდი, განა?

— თვალდახუჭული გიცნობდი.

— თვალდახუჭული კი, მაგრამ თვალახელილი? ერთი შეხედე ჩემს ჩაცვინულ ლოყებს, უკბილო პირს, დანის პირივით წაწვეტებულ ცხვირს, დაწითლებულ თვალებს, დამკნარ მკერდს, ოონთლო ტიკს, ამ დამახინჯებულ მუცელს...

ვუთხარი (კარგად ვხედავდი ყველაფერს, რასაც ამბობდა):

— პატარა აზმანი ყოველთვის ჩანს ლამაზმანი.

— როგორ, ვერაფერს ხედავ? რამ დაგაბრმავა?

— კარგი თვალები მაქვს, დედოფალავ.

— ვაი, სად გაქრა შენი დედოფალა, შენი დედოფალა?

ვუპასუხე:

— „აქეთ გამოიარა ლამაზმა სინდიოფალამ". მემალება, გამირბის, გადაიმალა. მე მაინც ვხედავ, ვხედავ მის მოხდენილ ცხვირს და ეშმაკურ თვალებს, რომ მზვერავენ და სოროში მეპატიჟებიან.

— სოროში ვეღარ შეეტევი, ბებერო მელავ, ღიპი როგორ გაგიშვია! ჩანს, სატრფოს დარდმა არ დაგამშვლევა.

— ბევრს მოვიგებდი. მწუხარებასაც ხომ უნდა დაპურება?

— მაშ, შემოდი და ერთად დავაპუროთ ყმაწვილი.

შევედით, მაგიდას მივუსხედით, აღარც კი მახსოვს, რა ვჭამე, რა დავლიე. სული გართული იყო, მაგრამ ყბები და ყრონტი ჩინებულად მუშაობდა. დედოფალას იდაყვები დაეყრდნო მაგიდაზე და მიყურებდა, მერე დაცინვით მკითხა:

— ახლა ხომ ნაკლებად ხარ შეწუხებული?

— როგორც სიმღერაშია, — ვუპასუხე მე, — „სხეული დამშეული, სული შეწუხებული, სხეული დაპურებული, სულიც დამშვიდებული".

დუმდა დედოფალას დიდი, თხელი და დამცინავი პირი. მე კი ვბაქიობდი და არც მახსოვს, რა სისულელეებს ვროშავდი, ერთმანეთს ვუყურებდით და წარსულზე ვფიქრობდით.

უეცრად:

— ბრონიონ! — მითხრა მან, — იცი? არასოდეს მითქვამს, ახლა კი, როდესაც ამას აზრი აღარა აქვს, გეტყვი. მე შენ მიყვარდი.

ვუპასუხე:

— მე ეს ვიცოდი.

— იცოდი, სალახანაე! მაშ, რატომ არაფერი მითხარი?

— შენი უკულმართი ხასიათის გამო. საკმარისი იყო გამემხილა, რომ იმ წამსვე უარს მეტყოდი.

— მერედა, რა გენაღვლებოდა, თუკი ფიქრით შენ გეტრფოდი. რას კოცნიან, ბაგეებს თუ მათ ნათქვამს?

— კი, მაგრამ შენი პირი მარტო თქმით როდი დაკმაყოფილდა? მე გავიგე ეს იმ ღამეს, როცა შემოვაღე კარი და თონეში მეწისქვილეს წავასწარი.

— შენი ბრალია, თონე მისთვის როდი თბებოდა. მაგრამ ბრალი მეც ძიძიძღვის და კარგადაც დავისაჯე. შენ ყველაფერი გცოდნია, კოლა, მაგრამ ის კი არ იცი, რომ შენი წასვლით განაწყენებულმა მივეცი თანხმობა მეწისქვილეს. რომ იცოდე, შენზე როგორ ვბრაზობდი! ვბრაზობდი იმ საღამოდან (გახსოვს), როდესაც არად ჩამაგდე.

— მე?

— დიახ, შენ, შე სათოკე შენა, ერთ საღამოს ბაღში რომ მოხველ ჩემს ძოსაწყვეტად და იქ მიპოვე ჩაძინებული.. გაიქეცი და ხეზე დამტოვე დაკიდებული.

დავიწყე ყვირილი, თავის მართლება. მითხრა:

— კარგად მიგიხვდი. ასე ნუ ცდილობ, თავს ნუ იწუხებ! სულელო! დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლებოდეს წარსულის მობრუნება...

ვთქვი:

— იმასვე ვიზამდი.

— ბრიყვო! სწორედ ამისათვის მიყვარდი და რომ დამესაჯე, გტანჯავდი, ამით ვერთობოდი. მაგრამ არ მეგონა, თუ იმდენად ჩერჩეტი იქნებოდი, რომ გაექცეოდი ჩემს ანკესს (რა ლაჩრები ხართ მამაკაცები), იმის ნაცვლად, რომ გადაგეყლაპა.

— დიდი მადლობა! ლიფსიტას უყვარს ჭიაყელა, მაგრამ საკუთარ კუჭმაჭსაც უფრთხილდება.

გაიღიმა, მაგრამ ნირი არ შეუცვლია:

— როცა გავიგე, რომ ჩხუბობდი იმ მეორესთან, მეორე ვირთან (მისი სახელი არ მაგონდება), მდინარეზე თეთრეულს ვრეცხავდი. მითხოეს, რომ გკლავდა, ჩემს ქობინს მყისვე შევეშვი, წყალსაც წაუღიხარ-მეთქი. სარეცხი ფეხით გავქელე, მივყარ-მოვყარე ჭორიკანა დედა-

კაცები, ფეხშიშველა გამოვიქეცი, სუნთქვა მეკვროდა, მინდოდა მეყვიროა: „ბრონიონ! ხომ არ გაგიჟდი? ნუთუ ვერ ხედავ, როგორ მიყვარხარ? ბევრ რამეს მოიგებ, როდესაც ეგ მგელი სხეულის ერთ-ერთ საუკეთესო ნაჭერს მოგაგლეჯს. არ მინდა დასახიჩრებული, ხეიბარი ქმარი, საღ-სალამათი მინდა მყავდეს...“ ეჰ! დელი-დელა, დელი-დელა, და სანამ ამ ვაიუშველებელში ვიყავი და ვწუწუნებდი, ეს ჩიტირეკია ქარაფშუტა მგელთან ერთად სამიკიტნოში იყლაპებოდა, უკვე დავიწყებოდა, რისთვის ჩხუბობდა და იმ მგელთან ერთად არ გაიქცა? (ლაჩარი! ლაჩარი!) გაექცა და მერე ვის? პატარა აზმანს!.. ბრონიონ, რომ იცოდე, როგორ შემძულდი!.. შეიძლება, დღეს, როდესაც გხედავ, როდესაც კვლავ ერთადა ვართ, ეს სასაცილოდ მეჩვენება; მაგრამ მაშინ, მეგობარო, ნეტარებით გაგატყავებდი, ცოცხლად შეგწვავდი, მაგრამ შენი დასჯა რომ არ შემეძლო... და რადგანაც მიყვარდი, თავი დავისაჯე. გადამეყარა მეწისქვილე, ბრაზისაგან მასში გაგცვალე, ეს ვირი რომ არა, სხვა სახედარს ავიკიდებდი. ჩემთვის სულ ერთი იყო, გუგული იქნებოდა თუ ბულბული. აჰ! ჯავრს როგორ ვიყრიდი. მხოლოდ შენზე ვფიქრობდი, როდესაც ის...

— მესმის!

— და როდესაც ჩემს მაგიერ ჯავრს ის იყრიდა, ვფიქრობდი: ერთი ახლა დაბრუნდეს-მეთქი... მაგრამ ვაი, რომ უფრო ადრე დაბრუნდი, ვიდრე მე მსურდა... დანარჩენი შენ თვითონ იცი, სამუდამოდ ამ ბრიყვს მივეჯაჭვე... ვირი (არ ვიცი, ის თუ მე?) წისქვილში დარჩა.

გაჩუმდა.

აქ კარგად მაინც თუ ხარ-მეთქი, ვკითხე.

მხრები აიჩეჩა და მითხრა:

— მასავით კარგად.

— დასწყევლოს ეშმაკმა, — ვუთხარი მე, — ეს სახლი სამოთხე უნდა იყოს.

მართალს ბრძანებო, სიცილით მითხრა.

სხვა რამეზე ჩამოვაგდეთ საუბარი. მინდვრებზე, ჯალაბზე, ცხოველებზე და ბავშვებზე, მაგრამ რამდენსაც არ ვცდილობდით, მაინც სინანულით წარსულს ვუბრუნდებოდით. ვიფიქრე, გაუხარდება ჩემიანების, ჩემი ოჯახის, ჩემი ცხოვრების გაგება-მეთქი; მაგრამ დავრწმუნდი, (ოჰ! დედაკაცურო ცნობისმოყვარეობავ!), რომ ჩემზე უკეთ იცოდა ყველაფერი და გავაბით მუსაიფი ნემსიდან ძაფზე, ღობეზე, ყორეზე,

ამაზე, იმაზე, მთაზე და ბარზე, ლაყბობით ვერთობოდით, არ ვიცოდით საით მივემართებოდით. ორივე ვოხუნჯობდით. ერთმანეთს ოხუნჯობაში ვეჯიბრებოდით. წამოვიდა მოსწრებულ სიტყვათა თქეში, სუნთქვა შეგვეკრა, უმალვე ვხვდებოდით გადაკრულ ნათქვამს, ბაგეს მოსწყდებოდა თუ არა, არ ვაკარებდით მიწას, ვიჭერდით იმ წამს.

სიცილისაგან ცრემლი მდიოდა. უეცრად სამრეკლოზე ექვსმა საათმა ჩამოჰკრა.

— მამა ზეციერო, უნდა წავიდე!

— რა გეჩქარება, მოესწრები.

— შენი ქმარი დაბრუნდება. მისი ნახვა კი არაფრად მეკიტნავება.

— ერთი მე მკითხე, — მითხრა მან.

ფანჯრიდან ჩანდა ველი, რომელსაც საღამოსათვის მორთვა-მოკაზმვა დაეწყო. ჩამავალი მზის სხივები ოქროს მტვრად ეფინებოდა ბალახების მოკანკალე წვერებს. კრიალა ნაკადული მიხტოდა. ერთი ძროხა ტირიფის ტოტს ლოკავდა. ორ უძრავად მდგარ ცხენს — ერთ შავსა და შუბლზე თეთრვარსკვლავიანს და მეორე ყღალს — ბალახობის შემდეგ ერთმანეთის გავაზე დაედოთ თავი და საღამოს მყუდროებაში ოცნებას მისცემოდნენ. გრილ სახლში მზის, იასამნის, თბილი ბალახისა და ოქროსფერი ფუნის სუნი შემოდიოდა, ოთახის უკუნში, სადაც ოდნავ ობის სუნი ტრიალებდა, თიხის ფიალიდან, ხელში რომ მეკავა, ბურგუნდული შავი მოცხარის ნაყენის სურნელება იფრქვეოდა.

— რა ნეტარებაა აქ!

— და ასე იქნებოდა მთელი სიცოცხლე.

ხელი ხელში ჩამავლო.

ვუთხარი (მწყინდა, რომ მის სანახავად მოსულს გული ვატკინე):

— ეჰ! იცი რა, ჩემო დედოფალავ, საბოლოო ანგარიშში შეიძლება ასეც სჯობდეს, სჯობდეს ისე, როგორც არის! შენ არაფერი დაგიკარგავს. ერთ დღეს კიდევ რა უშავს, მაგრამ მთელ სიცოცხლეს! მიცნობ, გიცნობ, მალე მოგბეზრდებოდი. შენ კიდევ არ იცი, რა ცუდი კაცი ვარ, არამზადა, უქნარა და ლაზღანდარა, ქარაფშუტა, ჯიუტი, ღორმუცელა, მზაკვარი, მოჩხუბარი, ფუჭი მეოცნებე, ბრაზიანი, უცნაური და ქოსტაყუილა. ჩემო გოგონა, უბედურზე უბედური იქნებოდი და ჯავრს იყრიდი. ამას რომ გავიფიქრებ, თმა ყალყზე მიდგება. იკურთხოს მადლი ყოვლის მცოდნე უფლისა, რომ ასე მოაწყო ჩვენი ცხოვრება.

სერიოზული და მზაკვრული თვალებით მომჩერებოდა. მისმენდა, მერე ცხვირი ასწია და მითხრა:

— მართალს ამბობ, საყვარელო. ვიცი, დიდი არამზადა ხარ (რა-საკვირველია, ამას არ ფიქრობდა), ისიც ვიცი, რომ მცემდი; მე კი გი-ღალატებდი, მაგრამ რა გაეწყობა? უნდა მოხდეს, რაც მოსახდენია, უნდა იყოს ნაცემიც და რქიანიც (ბედის წიგნში ასე დაუწერიათ), განა უკეთესი არ იქნებოდა, ყოველივე ეს ერთმანეთისაგან გვრგებოდა?

— რა თქმა უნდა; — ვუთხარი მე, — რაღა თქმა უნდა.

— მეთანხმები და, თითქოს არც გჯერა.

— როგორ არა, როგორ არა, მაგრამ სჯობს ასეთ ორმაგ ბედნიერე-ბას კაცმა თავი აარიდო.

წამოვდექი და ასე დავასკვენი:

— ნუ ინანებ, საყვარელო დედოფალავ! ასე თუ ისე, ბოლო ერთი იქნებოდა. გვიყვარს ერთმანეთი თუ არა, ამჟამად, როდესაც ცხოვრების გზა უკვე განვლიეთ, ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა, თითქოს არც კი ყოფილა.

მითხრა:

— მატყუარა.

(მართალს ამბობდა).

* * *

ვაკოცე და წამოვედი. ზღურბლზე, კარის წირთხლს მიყრდნობილ-მ› თვალებით გამომაცილა. ჩვენს წინ დიდი კაკლის ჩრდილი გაწოლი-ლიყო. მხოლოდ მაშინ მოვბრუნდი, როცა გზაზე მოვუხვიე და დავ-რწმუნდი, ვერაფერს დავინახავდი. შევდექ, სული რომ მომეთქვა. ჰაერი ერთმანეთზე გადაწნული გლიცინიის ტოტების სურნელებით იყო გა-ჟღენთილი. შორს მინდვრებში თეთრი ხარები ბღაოდნენ.

გზა განვაგრძე, დიდი შარა განზე დავტოვე, მოკლედ მოვჭერი, ვენახები გადავსერე, ფერდობი გადავიარე და ტყეში შევედი. განა იმიტომ, რომ შინ მალე მივსულიყავი? არა. ნახევარი საათის შემდეგ ტყისპირა დიდი მუხის გაფოთლილი ტოტების ქვეშ პირდაღებული უძრავად ვიდექი. არ ვიცი, რას ვაკეთებდი, ვფიქრობდი, ვფიქრობდი. ხითელი ცა ქრებოდა. ვუყურებდი, როგორ კვდებოდა მისი ანარეკ-ლი ბურგუნდული ვაზის კრიალა, პრიალა, ღვინისფერ, პატარა და ქორფა ფოთლებზე. სტვენდა ბულბული... გალობით მწყალობდა, ჩემს მეხსიერების შორეთში, ჩემს დამწუხრებულ გულში კი მეორე

ბულბული გალობდა. ერთ ასეთ საღამოს სატრფოსთან ერთად ეზით დაბურულ ფერდობზე ავდიოდი, მაშინ ჯეელი ვიყავი, მხიარული, ხითხითა; ვხუმრობდით და ვლაზღანდარობდით; უეცრად ჰაერში რაღაცამ ჩაიქროლა, ზუსტად არ ვიცი რა იყო, მწუხრის ზარების გუგუნი, დედამიწის საღამოს სუნთქვა, რომელიც იზმორება და მეუბნება, ჩემთან მოდიო, თუ მთვარეს მომწყდარი ნაზი კაეშანი... ორივენი გავჩუმდით, სმენაგადარაჯებულებმა ერთმანეთს ხელი ხელს ჩავავლეთ. ერთმანეთისთვის არც კი შეგვიხედავს, ადგილზე გავქვავდით. მაშინ, ვენახიდან, გაზაფხულის მწუხრი რომ დასწოლოდა, გაისმა ბულბულის გალობა. ვაზზე, რომლის მუხანათი პწკალები გრძელდებოდნენ, გრძელდებოდნენ, გრძელდებოდნენ და ცდილობდნენ მის პატარა ფეხებს შემოხვეოდნენ, თავის ძველსა და სევდიან სიმღერას სულმოუთქმელად გალობდა ტრფობით დამწვარი ბულბული:

„გაიზარდე ვაზის პწკალო, გაიზარდე და გვაამე,
ჩემზე ნუღარ შეწუხდები, არც დღე მძინავს და არც ღამე“...

და დედოფალას ხელი ვიგრძენი, რომელიც მეუბნებოდა:

„დაგიჭირე, შენც დამიჭირე, ვაზო იდიდე, ვაზო იზარდე და ჩვენ შეგვყარე“.

ბორცვიდან ჩამოვედით. შინ მისვლის წინ ერთმანეთს ხელები გავუშვით და მას შემდეგ ერთმანეთისთვის ხელი აღარ მიგვიცია. აუ! ბულბულო, შენ კიდევ გალობ? ვისთვისღა მღერი? ვაზო, შენც იზრდები? სიყვარულო, ვისთვის გინდა ეგ ბორკილები?

ჩამოწვა ღამე, დუნდულოთი ხელებზე, ხელებით კომბალზე დაყრდნობილი, ვით კოდალა თავის კუდზე, ცისკენ ცხვირაშვერილი ვუყურებდი ხის კენწეროს, საიდანაც ბადრი მთვარე იცქირებოდა. ვცდილობდი თავი დამეღწია ჯადოსათვის, რომელიც მბოჭავდა. ვერ მოვახერხე. უთუოდ ხე თავისი ჯადოქრული ჩრდილით მატყვევებდა, ჩრდილით, რომელიც ადამიანს გზას ააცდენს და მისი პოვნის სურვილს უკარგავს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, კიდევ და კიდევ შემოვუარე ხეს და იმ ადგილს მაინც ვერ მოვცილდი.

რა უნდა მექნა, ბედს დავემორჩილე. ბალახზე წამოვწექი და ღამე ღია ცის ქვეშ გავატარე. ამ სასტუმროში დიდხანს არ მიძინია. სევდიანად ვიგონებდი ჩემს ცხოვრებას. ვფიქრობდი, რას მიქადდა ბედი და რა შემრჩა ხელში. ვფიქრობდი ჩემს დამსხვრეულ ოცნებებზე. ღმერ-

თო! რამდენ მწუხარებას პოულობს კაცი თავისი წარსულის სიღრმე-ში, შუაღამისას, როცა სული მილეულია! როგორი ღატაკი და შიშველი გეჩვენება თავი, როდესაც გულგატეხილი სიბერის წინაშე აღიმართება იმედმოსილი სიჭაბუკის სურათი!.. გადავთვალე მოგება და ზარალი, ქონება, შემოსავალი: ცოლი უშნო და უხასიათო მყავს, ვაჟები შორს არიან ჩემგან და სულ სხვანაირად ფიქრობენ, ჩემი მხოლოდ გარეგნობა აქვთ; გავიხსენე მეგობართა ღალატი, ადამიანთა სიშლეგე, მომაკვდინებელი სარწმუნოებანი და სამოქალაქო ომები; ჩემი დარბეული საფრანგეთი; ჩემი სულის ოცნებანი, ჩემი ხელოვნების გაძარცვული ქმნილებანი; აბა რა არის ჩემი ცხოვრება, ერთი მუჭა ნაცარი და სიკვდილის ქარიშხალი, რომელიც ამოვარდნას ლამობს. მწარედ ავქვითინდი, მივეკარი მუხის ფესვებს, ვით მამის მკლავებს, ჩავეკარი, ჩემი სევდა გავანდე. ვიცი, რომ მისმენდა. მერე თვითონაც მითხრა ორიოდ სიტყვა, მანუგეშა; როდესაც რამდენიმე საათის შემდეგ გამომეღვიძა მიწაში ცხვირჩარგულს, ნატკენ გულში სევდა გამქრალიყო, მსუბუქ დაღლასღა და კანჭის კუნთებში კრუნჩხვასღა ვგრძნობდი.

მზე ამოდიოდა. მღეროდა ჩიტებშესეული მუხა. გალობა ისე წვეთავდა, როგორც ყურძნის წვენი, როცა მტევანს ხელს უჭერენ. ყველანი აქ იყვნენ: სკვინჩა გიომე, ბოლოქანქარა მარი გოდრე, ხეკაკუნა ლეგა სილვია, ტიტინა კიოტა და ჩემი ძმობილი, მუდამ უდარდელი, მოხითხითე ნამგალა, ვისაც არც სიცივე აწუხებს, არც წვიმა, არც ქარი და ავდარი, ყოველთვის იცინის, კარგ ხასიათზეა, განთიადზე პირველი იწყებს გალობას, უკანასკნელი ჩუმდება და სწორედ ამიტომ ჩემსავით ღაჟღაჟა ცხვირი აქვს. აჰ! ეს პატარა ყოჩაღი ბიჭები რა გულიანად გასძახოდნენ. ღამის საშინელებისათვის თავი დაუღწევიათ. ხიფათით სავსე ღამისათვის, რომელიც ყოველ საღამოს ბადესავით ეშვება მათ თავზე. სულშემხუთავი წყვდიადია... ვისი დაღუპვის ჯერია... ფარი, ფარირა!.. განთიადის მკრთალი ღიმილი გააცხოველებს გაყინულ სახეს და გაფითრებულ ბაგეებს... უაი ტი, უაი ტი, ლა ლაი, ლა ლაი, ლადერი... ჭიკჭიკით, ყივილით, მეგობრებო, აღტაცებითა და სიყვარულით ზეიმობენ და ეგებებიან განთიადს! გადატანილი ტანჯვა, მოსალოდნელი საფრთხე, მუნჯი შიში, ფხიზელი ძილი, ერთი სიტყვით, ღამე, საშინელი ღამე, ყველაფერი ეს დავიწყებას მიეცა. ყველაფერი ფრრ, გაქრა, გაფრინდა. აუ, დღეო! დღეო ახალო! ჩემო გუგუ-

ლო, მასწავლე შენი საიდუმლოება ყოველ განთიადზე მკედრეთით აღდგომისა.

გუგული სტევნას განაგრძობდა. მისი ძლიერი ირონია მეც მამხნევებდა, მიწაზე ჩაცუცქულმა მეც დავსტვინე მასავით. გუგული... „გუგული თეთრი, გუგული შავი, რუხი ნეველელი გუგული“, მგოსანი, ფრთოსანი, ტყის გულში კუკუ-მალიას თამაშობდა.

„გუგულო, გაჩუმდი, გაჩუმდი, ნუ მღერი, ეშმაკმა მოგტეხოს კისერი“.

ავხტი, გადავკოტრიალდი, კურდღელმაც მომბაძა; იცინოდა, იმდენი ეცინა, რომ პირი გაპობოდა. გზას გავუდექი, გულიანად ვმღეროდი.

— ყველაფერი კარგია, ყველაფერი კარგია! მეგობრებო, დედამიწა მრგვალია... ვინც ცურვა არ იცის, ფსკერისკენ მიდის. ჩემი ხუთი გრძნობის ფართოდ გაღებულ ფანჯრებში შემოიჭერ, ქვეყნიერებავ, იჩუხჩუხე ჩემს სისხლში! რაო! ბრიყვი ხომ არა ვარ, ცხოვრებას გავებუტო იმიტომ, რომ არ მომცა, რასაც ველოდი. ნდომას რომ გზა მისცე, „ეს რომ მქონდეს... ის რომ მექნება...“ სად წახვალ... სურვილებს რა გამოლევს, კაცის გულს რა გააძღებს. მუდამ ის უნდა, რაც არა აქვს, რაც აქვს, არად აგდებს. თვით ბატონიშვილი დე ნეველი, ან მეფე, ან მამა უფალი. ყველას თავისი საზღვრები, თავისი სფერო აქვს. განა იმისთვის უნდა ვიღელვო და ვიწუწუნო, რომ ამ სფეროდან გამოსვლა არ შემიძლია? ვითომ სხვაგან უკეთ ვიქნები? შინა ვარ და აქვე დავრჩები, ეშმაკმაც დალახვროს, დავრჩები, სანამ შემეძლება. რად უნდა ვიწუწუნო? ბოლოს და ბოლოს, ჩემი მოვალე არავინაა! ხომ შეიძლებოდა, რომ არც კი მეცხოვრა... ღმერთო! ამის გაფიქრებაც კი შიშის ზარსა მცემს. როგორ! რა იქნებოდა ეს პატარა, მშვენიერი, მშვენიერი სამყარო, ეს ცხოვრება უბრონიონოდ! ანდა ბრონიონი უსიცოცხლოდ! რა სევდიანი სამყარო იქნებოდა, მეგობრებო!... ყველაფერი მშვენიერია ისე, როგორც არის. ეშმაკსაც წაუღია ის, რაც არა მაქვს! რაც მაქვს, ხომ ჩემია...

* * *

კლამსიში ერთი დღის დაგვიანებით დაებრუნდი. თუ როგორ დამიხვდნენ, ამის წარმოდგენა თქვენთვის მომინდია, მაგრამ ამას დიდად არ შევუწუხებივარ; როგორც ხედავთ, სხვენზე ამოვედი, ჩემს

თავთან ლაპარაკით გული ვიჯერე და ცხვირის ქნევით, ენაგამოყოფილ-ბა ჩავწერე ჩემი დარდი და სიამე, სიამე ჩემი დარდებისა...

რაც გტანჯავდა მანამდე, რამაც წინათ ჩაგქოლა,
რა კარგია შემდეგში მოგონება, მოყოლა.

VI

მოფრენილი ჩიტუნები, ანუ სერენადა ანუაში

ი ვ ნ ი ს ი.

გუშინ დილით გავიგეთ, რომ ორ წარჩინებულ სტუმარს—მადმუაზელ დე ტერმსა და გრაფ დე მაიბუას კლამსიში გაევლოთ. სტუმრები ქალაქში არ შეჩერებულან, პირდაპირ ანუას ციხე-დარბაზში ჩასულან, სადაც სამი თუ ოთხი კვირა უნდა დარჩენილიყვნენ. ჩვეულების თანახმად, მრჩეველთა საბჭომ გადაწყვიტა მეორე დღესვე ორი ქეთილშობილი ჩიტუნიასათვის დელეგაცია წარეგზავნა და ქალაქის სახელით მშვიდობით ჩამოსვლა მიელოცა. (თითქოს დიდი სასწაული მოხდა, თუ რომელიმე ასეთი ცხოველი თბილად და ნებიერად რბილი ფტლით ისე ჩამობრძანდება პარიზიდან ნევერში, რომ გზა არ აერევა, მშვიდობიანად გაივლის ტყე-ველს და კისერს არ მოიტეხს.) გარდა ამისა, აქაური წესის თანახმად საბჭომ გადაწყვიტა სტუმრების პირის ჩასაკოკლოზინებლად მოლოცვებისათვს დაერთო გემრიელი ნამცხვრები, ჩვენი სიამაყე, დიდი დაშაქრული ბისკვიტები, რითაც განთქმულია ჩვენი ქალაქი (ჩემმა სიძემ, საზრიანმა ფლორიმონმა ოცდათექვსმეტი ბისკვიტი მოიტანა: საბჭოს წევრებს ოცდაოთხი ჰქონდათ განზრახული, შაგრამ, ფლორიმონიც მრჩეველია და ყველაფერში ხელგაშლილი: თექვსმეტ სოლად ერთ ნამცხვარს ჰყიდის; კარგ ხეირს ნახავს, ფულს კი ქალაქი გადაიხდის). და საბოლოოდ რომ მოეხიბლათ მათი ყველა გრძნობა და იმიტომაც, რომ ნათქვამია, მუსიკა მადას აორკეკებსო (ძე კი, როცა ვჭამ, მუსიკა ფეხებზე მკიდია, მითხარით, გეთაყვა, ჭა-

მის დროს მუსიკა რა თავში მიხლია), დაავალეს ოთხ ვაი-მუსიკოსს, ორ ჰობოის, ორ ვიოლიხოს და კიდევ ერთ მედოლეს, ქალაქის დელეგაციის გაჰყოლოდნენ და ნამცხვრების ჩაცეცხვლისას თავის ჯაბახანებზე ციხე-დარბაზის სტუმრებისათვის სეოეხადა დაეკრათ.

მეც ჩემი სალამურით დაუპატიჟებლად შევუერთდი კამპანიას. განა შემეძლო ახალი სიფათების ნახვის შემთხვევა გამეშვა, ისიც მაშინ, როცა საქმე კარის ფრინველებს ეხებოდა (სამეფო კარის და ერა საქათმის, მოწმე იყავით). რა ვქნა, მიყვარს მათი ნაზი ბუმბული, მათი ტიტინი, მიყვარს, ფრთებს რომ იპრიალებენ, დარბაისლურად დაბრძანდებიან, ამაყად იცქირებიან. კურტუმებს იქნევენ, ცხვირაბზეკილი უთავბოლოდ წრიალებენ, ფრთებს თავმომწონედ აქნევენ, და მერე, მეფის კარიდან იქნებიან თუ სხვა მხარიდან, თუ ახალი რამ მოაქვთ, ჩემთვის ყოველთვის საამონი არიან. პანდორის შვილი ვარ, მიყვარს ყველა ქოთნის, ყველა სულის სარქველის მოხდა. სუფთისა და ბინძურის, გამხდრისა თუ მსუქნის, კეთილშობილისა თუ მდაბიოსი, მიყვარს სხვის გულში ქექვა, გაგება, რა ხდება შიგ, მიყვარს ჩარევა საქმეში, რომელიც არ მეკითხება, ყველგან ცხვირის ჩაყოფა, ყველაფრის დაყნოსვა, დაჭაშნიკება. ცნობისმოყვარეობისათვის გამამათრახონ, ყაბულსა ვარ; მაგრამ (არხეინად ბრძანდებოდეთ!) სასიამოვნო სასარგებლოს არ მავიწყებს და რაკი ანუას ბატონისათვის ჩემს სახელოსნოში ორი ჩუქურთმიანი პანო მქონდა, შემთხვევით ვისარგებლე და (ფული არ მიღირდა და რა მენაღვლებოდა) ერთ-ერთ იმ ფორანზე დავდე, სადაც წარგზავნილები, მუსიკოსები და მოშაქრული ბისკვიტები იყო. წამოვიყვანე ჩემი გლოდიც, ფლორიმონის ასული, ფორნით რომ გვესარგებლა (შემთხვევა მოგვეცა) და უფასოდ გაგვესეირნა; ბეორე მრჩეველს ბიჭუნა მოჰყვა. მეაფთიაქემ ფორანი სიროფებით, ნაყენებით, თაფლით და მურაბებით აავსო. სტუმრებს მიართმევდა თავისი სახელით, ფულს კი ქალაქი კლამსი გადაიხდიდა. უხდა გამოგიტყდეთ, ჩემს სიძეს ეს არ მოეწონა, ამბობდა, ეს ჩვენს ადათებს არ შეეფერება და თუ ყველა ოსტატი: მეფურნე, მეჯღანე, ყასაბი და დალაქი მეაფთიაქეს მიჰბაძავს, დააქცევენ ქალაქსა და მოქალაქეებსო. ფლორიმონი არ ტყუოდა, მაგრამ მეაფთიაქეც მრჩეველი იყო და მის სიტყვასაც წინ ვერავინ დაუდგებოდა. ერთნი ქმნიან კანონებს, მეორენი ემორჩილებიან.

ორი ფორნით გავემგზავრეთ: ქალაქის თავი, საჩუქრები, ბავშვე-

ბი, პანოები, ოთხი მუსიკოსი და ოთხი მრჩეველი. მე ფეხით მივდიოდი. ფორნით ხბო მიჰყავთ სასაკლაოზე, ანდა დედაბრები ბაზრობაზე, ასეთი მგზავრობა ხეიბრების საქმეა. სიმართლე გითხრათ, არც თუ ისე კარგი ამინდი იდგა. ცა მოქუფრული იყო, საავდროდ გამზადებული, თუმცა აპოლონის მგზნებარე მრგვალი თვალი მცხუნვარე ისრებს გვესროდა კეფაში. გზაზე ბუზებისა და მტვრის კორიანტელი იდგა; მაგრამ ფლორიმონის გარდა, რომელიც ლამაზი ქალივით უფრთხილდებოდა თავის თეთრ კანს, ყველა კმაყოფილი იყო. გაზიარებული წყენა თითქმის ლხენაა.

სანამ წმინდა მარტენის კოშკი ჩანდა, ყველა ამ წარჩინებულ ბატონს დარბაისლური იერი ჰქონდა, მაგრამ როგორც კი ქალაქის თვალს მოვშორდით, ყველას შუბლი გაეხსნა, მერე ქურთუკები გაიძრეს და ჩემსავით პერანგების ამარა დარჩნენ. ჯერ გადაკრული სიტყვებით გავუმასპინძლდით ერთმანეთს (ჩვენებური წესია, მადა რომ გაგეხსნას), შემდეგ ერთმა წამოიწყო სიმღერა, მას მეორე აჰყვა და მე ვფიქრობ, მაპატიეთ, თუ ვცდები, თვით ქალაქის თავმა წამოიწყო კუპლეტი. მე სალამური ავაკვნესე, სხვებიც ამყვნენ. უეცრად ჩვენს სიმღერას და ჰობოების ჰანგებს გამოეყო გლოდის წკრიალა ხმა. ვით ბეღურა მაღლა ფრენდა, ჭიკჭიკებდა და თან სტვენდა.

აუჩქარებლად მივდიოდით. ჯაგლაგები აღმართზე ჩერდებოდნენ, სულს ითქვამდნენ და სასკორეთი ბათქა-ბუთქი გაჰქონდათ. გზა რომ განგვეგრძო, მათი მუსიკის დამთავრებას ვუცდიდით. ბუაშოს აღმართს რომ მივადექით, ჩვენმა ნოტარიუსმა მეტრ პიერ დელავომ გვითხრა (უარს ვერ ვეტყოდით, ერთადერთი მრჩეველი იყო, რომელსაც არაფერი უთხოვია), გზად ერთ ჩემს კლიენტთან შევიაროთ, ანდერძის დაწერა მთხოვაო. გავყევით, მაგრამ დიდხანს მოუნდა: ჩვენი ფლორიმონი აჰყვა მეაფთიაქეს და დაიწყო წუწუნი: ეს რასა ჰგავსო, შენი როგორ უნდა გერჩიოს ჩემსასო. მაგრამ მეტრ პიერ დელავომ აუჩქარებლად დაამთავრა თავისი საქმე და მეაფთიაქემ ნებსით თუ უნებლიეთ, წყენით თუ სიხარულით გადაყლაპა ეს.

გზა რამ დალია და სიარულმაო. ბოლოს მივედით კიდეც. ჩვენი ჩიტუნები სუფრიდან დგებოდნენ, როდესაც ძღვენი შევუტანეთ. მოლა მოკვდა და საფლავში ფლავი ჩააყარესო; რა გაეწყობოდა, კვლავ მაგიდას მიუსხდნენ. ჩიტუნები ხომ სულ იკენკებიან. როგორც კი ციხე-დარბაზს მივუახლოვდით, საბჭოს ვაჟბატონები შედგნენ, რომ

ჩაეცვათ მზისგან გულმოდგინედ დამალული ლამაზი, თვალისმომჭრელი, გულის გამხარებელი საზეიმო სამოსი მწვანე აბრეშუმისა — ქალაქის თავისთვის, ღია ყვითელი შალისა — ოთხი ძმა-კაცისთვის; ასე გეგონებოდათ, ერთი კიტრი და ოთხი გოგრაა. ჩვენ ინსტრუმენტებზე დაკვრით შევედით. ხმაურზე უსაქმო მსახურებმა ფანჯრიდან თავები გამოყვეს. ჩვენი ოთხი შალოსანი და ერთიც აბრეშუმოსანი ავიდნენ პარმაღზე, რომლის კარებში გამოჩნდა ორი ნაოჭიანი საყელო (კარგად ვერ ვხედავდი) და ბაბთებით შემკული, ცხვრებივით დახუჭუჭებული წყვილი თავი („სახარე ხბოს სასკორეზე შეეტყობაო"). ჩვენ კი, მუსიკოსები და გაგრიები, შუა ეზოში ვიდექით. ამ სიშორიდან არ შემეძლო გამეგო ის ლამაზი სიტყვა, რომელიც ჩვენმა ნოტარიუსმა ლათინურად წაიკითხა; მაგრამ თავი იმით ვინუგეშე, რომ მგონია, თავის ნათქვამს მხოლოდ თვითონ მეტრ პიერი უსმენდა. სამაგიეროდ პაწაწინა გლოდის ცქერით დავტკბი; როდესაც ჩემი კრავი პატარა ნაბიჯებით კიბის საფეხურებზე ადიოდა, გეგონებოდათ, პატარა წმინდა მარიამი ტაძარში შეჰყავთო. მუცელზე მიეკრა ბისკვიტებით სავსე კალათა, რომელიც ნიკაპამდე სწვდებოდა. არც ერთი ბისკვიტი არ დავარდნია; გულში მაგრად ჩაეხუტებინა ამ მსუნაგ ეშმაკუნას, საყვარელ ფისუნიას... ღმერთო! მზად ვიყავი, გადამეყლაპა.

ბავშვის მომხიბვლელობა ნამდვილი მუსიკაა და უფრო მეტად სწვდება გულს, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ვუკრავდით. ზვიადი კაციც, ის მადლიანი, თვითონაც ბავშვი ხდება, ერთი წუთით ავიწყდება სიამაყე და მაღალი წოდება. მადმუაზელ დე ტერმმა ალერსიანად გაუღიმა გლოდის, აკოცა, მუხლებზე დაისვა, ნიკაპზე ხელი მოუცაცუნა, ერთი ბისკვიტი ორად გატეხა და უთხრა: „გავიყოთ, დააღე შენი ნისკარტი..." და უფრო დიდი მრგვალ ღუმელში ჩაუდო. მე კი, გახარებულმა, მთელი ძალით ვიყვირე:

— გაუმარჯოს ნეველის ლამაზ და კეთილ ყვავილს!

და ჩემს სალამურზე ჰერი, ჰერი, დავუკარი მხიარული მისამღერი, რომელმაც მერცხლის წკრიალა ჭიკჭიკით გააპო ჰაერი.

ყველა სიცილით ჩემკენ მობრუნდა. გლოდიმ ტაში დაუკრა და იყვირა:

— პაპა! პაპული!

ბატოხი დ'ანუა მეძახის:

— ეს ჩვენი პამპულა ბრონიონია...

(მიცნობს ეგ ცუღლუტი, მიცნობს ვინცა ვარ, თვითონაც არ არის ჩემზე ნაკლები პამპულა).

მანიშნებს, ჩემთან მოდიო. ჩემი სალამურით მივდივარ, მკვირცხლად ავდივარ და ვესალმები...

(თაყვანისცემა, სიტყვები ზრდილი
აამებს ბატონს და არც ღირს ძვირი).

ყველას მოწიწებით ვუკრავ თავს, ვესალმები მარჯვნივ, ვესალმები მარცხნივ, წინ და უკან, კაცსა და ქალს; მორიდებით ვათვალიერებ და ვცდილობ შემოვუარო ზარის ფორმის ფართე კაბაში გამოკიდებულ ქალიშვილს (იტყოდით სარეკელაარ); სამოსელს ვხდი (რასაკვირველია, მხოლოდ ფიქრით) და ვიცინი, რომ კვლავ ვხედავ პატარას და შიშველს, ჭინჭებში დაკარგულს. მაღალი იყო, ტანადი, შავგვრემანი. კანი პუდრით გაეთეთრებინა; ლალივით მბრწყინავი და მუქი თვალები ჰქონდა, პატარა, მსუნაგი, ქექია გოჭის ცხვირი, მსუქანი, წითელი, საკოცნელად საამო ტუჩები. ღაწვებზე ხუჭუჭა ზილფები ეყარა. რომ დამინახა, მოწყალედ მითხრა:

— თქვენია ეს მშვენიერი პატარა ბავშვი?

ეშმაკურად ვუპასუხე:

— აბა ჩვენ რა ვიცით, ქალბატონო? აი ეს ბატონი ჩემი სიძე გახლავთ. ამაზე პასუხი მან უნდა გაგცეთ. მე თავდებად ვერ დავუდგები. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩვენი საუნჯეა და არავინ გვეცილება. ფულივით ხელიდან არ გვტაცებენ. ხომ გაგიგიათ, „შვილი ღარიბის დოვლათიაო“.

მოწყალება მიიღო, გაიღიმა, ბატონიშვილმა დ'ანუამ კი გადაიხარხარა. ფლორიმონმაც გაიცინა, მაგრამ მწარედ. მე სერიოზულად მეჭირა თავი. თავს ვისულელებდი, მაშინ საყელოჩანაოჭებულმა კაცმა და ზარის ფორმის კაბიანმა ქალბატონმა კეთილინებეს და გულმოწყალებით მკითხეს (ეგონათ მესაზანდრე ვიყავი), თუ რას მაძლევდა ჩემი ხელობა. და მეც მართალი ვუთხარი:

— თითქმის არაფერს...

მაგრამ რას ვაკეთებდი, ეს კი არ მითქვამს. ან რად უნდა მეთქვა? ამას არავინ მეკითხებოდა. მე ველოდებოდი, ყველაფრის ნახვა მსურ-

და, ვერთობოდი. სასეიროდ მიმაჩნია ის მოურიდებელი და ცერემონიული ქედმაღლობა, რომლითაც ეს ლამაზი და მდიდარი ვაჟბატონები მიმართავენ ხოლმე ჩემისთანა ხელმოკლე და ღარიბ კაცს. ასე გეგონებათ, ჭკუას ასწავლიანო. ღარიბი ხომ ბავშვივითაა, ჭკუა-გონება არ გააჩნია... და მერე (ამას არ ამბობენ, მაგრამ ფიქრობენ) ეს მისივე ბრალია: ღმერთმა დასაჯა, ასეც მოუხდება, იკურთხოს უფალი.

თითქოს იქ არც კი ვყოფილიყავი, მაიბუამ უთხრა ქალბატონს:

— ვინაიდან საქმე არაფერი გვაქვს, ეს საბრალო კაცი გამოვიყენოთ, ქალბატონო; ცოტა ჩერჩეტი ჩანს, აქეთ-იქით დაეთრევა, სალამურს აკვნესებს: უთუოდ იცნობს სამიკიტნოების ხალხს, გვეტყვის რას ფიქრობს პროვინცია, თუკი საერთოდ...

— ჩუ!

— ...თუკი საერთოდ ფიქრი შეუძლია.

და მეკითხებიან:

— გვითხარი, კეთილო, რას ფიქრობენ აქაურები?

— რას ფიქრობენ? — ვიმეორებ გამოთაყვანებული, თან თვალს ვუკრავ ჩემს ჩაგოდრებულ ბატონ დ'ანუას, რომელიც თავის წვერს ეალერსება, ჩუმ-ჩუმად იცინის და ხელს არ მიშლის ვიპამპულო და ვაპამპულო...

— როგორც ვხედავ, საერთოდ აზრზე ხელმოკლედ ყოფილხართ პროვინციაში, — ირონიულად განაგრძობდა მაიბუა. — მე მინდა გკითხო, ჩემო კეთილო, თუ რას ფიქრობენ, რა სწამთ. კარგი კათოლიკები და მეფის ერთგულნი თუ არიან.

ვეუბნები:

— დიდ არს უფალი და მეფეც მეტად დიდია. ორივე ძალიან გვიყვარს.

— პრინცებზე რაღას ფიქრობენ?

— ისინი დიდი ბატონები არიან.

— მაშ, მათი მომხრე ხართ?

— დიახ, ბატონიშვილო, დიახ.

— და კონჩინის წინააღმდეგნი?

— მისი მომხრეც ვართ, ბატონიშვილო.

— როგორ, დალახვროს ეშმაკმა, როგორ! პრინცები და კოხჩინი ხომ მტრები არიან?

— არ უარვყოფ... შეიძლება. ასეც იყოს... ჩვენ ორივეს მომხრეები ვართ.

— ღმერთო ჩემო, ეგრე არ იქნება, ერთ-ერთი უნდა აირჩიოთ!

— განა აუცილებელია, ბატონო? არ შეიძლება არჩევანს თავი დავაღწიოთ? მაშ, იყოს ნება თქვენი. მაინც ვისი მომხრე ვართ?.. ამას ერთ უმთვარო ორშაბათს მოგახსენებთ, ბატონო, მანამდე კი ფიქრი მჭირდება.

— კი მაგრამ, რაღას ელოდები?

— რასა, ბატონო და, ხომ უნდა გავიგო, ვინ უფრო ძლიერია.

— არამზადავ, არა გრცხვენია? ნუთუ არ შეგიძლია ერთმანეთისაგან გაარჩიო დღე და ღამე, მეფე და მისი მტრები?

— აბა საიდან, მეტისმეტსა მთხოვთ, ბატონო. დღე რომ არის, ამას კარგად ვხედავ, ბრმა როდი ვარ; მაგრამ თუ აუცილებელია არჩევანი მეფის ხალხსა და ბატონ პრინცების ხალხს შორის, გამოგიტყდებით, ვერ ვიტყოდი, რომელი სვამს უკეთ, ან რომელს მოაქვს მეტი ზარალი. მათზე ცუდს არაფერს ვამბობ! მადა კარგი აქვთ; ეს მათ ჯანმრთელობაზე მეტყველებს. თქვენც ჯანმრთელობას გისურვებთ. მომწონს სმა-ჭამის მოყვარული ხალხი, სიამოვნებით მივბაძავდი ჭამაში; მაგრამ სიმართლე გითხრათ, ისეთი მეგობრები მირჩევნია, რომლებიც ჩემთან კი არა, სხვებთან ჭამენ.

— მაშ, არაფერი გიყვარს, ყურუმსაღო?

— როგორ არა, ბატონიშვილო, მიყვარს ჩემი ავლა-დიდება.

— არ შეგიძლია შენს ბატონს, მეფეს, შესწირო, რაც გაგაჩნია?

— თუ სხვა გზა არ მაქვს, როგორ არა, ბატონიშვილო, თუმცა მინდა გავიგო, რომ არ ყოფილიყო ჩვენს საფრანგეთში ჩემისთანა ხალხი, ვისაც უყვარს თავისი ვენახი და მინდორი, რას დალევდა ან რა სუფრას გაშლიდა მეფე ბატონი? ყველას თავისი ხელობა აქვს. ერთნი ჭამენ, სხვები... სხვებს სჭამენ. ასეთია უფლის ნება, პოლიტიკა არის ჭამის ხელოვნება. საბრალო ხალხი პოლიტიკას რა თავში ვიხლით? თქვენი იყოს პოლიტიკა, ჩვენი იყოს ჩვენი მიწა! განსჯა რა ჩვენი საქმეა. უბირი ხალხი ვართ. აბა, ჩვენ სხვა რა ვიცით, თუ არა მამა-ადამისებურად მიწის დამაკება. ამბობენ, თქვენი მამაც იყოო, მაგრამ მე არ მჯერა. უკაცრავად... მამა არა და, ბიძაშვილი თუ იქნებოდა. ჰოდა, აბა სხვა რა ვიცით, მიწის დამაკების გარდა, რომ

უფრო ბარაქიანი გავხადოთ �ი, ჩვენ მიწის თხრა ვიცით, ხვნა, თესვა ბოლოისა, მოყვანა ხორბლისა, დასხვლა და მყნობა ვაზისა, მკა და ცელვა, ძნების შეკვრა, ხორბლის ლეწვა, ყურძნის დაწურვა, ღვინის დაყენება, პურის გამტკიცვა-გამოცხობა, შეშის დაპობა, ქვის გამოთლა, მაუდის გამოქრა, ტყავის გამოყვანა, რკინის ბედვა, კერვა, დურგლობა, არხებისა და გზების გაყვანა, ქალაქებისა და ტაძრების აგება და შენება, მიწის გულზე სამკაულად ლამაზი ბალების მორგება, ხის კედლებზე, პანოებზე სინათლის მომხიბვლელობის აყვავილ-აფერადება, შიშველ-ტიტველ და მშვენიერ სხეულებზე შემოკრული ქვის საძოსის გახდა, ან ჰაერში მოლივლივე ხმების დაქერა და მკვნესარე ვიოლინოს მუქოქროსფერ მკერდში ან ჩემ მილაკ სალამურში მათი დატყვევება, რათა გავხდეთ ბატონები საფრანგეთის მიწისა, ცეცხლისა, ჰაერისა და წყლისა, ოთხი ელემენტისა, ოოგ ისინი ვამსახუროთ თქვენს სიამოვნებას... აბა, ამის მეტი რა ვიცით, ანდა რა გაგვეგება. როგორ გაკკადნიერდებით, რომ ვიფიქროთ, რამე გვესმისო საზოგადო საქმეებში, თავადების დავაში, მეფის წმინდა განზრახვებში, პოლიტიკასა და სხვა მეტაფიზიკაში? თავს ზემოთ ძალა არ არის, ჩემო ბატონო. ჩვენ საცემრად გაჩენილი საპალნის ცხოველები ვართ. გეთანხმებით! მაგრამ თუ რომელი მუშტი გვირჩევნია, ან ჩვენი ზურგისთვის რომელი ხელკეტი უფრო რბილია... ამის გადაწყვეტა მეტად ძნელია ჩემი ბებერი, უტვინო თავისთვის! მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს. რომ გიპასუხოთ, ხელში ორივე კეტი უნდა მქონოდა, უხდა ამეწონ-დამეწონა ერთიცა და მეორეც; სხვის ზურგზედაც გამომეცადა. მანამდე კი მოთმინება სჯობს. ჩვენი დროც მოვა. ითმინე გრდემლო, ითმინე სანამ გრდემლი ხარ; დაჭკარ, როდესაც ურო გახდები..

გრაფი იკვნეულად მიყურებდა, ცხვირს იკმუხნიდა, არ იცოდა, რა ექნა, ეცინა თუ გაბრაზებულიყო. ამ დროს მისი ამალიდან ერთმა მესაჭურვლემ, რომელსაც ჩვენს განსვენებულ კეთილ ნეველის ჰერცოგთან ვენახე, უთხრა:

— ბატონიშვილო, კარგად ვიცნობ ამ ახირებულს, კარგი მუშაა, საუცხოო დურგალი, დიდი ლაზღანდარა და ხელობით მოქანდაკეა.

ეტყობა კეთილშობილ ვაჟბატონს არც ამ სიტყვებმა შეუცვალა ბროხიონზე შეხედულება; ოდნავი ყურადღება ჩემი სუსტი პიროვნე-

ბისადმი მხოლოდ მაშინ გამოიჩინა (ჩემო ბავშვებო, „სუსტს“ თავმდაბლობით ვამბობ, სინაბდვილეში ერთ მიუდწე ცოტათი ნაკლებს ვიწონი), როდესაც მესაჭურჭლისა და მასპინძელ ბატონ დ'ანუასაგან გაიგო, ესა თუ ის პრინცი მის ნამუშევარს დიდად აფასებსო. მაშინ კი მოვიდა აღტაცებაში, როდესაც ეზოში გაიყვანეს და ჩემს ძიერ გამოქანდაკებული სარაჯი უჩვენეს: კაბააკეცილ გოგოს წინსაფარში ორი ხისკარტდაღებული, ფრთებგაშლილი და აფორიაქებული იხვი უზის. შემდეგ ციხე-დარბაზში ჩემი ავეჯი და პანოები ნახა. იფხორებოდა ბატონი დ'ანუა. სულელები არიან მდიდრები! რაკი ფული გადაუხდიათ, ჰგონიათ, ნამუშევარიც მათია!.. მაიბუამ, ჩემთვის პატივი რომ დაედო, თავი გამოიდო, დიდად გაიკვირვა და გაიოცა, ამ მიყრუებულ მხარეში რად რჩები, ისე შორს დიდ პარიზელ ხელოვანთაგანო. შენს ნახელავშიც მხოლოდ მოთმინება და ჭეშმარიტება ჩანს, მოგონილი არაფერია, არავითარი გამჭრიახობა, აღმაფრენა, დაკვირვება, იდეა, სიმბოლო, ალეგორია, ფილოსოფია, მითოლოგია, ერთი სიტყვით არაფერია ისეთი, რაც მცოდნე კაცს ეუბნება, რომ ეს დიდი სკულპტურაა (ყოველ დიდ ბატონს მხოლოლ დიდი რამ მოსწონს).

მორიდებით ვუპასუხე (თავმდაბალი და მიამიტი ვარ), ვიცი ჩემი ფასი, საერთოდ ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს-მეთქი, ჩემისთანა საბრალო კაცი, ვისაც თავის დღეში არაფერი უნახავს, არაფერი გაუგონია, არაფერი იცის, თუ ჭკვიანია, პარნასის ქვედა ქანდარაზე უნდა დარჩეს, სადაც ერიდებიან დიდ, ფართო და ამაღლებულ ჩანაფიქრებს. და თუ გონიერია, მოარიდებს ზარდაცემულ თვალებს მწვერვალს, სადაც ღვთიური რაშის ფრთები მოჩანს და მთის ძირში თხრის კარიერს, რომლის ქვები სახლისათვის გამოადგება, სიღატაკისაგან გონებაშეზღუდული ქმნის და ასახავს მხოლოდ იმას, რაც ყოველდღიური საჭიროებისათვისაა გამოსადეგი. გამოყენებითი ხელოვნება — აი, მისი ხვედრი.

— გამოყენებითი ხელოვნება! ეს ორი სიტყვა ცუდად ჟღერს ერთად, — ლამაზი მხოლოდ ისაა, რაც უსარგებლოა.

— დიდებული სიტყვაა, ბატონიშვილო! სიმართლე სრული და თანაც ბრძნული! — დავეთანხმე მე. — ყველგან, ხელოვნებაშიც და ცხოვრებაშიც, არაფერია ისე წარმტაცი, როგორც ალმასი, მეფე, თავადი, კეთილშობილი ანდა ყვავილი.

მაიბუა კმაყოფილი დარჩა. ბატონმა დ'ანუამ განზე გამიხმო და ყურში წამჩურჩულა:

— შეჩვენებულო მასხარავ! ხალხის გაპამპულებას მორჩები თუ არა? ჰო, თავი მოიკატუნე, პირი დააღე, უცოდველო ბატკანო, კარგად გიცნობ, რაცა ბრძანდები. ნუ ფიცავ-მეთქი! ეს პარიზელი პრანჭია კი, მიდი შვილოსა, აპამპულე, რამდენიც გინდა! გული არ დამწყდება, მაგრამ თუ ოდესმე ჩემზე თავდასხმაც განიზრახე... ფრთხილად, კოლა, წინ იყურე, არ გამიხდე საპანჩურე.

აღვშფოთდი:

— ბატონიშვილო! მაგას რად ბრძანებთ. განა მე ძალმიძს თავს დავესხა თქვენს ბრწყინვალებას? ჩემს კეთილისმყოფელს! ჩემს მფარველს! განა შეიძლება ბრონიონს, კოლას, მიაწერონ ასეთი სულმდაბლობა?.. სულმდაბლობა კიდევ ჰო, მაგრამ სისულელე, სივირე? არა, გეთაყვა, სხვებისათვის დამილოცნია. ეს ჩვენ არ გვახასიათებს. დიდი მადლობა, ბატონიშვილო, ჩემი ტყავი ძალიან მიყვარს, ამიტომ პატივსა ვცემ ყველას, ვინც იცის, თუ როგორ უნდა უკარნახოს სხვას, რომ პატივი სცეს მას. ბატონიშვილო, თქვენ არამც თუ ჩემზე ძლიერი ხართ (ეს უდავოა), ჩემზე ეშმაკიც ბრძანდებით. აბა, თქვენთან რა სახსენებელი ვარ. ჰე! ჰე! ჰე! მე ხომ სასახლეში მჯდომ დიდ მელასთან შედარებით პაწია მელაკუდა ვარ. რამდენი ოინია თქვენს ქიშელაში, რამდენი ჩაგისვამთ შიგ გიქები და ფრთხილები, ჭაბუკები და მოხუცები.

ბატონ დ'ანუას სახე გაებადრა. კაცს ყველაზე მეტად მაშინ აამებ, როცა ისეთ ტალანტს უქებ, რომლის ნატამალიც არ გააჩნია.

— კეთილი, კეთილი, ბატონო ლაზღანდარავ. ჩემს ქიშელას მოვეშვათ, სჯობს შენსას ჩავხედოთ, ვნახოთ, რა მოგაქვს; ეშვი არ არის, უმიზეზოდ არ ამოსულხარ.

— აი, აი, აკი ვამბობდი, კიდეც მიმიხვდით! არა არის რა თქვენთვის დაფარული, მამაზეციერივით კითხულობთ გულებში.

ვუჩვენე ჩემი ორი პანო და ერთი იტალიელი მხატვრის ნამუშევარი (ფორტუნა ბორბალზე, ოდესღაც მანტუში რომ მქონდა ნაყიდი), რომელიც ბებერმა ქარაფშუტამ (ღმერთმანი, არც კი ვიცი როგორ) ჩემს ნახელავად გავასაღე. თითქოს მომიწონეს კიდეც... შემდეგ (აირია მონასტერი.) ერთი ჩემი ნამუშევარი ვუჩვენე (ქალწულის სახიანი მედალიონი) და ვუთხარი (ღმერთმა შემინდოს, ეს უნებური სიც-

რუე), იტალიური არის-მეთქი. გაიკვირვეს, აღტაცებაში მოვიდნენ, ბოიწონეს, ატყდა ერთი ჰაი-ჰუი. დადნენ აღფრთოვანებისაგან. მაიბუამ, აღტაცებისაგან პირი რომ დაეღო, განაცხადა, ნათლად ჩანს ლათინური ცისა და ღმერთების — იესო ნაზარეველისა და იუპიტერ ოლიმპიელის მიერ ორგზის ნაკურთხი მიწის ანარეკლია. ბატონმა დ'ანუამ კი, რომელიც სიხარულისაგან ხვიხვინებდა, დამითვალა ოცდათექვსმეტი დუკატი მასში და მხოლოდ სამი დანარჩენ სამში.

* * *

საღამოს უკან გამოვბრუნდი. გზაში თანამგზავრებს გასართობად ჰერცოგ დე ბელგარდის ამბავი ვუამბე. ბატონი ჰერცოგი კლამსიში ფრინველზე სანადიროდ ჩამობრძანდა. ისეთი ბეცი იყო, ისეთი ბეცი, რომ ოთხ ნაბიჯზე ვერაფერს ხედავდა. მე ნაბრძანები მქონდა, როდესაც ის თოფს გაისვრიდა, ძირს ჩამომეგდო ხისგან გამოთლილი ჩიტი და მერე მარჯვედ და სწრაფად მის მაგივრად გულგანგმირული ნამდვილი ფრინველი შომერბენინებინა. ბევრი იცინეს. შემდეგ ყველამ წამოაყრანტალა სასაცილო ამბავი ჩვენს ბატონებზე... კეთილი ბატონები! ო, რომ იცოდნენ, რა სასაცილონი არიან, როდესაც თავიანთ დიდებულებაში მეფურად მოიწყენენ ხოლმე.

გადავწყვიტე მედალიონის ამბავი შემომენახა და მხოლოდ შინ, ჩემიანებისთვის მეამბნა. ფლორიმონმა რომ გაიგო, ბწარედ მისაყვედურა, ასე იაფად რად გაყიდე შენად გასაღებული იტალიური ნამუშევარი, თუკი ისე მოეწონათ და გულუხვადაც გადაგიხადეს შენს ნამუშევარში, იტალიურად რომ გაასაღეო. ვუპასუხე, ხალხის მასხრად აგდება მსურდა, მათი გაყვლეფა კი არა-მეთქი. ფლორიმონი არ ცხრებოდა, გაბრაზებული მეკითხებოდა, რა ჯანდაბად გინდოდა საკუთარ ხარჯზე გართობა, ანდა ხალხის დაცინვას რა თავში იხლი, თუკი სარგებელს არ ნახავო.

მაშინ ჩემმა მარტინამ ბრძნული რჩევა მისცა:

— გეყოს, ფლორიმონ, კმარა: ჩვენს ოჯახში ყველანი ასეთები ვართ — დიდიან პატარიანად, სიტყვამახვილი, მუდამ კმაყოფილი, მხიარული. ვიცინით ამბებზე, ერთმანეთს რომ ვუამბობთ: მაშ, ნუ წუწუნებ, ჩემო კარგო, რადგან ამას უნდა უმადლოდე, რქადასმული

რომ არა ხარ! იმის გაფიქრებაც კი, რომ შემიძლია, როდესაც მინდა რქები დაგადგა, ისე მართობს, რომ ამის ჩადენის სურვილიც აღარა მაქვს... ცსვირ-პირი ნუ ჩამოგტირის! ნურაფერს ნანობ! ისე იგულისხმე, თითქოს ნამდვილად რქიანი იყო. ლოკოკინავ, დამალე რქები, დამალე-მეთქი! მათ აჩრდილს ვხედავ.

VII

ჭ ი რ ი

იელისის პირველი დღეები.

ნათქვამია, „ჭირი შედის ურმობითა და გამოდის მისხლობითა". ის ჩვენ ორლეანის დილიჟანსის მეეტლის სახით გამოგვეცხადა. გასული კვირის ორშაბათს სენ-ფარჟოში ჭირის თესლი აღმოაჩინეს. ავი თესლი სწრაფად ხარობს. კვირის ბოლომდე ათამდე კაცი გამოესალმა წუთისოფელს. დაუპატიჟებელი სტუმარი ნელ-ნელა ჩვენც წამოგვეპარა და გუშინ კულან-ლა-ვინოზში გამოცხადდა. ატყდა ალიაქოთი იხვების გუბეში, აყაყანდა ქალი და კაცი, გაიძურწა ყველა მამაცი. ქალები, ბავშვები და ჭუკები შორს, მონტნუაზონში გავგზავნეთ. ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჩემს სახლში აღარ ისმის ტატანი, კრიახი, კაკანი. ფლორიმონიც ქალებთან ერთად წაბრძანდა. ყვერულმა მოიმიზეზა, რომ არ შეეძლო ფეხმძიმე მარტინა მარტო გაეშვა. ბევრმა ღიპიანმა ბატონმა მიზეზი გამონახა ეტლით გასეირნებისათვის და მოსავლის დასათვალიერებლად.

ჩვენ კი, ვინც ვრჩებოდით, ვმასხარაობდით, დავცინოდით იმათ, ვინც თავს უფრთხილდებოდა და ჭირს ერიდებოდა. ოქსერის გზაზე, ქალაქის კარებთან ბატონმა მრჩევლებმა დარაჯები დააყენეს და უბრძანეს, გაყარეთ ყველა საბრალო და მათხოვარა, ვინც ქალაქში შემოსვლას შეეცდებაო. ჯანსაღი ქისის მქონე მაღალი წრის ბატონები და ქალაქის მცხოვრებლები კი უნდა გაესინჯა ჩვენს სამ ექიმს, მეტრ ეტიან ლუაზოს, მეტრ მარტენ ფროტიესა და მეტრ ფილიბერ დე ვოს. მკურნალებს სენისაგან რომ თავი დაეცვათ, მალამოთი გამოტენილი გრძე-

ლი ცხვირები მიეწებებინათ, ზედ სათვალე და ნიღბები წამოეცვათ. წარმოიდგინეთ, ამაზე რამდენს ვიცინოდით. ძვირფასმა მეტრ მარტენ ფროტიემ ჩვენ დაცინვას ვერ გაუძლო, თქვა: არა ვარო მასხარა და ვირი, მოიგლიჯა ხელოვნური ცხვირი და განაცხადა, ასეთი სისულელეებისა არაფერი მწამსო, მაგრამ საბრალო კაცმა სული განუტევა; თუმცა უნდა ითქვას, რომ მეტრ ეტიან ლუაზო, რომელსაც თავისი გრძელი ცხვირისა სჯეროდა და ლოგინშიც არ იშორებდა, მაინც გარდაიცვალა. გადარჩა მხოლოდ მეტრ ფილიბერ დე ვო, რომელმაც კოლეგებზე მეტი წინდახედულობა გამოიჩინა და მიატოვა თავისი ცხვირი კი არა, პოსტი... ვაიმე, ვაიმე, რამდენი რამე გამომრჩა, ბოლოში გავედი და შესავალი კი არ დამიმთავრებია. თავიდან დავიწყოთ, შვილოსა, და ჩვენ თხას წვერებში ჩავავლოთ ხელი: ამჯერად ხომ მაგრად გიჭირავს?..

ჰო, იმას ვამბობდი, რომ რიჩარდ ლომგულებად მოგვქონდა თავი. დარწმუნებული ვიყავით, ჭირი პატივს დაგვდებდა და ჩვენთან არ მობრძანდებოდა. ამბობდნენ, კარგი ყნოსვა აქვსო და ჩვენი კანის სუნი ეზიზღებაო (ყველამ კარგად იცის, რომ ეს ჯანმრთელობის ნიშანია). უკანასკნელად, როდესაც ის ჩვენს მხარეს ეახლა (ეს იყო დაახლოებით ათას ხუთას ოთხმოცდ წელს, მაშინ მე ბებერი ხარის ხნისა ვიყავი, ესე იგი, თოთხმეტი წლისა), მხოლოდ ჩვენი კარის ზღურბლამდე შემოყო ცხვირი და როგორც კი იქაურობას დასუნა, იმწამსვე გაქუსლა. სწორედ მაშინ იყო (ამაზე ჩვენ მათ დიდხანს დავცინოდით), მათი მფარველი წმინდა პოტენციანეთი უკმაყოფილებმა, შატელ-სანსუარის მცხოვრებლებმა, რატომ კარგად არ გვიცავო, კარში გააგდეს და მის ადგილას სხვა აიყვანეს; ხოლო მერე კიდევ სხვა და სხვა. შვიდჯერ შეიცვალეს მფარველი: ხან სავინიანე აირჩიეს, ხან პერეგრინი, ფილიბერი და ჰილერი და რომ ვერ გადაწყვიტეს, თუ რომელ წმინდანს მინდობოდნენ, (ცუღლუტები!) წმინდა პოტენციანეს ნაცვლად წმინდან ქალს პოტენციანას მიენდნენ.

ჩვენ, ვაჟკაცები, ბაქიები, მხნე კაცები ხალხის დასანახავად სიცილით ვიგონებდით ამ ამბავს და აქაოდა ასეთი ცრუმორწმუნეობისა ისევე, როგორც მრჩეველების და ექიმებისა, არაფერი გვწამსო, შატელოს კარებთან თამამად მივდიოდით იმათთან სასაუბროდ, ვინც თხრილს გადაღმა დარჩა. ზოგიერთი, აქაოდა, ვაჟკაცები ვართო, გარეთ გაძვრა, რათა მახლობელ სახამროში ერთი დოქი ღვინო დაელია

იმასთან, ვის ცხვირწინაც სამოთხის (ქალაქის-მეთქი) კარი დაიკეტა. ანდა სადარაჯოზე მდგომ ერთ-ერთ ანგელოზთან (რომლებიც მოვალეობის შესრულებაში მაინცდამაინც დიდ გულმოდგინებას არ იჩენდნენ). მეც მათსავით ვიქცეოდი. განა შემეძლო, მარტონი გამეშვა? რა გული მომითმენდა, ჩემს ცხვირწინ სხვებს ელხინათ და დრო ეტარებინათ, ახალი ამბები და ცივი ღვინო დაეჭაშნიკებინათ? ჯავრისაგან გულზე გავსკდებოდი.

ერთხელაც, ქალაქიდან რომ გავედი, ჩემი კარგი ნაცნობი, ხნიერი ფერმერი. მაი-ლე-შატოელი მამა გრატპენი დავინახე: ერთი ჩაგოდრეული, ჩაწითლებული, ჩაფსკვნილი, დარდიმანდი, ზორზოხი ვინმე, რომელიც მზეზე ოფლისა და ჯანმრთელობისაგან ბრწყინავდა. ჩემზე მეტად იფხორებოდა; დასცინოდა ავადმყოფობას და ამბობდა, ყველაფერი ეს ექიმების მოგონილიაო. მას თუ დავუჯერებდით, მხოლოდ ბეჩავნი იხოცებოდნენ და ისიც სენისაგან კი არა, შიშისაგან.

მეუბნებოდა:

— გაძლევ ჩემს რეცეპტს და ისიც მუქთად:

> თუ კუჭ-ნაწლავი ამოიყორე
> და ფეხთა სითბოს გაუფრთხილდები,
> თუ გაუძელი ქალთა ცდუნებას,
> ჯანზე სულ მუდამ კარგად იქნები.

მთელი საათი ლაყბობაში გავატარეთ. გრატპენს ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდა: ლაპარაკის დროს ხელს ხელზე გითათუნებდა ან ბარძაყსა და იდაყვს გიჯგვლემდა. მაშინ ამაზე არ მიფიქრია. მეორე დღეს კი, სიცოცხლე გქონდეთ, რომ ვიფიქრე.

მეორე დღეს ჩემი შეგირდი მოვიდა თუ არა, მითხრა:

— იცით, ოსტატო, მამა გრატპენმა თქვენი ჭირი წაიღო...

ვაიმე! თავში რომ დამკრა, ფეხებამდე დამიარა. დამავიწყდა ბაქიობა. ჩემს თავს ვუთხარი:

— საბრალო კოლა, უნდა აიკრა გუდა-ნაბადი, შენი საქმე წასულია. დღეს თუ არ მოკვდი, დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არ გიწერია...

დაზგასთან მივედი, გულის გადასაყოლებლად ჩიჩმაგურობა დავიწყე, მაგრამ მერწმუნეთ, არაფრის თავი აღარ მქონდა. ვფიქრობდი: „სულელო ხვადაგო! აბა ერთი კიდევ იბაქიბუქე“.

მაგრამ ბურგუნდელებმა მშვენივრად ვიცით, რომ წამხდარ საქმეს არაფერს არგებს მოგვიანებით თითზე კბენანი. ჩვენ დღევანდელი დღით ვცხოვრობთ, წმინდაო მარტენ, და კარგადაც ვცხოვრობთ! თავი უნდა დავიცვათ. ჯერ არა ვარ მტრის ხელში. გადავწყვიტე ჯერ წმინდა კოზმას დუქანში მეკითხა რჩევა (ექიმებისათვის, ხომ კარგად გეყურებათ), მაგრამ მალე გადავიფიქრე; მღელვარების მიუხედავად, იმდენი გონიერება მაინც შემრჩა, რომ ჩემი თავისთვის მეთქვა:

— ეჰ, შვილოსა, ექიმებს ჩვენზე მეტი როდი გაეგებათ, ფულს გამოგართმევენ და სულის ამოსახდელად ჰირიანთა ბანაკში მოგათავსებენ, სადაც ცოტა ხანში სულ დაჰირიანდები. არ გაბედო, არაფერი უთხრა. ხომ არ გაგიყებულხარ? თუ სიკვდილი გვიწერია, უექიმოდაც მოვკვდებით. და ღმერთმანი, როგორც ამბობენ, „ექიმების ჯიბრზე ვიცოცხლებთ მანამ, სანამ არ მოვკვდებით“.

რამდენი არ ვეცადე თავი გამერთო და გამემხნევებინა, მაინც მუცლის გვრემა ვიგრძენი. სხეულის ხან ერთი ადგილი მოვისინჯე, ხან მეორე და მერე... ვაიმე! ვაიმე! ამჯერად სწორედ ის იყო. ვაი, რა ხათა დამადგა, ზუსტად ვახშმის წინ მომადგა, მაშინ, როდესაც შაშხის ნაჭრებთან ერთად ღვინოში მოხარშულ მსუყე და წითელი ლობიოს ჯამს მივუჯექი (დღესაც, რომ მაგონდება, სინანულისაგან ვტირი). ძალა არ მეყო კრიჭა გამეხსნა. გულშემოყრილი ვფიქრობდი: უკვე მოვიდა-მეთქი ჩემი აღსასრული. მადა წამერთვა... ეს იმისი ნიშანია, რომ კოლას უკანასკნელი დღე გასთენებია...

და თუ ასეა, ჩვენი საქმეები მაინც მოვაწესრიგოთ. აქ რომ მოვკვდე, ავაზაკი მრჩევლები მოიმიზეზებენ, ჭირი სხვას გადაეღებაო და სახლს დამიწვავენ, (ლათაიები!) ახალთახალ სახლს. რატომ უნდა იყოს ასე სულელი და ბოროტი ხალხი. ჩემს ნეხვზე მოვკვდები და სახლს არ დავანებებ. იმათ მაინც გავაცურებ. მაშ, დროს ნუ ვკარგავ.

ედგები. ძველ ტანსაცმელს ვიცვამ. სამ თუ ოთხ წიგნს, რამდენიმე მშვენიერ თქმულებას, გალურ ნართაულ მოთხრობებს, რომაულ აპოფთეგმებს, „კატონის ოქროს სიტყვებს“, ბუშეს „საღამოებს“ და ჟილ კოროზეს „ახალ პლუტარქეს“ ვიღებ და სანთელსა და პურის ერთ ყუასთან ერთად ჯიბეში ვიდებ. შეგირდებს ვათავისუფლებ, ვკეტავ ბინას და ქალაქგარეთ, განაპირა სახლის შემდეგ, ბომონის გზაზე ბდებარე ჩემს კუტაში გაბედულად მივდივარ. ბინა დიდი როდია. ეოთი პატაია ქოხია, ფაროდული, სადაც ხელსაწყოებს, ჩალის ლეიბსა

და დამტვრეულ სკამს ვინახავთ. თუ ამას დაწვავენ, დიდი ზარალი არ იქნება.

მივედი თუ არა, ყვავივით ნისკარტით კაწკაწი დავიწყე. ციებ-ცხელება დამეწყო, გვერდში მჩვლეტდა, ყანყრატო მქონდა გამრედებული, თითქოს გადმობრუნებული... და მაშინ, იცით, რა გავაკეთე? რომელი ერთი გიამბოთ? რომელი გმირული საქმე, დიდსულოვანი სიჯიუტე, რომელიც რომის დიდი ბატონების მსგავსად, ავ სვე-ბედსა და მუცლის გვრემას დავუპირისპირე... ხალხნო და ჯამაათნო, მარტო ვიყავი. ვერავინ მხედავდა. უთუოდ ადვილად წარმოიდგენთ, რომ არაფერს დავერიდე და კედლების წინაშე რომაელ რეგულუსს მივბაძე. ჩალაზე დავემხე და ბღავილი მოვრთე. არაფერი გსმენიათ? დაჭრილი მხეციკივით ვღრიალებდი. ჩემი ხმა უთუოდ სამბერის ხემდე აღწევდა.

— ვაიმე, ვაიმე, უფალო, — ვწეწუნებდი, — გახა შეიძლება ჩემისთანა პატარა და კეთილი კაცის დაჩაგვრა, კაცისა, რომელსაც თქვენთვის არაფერი დაუშავებია... ვაი! თავი! ვაი, ვაი! საზარდული! რა ძნელია ამ ხნის კაცმა განუტეეო სული! ეჰ! უფალო, ნუთუ გულით გინდა, ასე ადრე გეახლო?.. ვაიმე, ზურგი!.. რომ გესტუმრო, აღტაცებული ვიქნები, დიდად პატივცემული, მაგრამ რადგანაც ადრე თუ გვიან, ერთ მშვენიერ დღეს ერთმანეთი აუცილებლად უნდა ვიხილოთ, ერთი მიბრძანე, რა საჭიროა სიჩქარე. ვუი! ელენთა! მე არ მეჩქარება... მამა-ზეციერო, მე ხომ ჭიაღუა ვარ. თუ არ არის სხვა საშველი, იყოს ნება თქვენი; ხომ ხედავთ, უწყინარი, თავმდაბალი და მორჩილი ვარ... სალახანა! აბა, მოწყდი აქედან! რა დაემართა ამ ოხერს, ასე რომ მიღრღნის გვერდს?..

რამდენი არ ვიბღავლე, ტკიცილება მაინც არ დამიცხრა. სამაგიეროდ, მთლად გავსავათდი. ჩემს თავს ვუთხარი:

— დროს ამაოდ კარგავ, ღმერთს ან არა აქვს ყურები, ანდა თუ აქვს, შენთვის მაინც არა სცალია. და თუ მართალია, როგორც ამას ამბობენ, თვითონ შეგქმნა ხატად მისად, რასაც უნდა, იმას გიზამს. ყვირილით ვერას გახდები. სჯობს, ჯან-ღონე შემოინახო. შეიძლება ერთ ან ორ საათს გეყოს და რად გინდა, სულელო, ქარს გაატანო. დავტკბეთ იმით, რაც დაგვრჩა ამ მშვენიერ და მოხუც ჩონჩხისაგან, რომელსაც უნდა დავემშვიდობოთ (მეგობარო, ეჰ, რა გითხრა, ხომ იცი, რომ ეს არ მინდა). კაცი ერთხელ კვდება, მოდი და ცნობისმოყ-

ვარეობა მაინც დავიკმაყოფილოთ, ვნახოთ, საკუთარ ტყავს როგორ ტოვებენ. ყმაწვილი რომ ვიყავი, ჩემზე უკეთ არავინ იცოდა ტირიფის ტოტებიდან სტვირის გამოჭრა, დანის ტარით ტოტს მანამდე ვურტყამდი, სანამ ქერქი არ მოსძვრებოდა. ვფიქრობ, ის ვაჟბატონი, რომელიც მაღლიდან მიყურებს, ისევე ერთობა ჩემი ქერქის გვემით, როგორც მე ყმაწვილობისას ტირიფის ქერქის მტვრევით. აბა! მოდი, გაბედულად, მოსძვრება თუ არა ქერქი... ვაი! რა კარგად მომდო!.. არა, როგორ შეიძლება, ამხნის კაცი ბავშვური სისულელეებით ერთოზოდეს! ჰეი, ბრონიონ, არ დანებდე და რაკი ქერქი არა გძვრება, დავაკვირდეთ და გავიგოთ, მაგ ქერქის ქვეშ თუ რა ხდება. შევამოწმოთ ეს ყუთი, აზრებს ქაფი მოვხადოთ, შევისწავლოთ, გადავცოხნოთ, გადავხარშოთ ის სხვადასხვა შანარები, ჩემს კუჭქვეშა ჯირკვალში რომ ჩუხჩუხებენ, ღელავენ და გერმანელებივით უაზროდ ჩხუბობენ, გემო ჩავატანოთ ჩვენს მუცლის გვრემას, მოვსინჯოთ, შევეხოთ თირკმლებს და ნაწლავებს!.. [1]

ამგვარად ვაკვირდები საკუთარ თავს. რომ ვიბღავლო, დროდადრო ვწყვეტ ჩემს კვლევა-ძიებებს. ღამე არ ილევა. ვანთებ სანთელს და ძველ ბოთლს ყელში ვჩრი (ბოთლს შავი მოცხარის ნაყენის სუნი უდის, მხოლოდ სუნი, ნაყენისა კი წვეთიც აღარაა. აი სურათი იმისა, რა გავხდები დილამდე: სხეული გამქრალა და სულის მეტი არაფერი დარჩენილა). ჩალაზე მოკრუნჩხული ვცდილობდი რამე წამეკითხა. რომაელების გმირულმა აპოფთეგმებმა ვერ გამართო, ეშმაკსაც წაუღია ეს მკვეხარა ხალხი. „ყველა რომში წასასვლელად ხომ არ არის დაბადებული“. მძულს ბრიყვული სიბრძაყე; მსურს ვიწუწუნო, რამდენიც მინდა, როდესაც მუცელი მტკივა... მაგრამ, როდესაც ტკივილი ყუჩდება, მინდა საცოდავად ვეგდო, როგორც კაკალი ქოთანში და კბილებს ვაკაწკაწებდე. კეთილ ბებერს „ნაკვესები“ ალალბედზე გადავშალე და წავაწყდი ერთ ისეთ მოსწრებულს, ტკაცუნასა და მოოქრულს... ღმერთო ჩემო! ხარხარი მოვრთე; ჩემს თავს ვეუბნები:

---

[1] აქ ჩვენ თავს ნებას მივცემთ რამდენიმე სტრიქონი გამოვტოვოთ. მთხრობელი თავის საათის მექანიზმს დაწვრილებით აგვიწერს, არაფერს მალავს და ინტერესი, რომელსაც იჩენს, აიძულებს ვრცლად ილაპარაკოს ისეთ ნივთიერებებზე, რომლებსაც არც ისე კარგი სუნი უდით. ამას ისიც უნდა დავურთოთ, რომ მისი ფიზიოლოგიური ცოდნა, თუმცა ამით დიდად ამაყობს, არც ისე სახარბიელოა (რ. რ).

— გეყოფა, კოლა. ნუ იცინი-მეთქი. სიცილი გავნებს.

რომ მებღავლა, თავს ვანებებდი სიცილს და რომ მეცინა — ბღავილს. ასე რომ, ვბღაოდი და ეიცინოდი, ვიცინოდი და ვბღაოდი... წარმოიდგინეთ. ჭირიც იცინოდა. ეჰ! ჩემო ბიჭუნა, რამდენი ვიბღავლე, რამდენი ვიცინე!

განთიადზე მზად ვიყავი სასაფლაოზე წასაღებად. ფორთხვით მივაღწიე ერთადერთ სარკმელამდე, რომელიც გზაზე გადიოდა და პირველ გამვლელს გაბზარული ქოთნის ხმით გადავძახე. გაგონება არ დასჭირვებია, რომ მიმხვდარიყო, რა ყოფაში ვიყავ. დამინახა, პირჯვარი გადაიწერა და მოუსვა. თხუთმეტი წუთიც არ გასულა, პატივი დამდეს და კარის წინ ორი დარაჯი დამიყენეს. სახლიდან გამოსვლა ამიკრძალეს. ეს ფიქრადაც არ მომსვლია. ვოხოვე, ჩემი ძველი მეგობარი, მეტრ პაიარი ჩამოეყვანათ დორნესიდან, რათა ჩემი უკანასკნელი ხება-სურვილის თანახმად ანდერძი შეედგინა; მაგრამ დარაჯებს სიტყვის გაგონებაც არ უნდოდათ, ღმერთმანი, მგონია, რომ ჭირის შიშით ყურებს იცობდნენ! ბოლოს ერთი ყოჩაღი უდედმამო „მწყემსი ბიჭი“ (უშველა ღმერთმა, სათნო ბავშვია. მისი გული მაშინ მოვიგე, როდესაც ერთხელ ჩემს ბაღში ბალის კენკვაზე წავასწარი და ვუთხარი: კოხტა ნამგალავ, რაკი მანდა ხარ, ჩემთვისაც დაკრიფე-მეთქი.) ფანჯრამდე მოძვრა, მომისმინა და იყვირა:

— მივდივარ, ბატონო ბრონეონ, მივდივარ!

...რაც შემდეგ მოხდა, ძნელია მოსაყოლად, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ენაგადმოგდებულ ჩბოსავით საათობით ვეგდე ჩალაზე. გზიდან მათრახის ტყლაშუნი, ზანზალაკების ჟღარუნი და ბოხი, ნაცნობი ხმა მესმის... ვფიქრობ: პაიარი მოვიდა... ვცდილობ წამოვდგე... ვაი! ვაი! საბრალო თავი. ასე მგონია, კისერზე მაზის წმინდა მარტენი, კურტუმოზე კი წმინდა სამბერი. თავს ვეუბნები: „ბასვილის კლდეებიც რომ აღმართონ, მაინც უნდა წამოდგე, უნდა წამოდგე“.. აუცილებლად მიხდოდა ანდერძში შემეტანა მუხლი (მთელი ღამე ამაზე ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე), რომელიც ნებას მომცემდა, მარტინასა და გლოდის წილი ისე გამედიდებინა, რომ ჩემი ოთხი ვაჟი ვერაფერში შედავებოდა. სარკმელში, როგორც იყო, გავყავი ეკლესიის დედაზარზე უფრო დამძიმებული თავი, აქეთ-იქით რომ ქანაობდა... და აი, გზაზე ორი თვალებდაჭყეტილი, დაფეთებული სიფათი დავინახე: ანტუან პაიარი და მღვდელი შამაი. კეთილი მეგობრები, ცოცხა-

ლისათვის რომ მოესწროთ, ისარივით გამოფრენილან: მაგრამ უნდა გითხრათ, ჩემმა ნახვამ ცეცხლი ჩაუქრო. სურათი უკეთ რომ დაეთვალიერებინათ, ორივემ სამი ნაბიჯით უკან დაიხია. შეჩვენებული შამაი გასამხნევებლად მეუბნებოდა:

— ღმერთო, რა უშნო რამ ხარ!.. რას დამსგავსებიხარ! საბრალო ძმაკაცო! გამსმარი ლორივით უშნო ხარ, უშნო.

ვუთხარი (მათი სიჯანსაღის ყნოსვამ, პირიქით, ჯანი მომცა):

— განა არ გეპატიჟებით? მგონი, გცხელათ. რატომ არ შემობრძანდებით?

— დიდად გმადლობთ. არა, არა! — წამოიძახა ორივემ ერთად, — აქაც კარგადა ვართ.

და უფრო უკან დაიხიეს, ოთხთვალას ამოეფარნენ. პაიარს კრთომა რომ დაემალა, ცხენის აღვირს დაუწყო წვალება.

— ისე, როგორა გრძნობ თავს? — მკითხა შამაიმ, რომელიც ჩვეული იყო მკვდრებთან საუბარს.

— მეგობარო, ამას როგორ მეკითხები. ავადმყოფი კარგ ქეიფზე ვერ იქნება, — ვუპასუხე თავის ქნევით.

— ახლა ხომ ხედავ, რანი ვართ, კოლა. ყოველთვის მითქვამს შენთვის. ყოვლის შემძლეა უფალი, ჩვენ კი რა ვართ: კვამლი, ნეხვი, მჩვარი, დღეს ცოცხალი, ხვალ კი მკვდარი. ხან ვიცინით, ხან კი ვტირით. ჩემი არ გჯეროდა, მხოლოდ დროს ტარებაზე ფიქრობდი. კარგი ღვინო გისვამს, ახლა თხლე დალიე. ძალიან ნუ დამწუხრდები! უფალი გიხმობს. აჰ! რა პატივია, შვილო ჩემო! მაგრამ ღმერთი რომ იხილო, სუფთად უნდა ჩაიცვა, მოდი განგბანო. მოვემზადოთ, ცოდვილო!

ვუპასუხე:

— ახლავე, ცოტა დამაცა, დრო ხომ გვაქვს, მღვდელო.

— ბრონიონ, ჩემო მეგობარო, ძმაო!.. ო, კარგად ვხედავ, რომ მიწიერი, ყალბი ბედნიერების ტყვე ხარ. ნეტავ რა არის მასში სასიამოვნო? ყველაფერი ფუჭია: ვაება, ცბიერება, ამაოება, ვერაგი მახე, მუხანათობა, დაუნდობლობა, ძწუხარება და მიხრწნილობა. ერთი მითხარი, აქ რას ვაკეთებთ?

მე ვუპასუხე:

— გულს მიკლავ, შამაი, შენ რომ აქ დაგტოვო, მხნეობა არ მეყოფა.

— ჩვენ კიდეე შევხვდებით ერთმანეთს, — მანუგეშებდა შამაი.

— რატომ ერთად არ მიკდივართ? რა გაეწყობა, პირველი მე წავალ. „ბატონ გიზს დევიზად ჰქონდა: „ყველას თავისი დრო მოუვაო“.. ხალხო კეთილო, უკან მომყევით.

თითქოს არც კი გაუგონიათ. შამაიმ ხმას აუმაღლა:

— ბრონიონ, დრო მიდის, შენც თან მიყვები. გითვალთვალებს ის მაცდური, თავს დაგდგომია ბოროტი სული. განა გინდა, რომ თავის საკუთნაოსთვის კახპა ცხოველმა დაისაკუთროს შენი ცოდვილი სული? აბა, კოლაჯან, თქვი შენი Confiteor-ი, თქვი, თქვი, ბიჭო, ჩემთვის მაინც თქვი, ნათლიმამავ!

— ვიტყვი, ვიტყვი, მამაო, ვიტყვი შენთვისაც, ჩემთვისაც და ზეციერისთვისაც, დამიფარის უფალმა, სათანადო პატივი არ ვცე საზოგადოებას! მაგრამ, გეთაყვა, ორიოდე სიტყვა მსურს ვუთხრა ჩემს ნოტარიუსს.

— ნოტარიუსს მერე ეტყვი, ჯერ უფლის ვალი მოიხადე.

— არა, მოძღვარო, ჯერ პაიარის.

— ბრონიონ, ამას რას ამბობ? მამა ზეციერი ნოტარიუსის შემდეგ?

— ზეციერ მამას შეუძლია დაიცადოს, ან თუ სურს, გაისეირნოს, მას მაინც ვიპოვნი. ახლა მიწა მემშვიდობება და ზრდილობა მოითხოვს, ჯერ მას ვეწვიო, ვინც პირველად მიმიღო, მერე კი იმას მივხედო, ვინც მიმიღებს... ალბათ.

ბევრი მთხოვა, მეხვეწა, დამემუქრა, მიყვირა. უკან არ დავიხიე. არ გადავთქვი ნათქვამი, მეტრ ანტუან პაირმა მოიმარჯვა საწერკალამი, სამანზე ჩამოჯდა და ცნობისმოყვარეობითა და ძაღლებით გარშემორტყმულმა საჯაროდ შეადგინა ჩემი ანდერძი. ფულის საქმე რომ გავარიგე, სულსაც მივხედე. როდესაც ყველაფერი გათავდა და შამაი მაინც განაგრძობდა თავის რჩევა-დარიგებას, მილეული ხმით ვუთხარი:

— ბატისტ, დაასვენე ცოტა ენა; საამოა შენი სმენა, მაგრამ კაცს, რომელსაც წყურვილი კლავს, რჩევა-დარიგება ჩალადაც არ უღირს. ახლა, როდესაც ჩემი სული მზად არის უნაგირს მოახტეს და სადაცაა უხანგზე შედგამს ფეხს, გეფიცებით ღმერთს, ცოტას დავლევდი. ხალხო კეთილო! ერთი ბოთლი მომაწოდეთ, რაღა!

ვაჰ, რა კარგი ბიჭები არიან!.. კარგი ქრისტიანები და კარგი ბურგუნდელები! რა კარგად გაეგოთ ჩემი უკანასკნელი სურვილი. ერთი

ბოთლის ნაცვლად საში მოეტანათ: შაბლი, პუი და ირანსი. ჩემი გემის სარკმლიდან, რომელსაც, ის იყო, ღუზა უნდა აეშვა, თოკი გადავუგდე. პატარა მწყესმა ის ერთ ძველ ტირიფის კალათს მოაბა და მე უკანასკნელი ძალ-ღონით ამოვწიე ჩემი უკანასკნელი მეგობრები.

მას შემდეგ ჩალაზე ვაგდივარ და თუმცა ყველანი წავიდნენ, თავს არც ისე ეულად ვგრძნობდი; არ შეეეცდები აგიწეროთ ამის შემდეგ განვლილი საათები. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ისინი ანგარიშში მაკლია. უთუოდ რვა თუ ათი ამომაცალეს ჯიბიდან. ვიცი მხოლოდ, რომ ბოთლებში მჯდარ წმინდა სამებასთან ვბაასობდი, მაგრამ რას ვამბობდით, რაზე ვბჭობდით, არაფერი მახსოვს. დავკარგე კოლა ბრონიონი; სად ჯანაბაში წავიდა, ნეტავ!..

მხოლოდ შუაღამისას კვლავ ვხედავ მას, ზის თავის ბაღში, დუნდულოებით ჩაფლულა მსუქან, რბილ და ქორფა მარწყვის კვალში და პატარა მსსლის ტოტებს შორის ცას გასცქერის. რამდენი სინათლეა იქ, მაღლა, და რამდენი ჩრდილია აქ, დაბლა. რქებს მიჩვენებდა მთვარე. რამდენიმე ნაბიჯზე ბებერი, გაშავებული, დაგრეხილი და ხოკლიანი ლერწები თითქოს ფუთფუთებდნენ, როგორც ქვეწარმავალთა ხროვა და სატანისებური კრეჭვით მიცქერდნენ... ნეტა ვინ ამიხსნის, აქ რას ვაკეთებ!.. მგონი (ყველაფერი ირევა ჩემს მეტად მდიდარ ნააზრევში), ჩემს თავს ვუთხარი:

— ადექ, ქრისტიანო! არავის უნახავს რომის იმპერატორი უკანალით ლეიბს დაკრული კვდებოდეს. Sursum corda! ბოთლები ცარიელია. Consummatum est. გასაკეთებელი აქ აღარაფერია. ჩვენს კომბოსტოებს მივშართოთ სიტყვით.

მგონი, ნივრების დაგლეჯაც მინდოდა, რადგან ამბობენ, ნიორი ჭირის წინააღმდეგ უებარი წამალიაო. შეიძლება იმიტომაც არის, რომ თუ ღვინო აღარა გაქვს, ნივრით უნდა დაკმაყოფილდე. მაგრამ ერთი რამ უდავოა, ფეხი (და მერე უკანალი) რომ შევახე ჩვენს მარჩენალ ბიწას, ვიგრძენი, ღამის სიმშვენიერემ როგორ მომაჯადოვა. ბნელი ცარგვალი თავის კაკლის გუმბათს ხის ტოტებივით შლიდა და მის ტოტებზე ათასობით ხილი ეკიდა. თბილ წყვდიადში მწიფდებოდნენ ვარსკვლავები, რომლებიც ზანტად ირხეოდნენ და ვაშლებივით პრიალებდნენ. ჩემი ბაღის ხილვარსკვლავები მეგონა. ჩემკენ იხრებოდნენ, რომ დავენახე. ვგრძნობდი ათასი თვალი რომ მომჩერებოდა. მარწყვე-

ბის კვლებში სიცილი ისმოდა. ჩემს ზევით ხეზე წითელლოყა პატარა ყვითელი მსხალი ტკბილი ხმით მიმღერდა:

ჰე, კუზელო, საყვარელო,
გაიხარე, ფესვი გადგი.
ჩემო მწველო, სანატრელო,
პაწაწინავ, ნაცრისფერო!
შემომეკარ მაგრად წელზე,
რომ ავფრინდეთ სამოთხეში.
გაიხარე, ფესვი გადგი,
ჩემო მწველო, სანატრელო,
პაწაწინავ, ნაცრისფერო!

ცისა და მიწის ბაღების ყველა მტოდან მოღიღინე, მოკანკალე და მოჩურჩულე ხმების ქორო იმეორებდა:

ფესვი გადგი, ფესვი გადგი!

მაშინ ჩემს მიწაში მკლავები ჩავფალი და ვუთხარი:

— გინდივარ? მე მსურხარ.

ჩემს კარგსა და მსუქან მიწაში იდაყვებამდე ჩავეფალი, ხელებით, მუხლებით დავზილე, ის კი საყვარელი მკერდივით დხებოდა. ძლიერად ჩავიკარ გრძნეული და თხემით ტერფამდე შიგ ჩავჭედე ჩემი ბებერი სხეული. იქ გავიშალე ლოგინი, დავწექი და ცაში ვარსკვლავთა მტევნებს დავუწყე ცქერა, პირდაღებული ველოდი, სანამ ერთი მათგანი დამისველებდა ულვაშებს. ივლისის ღამე ქებათა ქებას ამბობდა. მთვრალი ჭრიჭინა კრუალებდა, კიოდა, უმოწყალოდ კიოდა. უეცრად სენ-მარტენმა დარეკა საათის თორმეტი, შესაძლოა, თოთხმეტი, ანდა თექვსმეტი (არაჩვეულებრივი ზარი იყო) და აი. ციურმა და ჩემი ბაღის ვარსკვლავებმაც ბანი მისცეს... ღმერთო! რა ჰანგები იყო! გული მისკდებოდა, წიოდნენ ყურები, ვით ჭექა-ქუხილში წივიან მინები და ჩემი ხარიდან ვხედავდი, როგორ აღიმართებოდა ხე იესოსი: ვაზის ერთი ძირი — ლარივით სწორი და აფოთლილი, ჩემი ბუცლიდან ამოდიოდა და მიდიოდა, მეც მივყვებოდი, ჩემი მოღიღინე ბაღიც თან მომყვებოდა. თავაწყვეტილი ცეკვავდა მაღალ ტოტზე ჩამოკიდებული ვარსკვლავი; რომ დამენახა და მომეწყვიტა, თავაწვდილი მივცოცავდი ზევით და თან ვბღაოდი:

შასლას მარცვალო,
არ გამეცალო!
ჰე. მარკვედ, კოლა!
უნდა მიყოლა.
დაგიჭერს კოლა,
ალილუია.

ეტყობა, ნახევარი ღამე ცოცვაში გავატარე, რადგან, როგორც შემდეგ ძითხრეს, კარგა ხანს მიმღერია. ვმღეროდი თურმე ყოველნაირ სიმღერებს: საეროს, სასულიეროს, De profundis-ს, ეპითალაძებს, ნოელებს და Laudate-ს, ფანფარებს და საცეკვაოს, სალოცავს და საცუღლუტოს და თანაც ვიელზე, სტვირზე და დოლზე ვუკრავდი, ანდა ბუკს ვაყვირებდი. აფორიაქებული მეზობლები სიცილით კვდებოდნენ. ამბობდნენ:

— როგორი ბუკია! კოლას დუდუკია. კოლამ საიქიოსკენ გადაუხვია. გაგიყდა! გახელდა!

მეორე დღეს, როგორც იტყვიან ხოლმე, პატივი ვეცი . მზეს. ადგომაში არ შეეეცილე: რომ გავიღვიძე, შუადღე გადასული იყო. ოჰ! რა სიამოვნება ვიგრძენი, ნეხვზე მიგდებული ჩემი თავი ცოცხალი რომ ვნახე. იმიტომ კი არა, რომ საწოლი რბილი მქონდა და არ მტკიოდა გვერდები, ის მახარებდა, რომ კიდევ შემრჩენოდა ნეკნები. ვახ! როგორ! კიდევ აქა ხარ, ბრონიონ, ძმაკაცო? მოდი, ჭირიმე, მოდი, გაკოცო. შევეხო მაგ სხეულს, პატარა და ყოჩაღ სიფათს! არა, ნამდვილად შენა ხარ. როგორ მიხარია! კოლაჯან, რომ წასულიყავი, უნუგეშოდ დამაგდებდი. სალამი შენც, ჩემო ბაღო! ჩემი ნესვები სიხარულით მიცინიან. დამწიფდით, ჩემო პაწაწინებო, დამწიფდით. ამ დროს კედლის იქითა მხრიდან ღრიალი მესმის:

— ბრონიონ! ბრონიონ, მოკვდი თუ არა?

ეს პაიარი და შამაი არიან და რადგან არაფერი ესმით, უკვე წუწუნებენ და გზაზე უთუოდ ქებათა ქებას ასხამენ ჩემს გარდაცვლილ ღირსებებს. ვდგები, (ვაიმე! ავაზაკი წელი!) ნელა მივდივარ ბნელში, უცბად თავს ვყოფ სარკმელში და ვყვირი:

— ჭიტა, აი მეც!

თევზებივით ხტებიან.

— როგორ! ბრონიონ, არ მომკვდარხარ?

სიხარულისაგან ტირიან, იცინიან. მე კი ენას ვუყოფ და: ჯერ კიდევ ცოცხლობს ძმაკაცი-მეთქი, გავძახი.

წარმოიდგენთ თუ არა, შეჩვენებულებმა კიდევ თხუთმეტი დღე დაძტოვეს ჩემს კოშკში გამოკეტილი, ესე იგი, მანამდე, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ სულ გამოვჯანსაღდი! ისე კი, მართალი რომ გითხრათ, ალაფერი დაუკლიათ, არც მანანა, არც მთის წყაროს წყალი (ნოეს წყალი-მეთქი, მინდოდა მეთქვა), თან რიგ-რიგად მოსვლა ჩვეულებად გაიხადეს. მოდიოდნენ, ფანჯრის ქვეშ მოიკალათებდნენ და ახალ ამბებს მიამბობდნენ.

როდესაც გამოსვლა შევძელი, მღვდელმა შამაიმ მითხრა:

— მეგობარო, დიდმა და წმინდა როკმა გადაგარჩინა. მეტი არაფერი დაგრჩენია, უნდა ეახლო და მადლობა უთხრა. ღვთის გულისათვის, ნული დააყოვნებ!

ვუპასუხე:

— მე კი მგონია, რომ წმინდა ირანსიმ, ან წმინდა შაბლიმ და წმინდა პუიმ გადამარჩინეს.

— კეთილი, კოლა, — მითხრა მან, — მოდი და მსხალი შუანე გავგრათ. წმინდა როკთან წადი ჩემთვის, მე კი მადლობას ვეტყვი წმინდა ხელადას შენთვის.

ასეც შევთანხმდით. აბ 'მეთანხმების შესრულების დროს ერთგული პაიარიც თან გვახლდა. ვუთხარი:

— გამოტყდით მეგობრებო, რომ ნაკლები ხალისით მომიჭასუნებდით ჭიქებს იმ დღეს, როდესაც წამსვლელ-დამრჩენის სადღეგრძელოს დალევა გთხოვეთ. ჩემთან ერთად წამოსვლის დიდი სურვილი ვერ შეგატყვეთ.

— გეფიცები, ძალიან მიყვარხარ, — მიპასუხა პაიარმა, — მაგრამ რა ვქნა, თავიც მიყვარს, მართალი ნათქვამია „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო".

— „Mea culpa, mea culpa", — ბუზღუნებდა შამაი და გულზე მუშტებს იბრაგუნებდა, — ლაჩარი ვარ, ასეთია ჩემი ბუნება.

— პაირ, რა უყავ კატონის გაკვეთილებს? და შენ, მღვდელო, რაში გამოგადგა შენი რელიგია?

— ეჰ! მეგობარო, ტკბილია ცხოვრება, — ამოიხვნეშა ორივემ. სამივემ გადავკოცნეთ ერთმანეთი და სიცილით ვთქვით:

— პატიოსანი კაცი გროშად არა ღირს, ისე უნდა მიიღო, როგორიც არის. უფალმა შექმნა და კარგადაც მოიქცა.

VIII

დედაბრის სიკვდილი

ივლისის მიწურული.

მიბრუნდება ცხოვრების გემო. დამერწმუნეთ, ამისათვის დიდი ჯაფა არ დამდგომია. არ ვიცი როგორ, მაგრამ ცხოვრებას ახლა უფრო ვატან გემოს, ვიდრე წინათ, უფრო ნაზი, უფრო რბილი, ფუნჩულა, მოოქრული, ზომაზე შებრაწული მეჩვენება, ენაზე მადნება, კბილებქვეშ ხრაშუნი და ტკაცუნი გააქვს. მკვდრეთით აღმდგარის მადა მაქვს, რაღა! უჰ! უთუოდ გემრიელად ჭამა ლაზარემ!..

ერთ დღეს, როდესაც მხიარული მუშაობის შემდეგ ამხანაგებთან ერთად სამსონის იარაღით ვფარიკაობდი, მორვანიდან ძომავალი გლეხი შემოვიდა:

— უსტა კოლა, გუშინწინ თქვენი ქალბატონი ვნახე.

— ცუღლუტო! ბედი გწევია რაღა! როგორ არის დედაბერი? — შევეკითხე მე.

— ძალიან კარგად. მიემგზავრება.

— სად?

— დაოთხილი მიჰქრის იმ ქვეყანაში, რომელზეც ამბობენ, უკეთესიაო.

— მაგ რომ იქ მივა, უკეთესიც აღარ იქნება, — უგემურად გაიხუმრა ვიღაცამ.

მეორემ დასძინა:

— დედაკაცი მიდის, შენ რჩები. შენი საღეგრძელო იყოს, კოლაჯან! ცალად არ მოდის ბედნიერება.

სხვებს რომ არ ჩამოვრჩენოდი (თუმცა აღელვებული მაინც ვიყავი), ვთქვი:

— გადავკრათ, ნათლიმამებო! უყვარს კაცი უფალს, რაკი ცოლს ართმევს, როცა ის მეტი ბარგია და არაფერში არგია.

უცბად ღვინო გამწარდა, ჭიქა ვერ დავცალე; ხელში კომბალი ავიღე და გზას გავუდექი ისე, რომ არავის დავმშვიდობებივარ. მიყვირეს:

— სად მიდიხარ? რომელმა ბუზმა გიკბინა?

მაგრამ მათ ძახილს ყური არ ვათხოვე. უკვე შორს ვიყავი წასული. გული მომდიოდა... იცით რა გითხრათ, შესაძლოა, შენი დედაბერი არც გყვარებია, შეიძლება ოცდახუთი წლის მანძილზე დღე და ღამე ერთმანეთი გიმწარებიათ, მაგრამ, მაინც, როდესაც ცხვირპაჭუა მოდის მის წასაყვანად, ვინც ვიწრო საწოლზე თქვენთან ჩახუტებული ასე დიდხანს თავის ოფლს თქვენსაში ურევდა, ვისაც თავის მკლე წიალ ძი თქვენი დათესილი ჯილაგის თესლი მოუყვანია და გაუხარებია, გრძნობთ, რომ რაღაცა გახრჩობთ, თითქოს სხეულის ნაწილს გგლეჯენო, და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გაუმწარებიხართ და არც ლამაზი ყოფილა, მაინც გეცოდებათ ისიც და თქვენი თავიც, გენანებათ თავიც და ისიც... დაე, უფალმა მომიტევოს! მაინც მიყვარს ჩემი დედაბერი.

მეორე დღეს შეღამებისას მივაღწიე. შევხედე თუ არა, მივხვდი, პაჭუა მოქანდაკეს კარგად ეშრომა. დამსკდარი კანის დაჭმუჭნილი საბურველიდან სიკვდილის საზარელი სახე იცქირებოდა; მაგრამ ჩემთვის მისი უკანასკნელი დღის მოახლოების ყველაზე უდაო ნიშანი ის იყო, რომ დამინახა თუ არა, მითხრა:

— ჩემო საბრალო, ძალიან ხომ არ დაიღალეო?

ამ ალერსიანმა სიტყვებმა გული გადამიბრუნა. ჩემთვის ვთქვი: „ეჭვი არ არის, საბრალო დედაბრის საქმე წასულია, რადგან გულკეთილი გამხდარა“.

საწოლთან მივუჯექი. ხელი ხელზე მოვკიდე. ძალზე დასუსტებულიყო, ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა და თვალებით მითხრა მადლობა. რომ გამემხნევებინა, ხუმრობა ვცადე. მოვუყევი, მეტად სულწასულ ჭირს როგორ ვუგანე. არაფერი იცოდა, რომ გაიგო, ისე აღელდა (დალახვროს ეშმაკმა, რა წინდაუხედავი ვარ), რომ გრძნობა დაკარგა და კინაღამ სული დალია. გონს რომ მოვიდა, დაუბრუნდა ენა (დიდება უფალს, დიდება უფალს!) და თავისი სიავე. ცახცახით, ბლუკუნით. სლუკუნით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა (რის თქმაც უნდოდა, ვერ ახერხებდა, რაც არ უნდოდა, იმას ამბობდა და ამაზე მეტად ბრაზობდა). და აი, ლანძღვა-გინება დამიწყო. მარცხვენდა, მათრევდა, რატომ არ შემატყობინე, უგულო ხარო, ძაღლზედაც უარესი, ღირსი იყავი ფაღარათისაგან საკუთარ ნეხვზე ძაღლივით მომკვდარიყავიო და

ათასი სხვა საამო სიტყვები მაკადრა. ძლივს დააშოშმინეს. მე კი მითხრეს.

— მოშორდი აქედან! ხომ ხედავ, გულსა სტკენ. გადი ცოტა ხნით.

გავიცინე. საწოლზე თავი დავხარე და ასე ვუთხარი:

— დიდება ზეციერს! ახლა კი გიცანი, როგორიც იყავ, დარჩი ისეთივე ავი...

თათებით დავუჭირე ფამფალა ბებერი თავი და მთელი ძალით ორივე ლოყაზე ორჯერ ვაკოცე; მეორედ ატირდა.

და აი, ორივე მშვიდად და ჩუმად მარტო დავრჩით ოთახში, სადაც კედლებში ხის ჭია სამგლოვიარო მუსიკას უკრავდა. ყველა მეზობელ ოთახში იყო გასული. დედაბერი მძიმედ სუნთქავდა. შევატყვე, ლაპარაკი უნდოდა.

ვუთხარი:

— თავს ნუ დაიღლი, კეთილო. ოცდახუთი წლის განმავლობაში ერთმანეთისთვის ყველაფერი გვითქვამს. ერთმანეთისა უსიტყვოდ გვესმის.

მიპასუხა:

— არაფერიც არ გვითქვამს და უნდა გითხრა, კოლა, თუ არ გითხარი, სამოთხესაც ვერ ვეღირსები...

— ეღირსები, ეღირსები, აუცილებლად ეღირსები.

— ვეღირსები და, სამოთხე მაინც ჯოჯოხეთის ნაღველზე მწარე იქნება. კოლა, მე შენთვის ავი, ანჩხლი ვიყავი...

— აჰ! არა, არა, — ვუპასუხე, — მართალია. ცოტა მოშქაკო კი იყავი, მაგრამ სიმქაკე ჯანმრთელობასა რგებს.

— ...ეშვიანი, ბრაზიანი, კაპასი და ღრენია. ჩემი აშარი ხასიათით ვაქცევდი ოჯახს. შენთვის რა არ მიკადრებია...

ხელზე მოვუთათუნე:

— ეგ არაფერი, სქელი კანი მაქვს.

ის კი ჩუმად განაგრძობდა:

— ეს იმიტომ, რომ მიყვარდი.

სიცილით ვუთხარი:

— ვაგლახ, რომ არ ვიცოდი. მაგრამ რა გაეწყობა, ყველამ თავისებური სიყვარული იცის. რატომ არაფერი მითხარი? შენს სიყვარულს კაცი ვერ მიხვდებოდა.

— მიყვარდი, შენ კი არ გიყვარდი. ამიტომაც შენ კეთილი იყავი,

მე კი — ავი. იმიტომ მძულდი, რომ არ გიყვარდი: შენ ეს არ გაწუხებდა... შენ შენებურად იცინოდი, კოლა, ზუსტად ისე, როგორც დღეს... ღმერთო, როგორ გამტანჯა მაგ სიცილმა! მაგ სიცილს მოისხამდი, სეტყვასავით წამოსული ჩემი წუწუნისაგან თავი რომ დაგეცვა და მე შემეძლო მეწვიმა, რამდენიც მსურდა, მაინც ვერ გასველებდი, ყაჩაღო, აჰ! როგორ გამტანჯე. რამდენჯერ სიკვდილის პირად მივსულვარ, კოლა.

— ჩემო საბრალო, მე ხომ წყალი არ მიყვარს.

— ავაზაკო, კიდევ იცინი!.. ეჰ, კარგს შვრები, რომ იცინი. სიცილი ადამიანს ათბობს. ახლა, როდესაც მიწის სუსხმა ჩემს ფეხებამდე მოაღწია, შენი სიცილის ფასი მესმის; მათხოვე შენი სამოსი. იცინე, კოლა, იცინე, საყვარელო, იცინე, რამდენიც გენებოს. მეტს არ გაგიბრაზდები, შენ კი მაპატიე, კოლა.

ვუთხარი:

— ყოჩაღი ცოლი იყავი, მხნე და ერთგული, შეიძლება ყოველთვის საამური არ ყოფილხარ, მაგრამ სრულყოფილი არავინაა; სრულყოფილი ვინმე რომ იყოს, ეს იმის უპატივმცემლობა იქნებოდა, ვინც იქ, მაღლა ზის; მასზე ამბობენ, ერთადერთი სრულქმნილიაო (მე ის არ მინახავს). და შავ დღეებში (არ ვამბობ ღამეს, ღამით ყველა კატა ნაცრისფერია, არამედ უბედურებისა და მჭლე ძროხების წლებში) არც ისე უშნო ჩანდი. ყოჩაღი, გაბრჯე იყავი, ჯაფა არ დაგზარებია და შენი სიკუშტე, როდესაც მას ავბედობას უპირისპირებდი და ნაბიჯითაც არ იხევდი უკან, თითქმის ლამაზი მეჩვენებოდა. ახლა კი წარსულის მოგონებით თავს ნუ გავიმწარებთ, გვეყოს, რაც ერთხელ გადაგვიტანია: ქედი არ მოგვიხრია, არ გვიყვირია, სირცხვილი არ გვიჭამია. რაც გაკეთებულა, გაკეთებულია და გასაკეთებელი არაფერია. ჩვენი ცხოვრების ტვირთი აქამდე მოგვიტანია. თუ მისი აწონა საჭიროა, პატრონმა აწონოს! ჩვენ ეს არ გვესაქმება. უჰ! სული მოვითქვათ, ძმაკაცო. ახლა ისღა დაგვრჩენია, შევიხსნათ ღვედები, ზურგი რომ გადაგვიტყავა, და დავისრისოთ გათოშილი თითები, დავიზილოთ მხრები, შემდეგ ორმო ამოვთხაროთ, ჩაკვრეთ შიგ და ხვრინვა ამოვუშვათ. Requiescat! მშვიდობა მათდა, ვინც კარგად იშრომა! დავიძინოთ მარადიული და მშვიდი ძილით.

ხელდაკრეფილი და თვალდახუჭული მისმენდა; როდესაც გავათავე, თვალები გაახილა; ხელი გამომიწოდა:

— ღამე ნებისა, მეგობარო. ხვალ გამაღვიძებ.

და რაკი ყველაფერში წესრიგი უყვარდა, ლოგინში გაიჭიმა, ზეწარი ნიკაპამდე მიიტანა ისე, რომ ერთი ნაოჭიც არ დატოვა, ჯვარცმა მიმჭკნარ მკერდზე მიიკრა, თვალები ჭერს მიაშტერა და სამგზავროდ გამზადებულმა ყოჩაღად ლოდინი იწყო.

მაგრამ თურმე მის ბებერ ძვლებს, სანამდე მოსვენებას იგემებდნენ, კიდევ ერთხელ და უკანასკნელად, რათა ცოდვებისაგან განწმენდილიყვნენ, უბედურების გზით ამქვეყნიურ ცეცხლში უნდა გაევლოთ (ასეთია ჩვენი ხვედრი). ამ დროს გვერდითი კარი გაიღო, ოთახში დიასახლისი შემოვარდა და ყრუ ხმით იყვირა:

— ჩქარა, ჩქარა მობრძანდით, უსტა კოლა!

ვერაფერს მივხვდი და ვკითხე:

— რა ამბავია? ჩუმად ილაპარაკეთ.

შორეული მგზავრობისათვის უკვე გამზადებული ჩემი დედაბერი ქრისტეს მიერ გამოღვიძებულ ლაზარესავით სასიკვდილო სარეცელზე წამოიმართა. და თითქოს უკვე ეტლში ჩამჯდარი, ჩვენ თავებს ზემოთ ხედავდა იმას, რასაც მე ვერ ვხედავდი, ხელები ჩვენკენ გამოიშვირა და იკივლა:

— ჩემი გლოდი!

ამ კივილმა და მეზობელ ოთახში ხრინწიანმა ხველამ განმგმირა. მივხვდი. იქით გავიქეცი და დავინახე ჩემი საბრალო პატარა ტოროლა. სული შეკვროდა და თავისი პაწაწინა ხელებით ცდილობდა მოეშვა მარყუჟი, რომელიც ახრჩობდა. გაწითლებული, ალმოდებული თვალებით შველას გვევედრებოდა და დაჭრილ ჩიტუნიასავით ფართხალებდა...

უძლური ვარ, არ ძალმიძს აგიწეროთ, თუ რა იყო ის ღამე. ახლაც, ხოთი გრძელი დღის შემდეგაც რომ მაგონდება, მუხლები მეკვეთება; უხდა დავჯდე. უჰ! მიმდის გული, ნება მომეცით, მოვითქვა სული... არა, განა შეიძლება იქ, მაღლა, ბრძანდებოდეს ბატონი, რომელსაც სიამოვნებს ასეთი პატარა არსების ტანჯვა. სიამოვნებს თავის თითებში მომწყვდეული სუსტი კისრების ტკაცა-ტკუცის სმენა, უხარია მათი ფართხალი და შეუძლია აიტანოს პატარა უცოდველთა გაკვირვებული და საყვედურით სავსე მზერა. მესმის, ბეგვო ჩემისთანა ბებერი ვირები, სცემო ის, ვისაც შეუძლია თავი დაიცვას, გაქირი, მუხლმაგარი ჭაკები. თუ ჩვენი ღრიალი გართობს, ბაშუსტა, კეთილი და პა-

ტიოსანი, მიდი, უფალო, რამდენიც შეგეძლოს. ადამიანი შენს ხატად არის შექმნილი. და რომ ყოველდღე, მისი არ იყოს, კეთილი არ ბრძანდებოდე, იყო ჭირვეული და ვერაგი, დროდადრო სიავე გიყვარდეს, ნგრევა გწყუროდეს, რაკი სისხლი გიდუღს, ან იმიტომ, რომ ცუდ ფეხზე ადექი და გინდა გამოსცადო შენი ძლიერება, მე ეგ სულაც არ გამიკვირდება. ჩვენ სრულწლოვანები ვართ, წინააღმდეგობის გაწევა შეგვიძლია. როდესაც ძალიან შეგვაწუხებ, საკადრისს ძოგაგებთ. პირფერობას არ დაგიწყებთ; ძაგრამ რა საკადრისია ნიშანში ამოიღო პაწაწინა კრავები, რომელთაც ცხვირში ხელს თუ მოუჭერ, რძე წამოსდინდებათ. აუ, ზეციერო. შესდექ! ჩვენ ამას ვერ ავიტანთ. ეს მეტისმეტია! მეფეა თუ ღმერთია, ვინც ამას სჩადის, უფლებებს ბოროტად იყენებს. გაფრთხილებთ, ზეციერო, თუ ასე განაგრძე, ამას არ უნდა ბევრი ტიტინი, ძირს დაეცემა შენი გვირგვინი... მაგრამ დიდ პატივსა გცემ და არ მინდა დავიჯერო, რომ შენა ხარ ამის მოქმედი. მამაო ჩვენო, ასეთ ბოროტებას თუკი სჩადიხარ, უდავოა ორში ერთი: ან ბრმა ხარ სულაც, ან არ ხარ ღმერთი. ესე იგი, არ არსებობ... ვაიმე! რა უხამსი სიტყვა ვთქვი. ბოდიში, უკან მიმაქვს. საბუთად იმისა, რომ არსებობთ, ისიც კი გეყოფათ, რომ ახლა ჩემთან მუსაიფობთ. რამდენჯერ გვიკამათია, რამდენჯერ გვიბაასია, ჩვენს შორის დარჩეს, და, რამდენჯერ გამიჩუმებიხართ, ჩემო ბატონო! ჰოდა, იმ ავბედით ღამეს რამდენი გეძახე, გაგინე, გწყევლე, უარგყავ, გევედრე, გემუდარე, რამდენჯერ აღვაპყრე ხელები მუდარით და მუშტი მუქარით. ამაოდ, არც კი განძრეულხარ. იმას მაინც ვერ იტყვი, რომ რამე დავიშურე, შენამდე რომ მომეღწია! დალახვროს ეშმაკმა, რადგანაც არ გსურს, არ გნებავს მისმინო, კარგად გნახე! მით უარესი შენთვის, უფალო! სხვებსაც ვიცნობ და შველას იმათ ვთხოვ...

ავადმყოფთან მარტო მე და მოხუცი დიასახლისი ვიყავით. მარტინას მუცლის ტკივილი ეგრძნო გზაში და დორნესიში დარჩენილიყო. პატარა გლოდი ბებიასთვის დაეტოვებინათ. ღილით, როდესაც დავინახეთ, რომ პატარა წამებული სიკვდილს პირას იყო მისული, უკახასკნელი ღონე ვიხმარეთ. ხელში ავიტაცე პაწაწინა, დაბეგვილი სხეული, ბუმბულზე უფრო მსუბუქი (ფართხალიც არ შეეძლო, ბეღურასავით ოდნავ თრთოდა, მხოლოდ დროდადრო თუ გააჟრჟოლებდა). ფანჯარაში გავიხედე. წვიმდა და ქარი ქროდა. ვარდს ფანჯრისაკენ დაესარა თავი, თითქოს შემოსვლა უნდოდა. სიკვდილს თუ მოასწავებს-მეთქი,

გავიარეთ გულში. პირჯვარი გადავისახე და მაინც გავედი. შმაგი და სველი ქარი შემოიჭრა კარში და, ქარიშხალს რომ არ დაექრო სიცოცხლის ლამპარი, ჩემ ჩიტუნიას თავზე ხელი მოკაფარე. მივდიოდი, ძღვენით მიმიძღოდა დიასახლისი. გზის პირა ტყეში შევედით. უსიტყვოდ მივაბიჯებდით. მალე ჭაობის ნაპირას მოკანკალე ვერხვი დავიხახეთ, კოშკივით სწორი და მაღალი. ის მოქნილ ლერწმების ურდოზე მეფობდა. გარს შემოვუარეთ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. პატარა კვნესოდა და ქარი ფოთლებში მასავით ტიროდა. ბაფთის ერთი ბოლო გოგონას პაწაწა ხელზე მოვაბით, მეორე კი — მოკანკალე ბებერ ხეზე და მე და უკბილო დიასახლისი მოვყევით ლაღადისს:

იცახცახე, იცახცახე, ვერხვო მშვენიერო,
წაიღე ჩემი კანკალი, ტურფავ ზეციერო.
წმინდა სამების სახელით გიბრძანებ, გემუდარები,
მაგრამ თუ აღარ მომისმენ და თანაც გაჯიუტდები,
აღარ დაგინდობ, იცოდე, მოგჭრი და ძირს გაგორდები.

შემდეგ მოხუცმა დიასახლისმა ვერხვის ფესვებს შორის ორმო ამოთხარა, შიგ ხელადა ღვინო ჩაასხა, ორი ნიორი, ერთი ნაჭერი ქონი და ერთი ლიარდი ჩადო და მიწაზე დაგდებულ ლერწმით სავსე ჩემს ჭუდს კიდევ სამჯერ შემოვუარეთ. ნესამე შემოვლაზე შიგ ჩავაფურთხე და ვთქვი:

— გომბე'მოებო, ჭაობის სულნო, დამყაყებულნო, ხუნაგმა წაგიღოთ, ხუნაგმა წაგახრჩოთ!

აქეთობას ტყის პირას კუნელის წინ დავიჩოქეთ, მის ძირში დავასვენეთ პატარა მომაკვდავი და სახელითა წმინდისა ეკლისათა შევევედრეთ ძესა უფლისასა.

შინ რომ დავბრუნდით, პატარა მკვდარი გეგონებოდათ. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შეგვეძლო. ასეთ ყოფაში ცოლს სიკვდილი არ სურდა. გლოდის სიყვარულმა სიცოცხლეს მიაჯაჭვა. შფოთავდა და კიოდა:

— უფალო, აქედან არ წავალ. არ წავალ, იესო, ქალწულო მარიამ, სანამ არ ვნახავ და არ გავიგებ, რას უპირებთ ჩემს გლოდის, სანამ არ ვნახავ, მორჩება თუ არა. რასაკვირველია, უფლის წყალობით, მორჩება. მე მინდა, რომ მორჩეს, მე მინდა რომ მორჩეს; მითქვამს და გათაედა.

მითქვამს და გათავდაო კი ამბობდა, მაგრამ უთუოდ ჯერ კიდევ ყველაფერი არ ჰქონდა ნათქვამი, რადგან ისევ თავიდან იწყებდა. უფალო! ან ამდენი ძალა და ღონე სად ჰქონდა. მე კი წელან მეგონა, უკანასკნელი სუნთქვა აღმოხდა-მეთქი, მაგრამ თუ უკანასკნელი იყო, უნდა გამოვტყდე, ჯიგრიანი რამ იყო... ბრონინონ, საზიზღარო, კიდევ იცინი? არა გრცხვენია განა? რა ვქნა, ძმაკაცო? ისა ვარ, რაცა ვარ. ვიცინი, მაგრამ განა ნაკლებად ვიტანჯები? იცოცხლე. მე ვწუხდე, მაგრამ ტანჯვა ფრანგს სიცილს ვერ გადააჩვევს. იცინის თუ დარდობს, უნდა ყველაფერი ნახოს. გაუმარჯოს ორსახიან იანუსს, მუდამჟამს თვალხილულს!..

ასე რომ, ნაკლებად როდი ვიტანჯებოდი, როდესაც მესმოდა საბრალო დედაბრის ქშენა და კვნესა: და მიუხედავად იმისა, რომ მასავით სასოწარკვეთილი ვიყავი, მაინც ვამშვიდებდი, ისე ველაპარაკებოდი, როგორც ბავშვებს ელაპარაკებიან, მზრუნველობით ზეწრებში ვფუთავდი. ის კი გაბრაზებული ხელს მკრავდა, ყვიროდა:

— უხეირო! კაცი რომ იყო, ვერ შესძლებდი განა გადაგერჩინა პატარა, ერთი მითხარი, რისი მაქნისი ხარ, უქნარა? მკვდარი შენ უნდა იყო.

ვუპასუხე:

— რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, მეც შენსავით ვფიქრობ, შენ მართალი ხარ, საყვარელო; ვინმეს რომ უნდოდეს, ჩემს ტყავს სიამოვნებით მივცემდი, მაგრამ, როგორც ჩანს, იქ, მაღლა, ჩემი ტყავი ხელს არ აძლევთ, უხეიროა: ბევრი შრომისაგან გაცვდა. მეც (ეს მართალია), შენი არ იყოს, მხოლოდ ტანჯვისათვის გამოვდგები. მაშ, უსიტყვოდ ვიტანჯოთ. ეგებ უფალმა მიითვალოს და ჩვენი საბრალო უმანკო კრავი ისე აღარ გატანჯოს.

მაშინ ბებერი თავი თავზე ვომაყრდნო და ჩვენს თვალთაგან დადენილი ცრემლი ჩვენს ლოყებზე შეერთდნენ. ოთახში სიკვდილის მთავარანგელოზის ფრთებისაგან დარხეული ბინდი წვებოდა.

უეცრად გაჰქრა ანგელოზი. განათდა. ვინ მოახდინა ეს სასწაული? მამაზეციერმა თუ ტყის ღრმერთებმა, ყოვლადმოწყალე ქრისტემ თუ მრისხანე მიწამ, რომელიც სახადებს ანოხევს და სვამს: ეს ჩემი ლოცვების შედეგი იყო, ჩემი ცოლის შიშის თუ ვერხვისთვის მირთმეული ძღვენისა, არავინ იცის. და მეც ამიტომ ყველას ერთბაშად შევწირე

მადლი (ვფიქრობ, გონივრულად მოვიქეცი), ვისაც ვიცნობ და ვისაც არ ვიცნობ (იქნებ ისინი ყველას სჯობდნენ) ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ცხადია (და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არის), გლოდის ერთბაშად სიცხემ დაუკლო, ხორხში სუნთქვამ ნაკადულივით ჩუხ-ჩუხი იწყო, ჩემი პატარა მიცვალებული სიკვდილის ანგელოზის კლანჭებს დაუძვრა და მკვდრეთით აღსდგა.

მაშინ ვიგრძენით, როგორ დადნა ჩვენი ბებერი გულები და ორივემ გალობა წამოვიწყეთ: „Nunc dimittis, უფალო!.“ სიხარულის ცრემლებით დაეშვა დედაბერი, თავი ქვასავით დაუვარდა ბალიშზე და ამოიოხრა:

— მორჩა, როგორც იქნა; ახლა შემიძლია მშვიდობით გავემგზავრო...

მყისვე მზერა აემღვრა, ლოყები ჩაუცვივდა, სახე გაუფითრდა და თითქოს სიოს შემობერვაზე სულმაც მიატოვა. მე კი მის საწოლზე თავდახრილი, თითქოს მორევის სიღრმეს ვუყურებდი, უფსკრულს, სადაც გაუჩინარებული სხეულის ანაბეჭდი წუთით მოჩანს და მერე წყლის გრიალში იკარგება თვალები დავუხუჭე, სანოელივით შუბლზე ვეამბორე. ნაჯაფი ხელები, რომელთაც მთელი სიცოცხლე ძოსვენება არ ღირსებიათ, გულზე დავუკრიფე; უსიტყვოდ დავტოვე ჩამქრალი კანდელი, მერე გავედი და იმ ახალ ლამპარს მივუჯექი, რომელსაც ამბერიდან უნდა გაენათებინა ჩვენი ოჯახი. ვუყურებდი როგორ ეძინა პატარას. ალერსიანი ღიმილით ვუმზერდი და ვფიქრობდი (განა შეიძლება აკრძალო ფიქრი?):

„საოცარი არ არის განა, ასეთ პატარა არსებას შეეთვისო? უიმისოდ თითქოს არარა ხარ მასთან ერთად ყველაფერი, თვით ცუდიც კი ისატანია. ეჰ! დაე, მოვკვდე, ეშმაკმაც წამიღოს! ოღონდ ამან იცოცხლოს, ოღონდ ამან იცხოვროს, დანარჩენი ფეხებზე მკიდია!.. არა! ეს მეტისმეტია. როგორ, საღი ვარ, ჯანმრთელი, მბრძანებელი ჩემი ხუთი გოძნობისა და კიდევ რამდენიმესი, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი ჩემი ბატონი გონიერება ბრძანდება; არასოდეს დავმდურებივარ ცხოვრებას, მუცლით ორმოცდაშვიდ წყრთა მუდამ ცარიელ ნაწლავს ვატარებ, ნათელი თავი მაქვს, ზუსტი მარჯვენა, მაგარი წვივები და კუნთები; ყოჩაღი მუშა ვარ, ნამდვილი ბურგუნდელი და მზად ვარ ყველაფერი შევწირო ამ პატარა ცხოველს, რომელსაც კარგად არც კი ვიცნობ. ბოლოს და ბოლოს, ვინ არის იგი? პაწაწა ტიკინა, თუთიყუში

ტიტინა, ქმნილება, რომელიც არაფერია, მაგრამ შეიძლება ერთ დღეს იქცეს რამედ და აი, ამ რამესთვის უნდა ვფლანგო განა ჩემი: „მე ვარ, მე ვარ მე, და ჯიგრიანადაც ვარ, დალახვროს ეშმაკმა!“ ჰე! ჰე! საქმე სწორედ ისაა, რომ ეს „შეიძლება“ ჩემი უმშვენიერესი ყვავილია, ჩემი ცხოვრების წადილია. და როდესაც ჭიები ჩემი ხორცით გატყვრებიან და სხეული გაიხრწნება მსუქან სასაფლაოში, გავცოცხლდები, უფალო, ჩემს მეორე „მეში“, რომელიც უფრო ლამაზი, ბედნიერი და მშვენიერი იქნება... არა! აბა საიდან ვიცი, რომ უკეთესი იქნება? ან რატომ უნდა იქნეს ჩემზე უკეთესი? იმიტომ, რომ მხრებზე შემდგება, ჩემს საფლავზე გადაივლის და უფრო შორს დაინახავს... ჰეი, ჰეი, თქვენ, ვინც ჩემი წიაღიდან გამოსულხართ, ვინც სინათლეს შესვამთ, სინათლეს, რომელშიაც მისი მოტრფიალე ჩემი თვალები მეტს ველარ იბანავებენ, თქვენი თვალებით შევხედავ მომავალი დღეებისა და ღამეების რთველს, დიახ, თქვენი თვალებით დავიხახაკ ერთმანეთის შემცველელ საუკუნეებსა და წლებს. მე ვტკბები იმით, რასაც წინდაწინ ვგრძნობ და იმითაც, რაც ჩემთვის უცნობია. ჩემს გარშემო ყველაფერი მიდის; მაგრამ მეც მივდივარ; მივდივარ შორს, უფრო შორს, უფრო მაღლა, საითაც თქვენ მიმაქროლებთ, არა ვარ მიჯაჭვული ჩემს პატარა მამულზე. და ჩემი ცხოვრების იქით, ჩემი მინდვრების მიღმა გაჭიმულან ორნატები და მიწასა და სივრცეს იხუტებენ გულში; ირმის ნახტომის მსგავსად თავიანთი ქსელით ფარავენ ლაქვარდოვან კამარას. თქვენ ხართ ჩემი იმედი, სურვილი და თესლი, რომელსაც გულუხვად ვთეს დროის უსაზღვროებაში“.

IX

დამწვარი სახლი

შუა აგვისტო.

ჩავწერთ თუ არა დღევანდელ დღეს? მეტად მწარე ლუკმაა. ჯერ კიდევ ვერ მომინელებია მთლიანად. აბა, მხნედ, ძველო! ეს საუკეთესო საშუალება იქნება მის მოსანელებლად.

ამბობენ, ზაფხულის წვიმა ბარაქის ნიშანიაო. თუ ეს ასეა, კრეზუსზე უფრო მდიდარი უნდა ვიყო, რადგან ამ ზაფხულს ჩემ ზურგს

თავსხმა არ მოჰკლებია, მაგრამ ივანიკა ნათლისმცემელივით ფეხშიშველი და ტიტველი დავდივარ. როგორც კი ამ ორმაგ უბედურებას თავი დავაღწიე — ჩემი გლოდი მორჩა, მორჩა დედაბერიც, პირველი ავადმყოფობას გადარჩა, მეორე — სიცოცხლეს — სამყაროს მმართველმა ძალებმა ჩემზე შმაგი ივრიში მოიტანეს (იქ, მაღლა, ცაში უთუოდ ვიღაც დიაცი გადამკიდებია. ნეტავი რა დავუშავე? არც არაფერი. ვუყვარვარ, როგორც ჩანს), რის შედეგადაც დავრჩი შიშველი და ნაცვმ-ნაბეგვი, მაგრამ ძვლები მაინც შემრჩა (და სწორედ ეს არის მთავარი).

გლოდი თუმცა აღარ ავადმყოფობდა, შინ დაბრუნებას არ ვჩქარობდი; ჩემი გვრიტის გამოჯანსაღება მასზე მეტად მე მახარებდა. ბავშვის გამოჯანმრთელებას რომ უცქერი, ასე გგონია, სამყაროს შექმნას უმზერ, ქვეყანა ახლად შექმნილი გეჩვენება, რძეშეუმშრალი. ასე რომ, ჩემთვის დაეხეტებოდი, ბაზარში მიმავალი ჭორიკანა დედაკაცებს მოტანილ ახალ ამბებს უგულისყუროდ ვუსმენდი. და აი, ერთ დღეს ყურები ვცქვიტე იმ ბებერი ვირივით, რომელიც პატრონის სახრესა ხედავს. ამბობდნენ, კლამსიში ბოვრონის გარეუბანი ალშია გახვეული და სახლები ფიჩხებივით იწვისო. მეტი ვერაფერი გავიგე, მაგრამ ამ დღიდან მოსვენება დავკარგე, ბოვრონელებს თანავუგრძნობდი და ნაკვერჩხლებზე ვიჯექი. რამდენი არ მიძახეს:

— დამშვიდდი, შე კაი კაცო! ცუდი ამბავი მერცხალივით სწრაფია. ხელად მოგაგნებს. საქმე შენ რომ გეხებოდეს, უკვე გეცოდინებოდა. შენს სახლზე ხომ არაფერი უთქვამთ, ვინ დათვლის ბოვრონში რამდენი ვირია...

მაინც ადგილზე ვერ ვისვენებდი, გულში ვამბობდი:

— არა, ჩემი იწვის, დამწვრის სუნი მცემს...

კომბალი ავიღე და გზას გავუდექი. ვფიქრობდი:

„რა სულელი ვარ, უფალო! ეს პირველი შემთხვევაა, კლამსიდან ისე წავედი, რომ არაფერი გადამიმალავს. სხვა დროს, მაგალითად მტრის მოახლოებისას, ხიდს იქით, კედლების უკან მიმქონდა ოჯახის მფარველი ღმერთები, ფული და ჩემი ხელოვნების ნიმუშები, რომლითაც ვამაყობ, ხელსაწყოები, ავეჯი, ბარგი-ბარხანა; თუმცა უშნონი არიან და უხეირონი, მაინც არ გავცვლიდი მსოფლიოს ოქროზე, რადგანაც ჩვენი უბადრუკი ბედნიერების მოწმენი არიან... ამჯერად ყველაფერი სახლში დავტოვე“.

საიქიოდან მესმოდა, ამ ყინლაუხედაობის გამო როგორ მლანძღავდა ჩემი დედაბერი. ვეუბნებოდი:

— შენი ბრალია, შენს გამო ვიჩქარე, შენს გამო ვისწრაფე!

დიდი აყალმაყალის შემდეგ (ამან ცოტა ხანს გამართო) შეეცადე ისიც და ჩემი თავიც დამერწმუნებინა, რომ უმიზეზოდ ვშფოთავდით. მაგრამ აბეზარი ფიქრი ბუზივით თაკს დამბზუოდა, მიბრუნდებოდა, არ მასვენებდა და ცხვირზე მაჯდებოდა. განუწყვეტლივ იმას ვხედავდი და ზურგზე სიმწრის ოფლი მასხამდა. ჩქარა მივდიოდი. ვილიე გავიარე. და ის იყო, დაბურულ აღმართს აეყვევი, რომ ფერდობზე უეიკ დავინახე, ზედ მულოელი მეწისქვილე, პაპა ჟოკო იჯდა, მიცნო, გაჩერდა, შოლტი ასწია და დამიყვირა:

— საბრალო ბიჭო!

თითქოს მეცელში მუშტი შომხვდაო, გზის პირას გავხვევდი პირდაღებული. მან კი განაგრძო:

— სად მიხვალ? დაბრუნდი, კოლა. ნუ შეხვალ-მეთქი ქალაქში. გული მოგიკვდება. ყველაფერი დამწვარია, ნაცარტუტად ქცეული. არაფერი დაგრჩა.

ხვადაგი, ყოველ სიტყვაზე კუკმაჯს მიტრიალებდა, გადავწყვიტე მაინც არ გამეტეხა იხტიბარი, ნერწყვი გადავყლაპე, წელში გავიმართე და ვუთხარი:

— ახალი ამბავი! ყველაფერი ვიცი.

— მაშ, იქ რად მიხკალ, რა ვინდა ნახო? — წყენით მკითხა მოხეცმა.

— რაც დარჩა.

— გეუბნები, არაფერი დარჩა-მეთქი, არაფერი, არც კარგი, არც ავი, არც ბოლოკის თავი.

— ჟოჟო, ამლაშებ, ვერ დამაჯერებ, რომ ჩემმა ორმა შეგირდმა და კარგმა მეზობლებმა გულცივად უყურეს, როგორ იწვოდა სახლი და არ გადამირჩინეს თუნდაც ორიოდე წაბლი, ან რამე ავეჯი, როგორც ამას ძმურად აკეთებენ ხოლმე...

— მეზობლებიო? შე უბედურო! სწორედ იმათ დაგიწვეს სახლი...

ამან კი ბოლო მომიღო. ჟოჟომ ნიშნის მოგებით მითხრა:

— ხომ ხედავ, არაფერი გცოდნია.

იხტიბარს მაინც არ ვიტეხდი, მაგრამ იმ წყეულმა ჟოჟომ, დარწმუნებულმა, რომ პირველი მიამბობდა ამ გასახარელ ამბავს, კმაყოფილებითა და ძწუხარებით, ხანძრის ამბის მოყოლა დაიწყო:

— ყველაფერი ჭირის ბრალია. ყველა გაგიჟდა. ერთი მითხარი, რად დაგვტოვეს მუნიციპალიტეტისა და სამთავროს ვაჟბატონებმა, მრჩევლებმა, პროკურორებმა? წავიდა მწყემსი. გაცოფთა ფარა. ბოვრონში ჭირის ახალი ნიშნები რომ აღმოჩნდა, ყვირილი მორთეს: ჭირიანი სახლები დავწვათო! თქმა და გაკეთება ერთი იყო. შენ აქ არ იყავი, შენი სახლით დაიწყეს. მონდომებით. შრომობდნენ, ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა, ფიქრობდნენ, ქალაქის საკეთილდღეოდ ვმუშაობთო, ერთიმეორეს აქეზებდნენ. ნგრევას რომ იწყებენ, ხომ იცი, რა ხდება: ყველა გიჟდება, ცოფდება, თვრება, ყველაფერი იმსხვრევა, არ ჩანს საზღვარი... ცეცხლი რომ შეუნთეს, ფერხული დაუარეს. თითქოს ყველა გახელდა... „ბოვრონის ხიდზე ხალხი ცეკვავს, ხალხი ცეკვავს“... ნეტავი გენახა... „ნახეთ როგორ ცეკვავს, ხალხი როგორ ცეკვავს“... რომ გენახა, შეიძლება მათთან ერთად შენც გეცეკვა. ვერ წარმოიდგენ, როგორ იწვოდა და როგორი ტკაცატკუცი გაჰქონდა სახელოსნოში დაწყობილ ფიცრებს... ერთი სიტყვით, ყველაფერი გადაწვეს!

— კარგი იყო, მენახა, უთუოდ ლამაზი იქნებოდა, — ვთქვი მე.

მართლაც ასე ვფიქრობდი, მაგრამ თან იმასაც ვამბობდი გულში: „მკვდარი ვარ. მომკლეს“.

მაგრამ ჟოჟოს ამას არ ვეუბნებოდი.

— როგორ, ეს არ გაშფოთებს განა?—უკმაყოფილოდ თქვა ძან.

(კეთილი კაცია, ძალიან ვუყვარდი; მაგრამ ხომ იცით, — ასეთია ადამიანის წყეული ბუნება, — არ გწყინს, ზოგჯერ მეზობლის უბედურებას რომ ხედავ, თუნდაც იმისათვის, რომ ნუგეშს სცემ და ისიამოვნებ.) ვუთხარი:

— დასანანია, რომ ასეთი დიდებული კოცონისათვის ივანობის ღამეს არ დაუცადეს. — და წასვლა დავაპირე.

— მაინც მიდიხარ?

— მივდივარ. ნახვამდის, ჟოჟო.

— ახირებული ვინმე ხარ! — მითხრა მოხუცმა.

ცხენს შოლტი გადაუჭირა.

მივდიოდი, უკეთ რომ ვთქვა, სანამ ურიკა მოსახვევში არ მიიმალა, ვითომ მივდიოდი; მერე კი ათი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვახერხე, მუხლები მომეკვეთა. კუნძზე დავეშვი, თითქოს ღამის ქოთანზე დავჯექი.

წუთები, რომელიც ამას მოჰყვა, საზიზღარი იყო. მეტი ბაქიობა

აღარ მჭირდებოდა. შემეძლო უბედური ვყოფილიყავი, უბედური, რამდენიც მსურდა, და ეს სიკეთე არ მოვიკელი. ვფიქრობდი:

„ყველაფერი დავკარგე, ყველაფერი: კერა, მისი ხელახლად აღდგენის იმედი! სიმწრით დანაზოგი ფული, სახლი, დღე და ღამე მოუსვენარი შრომით ნაგები. შრომა კი ჩემისთანა საწყალი კაცისათვის უდიდესი შვებაა. გაქრა ჩემი ცხოვრების კედლებში ჩამჯდარი მოგონებანი, ჩირაღდნების მსგავსი წარსულის აჩრდილნი და კიდევ მეტიც, დავკარგე ჩემი თავისუფლება. ახლა რა მელის? ერთ-ერთ შვილთან უნდა ვიცხოვრო. აკი ჩემს თავს ფიცი მივეცი, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მათ ამ უბედურებას ავაცილებდი! ცხადია, შვილები მიყვარს, მათაც ვუყვარვარ, ესეც უდაოა, მაგრამ ისეთი უკეთო როდი ვარ, არ ვიცოდე, რომ ყველა ჩიტი თავის ბუდეში უნდა ღარჩეს, რომ მოხუცები ახალგაზრდებს აწუხებენ და თვითონაც წუხდებიან. ყველა თავის მიერ დადებულ კვერცხებზე ფიქრობს, თვითონ კი საიდან გამოიჩეკა, რა ესაქმება. ბებერი, რომელსაც სიცოცხლე ჯიუტად სწყურია, თუ ახალ ნაჩეკში გარევას ცდილობს, დაუპატიჟებელი სტუმარია, რამდენიც არ უნდა ეცადოს შეუმჩნეველი დარჩეს. მაინც პატივისცემა ეკუთვნის. ეშმაკსაც წაუღია პატივისცემა! იგია ყველა უბედურებისა და უთანასწორობის მიზეზი; ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩემდამი პატივისცემას ჩემი ხუთი შვილი არ გაეგუდა და ეს არც ისე ცუდად მოვახერხე; მაგრამ რაც უნდა იღონოთ, მიუხედავად იმისა, რომ უყვარხართ, მაინც ისე გიყურებენ, როგორც უცხოს; თქვენ იმ მხარიდან მოდიხართ, სადაც ისინი არ დაბადებულან და ვერ გაიცნობთ ქვეყანას, სადაც ისინი მიდიან; მაშ, როგორ გნებავთ ერთმანეთს გაუგოთ, ერთმანეთს მიუხვდეთ? თქვენ მხოლოდ ერთმანეთს აწუხებთ და ბრაზობთ და მერე, იცით რა, მართალია, ამის თქმა საშინელებაა, მაგრამ კაცმა, რომელიც ძალიან უყვართ, არ უნდა გამოსცადოს თავისიანების სიყვარული: ეს უფლის ცდუნება იქნება. მეტისმეტი არ უნდა მოსთხოვოთ ჩვენს ადამიანურ ბუნებას. კარგია კარგი ბავშვები; საწუწუნო არაფერი მაქვს; მაგრამ კიდევ უკეთესები არიან, თუ მათი დახმარება არ გჭირდებათ. ამაზე მეტის თქმა შეიძლებოდა, რომ მინდოდეს. ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობა არ მომცემს ამის ნებას. არ უნდა წაართვა პურის ნამცეცი, თუკი გაეცი. თითქოს ვალს ვთხოვდე: „ახლა თქვენ მარჩინეთ, უწინ მე გარჩენდით“. ლუკმა, რომელიც ჩემი შრომით არ მიშოვნია,

ყელზე მადგება. ასე მგონია, თვალით ლუკმას მითვლიან. თავისუფალი მინდა ვიყო, მხოლოდ ჩემი შრომის მოვალე, ჩემი სახლის ბატონ-პატრონი, ჩემს ნებაზე შევიდე და გამოვიდე. გროშად არ ვღირვარ, როდესაც დამცირებულად ვგრძნობ თავს. ეჰ! რა ცუდია, იყო ბებერი, შენიანების ხელში შემყურე; ეს თანამოქალაქეების მოწყალებაზე უარესია. შენიანები ვალდებული არიან გარჩინონ და არ იცი, კეთილის გულით შვრებიან თუ არა; სჯობია ჩაძაღლდე, ვიდრე ისინი შეაწუხო".

ასე ვწუწუნებდი თავმოყვარეობაშებღალული, გრძნობაშელახული, დამოუკიდებლობაშერყეული, ყველა სიკეთეშებღალული. ვწუხდი კვამლად ქცეული წარსულის მოგონებასა და ყველაფერზე, რაც მქონდა კარგი თუ ცუდი. კარგად ვიცოდი, რომ რაც უნდა მეღონა, მაინც იმ ერთადერთი გზით უნდა მევლო. უნდა გამოვტყდე, რომ ფილოსოფოსობის თავი არ მქონდა. უბედური ვიყავი, იმ ხესავით უბედური, რომელიც ძირში მოჭრეს და დააპეს.

ასე, ქოთანზე მჯდარი, ირგვლივ ვიყურებოდი, ვეძებდი, რას ჩავჭიდებოდი და მახლობლად ხეივნის ხეების ქოჩრებით დაბურული კენსის ციხე-დარბაზის ხრახნილისებრი კოშკი დავინახე. და უცბად ოცდახუთი წლის მშვენიერი ნამუშევრები მომაგონდა, ნამუშევრები, რომლებითაც ის კოშკი დავამშვენე: ავეჯი, პანელები, მოჩუქურთმებული კიბე, ყოველივე ის, რაც კეთილმა ბატონიშვილმა ფილიბერმა შემიკვეთა... ის აბეზარი! რამდენჯერ გავუმწარებივარ. ერთ დღეს მომინდომა მისი საყვარლები ევას სამოსში გამომექანდაკებინა, თვითონ კი — ადამის ტყავში, გიჟმაჟი, აშიკ-მაშიკი, გველის მობრძანების შემდეგდროინდელი ადამისა! მერე მოეპრიანა, საპურველსაცავში იარაღების დასაკიდ ფარზე ამოქანდაკებულ ირმებს ჩვენს მხარეში ცნობილ რქადასმულთა თავები ჰქონოდათ. ამაზე ბევრი ვიცინეთ... მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ძნელი იყო ამ ქაჯი კაცის გულის მოგება. დაამთავრებდი თუ არა, ისევ თავიდან უნდა დაგეწყო; ფულის გადახდა კი ენანებოდა, ეს იშვიათი ხილი იყო... მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა! ბატონიშვილს ერთნაირი გატაცებით უყვარდა ყველაფერი ლამაზი, ხისა იქნებოდა თუ ხორციელი, უსულო თუ სულიერი (სწორედ ესაა კარგი. ხელოვნება უნდა გიყვარდეს, როგორც შენი საყვარელი, გულით, სულით, ხორცით, ვნებით, გატაცებით). და თუ წუწურაქმა საფასური არ მომცა, ხომ გადამარჩინა!

კლამსიში თუ დავიღუპე, აქ ზედაპირზე ვტივტივებ. ჩემი წარსულის ხე თუ დაიღუპა, მისი ნაყოფი ხომ მაინც დამრჩა. სამშვიდობოს არის. არ ეშინია არც ყინვის, არც ცეცხლის. ცხოვრების ეშხი რომ დამბრუნებოდა, მინდოდა ჩემი ნახელავი დაუყოვნებლივ მენახა, კბილებით ჩავფრენოდი, გემო გამესინჯა.

ციხე-დარბაზში შევედი. იქ კარგად მიცნობდნენ. ბატონი შინ არ იყო: მოვიმიზეზე, ახალი ზომა მაქვს ასაღები-მეთქი და იქით გავემართე, სადაც ჩემი შვილები მეგულებოდნენ. დიდი ხანი არ ვენახა ბავშვები. სანამ ხელოვანი ძალას გრძნობს მკლავში, ქმნის და რაც შეუქმნია, იმაზე არ ფიქრობს. ერთხელ, როდესაც მათი ნახვა მოვისურვე, ბატონმა დე კენსიმ უცნაურად გაიცინა და არ შეეშვა. ვიფიქრე, ცუღლუტს უთუოდ ვიღაც ასტაჯანა, ქმრიანი ქალი ჰყავს-მეთქი დამალული და რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ჩემი ქალბატონი არ იქნებოდა, დიდად არ შეეწუხებულვარ. და მერე, იცით რა, დიდი ხვადაგების ხუსტურებთან არ დაობენ: ასე უფრო გონიერია. აქაურებიც ახირებულ კაცად თვლიან და სათოფეზე არ ეკარებიან.

ასე რომ, მთავარ კიბეს გაბედულად ავყევი. ათი ნაბიჯიც არ გადამიდგამს და ლოტის ცოლივით გავქვავდი. ყურძნის მტევნები, ატმის ტოტები, ჩუქურთმიან მოაჯირს შემოხვეული, აყვავებული ლიანები დანით აეკუწათ. თვალებს არ ვუჯერებდი, ხელი შევახე საბრალო დასახიჩრებულთ. თითებით ვიგრძენი მათი ჭრილობების მოსაზულობა. სუნთქვა შემეკრა, კვნესა აღმომხდა. სწრაფად ავირბინე კიბის საფეხურები: მეშინოდა, რომ უარესი არ მენახა!.. იმან, რაც დამხვდა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

სასადილოში, საჭურველსაცავში, საწოლ ოთახში, ავეჯზე და პანელებზე ამოკვეთილ ფიგურებს მოჭრილი ჰქონდათ: ზოგს ცხვირი, ზოგს მკლავი, ზოგს ფეხი, ზოგს კიდევ ვაზის ფოთოლი. ბუხრებს, სკივრების მუცლებს, მოჩუქურთმებულ სვეტებს ამკობდა დანით ამოჭრილი წარწერები: პატრონის სახელი, რაღაც ტუტუცური აზრი, ანდა ამ ჰერკულესისსაფერი სამუშაოს დღე და საათი. დიდი გალერეის სიღრმეში უხვბეწვიანი ძუ ლომის კისერზე მუხლმოყრილი ჩემი ლამაზი, ტიტველი იონელი ფერია სამიზნედ ეხმარათ და მუცელი მაჟარის ტყვიებით დაეცხრილათ. და ალალბედზე საითაც არ მივიხედე, ყველგან დანების კვალი, ბურბუშელა, ნარანდი, მელნის ან ღვინის ლაქები, მიმატებული ულვაშები, ანდა ბინაური ხუმრობა

ვიხილე, ერთი სიტყვით, ყველა ის უხამსობა, რაც მოწყენას, მარტოობას, ტაკიმასხარაობასა და სიბრიყვეს შეუძლია უკარნახოს მდიდარი იდიოტის გონებას, რომელმაც თავის მდიდრულ სასახლეში არ იცის, რა მოიგონოს და, ანგრევს ყველაფერს, რადგან არაფრის მაქნისია და არაფრის გაკეთება არ შეუძლია. აქ რომ ყოფილიყო, ალბათ, მოვკლავდი. ვკვნესოდი, ვქშინავდი, დიდხანს სიტყვა ვერ დამეძრა. კისერი გამიწითლდა, შუბლის ძარღვები დამებერა, თვალები კიბოსავით გადმომცვივდა, ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე შეგინება. დროც იყო! ცოტა კიდევ და ბრაზისაგან გავიგუდებოდი... ერთი რომ გასკდა, აი დედასა! როგორ ავიწყვიტე! მთელი ათი წუთი ყველა ღმერთს ვაგინე და ჩემი მძულვარება გადმოვანთხიე:

— ჰა, ქოფაკო! — ვყვიროდი მე, — მაშ, იმისათვის მოვიყვანე შენ ბუნაგში ჩემი მშვენიერი ბავშვები, რომ გეწამებინა, დაგესახიჩრებინა, გაგეუპატიურებინა, წაგებილწა, წაგერყვნა! ვაიმე, ვაიმე! ჩემო პაწაწინებო, სიხარულში შობილნო. ჩემს მემკვიდრედ გსახავდით, შეგქმენით ჯანსაღი, ღონიერი, ფუნჩულა, ნაკვთად სრული, არაფერი დაგაკელით, ისეთი ხისაგან გამოგქერით, რომ ათასი წელი უნდა გეცხოვრათ. ვაი ჩემს მოსწრებას. ვეღარ მიცვნიხართ გახეიბრებულნი, დასახიჩრებულნი ზევიდან და ქვევიდან, წინიდან და უკანიდან; ზოგს ცხვირი აკლია, ზოგს — კისერი. და ომგადახდილ ბებერ მძარცველთა ხროვაზე უფრო მეტად ხართ ჭრილობებით დასერილნი. ისმინე, მაცხოვარო, ვედრება ჩემი (იქნება ვედრება არც გჭირდება), მიიღე მოწყალება, რომ სიკვდილის შემდეგ არ მოვხვდე სამოთხეში, პირდაპირ ჯოჯოხეთში მიკარ თავი, შამფურის მახლობლად, რომელზედაც ბელზებელი წაწყმედილ სულებს ბრაწავს, რათა ჩემი ხელით შევატრიალ-შემოვატრიალო შამფურზე უკანალით აცმული ჩემი ბავშვების ჯალათი.

ამ ყოფაში ვიყავი, როდესაც ჩემი ნაცნობი ლაქია, მოხუცი ანდოში მოვიდა და მთხოვა, შემეწყვიტა ბღავილი... კარებისაკენ წამიყვანა, კეთილი კაცი შეეცადა ვენუგეშებინე:

— განა შეიძლება ხის ნატეხებისთვის ამ ყოფამდე მისვლა? ნეტავი რას იტყოდი, ჩვენსავით იძულებული რომ იყო, ასეთ გიჟთან იცხოვრო? განა არა სჯობია, ამ ფიცრებით გაერთოს, რომლებშიც ფული გადაგიხადა, ვიდრე გვაწამოს ისეთი კეთილი ქრისტიანები, როგორიც, მაგალითად, მე და შენა ვართ?..

— ეჰ! — ვუპასუხე მე, — გცემოს, რამდენიც უნდა! როგორ გგონია, უარს ვიტყოდი, რომ გავეწკეპლე ამ ხის ერთი ნატეხისათვის, რომელსაც ჩემმა თითებმა სული შთაბერეს? არარაა კაცი, ღვთიურია მისი ქმნილება, სამგზის მკვლელია ის, ვინც აზრსა კლავს!..

კიდევ ბევრ რამეს ვიტყოდი ასევე მკვერმეტყველურად, მაგრამ შევნიშნე, რომ ჩემს მსმენელებს ვერაფერი გაეგოთ და ანდოშის თვალში ისეთივე გიჟი ვიყავი, როგორც მისი ბატონი. და როდესაც კიდევ ერთხელ შევჩერდი ზღურბლზე, რომ უკანასკნელად გადამევლო თვალი ამ ბრიოლის ველისათვის, თავში უეცრად გამიელვა აზრმა, თუ რაოდენ სასაცილონი ვიყავით ჩემი უცხვირო ღმერთები, მათი ატილა, მშვიდთვალა ანდოში, რომელსაც ვებრალებოდი და მე — ბებერი სულელი, ამდენ ნერწყვს რომ ვხარჯავდი ჩერჩეტებთან ყბედობაში... ფრრუტ... შუმხუნასავით გამიელვა... ბრაზი და დარდი დამიცხრა, გაოცებული ანდოშის ცხვირწინ სიცილი დავიწყე და კარში გავვარდი.

კვლავ გზაზე აღმოვჩნდი; ვამბობდი:

„ამჯერად ყველაფერი წამართვეს. მხოლოდ მიწაში ჩასადებად ვვარგვარ. ტყავიღა დამრჩა... კი მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, ტყავი ხომ შემრჩა, და შემრჩა ისიც, რაც ამ ტყავში მაქვს. იმ ალყაშემორტყმულის დარად, რომელმაც მტრის მუქარაზე, თუ არ დამნებდები, ბავშვებს დაგიხოცავო, უპასუხა: „როგორც გენებოს, მე თან მაქვს იარაღი, რომ სხვები გავაკეთო“, — დასწყეველოს ღმერთმა, მეც ხომ თანა მაქვს იარაღი. ის არ წაურთმევიათ, ვერც წამართმევენ... სამყარო ხრიოკი ველია, აქა-იქ მოდის ჯეჯილი, რომელიც ხელოვანთ დაგვითესია. მიწიერი და ზეციერი ხვადაგები კენკავენ, ღეჭავენ და ჭქელავენ ჩვენს ყანას. უძლურთა შემოქმედება — მკვლელობაა. ხვადაგებო! ღრღენით, გაანადგურეთ, ფეხით გაქელეთ ჩემი ჯეჯილი, ახალს მოვიყვან. თავთავი მწიფე, თავთავი მკვდარი, სულ არ მაწუხებს მე მოსავალი. მიწის წიაღში ღვივის მარცვალი. მე ვარ ის, რაც იქნება, და არა ის, რაც იყო. და როდესაც დადგება ის დღე, როცა ძალ-ღონე გამიქრება, ან თვალები ჩამიქრება, აღარ მექნება ხორცშესხმული ნესტოები და ყანყრატო, ღვინოს რომ ვისხამ, როდესაც მოუსვენარი ენა დამიცხრება, დავიკრეფ მკლავებს, დაუდეგარ ძალას დავკარგავ, ხელში სიმარჯვე წამერთმევა, როდესაც ძალიან დავბერდები და გავხდები უსისხლო და უგონო, იმ დღიდან, აღარ ვიარსე-

ბებ, არა! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ბრონიონი, რომელიც არ გრძნობს? კოლა, რომელიც არ ქმნის, ბრონიონი, რომელიც არ იცინის და ოთხივე ნალით ნაპერწკლებს არ ყრის? არა და არა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ კოლასაგან მხოლოდ შარვალი დარჩა, შეგიძლიათ დაწვათ. ჩემი ძონძი თქვენთვის დამილოცნია“...

კლამსისაკენ გავემართე. ბაქიობით, ხელში კომბლით აღმართს ვათავებდი (მართალი გითხრათ, არ დაგიფიცავთ, თავს კარგად ვგრძნობდი), რომ ტირილით ჩემკენ მომავალი პატარა კაცუნა დავიხახე, ჩემი შეგირდი რობინე, მეტსახელად პატარა ბინე. ეს ცამეტი წლის ბიჭუნა მუშაობის დროს ბუზების ფრენას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე გაკვეთილს, უფრო ხშირად გარეთ იყო, ვიდრე შინ; ერთობოდა წყალში კენჭების სროლით, ანდა გამვლელი გოგოების კანჭების ცქერით. დღეში ოცჯერ მივტყეპავდი ხოლმე; მაგრამ მაიმუნივით მარჯვესა და ქვეშქვეშას ეშმაკი, მარდი და კარგი მუშა თითები ჰქონდა და მიუხედავად ყველაფრისა, მიყვარდა მისი მუდამ დაფჩენილი პირი, ჩაცვენილი ლოყები, ჭკვიანი თვალები და პაჭუა ცხვირი. იცოდა ეს, სალახანამ! რამდენიც უნდა მეღერა მუშტი, მექუხა, მეკეკა, ცუღლუტი იუპიტერის თვალში ღიმილს ხედავდა. ასე რომ, როდესაც მივტყეპავდი, ჩოჩორივით მშვიდად შეირხეოდა და კვლავ თავისას შვრებოდა. დიდი არამზადა იყო.

მეტად ვამიკვირდა, როცა დავინახე, რომ შადრევნის ტრიტონივით ცხვირიდან და თვალებიდან ცრემლები ნიაღვრად სცვიოდა მომვარდა, ბღავილით წელზე შემომეხვია, ცრემლებით დამისველა ღიპი. ვერაფერი გამეგო. ვუთხარი:

— აბა! აბა! ვინ გაგაჯავრა! დამეხსენ, მომე'მვი! დალახვროს ეშმაკმა, მითხარი, რად ტირი, ჯერ ცხვირი უნდა მოიხოცო და მერე კაცს აკოცო.

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ტირილი შეეწყვიტა, უფრო მაგრად შემომეხვია და, თითქოს მსხლის ხის კენწეროდან, ჯერ ჩემს მუხლზე ჩამოცურდა, მერე მიწაზე და ტირილს უმატა. შევშინდი.

— აბა, ერთი დადექი, ჩემო ბიჭუნა! მითხარი, რა დაგემართა?

მკლავებში ჩავავლე ხელები და ავიტაცე... და მაშინ შევნიშნე, რომ ერთი ხელი შეხვეული ჰქონდა და ჭინჭებიდან სისხლი ჟონავდა, ტანსაცმელი ძონძებს დამსგავსებოდა და წარბებიც გარუჯოდა. ვთქვი (უკვე დამავიწყდა ჩემი ამბავი):

— ყურუმსაღო! უთუოდ კიდევ წაიცუღლუტე, არა?

— ვაიმე, უსტა, მიწუხს სული, მიმდის გული!

გვერდით მოვისვი და ვუთხარი:

— არ იტყვი მაინც, რა მოგივიდა?

— ყველაფერი დაიწვა!

იყვირა საბრალომ და ისევ ცრემლებად დაიღვარა... მაშინღა მივხვდი, რომ ასე ჩემს გამო, ჩემი დამწვარი სახლ-კარის გამო წუხდა. ვერ აგიწერთ, როგორ მეამა. ვუთხარი:

— საბრალო პატარა, ამის გამო ტირი განა?

ის კი არ ცხრებოდა (ეგონა ვერ მივუხვდი):

— სახელოსნო დაიწვა!

— ახალი ამბავი, ვიცი, რაც გინდა მითხრა. დღეს სულ მაგას მეუბნებიან, ყურები გამომიჭედეს. რას იზამ? უბედურება დაგვატყდა თავს.

ცოტათი დამშვიდებულმა შემომხედა. გული მაინც სტკიოდა.

— მერედა შენ რა, ჩემო პატარა ნამგალა, შენი გალია გიყვარდა განა? შენ ხომ სულ იქიდან გაფრენაზე ფიქრობდი? ალბათ, შენც სხვებივით კოცონის ირგვლივ ცეკვავდი, პატარა გაიძვერავ (რასაკვირველია, ეს აზრადაც არ მქონდა).

აღშფოთებით იყვირა:

— ეგ ტყუილია. ტყუილია! მე ვიჩხუბე. ცეცხლი რომ ჩაგვექრო, რა არ ვიღონეთ, მაგრამ მხოლოდ ორნი ვიყავით. ავადმყოფი, ციებისაგან აძაგძაგებული კანია (ეს ჩემი მეორე შეგირდია) ლოგინიდან წამოხტა და კარის წინ დადგა, მაგრამ აბა, მიდით და შეაჩერეთ ღორების ჯოგი! წაგვაქციეს, გაგვთელეს, გაგვქელეს, მიგვბერტყეს და მიგვაგდეს. გაცოფებულნი ტორებს ვურტყამდით, ტლინკებს ვისროდით, ვერაფერს გავხდით, რაბაწეულ მდინარესავით გადაგვიარეს; წამოდგა კანია, გამოეკიდა, კინაღამ მოკლეს და მაშინ, როდესაც ისინი ჩხუბობდნენ, მე ცეცხლმოკიდებულ სახელოსნოში შევიპარე... ღმერთო, რა ბუღი იდგა! ცეცხლი ერთბაშად მოსდებოდა ყველაფერს, ხის მორებიც ჩირაღდნებივით ბრიალებდნენ. ცეცხლის თეთრი, წითელი, შუშხუნა ენები სახეში კვამლსა და ნაპერწკლებს მაფურთხებდნენ. ვტიროდი, ვახველებდი, უკვე ვიწვოდი, გულში ვამბობდი: „რობენ, ძეხვივით შეიწვები!“.. მახლას, მოხდეს, რაც მოხდება! ჰოპლა! და როგორც ივანობის ღამეს, გადავხტი, შარ-

ვალი მეწვოდა, თმები გამერუჯა, ალმოდებულ ბურბუშელაზე დავეცი, ბურბუშელას ბათქაბუთქი გაჰქონდა, მეც ბანი მივეცი: მერე წამოვხტი, წავიბორძიკე, კვლავ გავიშხლართე, თავი დაზგას მივარტყი, დავრეტიანდი, მაგრამ გონს მალე მოვეგე. ირგვლივ ცეცხლი მძვინვარებდა და გარედან ნადირების ტაშ-ფანდურას ხმა მესმოდა. შევეცადე ავმდგარიყავი, დავეცი, დავიბეგვე, მაგრამ ისევ მოვიკრიბე ძალ-ღონე, წამოვიწიე და ათ ნაბიჯზე თქვენი პატარა თმაგაშლილი მარიამ მაგდალინელი დავინახე, მორჩილ, ფუნთუშა, ტურფა და შიშველ ტანს უკვე ცეცხლის ენა ლოკავდა. შევძახე: „შესდექ“! გავექანე, ავიყვანე, გულში ჩავიკარ და ხელებით ჩავაქრე ცეცხლი, რომელიც მის მშვენიერ ფეხებს მოსდებოდა, მერე კი, მართალი გითხრათ, არ ვიცი, არ ვიცი, რა ვქენი; ვკოცნიდი, ვტიროდი, ვეუბნებოდი: „ჩემო საუნჯევ, ჩემთანა ხარ, ჩემთან იქნები, ნუ გეშინია, სიტყვას გაძლევ, არ დაიწვები, შენც მომეხმარე, წმიდა მაგდალინელო, და გადავრჩებით“... დრო აღარ იყო... ბუმ... ჭერი ჩამოინგრა. საიდანაც შემოვედი, იმავე გზით დაბრუნება შეუძლებელი გახდა. მრგვალ სარკმელთან სულ ახლოს ვიყავით. სარკმელი ხომ მდინარისკენ იცქირება. მუშტით მინა გავტეხე. შიგ, როგორც სალტეში, გავძვერით ორივე. ზუსტად გავეტიეთ, გავფრინდით ჰაერში და თავით ჩავყვინთეთ ბოვრონის ტალღებში; საბედნიეროდ, ღრმა არ იყო, შლამში ჩავცვივდით და წმინდა მარიამ მაგდალინელს დაცემისას კოპი არ დაჯდომია; მე კი ბედმა არ გამიღიმა: მაგდალინელს ხელი არ ვუშვი, ცხვირით მდინარის ფსკერზე დავასკდი, ვიჭყუმპალავე; ვსვი და ვყლაპე ზომაზე მეტი; მერე, როგორც იქნა, ნაპირზე გამოვედი და, ლაყბობა რომ არ გამიგრძელდეს, აი, თქვენს წინ ვართ ორივენი! მაპატიეთ, უსტა, რომ ამის მეტი ვერაფერი შევიძელი.

ესა თქვა და მოწიწებით ფუთა გახსნა. ამოიღო ქურთუკში შეხვეული წმინდა მარიამ მაგდალინელი, რომელიც უცოდველი და კეკლუცი თვალებით იღიმებოდა და თავის მომწვარ, პაწაწინა ფეხებს აჩენდა. ისე ავღელდი, რომ (გავაკეთე ის, რაც არ გამიკეთებია ჩემი დედაბრის სიკვდილის, გლოდის ავადმყოფობის, ჩემი დაქცევის და ჩემ ქმნილებათა განადგურების გამო) ავტირდი.

მარიამის და რობინეს კოცნაში მეორე შეგირდიც მომაგონდა და ვკითხე პატარას:

— კანია რა იქნა?

— დარდისგან მოკვდა.

შუა გზაზე დავიჩოქე, ვეამბორე მიწას და ვთქვი:

— გმადლობთ, ბიჭიკო.

ავხედე ზეცას, მერე მზერა ბინეზე გადავიტანე, დამწვარი ხელებით გულში ქანდაკება რომ ჩაეკრა, და ვთქვი:

— აი, ჩემი ყველაზე ლამაზი ქმნილება: სულები, რომლებიც გამოვძერწე. ამათ ვერ წამართმევთ. დაწვით, რაც გამიჩენია! სული მაინც ჩემია.

X

ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ

ავგისტოს მიწურული.

როცა დავწყნარდი, რობინეს ვუთხარი:

— კმარა! რაც მოხდა, მოხდა. ვნახოთ, რა დარჩა გასაკეთებელი.

მოვაყოლე ქალაქის ამბები, რაც ჩემს არყოფნაში თხუთმეტი თუ ოცი დღის მანძილზე მოხდა. მოკლედ მოვაყოლე, გარკვევით, ბევრი არ ვალაყბე, რაკი გუშინ მომხდარი — დღეს უკვე ძველი ამბავია, მთავარია, ვიცოდეთ, რა დღეში ვართ ამჟამად. გავიგე, რომ კლამსიში შიში და ჭირი მეფობდა; უფრო შიში, ვიდრე, ჭირი. ეს უკანასკნელი ბედს უკვე სხვაგან ეძებდა და ასპარეზი მაწანწალებისთვის დაეთმო. მსხვერპლის სუნზე ეს ავაზაკები ყოველი მხრიდან მორბოდნენ, რომ ჭირისთვის დავლა ხელიდან გამოეგლიჯათ; ბატონ-პატრონნი იყვნენ. სენის შიშით გაცოფებული და დამშეული მეტი-ვეები ან ხელს არ უშლიდნენ, ან მათ ბაძავდნენ. კანონები დუმდნენ. ვისაც მათი დაცვა ევალებოდა, საკუთარი მინდვრების დასაცავად წასულიყვნენ. ჩვენი ოთხი მრჩეველიდან ერთი მომკვდარა, ორი გაქცეულა, პროკურორიც აორთქლებულა. ციხე-დარბაზის მამაცი, მაგრამ ნეკრესიანი, ფეხებდასიებული, ჭკუამოკლე და ცალხელა მოხუცი კაპიტანიც აეკუწათ. ერთადერთი მრჩეველი, რაკენი დარჩენილა. ამ აღვირაწყვეტილი მხეცების წინაშე მარტოდ დარჩენილს შიშის,

სისტემის თუ ვერაგობის გამო გადაუწყვეტია, რომ აჯობებდა, თავს დაეტყდარ უბედურებას თუ წინააღმდეგობას არ გაუწევდა და ცეცხლს მის წილს დაუთმობდა. მაგრამ თავისი გულღრძო ბუნება რომ დაეკმაყოფილებინა, რაშიც თავის თავსაც არ უტყდებოდა (ვიცნობ მაგ არამზადას), ცეცხლის წამკიდებელ ხროვას იმათ უსევდა, ვის ბედნიერებაზეც თვალი რჩებოდა, ანდა შურს იძიებდა. ახლა კი მივხვდი, ჩემი სახლი რად აირჩიეს!..

— კი მაგრამ, სხვები, მედაბურები რაღას შვრებიან? — ვკითხე რობინეს.

— „ბე..ე..ეს“ გაიძახიან, — თქვა ბინემ; — ეჰ! ცხვრები არიან, სახლებში სხედან, ელოდებიან, ყაჩაღები როდის მივლენ და ყელს გამოღადრავენ. აღარც მწყემსები ჰყავთ და არც ძაღლები.

— კი მაგრამ, ბინე, მე ხომ აქა ვარ! ვნახოთ, ბიჭიკო, თუ კიდევ შემრჩა ეშვები. კმარა ლაპარაკი, თან საქმე, ჩემო პატარა.

— უსტა, მარტოხელა კაცი რას გააწყობს?

— ვცადოთ მაინც.

— იმ უნიფხო მათხოვრებმა ხელში რომ ჩაგიგდონ?

— არაფერი გამაჩნია; ფეხებსაც ვერ მომუამენ. მიდი და სცადე, ქაჩალი ეშმაკი დავარცხნო.

ბინემ ცეკვა დაიწყო:

— ვახ, რა დროს გავატარებთ! ფრელოფანფან, იწუწკე, იბაცაცე, გაწმინდე, გაუვრიტე და ტირირარა, ტარირიდი, აბა გიდი, წინ იარე და წინ მიდი.

და თავისი დამწვარი ხელით ყირაზე გადავიდა, ცოტა დააკლდა, არ გაიშხლართა. მკაცრი გამომეტყველება მივიღე:

— ჰე, მაიმუნო, მითხარი, ეგ რა საქმეა ტიალი, ხის წვერზე კუდით ტრიალი. ადექი, დინჯად იყავი. უნდა მისმინო.

თვალებგაბრწყინებული სმენად გადაიქცა.

— დიდხანს აღარ იცინებ! აი რა: მე მარტო წავალ კლამსიში. ახლავე.

— მეც წამიყვანე!

— შენ დორნესიში გგზავნი ელჩად, ნახე ჩვენი მრჩეველი ბატონი ნიკოლი, კაცი ფრთხილი, კარგი გულისა და კიდევ უკეთესი ფეხების პატრონი, რომელსაც თანამოქალაქეებზე მეტად თავისი თავი უყვარს და თავზე უფრო თავისი ქონება. ასე გადაეცი, თუ ხვალ

დილითვე არ დაბრუნდება, ღვინოს დაულევენ. იქიდან სარდიში ადი და თავის სამტრედეში ინახულე პროკურორი. მეტრ გიომ კურტინიონი, უთხარი, თუ ამაღამვე აქ არ გაჩნდება, სახლს გადაუწვავენ, გაძარცვავენ და იქაურობას სულ ნაცარტუტად აქცევენ. შენ აგრე უთხარი და მყისვე გამოქანდება. დანარჩენს შენ თვითონვე მიხედები, რაც უნდა თქვა. ტყუილების გუდა ზურგზე გკიდია.

— საქმე ძნელი როდია, მაგრამ თქვენი დატოვება რომ არ მინდა. — მიპასუხა პატარამ, თან კეფას იფხანდა.

— ერთი მითხარი, უქნარა, როდის გკითხე, რა გინდა და რა არა! გიბრძანებ, მორჩა და გათავდა.

მაინც არ ჩამომეხსნა და:

კმარა-მეთქი ვუთხარი.

და რადგანაც ჩემს ბედზე სწუხდა, ვუთხარი:

— რბენას არ გიშლი, საქმეს რომ მორჩები, ჩემთან დაბრუნდი. თუ ჩემი მოხმარება გინდა, მაშველი ძალა უნდა მომიყვანო.

— დაოთხებულებს გამოვაქცუნებ, ჭენებ-ჭენებით, ოფლში გავწურავ და ისე მოგგვრით კურტინიონსა და ნიკოლს, თუნდაც ამისთვის ნიშადურის ამოცხება დამჭირდეს!

თქვა ესა და ისარივით გაქანდა, მერე შეჩერდა:

— უსტა, ეს მაინც მითხარით, რას აპირებთ?

ვნახოთ-მეთქი, იდუმალი გამომეტყველებით ვუპასუხე.

(ჯერ თვითონაც არაფერი ვიცოდი).

* * *

საღამოს რვა საათისათვის ქალაქში შევედი. ოქროსფერ ღრუბლებზე მზის მეწამული დისკო გაწოლილიყო. ზაფხულის მშვენიერი ღამე დგებოდა. და არავინ იყო, მისით რომ დამტკბარიყო. ბაზრის კარი ღია დარჩენოდათ, დარაჯიც არ იდგა, ყველაფერი ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული. დიდ ქუჩაში პურს ღრღნიდა მჭლე კატა; აიბურძგნა, რომ დამინახა, და მერე მოუსვა. თვალდახუჭულ სახლებს გახევებული სახეები ჰქონდათ. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. გულში ვთქვი:

„დამგვიანებია, ყველანი დახოცილან!“

მაგრამ აი, შევამჩნიე, რომ ჩემი ნაბიჯების ხმას დაგმანული დარაბების უკანიდან ყურს უგდებდნენ. დავაბრახუნე. გააღეთ-მეთქი,— ვიყვირე.

არავინ განძრეულა. მეორე სახლთან მივედი და კვლავ დავაბრახუნე წიხლებითა და ჯოხით. არავინ გამიღო. შიგნიდან თაგვების ფხაკური მომესმა. ახლა კი მივხვდი:

— უბადრუკნი, სოროებში ჩამძვრალან! დამაცადეთ, დუნდულოებს აგიჭრელებთ!

წიგნის მაღაზიის ვიტრინას წიხლები და მუშტები დავუშინე და ყვირილი მოვრთე:

— ჰეი, ძმაბრჭო! სოლსუა დენი, გაგიწყრა ღმერთი, გააღე-მეთქი, თორემ ყველაფერს დავამტვრევ; გსურს ავტეხო სროლა? ყვერულო, ბრონიონი ვარ, კოლა.

რაღაც სასწაულით (თითქოს ფერია ფანჯრებს ჯადოსნური ჯოხით შეხებოდეს) ყველა დარაბა გაიღო და ბაზრის ქუჩის გასწვრივ, ფანჯრების რაფებზე ხახვებივით ჩამწკრივებული, შეშინებული სახეები გამოჩნდა. მათვალიერებდნენ, მიყურებდნენ, მიყურებდნენ და კიდევ მიყურებდნენ... მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთი ლამაზი ვიყავი. სახეზე ხელი მოვისვი. უცბად ყველა გაიბადრა. სახეზე კმაყოფილება აღებეჭდათ.

„ამ კაი ხალხს როგორ ვუყვარვარ“, — ვთქვი გულში, თავს კი არ გამოვუტყდი, რომ მათი კმაყოფილების მიზეზი ამჟამად ჩემი აქ ყოფნა იყო. ეს ოდნავ ამშვიდებდათ.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ბრონიონს და ხახვებს შორის გაიმართა საუბარი. სეტყვასავით დამაყარეს კითხვები და მეც ყველას სათითაოდ ვიგერიებდი.

— საიდან მოდიხარ? რას აკეთებდი? ვინ ნახე? რა გინდა? როგორ შემოხვედი? რა გზით გამოიარე?

— აბა, აბა! ნუ ღელავთ, სიამოვნებით ვხედავ, ენა რომ გამოგებათ, თუმც გული და ფეხები დაგიკარგავთ. მანდ რას აკეთებთ? ჩამოდით, საამოა საღამოს გრილი ჰაერი. წაღები ხომ არ წაგართვეს, ოთახებში გამოკეტილნი რომ სხედხართ?

პასუხის ნაცვლად მეკითხებიან:

— ბრონიონ, რომ მოდიოდი, ქუჩაში ვინ შეგხვდა?

— სულელებო, — ვუთხარი მე, — აბა ვინ შემხვდებოდა, ყველანი საკუთარ ბუდეში შეყუჟულხართ.

— ყაჩაღები არ გინახავს?

— ყაჩაღები?

— ჰო, ყველას ძარცვავენ. ყველაფერს წვავენ.

— სად?

— ბეიანში.

— წავიდეთ, დავიჭიროთ. საქათმეებში რას დამსხდარხართ?

— სახლებს ვდარაჯობთ.

— მეზობლის სახლის დაცვა შენი სახლის დარაჯობასაც ნიშნავს.

— ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო.

— ვიცნობ მაგ სიმღერას: „მეზობლის სიყვარული მეტისმეტად დიდია, მაგრამ გაჭირვებისას ფეხებზედაც მკიდია“... უბედურნო, ყაჩაღების წისქვილზე ასხამთ წყალს. სხვებს რომ გაძარცვავენ, თქვენც მოგადგებიან.

— ბატონმა რაკენმა თქვა, ამ შიშიანობის ჟამს, სანამდე წესრიგს აღადგენდნენ, სჯობს ცეცხლს მისი წილი მივუზღოთო.

— მერედა, წესრიგს ვინ აღადგენს?

— ბატონიშვილი დე ნეველი.

— მანამ ბევრი წყალი ჩაივლის. ბატონ დე ნეველს საკუთარი საქმეები თავსაყრელად აქვს და სანამ თქვენზე იფიქრებდეს, ყველას გადაგბუგავენ. აბა, წამოდით, ბიჭებო! ვისაც გინდათ, შეგრჩეთ ტყავი, უნდა გაანძრიოთ მკლავი.

— ყაჩაღები ბევრნი და შეიარაღებულნი არიან.

— როგორც ჰქუხს, არც ისე წვიმს ხოლმე.

— თავკაცები არა გვყავს.

— თვითონვე ითავეთ.

აყარზე წამოსკუპებული ჩიტებივით ფანჯრებიდან განაგრძობდნენ ჭიკყინს; ერთმანეთში დაობდნენ, განძრევა კი არავის უნდოდა. მოთმინება დაკარგე:

— რაო, მთელი ღამე ცხვირაწეული, კისერწაგრძელებული და ქუჩაში აყუდებული უნდა დამტოვოთ? მე თქვენთან სერენადის საძღერლად კი არ მოვსულვარ, არც ის მაინტერესებს, როგორ აკაწკაწებთ ოთახებში კბილებს. იმას, რაც სათქმელი მაქვს, არც მღერიან

და არც სახურავებიდან ყვირიან. გააღეთ კარი, გააღეთ-მეთქი, თორემ, ღმერთმანი, ცეცხლს წაგიკიდებთ. კარში გამოდით, მამლებო (თუ კიდევ დარჩით), საქათმეს დედლებიც მოუვლიან.

გაეცინათ, აბუზღუნდნენ და ჯერ ერთი კარი გაიღო, მერე — მეორე. გამოჩნდა ცხვირი, მას მოყვა ცხვარი და როგორც კი დაინახეს, ბაკიდან ერთი ცხვარი გამოსულაო, მთელი ფარა გამოვარდა. ირგვლივ შემომიარეს, შემატრიალ-შემომატრიალეს, დაკვირვებით შემათვალიერეს:

— არა, მართლა მორჩი?

— კაკივითა ვარ.

— გზად არავინ აგკიდებია?

— არავინ. მხოლოდ ერთგან ბატების გუნდი სისინით გამომეკიდა.

და როცა დარწმუნდნენ, რომ ყველა ხიფათს გადავურჩი, შვებით ამოისუნთქეს, უფრო მეტად შემიყვარეს. ვუთხარი:

— აბა, კარგად შემომხედეთ, უვნებელი ვარ. ყველაფერი ადგილზე მაქვს, არაფერი მაკლია. სათვალე ხომ არ გნებავთ? მოვრჩეთ, კმარა! ხვალ უკეთ დამინახავთ. დრო არ იცდის, ლათაიებს მოვეშვათ. სად შეგვიძლია ვიბაასოთ?

— ჩემს სამჯედლოში, — თქვა განიომ.

ცხვრის ფარასავით შევქუჩდით განიოს სამჯედლოში, სადაც რქის სუნი იდგა და მიწა ცხენების ფლოქვებით იყო დატკეპნილი. კარი მოვიხურეთ. მიწაზე დადებული ჩრაქის შუქით განათებულ გაჭვარტლულ ჭერზე ჩვენი თავწაღუნული ჩრდილები ცეკვავდნენ. ყველა დუმდა. უცებ ყველა ერთად ალაპარაკდა. განიომ გრდემლზე ჩაქუჩი დაჰკრა. ყაყანი ჩაქუჩის ხმამ დაფარა; ამით ვისარგებლე და ვთქვი:

— ბევრს ნუ გავაგრძელებთ. ყველაფერი ვიცი. ჩვენში ყაჩაღები მოკალათებულან. ჰოდა, გავყაროთ ისინი.

მიპასუხეს:

— მეტად ძლიერნი არიან. მეტივეებიც ეხმარებიან.

— მეტივეებსაც სწყურიათ და როცა ხედავენ, რომ სხვები სვამენ, არ უყვართ ცქერა. მეც არ მიყვარს ასეთი სურათის გულხელდაკრეფილი მზერა. ცდუნებაში არ უნდა შეიყვანო უფალი და მით უმეტეს, მეტივე კაცი. თუ ძარცვას ხელს არ შეუშლით, ნუ გაგიკვირდებათ, რომ პატიოსანი კაციც გაურცხვდეს და შეეცადოს ნაქურდა-

ლი მის ჯიბეში მოხვდეს და არა მეზობლისაში. ასეთია ეს ცხოვრება მრუდი, ყველგან არის კეთილი და ცუდი. მოდით და, მაცხოვარისა არ იყოს, ჩვენც „ab haedis scindere oves!"

— კი მაგრამ, მრჩეველი რაკენი რომ გვიკრძალავს, რამე ვიღონოთ. რაკი აქ არც ნაცვალია და არც პროკურორი, ქალაქში წესრიგის დაცვა მას ევალება.

— მერედა, იცავს განა?

— ამბობს, რომ...

— მე გეკითხებით, იცავს თუ არა?

— მაგას რა თქმა უნდა.

— მაშ, ჩვენ ვითავოთ ჩვენი დაცვა.

— ბატონი რაკენი გვპირდება, თუ მშვიდად ვიქნებით, აჯანყება გარეუბნებს არ გასცდებაო.

— საიდან იცის?

— უთუოდ ძალა დაატანეს და აიძულეს, ყაჩაღებს შეთანხმებოდა.

— ასეთი შეთანხმება ხომ ბოროტმოქმედებაა.

— ეს იმიტომ, რომ მათი ყურადღება მივაქცინოო, ამბობს.

— მათი თუ თქვენი?

განიომ გრდემლს ხელმეორედ დაჰკრა ურო (ასეთი ჩვეა ჰქონდა, როგორც სხვებს სჩვევიათ სოლმე ლაპარაკის დროს ბარძაყზე ხელის დარტყმა) და დაიყვირა:

— კოლა მართალია.

ყველას დარცხვენილი, შეშინებული და გაბრაზებული სახე ჰქონდა. დენი სოლსუამ ცხვირი ჩამოუშვა და დაიწყო:

— ყველაფერი რომ ვთქვათ, რასაც ვფიქრობთ, გრძელი ამბავი გამოვა.

— და მერე რატომ არ ამბობ? რატომ არ ამბობთ? ჩვენ ხომ ძმები ვართ. რისა გეშინიათ?

— კედლებსაც ყურები აქვთ.

— როგორ! ასე დაეცით?... განიო, ჩაქუჩი აიღე და კართან დადექი. ვინც მოისურვებს ან გასვლას ან შემოსვლას, ერთი ისეთი მოსდე, რომ თავი მუცელში. ჩაუძვრეს! კედლებს ყურები აქვთ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ პირობას გაძლევთ, ენას ვერ მიიტანს, რადგან აქე-

დან იმის შესასრულებლად გავალთ, რასაც დავადგენთ. ახლა ილაპარაკეთ. ვინც გაჩუმდება, მოღალატე იქნება.

ატყდა ჩოჩქოლი. მეხივით იფეთქა გულში ჩაკლულმა შიშმა და სიძულვილმა. ყვიროდნენ და მუშტებით იმუქრებოდნენ:

— გაიძვერა რაკენის ხელში ვართ! გაგვყიდა იუდამ, გაგვყიდა ჩვენც და ჩვენი ქონებაც: მაგრამ რა უნდა ექნათ? არაფერი შეგვიძლია: მის ხელშია კანონი და ძალაუფლება.

ვკითხე:

— სად ბუდობს?

— რატუშაში. დღე და ღამე იქა ზის და მეტი სიფრთხილის ნიშნად არამზადებისაგან შემდგარი დაცვა გარს ახვევია, და ალბათ უფრო თვალყურს ადევნებენ, ვიდრე იცავენ.

— მოკლედ, ტყვეა, არა? კეთილი და პატიოსანი. წავიდეთ და გავათავისუფლოთ. განიო, კარი გაიღე!

აშკარა იყო, რომ კიდევ ვერ ბედავდნენ.

— რა გაყოვნებთ?

სოლსუამ თავი მოიფხანა და თქვა:

— ეს დიდი საქმეა. ჩხუბისა კი არ გვეშინია, მაგრამ, ბრონიონ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არა გვაქვს ამის უფლება. ის კაცი კანონია. კანონის წინააღმდეგ წასვლა კი იმას ნიშნავს, თავზე ავიღო დიდი და მძიმე...

სიტყვა შევაწყვეტინე:

— პა-სუ-ხის-მგე-ბლო-ბა? კეთილი, პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ. შენ კი ნე წუხხარ. ჩემო სოლსუა, როდესაც ვხედავ, თაღლითი თაღლითობს, ჯერ წავაცლი თავს და მერე ვკითხავ სახელსა და გვარს; და თუ ის პროკურორი ან რომის პაპი გამოდგა, ამინ, უფალო, იყოს ნება შენი! მეგობრებო, თქვენც მომბაძეთ. როდესაც წესრიგი უწესრიგობად იქცა, უწესრიგობამ წესრიგი უნდა დაამყაროს და კანონი გადაარჩინოს.

— მოგყვები, — მითხრა განიომ.

ჩაქუჩი გაედო მხარზე, უზარმაზარი თათებით ჩაებღუჯა (მარცხენა ხელზე ოთხი თითიდა შერჩენოდა. სალოკი თითი აკლდა). შავგვრემანია, ცალი თვალით ელამი, წელში გამართული დაიარება, გეგონებათ კოშკი მოდიოს. მის ზურგს ამოფარებულნი უკან მივყეკით. ყველამ თავის სახლს მიაშურა, ვინ მაჭახელას, ვინ ცულს და ვინ

ურატას სტაცა ხელი. ვერ დავიფიცავ, ყველა დაბრუნდა-მეთქი, უთუოდ საჭურველს ვეღარ მიაგნეს. საბრალოები! მართალი რომ ვთქვა, დიდ მოედანზე მისელისას საკმაოდ შეთხელებული ვიყავით. მაგრამ ვინც დარჩა, ყოჩაღები იყვნენ.

საბედნიეროდ, მუნიციპალიტეტის კარი ღია დაგვხვდა. მწყემსს ისე სჯეროდა, რომ მისი ცხვრები თავს უყოყმანოდ გააკრეჭინებდნენ, რომ მის ნაგაზებს და თვითონ კარგი ვახშმის შემდეგ უცოდველებივით ეძინათ. ამიტომ, უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენს იერიშში გმირული არაფერი ყოფილა. ბუდიდან გუგულის ამოყვანის მეტი არაფერი დაგვჭირდა და კარგადაც ამოვიყვანეთ: უშარვლო, ტიტველი, როგორც გატყავებული კურდღელი. რაკენი პირმრგვალი კაცი იყო, მსუქანი, ვარდისფერი, შეშუპებული თვალები ჰქონდა. თაფლიკაცი, არც კეთილი, არც სულელი. და ეს კარგად გვიჩვენა. იმწამსვე მიხვდა, რისთვის მივედით, შიშმა და რისხვამ გაელვა მის ნაცრისფერ თვალებში. მაგრამ მალე გონს მოეგო და მბრძანებლური კილოთი გვკითხა, რა უფლებით შემოესიეთ კანონის სახლსო.

მისი ტახტიდან რომ წამოგაგდოთ-მეთქი, ვუთხარი.

გაბრაზდა, მაგრამ სოლსუამ აღარ აცალა.

— მეტრ რაკენ, მუქარის დრო არ არის. თქვენ ბრალდებული ბრძანდებით. მოვედით, ანგარიში მოგთხოვოთ. თავი დაიცავით.

მყისვე სხვაგვარად აჭიკჭიკდა:

— ძვირფასო თანამოქალაქენო, ვერ გამიგია, რა გინდათ ჩემგან, ვინ მიჩივის? განა საფრთხეს მოვერიდე და თქვენს დასაცავად აქ არ დავრჩი? სხვები გაიქცნენ, თავს უშველეს და მარტო მე დავუპირისპირდი ამბოხებასა და ჭირს. რას მისაყვედურებენ? განა მე ვარ მიზეზი იმ სენისა, რომლის მორჩენასაც ვცდილობ?

ვუპასუხე:

— ამბობენ, „გამოცდილი ექიმი ჭრილობას ამყრალებსო“. შენც ამას აკეთებ, ქალაქის მკურნალო რაკენ. ამბოხებას ასუქებ, ჭირს აჭმევ და მერე კი ორივეს უწველი ცურს. ქურდებთან პირი შეგიკრავს და ჩვენს სახლებს სწვავ. ღალატობ მათ, ვინც უნდა დაიცვა და მეთაურობ მათ, ვინც უნდა დასაჯო. გვითხარ, მოღალატევ, მაგ ხელობას სილაჩრით მოეკიდე, თუ სიხარბით? რა წარწერა გინდათ ჩამოგკიდოთ? „აი კაცი, რომელმაც ოცდაათ ვეცხლად გაყიდა თა-

ვისი ქალაქი"... ოცდაათ ვეცხლად? ასე სულელი როდი ხარ, იუდა ისკარიოტელის სიკვდილის შემდეგ ფასებმა იმატეს; ჩვენც ასე დავაწერთ: „აი მრჩეველი, რომელმაც, რომ გადაერჩინა თავისი თავი, საჯარო ვაჭრობით გაყიდა თანამოქალაქეთა ტყავი".

გაბრაზდა და მითხრა:

— ვქენი ის, რაც უნდა მექნა, რაც ჩემი უფლება იყო. სახლები, რომელთაც ჭირი ესტუმრა, დავწვი. კანონი ასე ბრძანებს.

— ჭირიანად აცხადებ და ჯვრით დაღავ იმათ სახლებს, ვინც შენი მომხრენი არ არიან! „ძაღლის დახრჩობა თუ გინდა, ცოფიანობას დასწამებო". უთუოდ ჭირთან ბრძოლის მიზნით აძლევ ნებას ჭირიანი სახლები ძარცვონ.

— ძარცვას მე ვერ მოვსპობ. თქვენც რა გადარდებთ, თუ ძარცვის შემდეგ მძარცველები ჭირისაგან ვირთხებივით ამოწყდებიან. ერთი გასროლით ორ კურდღელსა ვკლავ, ნაღდი საქმეა.

— ცოტა ვაცალოთ და გვეტყვის: ჭირს მძარცველებით და მძარცველებს ჭირით ვებრძვიო! და ასე ღობე-ყორეზე მოდებით დარჩება დანგრეულ ქალაქში გამარჯვებული. ხომ გაგიგონიათ, მოკვდა სნეული, მას მიჰყვა სენი; ცოცხალი დარჩა მხოლოდ მკურნალი. იცი, რა, მეტრ რაკენ, დღეიდან ჩვენს თავზე ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ და შენზე არ დავიხარჯებით, მაგრამ რადგანაც ყოველი გარჯა მოითხოვს საფასურს...

— სასაფლაოზე გაგიშლით ღირსეულ სარეცელს. — დაუმატა განიომ.

თითქოს ძაღლების ხროვას ძვალი გადაუგდესო, ნადავლს ღმუილით მივარდნენ. ვიღაცამ იყვირა:

— ახლავე ჩავაწვინოთ ყმაწვილი!

საბედნიეროდ, ნადირი საწოლში შევარდა, გონმიხდილი კედელს აეკრა და საკბენად გამზადებულ დრუნჩებს უყურებდა. შეეაჩერე ძაღლები:

— ციც! მაცალეთ.

შეჩერდნენ, მაგრამ მზად იყვნენ საკბენად. საბრალო რაკენი ტიტველი და ბურვაკივით ვარდისფერი, სიცივისა და შიშისაგან კანკალებდა. შემებრალა და ვუთხარი:

— აბა, მარდად ჩაიცვი! კმარა ამდენი მღერა, გვეყოფა, მეგობარო, შენი დუნდულების ცქერა.

ხარხარი ატეხეს. მეც ამ დროებითი სიმშვიდით ვისარგებლე და დაკუწყე ჭკუის დარიგება. ხვადაგი კი თავის ტყავში ძვრებოდა; კბილებს აკაწკაწებდა, ბოროტად იცქირებოდა, გრეხობდა, საშიშროება რომ შორდებოდა. როდესაც ჩაიცვა და მიხვდა, რომ დღეს კერდღელს არ გაატყავებდნენ, გამხნევდა, დაგვიწყო გინება, მეამბოხენი გვიწოდა და თანამდებობრივი პირის შეურაცხყოფისათვის დასჯით დაგვემუქრა.

ვუთხარი:

— თანამდებობის პირი აღარა ხარ, უკვე მოგხსენით...

მაშინ მთელი რისხვა მე დამატეხა თავს. შურისძიების სურვილი სძლევდა სიფრთხილეს. მითხრა, კარგად გიცნობ, დარწმუნებული ვარ, შენი რჩევით აჯანყდა ეს ჭკუათხელი ხალხი და მათ დასაშაულზე პასუხსაც შენ გაგებინებო. ბოროტმოქმედი და ავაზაკიც მიწოდა. აბლუკუნდა და ასისინდა. ბრაზით ატანილმა მაგინა და უხამსი სიტყვების ნიაღვარი ზურგზე გადმომანთხია.

— არ წავახრჩოთ? — მკითხა განიომ.

ვთქვი:

— რაკენ, შენი ბედი, რომ სახლი დამიწვი. ახლა კარგად იცი, სალახანავ, რომ არ შემიძლია ეუბრძანო ჩამოგახრჩონ, რადგან ეჭვს აიღებენ, თავის გადაბუგული სახლის გამო შურს იძიებსო და თუმცა თოკის ყელსაბამი ძალიან მოგიხდებოდა, დეე, სხვებმა შეგამკონ, იმათთვის, დამილოცნია. ლოდინში არაფერს დაკარგავ. რაც მთავარია, ხელში ჩაგიგდეთ. ახლა არარაობა ხარ. გხდით მრჩევლის მშვენიერ სამოსელს. ჩვენს ხელში ვიღებთ ნიჩაბსა და საქეს.

წაიბლუკუნა:

— იცი თუ არა, ბრონიონ, რა შეიძლება წაგო?

— ვიცი, ჩემო კარგო: შეიძლება თავი წავაგო. ყაბულსა ვარ, გავითამაშოთ, თამაშში ვინც აგებს — იგებს! მე თუ თავს წავაგებ, ქალაქი მოიგებს.

ციხეში წავიყვანეთ. იქ თბილი ადგილი მივუჩინეთ, რომელიც მოხუცმა სერჟანტმა გადაულოცა. სერჟანტს მისი ბრძანება არ შეუსრულებია და სამი დღის წინათ დააპატიმრეს. როდესაც საქმე გათავდა, მუნიციპალიტეტის ბოქაულები და მეკარე ერთხმად ამბობდნენ, კარგი საქმე გაკეთდა, ჩვენ ყოველთვის ვფიქრობდით, რომ რაკენი მოღალატე იყოო. ადვილია იფიქრო, როცა არაფერს აკეთებ.

* * *

აქამდე ჩვენი გეგმა ისე მიდიოდა, როგორც სწორ და უნუკრო ფიცარზე შალაშინი. მიკვირდა. ვკითხულობდი:

— სად ჯანაბაში არიან ყაჩაღები?

უცბად ყვირილი მომესმა.

— ცეცხლი! ხანძარი!

ცხადი იყო, სადღაც ახლო-მახლო თარეშობდნენ. ქუჩაში ერთმა აქოშინებულმა კაცმა გვამცნო, რომ მთელი ბანდა ბეთლემში, ლურდოს კოშკის კარის მიღმა პიერ პულარის საწყობებს არბევდა, ამტვრევდა, წვავდა და გაუმაძღრად სვამდა. მეგობრებს ვუთხარი:

— ცეკვავენ და თუ მუსიკა სჭირდებათ, ბაშუსტა, აგერ არა ვართ.

მირანდოლაში გავიქეცით. ტერასებიდან ქვედა ქალაქს გადავყურებდით. ამ ბნელ ღამეში იქიდან კუდიანთა შაბაშის დგრიალი მოისმოდა. კოშკზე ქოშინით უკრავდა ნაბათი.

— ძმებო, თონეში უნდა ჩავიდეთ. დაგვცხება. გაგვიჭირდება. მზად ვართ ამისათვის? მაგრამ ჯერ მეთაური გვჭირდება. ვინ ავირჩიოთ, სოლსუა, შენ ხომ არა?

— არა, არა, არა, არა, — თქვა მან და სამი ნაბიჯით უკან დაიხია. — ისიც კმარა, რომ შუაღამეს ძველი დამბაჩით აქ დავეხეტები. უფროსობის გარდა, რასაც ინებებთ, რაც საჭირო იქნება, გავაკეთებ. ღმერთო, მაშორე! არასოდეს მქონია ვადაწყვეტილების მიღების თავი...

ვიკითხე:

— მაშ, ვის უნდა?

ყველა დუმდა. კარგად ვიცნობ ამ ჩიტუნებს. ენა კარგად უჭრით, მაგრამ თუ გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო, კარგად გნახეთ. ვიცი მათი ფილისტერული ჩვეულება. ყოყმანობენ, ორმოცდაათჯერ სინჯავენ მაუდს, როდესაც სურთ მისი ყიდვა, ვაჭრობენ მანამდე, სანამ შემთხვევა, ან თვითონ მაუდი ხელიდან არ წაუვათ. მე შემთხვევა მეჭლევა და ხელსაც ვავლებ:

— თუ არავის უნდა, მაშინ მე ვიქნები.

— ასე იყოს.

— მხოლოდ ამაღამ ყველა უსიტყვოდ უნდა დამემორჩილოს, თუ

არადა, დავიღუპებით. დილამდე მე, კოლა ბრონიონი, კარ თქვენი ერთადერთი ბატონი, ხვალ განმსჯით. შევთანხმდით?

ყველამ ერთად, ყველამ ერთხმად შესძახა:

— თანახმა ვართ.

ბორცვიდან დავეშვით. წინ მივუძღოდი მე, მარცხნივ მომყვებოდა განიო, მარჯვნივ თავისი დაფდაფით ქალაქის გზირი ბარდე დაკაყენე. გარეუბანში, ზღუდეების მოედანზე შევხვდით მხიარულ ბრბოს, რომელიც დედაწულიანად, თითქოს ღღესასწაულზე მიდისო, ძარცვის ადგილისკენ მიემართებოდა. ზოგ დიასახლისს, როგორც ბაზროპის დღეს, კალათა წამოეღო. ჩვენი რაზმი რომ დაინახა, ბრბო შეჩერდა, დაგვიწყო ცქერა, ზრდილობიანად მზერა. არაფერი ესმოდათ. ჩვენს ფეხის ხმას აჰყვნენ. ერთმა მათგანმა, დალაქმა პერიუშმა, ხელში რომ ქაღალდის სანათი ეჭირა, ცხვირთან მომიტანა, მიცნო და მითხრა:

— ჰა, ბრონიონ, ყოჩაღო ბიჭო! დაბრუნდი, განა? ჰე, ჰე, დროზე მოგვისწარ! ერთად გადავკრათ.

— პერიუშ, — ვუპასუხე მე, — ყველაფერს თავისი დრო აქვს. ხვალ გადავკრათ.

— ბერდები, ჩემო კოლა, წყურვილმა დრო არ იცის. ხვალამდე ღვინოს დალევენ, უკვე დაიწყეს ჩამოსხმა. ვიჩქაროთ! ანდა შემთხვევით, დღეს ნუნუა ხომ არ გეზიზღება?

— ნაქურდალი ღვინო რა დასალევია, ცხადია, მეზიზღება.

— ნაქურდალი კი არა, გადარჩენილი, გადარჩენილი, ჩემო კოლა. როდესაც სახლი იწვის, განა კარგი რამეებიც ცეცხლს უნდა გააყოლო?

ხელი ვკარი და ვუთხარი:

— ქურდო!

გავიარე.

— ქურდო! — გაუმეორეს განიომ, ბარდემ, სოლსუამ, სხვებმაც და გაიარეს.

პერიუში გაქვავდა; შემდეგ მისი გაშმაგებული ყვირილი მომესმა. მოვიხედე, დავინახე, მორბოდა, მუშტებს გვიღერებდა. ისეთი სახე მივიღეთ, თითქოს ვერ ვხედავდით და არც არაფერი გვესმოდა; რომ დაგვეწია, გაჩუმდა, გვერდში ამოგვიდგა და ჩვენთან ერთად წამოვიდა.

იონის ნაპირას, ხიდის თავთან ხალხი ისე ბლომად შეყრილიყო, რომ გავლა შეუძლებელი გახდა. ვბრძანე დაფდაფი დაეკრათ. წინა რიგები უცბად გაიშალა, თვითონაც არ იცოდნენ რატომ. სოლივით შევიქერით ხალხში, მაგრამ ბრბო კვლავ შეიკრა, დავრჩით გარშემორტყმულნი. ამ დროს ორი კარგი ნაცნობი მეტივე დავინახე, ძია ჟოასენი, მეტსახელად „კალაბრის მეფე", და გადენი, იგივე გერლიუ. მითხრეს:

— ვახ, უსტა ბრონიონ, რა ეშმაკად მობრძანებულხართ ვირის ტყავში მორთული? ანდა ამ ჯაგლაგებივით თავმომწონე, უშნოდ მოკაზმულ ხალხს რა უნდა? სიცილი მოგწყურდათ, თუ საომრად მორთულხართ?

ვუპასუხე:

— გამოცანა გერგება, ჩემო კალაბრ. მე, შენს წინაშე მდგომი კოლა ბრონიონი, ამაღამ კლამსის კაპიტანი ვარ და მას მტრებისგან დავიცავ.

— მტრებისაგანო? ხომ არ გაგიჟდი? მტერს სადა ხედავ?

— მტერი ის არის, ვინც იქ ცეცხლს უკიდებს.

— კი მაგრამ, შენ რა გედარდება, შენი სახლი ხომ უკვე დამწვარია (შენი სახლის დაწვას ნანობენ. შევცდითო, ამბობენ). ჩვენი ოფლით გასუქებული სათოკე პულარის ქონებას კი რას დაეძებ. რა შენი საქმეა. ეგ ცხვირიბზეკია, ჩვენს ზურგზე აკრეჭილ მატყლში დაყოყოჩობს და მას შემდეგ, რაც გაგვატყავა, სათნოებით მოსილი ქედმაღლურად გვიყურებს. მერწმუნე, მისი მძარცველი სამოთხეში სასუფეველს დაიმკვიდრებს. კოლა, პულარის გაძარცვა მართლაც მადლია. მოგვეშვი. შენ რა გენაღვლება? არ ძარცვავ? კეთილი, მაგრამ სხვას რაღად უშლი?.. არავითარი ზარალი, მხოლოდ შემოსავალი.

(მართალი გითხრათ, საცეშრად არ მემეტებოდნენ ეს საბრალო ბიჭები, ვიფიქრე, იქნებ ჭკუაზე მოვიყვანო-მეთქი.) ვუთხარი:

— დიდი ზარალია, კალაბრ. ჩვენი ღირსებაა გადასარჩენი.

— ჩვენი ღირსება! — თქვა გერლიუმ. — ეს რაღაა? დასალევია? ჩასაცეცხლია? ხვალ შეიძლება დავიხოცოთ კიდეც და, რა დარჩება ჩვენგან? არაფერი. რას იფიქრებენ ჩვენზე? არაფერს! არა, გეთაყვა, ღირსება ძვირფასი რამაა, მდიდრებისათვის, ბრიყვებისათვის განკუთვნილი, ვისაც ეპიტაფიებით ასაფლავებენ. ჩვენ კი, ვირთევზას ნაჭრებივით ყველას ერთ ორმოში ჩავყრიან. წადი, ნახე, რომელი ყარს ნაგავივით და რომელი ღირსებით!

პასუხი არ გავეცი და ჟოახენს ვუთხარი:

— ჩემო კალაბრის მეფევ, მართალია ცალ-ცალკე და მარტოხელა არაფერს წარმოვადგენთ, მაგრამ ყველა ერთად ბევრნი ვართ. ასი პატარა ერთ დიდს უდრის. და მაშინ, როდესაც გაქრებიან დღევანდელი მდიდრები, წარიშლება მათი ეპიტაფიები, დავიწყებას მიეცემა მათი საფლავების სიცრუე და მათი ჯილაგის დიდება, კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ კლამსელ მეტივეებზე: ქალაქის დიდებულებად ისინი კლამსის ისტორიას შერჩებიან თავიანთი კოჟრიანი ხელებითა და მუშტებივით მაგარი თავებით და არ მინდა თქვან, რომ ისინი გარეწრები იყვნენ.

გერლიუმ მითხრა:

— რაც უნდათ, ისა თქვან, ფეხებზე მკიდია.

კალაბრის მეფემ გადააფურთხა და დაუყვირა:

— ფეხებზე თუ გკიდია, ვიგინდარა ბრძანდები. ბრონიონი მართალია, მეც მეწყინება, ასე რომ ილაპარაკონ. ვფიცავ წმინდა ნიკოლოზს, ამას ვერ იტყვიან. ღირსება მარტო მდიდრებისა როდია. და ჩვენც დავუმტკიცებთ, რომ არც თავადი და არც მთავარი ჩვენი ბადალი არ არის.

გერლიუმ თქვა:

— მაშ, უნდა ვერიდოთ? ისინი კი გვერიდებიან? განა არის ვინმე უფრო ღორმუცელა, ვიდრე ეს პრინცები, ჰერცოგები, კონდე, ჩვენი ნეველი, სუასონი, ანდა ლიპიანი ეპერნონი, რომელნიც მაშინაც კი, როდესაც სავსე აქვთ ღრანჭები და პაღვი, მილიონებს გასკდომამდე ღორებივით ხეთქავენ და მეფე რომ მოკვდება, ხაზინას ძარცვავენ! აი, მათი ღირსება და ნამუსი. ჩვენც ბრიყვები ვიქნებით, რომ არ მივბაძოთ.

კალაბრის მეფემ შეიგინა:

— ღორები არიან. მოვა დრო, ჩვენი ანრი საფლავიდან აღსდგება და ყველაფერს ცხვირში ამოადენს. ან ჩვენ თვითონ მათივე ოქროთი დაჩურთულებს შევბრაწავთ. დასწყევლოს ღმერთმა. თუ დიდებულნი ღორობენ, სისხლს ვადენთ, ღორობაში კი არ მივბაძავთ. მაგალითს ჩვენ ვიძლევით, ჩვენა. მეტივის ბარძაყში უფრო მეტი ნამუსია, ვიდრე ძარცვის თავადის გულში.

— მაშ, მოდიხართ, ჩემო მეფევ?

— მოვდივარ. და ეს ვაჟბატონი გერლიუც წამობრძანდება.

— არავითარ შემთხვევაში.

— წამოხვალ-მეთქი... არ წამოხვალ? ამ მდინარეს ხომ ხედავ, შიგ გადაგიძახებ. მოვრჩეთ! აბა იარ! ჰეი, თქვენ, მანდ, გზა მომეცით, გზა-მეთქი, დოყლაპიებო! უნდა გავიაროთ!

დაიძახა კალაბრის მეფემ, ხალხი ტორებით მიყარ-მოყარა და ამ ორომტრიალში ისე ავედევნეთ, როგორც დიდ თევზს ქარსალა. ვისაც ვხვდებოდით, ისე იყვნენ შეკიკკიკებულნი, რომ მათთან ლაპარაკიც არ ღირდა. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს: ჯერ ენით ვუმტკიცოთ, მერე სილა ვტკიცოთ. ვცდილობდით ეს მთვრალი ხალხი ფრთხილად დაგვესვა მიწაზე ისე, რომ ძალიან არ მიგვენჯღრ-მოგვენჯღრია, რა საჭიროა უზომო შფოთი, ხომ წმინდანია ალალი ლოთი!

საწყობის კარს, როგორც იქნა, მივაღწიეთ. მძარცველთა ნაყარი ისე ფუთფუთებდა მეტრ პიერ პულარის სახლში, როგორც ტილები მატყლში, ვის ფუთები მოჰქონდა, ვის სკივრები და ვის კიდევ გადაეცვა ნაპარავი ძონძები; ზოგი დარდიმანდი გასართობად პირველი სართულის ფანჯრებიდან ვაზებსა და ქოთნებს ისროდა. ზოგიერთნი კი შუა ეზოში კასრებს მიაგორებდნენ. ერთი კაცი დაეწაფა კასრის პირს და მანამდე ხეთქა, სანამ წითელი წვიმის ქვეშ ზეცისკენ არ აღაპყრო ხელები და ფეხები. გუბეებად დამდგარ ღვინოს ბავშვები სვლეპდნენ. და ბოლოს, იქაურობა რომ გაენათებინათ, გროვებად თავმოყრილ ავეჯს უკიდებდნენ ცეცხლს. სარდაფიდან ისმოდა ჩაქუჩების ხმა, ძირს აცლიდნენ კასრებსა და ლადუკებს, ყური მიჰქონდა წივილს, კივილს, ღრიალს, ხრინწიან ხველას: მიწის ქვეშ სახლი ისე ტრუხუნებდა, თითქოს მუცელში ბურვაკები უზისო. აქა-იქ სასულე თვლებიდან კვამლის ენები უკვე გამოდიოდა და ძელაკებს ლოკავდა.

ეზოში შევედით. ყურადღებას არავინ გვაქცევდა. ყველას საკუთარი საქმე აწუხებდა.

— ბარდე, დაჰკარ! — გავძახე ბარდეს.

ბარდემ დაფდაფს დაჰკრა და დამსწრეთ ამცნო ის უფლებები, რომლითაც ქალაქი მოსავდა; მერე მე ავიმაღლე ხმა და მძარცველებს ვუბრძანე, წასულიყვნენ. დაფდაფის ხმაზე, თითქოს სპილენძის ქაბზე შემოჰკრესო, ბუზების ნაყარივით შეგროვდნენ ავაზაკები. ჩვენ რომ გავჩუმდით, ბრაზით ბზუილი მორთეს და სტვენით, ღრიალით და ქვების სროლით ჩვენკენ გამოქანდნენ. შეეცადე სარდაფის კარი

შემემტვრია, მაგრამ სხვენის ფანჯრებიდან კრამიტებს და თავხეებს გვაყრიდხენ. ნაძირალა ხალხი მივყარ-მოვყარეთ და მაინც შევედით. განიომ კიდევ ორი თითი დაკარგა, კალაბრის მეფეს თვალი ამოთხარეს, მე კი, როდესაც კარს მივაღწიე, მიხერვისას კარში გავეჩხირე, როგორც მელია ბახეში; თითი კოჭაკებში მომყვა. დასწყეველოს ეშმაკმა, ცოტა დამაკლდა, ქალივით გული არ შემიღონდა და არ ამოვარწყიე, რაც მუცელში მქონდა. საბედნიეროდ, თავახდილი კასრი შევნიშნე (ჭაჭა იყო), ჯერ მუცელში გადავუშვი, მერე თითი მოვიბანე. და ამის შემდეგ, ვფიცავ, სიკვდილი აღარ მინდოდა, მეც გავგიჟდი, მდოგვი ცხვირში ამივარდა.

ახლა კიბის საფეხურებზე ვიბრძოდით. სხვა გზა არ იყო, ბოლო უნდა მოგვეღო, რადგან ეს რქიანი ქაჯები დამბაჩებს პირდაპირ გვესროდნენ და ისე ახლო მანძილიდან, რომ სოლსუას წვერზე ცეცხლი მოედო. გერლიუმ თავისი კოერიანი ხელებით ჩაუქრო. ჩვენ ბედზე მთვრალებს დამიზნებისას საგნები ორად ეჩვენებოდათ, თორემ ვერც ერთი ჩვენთაგანი ცოცხალი ვერ დააღწევდა თავს. უკან დახევა ვიკადრეთ, შესასვლელთან დავბანაკდით; უცბად შევნიშნე, რომ ორივე ფრთიდან, შენობის შუაგულისაკენ, იქ, სადაც სარდაფი იყო, მოიპარებოდა ვერაგი ხანძარი. ქვებისა და ნამტვრევების ჯებირით შესასვლელი გადავაკეტინე. ჯებირის ზეითა მისადგომზე დამრგვალებული ზღარბის ზურგივით აჯაგრული, შუბებისა და ბარჯების კედელი აღვმართეთ.

ვიყვირე:

— ავაზაკებო! ცეცხლი გიყვართ არა? მაშ, მიირთვით, ხეთქეთ!

სარდაფში ღვინით გალეშილებმა განსაცდელი დროზე ვერ იგრძნეს; მაგრამ როდესაც მგზნებარე ალმა კედლები ააჭრიალა და თავის ღრანჭებში ძელები აატკაცუნა, მიწის წიაღიდან ამოვარდნენ ეშმაკის ნაშიერნი. ვიგინდარათა ნიაღვარმა შუშხუნა ღვინოსავით ამოხეთქა. ჩვენს მიერ აღმართულ კედელს მოაწყდა. მათ, ვინც უკნიდან აწვებოდა, გასასვლელი გაჭექეს. ცეცხლის ტკაცატკუცი და ცეცხლმოდებულთა განწირული ღმუილი მოისმა ჯურღმულიდან. დამერწმუნეთ, არ გვსიამოვნებდა ჩვენ ეს მუსიკა. აბა რა სასიამოვნოა სმენა იმისა, თუ როგორ იტანჯება და ტკივილისაგან როგორ ღმუის გაწამებული ხორცი. და უბრალო კაცი რომ ვყოფილიყავი, ჩვეულებრივი კოლა ბრონიონი, უთუოდ ვიტყოდი: გადავარჩინოთ-მეთქი ეს ხალხი.

მაგრამ ბელადობა ბევრ რამეს გავალებს. გული და ყური უნდა დაიხშო. უნდა გქონდეს მხოლოდ თვალი და გონება. უნდა დაინახო, ინდომო და შეუდრეკლად გააკეთო მხოლოდ ის, რაც უნდა გაკეთდეს. ამ ავაზაკების გადარჩენა ქალაქის დაღუპვას ნიშნავდა: თავს თუ დააღწევდნენ, ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერნი იქნებოდნენ, და, რადგან სახრჩობელა ელოდათ, ადვილად როდი დაგვნებდებოდნენ. კრაზანები ბუდეში არიან; დაე, იქ ამოწყდნენ...

და დავინახე, შუა შენობასთან კვამლის ფრქვევითა და ტკაცა-ტკუცით როგორ ერთდებოდა და იკვრებოდა ალის ორი ფრთა.

კიბის ყელთან ხალხი მიჭყლეტილიყო, ვერ ინძრეოდნენ, მხოლოდ წარბებსა და თვალებს ამოძრავებდნენ და მწარედ ბღაოდნენ. მათ თავებს ზემოთ შევამჩნიე ჩემი ძველი ძმაკაცი ელუა, იგივე გამბი. ეს ვიგინდარა არც ბოროტი იყო, არც შფოთი, მაგრამ საშინელი ლოთი გახლდათ (ღმერთო ჩემო, როგორ მოხვდა ამ კრაზანის ბუდეში); იცინოდა, ტიროდა, არაფერი ესმოდა, სულ გამოთაყვანებული იყო. არამზადა, უქნარა, რაც მოუვა, ახია. მაგრამ მოსახრუკად ასე როგორ გავწირო? ბავშვობისას ერთად გვითამაშნია, ხორცი უფლისა წმინდა მარტენის ეკლესიაში ერთად მიგვიღია: პირველი ზიარების ძმები ვართ...

შუბები მივწი-მოვწიე, ჯებირზე გადავხტი, გაცოფებულ თავებს (იკბინებოდნენ) გადავაბიჯე და ადამიანთა უკვე კვამლმოდებული ცომის ზევით ჩემს გამბიმდე მივაღწიე, ხელი ქეჩოში დავავლე. „ღმერთო, შემეწიე! როგორ გამოვგლიჯო ამ მარწუხებიდან“?—გავიფიქრე. „ერთი ნაჭერიც რომ შემრჩეს, უნდა ამოვგლიჯო“... მაგრამ, საბედნიეროდ (უნდა ითქვას, რომ ლოთებს ღმერთი სწყალობთ, თუმცა ყველამ ერთნაირად ვერ დაიმსახურა მისი წყალობა) გამბი კიბის თავში იდგა, უკან დაქანდა, ამომსვლელებმა მხრებით ასწიეს ისე, რომ ფეხებს მიწაზე ვერ აკარებდა, იყო თითებში მომწყვდეულ კურკასავით ჰაერში გამოკიდებული. მხრები, რომლებიც გვერდებს უზელდნენ, ქუსლებით მივწი-მოვწიე და მოვახერხე, რომ ბრბოს ღრანჭებიდან ამონთხეული კურკა ამომეღო. უჰ! დროც იყო! ცეცხლი კიბის ხვრელიდან ქარიშხალივით ამოდიოდა. მესმოდა, როგორ შიშინებდნენ თონეში სხეულები; დავიხარე და ფართო ნაბიჯებით უკან გამოვწიე, არ ვუყურებდი, რაში მეფლობოდა ფეხსაცმელები, გამოვბრუნდი და ქონიანი თმებით გამბი წამოვათრიე; როგორც იყო,

უფსკრულს თავი დავაღწიე; განზე გავდექი და ცეცხლი ნებაზე მივუშვი, რომ თავისი საქმე დაეგვირგვინებინა. მღელვარება რომ დაგვეცხრო, მუჯლუგუნებით გვერდები დავუზილეთ გამბის, ჩაძაღლების პირამდე მისულ ხვადაგს, რომელსაც ორი მინანქრიანი ლანგარი და მოხატული ჯამი, ღმერთმა იცის, სად აეწაპნა, გულზე მიეკრა და ხელიდან არ უშვებდა. გამოფხიზლებული გამბი ტირილით მიდიმოდიოდა, მოპარულ ჯამებს ყრიდა, ყოველ წამს ჩერდებოდა, შარდავდა და ყვიროდა:

— არ მინდა ნაპარავი!

* * *

გარიჟრაჟზე გამოჩნდა პროკურორი, მეტრ გიომ კურტინიონი, რომელიც დაოთხილი მოჰყავდა რობინეს. მას თან მოსდევდა ოცდათი ჩაფარი და გლეხების ერთი რაზმი. იმავე დღეს მოვიდნენ სხვებიც, ისინი ვინც მრჩეველმა მოგვიყვანა. მეორე დღეს კი სხვებიც გვეწვივნენ. ესენი კეთილ ჰერცოგს გამოეგზავნა. ქექეს თბილი ნაცარი, აღწერეს ზარალი, შეადგინეს ანგარიში, დაუმატეს მგზავრობიაა და დღიური ხარჯები და იქით გაბრუნდნენ, საიდანაც მოვიდნენ...

აქედან მორალი:

„თავს უშველე და მეფეც გიშველის“.

XI

ვერ მივართვით ჰერცოგს

სექტემბრის მიწურული.

წესრიგი აღსდგა, ნაცარი გაცივდა, ავადმყოფობის ხსენებაც აღარ იყო; მაგრამ პირველ ხანებში ქალაქი ჯერ კიდევ განადგურებული ჩანდა. მედაბურნი თავიანთ შიშს ცოხნიდნენ. მიწას ფეხით სინჯავდნენ; არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მიწის ზევით იყვნენ და არა ქვევით. უფრო ხშირად იმალებოდნენ, ანდა ქუჩაში ყურჩამოყრილ-

ნი და კუდამოძუებულნი კედელ-კედელ მიიძურწებოდნენ. საამაყო არაფერი გვქონდა, ერთმანეთის შეხედვასაც კი ძლივს ვბედავდით. სარკეში საკუთარი თავის დანახვაც გვეზარებოდა. ძალიან კარგად ვნახეთ ერთიმეორე, ძალიან კარგად გავიცანით ერთმანეთი; ადამიანის ბუნებას დედიშობილა წაასწრეს: არ იყო ლამაზი! გვრცხვენოდა, ერთმანეთს არ ვენდობოდით. არც მე ვიყავი არხეინად: ხოცვა-ჟლეტა და მოხრაკული ხორცის სუნი, და რაც მთავარია, ახლობელთა სახეებზე ამოკითხული სილაჩრე და გულქვაობა არ მასვენებდა. მათ ეს იცოდნენ და ფარულად ბრაზობდნენ ჩემზე. მესმის მათი, მათზე მეტად მე ვიყავი შეწუხებული; რომ შემძლებოდა, ვეტყოდი კიდეც: „მაპატიეთ, მეგობრებო, არაფერი მინახავს“... სექტემბრის მცხუნვარე მზე მძიმედ აწვა დატანჯულ ქალაქს. ზაფხულის პაპანაქება და მოთენთილობა იწურებოდა.

ჩვენი რაკენი შეიარაღებული ამალით ნეევერში გაემგზავრა, სადაც მეფე და ჰერცოგი ერთმანეთს ეცილებოდნენ მისი გასამართლების უფლებას; რაკენს უნდოდა ამ უთანხმოებით ესარგებლა და ხელიდან დასძრომოდა ორივეს. ბედი ჩემი, რომ ჩვენი სათავადოს ბატონებმა მოწყალება მოიღეს და ჩემს საქმიანობაზე თვალი დახუჭეს თურმე ნუ იტყვით და, კლამსის გადარჩენის დროს ორი თუ სამი მძიმე დანაშაული ჩამიდენია, რომელიც, სულ ცოტა, შეიძლებოდა კატორღად დამჯდომოდა, მაგრამ რადგანაც საბოლოო ჯამში ეს დანაშაულობანი არ მოხდებოდა, გაძურწვის ნაცვლად ქალაქში რომ დარჩენილიყვნენ და ჩვენთვის ეხელმძღვანელათ, გაჩუმდნენ, გავჩუმდი მეც. ჩემი მატყლის ჩეჩვა და ისიც სასამართლოში არ მიყვარს. რაც უნდა უდანაშაულოდ ვგრძნობდე თავს, ეშმაკმა იცის სამართალი ცისა და მიწის. თუ წყეულ მანქანაში მოჰყვა თითი, მშვიდობით, მკლავო! მოჭერით, უყოყმანოდ მოჭერით-მეთქი, თუ არ გსურთ მას მიჰყვეს მთელი სხეული... და ისე, უსიტყვოდ შევთანხმდით, რომ მე არაფერი მიქნია, მათ არაფერი უნახავთ და ყველაფერი, რაც იმ ღამეს ჩემი მეთაურობით გაკეთდა, იმათ გააკეთეს; მაგრამ ბევრიც რომ ეცადო, ერთი ხელის მოსმით ვერ წაშლი ყველაფერს, რაც მოხდა. ხალხი არ ივიწყებს და ეს უხერხულია. ყველას თვალებში ვამჩნევდი: ჩემი ეშინოდათ, მეც მეშინოდა ჩემი თავისა, ჩემი საგმირო საქმეებისა, გუშინდელი ჩერჩეტის, უცნობი კოლა ბრონიონისა, ეშმაკსაც წაუღია ეს კეისარი, ეს ატილა და ეს ომის მეხი. მეხი, კი, ბატონო,

ოღონდ ღვინის, მაგრამ ომისა კი — აპა, პა, პა, არა, ჩემი საქმე არ არის!.. ერთი სიტყვით, დაქანცული ვიყავით, წუხდა გული და სტომაქი.

მუშაობას გაშმაგებით მივუბრუნდით. შრომა ღრუბელივით იწოვს სირცხვილსა და წუხილს, აახლებს სულის სამოსელს და სისხლს. სამუშაო არ გვაკლდა; ირგვლივ უამრავი ნანგრევი იყო! მაგრამ ყველაზე უფრო მიწამ გვიშველა. არასოდეს ენახათ ხილისა და მარცვლეულის ასეთი უხვი მოსავალი; მაგრამ ყველაფერი რთველმა დაა-გვირგვინა, გეგონებოდათ, ამ კეთილ დედას სურდა მის მიერ დალეული სისხლი ღვინით ეზღო. რატომაც არა? არაფერი იკარგება და არც უნდა დაიკარგოს, სისხლი რომ იკარგებოდეს, ნეტავ სად უნდა წავიდეს? წყალი ციდან მოდის და უკანვე ბრუნდება. რატომ არ უნდა გააკეთოს იგივე ღვინომ, ესე იგი, ისეირნოს მიწასა და ჩვენს სისხლს შორის? ისიც ხომ იგივე წვენია. მე ვაზი ვარ, ან ვიყავი, ანდა ვიქნები. მინდა ასე ვიფიქრო. მსურს ასე იყოს. სხვა უკვდავებას მირჩევნია ვენახი ან ხეხილის ბაღი გავხდე, მსურს ვიგრძნო, როგორ ვიქცევი მშვენიერ, მრგვალ და სავსე ყურძნის მარცვლად, შავ და ღინღლიან მტევნებად, ვიგრძნო ზაფხულის მზის ქვეშ კანი გასკდომამდე როგორ იჭიმება და რაც ყველაზე უკეთესია, როგორ შემჭამენ. ასე თუ ისე, ამ წელს ნიაღვრად წამოვიდა ყურძნის წვენი. მიწამ ყველა ფორიდან ასხა სისხლი. საქმე იქამდე მივიდა, რომ კასრები არ გვეყო; და ჭურჭლის უქონლობის გამო ყურძენი საწნახელებში და სარეცხ გობებში დაუწურავი დატოვეს! კიდევ უკეთესი, მოხდა ასეთი გასაოცარი ამბავი: ანდრიესელმა მოხუცმა მაძა კულმარმა ოცდაათ სუდ კასრი ყურძნის გაყიდვა დაიწყო, მხოლოდ იმ პირობით, რომ მყიდველებს თვითონვე მოეკრიფათ ყურძენი. წარმოიდგინეთ ჩვენი აღელვება. კარგი ღვთიური სისხლი იკარგებოდა და განა შეგვეძლო გულგრილად გვეცქირა! დაკარგვას დალევა ვარჩიეთ, თავი გადავდეთ, კარგად გვესმოდა მოვალეობა, მაგრამ ეს ჰერკულესის სამუშაო იყო და ანთეოსზე უფრო ხშირად ჰერკულესი ეხებოდა მიწას. ამ ამბავს თავის კარგი მხარე ჰქონდა, ფიქრებმა სამოსელი იცვალეს; შუბლი გაგვეხსნა, სახე გაგვინათდა.

მიუხედავად ამისა, სასმისის ძირზე მაინც რაღაც დარჩა, ვერ გეტყვით თხლე იყო თუ რა, რაღაცნაირი ლამის გემო დაჰკრავდა. ერთმანეთისაგან შორს გვეჭირა თავი; ერთმანეთს ვუთვალთვალებდით.

მართალია, სიმხნევე კი გვიბრუნდებოდა (თუმცა ბაჯბაჯით), მაგრამ მეზობელთან დაახლოვებას ვერიდებოდით, მარტონი ვსვამდით, მარტონი ვიცინოდით: ეს კი ცუდი ნიშანი იყო. შეიძლება ასე დიდხანს გაგრძელებულიყო, რადგან არ ვიცოდით, გამოსავალი რა გზით გვეპოვა. მაგრამ შემთხვევა დიდი ეშმაკი ვინმეა, იცნობს ერთადერთ და ჭეშმარიტ საშუალებას, რომელიც ადამიანებს რაზმავს და აკავშირებს: ეს არის მათი დარაზმვა ვინმეს წინააღმდეგ; სიყვარულიც აახლოვებს ადამიანებს. მაგრამ, ის რაც ყველას აერთიანებს, საერთო მტერია. მტერი კი ჩვენი ბატონია.

და აი, ამ შემოდგომაზე ასეთი რამ მოხდა: ჰერცოგმა შარლმა განიზრახა, ჩვენთვის ფერხული აეკრძალა. ეს კი მეტისმეტია! ჰაი დედასა! არ დარჩენილა არც ერთი ნეკრესიანი, კოჭლი თუ უფეხო, რომელსაც კანჭების კუნთები არ აჰქავებოდეს. როგორც ყოველთვის, დავის საგანი საგრაფო ველი გახდა. ერთი ჩახლართული საქმეა, ეშმაკიც ვერ გაართმევს თავს. ეს ლამაზი ველი ქალაქის კარებთან, კროკ პენსონის მთის ძირას მდებარეობს; ველს კლაკნია ბოვრონი ნამგალივით აკრავს. უკვე სამი საუკუნეა, რაც ამ ველისთვის კბილები დაუსვიათ და თავისკენ ეწევიან ბატონი დე ნეევერის დიდი ღრანჭი და ჩვენი, რომელიც თუმცა ნეევერისაზე ნაკლებია, მაგრამ რასაც ჩაიგდებს, მორჩა, გათავდა, კარგად გნახეთ. განა ერთმანეთი გკძულს? როგორ გეკადრებათ. ვართ ზრდილობიანად, ერთმანეთს ვუცინით, ვეუბნებით: „მეგობარო, საყვარელო, ჩემო ბატონიშვილო“... მაგრამ ჩვენს ქეიფზე დავდივართ, ერთმანეთს გოჯსაც არ ვუთმობთ. მართალი რომ გითხრათ, დავაში ყოველთვის ჩვენ ვაგებდით. სასამართლოებმა, სამეფო პალატამ, სასახლის მარმარილოს მაგიდამ განაჩენი განაჩენზე გამოიტანეს, დაადგინეს, რომ ჩვენი ველი არ იყო ჩვენი; მაგრამ, რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ მართლმსაჯულება არის ხელოვნება, რომელიც ფულისათვის თეთრს შავად ხედავს, ეს ამბავი ზომაზე მეტად არ გვაღელვებს. მისჯა არაფერია, მთავარია გქონდეს რამე. შავია ძროხა თუ თეთრი, ჩემო ძმაო, ძროხას შენ მოუარე. არ გაბრიყვდე, სხვას ნუ მისცემ, ჩვენც არავის ვაძლევთ და ჩვენს ველზე ვრჩებით. საქმე ხელსაყრელია, წარმოიდგინეთ, მთელ კლამსიში ეს ერთადერთი ველია, რომელიც არც ერთ ჩვენთაგანს არ ეკუთვნის. ეკუთვნის ჰვრცოგს, ეკუთვნის ყველას. ამიტომაც სინდისი არ გვაწუხებს, ველი გავაფუჭოთ.

ყველაფერს, რისი გაკეთებაც სახლში არ ხერხდება, აქ აკეთებენ: აქ მუშაობენ, წმენდენ, ჩეჩავენ ლეიბების მატყლს, ბერტყავენ ძველ ხალიჩებს, ყრიან ნაგავს, თამაშობენ, სეირნობენ, აძოვებენ თხებს, ჩონგურის ხმაზე ცეკვავენ, ვარჯიშობენ მაჭახელას სროლაში, დოლის დაკვრაში და ღამით, აჭრელებულ ბდელოზე, სიყვარულს ეალერსიან ბოვრონის პირას, რომელსაც არაფერი აოცებს (განა ცოტა უნახავს სალახანას!).

ჰერცოგ ლუის სიცოცხლეში ყველაფერი რიგზე იყო: ის თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. ქკვიანმა კაცმა იცოდა, რომ კარგმა მხედარმა ზოგჯერ აღვირიც უნდა მიუშვას ხოლმე. რა ენაღვლებოდა, ჩვენ რომ გვეფიქრა, თითქოს თავისუფალნი ვართ და ვაქკაცობაში თავი გამოგვედო, თუ სინამდვილეში ბატონ-პატრონი თვითონ იქნებოდა? მაგრამ მისი შვილი დიდი ბაქია ვინმეა, ურჩევნია კარგი ჩანდეს, ვიდრე იყოს (ეს გასაგებიცაა, რადგან თვითონ არაკაცია). ყოველ ყიყლიყოს დაძახებაზე მამლაყინწასავით აიქოჩრება და ბაქიბუქობს. ფრანგმა უნდა იმღეროს, ბატონები მასხრად აიგდოს, თუ არ მასხრობს, ჯანყდება, არ უყვარს ისეთი ვინმეს მორჩილება, ვინც ყოველთვის სერიოზულადაა. ჩვენ მხოლოდ ის გვიყვარს, რაზედაც შეგვიძლია ვიცინოთ, რადგან სიცილი ყველას გვათანაბრებს. და ამ ჭუკს მოეპრიანა აეკრძალა ჩვენთვის საგრაფო ველის გაფუჭება, იქ დაკვრა, ცეკვა და მინდვრის ტკეპნა. დრო მონახა რაღა? იმის ნაცვლად, რომ ყველა ამ უბედურებათა შემდეგ გადასახადები მოეხსნა!.. არა უშავს რა, ჩვენ მას ვუჩვენებთ, რომ კლამსელები ისეთი ხისგან კი არა ვართ გამოთლილნი, რომელთაც ფიჩხად ხმარობენ, არამედ მაგარი მუხისაგან, რომელშიც ნაჯახს შეღწევა უჭირს და თუ შეაღწია, ადვილად ვეღარ დაიძვრენს თავს. არ დაგვჭირდა წინასწარი შეთანხმება. ერთსულოვნება სანიმუშო იყო. როგორ! ჩვენი ველი წაგვართვან! ვაიმე, ვაიმე! წაიღონ, რაც გვაჩუქეს, ანდა რაც მივითვისეთ? (ეს ერთი და იგივეა: მოპარულ ქონებას, თუ სამ საუკუნეს შეინახავ, სამგზის წმინდა საკუთრებად გექცევა). ეს ველიც მით უფრო ძვირფასია, რომ ჩვენი არ იყო და მტკაველ-მტკაველ დავისაკუთრეთ, ჩვენი სამტკიცით, ყოველდღიური, თანმიმდევრული დაუფლებით. ეს ხომ ერთადერთი სიმდიდრეა, რომლის დაუფლებაც ჯაფად დაგვიჯდა! არა, რომ წაგვართვან, კაცს ყველაფრის მითვისების ხალისი დაეკარგება, მაშ, რისთვის ვცხოვრობთ? რომ დავთმოთ, ჩვე-

ნი მიცვალებულები საფლავებიდან აღსდგებიან! ქალაქის ღირსებამ ყველა შეგვათანხმა.

იმავე საღამოს, როდესაც ქალაქის მებუკემ საზარელი ხმით (თითქოს სამბერის სახრჩობელაზე მსჯავრდებული მიჰყავდათ) გვამცნო საბედისწერო ბრძანებულება, ბაზრის თაღებთან შეიკრიბა ყველა თანამდებობის პირი, საძმოთა და საამქროების თავკაცები, მებაირახტრეები. მეც იქ ვიყავი: თავისთავად ცხადია, მე ჩემს მფარველ ბატონ იოაქიმეს მეუღლეს, წმინდა ბებია ანას წარმოვადგენდი. თუ რა უნდა გვექნა, ერთბაშად ვერ შევთანხმდით, მაგრამ ყველა თანახმა იყო, რომ რაღაც უნდა გვეღონა. განიო წმინდა ელუას და კალაბრი წმინდა ნიკოლოზის სახელით გადამწყვეტ მოქმედებას მოითხოვდნენ: მოითხოვდნენ მყისვე ცეცხლი წაგვეკიდებინა ქალაქის კარებისათვის, დაგვემტვრია საგუშაგოები და გუშაგების თავები, ჯელი კი სულ ერთიანად მოგვესუფთავებინა. მაგრამ ხაბაზ ფლორიმონს, წმინდა ონორეს და მებაღე მაკლიუს, წმინდა ფიაკრის სახელით, მათი წმინდანებივით მშვიდსა და გულკეთილ ხალხს, პერგამენტების ომი სურდათ: უნდოდათ პლატონური სურვილებითა და ხვეწნა-მუდარით მიგვემართა ჰერცოგის მეუღლისათვის (თან ნამცხვრებიცა და ხილიც მიგვერთმია, მუქთად კი არა, ჩვენ უნდა გადაგვეხადა). საბედნიეროდ, ჩვენ სამი: მე, ჟან ბობენი — წმინდა კრეპინის სახელითა და ედმონ პუაფუ — წმინდა ვენსენის სახელით სულაც არ ვაპირებდით ჰერცოგისათვის ჭკუა გვესწავლებინა, გველოკა, ანდა, აგვეწვა მისი უკანალი. ვაჟკაცობა in medio stat. როდესაც ვინმეს დაცინვა უნდა, ჭეშმარიტი გალი ამას ჩაიდენს მტრის ცხვირწინ ისე, რომ მას არ შეეხოს და თვითონაც არაფერი დაუჯდეს. მარტო შურისძიება რა ბედენაა. უნდა გაერთო კიდეც. და აი, რა მოვისაზრეთ... მაგრამ არა, კარგი ოინი, რომელიც მოვიგონე, სანამ პიესა დაიდგმებოდეს, უნდა გიამბოთ განა? არა და არა. არ უნდა გახმაურდეს. ყველა ჩვენთაგანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი დიდი საიდუმლოება თოთხმეტი დღის განმავლობაში მთელმა ქალაქმა იცოდა და საიდუმლოდ შეინახა. და თუ თავდაპირველად ეს ჩემი იდეა იყო (მე ამით ვამაყობ), შემდეგში ყველამ თავისი წვლილი შეიტანა, ერთმა შეალამაზა, მეორემ ცხვირი შეუსწორა, მესამემ კულულები დაუმატა, მეოთხემ ბაფთა. ასე რომ, საბოლოო ჯამში ყმაწვილი კოხტად მორთული აღმოჩნდა, მამები ბლომად

ჰყავდა. მრჩევლები, ქალაქის თავი მალულად და მორიდებით ყოველდღე კითხულობდნენ, როგორ იზრდებოდა ბალღი; ღამღამობით კი მოსასხამში ცხვირდამალული მეტრ დელავო მოდიოდა, რომ ამ საქმეზე ჩვენთან ემსჯელა, გვასწავლიდა ერთსა და იმავე დროს კანონის პატივისცემისა და მისი დარღვევის ილეთს, ჯიბიდან გამარჯვებულის სახით ამოჰქონდა რომელიმე ეშმაკური ლათინური წარწერა, რომელიც ადიდებდა ჰერცოგსა და ჩვენს მორჩილებას და თანაც, შეიძლება, სულ საწინააღმდეგო აზრიც ჰქონდა.

* * *

დადგა საზეიმო დღე. და აი, ჩვენც, ოსტატები და ამქრები, სუფთად გაპარსულნი, კოხტად მორთულნი წმინდა მარტენის მოედანზე ბაირაღების ირგვლივ მშვიდად გამწკრივებულნი ველოდით მრჩევლებს. ზუსტად ათ საათზე კოშკის ზარებმა დარეკეს და მყისვე მოედნის ორივე მხარეს ფართოდ გაიღო ორი კარი, — მუნიციპალიტეტისა და წმინდა მარტენისა, და ორივეს პარმაღზე (თითქოს კოშკის საათის ფიგურებიაო) გამოჩნდნენ, ერთი მხრივ, მღვდლების თეთრი კვართები და მეორე მხრივ, კომშებივით ყვითელი და წწვანე მრჩევლები. ჩვენი თავების ზემოდან ერთმანეთს მოწიწებით მიესალმნენ და მოედანზე ჩამობრძანდნენ. პირველთ მოუძღოდათ სახეგაბრწყინებული, წითელ ანაფორიანი და წითელცხვირა მნათენი, ხოლო მეორეთ— ქალაქის ბოქაულები, კისერზე ჩამოკიდებული ძეწკვების ჟღარუნითა და გრძელი დაშნების ქვაფენილზე ბრიხუნით მოდიოდნენ. სახლების გასწვრივ, მოედნის ირგვლივ გამწკრივებულნი ვეკმნიდით წრეს, რომლის ჭიეს შუაში მოქცეული უფროსობა წარმოადგენდა. ირგვლივ ირეოდა კალმისა და ოყნის წმინდა გვარდია. არავის დაგვიანებია, ყველა აქ იყო: ვექილები, გადამწერნი და ნოტარიუსი, მამა უფლის მოურავის წმინდა ივის ბაირაღით ხელში; აფთიაქრები, მკურნალები, შარდის დიდი ოსტატები (ყველას თავისი ვაზი აქვს საწუწნი), იქვე იყვნენ მეოყნეები, სამოთხის ნაწლავების გამგრილებელ წმინდა კოზმას sub invocatione... საპატიო მოქალაქეებიდან, მოწამეა ღმერთი, აკლდა მხოლოდ ერთი: ბატონი პროკურორი — კეთილი კლამსელი და ჩვენებური მემამულე. მართალია, ჰერცოგის წარმომადგენელია, მაგრამ

მრჩეველ მესტრას სიძე გახლავთ. გაიგო თუ არა, რას ვაპირებდით, იმის შიშით, რომ ვისიმე ძხარი არ დაეჭირა, გაცლა ამჯობინა.

ცოტა ხანს ადგილზე ვიფუხფუხეთ, როგორც როფში ყურძნის წვენმა. ისმოდა მხიარული ჟრიამული, ლაპარაკი, სიცილი, ჭიანურების ხმა, ძაღლების ყეფა. უცდიდნენ... რას? ცოტაც მოითმინეთ და გაიგებთ... აი, ისიც მოდის! სანამ გამოჩნდებოდა, მისი მოსელა ხმების გუგუნმა გვამცნო. როგორც აფქიომ ქარის დაბერვაზე, ყველამ ერთბაშად თავი იქით მიაბრუნა. ბაზრის ქუჩიდან მოედანზე გამოჩნდა რვა ვაჟკაცის მხრებზე და ბრბოს თავზე მოქანავე პირამიდისებური ნაგებობა. ერთიმეორეზე დადგმული სამი სხვადასხვა ზომის მაგიდა, ბაფთებით ფეხებშემკული, სირიფებიანი ღია ფერის აბრეშუმით მორთული, რომელთა თავზეც, სულ მაღლა, სამკაულებით მორთული ბალდახინის ქვეშ, საიდანაც ფერადფერადი ბაფთების ნიაღვარი ეშვებოდა, რიდეაკრული ქანდაკება აღმართულიყო. არავის გაჰკვირვებია: საიდუმლოება ყველამ იცოდა, ყველამ ზრდილობიანად ქუდი მოუხადა; ჩვენ კი, ბებერი ცუღლუტები, ჩუმ-ჩუმად ვიცინოდით.

როგორც კი ეს მანქანა ზუსტად მოედნის შუაგულში, მერსა და მღვდელს შორის გამოიტანეს, მუსიკით დაიძრნენ საამქროები, ჯერ უძრავ ღერძს ირგვლივ შემოუარეს, შემდეგ ეკლესიიდან ბოვრონის კარებისაკენ მიმავალ ქუჩას გაჰყვნენ.

პირველი, წესისამებრ, წმინდა ნიკოლოზი მოდიოდა. კალაბრის მეფეს საეკლესიო მანტია ემოსა და ზურგზე ხოჭოსნაირი ოქროს მზე ჰქონდა ამოქარგული, თავის შავსა და კოჟრიან ხელებში მდინარის წმინდანთა ნავის ფორმის ბაირაღი ეჭირა, რომელზედაც წმინდა ნიკოლოზი თავისი კვერთხით გეჯაში მჯდარ სამ პატარა ბავშვს ლოცავს. კალაბრს თან ახლდა ოთხი ჭარმაგი მენავე, რომელთაც ბარკლებივით სქელი და კომბალივით მაგარი ოთხი ყვითელი სანთელი მოჰქონდათ; ეტყობოდათ, მზად იყვნენ პირველი საჭიროებისთანავე დაეტრიალებინათ ეს კომბლები. კოპებშეკრული კალაბრი, რომელსაც თავისი ერთადერთი თვალი წმინდანისათვის მიეპყრო, მუცელგამობერილი და ფეხებგაჩაჩხული მოდიოდა.

მას მისდევდნენ კალის ტოლჩის ამქრები, წმინდა ელუას შვილები, მედანეები, ზეინკლები, მეფორნეები და მჭედლები, რომელთაც წინ მიუძღოდათ ხელდასახიჩრებული განიო და თავის ორ-

თითა ტორით გრდემლითა და ეროთი მოხატული ჯვარი მიჰქონდა. ჰობოები უკრავდნენ: „ჰერი, ჰერი, ჰერიო შარვალშებრუხებული მეფე დაგობერიო“.

შემდეგ მოდიოდნენ მევენახეები, მეკასრეები, მღეროდნენ ჰიმნს ღვინისა და მისი წმინდანის ვენსენის სადიდებლად, რომელიც ერთ ხელში კათხით და მეორეში მტევნით ბაირაღის ტარზე წამოსკუპებულიყო. ჩვენ, ხუროები, დურგლები, წმინდა იოსები და წმინდა ანა, სიძე და სიდედრი, ყოჩაღი ლოთები, სამიკიტნოების მფარველს მივდევდით, პირს ვაწკლაპუნებდით და ნოეს სითხეზე თვალი გვრჩებოდა. წმინდა ოსორეს გაფეთქუნებულსა და გაფქვილულ მრეველს კი ნაცრისფერი გვირგვინით შემკული მრგვალი პური ბარჯზე წამოეცვა, თითქოს რომაული ალაფიაო. გათეთრებულებს გაშავებულები მოსდევდნენ, გათხუპნული მეჯღანეები სამუხლე ტყავის ტაცუნით წმინდა კრეპენის ირგვლივ ცეკვავდნენ. და ბოლოს, ყვავილებით მოირთული, ყველაფრის დამგვირგვინებელი წმინდა ფიაკრი მობრძანდებოდა. მებაღე ქალებსა და კაცებს ვარდების გვირგვინებით შეემკოთ თავსაბურები, ბარები და ფოცხები და ჯალაბბარით მიჰქონდათ მიხაკები და მათიოლები; შემოდგომის ქარი აფრიალებდა წითელ აბრეშუმის ალაბს, რომელზეც ბარზე ფეხდაბჯენილი, დუნდულებამდე შარვალაკაპიწებული ფიაკრი იყო გამოსახული.

დაიძრა რიდეაფარებული მანქანაც. წინ თეთრებში გამოწყობილი გოგონები მიცუნცულებდნენ და სადიდებელ ჰიმნებს კნაოდნენ. ორივე მხარეს ბალდახინიდან გადმოშვებული ბაფთების ფოჩებით ხელში მოდიოდნენ მერი და სამი მრჩეველი. მათ წმინდა ივი და წმინდა კოზმა გარშემო უვლიდნენ. უკან, დეზებზე შემდგარი მამალივით, თავის ჩიჩახვს მოაბრძანებდა მნათე. შემდეგ მობრძანდებოდა მღვდელი თავისი ორი აბატის თანხლებით, ერთი ისე გრძელი იყო, როგორც დღე მშიერისათვის. მეორე კი — უსაფუარო პურივით სქელი და ბრტყელი. იგი ყოველ ათ ნაბიჯზე დაბალი ბანით ლიტანიის ნაწყვეტებს წამოიწყებდა ხოლმე, მაგრამ მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა, სხვებს ამღერებდა, თვითონ კი მსუქან ტუჩებს აცმაცუნებდა და მუცელზე ხელებდაკრეფილი ზეზეურად თელემდა. ბოლოს მოგორავდა დანარჩენი ხალხი, ერთიანად, როგორც მკვრივი სალაფავი, როგორც ლაფის ნიაღვარი. ჩვენ კი რაბი ვიყავით.

ქალაქიდან გავედით და პირდაპირ ველისაკენ გავემართეთ. ჭად-

ჩების ფოთლებს ქარი დააფრიალებდა. მზით განათებულ გზაზე მა-თი ჩსუბუქი რაზმი ჭენებით დაჰქროდა. ზანტ მდინარეს მათი ოქროს-ფერი აბჯრები მიჰქონდა. სადარაჯოსთან სამი სერჟანტი და ციხე-დარბაზის ახალი კაპიტანი ვითომ შეეცადნენ ჩვენს შეკავებას. მაგრამ გარდა ჩვენს ქალაქში ახალმოსულ, ახალბედა კაპიტნისა, რომელიც ყველაფერს ხალას ჭეშმარიტებად იღებდა (საბრალო დოყლაპია აქოშინებული მოვარდა და ბრაზმორეული თვალებს კარკლავდა), ყველანი ბაზრის ბაცაცებივით შეკრულნი ვიყავით: მიუხედავად ამი-სა, ბევრი ვილანძღეთ, ვიგინეთ, ერთმანეთი მივტყიპეთ. ესეც წი-ნასწარ იყო განზრახული და ჩვენც კეთილსინდისიერად ვასრულებ-დით როლებს; მაგრამ სიცილის შეკავება ძალიან გვიჭირდა; კომე-დიის გაგრძელებაც არ შეიძლებოდა, რადგან კალაბრი და მისი ძმა-ბიჭები როლში შედიოდნენ; ბაირაღის ტარზე ნიკოლოზის თავს ჭრისხანება დაეტყო, ხოლო სანთლებმა სერჟანტების ზურგზე იწყეს ტრიალი. და აი, წინ გავიდა მერი, ქუდი მოიხადა და იყვირა:

— ქუდები მოიხადეთ!

იმავ წამს დაეშვა რიდე, რომელიც ბალდახინის ქვეშ ქანდაკებას ფარავდა; ქალაქის ბოქაულებმა დაიძახეს: „გზა მიეცით ჰერცოგს“.

იმწამსვე შეწყდა აყალმაყალი. ორივე მხრით გამწკრივებულნი: წმინდა ნიკოლოზი, წმინდა ელუა, წმინდა ვენსენი, წმინდა იოსები, წმინდა ანა, წმინდა ონორე და წმინდა ფიაკრი მხედრულად მიესალ-მნენ; პოლიციის სერჟანტებმა და გზაკვალაბნეულმა, თავშიშველა და ჩასუქებულმა კაპიტანმა გზა უტიეს და თავებს ზევით რხევით მომა-ვალი, დაფნის გვირგვინით შემკული, გვერდზე ქუდმოგდებული, ხმლით წელდამშვენებული ჰერცოგის ქანდაკება გამოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ამას აუწყებდა urbi et orbi მეტრ დელავოს წარწერა; მაგრამ, მართალი რომ გითხრათ და ამ ამბის მარილიც სწორედ ეს არის, რაკი არც დრო გვქონდა და არც საშუალება მიმსგავსებული პორტრეტი გაგვეკეთებინა, ჩვენ არც ვაცხელეთ, არც ვაცივეთ და მუნიციპალიტეტის სხვენიდან ერთი ძველი ქანდაკება ჩამოვიღეთ (არავინ იცოდა, ვისი იყო ეს ქანდაკება, ან ვის მიერ იყო შესრუ-ლებული; მხოლოდ კვარცხლბეკზე თუ წაიკითხავდით ნახევრად წაშ-ლილ სახელს ბალთაზარისა, რომელსაც შემდეგ ბალდიუკი შევარ-ქვით). განა სულ ერთი არ არის? მთავარი რწმენაა. ელუას, წმინდა ნიკოლოზის ანდა იესო ქრისტეს სურათები უფრო ჭეშმარიტნი არი-

ან? ოღონდ გწამდეს და ყველგან მას ხედავ, ვინც გინდა. ღმერთია საჭირო? თუ შეამება, კუნძიც მეყოფა, რომ დავაბინაო უფალიცა და ჩემი რწმენაც. იმ დღეს ჰერცოგი გვინდოდა და ვიპოვეთ კიდეც.

ჰერცოგმა დახრილი ბაირაღების წინ გაიარა და, რადგანაც ველი მისი იყო, იქ შებრძანდა. ჩვენც, პატივი რომ გვეცა, გაშლილი ბაირაღებით, წმინდა ნაწილებით, ბუკითა და ნაღარით, მას შევყევით. აბა, ვის შეეძლო ამაში ცუდი რამ ენახა? მხოლოდ გონებაჩლუეგ ადამიანს, ჰერცოგის ცუდ ყმას. ნებსით თუ უნებლიეთ კაპიტანმაც მოიხარა ქედი. არჩევანი არ ჰქონდა. ან უნდა დაეპატიმრებინა ჰერცოგი, ან მოგვყოლოდა. და მოყოლა ამჯობინა.

ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ ზედ ველთან კისაღამ უბედურება შეგვემთხვა. შესასვლელთან წმინდა ელუა დაეტაკა წმინდა ნიკოლოზს, წმინდა იოსები თმებში სწვდა თავის სიდედრ წმინდა ანას. ყოველ მათგანს უნდოდა პირველი შესულიყო და ანგარიშს არ უწევდა არც ასაკს, არც პატივისცემას მანდილოსნისადმი და არც თავაზიანობას. და რადგანაც ამ დღეს საბრძოლო განწყობით შევიყარეთ, ყველას ხელები გვექავებოდა. საბედნიეროდ, მე ჩემი სახელით წმინდა ნიკოლოზს ვეკუთვნი, ხელობით კი — წმინდა იოსებს და წმინდა ანას, რომ არაფერი ვთქვა ჩემს ბიძაშვილ ყურძნის მწუწნავ ვენსენზე: ყველა წმინდანებს პატივსა ვცემ იმ პირობით, რომ მეც მცენ პატივი. და აი, რთველის ურიკა შევნიშნე. ურიკის გვერდით მობაჯბაჯებდა ჩემი ძმაკაცი გამბი, მყისვე ვიყვირე:

— მეგობრებო! ჩვენს შორის არ არიან პირველნი. გადავეხვიოთ ერთმანეთს! აი, ჩვენი ერთადერთი ბატონი (ჰერცოგის შემდეგ, რაღა თქმა უნდა), რომელიც ყველას შეგვარიგებს. ის მობრძანდა. მოვესალმოთ მას. დიდება ბახუსს!..

ჩემს გამბის დუნდულოებზე ხელი დავავლე, ურიკაზე ავაგდე. გასრიალდა და დაჭყლეტილი ყურძნით სავსე როფში ჩაგორდა. მყისვე აღვირს ვწვდი და საგრაფო ველში პირველნი შევედით. ვაზის ფოთლებით თავშემკული ბახუსი ყურძნის წვენით უკანალს იბანდა, ფეხებს იქნევდა და ხარხარებდა. ბახუსის უკანალის უკან ხელიხელ გაყრილი წმინდანები ცეკვით მოგვდევდნენ. საამო იყო ბალახზე მოლხენა. მთელი დღე კეთილი ჰერცოგის ირგვლივ ვიცეკვეთ, ვიმღერეთ, ვითამაშეთ და გავერთეთ... მეორე დილით კი ველი საღორე გეგონებოდათ. ბალახის ნატამალიც კი არსად ჩანდა. ნაზ ნიადაგზე ჩვენი ლან-

ჩების ანაბეჭდები მოწმობდნენ, თუ რა გულმოდგინებით სცა პატივი ქალაქმა ბატონ ჭერცოგს. ვფიქრობ, ის მეტად კმაყოფილი დარჩა. ჩვენ მითუმეტეს... მაგრამ მართალი გითხრათ, მეორე დღეს დაბრუნებულმა პროკურორმა საჭიროდ მიიჩნია აღშფოთებულიყო, პროტესტი განეცხადებინა, დაგვმუქრებოდა, თუმცა არაფერი უქნია. მოერიდა. მართალია, ძიება გახსნა, მაგრამ არ დაუხურავს: არავის სურდა რამე ეძია ან ეპოვნა. არავის უდარდია, ჯანმრთელობისათვის ღია კარი მუდამ კარგია.

* * *

აი, ასე დავამტკიცეთ, რომ კლამსელებს შეგვიძლია ერთსა და იმავე დროს ვიყოთ ჩვენი ჭერცოგისა და მეფის ერთგული ყმები და გავაკეთოთ ის, რაც თავში მოგვივა: თავი კი ხისა გვაქვს. და ამ დამტკიცების შემდეგ ჭირნახულ ქალაქს მხიარულება დაუბრუნდა. გამოვცოცხლდით, ერთმანეთს თვალის ჩაკვრით ვხვდებოდით, სიცილით ვეხვეოდით მეზობლებს და ვფიქრობდით:

— ჯერ კიდევ არ დაგვიცლია ოინებით სავსე ჩვენი ქიშელა, არ წაუღიათ საუკეთესო. ღმერთმა გვიმველა, ყველაფერი რიგზეა.

და ჩვენი ჭირ-ვარამის ხსენებაც გაქრა.

XII

სხვისი სახლი

ოქტომბერი.

დადგა დრო, ბინაზეც მეფიქრა. ფეხი ვითრიე, სანამ შემეძლო, მაგრამ რაც უნდა უკან დაიხიო, ბოლოს მაინც უნდა გადახტე. მას შემდეგ, რაც კერიის ნაცვლად ნაცარიღა შემრჩა, ერთ დღეს აქ ვაღამებდი, მეორეს იქ, ხან ერთ მეგობართან, ხან მეორესთან. არ მაკლდა ხალხი, ვინც დროებით, ერთი ან ორი ღამით შემიხიზნებდა. სანამ ერთმანეთის უბედურებათა მოგონება ყველას მხრებზე გვაწვა,

ჯოგივით ვცხოვრობდით და სხვის ბინაში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ სახლში; მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. საძიშროება გვშორდებოდა და ყველა თავის სხეულს საკუთარ ნაჭუჭში აბინავებდა. გარდა იმათი, ვისაც სხეული არ ჰქონდა, და ჩემი, რადგან ნაჭუჭი არ გამაჩნდა. სასტუმროში დაბინავება არ შემეძლო. მყავს ორი ვაჟი და ერთი ასული, ქალაქ კლამსის მოქალაქენი. ისინი ამის ნებას არ მომცემდნენ. იმიტომ კი არა, რომ ჩემს ორივე ვაჟს მამაშვილური სიყვარული მეტად შეაწუხებდა! თავი ხალხის ყბაში რად უნდა ჩაეგდოთ!.. მიუხედავად ამისა, არ ჩქარობდნენ ჩემს მიპატიჟებას. არც მე მეჩქარებოდა. ჩემი მოურიდებელი და პირდაპირი ლაპარაკი მათ ფარისევლობას ვერ ეგუება. აბა, ვნახოთ, რომელი გადადებს თავს? საბრალო ბიჭები! ჩემზე ნაკლები გაჭირვება როდი ადგათ. მათდა საბედნიეროდ, მარტინას, ჩემს ყოჩაღ გოგოს, მგონი, ნამდვილად ვუყვარვარ. ჯიუტად მოითხოვდა, მასთან წავსულიყავი... მაგრამ იქ ხომ ჩემი სიძეც არის. კარგად მესმის, რომ ფლორიმონს არავითარი საბუთი არა აქვს, თავის ოჯახში ჩემი ყოფნა ისურვოს. და აი, დაუწყეს ერთმანეთს გაბრაზებით ცქერა და თან მე მითვალთვალებდნენ. მე კ: ყველას გავუერბოდი. ასე მეგონა, ჩემს ბებერ სხეულს საჯარო ვაჭრობით ყიდდენ.

დროებით ბომონის ფერდობზე, ჩემს ქოხში მოვეწყვე. სწორედ იქ, სადაც ივლისში ბებერი ცუღლუტი ჭირს მოვუწექი. სასეირო სწორედ ის იყო, რომ იმ გამოთაყვანებულებმა ჯანმრთელობის დასაცავად ჯანსაღი სახლი დამიწვეს და დატოვეს ქოხი, სადაც სიკვდილი მესტუმრა. და მე, ვისაც უცხვირო ვაჟბატონისა არ მეშინია, ჩემს მიწურში, სადაც სამგლოვიარო აღაპის დოქები ეყარა, თავს მეტად კარგად ვგრძნობდი. მართალი გითხრათ, კარგად ვიცოდი, რომ ამ ჯურღმულში ვერ დავიზამთრებდი. კარი ჩამოწოლილიყო, მინები დამსხვრეულიყო, სახურავიდან, როგორც ჭყინტი ყველის ქიშელიდან, უხვად მოედინება ღრუბლების წვენი. კი მაგრამ, დღეს ხომ არ წვიმდა; ხვალ კი... ხვალისა დაე ხვალემ იფიქროს. არ მიყვარს ხვალინდელ დღეზე თავის მტვრევა. და თუ სიძნელეს ისე ვერ გადავლახავ, როგორც მე მინდა, არც ამისათვის ვეკლავ თავს, ავიღებ და მომავალი კვირისათვის გადავდებ. მეუბნებიან: „გადადება რას გარგებს. ცუდია თუ კარგია, მაიხც უნდა გადაყლაპო აბი“. „ვინ იცის, — ვეუბნები მე. — აბა ვინ მეტყვის, რომ რვა დღის შემდეგაც

ეს ქვეყანა აქვე იქნება? და როგორი გულნატკენი დავრჩები, რომ ვიჩქარე აბის გადაყლაპვა, თუ რვა დღის შემდეგ მამა-ღმერთის საყვირებმა გვაუწყეს, რომ ბოლო მოეღო ამ ლამაზ ქვეყანას. მეგობარო, ერთი საათითაც ნუ გადადებ ბედნიერებას. ბედნიერება ჩაციებული უნდა დალიო. უსიამოვნებას კი შეუძლია დაიცადოს. თუ ბოთლი ამოშრება, მით უკეთესი".

ასე რომ, დაველოდე, ან უკეთ რომ ვთქვა, ვალოდინე ის არასასიამოვნო გადაწყვეტილება, ადრე თუ გვიან, მაინც რომ უნდა მიმეღო. და ამ ხნის განმავლობაში ჩემი მყუდროება რომ არაფერს დაერღვია, სახლში ჩავიკეტე. ფიქრით თავს არ ვიკლავდი. ვბარავდი ბაღს, ვასუფთავებდი ბილიკებს, ვფოცხავდი ჩამოცვენილი ფოთლებით დაფარულ ნათესებს, ვსხლავდი ხეპეპურებს, ვმკურნალობდი ბებერი ხეების ფუფუას და იარებს; ერთი სიტყვით, ზამთრის ბუმბულის ქვეშ დასაძინებლად გამზადებულ ქალბატონ მიწას ერთავდი. და მერე გასამრჯელოდ მსხლის ტოტზე მივიწყებულ თაფლა ან მოყვითალო ბარბარა მსხალს გვერდებზე ხელს მოვუთათუნებდი... ღმერთო, რა საამოა სურნელოვანი წვენით პირის გასველება და მთელი ხორხის სიგრძეზე ამ წვენის შეგრძნება... ქალაქში მხოლოდ სანოვაგისათვის მივდიოდი (ვიმარაგებდი სასმელ-საჭმელსაც და ახალ ამბებსაც). ჩემს შთამომავლობას ვერიდებოდი. შეკუთვალე, რომ სამოგზაუროდ წავედი. ვერ დავიფიცავ, დამიჯერეს-მეთქი, მაგრამ როგორც მორჩილ შვილებს, ჩემი მხილება არ სურდათ. თვალხუჭობანას მოთამაშე ბიჭუნებს ვგავდით, ერთმანეთს რომ ეთამაშიან: „მგელო, მანდა ხარ?" და თამაში რომ გაგვეხანგრძლივებინა, შეგვეძლო გვეპასუხა: „მგელი აქ არ არის, არა"... მაგრამ მარტინა გამოგვრჩა ანგარიშში. ქალი რომ თამაშობს, მუდამ ყალთაბანდობს. მარტინა ეჭვობდა, მარტინა მიცნობს და მალე მიხვდა ჩემს თვალთმაქცობაზე. არ უყვარს ხუმრობა, როცა საქმე მამაშვილურ, დაძმურ და სხვადასხვა მოვალეობას ეხება.

ერთ საღამოს, როდესაც ქოხიდან გამოვდიოდი, გზაზე ჩემკენ მომავალი მარტინა დავინახე. მყისვე დავბრუნდი, კარი ჩავკეტე, კედელთან ჩავცუცქდი და გავინაბე. მოვიდა, კარზე აკაკუნა, მიძახა, მიყვირა. მე სუნთქვას ვიკრავდი (სწორედ ამ დროს ხველა მომინდა), ის კი განუწყვეტლივ ყვიროდა:

— გააღე-მეთქი! ვიცი, აქა ხარ.

მუშტით და ქოშით კარზე იერიში მოჰქონდა. ვფიქრობდი. „ვახ, რა დედაკაცია! კარმა რომ ვერ გაუძლოს, ჩემი საქმე წასულია!“ ვიფიქრე, კარს გავაღებ და გადავეხვევი-მეთქი, მაგრამ ასე ხომ თამაში აღარ გამოვიდოდა. მე კი, როდესაც ვთამაშობ, ყოველთვის მინდა მოვიგო. გავჯიუტდი. მარტინამ კიდეკ კარგა ხანს იყკირა და მერე მოეშვა. მესმოდა, გაუბედავი ნაბიჯით რომ მიდიოდა. დავტოვე ჩემი სამალავი და სიცილი მოვრთე. სიცილი და ხველა... სიცილი მახრჩობდა. სიცილით გავძეხი და ის იყო თვალებს ვიწმენდდი, როდესაც უკან, მაღლა კედლიდან მომესმა ხმა:

— ერთი მითხარი, არა გრცხვენია?

კინაღამ დავეცი. შევხტი, თავი მოვაბრუნე და კედელს ჩაბღაუჭებული მარტინა დავინახე. მკაცრი თვალებით მიყურებდა და მითხრა:

— ბებერო ოინბაზო, ხომ გამოგიჭირე.

— გავები. — ვუპასუხე გაოცებულმა.

და ორივემ ხარხარი მოვრთეთ. დარცხვენილი კარის გასაღებად წავედი. კეისარივით შემობრძანდა, მედიდურად ჩემ წინ დადგა, წვერში მწვდა და მითხრა:

— პატიება ითხოვე.

— Mea culpa, — ვუთხარი მე.

(თქმით კი ვუთხარი, მაგრამ როგორც აღსარებაზე, გულში ვფიქრობდი: ხვალ ისევ თავიდან დაიწყებ-მეთქი)

სალახანა ჩვმს წვერს არ ეშვებოდა, ექაჩებოდა და ბუხღუნებდა:

— გრცხვენოდეს! გრცხვენოდეს. ბებრუხანა პაპა, წვერი გაგთეთრებია, ჭკუა კი ბავშვისა გაქვს.

ერთი-ორჯერ ზარის ენასავით მარჯვნივ და მარცხნივ, მაღლა და დაბლა მოქაჩა წვერი, ბერე ხელი ლოყაზე მომითათუნა და მაკოცა.

— საძაგელო, რატომ არ მოდიოდი? — თქვა მან, — ხომ იცოდი, ცუდო, რომ გელოდი!

— ჩემო გოგონა, — ვუთხარი მე, — ყველაფერს აგიხსნი...

— შინ ამიხსენი. აბა, აიბარგე, წავიდეთ!

— კი მაგრამ, მზად არა ვარ. დამაცადე, ჩემი ბარგი-ბარხანა შეკრა.

— რა ბარგი-ბარხანა? ღმერთო ჩემო, მოგეხმარები შეკვრაში.

ზურგზე ძველი სამოსი მომასხა, თავზე გაცვეთილი ფეტრის ქუდი ჩამომაფხატა, შემმოსა, მიმანჯღრ-მომანჯღრია და მითხრა:

— აი, მოვრჩით! ეხლა კი, ნაბიჯით იარ!

ეოთი წუთით მაცალე-მეთქი და საფეხურზე წამოვჯექი.

— როგორ! — წამოიძახა აღშფოთებულმა. — მეურჩები? ჩემთან წამოსვლა არ გინდა?

— არ გეურჩები, — ვუთხარი მე, — რა გაეწყობა, რადგან სხვა გზა არა მაქვს, უნდა წამოვიდე.

— რა თავაზიანი ბრძანდები! — თქვა მან, — აი, შენი სიყვარული!

— ძალიან მიყვარხარ, ჩემო გოგონა, ძალიან, მაგრამ მურჩია ჩემთან მყოლოდი, ვიდრე სხვის სახლში გამოგყოლოდი.

— მაშ, მე სხვა ვარ?

— სხვისი ნახევარი ხარ.

— აბა, აბა! არა, — თქვა მან, — არც ნახევარი, არც მეოთხედი. მე მე ვარ. მე, მთლიანად, თავიდან ფეხებამდე. მისი ცოლი ვარ, ეგ მართალია, მაგრამ ის ჩემი ქმარია. მე ის მსურს, რაც მას უნდა, თუ იმასაც იგივე სურს, რაც მე მინდა. დამშვიდდი, სიხარულით ცას ეწევა, ჩემთან რომ დაბინავდე. ჰა! ჰა! აბა, ბიჭია და, ნუ გაუხარდება.

— მჯერა-მეთქი,—ვუთხარი: — როგორ არ მჯერა! ისევე გაუხარდება, როგორც ჩვენ გვიხარია, როდესაც ბატონი დე ნევერი თავის გარნიზონს ჩვენთან აბინავებს; მე ისინი ბევრჯერ დამიბინავებია, მაგრამ თვითონ არ მჩვევია სხვასთან დაბინავება.

— შეეჩვევი, — მითხრა მან, — მორჩი დავაბ! წავედით!

— კეთილი, მაგრამ ერთი პირობით.

— რაო, უკვე პირობებს მიდებ? ძალიან მალე შეეჩვე.

— ჩემი სურვილისამებრ დამაბინავებ.

— გსურს მტარვალი გახდე? კეთილი, იყოს ნება შენი.

— ფიცავ?

— ვფიცავ!

— და მერე...

— აბა, კმარა, ლაზღანდარა! იარე-მეთქი!

მკლავში ხელი ჩამავლო, ვუი, ვუი, რა მარწუხი მომიჭირა, ღმერთო ჩემო! რას გავაწყობდი, გზას მორჩილად გავუდექი.

სახლში მისვლისთანავე ჩემთვის გამზადებული ოთახი მიჩვენა. ძალიან თბილი ოთახი იყო: დუქნის უკან, მისი ფრთის ქვეშ; ყოჩაღი გოგო ისე მექცეოდა, როგორც ძუძუმწოვარა ბავშვს. ლოგინი მზად

იყო: სუფთა ზეწრები და რბილი ბუმბული; მაგიდაზე ჭიქაში მანანების თაიგული იდო. მხიარული და აღელვებული, გულში ვიცინოდი. მადლობა რომ გადამეხადა, გავიფიქრე: საყვარელ მარტინს გავაბარებ-მეთქი. და მტკიცედ განვაცხადე:

— ეს მე არ მომწონს.

განაწყენებულმა ქვედა სართულის ოთახები მაჩვენა. ყველაზე უარი ვთქვი და სხვენზე ერთი პატარა საკუჭნაო ავირჩიე. კოვილი მორთო. მაგრამ ვუთხარი:

— ჩემო ლამაზო, როგორც გენებოს; ან აქ მოვეწყობი, ანდა ჩემს ქოხში ვბრუნდები.

რას გააწყობდა, დათანხმდა, მაგრამ ყოველდღე დილიდან საღამომდე იერიშები მოჰქონდა:

— აქ დარჩენა არ შეიძლება: დაბლა უკეთ იქნები, აბა, მითხარი, რა არ მოგწონს; მითხარი, კერპო, რატომ ჯიუტობ?

დაცინვით ვუპასუხებდი:

— იმიტომ, რომ არ მინდა!

— წაწყმედამდე მიმიყვან,—ყვიროდა აღშფოთებული მარტინა,— მაგრამ კარგად ვიცი, ამას რატომ სჩადიხარ. დიდგული და ამაყი ბრძანდები. არ გსურს დავალებული იყო შვილებისაგან. ჩემგან! ჩემგან! მზად ვარ მიგტყიპო.

— ამ გზით, — ვუთხარი მე, — მაიძულებდი მუჯლუგუნები გამომეტყუა შენთვის.

— უგულო! — მითხრა მან.

— ჩემო გოგონა!

— დიახ, დიახ, დატკბი, რაღა, კარგი ვარო! შორს თათები, საზიზღარო!

— ჩემო დიდო, თვალის ჩინო, ჩემო ტკბილო, საყვარელო!

— რაო? ოქროპირო, არშიყობას მიპირებ განა? შე ლაქუცა, ლაქლაქა და მატყუარა! მორჩები თუ არა დაღრანჯული პირით დაცინვას?

— ერთი შემომხედე. შენც იცინი.

— არა.

— იცინი.

— არა, არა, არა!

— მე კარგად ვხედავ... აი აქ.

თითი დავადე შეკავებული სიცილისაგან გამობერილ ლოყაზე: ვერ შეიკავა ხარხარი.

— არა, ეს მეტისმეტია, — თქვა მან, — შენზე გულმოსული ვარ, მძულხარ და იმის უფლება კი არა მაქვს, რომ გაგიბრაზდე. მინდა, არ მინდა, ამ ბებერმა მაიმუნმა თავისი მანჭიობით უნდა მაცინოს!.. მაგრამ იცოდე, მეჯავრები, ბოროტი, ღვთის გლახა და დაქცეული; თავი მაინც არტაბანად მოაქვს და შვილებთან ზვიადობს! არა, არა გაქვს ამის უფლება.

— ეგ ერთადერთი უფლებაა, რომელიც დამრჩა.

კიდევ ბევრი მწარე სიტყვა მაკადრა. მეც მივართვი არანაკლებ მწარე. ორივეს ენა გვაქვს გალესილი, სიტყვებს სალეს ქვაზე ვლესავთ; მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, როდესაც ზომას გადავდივართ, ან ის, ან მე ისეთ ხუმრობას დავაკვესებთ, რომ სიცილი წაგვსკდება, არ შეგვიძლია თავის შეკავება და ყველაფერი თავიდან დასაწყებია.

და როდესაც კარგა ხანს აქანავა თავისი პირის სარეკელა (დიდი ხანი იყო, რაც აღარ ვუსმენდი), ვუთხარი:

— ახლა, მორჩი, გეყოს, კმარა, დაუკარი გასაყარი ნაღარა, ხვალ დავიწყოთ თავიდან.

მიპასუხა:

— ღამე მშვიდობისა. მაშ, არ გინდა, არა?

ხმა არც ახლა გავეცი.

— ამაყო! ამაყო! — ორჯერ გაიმეორა.

— ცოტა ნელა. მომისმინე, ჩემო ცუგრუმელა, მართალია, ვარ ზვიადი, არტაბანი, ფარშავანგი და, რაც გნებავს, ყველაფერი, მაგრამ გულახდილად მითხარ ერთი, თუ გწამს ღმერთი, ჩემს ადგილას შენ ოომ იყო, თავს როგორღა გაართმევდი?

ჩაფიქრდა და მერე მითხრა:

— რასაც შენ შვრები, იმასვე გავაკეთებდი.

— აი, ხომ ხედავ! აბა, მაკოცე და ღამე ნებისა.

უკმაყოფილოდ მაკოცა და ბუზღუნით წავიდა:

— ასეთი უბედურება გაგონილა განა, რომ ზეცისგან მიეღოთ გოგრა ჩვენისთანა.

— ეგრე, ჩემო ლამაზო, პატარა, — ვუთხარი მე, — ჭკუა ზეცას ასწავლე, მე კი აია.

— კი ბატონო. გავირჯები. — თქვა მან. — მაგრამ, თუ გვონია, შენ შეგეშვები, ძალიან ცდები.

მართლაც არ მომეშვა. მეორე დილითვე თავიდან დაიწყო. ვერ გეტყვით, რამდენი მიესლო ზეცაა, მაგრამ არაფერი დაკლებია ჩემს თავს.

* * *

პირველ დღეებში თითქოს ქერის ორმოში ვიჯექი. თავს მევლებოდნენ. თვით ფლორიმონი განსაკუთრებული მზრუნველობით მივლიდა და უფრო მეტ პატივისცემას იჩენდა ჩემდამი, ვიდრე მჭირდებოდა. მარტინა ქმარს უთვალთვალებდა და ჩემს გამო ჩემზე მეტად ეშვიანობდა. გლოდი თავის საამური კაკანით მატკბობდა. საუკეთესო სავარძელს მიდგამდა. მაგიდას რომ მივუსხდებოდით, პირველად კეოძი მე მომდიოდა. მისმენდნენ, როდესაც ლაპარაკი მსურდა. ძალიან კარგად ვიყავი, ძალიან კარგად... უფ! მეტი არ შემეძლო! თავს ცუდად ვგრძნობდი. ადგილზე ვერ ვჩერდებოდი. სხვენის კიბეზე საათში ოცჯერ ჩამოვდიოდი, ავდიოდი და ისევ ჩამოვდიოდი. ყველას გული გავუწყალე. მარტინა დიდი მომთმენი ისედაც არ არის, და ყოველი ჩემი ნაბიჯის ხმაზე დამუნჯებული და მოკუნტული კრთოდა. ზაფხული რომ ყოფილიყო, გარეთ მაინც ვიყიალებდი. აქ კი მხოლოდ კედლებს ვაწყდებოდი. სუსხიანი შემოდგომა იღგა: მინდორ-ველს სქელი ნისლი ფარავდა, წვიმა დღე და ღამე ასხამდა და ასხამდა. ეოთ ადგილზე მიჯაჭვული ვიყავი და ადგილიც ჩემი არ იყო. დასწყევლოს ღმერთმა! მაგ საბრალო ფლორიმონსაც ბრიყვული და ზვიადი გემოვნება ჰქონდა. მარტინას ეს არ აწუხებდა: მე კი ამ სახლში ავეჯი, საგნები, ერთი სიტყვით, ყველაფერი მტანჯავდა, გულს მირევდა, მეჩოთირებოდა. მინდოდა ყველაფრისათვის შემეცვალა ან ადგილი, ან ფორმა; ხელები მექავებოდა, მაგრამ პატრონი ფხიზლობდა; თითის წვერიც რომ შემეხო რომელიმე მისი საკუთრებისათვის, ერთ ბასტიბუბუს ატეხდა. განსაკუთრებით მეჯავრებოდა სასადილოში ორი მოღუღუნე მტრედითა და უშნო შეყვარებულთან მანქია ქალიშვილით შემკული დოქი. მის შეხედვაზე გული მერეოდა; ფლორიმონს ვთხოვე, ეს დოქი მაგიდიდან მაშინ მაინც აეღო, როდესაც მე ვსადილობდი; ლუკმა ყელზე მადგებოდა, ვიხრჩობოდი. მაგრამ ხვადაგი (და

ეს მისი ნება იყო) უარს მეუბნებოდა. ამ უხეირო ნაცოდვილარით ამაყობდა. ხელოვნების ყველაზე დიდი ნიმუში მისთვის სხვადასხვა ნამცხვრის ხუხულაა. ასე რომ, ჩემი ტანჯვა და ღრანჯვა მხოლოდ ამხიარულებდა ოჯახს.

რა უნდა მექნა? ჩემს თავზე მეცინა? უდაოა, სულელი ვიყავი; მაგრამ ღამით ლოგინში მწვადივით ვტრიალებდი. ხოლო ტაფაზე, ე. ი. სახურავზე, წვიმა შეუჩერებლივ აკაკუნებდა. სხვენზე სეირნობას ვერ ვბედავდი, რადგან ჩემი მძიმე ნაბიჯები არყევდა მას. და აი, ერთხელ, როდესაც ლოგინზე ფეხშიშველა, ჩაფიქრებული ვიჯექი, ჩემს თავს ვუთხარი: „ჩემო, ბრონიონ, არ ვიცი როდის, არ ვიცი როგორ, მაგრამ გავაოცებ ხალხს, კვლავ წამოვეიმავ სახლს“. ესა ვთქვი და გავმხიარულდი: ზრახვას ვმალავდი. შვილებს, რა თქმა უსდა, არაფერი ვუთხარი; რომ მეთქვა, მეტყოდნენ, შენი შესაფერი სახლი საგიჟეთიაო. კეთილი, მაგრამ ფული სად ვიშოვო? ორფეოსისა და ამფიონის შემდეგ ქვები ფერხულში არ ებმებიან, ერთმანეთს თავზე არ ასხდებიან და კედლებს და სახლებს მხოლოდ ქისების სიმღერის ხმაზე აშენებენ. ჩემს ქისას კი ხმა ჩაუწყდა, და ასე მგონია, საამური ხმა არც არასოდეს ჰქონია.

უყოყმანოდ მეგობარ პაიარის ქისას მივმართე. გამოგიტყდებით, ამ კეთილ კაცს არაფერი შემოუთავაზებია. მაგრამ თუ მე მსიამოვნებს რომელიმე მეგობარს დახმარება ვთხოვო, ვფიქრობ, იმასაც გაუხარდება დამეხმაროს. როგორც კი გამოიდარა, დორნესისკენ გავსწიე. ცაზე ლეგა ღრუბლები ჩამოწოლილიყო. ნესტიანი, დაქანცული ქარი დიდი დასველებული ფრინველივით დაჰქროდა. ფეხებზე მიწა მეკვროდა, კაკლის ყვითელი ფოთლები მინდვრებზე ცვიოდნენ. შემკოთალმა პაიარმა ორიოდე სიტყვის თქმაც არ მაცალა. შემომჩივლა, საქმე ცოტა მაქვსო და მცირე შემოსავალზე, უფულობასა და ცუდ მუშტრებზე მოჰყვა წუწუნს. ასე რომ, ვუთხარი:

— პაიარ, პაიარ, ხომ არ გინდა, ერთი გროში გასესხო!

ნაწყენი ვიყავი. ჩემზე მეტად პაიარი იყო განაწყენებული. გაბუტულებმა ცივად განვაგრძეთ ბაასი. ვლაპარაკობდით ამაზე და იმაზე, მე გაბრაზებული, ის დარცხვენილი. ნანობდა თავის წუწურაქობას. საბრალო, ცუდი ბიჭი როდია; ვიცი, ვუყვარვარ; ფულსაც სიამოვნებით მომცემდა, თუ არაფერი დაუჯდებოდა; რომ დამეჟინებინა, მივიღებდი, რაც მინდოდა. აბა რა მისი ბრალია, თუ ტყავში ძუნწი

მევახშეების სამი საუკუნე უზის. მაგრამ შეიძლება ფილისტერიც იყო და ხელგაშლილიც, დროდადრო უთუოდ ასეც ხდება, ანდა ამბობენ, რომ მომხდარა ასე. ყველა კეთილი ფილისტერის პირველი სიტყვა, როდესაც მის ქისას შეეხებიან, არის: „არა“. მეგობარი პაიარი ახლა რას არ მისცემდა, ოღონდ „კი“ ეთქვა, მაგრამ საჭიროა იყო საბაბი მიმეცა; ამაზე კი მე ვამბობდი „არას“. მეც თავმოყვარეობა მაქვს; მეგობარს რამეს რომ ვთხოვ, ასე მგონია, დიდ სიამოვნებას ვანიჭებ-მეთქი და თუ ყოყმანობს, მისი აღარაფერი მინდა; მით უარესი მისთვის! ასე რომ, გულდამძიმებულმა, ბრაზით სხვა რამეზე გადავიტანე ლაპარაკი. საუზმეზე უარი ვუთხარი (ამით მეტად შევაწუხე). ავდექი. თავჩაღუნული ზღურბლამდე მოვყვა; მაგრამ კარის გაღების დროს ვერ მოვითმინე, ბებერ კისერზე ხელი მოვხვიე და გადავკოცნე. გულწრფელი კოცნითვე მიპასუხა და ბორიდებით მითხრა:

— კოლა, კოლაჯან, რამდენი გიხდა?..

ვუპასუხე:

— ლაპარაკი ზედმეტია ამაზე.

(ჯიუტი ვარ).

— კოლა, — განაგრძო დარცხვენილმა, — გესაუზმა მაინც.

— ჰო, ეგ სხვა საქმეა. — ვუთხარი მე, — კეთილი და პატიოსანი, ვისაუზმოთ.

და დავსხედით ორნი, ვჭამეთ როგორც ოთხმა. მაგრამ გავჯიქდი, არა და არ გავახარე, რაც ერთხელ ვთქვი, აღარ გადავთქვი. მართალია, ჩემს თავს ვავნე, მაგრამ ისიც ხომ დავსაჯე.

დავბრუნდი კლამსიში. ჩემი ბინა უმუშებოდ და უფულოდ უნდა ამეშენებინა. ეს ვერ შემაჩერებდა; რაც გოგრაში ჩამიდვია, ის უნდა გავაკეთო. გულმოდგინედ ნახანძრალის თვალიერება დავიწყე, გადავარჩიე ყველაფერი, რაც გამოდგებოდა. შემომწვარი ძელები, გაშავებული აგურები, ძველი რკინეულობა და ბუხრის მწმენდელის ჩაჩივით გაშავებული ოთხი ჩამოქცეული კედელი, მერე ჩუმჩუმად შევროშის ქვის სამტეხლოებს შევეჩვიე. ვჩიჩქნიდი, ვფხეკდი და ვლრღნიდი მიწის ძვალს, სისხლიან და ლამაზ ქვას, რომელიც ათბობს თვალს, ქვას, რომლის ძარღვებში თითქოს შედედებული სისხლი მიედინება. შესაძლოა, რომ ზოგჯერ, ტყეზე გავლისას, რომელიმე დრომოჭმულ მუხას სამუდამო სიმშვიდის მოპოვებაში დავეხ-

მარე. იქნებ ეს აკრძალულიც იყო: ესეც შეიძლება, მაგრამ თუ მხოლოდ ის ვაკეთე, რაც ნებადართულია და შეიძლება, ცხოვრება გაჭირდება. ტყე იმიტომაა ქალაქის, რომ მოვიხმაროთ და, რა თქმა უნდა, ყველანი ვხმარობთ. მალულად, რასაკვირველია. ზომაც ვიცით, რადგან ვფიქრობთ: „ჩემს გარდა სხვაც არის“. მაგრამ, რამდენადაც ადვილია აღება, იმდენად ძნელია წაღება. მეზობლების წყალობით ამასაც თავი გავართვი: ერთმა ურიკა მათხოვა, მეორემ — ხარები, ვინ — ხელსაწყოები, ზოგი თვითონ დამეხმარა, რადგან დახმარება ფული არა ღირს. მოყვასს ყველაფერი შეგიძლია სთხოვო, თუნდაც ცოლი, მხოლოდ ფულს ნუ სთხოვ. რა გასაკვირია; ფული არის ის, რაც შეიძლება მით შეიძინო, რაც გექნება, რაც შეიძლება მისი წყალობით გექნეს, ყველაფერი ის, რაზედაც ოცნებობ; დანარჩენი გაქვს, ანდა ვითომც არა გქონია.

იმ დღიდან, როდესაც მე და ჩემმა რობინემ, იმავე ბინემ, პირველი ხარაჩოების აგება შევიძელით, სიცივეები დაიჭირა. გიჟს მეძახდიან. ჩემი ბავშვები ყოველდღე მეჩხუბებოდნენ! უფრო მოწყალენი გაზაფხულამდე დაცდას მირჩევდნენ. არაფერს ვისმენდი, ყურს არავის ვუგდებდი; არაფერი მსიამოვნებდა ისე, როგორც ადამიანებისა და მმართველების გაბრაზება. ეჰ! ძალიან კარგად ვიცოდი, რომ მარტოხელა და ისიც ზამთარში სახლს ვერ ავაგებდი! მაგრამ მე მეყოფოდა კარავი, ან მარტო სახურავი, თუნდაც კურდღლის გალია. მართალი არის, ვარ გულზიარი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუკი ეს მსურს და ძესიამოვნება. არა, ლაზღანდარაც ვარ, მიყვარს სხვებთან ბაასი; მაგრამ, ზოგჯერ ჩემს თავთანაც უნდა შემეძლოს საუბარი. ეს ყველა ჩემს მეგობართან საუბარს მირჩევნია. თავს ძალიან ვუფრთხილდები და მას რომ შევეყარო, მზად ვარ სუსხიან ქარში შიშველტიტველმა ვიარო. დიახ, ჩემს თავთან თავისუფლად რომ მებაასა, ასე ჯიუტად ვცდილობდი სახლი ამეშენებინა, არ დაგიდევდით ხალხი რას იტყოდა და შვილების ჭკუის დარიგებაზე მეცინებოდა.

ვაიმე! ბოლოს სასაცილო თვითონ შევიქენ. ოქტომბრის მიწურულის ერთ დილას, როდესაც ქალაქი ყინეღლში ეხვეოდა და ქუჩებზე მოყინული მიწის დუჟი ვერცხლისფრად ბრწყინავდა, ხარაჩოზე ასვლისას ერთ-ერთ ძელზე ფეხი დამიცდა და ტყლაშ!.. ძირს ბზრიალ-ტრიალით წამოვედი. ბინე აყვირდა:

— კოლა მოკვდა!

წამოსაყენებლად მოზვავდა ხალხი! შემრცხვა და ვთქვი:

ეჰ! განზრახ გავაკეთე-მეთქი.

მინდოდა თვითონვე ავმდგარიყავი, ვაიმე! ვაიმე! კოჭი, კოჭი! კვლავ დავეცი ხეიბარი... კოჭი მქონდა გადამტყდარი. საკაცით წამიღეს. გვერდით ცისკენ ხელებაპყრობილი მარტინა მომყვებოდა; გარს მეზობლის ქალები შემოხვეოდნენ და წუწუნებდნენ, მომხდარ ამბავზე ჭორაობდნენ; ეს პროცესია უფლის ძის იესოს დაეაფლაევების წმინდა სურათს მოგაგონებდათ. და მარიამები არ იღლებოდნენ ხელების ქნევით, ფეხების ბაკუნით, წივილითა და კივილით. ისეთი ბასტი-ბუბუ გაჰქონდათ, რომ მკვდარსაც გააღვიძებდნენ. მკვდარი არ ვიყავი, მაგრამ თავს ვიმკვდარუნებდი, რომ მთელი ეს თავსხმა ზურგზე არ მომხვედროდა. ვიწექი მშვიდი, უძრავი, თავვადაგდებული. ცისკენ მქონდა მიშვერილი წვერი: ბრაზით ვსკდებოდი, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხდი.

XIII

პლუტარქეს კითხვა

ოქტომბრის ბოლო.

და აი, ახლა თათით ვარ მიბმული... თათით! მოწყალეო უფალო, თუ გართობა გსურდა, არ შეგეძლო განა ხელი, ან გვერდი მოგეტეხა ჩემთვის და დაგეტოვებინა საყრდენი ბოძები? რა თქმა უნდა, ნაკლებს არ ვიოხრებდი, მაგრამ ძირს დამხობილი მაინც არ ვიწუწუნებდი. აჰ! ბოროტი, წყეული (იკურთხოს მისი წმინდა სახელი!), თითქოს მხოლოდ ჩვენს გაწამებას ფიქრობს. კარგად იცის, ყველა სხვა მიწიერ ბედნიერებას: გარჯას, ქეიფს, სიყვარულსა და მეგობრობას, ღმერთების კი არა, ადამიანთა ასული — თავისუფლება მირჩევნია და ხელშიც მიპყრია. უთუოდ ამიტომ ჩემს ხუხულას (ნაღდად იცინის, არამზადა!) ფეხით მიმაბა. და მეც ახლა ხოჭოსავით ზურგზე გაწოლილი ვუმზერ ობობას ქსელებს და ჩემი სხვენის ძელებს. აი,

ჩემი თავისუფლება!.. მაგრამ არა, საყვარელო, ჯერ კიდევ ვერ დამიჭირე. გათოკე ჩემი ჩონჩხი, შებოჭე, კიდევ ერთხელ შემოაკარი, როგორც შამფურზე წამოცმულ ვარიებს უშვრებიან. და მერე რაო, ვითომ გამომიჭირე? მერწმუხე — ვერა. სული? სულს რაღას უშვრები? აჰა, ჩემს ფანტაზიასთან ერთად ისიც გაფრინდა. აბა მიდი, ეცადე და დაიჭირე! ამისათვის მაგარი მუხლები დაგჭირდება. ჩემს ნათლიდედა ფანტაზიას ფეხი მოტეხილი როდი აქვს. მიდი, მიდი, გაიქეცი, მეგობარო!..

უნდა გამოვტყდე, რომ პირველ ხანებში ცუდ ხასიათზე ვიყავი. ენაღა შემრჩა და მეც ვსარგებლობდი, რომ მეგინა და მეღრინა. იმ დღეებში კაცი ვერ გამეკარებოდა. თუმცა კარგად ვიცოდი, რომ ყველაფერი ჩემივე თავით დამემართა. ეჰ! ეს ძალიან კარგად ვიცოდი. ყველა, ვინც სანახავად მოდიოდა, ამით ყურებს მიჭედდა:

— აკი გითხარით! რაში გჭირდებოდა ხარაჩოებზე კატასავით ცოცვა შენი ხნის ბებრუცუნას! რამდენჯერ გაგაფრთხილეს, მაგრამ კაცი ვერაფერს შეგასმენს. სულ უნდა იცუნცულო, ჰოდა, ზოგი ეხლაც იცუნცულე! რაც მოგივიდა, ყველაფერი შენივე თავს დააბრალე.

კარგი ნუგეშია! არ კმარა, რომ უბედური ხარ, გიმტკიცებენ, ბრიყვიცა ხარო! მარტინამ, სიძე ფლორიმონმა, გულცივმა მეგობრებმა, ყველამ, ვინც ჩემს სანახავად მოვიდა, თითქოს პირი შეკრეს. მე კი, თათით მახეში გაბმულს და ბრაზით აღსავსეს, მათი საყვედურები უნდა მესმინა. წრუწუნა გლოდიმაც კი მითხრა: პაპა, ჭკუით არ ყოფილხარ და რაც მოგივიდა, ახია შენზეო.

ჩაჩი ვესროლე და დავუყვირე:

— მოუსვი აქედან!

მარტო დავრჩი. ვერც ამან მომიყვანა გუნებაზე. ჩემმა კეთილმა მარტინამ დაიჟინა, ჩემი ლოგინი დუქნის უკანა ოთახში გადაეტანათ (გამოგიტყდებით, ეს ძალიან გამიხარდებოდა), მაგრამ თუ ერთხელ ვთქვი უარი, დასწყევლოს ეშმაკმა, ვეღარავინ გადამათქმევინებს. არც ის მეამებოდა ხალხს ვენახე ხეიბარი. მარტინა კი, ის აბეზარი, როგორც საერთოდ ბუზი და ქალი, ჯიუტად თავის აზრს უბრუნდებოდა; იმდენი რომ არ ელაპარაკა, შეიძლება დამეთმო კიდეც; მაგრამ მეტად ჯიუტობდა და თანხმობა რომ მეთქვა, დილიდან საღამომდე გამარჯვების ბუკსა და ნაღარას დაჰკრავდა; ამიტომ ვთხოვე, ცო-

ტა მოშორებით ესეირნა. რა თქმა უნდა, ყველა სეირნობდა ჩემს გარდა; მე სხვენზე დამტოვეს მარტოკა. ნუ წუწუნებ, კოლაკან, ასე უნდა მოგსვლოდა და ხურავის უჩივი. ეს შენ თვითონ გინდოდა!..

მაგრამ მიზეზს, ნამდვილ მიზეზს, რომლის გამოც ვკიუტობდი, არ ვამბობდი. იცით რა, როდესაც შინ კი არა, სხვასთან ხარ, გეშინია, არ შეაწუხო და არც მოვალედ გსურს დარჩე. რა თქმა უნდა, ეს ცუდი ანგარიშია, თუ გსურს ხალხს უყვარდე, თავი არ უნდა დაავიწყო. მეც ადვილად მივიწყებდნენ. რაკი არსად მხედავდნენ, არც ჩემს სანახავად მოდიოდნენ. თვით გლოდიმაც მიმატოვა. დაბლიდან მისი ტიტინი და სიცილი მესმოდა და მეც გულში ვიცინოდი. ვოხრავდი თანაც, რადგან მინდოდა მისი სიცილის მიზეზი გამეგო... უმადური ხარ-მეთქი, ბრალს ვდებდი, მაგრამ ვიცოდი, რომ მის ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი... „გაიხარე, ჩემო ლამაზო!“... კაცს რომ განძრევა არ შეუძლია, რამეთი ხომ უნდა გაერთოს. თუნდაც ნეხვზე მჯდარ იობივით იწყევლოს.

ერთ დღეს, როდესაც ჩემს ნეხვზე ვეგდე დაღონებული, პაიარი მეწვია. მართალი გითხრათ, თავაზიანად არ მიმიღია. ჩემს წინ, საწოლის ფეხთან ჩამოჯდა. ხელში დიდის მზრუნველობით შეხვეული წიგნი ეკავა. ცდილობდა საუბარი გაება, ხან ცისას მოჰყვა, ხან ბარისას. მაგრამ ამაოდ, გამეხებული სახით პირველსავე სიტყვაზე ვაწყვეტინებდი. არ იცოდა, რა ექნა, რა ეთქვა, ახველებდა, თითებს საწოლზე აკაკუნებდა. კმარა-მეთქი ვუთხარი. დადუმდა. განძრევასაც ვერ ბედავდა. ულვაშებში ვიცინოდი და ვფიქრობდი:

„ჩემო კარგო, ახლა ნანობ, არა? ფული რომ გესესხებინა, კალატოზობას არ დავიწყებდი, აი ფეხიც მოვიტეხე. აჰა! მიირთვი, დაიჭი! ძალიან კარგია! მოგეხსენება, ამ ყოფაში სწორედ შენმა წუწურაქობამ ჩამაგდო“

იჯდა საბრალო და ვერ ბედავდა ჩემთვის სიტყვა ეთქვა. მეც ვცდილობდი ენაზე კბილი დამეჭირა, მაგრამ ენა მეტად მექავებოდა და თავი ვერ შევიკავე. ვუყვირე:

— ამოიღე ეგ ხმა. თავი მომაკვდავის საწოლთან ხომ არ გგონია? დასწყევლოს ღმერთმა, კაცთან გასაჩუმებლად როდი მოდიან! ილაპარაკე, ანდა მოშორდი აქედან! თვალებს ნუ აბრიალებ. მაგ წიგნს მოეშვი. რა წიგნია?

საბრალო კაცი წამოდგა:

— ვხედავ, გაბრაზებ, კოლა, და ამიტომ მივდივარ; ეს წიგნი მოგიტანე... პლუტარქეა, „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება", ოქსერის ეპისკოპოსის ბატონ ჟაკ ამიოს მიერ გადმოფრანგულებული. ვიფიქრე...

(ჩანდა, საბოლოოდ კიდევ ვერ გადაეწყვიტა)...

— ...ეგებ მასში ჰპოვოს-მეთქი...

(ღმერთო! როგორ ეძნელებოდა!)...

— ...სიამოვნება და ნუგეში...

და მე, ვინც კარგად ვიცოდი, რომ მწერლობის ამ მოტრფიალეს ოქროზე მეტად თავისი წიგნები უყვარდა (როდესაც მის ბიბლიოთეკაში წიგნს ხელს შეახებდი, გაწამებული შეყვარებული კაცის ისეთ სიფათს მიიღებდა, რომ გეგონებოდათ უცქერის, თუ როგორ ჯგვლუმს ვიღაც ბრიყვი ბატონი მისი ლამაზის გულმკერდსაო), მსხვერპლის სიდიადემ ამაღელვა.

— ძმაკაცო, ჩემზე უკეთესი ხარ, მე კი ხვადაგი ვარ; ცუდად მოგექეცი. მოდი, მაკოცე.

მოვეხვიე, წიგნი გამოვართვი. აშკარად ეტყობოდა, რომ ბედნიერი იქნებოდა, წიგნი უკანვე რომ წაეღო.

— ხომ გაუფრთხილდები?

— არხეინად იყავი, სასთუმალთან მექნება.

სინანულით წავიდა. ეტყობოდა, გული საგულეს მაინც არ ჰქონდა.

* * *

ჰერონელ პლუტარქესთან ერთად დავრჩი. პატარა, ღიპიანი ტომი იყო, ათას სამას გვერდიანი, სიმაღლეზე მეტი სისქე ჰქონდა. მეიდროდ მიჯრილი და შეკრული სიტყვებით ისე იყო გატენილი, როგორც ხორბლით სავსე ტომარა.

აქ იმდენი სარჩოა, რომ სამმა ვიორმა სამ წელს შეუწყვეტლივ რომ ჭამოს, მაინც ეყოფა-მეთქი, გავიფიქრე.

ჯერ ყოველი თავის დასაწყისში მრგვალ მედალიონებში ჩასმულ გამოჩენილ პირთა ცქერით გავერთე: საუცხოო რამ იყო მოკვეთილი და დაფნის ფოთლებში გახვეული თავები; ოხრახუშის პატარა ღეროლა აკლდათ ცივირში. ვფიქრობდი:

„რისი მაქნისი არიან ეს ბერძნები და ეს რომაელები? ისინი ხომ მკვდრები არიან, მკვდრები, ჩვენ კი ცოცხლები ვართ. აბა, რა უნდა მითხრან ისეთი, რაც მათზე უკეთ არ მეცოდინება? ისა, რომ კაცი მეტად ბოროტი, მავრამ საინტერესო ცხოველია? ისა, რომ რაც უფრო ბერდება, მით უკეთესია ღვინო ანკარა, ქალი კი — არა. იაა, რომ ყველა მხარეში ბატონობს ძლიერის სუსტზე თარეში, და რომ სუსტსაც ეცინება, როცა ძლიერი გაებმება მახეში? ყველა ეს რომაელი ბაქია ლაზღანდარა გრძელსა და ბრტყელ სიტყვებს გეუბნება. მართალია, მეევრმეტყველი ხალხი ძალიან მიყვარს, მაგრამ წინდაწინვე ვაფრთხილებ, რომ მარტო მათ არ ვალაპარაკებ, როგორც მოვუკეტავ ჩარბს“...

მოწყალება ბოვიღე და წიგნს ფურცვლა დავუწყე. ხან აქ, ხან კიდევ იქ მივაპყრობდი მოწყენილ თვალს, თითქოს მდინარეში ანკესს ვაგდებდი. და აი, მეგობრებო, იმწამსვე გავები... როგორი ნადავლი ვიგდე ხელში, როგორი თევზი. წყლის ზედაპირზე მიკარებისთანავე ლივლივა ყვინთავდა და ამოჰყავდა თუ საუცხოო ჭანარი, თუ ქარიყლაპია! უცნობი თევზი, ოქროსი, ვერცხლისა, ნაირფერადი, ძვირფასი ქვებით მორთული, რომელნიც შუქს ისხლეტდნენ და ცეკავდნენ, ხტოდნენ, იჭიმებოდნენ, ლაყუჩებს არხევდნენ, კუღებს იქნევდნენ!.. ღმერთო! მე მკვდრები მეგონა!.. ახლა, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ვერაფერს შევამჩნევდი, ვერაფერს დავინახავდი, მე მხოლოდ ჩემს ანკესს მივშტერებოდი: იძირებოდა ლივლივა, ყვინთავდა ლივლივა! ნეტავ ამჯერად რომელი ურჩხული ამოვა წყლიდან? და აი, თხლაშ! ნემსკავს მოდებული მშვენიერი თევზი ჰაერში აფართხალდა. მზეზე ბრწყინავდა თეთრმუცლიანი, ჯავშანში ჩამჯდარი, მწვანე, ვითარცა თავთავი, ან ლურჯი, ვითარცა ქლიავი. დღეები, ამ წიგნის კითხვას რომ მოვანდომე (დღეები თუ კვირები?), ჩემი ცხოვრების სამკაულია. იკურთხოს ჩემი ავადმყოფობა!

იკუოთხოს ჩემი თვალები, რომელთა წყალობითაც ჩემში აღწევენ წიგნებში დატყვევებული აჩრდილები. დიახ, იკურთხოს ჩემი ჯადოქრული თვალები, რომლებიც შავ ჯოგად მოხეტიალე მეიდრო და მსუქანი ნიშნების გვირისტებში, გვერდების ორ არშიათა შორის აცოცხლებენ გამქრალ ჯარებს, დაქცეულ ქალაქებს, რომაელ მეევრმეტყველებს, პირქუშ რაინდებს, გმირებს და ლამაზმანებს, რომელთაც ეს გმირები თავის ნებაზე დაჰყავთ, ველად ძოთარეშე ქარიშხალს,

მზიურ და გაშლილ ზღვას, აღმოსავლეთის ცას და წარსულის თოვლიან მთას.

აი, ტახტრევანზე წამოწოლილი, ბებერი და ბუზღუნა მეომრებით გარშემორტყმული, გაფითრებული, ტანმორჩილი და სუსტი კეისარი, ღორმუცელა ანტონიუსიც, დიდძალი ხორაგით, ჟურჟლითა და კახპებით მიხდვრებს რომ სერავს და ჩასახეთქად რომელიმე მწვანე ჭალისკენ მიემართება, სვამს, არწყევს და ისევ სვამს, სადილად რვა ტახს ჭამს და ანკესით მარილიან თევზს იჭერს. აი, ქედმაღალი პომპეუსი, რომელსაც ფლორა ვნებიანად კბენს; ესეც პოლიორკეტე, თავისი ფართო თავსაბურავით და ოქროს მანტიით, რომელზეც დედამიწა და ციური ბაკმებია გამოსახული; აი, დიდი არტაქსერქსეც, რომელიც თავისი ოთხასი ცოლის შავ-თეთრ ჯოგზე ბუღასავით მეფობს; აი ბაბუსის ტანსაცმელში გამოწყობილი მშვენიერი ალექსანდრე მწვანე ტოტებითა და წითელი ხალიჩით მორთული რვაცხენიანი საომარი ეტლით ინდოეთიდან ბრუნდება ვიოლინოების, სტვირების და ჰობოების საამურ ხმაზე, ყვავილებით ქუდშემკულ სარდლებთან სვამს და ნადიმობს. მათ უკან მოსდევს ჯარი თასებით ხელში და თიკნებივით ხტუნია ქალები... და განა ეს არ არის საოცრება? თუ მესიამოვნება, ანტონიუსის, ალექსის თუ არტაქსერქსის .ცხვირწინ დედოფალ კლეოპატრას, მეფლეიტე ლამიას და ლამაზ სტატირას, ისე ლამაზს, რომ თვალს გჭრის, როდესაც უცქერი, აქვე ვეუფლები, მათთან ვნეტარებ და ვტკბები. ეკბატანში გამარჯვებული შეევდიეარ, თაისთან ერთად ვსვამ, როქსანესთან ვწვები და ზურგზე მოკიდებული მიმყავს ძონჭებში შეფუთული კლეოპატრა; ანტიოქიუსთან ერთად, სტრატონიკეს სიყვარულით გული რომ ელევა, მეც ჩემი დედინაცვლისადმი ვნებით ვდნები (საოცარია პირდაპირ), ვარბევ გალების ქვეყანას, მივდივარ, ვხედავ, ვიმარჯვებ და (რაც ყველაზე მეტად მსიამოვნებს) ყოველივე ამას ისე ვაკეთებ, რომ წვეთ სისხლსაც არ ვღვრი.

მდიდარი ვარ. ყოველი ამბავი კარაველაა, კარაველა, რომელსაც ჩემთვის ინდოეთიდან, ანდა ბერბერების ქვეყნიდან მოაქვს ძვირფასი ლითონები, ტიკებით ბეული ღვინო, საოცარი ცხოველები, ტყვეები... მშვენიერი ახალგაზრდები არიან! რა დიდებული მკერდები აქვთ! როგორი გავა! ყველაფერი ეს ჩემია, ჩემი, იმპერიები ჩემს გაასართობად დაბადებულან, გაზრდილან და დახოცილან...

ერთი ნახეთ, ეს რაღა კარნავალია? თითქოს რიგრიგობით ყველა

ეს ნიღაბი მე ვიყო. ვჰვრები მათ ტყავში, მათი სხეულის ნაწილებით ვამოსები, მათი ვნებებით ვინთები და ფერხულს ვუვლი. ერთსა და იმავე დროს ვარ მოცეკვავე, დირიჟორი და კეთილი პლუტარქე; და, რა თქმა უნდა, ყველა ეს იგავი მე დავწერე (უთუოდ იმ დღეს ზეშთაგონებული ვიყავ)... რა ნეტარებაა იგრძნო, რომ სიტყვების მუსიკა და ფრაზების ფერხული მიგაფრენს ტანჯვის, სხეულის ბოროკილებისა და სიბერისაგან თავისუფალ სივრცეში... სულო, ეს ხომ უფალი ღმერთია! დიდება სულიწმიდას!..

ზოგჯერ შუა კითხვაში ვჩერდები და გაგრძელებას თვითონვე ვთხზავ. მერე კი ბემი ფანტაზიის ნაყოფს ვადარებ იმას, რაც ხელოვნებას ან ცხოვრებას გაძოუძერწავს და ხელოვნების ქმნილების ქარაგმას ხშირად სწორად ვხსნი. ბებერი მელა ვარ, ყველა ოინს ვიცნობ და როდესაც მივაგნებ, ულვაშებში ვიცინი: მაგრამ, თუ მძერწავი ცხოვრება არის, უმეტეს შემთხვევაში ვცდები. ცხოვრება ჩვენს მზაკვრობას იცნობს და მას გვერდს უვლის. მისი ოინები კი ჩვეულებაზე უფრო ოსტატურია. ვახ! გიჟმაჟი ნათლიდედა!.. მხოლოდ ერთ რაზეზე თავს არ იწუხებს, ამბის ბოლო მუდამ ერთნაირია: ომები, სიყვარული, სიანცე, ყველაფერი მთავრდება კარგად ცნობილი ნახტომით ორმოში. და როდესაც აღწერს ასეთ სიავეს, იმეორებს ერთსადაიმავეს, როგორც ჭირვეული ბავშვი, რომელიც ამტვრევს უკვე მობეზრებულ სათამაშოებს. ვბრაზდები. ვყვირი: „უხეშო, საზიზღარო! ვაიმე! მე მომეცი, მე!“ ხელიდან ვართმევ... გვიანღაა! სათამაშო უკვე დამსხვრეულია და გლოდივით ვნეტარებ ჩემი დედოფალას ნამსხვრევების რწევით. და ეს სიკვდილი, როგორც საათის რეკვა ისრის ყოველ შემოვლაზე, ტკბილი მისამღერივით ჟღერს. დარეკეთ, ზარებო, დიდნო და პატარავ, იგუგუნეთ: დინგ, დინგ, დონ!

„მე ვარ კვიროსი, აზიის დამპყრობი, სპარსელების ბატონი და გეეედრები, მეგობარო, ნუ შეგშურდება ეს მუჭა მიწა, რომელიც საბრალო სხეულს მიფარავს“...

ამ ეპიტაფიას ალექსანდრეს გვერდით მდგომი ვკითხულობ; სხეული უძრწის მაკედონელს, სხეული, რომელიც მზადაა დატოვოს იგი, რადგან ჰგონია, რომ მიწიდან საკუთარი ხმა ესმის. ჰოი, კვიროს, ალექსანდრე! რა ახლობლები ხართ, როდესაც მკვდრებს გხედავთ!..

ვხედავ, თუ მესიზმრება?.. ვიჩქმიტე და თავს ვუთხარი: „ჰეი, კოლა! გძინავს, განა?“ ლოგინთან ახლო მდგარი პატარა მაგიდიდან

ორ მედალს ვიღებ (შარშან ვენახში ამოვთხარე), ამ მედლებზე გამოსახულნი არიან ჰერკულესად მორთული ბანჯგვლიანი კომოდი და ავგუსტა კრისპინა, რომელსაც მსუქანი ნიკაპი და მტაცებელი ფრინველის ცხვირი აქვს. ვამბობ: „არა, სიზმარში როდი ვარ, თვალები გახელილი მაქვს და რომი ხელის გულზე მყავს“...

რა სასიამოვნოა გუნებაში მორალზე ფიქრი, საკუთარ თავთან კამათი, მსოფლიო პრობლემების გადასინჯვა, პრობლემებისა, რომლებიც უხეშმა ძალამ უკვე გადაჭრა, რუბიკონზე გადასვლა. არა, ნაპირზე შეჩერება... გადავალთ თუ არა? საამო არის ებრძოლო ბრუტუსს, ან თვით კეისარს, მისი აზრისა იყო, მერე დიდის მჭევრმეტყველებით საწინააღმდეგო ამტკიცო და ბოლოს ისე დაიბნე, რომ არ იცოდე, ვისი მომხრე ხარ! ამას რა სჯობია. აზრებით სავსე გაქვს თავი. ამბობ გრძელ სიტყვებს, ამტკიცებ, ცდილობ დაამტკიცო, უპასუხებ, ესიტყვები, ხელჩართული ბრძოლა გაგიმართავს, აბა, თუ ბიჭი ხარ, აიცდინე ეს მოქნევა!.. საბოლოო ჯამში, დაქანცული ხმალზე რჩები წამოცმული.... შენ თავს თვითონვე ამარცხებ! გაოცებული ვარ... პლუტარქეა ყველაფერში დამნაშავე. ისეთი ოქროპირია და ისე გულთბილად გეტყვით ხოლმე: „ჩემო მეგობარო“, რომ ყოველთვის მისი აზრისა ხართ, აზრი კი იმდენი აქვს, რამდენიც მოთხრობა. მოკლედ, მისი გმირებიდან ყველაზე მეტად უთუოდ ის მომწონს, ვისი ამბავიც უკანასკნელად წავიკითხე. ერთი სიტყვით, ისინიც ჩვენსავით ერთ ქალგმირს ემორჩილებიან, მის ეტლში არიან გაბმულნი... პომპეუსის გამარჯვებანი რანი არიან მის გვერდით?.. ისტორიას სწორედ ის ქალგმირი წარმართავს. მე ფორტუნაზე მოგახსენებთ. მისი ბორბალი ბრუნავს, ტრიალებს და ვერასოდეს ვერ ნახავთ „მთვარესავით ერთსა და იმავე მდგომარეობაში“, როგორც ამას ამბობს სოფოკლესთან რქოსანი მენელაოსი. და ეს კიდევ მეტად სანუგეშოა სწორედ იმათთვის, ვისაც თავი არ დაუღწევია ახალი მთვარისათვის.

ხან ჩემს თავს ვეუბნები: „მეგობარო ბრონიონ, რა ჩემ ცოდვად გაინტერესებს ყოველივე ეს? ერთი მითხარი, გეთაყვა, რომის დიდებასთან რა გესაქმება? და მით უფრო, რა ხელი გაქვს მაგ დიდი ყაჩაღების სიგიჟესთან? შენ შენიც გეყოფა, შენზე გამოუკრიათ. საქმე შემოგელია, რომ ზურგზე იკიდებ თვრამეტი საუკუნის წინ გარდაცვლილ ადამიანთა მანკსა და უბედურებას? გამოტყდი, ბიჭო (ამას ქადაგებს ბატონი ბრონიონი, დარბაისელი და წესიერი კლამსელი

ფილისტერი), რომ შენი კეისარი, ანტონიუსი და მათი ჯახპა კლეო, შენი სპარსელი ხანები, რომელნიც საკუთარ ასულებს ცოლად ირთავენ, ძეებს ყელს სჭრიან, საზიზღარი არამზადები არიან. დიდი ხანია, რაც დაიხოცნენ და ამქვეყნად ამაზე უკეთესი არაფერი უქნიათ. მოასვენე მათი მტვერი. არ მესმის, რა სიამოვნება უნდა ჰპოვოს ხნიერმა კაცმა ასეთ სისულელეებში? ერთი შენს ალექსანდრეს შეხედე, არ გაბრაზებს განა, თავის რჩეულ ლამაზ ჰეფესტიონეს დასაკრძალავად ერის საუნჯეს რომ ხარჯავს? ხოცვა-ჟლეტას კიდევ აპა უშავს რა. ადამიანთა ჯილაგი მრუდი, თესლია ცუდი. მაგრამ ფულის ფლანგვა როგორ იქნება? აშკარაა, რომ სალახანებს მის საშოვნელად ოფლი არ დაუღვრიათ. შენ რა, გგონია ვხუმრობ? თვალებს აბრიალებ და ისე იბღინძები, თითქოს ეგ ფული შენ დაგერიგებიხოს! რომ დაგერიგებინა, დიდი გიჟი იქნებოდი. ისე კი, ორმაგადა ხარ გიჟი, რაკი გახარებს სიგიჟე სხვისი".

ვუპასუხებ: „ჩემო ბრონიონ, ოქრო ამოგდის პირიდან, მუდამ მართალი ხარ. მაგრამ თანახმა ვიქნებოდი, გავეწკეპლე ასეთი სისულელეებისათვის. ორი ათასი წლის წინათ გარდაცვლილთა აჩრდილების ძარღვებში უფრო მეტი სისხლი სჩქეფს, ვიდრე ცოცხლებისაში. ვიცნობ და მიყვარს ისინი. სიხარულით დავთანხმდებოდი ალექსანდრეს, მოვეკალი, თუ მერე კლიტუსივით დამიტირებდა. სუნთქვა მეკვრია, როდესაც ვხედავ სენატში კეისარს, რომელიც მოღერებულ ხანჯლებს შორის ისე ბორგავს, როგორც ბაზიერებითა და ძაღლებით შემოხვეული ნადირი. პირდაფჩენილი ვუყურებ, როდესაც თავის ოქროს კარჭაპის გემსართავზე მიყრდნობილი, ნერეიდებითა და ამურებივით ტიტველი, ლამაზი და პატარა პაუებით გარშემორტყმული კლეოპატრა მიცურავს; ნესტორებს ვბერავ, რათა უკეთ ჩავისუნთქო სურნელოვანი ნიავი. ბოჩოლასავით ვბღავი, როდესაც გასისხლიანებულ, მომაკვდავ და გათოკილ ანტონიუსს კოშკის სარკმლიდან გადმოხრილი მისი ტურფა მთელის ძალით მაღლა ეზიდება (ოღონდაც... მეტად მძიმეა!.. ოღონდ ხელიდან არ გაუვარდეს). საბრალოს მისკენ აღუპყრია ხელები"...

ნეტავ რა მაღელვებს, ან რა მაკავშირებს მათთან, ჩემიანებად რად მიმაჩნია? ისინი ჩემი ოჯახის წევრები არიან, ისინი მე ვარ, ისინი ადამიანები არიან.

როგორ მეცოდებიან გაუბედურებულნი, საბრალონი, რომელთაც

წიგნის ყადრი არ იციან! არიან ისეთებიც, რომლებიც ქედმაღლურად აძაგებენ წარსულს და აწმყოთი კმაყოფილდებიან. სულელი ბეიტები! ცხვირს იქით ვერას ხედავენ... დიახ, ბატონო, კარგია აწმყო: მაგრამ ჯანაბა და დოზანა, ყველაფერი კარგია, ორივე ხელით ვწვდები ყველაფერს და გაშლილ სუფრას არ ვერიდები. თქვენც რომ გასინჯოთ, დაიწუნებთ გგონიათ? და თუ დაიწუნებთ, მეგობრებო, ცუდი კუპი გქონია:თ. მესმის, რაც ჩაიხუტე, გყავდეს ჩახუტებული. მაგრამ თქვენ ჩახუტებაც არ იცით. ამიტომ არის თქვენი ტურფა დაიჭლეევებული. ცოტა და ტკბილი რას მეყოფა. მირჩევნია ბევრი და ტკბილი... აწმყოზე ჩამოკიდება, მეგობრებო, შეიძლებოდა ბებერი ადამის დროს, რომელიც ტიტველი იმიტომ დადიოდა, რომ ტანსაცმელი არ ჰქონდა და რაკი არაფერი ენახა მეტი, შეეძლო ჰყვარებოდა მხოლოდ თავისი დედალი ფერდი, მაგრამ, ჩვენ, ვისაც წილად გვხვდა მის შემდეგ მოვსულიყავით დოვლათით სავსე სახლში, სადაც ჩვენმა მამებმა, პაპებმა და პაპის პაპებმა დააგროვეს, თავი მოუყარეს ყოველივე იმას, რაც იშოვეს და გააკეთეს, განა გიჟები არ ვიქნებოდით, დაგვეწვა ჩვენი ბეღლები იმიტომ, რომ მინდვრები კიდევ გვაძლევენ ხორბალს!.. ჩვენი წინაპარი ადამი ყმაწვილი იყო, მოხუცი ადამი — ეს მე ვარ: რადგან მეც იგივე ადამიანი ვარ და მის შემდეგ გავიზარდე. ჩვენ ერთი და იგივე ხე ვართ, მხოლოდ მე უფრო მაღალი გავიზარდე. და რომელიმე ტოტის ჭრილობას მთელი ფოთლეული გრძნობს. მსოფლიოს სევდა და სიხარული ჩემი სევდა-სიხარულია. თუ ვინმე იტანჯება, გული მტკივა, თუ ბედნიერია, ვიცინი. წიგნებში უფრო ნათლად ვგრძნობ, ვიდრე ცხოვრებაში იმ ძმობას, რომელიც ყველას გვაკავშირებს, კურტნოსნებსაც და გვირგვინოსნებსაც, რადგან ერთისაგანაც და მეორესაგანაც რჩება მხოლოდ ნაცარი და ალი, ალი, რომელსაც ჩვენი სულის ნაღები უწოვია და ასე ერთი და მრავალსახიანი, ზეცისკენ მიჰქრის და თავისი სისხლიანი პირის ათასი ენით მღერის დიდებას ყოვლისა შემძლებელისა...

* * *

ასე ვოცნებობ ჩემს სხვენზე. ქარი დგება. სინათლე ქრება. თოვლი ფრთების წვერით ფანჯარას ეხახუნება. სიბნელე მოიპარება. თვალები მემღვრევა. ჩემს წიგნზე ვიხრები, თხრობას მივყვები, თხრობას, რომელიც გარბის ღამეში. ქაღალდს ცხვირს ვადებ: და როგორც

ნადირის ნაკვალევზე მეძებარს, ადამიანის სუნი მცემს. ღამდება. ღამე ჩამოწვა. თოვს. ჩემი ნადირი გამირბის შორს. მეც მივდევ. ბუა ტყეში ვჩერდები და სირბილისაგან გულამოვარდნილი ვუსმენ გაქცეულს. სიბნელეში კარგად რომ დავინახო, თვალებს ვხუჭავ და ჩემს ლოგინზე უძრავად გაწოლილი ვოცნებობ. არ მძინავს, ფიქრებში ვიქექები და დროდადრო სარკმლიდან ზეცას ვუყურებ. მკლავი თუ გავშალე, მინას ვეხები; ვხედავ აბანოზის გუმბათს, კუდიანი ვარსკვლავის სინსლიანი წვეული რომ ჰკვეთს... და ვინ იცის, კიდევ რაღას არ ვხედავ. ცეცხლის წვიმა ბოდის ნოემბრის ღამეში და მაგონდება კეისრის ვარსკვლავმორბედი. შეიძლება, ეს სწორედ კეისრის სისხლია, ცაზე ჩუხჩუხით რომ მოედინება...

ისევ გათენდა. ისევ ვოცნებობ. კვირა დღეა. ზარები მღერიან. მათი გუგუნი ათრობს ჩემს ფანტაზიას. პირამდე ავსებს მთელ სახლს და წიგნი (ვაი! საბრალო პაიარი!) ჩემი წარწერებით ჭრელდება. ოთახში გაისმის ეტლების ბორბალთა გრუხუნი, ჯარების ხმაური, საყვირის ხმა და ცხენების ჭისვინი. ზანზარებს მინები, მიწივის ყურები, გული მისკდება და საცაა შევძახებ: Ave, Caesar imperator!

ჩემს სანახავად ამოსული სიძე ფლორიმონი ფანჯარაში იყურება. ხმაურით ამთქნარებს და ამბობს:

— დღეს კატასაც ვერ შეხვდები ქუჩაში.

XIV

მეფე ქეიფობს

წმინდა მარტენის დღესასწაული (11 ნოემბერი).

დღეს დილიდან რაღაც საოცარი ნეტარება იგრძნობა. იგი ფაფუკი კანის ალერსივით დაგოგავდა ჰაერში, მოსიყვარულე კატასავით გელაქუცებოდა და ოქროსფერი მუსკატივით ფანჯრიდან მოკამკამებდა. ცას თავისი ლრუბლიანი ქუთუთოები აეწია და მშვიდი და ბაცი ლურჯი თვალებით მიცქეროდა; სახურავიდან მზის ქერა სხივი მიცინოდა.

ბებერი ჩურჩუტი თავს მოთენთილად ვგრძნობდი, ჭაბუკივით მეოცნებე ვიყავი (დაბერებაზე უარი ვთქვი, წლებს უკან დავბრუნდი და თუ ასე გაგრძელდება, მალე ბალღი გავხდები), გული სავსე მქონდა ქიმერული მოლოდინით ისევე, როგორც კეთილ როჟეს, თვალი ალსინაზე რომ უჭირავს. ყველაფერს გულაჩუყებული ვუცქეროდი. დღეს ბუზსაც არ ვატკენდი გულს. ოინების ქიშელაც დამეცალა.

და აი, ამ დროს, როდესაც თავი მარტო მეგონა, კუთხეში მიმჯდარი მარტინა დავინახე. მისი მოსვლა არ შემიმჩნევია. ჩვეულების მიუხედავად, არაფერი უთქვამს; თავისთვის მოწყობილა და ხელსაქმეთი გართული არც მიყურებდა. მომინდა სხვებისთვის გამეზიარებინა ჩემი ნეტარი განწყობილება და ალალბედზე ვიკითხე (ბაასი რომ გაბა, ყველა თემა კარგია):

— ამ დილით რატომ დარეკა დიდმა ზარმა?

მარტინამ მხრები აიჩეჩა და მიპასუხა:

— დღეს წმინდა მარტენის დღესასწაულია.

ციდან ჩამოვვარდი. ოცნებაში წასულს ჩემი ქალაქის მფარველი დამვიწყებია! ვთქვი:

— წმინდა მარტენის დღესასწაულია განა?

მყისვე თვალწინ დამიდგა პლუტარქეს ვაჟბატონებისა და ქალბატონების დასში, ჩემს ახალ მეგობართა შორის, ძველი ძმაკაცი (ის მათი ტოლია), თვალწინ დამიდგა მხედარი, ხმლით საკუთარი სამოსის ბკვეთავი.

— ჰეი! ძმაკაცო, მარტენ, როგორ ამებნა გზა-კვალი, რამ დამავიწყა, რომ დღეს შენი დღეობაა!

— გიკვირს განა? — მეუბნება მარტინა, — დიდი ხანია, რაც ყველაფერი დაგავიწყდა; დაივიწყე მოწყალე უფალი, ოჯახი, ავი სულები და წმინდანები, მარტენიცა და მარტინაც. ყველაფერი დავიწყებას მიეც, შენი წყეული წიგნების გარდა.

გამეცინა, დიდი ხანია შევნიშნე მისი გაბოროტებული მზერა, როდესაც დილ-დილაობით პლუტარქთან მძინარეს მნახავდა. ქალს უაიგარო სიყვარულით წიგნი არასოდეს ჰყვარებია. წიგნში ის ან მტრებს, ან საყვარლებს ხედავს. ქალიშვილები თუ ქალები კითხვისას ავბორცობენ. მამაკაცს ღალატობენ. და ამიტომ, როდესაც ხედავენ, რომ წიგნებს ვკითხულობთ, ღალატს გვწამებენ.

ასე ვუთხარი:

— მარტენის ბრალია: ალბათ სადღაც იმალება, ლაბადის დარჩენილ ნახევარს უფრთხილდება; არ არის ლაძაზი. იცი რა, ჩემო გოგონა, ხალხს ცხოვრებაში თავი არ უნდა დაავიწყო. ივიწყებენ მას, ვინც ივიწყებს თავს. ეს გაკვეთილი კარგად დაიხსომე.

— ეს გაკვეთილი მე არ შეირდება, — მითხრა მარტინამ, — სადაც უნდა ვიყო, ყველას ვახსოვარ.

— მართალია, ყოველთვის გხედავენ; უფრო კი შენი ხმა ესმით, დღეს კი რამ დაგიდუმა მაგ ენა. დღესაც, ჩვეულებრივ, ჩხუბს ველოდი; რად მომაკელი სიამოვნება, მოდი, მეჩხუბე.

მაგრამ მარტინას თავიც არ აუწევია, ისე მითხრა:

— შენზე არაფერი ჭრის და მეც ჩუმადა ვარ.

მის ჯიუტ სახეს ვუყურებდი, დავინახე, საკერავის ნაწიბურის შემოტეხვის დროს როგორ წაიკვნიტა ტუჩი. ნაღვლიანი და დაჩაგრული ჩანდა. ჩემმა გამარჯვებამ გული მატკინა.

ვუთხარი:

— მაკოცე მაინც. თუ მარტენი დამავიწყდა, მარტინა არ დამვიწყებია: შენი დღეობაა და საჩუქარიც მოგიმზადე. მოდი, წაიღე.

კოპები შეიკრა და მითხრა:

— საზიზღარო ხუმარავ!

— არა ვხუმრობ, — ვუთხარი მე, — მოდი და ნახავ.

— არა მცალია.

— უგულო შვილო, მამის საკოცნელად არა გცალია?

უხალისოდ წამოდგა. უნდოდ მომიახლოვდა:

— ვიიონის რომელ კვანტსა და ოინს მიმზადებ კიდევ?

მკლავები გავშალე. ვუთხარი:

— აბა, მაკოცე.

— საჩუქარი? — მკითხა ქალმა.

— აი ისიც, მიიღე, საჩუქარი მე ვარ.

— კარგი საჩუქარი კია ეს ლამაზი ჩიტუნია!

— გონჯია თუ ლამაზია, რაც გამაჩნია, შენთვის მიჩუქნია! ხელები ამიწევია. უსიტყვოდ ვეთანხმები შენს ნება-სურვილს. რაცა გსურს, მიყავი.

— მაშ, თანახმა ხარ, ქვევით ჩამოხვიდე?

— ხელფეხშეკრული გნებდები.

— და თანახმა ხარ, დამემორჩილო, გვიყვარდე, დაგიჩოქოთ, გაგიწყრეთ, განებივროთ, მოგიაროთ და დაგამციროთ?

— ყველაფერზე თანახმა ვარ.

— ოჰ! ღმერთო ჩემო, როგორ ვიყრი ჯავრს! ოჰ! საყვარელო ბებრუცუნა! ბორიტო ბიჭო! რა კარგი ხარ, რა კარგი! ბებერო ჯიუტო! რამდენი მაბრაზე!

მკოცნიდა. მანჯღრევდა ფუთასავით და ჩვილი ბავშვივით მკერდზე შიკრავდა.

ერთი საათიც არ დაიცადა. მყისვე შეეფუთეს და თეთრი ჩაჩით თავმოსილმა ფლორიმონმა და მისმა ქარგლებმა ვიწრო კიბით დაბლა. ნათელ ოთახში ჩამიყვანეს და ფართო ლოგინზე დამაკრეს. მარტინამ და გლოდიმ აქეთ-იქით საბანი ამომიკეცეს, მასხარად ამიგდეს და ოცჯერ გამიმეორეს:

— ახლა ხომ გაები, გაები, არა? მოკაკვე თითი, ბებერო მასხარა.

რა საამურია, როგორ გამოიდარა!

ამ დღიდან მოსვენება დავკარგე. სიამაყე ნაგავში გადავაგდე და ბებერი ბაჯაჯღანა მარტინას დავემორჩილე. ისე კი, შეუმჩნეველად ოჯახს მე ვმართავ.

* * *

ახლა მარტინა ხშირად ჩემს გვერდით მოიკალათებს და ვსაუბრობთ, ვიგონებთ, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ასე ერთმანეთის გვერდით როგორ ვისხედით ხოლმე, ოღონდ ფეხგაკრული ის იყო, რადგან ერთ ღამეს (აჰ! შეყვარებული ფისუნია!) შეყვარებულთან პაემანზე მიეჩქარებოდა და ფანჯრიდან გადახტომისას ფეხი იღრძო. მის მტკივან ფეხს არ მოვერიდე და ზურგი ავუჭრელე. ამ მოგონებაზე ახლაც იცინის, მეუბნება, რომ საკმაოდ არ მიტკეპია; მაგრამ მაშინ რამდენი არ ვბეგვე. რამდენი არ ეუდარაჯე, თუმცა გარწმუნებთ, კარგი გაქნილი ვინმე ვარ, ათჯერ ჩემზე გაქნილი აღმოჩნდა და ეს კუდიანი ხელიდან მიძვრებოდა. ოღონდ არც ისე სულელი გამოდგა, როგორც მეგონა. თავი არ დაუკარგავს, დანარჩენზე ეერაფერს გეტყვით, არაფერი ვიცი, მხოლოდ ეს კია, რომ თავი უდაოდ მისმა შეყვარებულმა დაკარგა, რადგან მისი ქმარი განდა.

ჩემთან ერთად თავის ოინებზე იცინის და ოხვრით ამბობს, რომ გათავდა სიცილი, ტყეში დაფნა მოიჭრა და იქ ვეღარ წავალთ. ვლაპარაკობთ მის ქმარზე. როგორც გონიერი ქალი, ქმარს პატიოსან კაცად თვლის. რიგიანი კაცია, მუყაითი, ცოტა უხასიათობა კი სჭირს, მაგრამ რა ვუყოთ. ბოლოს და ბოლოს, ქორწინება გართობა ხომ არაა.

— ეჰ, ყველამ იცის, — ამბობს ის, — და ყველაზე უკეთ შენ მოგეხსენება, რომ ეგ აგრეა და რას იზამ, უნდა შეურიგდე. ისეთივე სისულელეა სიყვარულის ძებნა ქმარში, როგორც საცერით ჩამჩვა წყალში. გიჟი როდი ვარ; რაც არ გამაჩნია, იმას არ ვტირი, რაცა მაქვს, იმითაც კმაყოფილი ვარ. მომწონს რაც მაბადია, თავს არ ვიტანჯავ... ახლა კი ვხედავ, რა შორსაა ის, რაც გვინდა, იმისაგან, რაც შეგვიძლია, რაზედაც სიკაბუკეში გვიოცნებია, რითაც ბედნიერი ვიქნებოდით სიბერეში. და სასაცილოა, თუ აპაღელვებელი, ზუსტად ვერ გეტყვით, რომელი. ეს იმედები, სასოწარკვეთა, მგზნებარება, მოთენთილობა, სურვილები და ეს ბუხრის მშვენიერი ცეცხლი, რათა ავაჩუხჩუხოთ კერძი ქოთანში და ჩავატანოთ გემო ჭამაში!.. მართლაც რა გემრიელია, მეტის ღირსი არა ვართ... მაგრამ წინათ ჩემთვის ეს რომ ეთქვათ!.. თუმც საჭმლის შესანელებლად ბოლოს მაინც გვრჩება ჩვენივე სიცილი; ეს საუცხოო სანელია, ქვასაც შეგაჭმევს; კიდევ კარგი, რომ სიცილს არასოდეს უღალატნია ჩემთვის, ისევე როგორც შენთვის, მამილო.

და, რა თქმა უნდა, სიცილს არ ვიკლებთ, დავცინით ჩვენს თავს, მოყვასს კი მით უმეტეს. ხანდახან გავჩუმდებით, მე ჩემს წიგნში ჩავყოფ ცხვირს, მარტინა თავის ხელსაქმეში და ვოცნებობთ. მაგრამ ჩვენი ენები მიწისქვეშა ნაკადულებივით განაგრძობენ დუდუნს და უცბად მზის სინათლეზე ხტუნვით ამოჩქეფენ... შუა დუმილში მარტინა ატეხს მხიარულ სიცილს და ჩვენი ენები კვლავ როკვას იწყებენ.

შევეცადე ჩვენს მარაქაში პლუტარქეც გამერია. მსურდა მისი მშვენიერი მოთხრობები მარტინასაც მოესმინა და თან რა კარგად ვკითხულობდი, ისიც გაეგონა. თქვენც არ მომიკვდეთ... მას ისე აინტერესებდა საბერძნეთი და რომი, როგორც შარშანდელი თოვლი. მაშინაც კი, როდესაც ზრდილობისათვის მოსმენას ცდილობდა, ერთი წუთის შემდეგ მისი აზრი სადღაც შორს მიქროდა, თუმცა, რალა შორს, ბინაში ოჯახურ საფიქრალს დასტრიალებდა. და ზუსტად იმ

დროს, როდესაც წარმტაც ადგილს მივადგებოდი, რომლისთვისაც მღელვარება საგანგებოდ მქონდა შეინახული და ვემზადებოდი ხმის კანკალით წამეკითხა დასასრული, უცბად შემაწყვეტინებდა და სახლის მეორე კუთხეში რაღაცას გასძახებდა გლოდის ან ფლორიმონს. მწყინდა და ბოლოს კითხვას მოვეშვი. გაბა შეიძლება მოსთხოვო ქალს გაინაწილოს ჩვენი ფუჭი ოცნებანი. ქალი მამაკაცის ნახევარია. კი მაგრამ, რომელი? ზედა თუ ქვედა? არ ვიცი, ერთი კი ცხადია, ტვინი საერთო არ უნდა გვქონდეს. ჭკუა ყოველ ჩვენთაგანს საკუთარი აქვს, საკუთარი სისულელეების ყულაბა. ისევე როგორც შტამბის ორი ნაყარი, ერთმანეთს გულებით ვეზიარებით.

ასეთი ზიარება ძალიან მიყვარს და თუმცა ბებრუცუნა ვარ, დამჭკნარი, ხეიბარი და ვალაუვალი, ისეთი ეშმაკის თავი გახლავართ, რომ თითქმის ყოველდღე მეზობელი ლამაზმანების ახალგაზრდული გვარდია გარს მახვევია; ჩემს ლოგინს შემოუსხდებიან და ჭუკჭუკობენ. თითქოს იმისთვის მოდიან, რომ მითხრან ახალი ამბავი, დახმარება ან რომელიმე ხელსაწყო მთხოვონ. მოსასვლელად ყოველი საბაბი კარგია, მხოლოდ იმ პირობით, რომ მოსვლისთანავე დაივიწყონ. და აი თვალციმციმა გიემა, ლამაზცხვირიანი ჰუგეტა, ნაზი ეაკოტა, მარგერონა, ალიზონა, ყილეტა და მასეტა ბოჩოლას თბილი საწოლის ირგვლივ მოკალათდებიან და თარიალალე, სარეკელასავით ვარაკუნებთ. ვიცინით, ნათლიდედავ, ან რატომ არ უნდა ვიცინოთ? ღმერთო ჩემო, როგორი ზარების რეკვაა! და რა თქმა უნდა, დიდი ზარი მე გახლავართ, ჩემს ქიშელაში კიდევ მაქვს შემონახული კვიმატიანი ამბები, ზუსტად საჭირო ადგილს რომ ულიტინებენ: მერედა. რა კარგია მზერა იმისა, თუ როგორ ელევათ ნეტარებისაგან გული. მათი სიცილი ქუჩაში ისმის, ჩემი წარმატებით გულნატკენი ფლორიმონი მთხოვს, ერთი მითხარი, რითი ხიბლავ ამ ქალებსო. ვეუბნები:

— რითი ვხიბლავ? სიჭაბუკით, ძველო.

გულნაწყენი ამბობს:

— და კიდევ შენი ცუდი სახელით. ბებერ მექალთანეებს დედლები მუდამ გარს ეხვევიან.

— რაღა თქმა უნდა, — ვეუბნები მე, — გაბა ჭარმაგ მეომარს პატივს არ სცემენ? ყველა ჩქარობს მის ნახვას; ამბობენ, მან დიდე-

ბის ქვეყანაში იომაო. ეს ლამაზები კი კულში ფიქრობენ: „კოლამ სიყვარულის მხარეში იომა, იცნობს სიყვარულს, ვინც გვიცნობს... და ვინ იცის, კოლა არის კოლა, იქნებ კიდევ მოახერხოს ბრძოლა“.

— ბებერო ოინბაზო! — ყვირის მარტინა, — ერთი ამას დაბიბედეთ, სალახანავ, სიყვარულზე ფიქრობ განა?

— რატომაც არა! კარგი აზრია, მე და ჩემმა ღმერთმა! და რომ გაგაბრაზოთ, ავდგები და ცოლს მოვიყვან.

— ძალიან კარგი. მოიყვანე, ბიკო! ხომ უნდა დაღვინდეს მაჭარი!..

წმინდა ნიკოლოზის დღეობა
(6 დეკემბერი).

წმინდა ნიკოლოზის დღეობაზე ლოგინიდან ამაყენეს, სავარძელში ჩამსვეს და მაგიდის ახლოს ფანჯარასთან დამაბრძანეს. ფეხქვეშ სათბურა დამიდეს, წინ კი სანთლისათვის ნახვრეტიანი შერხი დაჰიდგეს. ათ საათზე მენავეთა საძმომ, „მეტივეებმა“ და მუშებმა, „ძდინარის ქარგლებმა“, ხელი-ხელ გაყრილებმა, ბაირაღით ხელში, ვიოლინოთი და ცეკვით ჩვენი სახლის წინ ჩაიარეს. ეკლესიაში მისვლამდე სამიკიტნოებში შეევლოთ. რომ დამინახეს, ტაშის გრიალით მომესალმნენ. ავდექი, ჩემს მფარველს თაყვანი ვეცი. სალმით შიპასუხა. ფანჯიდან ხელი გავუწოდე მათ გაშავებულ თათებს და დაფჩენილი ხორხების ძაბრში არაყი ვასხი (თითქოს მინდორსე წვეთი დავასხი).

შუადღეს მოსალოცავად ჩემი ოთხი ვაჟიც მოვიდა. რა ცუდ გუნებაზეც არ უნდა იყო, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა დაივიწყო: მამის დღეობა წმიდათაწმიდაა: ეს არის ღერძი, რომელზედაც ფუტკრის ნაყარივით ჰკიდია ოჯახი: ამ დღის აღნიშვნით ოჯახი მჭიდროვდება, მტკიცდება, ოჯახი სიმტკიცეს მოითხოვს, ეგ შეც საჭიროდ მიმაჩნია.

ასე რომ, ამ დღეს ჩემთან შეიკრიბა ჩემი ოთხი მამაცი ვაჟკაცი. მართალია, ეს დიდად არ ახარებდათ. ერთმანეთი არ უყვარდათ; ვფიქრობ, მათი ერთადერთი შემაკავშირებელი მე ვარ. ჩვენს დროში ყველაფერი ის, რაც ოდესღაც ადამიანებს აკავშირებდა, ირღვევა:

ხალი, ოჯახი, სარწმუნოება; ყველას ჰგოხია, რომ მართალი მხოლოდ თვითონაა და ყველა თავისთვის ცხოვრობს. არასოდეს არ დავემსგავსები იმ მოხუცს, ვისაც ყველაფერი აშფოთებს, ყველაფერზე ბუზღუნებს, ღობე-ყორეს ედება და ფიქრობს, რომ ქვეყანა მასთან ერთად დაიღუპება. ქვეყანა მოახერხებს გაჭირვებისაგან თავის დაღწევას და ახალგაზრდებმაც ბებრებზე უკეთ იციან, თუ რა სჭირდებათ. ბებრის ხვედრი უმადურია. მის ირგვლივ ქვეყანა იცვლება და თუ თვითონაც არ შეიცვალა, უადგილოდ დარჩება! მაგრამ მე ასე არ მესმის. ჩემს სავარძელში ვზივარ და ჰაი! ჰაი! აქედან არსად მივდივარ. და თუ აქ დასარჩენად აზრის გამოცვლა იქნა საჭირო, გამოვიცვლი, მაგრამ ამას მოკახერხებ ისე, რომ დავრჩები იგივე, რაც ვიყავ, მანამდე კი სავარძლიდან ვუყურებ, როგორ იცვლება კაცობრიობა და როგორ დაობს ახალგაზრდობა; აღფრთოვანებული მალულად ვუცქერი, ვით სულიწმიდა, და, დროს ვიხელთებ თუ არა, იქით წავიყვან, საითაც მინდა...

ჩემი ვაჟკაცები ჩემ წინ მაგიდას შემოუსხდნენ: მარჯვნივ — ღვთისმოსავი მუზმუზელა ჟან-ფრანსუა, მარცხნივ — ლიონს გადახვეწილი ჰუგენოტი ანტუანი. უშნო საყელოებში კისრები გაშეშებიათ, კუდუსუნებით სკამებს მიჰკვრიან, სხედან და ერთმანეთს არ უყურებენ. სიცოცხლით სავსე, ლოყაფუნჩულა და თვალებცქრიალა ჟან-ფრანსუა ღიმილით სულ თავის საქმეებზე ლაპარაკობდა, თავის სიმდიდრით ტრაბახობდა, მიღწევებით ბაქიობდა, ადიდებდა თავის ქსოვილებს და ღმერთს, რომელიც ქსოვილების გაყიდვას შველოდა. ულვაშებგაპარსული, ვაცივით წვერქიცინა, დაღვრემილი, ცივი და სარივით სწორი ანტუანი თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა წიგნებით ვაჭრობაზე, ქენევაში მოგზაურობაზე, საქმიან და რელიგიურ კავშირებზე და ისიც ადიდებდა ღმერთს, მაგრამ მეორეს, რომელიც არ იყო ჟან-ფრანსუასი. ბაასობდნენ რიგრიგობით, ერთმანეთს არ უსმენდნენ და ორივე თავის გალობას ამბობდა. ბოლოს განაწყენებულებმა ისეთ თემაზე დაიწყეს ბაასი, რომელსაც შეეძლო მოთმინებიდან გამოეყვანა თანამოსაუბრე; ერთმა ჭეშმარიტი რელიგიის წინსვლაზე ჩამოაგდო სიტყვა, მეორემ — ნამდვილი რელიგიის გამარჯვებაზე; და თანაც ერთმანეთს ყურადღებას არ აქცევდნენ; უძრავად, თითქოს კისერი გაშეშებიათო, გაბრაზებულები მჭახე ხმით ყიყინებდნენ, მოწინააღმდეგის ღმერთს აგინებდნენ.

მათ შორის იდგა ჩემი მესამე ვაჟი, სასერმორის ათასეულის სერჟანტი, დიდი არამზადა ემონ-მიშელი — (ცუდი ბიჭი როდია). ძმებს რომ უყურებდა, ხარხარებდა, მხრებს იჩეჩდა, ადგილზე ვერ ჩერდებოდა, გალიაში გამომწყვდეული მგელივით ტრიალებდა, მინებზე აკაკუნებდა ან ღიღინებდა: „ოკო-ჰო, ჰო-ჰო“, მერე გაჩუმდებოდა, ორივე ძმას შეათვალიერებდა, პირში დასცინოდა, ანდა უხეშად სიტყვას ართმევდა და ეუბნებოდა: „ცხვარი, დადაღული იქნება თუ არა წითელი ან ლურჯი ჯვრით, თუ მსუქანია, ძალიან კარგია და ჩვენც როგორმე დაგიმტკიცებთ ამას. განა ასეთები შეგვიპამია!“.

ჩემი უმცროსი ვაჟი ანისი შეძრწუნებული უყურებდა მათ. საყვარელ ანისზე მისი სახელი ზედგამოჭრილია და თუ ვინმემ გითხრათ, თოფის წამალი მან გამოიგონაო, არ დაიჯეროთ. დავის ეშინია და ქვეყნად არაფერი აინტერესებს. მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როდესაც შეუძლია დილიდან საღამომდე უზრუნველად მოიწყინოს და ამთქნაროს. მისი აზრით, პოლიტიკა და რელიგია ჯოჯოხეთური მანქანებია და იმისთვისაა მოგონილი, რომ დაუფრთხოს გონიერ ადამიანებს ძილი, ანდა მძინარე ადამიანებს აურიოს ტვინი... „ყველაფერი ის, რაც გამოჩნია, ავია თუ კარგია, ჩემი ხვედრია და რად უნდა შევცვალო? ეს ლოგინი, ბუდედ რომ გაგვიშლია, ჩვენი მოწყობილია, ჩვენთვისაა გაწყობილი, ახალი ზეწრები რაში მჭირდება“... მაგრამ უნდოდა თუ არა, არავინ ჰკითხავდა და ლეიბს უბოდიშოდ უბერტყავდნენ. და რომ თავისი სიმშვიდე უზრუნველეყო, ეს მშვიდი ადამიანი მზად იყო შფოთისთავები ჯალათისთვის გადაეცა. ახლა კი დაბნეული სხვების ლაპარაკს უსმენდა და როგორც კი კამათის ტონი აიწევდა, ანისი კისერს მხრებში ჩაიძვრენდა.

მე, სმენად ქცეული, თვალებდაჭყეტილი ვუცქეროდი მათ, ვერთობოდი და შინდოდა გამეგო, რითი შგავდნენ, ან ჩემი რა ჰქონდათ ამ ჩემს წინაშე მდგომ ვაუბატონებს. ბოლოს და ბოლოს, ჩემი შვილები არიან. თავს დავდებ მოსაჭრელად, რომ ეს ასეა. და თუ ჩემგან წარმოიშვნენ, მაშასადამე, ჩემგან გამოვიდნენ, მაგრამ, ჯანაბა და დოზანა, იქ საიდან შეძვრნენ? ვსინჯავ ჩემს თავს: ნეტავ როგორ შევძელი, მუცლით მეტარებინა ეს მოქადაგე, ეს რომის პაპის ბაღლინჯო, ანდა ეს ცოფიანი ერკემალი? (ავანტიურისტი სერჟანტი კიდევ ჰა, არა უშავს რა...) ჰოი, ვერაგო ბუნებავ! მაშ, ესენი ჩემში

ყოფილან? დიახ, დიახ, მე მიტარებია ეს თესლი; ვცნობ ზოგიერთ ჟესტს, ლაპარაკის ყაიდას, აზრებსაც, ვპოულობ მათში ჩემს თავს, მართალია, შენიღბულს და ნიღაბი მაოცებს, მაგრამ მის ქვეშ მაინც ადამიანია — ერთი და მრავალგვარი. ყოველ ადამიანში ოცი სხვადასხვა კაცი ზის, ვინ მოცინარი, ვინ მოტირალი; არის ისეთიც, ვისთვისაც, როგორც ჯირკისთვის, სულ ერთია დარი თუ ავდარი, მგელი, ძაღლი, შაქი, სალახანა, კარგი ბიჭი; მაგრამ ოციდან ერთი ყველაზე ღონიერია, მარტო ის იჩემებს ლაპარაკის უფლებას და პირს უმუწავს დანარჩენ ცხრამეტს. ამიტომ არის, რომ ცხრამეტივე გაიძურწება, როგორც კი გაღებულ კარს დაინახავს. ჩემი ოთხი ვაჟიც გაიქცა. საბრალო ბიჭები! Mea culpa! ასე შორეულები, ასე ახლობლები არიან!.. მაშ, როგორ, ჩემი ბავშვები არიან. როდესაც სისულელეებს ამბობენ, მინდა პატიება ვთხოვო, რომ ასეთი ჩერჩეტები გავაჩინე. კიდევ კარგი, კმაყოფილები არიან. და თავიც ლამაზი ჰგონიათ!.. მიხარია, თავი რომ მოსწონთ, მაგრამ ვერ ვიტან, რომ არ მოსწონთ, თუ სხვას ეპრიანება მახინჯი იყოს.

აქოჩრილები, თვალით და ჩარბით ემუქრებოდნენ ერთმანეთს და ოთხივე საჩხუბრად შემართულ მამალს ჰგავდა. ჯერ მშვიდად ვადევნე თვალი და მერე ვუთხარი:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო ბატკნებო, ვხედავ ზურგზე მატყლს ვერავინ აგაკრეჭთ. ჩინებული სისხლი გაქვთ (ოღონდაც, ჩემი სისხლია), ხმაც კარგი გქონიათ. ეხლა კი, თქვენ უკვე მოგისმინეთ, ჩემი რიგია! ენა მექავება და თქვენ დაისვენეთ.

მაგრამ მყისვე როდი დამმორჩილდნენ, ერთმა სიტყვამ ჭექა-ქუხილი გამოიწვია. ჟან-ფრანსუა წამოხტა და სკამს დაავლო ხელი, ედმონ-მიშელმა თავისი გრძელი ხმალი იშიშვლა, ანტუანმაც იძრო დანა, ანისმა კი (რა ვქნა, ხმოსავით ბღავილი ეხერხება!) ყვირილი მორთო: „ხანძარი! ცეცხლი! ვიხრჩობით!“ დავწმუხდი, რომ ეს ოთხი ხვადაგი ერთმანეთს გამოშიგნავდა. პირველი, რაც ხელში მომხვდა ჩემთვის საძულველი და ფლორიმონის სიამაყე ორმტრედიანი დოქი აღმოჩნდა; დაუფიქრებლად მაგიდაზე დავანარცხე და დავამსხვრიე. ხელში მდუღარე ქვაბით მარტინა შემოვარდა და ძმებს დაემუქრა, ჩხუბს თუ არ დაიშლით, ახლავე გაგფუფქავთო. ოთხი ვაჟკაცი ჩოჩრების ჯოგივით ბღაოდა: მაგრამ მე თუ ყროყინი მოვრთე, ვერც ეოთი დიდყუოა ვერ მაჯობებს. ვთქვი:

— აქ მე ვარ ბატონი და მე ვბრძანებ: გაჩუმდით! რა გემართებათ? ხომ არ გაგიჟდით. იმისთვის შევიკრიბეთ განა, რომ ნიკეას კრედოზე ვიდავოთ? კამათი ძალიან მიყვარს. ჰაი, ჰაი, რომ მიყვარს, მაგრამ გეთაყვათ, მეგობრებო, სხვა თემა აირჩიეთ, უფრო ახალი. ასეთებმა კი დამქანცეს, დამაოსეს. დალახვროს ეშმაკმა, თუ ჯანმრთელობისათვის დავა გამოგიწერეს, იდავეთ ამ ბურგუნდულ ღვინოზე, ან ამ ძეხვზე, ანდა ისეთ რამეზე, რისი დანახვა, დალევა, შეხება ან ჭამა შეიძლება: შევჭამთ, დავლევთ, გავსინჯავთ, გვეამება. მაგრამ დავა ღმერთზე, ანდა სულიწმიდაზე, ეს იმას ნიშნავს, მეგობრებო, მამასა აქვს ცხონება, არ გქონიათ გონება!.. ცუდს არაფერს ვამბობ იმათზე, ვისაც სწამს: მე მწამს, ჩვენ გვწამს, თქვენ გწამთ... ყველაფერი, რაც გესიამოვნებათ; მაგრამ იცით რა, მოდით და სხვა რამეზე ვიბაასოთ: განა სხვა არაფერია ამქვეყნად? ყოველ თქვენგანს სჯერა, რომ პირდაპირ სამოთხეში შევა. კეთილი და პატიოსანი, მეტად მოხარული ვარ. მაღლა გიცდიან. რჩეულთა ადგილი გამზადებულია, სხვები კი, რა თქმა უნდა, გარეთ დარჩებიან. მაშ, მიიღეთ წყალობა, ნება მიეცით უფალს, როგორც მას სურდეს, ისე დააბინავოს სტუმრები. ეს მისი საქმეა და ნუ ერევით უფლის მმართველობაში. ყველას თავისი სამეფო აქვს. უფალს — ზეცა, ჩვენ კი — მიწა. ჩვენი საქმეა, ეს მიწა საცხოვრებლად უფრო საამური გავხადოთ. ამ საქმისათვის ზედმეტი არავინაა. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ეს უთქვენოდაც გაკეთდეს? ოთხივე სასარგებლო ხართ ქვეყნისათვის. ქვეყანას ისევე სჭირდება ჟან-ფრანსუა, შენი რწმენა იმისა, რაც იყო, როგორც შენი, ანტუან, იმისა, რაც უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც შენი მოუსვენრობა, ემონ-მიშელ, და ანისის უმოქმედობა. ოთხი ბოძი ხართ, ერთიც რომ შეირყეს, სახლი დაიქცევა და უსარგებლო ნანგრევები გახდებით. ეს გინდათ განა? კარგად მოგიფიქრებიათ, მე და ჩემმა ღმერთმა! ერთი მითხარით, რას იტყოდით ოთხ მენავეზე, რომელნიც თავსხმასა და ავდარში ნიჩბების მოსმის ნაცვლად დავას იწყებენ?. მაგონდება ერთი საუბარი მეფე ანრისა და ნეევერის ჰერცოგს შორის. მეფე და ჰერცოგი წუწუნებდნენ, ფრანგებს ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა უყვართო. მეფე ამბობდა: „Ventre-saint-gris! ეს ცოფიანი ბერები და მძინარე მოქადაგე მახარობლები რომ დავამშვიდო, მინდა შემეძლოს მათი წყვილ-წყვილად ტომრებში ჩაყრა და კატის კნუტებივით ლუარაში გადაყრა“...

ნეველის ჰერცოგი სიცილით დასძენდა: „მე კი დავკმაყოფილდებოდი მაგ ტომრების იმ კუნძულზე გაგზავნით, სადაც ბერნის ბატონები, როგორც ამბობენ, ანჩხლ ცოლ-ქმარს გზავნიან და ტოვებენ. ერთი თვის შემდეგ კი, როდესაც გემი მათ წამოსაყვანად ბრუნდება, ისინი მტრედებივით ალერსიანად ღუღუნებენ". როგორც ვხედავ, ასეთი მკურნალობა თქვენც გეჭირდებათ!.. იღრინებით პირნასებო? ერთმანეთისთვის ზურგი შეგიქცევიათ?.. აბა, მობრუნდით და ერთმანეთს შეხედეთ! რამდენიც არ უნდა იფიქროთ, რომ სხვა ცომისაგან ხართ მოზელილი და ძმებს სჯობიხართ, მაინც ejusdem farinae-ს ოთხი ნაფქვავი ბრძანდებით, პირწავარდნილი ბრონიონები, ზედგამოქრილი ბურგუნდელები. ერთი დამიხედეთ მთელს სახეზე გადაქიმულ თქვენს უტიფარ ცხვირს, ანდა ფართოდ ამოქრილ პირს, ღვინის ჩასასხმელ ძაბრს, ან მაგ ბანჯგვლიან თვალებს, თითქოს მრისხანეს, მაგრამ სიცილს რომ ვერ იკავებენ. გეუბნებით, დადაღულნი ხართ! განა ვერ ხედავთ, თუ ერთმანეთს ვნებთ, თქვენს თავსვე ანადგურებთ? უკეთესი იქნება, ერთმანეთს ხელი გაუწოდოთ. ერთგვარად არ აზროვხებთ? დიდი ამბავი! მით უკეთესი. როგორ, ყველას ერთი და იგივე მინდვრის დამუშავება გსურთ? რაც მეტი მინდვრები და აზრები ექნება ოჯახს, მით უფრო ბედნიერი და ძლიერი ვიქნებით. გაფართოვდით, გამრავლდით და, რაც შეიძლება, მეტი მიწა და აზრი ჩაიხუტეთ გულში. ყველამ თავისი და ყველამ ერთად (აბა, შვილებო, გადავეხვიოთ ერთმანეთს), რათა დიდმა ბრონიონისებურმა ცხვირმა თავისი ჩრდილი გადააფაროს მინდვრებს და ჩაიყნოსოს ქვეყნის სურნელი!

დუმდნენ სახემოღუშულები, ტუჩებმოკუმულები, მაგრამ სიცილს ძლივს იკავებდნენ; უცბად ემონ-მიშელმა გადაიხარხარა, ხელი გაუწოდა ჟან-ფრანსუას და უთხრა: „აბა, უფროსო ცხვირო, მოდი, შეკრიგდეთ", და გადაკოცნეს ერთმანეთი.

— ჰეი, მარტინა! ჩვენი სადღეგრძელო იყოს!

ამ დროს შევნიშნე, რომ, როცა გაბრაზებულმა დოქი გავტეხე, ხელი გამჭრია, მაგიდას სისხლის პატარა ლაქა აჯდა. ანტუანმა დიდის ამბით ამიწია ხელი, შეუშვირა თავისი ჭიქა, დააგროვა ჩემი ვენის წითელი წვენი და მაღალფარდოვნად თქვა:

— ჩვენი კავშირის განსამტკიცებლად ამ სასმისიდან ოთხივემ შევსვათ!

— ვაიმე, ვაიმე! — ვიყვირე მე, — ანტუან, ღვთიურ ღვინოს აფუ-

ჭებ, შითხარ, ამას რას შვრები. ფუ! მეზიზღები. გადაღვარე ეგ მიქსტურა. ვისაც უნდა ჩემი წმინდა სისხლი დალიოს, აი ეს ანკარა ღვინით სავსე სასმისი ბოლომდე დაცალოს.

დავასხით და გადავკარით, ღვინოს გემო ჩავატანეთ. შვილები წავიდნენ, მარტინა დაჭრილ ხელს მიხვევდა და მეუბნებოდა:

— ბებერო ავაზაკო, მიაღწიე შენს გულისწადილს?

— რომელ გულისწადილზე ამბობ? ამათ შერიგებაზე?

— მე სხვა რამეზე მოგახსენებ.

— მაინც რაზე?

დამსხვრეული დოქი მიჩვენა და მითხრა:

— აბა, აბა, კარგად გესმის, თუ რაზე. თავს ნუ იკატუნებ... გამოტყდი... ხომ გამოტყდები... ყურში ჩუმად მითხარ. ის ვერაფერს გაიგებს.

გავიკვირვე, აღვშფოთდი, თავი მოვისულელე, უარი ვთქვი; მაგრამ სიცილი ვერ შევიკავე... ფხუკ... ცოტა დამაკლდა, არ გავიგუდე. მარტინამ გამიმეორა:

— ავაზაკო! ავაზაკო!

ვუთხარი:

— იცი რა, საყვარელო გოგონა, მეტად უშნო რამ იყო, ჩვენ ორში ერთი უნდა გამქრალიყო.

მიპასუხა:

— დარჩენილი გამქრალს როდი სჯობია.

— ამ ჩიტუნიას კი შეუძლია იყოს უშნო, ფეხებზედაც მკიდია, მისი სიფათი თვალწინ ხომ არ მიდგია.

საშობაო ღამისთევა.

წელიწადი გაზეთილ ანჯამებზე ტრიალებს. კარი იკეტება, ისევ იღება. დღეები, დაკეცილი ქსოვილივით, ღამეების რბილ სკივრში ცვივიან. ერთი მხრიდან შედიან, მეორიდან გამოდიან და წმინდა ლიუსის დღეობისათვის რწყილის ნახტომის ოდენა ხდებიან. ახალი წლის მბრწყინავ თვალებს არალუღში ვხედავ.

შობის ღამეს თბილ ბუხართან მიმჯდარი თითქოს ჭის სიღრმიდან ვუმზერ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, მის მოხამხამე ქუთუთოებს, მთრთოლვარე გულებს, მესმის გუგუნი ზარებისა, რომელნიც გლუვ

ჰაერში დაქრიან და შუაღამის წირვას რეკენ. და მიხარია, რომ ის იშვა, იშვა ბავშვი ღამის ამ ყველაზე უბნელეს წამს, როდესაც სამყაროს დასასრული გგონიათ. მისი წკრიალა ხმა გალობს: ჰოი, დღეო, შენ დაბრუნდები! უკვე მოდიხარ. აი, ახალი წელიც დაგვიდგა. და იმედი თავისი თბილი ფრთებით ფარავს და ანაზებს სუსხიან ზამთრის ღამეს.

მარტო ვარ სახლში. ეკლესიაში წავიდნენ ბავშვები. ეს პირველია ჩემ სიცოცხლეში, რომ იქ არა ვარ. სახლში დავრჩით მე, ჩემი ძაღლი სიტრონი და ნაცრისფერი კნუტი პატაპონი. ჩვენ ვოცნებობთ და ვუყურებთ, როგორ ლოკავს ცეცხლი ბუხარს. მაგონდება საღამო. ცოტა ხნის წინ ძთელი ნაჩეკი გარს მეხვია. თვალებდაჭყეტილ გლოდის მოვუთხრობდი ზღაპრებს ფერიებზე, იხვის ჭუკზე, გაქცეულ წიწილაზე და ერთ ბიჭზე, რომელიც იმით გამდიდრდა, რომ თავისი მამალი მიჰყიდა მეურმეებს, ურმებით დღეების გადმოსაზიდად რომ მიდიოდნენ. მეტად გაერთე. სხვები უსმენდნენ, იცინოდნენ და დროდადრო სიტყვასაც შემაწევდნენ. მერე კი გავჩუმდებოდით, ვუსმენდით წყლის დუღილს, ბუხარში შეშის ტკაცუნს, ფანჯრის მინაზე თეთრი ფანტელების ცახცახს და ნაცარში ჭრიჭინას ჭრიჭინს. აჰ! საამურია ზამთრის ღამეები, მყუდროება, შექუჩებული ჯოგის სითბო, ოცნებები უძილო ღამისა, როდესაც სულს უყვარს ბოდვა, მაგრამ კარგად იცის, თუ რას ბოდავს და თუ ბოდავს, არა სცოდავს.

აი, ახლა მთელი წლის ანგარიშს ვადგენ. ვხედავ, რომ ექვს თვეში ყველაფერი დამიკარგავს: ცოლი, სახლი, ფული და ფეხები; მაგრამ სეირი სწორედ ის არის, რომ საბოლოო ჯამში ისეთივე მდიდარი ვარ, როგორც წინათ ვიყავი! ამბობენ, რომ არაფერი მაქვს. დიახ, არაფერი მაქვს წასაღები. ეჰ! მართალია, განტვირთული ვარ, მაგრამ არასოდეს მიგრძვნია თავი უფრო ჭაბუკად, ვიდრე ახლა; ჩემი ფანტაზიის ტალღებში არასოდეს მიცურავია ასე ლაღად... აბა, ვინ მეტყოდა შარშან, რომ ასე მხიარულად შევურიგდებოდი ყოველივე ამას. აკი დავიფიცე, რომ ბატონი დავრჩებოდი ჩემს სახლში, ბატონი ჩემი თავისა, თავისუფალი და ვალად არ დამედებოდა, რასაც შევჭამდი და რასაც შევსვამდი, არავის ჩავაბარებდი ჩემი სიანცისა და ოინების ანგარიშს! კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა. ბოლოს საქმე სულ სხვანაირად ტრიალებს... მაგრამ ტრიალებს ზუსტად ისე, როგორც საჭიროა.

მართალი რომ ვთქვა, კაცი ყოჩაღი ხვადაგია. მისთვის ყველაფერი კარგია. ყველაფერს ეგუება, ერთნაირად ურიგდება მწუხარებას, ქეიფსა და შიმშილს. გინდ ოთხი ფეხი მიეცით ან ორთავე წაართვით, დააყრუეთ, გინდ დაბრმავეთ, დამუნჯეთ, მაინც მოახერხებს შეეწყოს და რაღაცნაირად დაინახოს, გაიგონოს და ილაპარაკოს. ცვილივითაა, გინდა გაჭიმავ, გინდა შეკუმშავ; მას სული თავის ცეცხლზე ადნობს. საამურია იგრძნო, რომ გაქვს სულისა და წვიეების ისეთი მოქნილობა, რომ შეგიძლია წყალში თევზივით იყო, ჰაერში — ჩიტივით, ცეცხლში — სალამანდრასავით და მიწაზე სტიქიონებს შეებრძოლო. ამრიგად, რაც უფრო უპოვარი ხარ, მით უფრო მდიდარი ხდები. რადგან სული იმას ქმნის, რაც მას აკლია: დაბურული ხე, რომელსაც გასხლავ, უფრო მაღალი გაიზრდება. რაც უფრო ნაკლები მაქვს, მით უფრო დიდი ვარ...

შუაღამეა. ზარი რეკს...

იშვა ღვთიური ყრმა...

ვმღერი ალილოს...

დაუკარით სალამური,
ჰანგი ტკბილი, საამური.

ვთვლემ, ძილი მერევა. კერიაში რომ არ ჩავვარდე, სავარძელში კარგად ვეწყობი...

დაუკარით, დაუკარით სალამური,
იშვა პატარა მესია...

რაც ნაკლები მაქვს, უკეთესია...

ნათლისღება.

კარგი ოინბაზი ვარ! რაც უფრო ნაკლები გამაჩნია, მით უფრო მეტის პატრონი ვარ. საშუალება გამოვნახე, არაფერი მქონდეს და მაინც მდიდარი ვიყო, მდიდარი სხვისი ავლადიდებით. ჩემს ხელშია ძალაუფლება და არავითარი პასუხისმგებლობა არ მაკისრია. ერთი მითხარით გეთაყვა, რაო, რას ამბობენ იმ მოხუც მამებზე, რომელნიც გატყავდნენ, თავიანთ უმადურ შვილებს ყველაფერი მისცეს, აჩუქეს პერანგი და მისი ამხანაგიც კი და მერე შვილებმა მიაგდეს, დაივი-

წყეს და თვალებით საფლავისკენ მიუთითეს? უგუნურები ყოფილან. მე კი არასოდეს ვყვარებივარ, არასოდეს ვუნებივრებივარ ისე, როგორც სიღარიბეში. და ეს იმიტომ, რომ არც ისე სულელი ვარ, რომ ყველაფერი მივცე და ჩემთვის არაფერი შემოვინახო. განა მარტო ქისას აძლევენ! მე რომ ყველაფერი გავეცი, საუკეთესო მაინც ჩემთვის შემოვინახე. შემოვინახე ჩემი მხიარულება, ის რაც ცხოვრების სიგრძე-სიგანეზე ორმოცდაათი წლის ხეტიალის განმავლობაში შევაგროვე; მხიარული ხასიათი, სიანცე, გიჟური სიბრძნე და ბრძნული სიგიჟე. მარაგი არ გამოლეულა. კარი ყველასათვის ღიაა: მოვიდნენ და მიირთვან! განა ეს არაფერია? თუ ჩემს შვილებს ვართმევ, მეც ხომ ვაძლევ; ბარიბარსა ვართ. თუ ასე მოხდა, რომ ერთმა უფრო მეტი მომცა, ვიდრე მეორემ, მერე რა ვუყოთ, დანარჩენს სიყვარული შეავსებს ხოლმე და საერთო ანგარიშს არავინ ემდურის.

ვისაც უნდა ნახოს უქვეყნო მეფე, უმიწაწყლო იოანე, ვისაც უნდა ნახოს გალელი ბრონიონი, მოვიდეს ამ საღამოს და მიხილოს ჩემს ტახტზე, თუ როგორ ვთამადობ მხიარულ ქეიფს! დღეს ნათლისღებაა. ნაშუაღამევს ჩვენს ქუჩაზე გაიარა სამმა მოგვმა-მეფემ თავისი ამალით, თეთრმა ჯოგმა, ექვსმა ჭაბუკმა და ექვსმა მწყემსმა გოგონამ, რომელნიც გაბმით მღეროდნენ; უბნის ძაღლები ბანს ეუბნებოდნენ. და ამ საღამოს სუფრას ვუზივართ მე, ჩემი შვილები და ჩემი შვილიშვილები. ჩემიანად სულ ოცდაათი კაცი. ოცდაათივე ერთად ვყვირით:

— მეფე ქეიფობს!

მეფე მე გახლავართ. გვირგვინად თავზე ცომის ყალიბი მახურავს. დედოფალი მარტინაა; როგორც საღმრთო წიგნებში, ჩემი ასული შევირთე ცოლად; როგორც კი სასმისს პირთან მივიტან, ტაშს მიკრავენ, ვიცინი, სიცილის გამო უხერხულად ვსვამ, მაგრამ უხერხულად თუ მოხერხებულად, წვეთსაც არ ვკარგავ. ჩემი დედოფალიც სვამს, მკერდი გადაუხსნია და წითელი კერტიდან ასმევს თავის წითელ ძუძუმწოვარს, ჩემს უკანასკნელ შვილიშვილს, რომელიც ღრიალებს, სვამს, ნერწყვი სდის და ურცხვად საჯაროდ აჩენს უკანალს. მაგიდის ქვეშ ძაღლი წკავწკავებს და ჯამიდან თქვლეფს. ზურგაბურძგნული კატა ქშუტუნებს და ძვლით პირში გარბის.

მე ვფიქრობ (რა თქმა უნდა ხმამაღლა, არ მიყვარს ჩუმად ფიქრი):

— საამოა ცხოვრება, მეგობრებო! მისი ერთადერთი ნაკლი ის

არის, რომ ხანმოკლეა: ანგარიშში რაღაც გვაკლია. უთუოდ მეტყვით: „ბედს ნუ ემდური, შენი ხვედრი კარგია, არაფერი გაკლია". ეს მართალია, მაგრამ სჯობია, მგონი, რომ მქონდეს ორი. და მერე ვინ იცის? თუ ცოტა ვიბუზღუნე, იქნებ მივიღო კიდეც ნამცხვრის მეორე ნაჭერი... მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მე კი ისევ აქა ვარ, მაგრამ სადღა არიან იმდენი კარგი ბიჭები, რომელთაც ოდესღაც ვიცნობდი? უფალო, როგორ მიდიან დრონი და ადამიანები! სადღაა მეფე ანრი და კეთილი ჰერცოგი ლუი?..

და აი, გავემგზავრე წარსულ დროებათა შარაგზებზე, რომ მოგონებათა დამჭკნარი ყვავილები დავკრიფო; ვყვები ჩემს ამბავს, ვყვები და არ ვიღლები; ვიმეორებ ათასჯერ ნათქვამს. ხელს არ მიშლიან ბავშვები და, როდესაც სიტყვა დამაკლდება, ან დავიბნევი, თვითონვე მკარნახობენ დაბოლოებას. როდესაც ოცნებებს თავს ვაღწევ, მათ ეშმაკ თვალებს ვხედავ.

ღიმილით მეუბნებიან:

— ჰე! პაპა, ხომ კარგი იყო ცხოვრება, ოცი წლისა რომ იყავი! იმ დროს ქალებს მკერდი უფრო მშვენიერი და ფუნჩულა ჰქონდათ, ხოლო მამაკაცებს — გული საგულეს და დანარჩენიც თავის ადგილას. უნდა გენახათ მეფე ანრი და მისი ძმაკაცი ლუი. ამჟამად ასეთი ხისგან უკვე არ თლიან ადამიანებს...

ვეუბნები:

— ცუღლუტებო, იცინით? კარგსა შვრებით. სიცილი კარგია. თქმა არ უნდა, ასეთი გიჟი როდი ვარ, ვიფიქრო, რომ ყურძნის მოუსავლიანობაა, ან მის მოსაკრეფად ვაჟკაცები გვაკლია. კარგად ვიცი, ერთი წასულის ნაცვლად სამი მოვა და ტყე, რომლისგანაც თლიან გალების ქვეყნის ვაჟკაცებს, ისევ იზრდება — სწორი, დაბურული და ხშირი. მაგრამ იმავე ბიჭებს ვერ თლიან ამ ხეებიდან. ათასი და ათასი წყრთაც რომ გამოჭრან, მაინც ვერ გამოთლით ჩემს მეფე ანრის და ვერც ჩემს ლუის. მე კი სწორედ ისინი მიყვარდა... აბა, აბა, ჩემო კოლა, გული ნუ აგიჩუყდება! თვალზე ცრემლი მოგადგა? ეჰე, დიდო ჩერჩეტო. ნანობ განა, რომ მთელი შენი სიცოცხლე ერთი და იმავე ლუკმის ცოხნა არ შეგიძლია? ღვინო არ არის იგივე? მაგრამ არც ცუდია. მაშ, დავლიოთ და გაუმარჯოს ღვინის მსმელ მეფეს! გაუმარჯოს მის ღვინისმსმელ ერს!

ესეც არ იყოს, ბავშვებო, გულახდილად რომ გითხრათ, კარგი

მეფე მეტად კარგია; მაგრამ ყველაზე უკეთესი მე ვარ. მაშ, თავისუ-ფალი ვიყოთ, კეთილშობილო ფრანგებო, ჩვენი ბატონები კი ეშმა-კებთან იალაღზე გავგზავნოთ! მე და ჩემს მიწას ერთმანეთი გვიყ-ვარს, ერთმანეთს ვყოფნით. რა ეშმაკად მინდა ცის, ან მიწის მეუფე? არ მჭირდება ტახტი არც მაღლა, არც დაბლა. მზის ქვეშ ყველას თავისი ადგილი და თავისი ჩრდილი აქვს. ყველას თავისი მიწა და მისი დამმუშავებელი ხელები თუ ექნა, მეტი არაფერი გვინდა. მეფე ჩემთან თუ მოვა, ვეტყვი:

„ჩემი სტუმარი ბრძანდები. შენი სადღეგრძელო იყოს! დაჯექი! აი აქ, ბიძაშვილო. მეფე მეფეზე ნაკლები მგელმა შეჭამოს. ყოველი ფრანგი მეფეა. ეს ჩემი სახლია და აქ ბატონი თქვენი მონა-მორ-ჩილი გახლავართ!

„როგორ, — თქვა ძმა ჟანმა, — თქვენც ლექსებსა თხზავთ? იცოდეს უფალმა, მეც სხვებივით გავრითმავ, ამას კარგად ვგრძნობ, დამაცადეთ და გთხოვთ მაპატიოთ, თუ ლამაზად ვერ ვრითმავ...“

პანტაგრუელი V. 46.

ბეთჰოვენის ცხოვრება

თარგმანი
გიორგი მეგამლიასი

წინასიტყვაობა

„მე მინდა დავამტკიცო, რომ ღირსეული და კეთილშობილური საქციელით ადამიანი იძენს ძალას უბედურების გადასატანად.

ბეთჰოვენი.

(ვენის წუნიციპალიტეტს, 1819 წლის 1 თებერვალს.)

ჩვენს ირგვლივ ჰაერი დაძძიმებულია. მძიმე და გახრწნილ ატმოსფეროში იყინება ბოხუცი ევროპა. სიდიადეს მოკლებული მატერიალიზმი ძძიმედ აწვება აზრს და ხელს უშლის მთავრობათა და პიროვნებათა საქმიანობას. მსოფლიო თავის მშიშარა და სულმდაბალ ეგოიზმში იხუთება. მსოფლიო სულს ღაფავს. მაშ, გავაღოთ ფანჯრები. შემოვუშვათ სუფთა ჰაერი. ვიგრძნოთ გმირების სუნთქვა.

მძიმეა ცხოვრება. ის ყოველდღიური ბრძოლაა იმათთვის, ვინც ვერ ეგუება სულიერ ერთფეროვნებას, ბრძოლა — უფრო ხშირად უნუგეშო, სიდიადეს მოკლებული, უბედსვიანო, რომელიც მარტოობასა და სიჩუმეში მიმდინარეობს. მებრძოლნი დაბეჩავებულნი არიან სიღატაკით, საჭირბოროტო შინაური საზრუნავებით, ქანცგამწყვეტი და უაზრო სამუშაოებით, რაშიც ძალ-ღონე უსარგებლოდ იკარგება; უიმედონი არიან. მათთვის არ ანათებს სიხარულის არც ერთი სხივი; ამ ბრძოლაში უმრავლესობა ერთმანეთს მოწყვეტილია, იმის ნუგეშიც კი არა აქვთ, ხელი გაუწოდონ უბედურებაში მყოფ ძმებს, რადგან ერთმანეთს არ იცნობენ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ. არის წუთები, როდესაც ასეთი მძიმე ტვირთის ქვეშ უძლიერესნიც კი წაიჩოქებენ ხოლმე, ითხოვენ დახმარებას, უხმობენ მეგობარს.

და აი სწორედ მათ დასახმარებლად ვიწყებთ მათ გარშემო იმ გმირი მეგობრებისა და დიდსულოვანი ადამიანების დარაზმვას, რომლებიც სიკეთისათვის იტანჯნენ. ეს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება პატივმოყვარეთა ქედმაღლობისათვის როდია გამიზნული, იგი უბედურებს ეძღვნება. და, ბოლოს და ბოლოს, ვინ არ არის უბედური? ღვთიური ბალზამი მივართვათ იმათ, ვინც იტანჯება. ბრძოლაში ჩვენ მარტონი არა ვართ. ღვთიური შუქი სამყაროს უკუნს ანათებს. აი თუნდაც დღეს, ჩვენგან სულ ახლოს, დავინახეთ როგორ ბრწყინავდა ორი უწმინდესი ცეცხლი, სამართლიანობის ცეცხლი და თავისუფლების ალი: პოლკოვნიკი პიკარი და ბური ხალხი. და თუ მათ ვერ შეძლეს მძიმე წყვდიადის გაპობა, ერთი წუთით მაინც გზა გაგვინათეს. მივყვეთ მათ, მივყვეთ ყველას, ვინც მათსავით იბრძოდა, ცალ-ცალკე, დაქსაქსული ყველა ქვეყანასა და ყოველ საუკუნეში. მოვსპოთ ჟამთა ზღუდეები. გავაცოცხლოთ გმირი ხალხი.

მე გმირს არ ვუწოდებ იმათ, ვინც გონებით ან ძალადობით გაიმარჯვა. გმირი ის არის, ვინც გულით იყო დიდი. მათ შორის ყველაზე უდიდესმა, რომლის ცხოვრებასაც აქვე მოგითხრობთ, სამართლიანად თქვა: „გარდა სათნოებისა, მე უპირატესობის სხვა არავითარ ნიშანს არა ვცნობ". თუ კაცი არ არის სულით მაღალი, ის არ შეიძლება იყოს დიდი ადამიანი, არც დიდი ხელოვანი და არც დიდი მოღვაწე; ის მხოლოდ სულმდაბალ ბრბოსათვის განკუთვნილი ფუყე კერპი იქნება. დრო მათ ერთიანად ანადგურებს. წარმატება ბევრად არ გვახარებს. მთავარია, იყო დიდი ადამიანი, ის არა კმარა, რომ ხალხს დიდად მოაჩვენო თავი.

მათი ცხოვრება, რის აღწერასაც ჩვენ ვცდილობთ, თითქმის მუდამჟამს გაუთავებელი წამება იყო. შეიძლება იმიტომ, რომ ტრაგიკულმა ბედმა მოისურვა მათი სული მორალური და ფიზიკური ტკივილების, სიღატაკისა და სნეულებათა გრდემლზე გამოეპედა, ან იმიტომ, რომ ცხოვრება გაწამებული ჰქონდათ, გული ეწვოდათ იმ ტანჯვისა და აუწერელი დამცირების გამო, რასაც მათი ძმები განიცდიდნენ. სწორედ ამიტომ იგემეს მათ განსაცდელის მწარე პური მდღეევარი; და თუ ისინი დიდნი იყვნენ თავიანთი შეუპოვრობით, დიდნი იყვნენ თავიანთი ტანჯვითაც. ასე რომ, უბედურები ბევრს ნუ წუწუნებენ, რადგან კაცობრიობის რჩეული შვილები მათთან არიან. ვეზიაროთ მათ მხნეობას და თუ მეტად სუსტები აღმოვჩნდით, თავი ჩავუდოთ

კალთაში, ისინი ჩვენ გვანუგეშებენ. ამ ღვთიური სულებიდან მშვიდი ძალისა და ძლიერი სიკეთის ნიაღვარი მოედინება, საჭირო არ არის მათ ნაშრომებს მივმართოთ ან მათი ხმა მოვისმინოთ; მათ თვალებში, მათ თავგადასავალში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ ცხოვრება არასოდეს არ არის ისე დიადი, ისე ნაყოფიერი და ისე ბედნიერი, როგორც მწუხარებაში.

* * *

ამ გმირული ლეგიონის სათავეში პირველი ადგილი მივაკუთვნოთ ძლიერსა და სპეტაკ ბეთჰოვენს. მას, ტანჯულსა და წამებულს, თვითონვე სურდა, რომ მისი მაგალითი ნუგეში ყოფილიყო სხვა უბედურთათვის. „დე, უბედურმა ინუგეშოს მასავით უბედურის დანახვით; თუმცა მას ბუნება წინ აღუდგა, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, რათა ღირსეულად ეტარებინა ადამიანის სახელი“. და ამ გამარჯვებულმა პრომეთეოსმა ხანგრძლივი ბრძოლისა და ზეადამიანური ძალთაძალის დაძაბვით შეძლო სენის დამარცხება და დასახული ამოცანის გადაწყვეტა. ამით, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოტა სიმხნეე მაინც შთაბერა საბრალო კაცობრიობას. ერთ მეგობარს, რომელიც უფალს ძოუხმობდა, მან უთხრა: „ადამიანო, შენს თავს თვითონვე უშველე!“

გახვიმსჭვალოთ მისი ამ ამაყად ნათქვამი სიტყვით და მისი მაგალითით გავუღვივოთ ადამიანს რწმენა ცხოვრებისა და ადამიანისადმი.

რომენ როლანი.

იანვარი. 1903 წ.

ბეთჰოვენი

მხოლოდ სიკეთეს მსახურებდე, სადაც კი ძალგიძს,
ყველაზე მეტად შეიყვარე თავისუფლება,
და თვით მონარქის ტახტის წინაც არ მოიდრიკო,
ჭეშმარიტებას არასოდეს არ უღალატო.

ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ ი.

(ალბომის ფურცელი, 1792 წ.)

ის იყო ტანმორჩილი, მხარბეჭიანი, სქელკისერა და ათლეტური აღნაგობისა, სახე ფართო, აგურისფერი ჰქონდა, თუმცა სიცოცხლის ბიწურულში ავადმყოფური და მოყვითალო გაუხდა, განსაკუთრებით ზამთრობით, როდესაც, ველ-მინდვრებს მოშორებული, სახლში ჩაიკეტებოდა ხოლმე. შუბლი ძლიერი და კოპებიანი ჰქონდა, თმა კი — კუპრივით შავი, საოცრად სქელი და „მედუზის გველებივით“ აჩეჩილი [1], იტყოდით, ამ თმებს სავარცხელი თავის დღეში არ გაჰკარებიაო. ყველას აოცებდა უჩვეულო სიძლიერით მოელვარე მისი თვალები. ბევრმა მათი ფერიც ვერ გაარკვია. რაკი ეს თვალები შავგვრემან და ტრაგიკულ სახეზე მრისხანედ ბრწყინავდნენ, უმრავლესობას შავი ფერისა ეჩვენა; სინამდვილეში შავი კი არა, მოლურჯო-ნაცრისფერი იყო[2]. გატაცების ან გაბრაზების ჟამს ეს პატარა და ღრმად ჩამსხდარი თვა-

[1] რასელი (1882 წ.). — ჯერ კიდევ ჭაბუკმა კარლოს ჩერნიმ 1801 წელს ნახა ბეთჰოვენი: დიდი ხნის გაუპარსავი, თმაგაბურძგნული, თხის მატყლის შარვლიანა და ეურთუკით მოსილი. ჩერნის ეგონა, რობინზონ კრუზოს შევხვდიო.

[2] მხატვარ კლებერის ჩანაწერი. კლებერმა 1818 წელს ბეთჰოვენის პორტრეტი დახატა.

ლები მოულოდნელად აინთებოდნენ, ბუდეებში იწყებდნენ ბრიალს და საოცარი ჭეშმარიტებით არეკლავდნენ მის ფიქრებს[1]. მისი ცხვირი, ძოკლე, ბრტყელი და ფართო, ლომის დრუნჩს მოგაგონებდათ. თხელი ტუჩები ჰქონდა, ბაგე ოდნავ წინ წამოწეული. მისი ძლიერი ყბები კაკალსაც ადვილად დაფშვნიდნენ. ნიკაპის მარჯვენა მხარეზე ღრმა ფოსო სახეს საოცრად ასიმეტრიულს უხდიდა. მოშელესი ამბობს: „საუბრის დროს იგი გულკეთილად და მომხიბვლელად იღიმებოდა, საძაგიეროდ, არასასიამოვნო სიცილი ჰქონდა. ხამუშ-ხამუში, ნაძალადევი და მძაფრი", ასე იცინიან ხოლმე ისინი. ვისთვისაც სიხარული უცხოა. მისი ჩვეულებრივი გამომეტყველება „მელანქოლიური, უკურნებელი მწუხარების გამომხატველი" იყო. მთელი ჩემი ძალ-ღონის დაძაბვა დამჭირდა, რომ არ მეტირა ბეთჰოვენის თვინიერი თვალების დანახვაზე, საიდანაც გულშემზარავი მწუხარება გამოსჭვიოდაო, ამბობს რელშტაბი 1825 წელს. ეოთი წლის შემდეგ ბრაუნ ფონ ბრაუნტალი მას ყაეახანაში შეხვდა. ის კუთხეში ზის, გრძელ ყალიონს აბოლებს, თვალები დაუხუჭავს — ეს ჩვეულება სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დასჩემდა. ერთ-ერთი მეგობარი კითხვით მიმართავს, ის კი მწარედ იღიმება, ჯიბიდან „სასაუბრო" წიგნაკს იღებს და ყრუთათვის დამახასიათებელი მკვეთრი ხმით მეგობარს სთხოვს დაუწეროს, რასაც ეკითხება. უეცარი ზეშთაგონების მოზვავების ჟამს, რომელიც მოულოდნელად ქუჩაშიც კი იპყრობდა ხოლმე, სახე საოცრად ეცვლებოდა და გამვლელებს აოცებდა, ასევე ემართებოდა, როდესაც პიანინოსთან მიმჯდარს მოუსწრებდნენ. „ეჭიმებოდა სახის კუნთები, ებერებოდა ვენები, ორჯერ უფრო შემზარავი უხდებოდა თვალები, მაშინ ის დემონების მიერ დამარცხებულ ჯადოქარს ემსგავსებოდა, დემონებისა, რომელთაც თვითონვე უხმო". ამ დროს შექსპირის „მეფე ლირს"[2] მოგაგონებდათო, ამბობს იულიუს ბენედიქტი.

---

[1] დოქტორი ვ. კ. მიულერი წერს: მისი მეტყველი თვალები ზოგჯერ მოწყალე და მშვიდი, ზოგჯერ აბნეული, მუქარით სავსე და საზარელი იყოო (1820 წ.).

[2] კლებერი ამბობს: „ოსიანის პერსონაჟსო". ყველა ეს დეტალი ამოღებულია ბეთჰოვენის მეგობრების ან იმ მოგზაურების ჩანაწერებიდან, რომლებმაც ის ცოცხალი ნახეს. ესენი იყვნენ: ჩერნი, მოშელესი, კლებერი, დანიელ-ამადეუს ატერბომი, ვ. ს. მიულერი, ჯ. რასელი, იულიუს ბენედიქტი, როხლიცი და სხვები.

* * *

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი 1770 წლის 16 დეკემბერს კელნის მახლობლად, ქალაქ ბონში, ერთი საცოდავი სახლის ბნელ სენაში დაიბადა. წარმოშობით ფლამანდელი იყო[1]. მამამისი ერთი ლოთი და უხიზო ტენორი გახლდათ. დედა, მზარეულის ქალიშვილი, შინამოსამსახურე იყო; პირველად ვინმე კამერდინერზე გაათხოვეს, მაგრამ მალე დაქვრივდა.

თავიდანვე მწარე ბავშვობა ერგო ბეთჰოვენს, მას არ უგრძნია ოჯახური სითბო და ალერსი, რაც არ მოკლებია უფრო ბედნიერ მოცარტს. მისი ცხოვრება ბავშვობიდანვე უსიხარულო და დაუნდობელი ბრძოლა იყო. მამას მისი მუსიკალური ნიჭით სარგებლობა უნდოდა და ცდილობდა ეს პატარა საოცრება საჯარო სანახაობად გაეხადა. ოთხი წლის ბავშვს საათების განმავლობაში კლავესინს მიაბამდა ან ვიოლინოთი ოთახში ჩაკეტავდა ხოლმე. მუშაობით კლავდა. კიდევ ცოტა და, ბავშვს სამუდამოდ შეაძულებდა ხელოვნებას. საჭირო გახდა ძალდატანება, რომ ბეთჰოვენს მუსიკა ესწავლა. მისი ყრმობა მატერიალური ხასიათის საზრუნავებმა, ლუკმა პურზე ფიქრმა და ძისი ასაკისათვის მეტად ნაადრევმა საქმეებმა გაამწარა. თერთმეტი წლის ბეთჰოვენი უკვე თეატრის ორკესტრში უკრავდა, ცამეტისა — ორღანისტი იყო. 1787 წელს დედა გარდაეცვალა. „ისეთი კეთილი დედა მყავდა, ისეთი საყვარელი, ის იყო ჩემი საუკეთესო მეგობარი! არავინ იყო ამქვეყნად ჩემზე ბედნიერი მაშინ, როდესაც შემეძლო მეთქვა ყველაზე ტკბილი სიტყვა — დედა — და ის ამას გაიგონებდა“[2].

დედა ჭლექით გარდაეცვალა და ბეთჰოვენს ეგონა, რომ თვითონაც ჭლექი სჭირდა. ის უკვე განუწყვეტლივ ავადმყოფობდა. ამას ზედ ერთვოდა ყველა მის სატკივარზე უფრო შეუბრალებელი მელანქოლია[3]. ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ბეთჰოვენი უკვე ოჯახის თავია,

---

[1] პაპამისი, ლუდვიგი, ვისაც ყველაზე მეტად ჰგავდა ბეთჰოვენი, დაიბადა მალინში და მხოლოდ ოცი წლისა დამკვიდრდა ბონში. სადაც კურფურსტის კაპელმეისტერად მუშაობდა. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ გვსურს გავიგოთ ბეთჰოვენის მგზნებარე და დამოუკიდებელი ბუნება და სხვა მისთვის დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც წმინდა გერმანული წარმოშობისა არ არის.

[2] დოქტორ შადისადმ- აუგსბურგში 1787 წლის 15 სექტემბერს მიწერილი წერილიდან (ნოლი, „ბეთჰოვენის წერილები“, 11)

[3] უფრო მოგვიანებით (1816 წ.) ის ამბობდა: — „საბრალოა ადამიანი, ვინც არ იცის, როგორ კვდებიან, მე ეს ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისამ ვიცოდიო“.

მასვე ევალება ორივე ძმის აღზრდა; მართალია, ძალიან რცხვენოდა, მაგრამ მაინც იძულებული გახდა ეთხოვა, რომ მისი ლოთი მამა, რომელსაც ოჯახის გაძღოლის უნარი არ შესწევდა, პენსიაზე გადაეყვანათ. პენსიას შვილს უხდიდნენ, ეშინოდათ, მამას არ გაეფლანგა. ასეთმა ჭირ-ვარამმა ღრმა კვალი დაასვა მის ცხოვრებას, მაგრამ მან გულითადი თანაგრძნობა ჰპოვა ერთ ბონელ ოჯახში, რომელიც მისთვის სიკვდილამდე ძვირფასი დარჩა, — ეს იყო დე ბრონინგების ოჯახი. მშვენიერი „ლორხენი", ელეონორა დე ბრონინგი, ბეთჰოვენზე ორი წლით უმცროსი იყო. ბეთჰოვენი მას მუსიკას ასწავლიდა, ელეონორამ კი იგი პოეზიას აზიარა. ელეონორა მისი ბავშვობის მეგობარი იყო და შესაძლოა მათ შორის უფრო ნაზ გრძნობასაც ჰქონდა ადგილი. ელეონორა შემდეგ დოქტორ ვეგლერზე გათხოვდა, რომელიც ბეთჰოვენის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი გახდა; ეს სათნო მეგობრობა მათ შორის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შეწყვეტილა. ამას ადასტურებენ ვეგლერისა და ელეონორას ღირსეული და სიყვარულით აღსავსე წერილები და ძველი და ეთგული მეგობრის (alter treuer Freund) კეთილ და ძვირფას ვეგლერისადმი (guter lieber Wegeler) მიწერილი ბარათები. ეს მეგობრობა მით უფრო ამაღელვებელია, რომ სიბერემაც ვერ გააცივა მათი გულის სიჭაბუკე [1].

მიუხედავად მძიმე ბავშვობისა, ბეთჰოვენმა თავისი სიყრმისა და იმ ადგილებისადმი, სადაც ბავშვობა გაატარა, ნაზი და მელანქოლიური მოგონება შემოინახა. მართალია, იძულებული გახდა ბონიდან წასულიყო და თითქმის მთელი თავისი ცხოვრება ვენის, ამ დიდი და ქარაფშუტა ქალაქის, სევდიან გარეუბანში გაეტარებინა, მაინც არასოდეს დავიწყებია რაინის ველ-მინდვრები, დიდებული და მამასავით ძლიერი დიდი მდინარე,—როგორც თავად უწოდებდა, „ჩვენი მამა რაინი" („unser Vater Rhein"), — ასე ცოცხალი, თითქმის ხორცშესხმული, ბუმბერაზი სულის მსგავსი, სადაც ამდენი აზრი და ძლიერი აღტყინება სცვლიან ერთმანეთს. მართლაც, რაინი არსად არ არის უფრო ლამაზი, უფრო ძლიერი და უფრო მშვიდი, ვიდრე ამ მომხიბვლელ ქალაქში, რომლის დაჩრდილულ და ყვავილოვან ფერდობებს ის

---

[1] ანდერძთან ერთად მოგვყავს რამდენიმე ამ წერილთაგანი. ბეთჰოვენმა იპოვა მეგობარი და მეგზური თავისი მასწავლებლის, ქრისტიან გოტლიბ ნეფის სახით, რომლის ზნეობრივმა კეთილშობილებამ არანაკლები გავლენა იქონია ბეთჰოვენზე, ვიდრე ხელოვანის უსაზღვრო ნიჭმა.

შმაგი ალერსით ელამუნება. აი, აქ გაატარა ბეთჰოვენმა თავისი ცხოვრების პირველი ოცი წელი; აქ ჩამოყალიბდა მისი ჭაბუკი გულის ოცხებანი, აქ, ამ მინდვრებში, მდინარის ზედაპირზე რომ აირეკლებიან თავისი ნისლშემოხვეული ალვის ხეებით, ტირიფებითა და ხეხილით, რომლებიც ფესვებს წყლის მდუმარე და სწრაფ ნაკადში აბანავებენ.

ნაპირისაკენ ზანტად დაუხრიათ თავი ცნობისმოყვარე სოფლებს, ეკლესიებს და სასაფლაოებს, შვიდ მოლურჯო მთას ზეცაზე გამოუსახავს თავიანთი მღელვარე პროფილები, რომელთაც ძველი და დანგრეული ციხე-დარბაზების საცოდავი და საოცარი სილუეტები ამშვენებენ. აი, ამ მხარის სამუდამეამოდ ერთგული დარჩა ბეთჰოვენი. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ოცნებობდა კვლავ ეხილა საყვარელი კუთხე, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. „ჩემი სამშობლო, უმშვენიერესი მხარე. სადაც მე დღის სინათლე ვისილე, თვალწინ მიდგას ისეთივე მშვენიერი, ისეთივე ნათელი, როგორიც იყო მაშინ, როდესაც დავტოვე“ [1].

* * *

1792 წლის ნოემბერში ბეთჰოვენმა რაინის ნაპირი დატოვა და გერმანიის მუსიკალურ დედაქალაქ ვენაში დამკვიდრდა[2]. გამარჯვებული რევოლუცია ევროპას წალეკვით ემუქრებოდა. ბეთჰოვენი ბონიდან იმ დროს წავიდა, როდესაც ომმა ქალაქში მოაღწია. გზად საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრებული ჰესის სამეფო ჯარებს შეხვდა. პატრიოტულმა გრძნობებმა აღაფრთოვანეს ხელოვანი. 1796 და 1797 წლებში მან ფრიდბერგის საომარ ლექსებზე მუსიკა დაწერა: — „ომში გამგზავრების ჰიმნი“ და პატრიოტული საგუნდო სიმღერა: „ჩვენ დიდი გერმანელი ხალხი ვართ“ („Ein grosses deutsches Volk sind wir“). მაგრამ ამაოდ ცდილობს რევოლუციის მტრებს უმღეროს: რევოლუცია იპყრობს მთელ სამყაროს და თვით ბეთჰოვენსაც. 1798 წლიდან, მიუხედავად ავსტრიასა და საფრანგეთს შორის დაძაბული დამოკიდე-

---

[1] 1801 წლის 20 ივნისს ვეგლერისადმი მიწერილი წერილი (ნოლი, XIV).

[2] 1787 წელს გაზაფხულზე მოკლე ხნით იმოგზაურა ვენაში. მაშინ იქ მოცარტი უნახავს, რომელსაც, როგორც ჩანს, მისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია.

1790 წლის დეკემბერს ბონში ბეთჰოვენმა გაიცნო ავსტრიელი კომპოზიტორი ჰაიდნი, რომელმაც მას რამდენიმე გაკვეთილი მისცა. ბეთჰოვენი სწავლობდა აგრეთვე ალბრეხტსბერგერთან და სალიერისთან; პირველმა კონტრაპუნქტი და ფუგა ასწავლა, მეორემ — ხმისთვის წერა.

ბულებისა, ბეთჰოვენი ახლო კავშირს ამყარებს ფრანგებთან, საფრანგეთის საელჩოსთან, ვენაში ახლად ჩასულ გენერალ ბერნადოტთან. მათთან ბაასში ყალიბდება მისი რესპუბლიკური შეხედულებანი და გრძნობები, რაც მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე ძალუმად უვითარდებოდა.

შტაინჰაუზერის მიერ შესრულებული პორტრეტი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა იმდროინდელ ბეთჰოვენზე. მის შემდგომ სურათებთან შედარებით ბეთჰოვენის ეს პორტრეტი იგივეა, რაც გერეხის მიერ შესრულებული ბონაპარტის პორტრეტი: ბონაპარტის სახე აქ უფრო მკაცრია და პატივმოყვარეობის ციებცხელებით არის შეპყრობილი. ამ სურათზე ბეთჰოვენი უფრო ახალგაზრდა ჩანს, გამხდარია, თავი სწორად უჭირავს, მაღალ ყელსახვევში კისერი გაშეშებია, ძზერა უნდო და დაძაბული აქვს. იცის, რა უნდა, სჯერა თავისი ძალისა. 1796 წელს უბის წიგნაკში წერს: „გულს ნუ გაიტეხ! ხორციელი სისუსტის მიუხედავად ჩემი გენია გაიმარჯვებს. ოცდახუთი წელი! აი, ეს წლებიც მობრძანდნენ! მე ოცდახუთი წლისა ვარ... ამ წელს მთელი ჩემი სიგრძე-სიგანით უნდა გამოვჩნდე“.[1] ქალბატონი დე ბერნჰარდი და გელინკი გადმოგვცემენ, ბეთჰოვენი მეტისმეტად ამაყი, პირქუში კაცია, უხეში მიხრა-მოხრა აქვს და მკვეთრი პროვინციული კილოთი ლაპარაკობსო; მაგრამ მხოლოდ მისმა ახლო მეგობრებმა იციან, თუ რა ფაქიზი სათნოება იმალება ამ ქედმაღლური სიტლანქის მიღმა; მაგალითად, როდესაც ვეგლერს თავის მიღწევებზე სწერს, პირველად ეს აზრი მოსდის თავში: „წარმოიდგინე, მე ვხედავ მეგობარს, რომელსაც უჭირს, ჩემი ქისა კი ცარიელია და არ შემიძლია დახმარების ხელი გავუწოდო, მაგრამ საკმარისია სამუშაო მაგიდას მივუჯდე და მოკლე ხანში მეგობარი თავს დააღწევს გაჭირვებას. წარმოგიდგენია, რა დიდებული რამ არის ეს“ [2]. ცოტა ქვემოთ კი ამბობს: ჩემი ხელოვნება ღარიბთა კეთილდღეობას უნდა მსახურებდესო (Dann soll meine Kunst sich nur zum Besten der Armen zeigen).

---

[1] ეს მხოლოდ მისი დებიუტის პერიოდი იყო. ბეთჰოვენმა, როგორც პიანისტმა, პირველი კონცერტი 1795 წლის 30 მარტს გამართა

[2] ა. ვეგლერს, 29 ივნისი, 1801 წ. (ნოლი, XIV). „სანამ მე რამე მაქვს, არც ერთ ჩემს მეგობარს არაფერი არ უნდა აკლდეს“, სწერს იგი რისს 1801 წელს (ნოლი, XIV).

და აი, უბედურებამ უკვე კარზე დაუკაკუნა, ჩაუსაფრდა და სიკვდილამდე არ განშორებია. 1796-სა და 1800 წლებს შორის სიყრუე თანდათან ერევა[1]. დღე და ღამე ყურები უწივის, კუჭ-ნაწლავის ტკივილი სტანჯავს. სმენა უსუსტდება. მრავალი წლის განმავლობაში არავის უმხელს თავის უბედურებას, ახლო მეგობრებსაც კი უმალავს. თავს არიდებს საზოგადოებას, რათა მისი ფიზიკური ნაკლი არავინ შეამჩნიოს. საიდუმლოდ ინახავს ამ საზარელ საიდუმლოებას. დადგა 1801 წელი. მეტი აღარ შეუძლია, არ შეუძლია ეს საიდუმლოება შეინახოს და სასოწარკვეთილი თავის ორ მეგობარს ანდობს: დოქტორ ვეგლერს და პასტორ ამანდას:

„ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო ამანდა... რომ იცოდე, რა ხშირად გნატრობ, როგორ მინდა ჩემთან იყო... შენი ბეთჰოვენი უბედურია. ყველაზე კეთილშობილი ჩემში სმენა იყო და ისიც დამისუსტდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ერთად ვიყავით, ავადმყოფობის ნიშნებს ვგრძნობდი, მაგრამ ვმალავდი; მას შემდეგ მდგომარეობა გამიუარესდა... განვიკურნები? ცხადია, იმედი მაქვს, მაგრამ

---

[1]1802 წლის ანდერძში ბეთჰოვენი ამბობს, რომ უკვე ექვსი წელია, რაც ავადმყოფობა დაეწყო, ესე იგი, 1796 წლიდან. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ მის შრომათა კატალოგში op. 1 (სამი ტრიო) ერთადერთია, რომელიც 1796 წლამდეა დაწერილი. op. 2, სამი პირველი სონატა ფორტეპიანოსათვის, გამოქვეყნდა 1796 წლის მარტში. ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველაფერი, რაც ბეთჰოვენმა შექმნა, შექმნა ყრუ ბეთჰოვენმა.

ბეთჰოვენის სიყრუეზე იხილეთ დოქტორ კლოც-ფორეს 1905 წლის 15 მაისის „კრონიკ მედიკალში“ გამოქვეყნებული სტატია. სტატიის ავტორი ფიქრობს, რომ სენის მიზეზი მემკვიდრეობითია (დედის ჭლექი). 1796 წელს დოქტორ კლოც-ფორე ევსტაქის მილების ანთების დიაგნოზს სვამს, რაც 1799 წლისათვის ყურის მწვავე ანთებად გადაიქცა. ცუდმა მკურნალობამ კი ბეთჰოვენი ყურის კატარულ და ქრონიკულ ანთებამდე მიიყვანა. სიყრუე კიდევ უფრო გამწვავდა, მაგრამ სრული არასოდეს გამხდარა. ბეთჰოვენს დაბალი ტონები უფრო კარგად ესმოდა, ვიდრე მაღალი ბგერები. ამბობენ, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ის ხმარობდა ხის ჭკეპლას, რომლის ერთი ბოლო ფორტეპიანოს კორპუსში ედო, მეორე კი კბილებით ეჭირაო. ამ ხერხს მაშინ მიმართავდა, როდესაც ჰქმნიდა და უნდოდა გაეგონა.

ამავე საკითხზე იხილეთ ს. გ. კუნის სტატია „ვინერ მედიცინიშე ვოხენშრიფტ“-ში (თებერვალი-მარტი, 1902 წ.) და ვილიბალდ ნაგელის სტატია „მუზიკ“-ში (მარტი, 1902 წ.).

ბონში, ბეთჰოვენის სახელობის მუზეუმში, შემონახულია 1814 წელს მექანიკოს მელცელის მიერ ბეთჰოვენისათვის გაკეთებული აკუსტიკური ინსტრუმენტები.

მეტად სუსტი, ეს სენი ყველაზე უკურნებელია. როგორი მწუხარე ცხოვრება მერგო, თავი უნდა ვარიდო ყველაფერს, რაც მიყვარს და რაც ძვირფასია ჩემთვის, თანაც ვიცხოვრო ამ საზიზღარ და ეგოისტურ საზოგადოებაში!.. ბედის მორჩილება, აი თურმე სად უნდა შევაფარო თავი. მართალია, გადავწყვიტე, ყველა ამ უბედურებათა მაღლა დავდგე, მაგრამ შევძლებ კი?"[1]

ვეგლერს კი სწერს: „... გამწარებულ ცხოვრებას მივათრევ. ორი წელია, რაც თავს ვარიდებ საზოგადოებას, არ შემიძლია ხალხთან საუბარი: მე ყრუ ვარ. სხვა ხელობა რომ მქონდეს, კიდევ არა უშავს, მაგრამ ჩემი ხელობის კაცისათვის რაღა შეიძლება იყოს ამაზე საზარელი. რას იტყვიან ჩემი მტრები? მათი რიცხვი კი არც ისე მცირეა... თეატრში ორკესტრთან ახლო უნდა დავჯდე, რომ მსახიობის ლაპარაკი გავიგო. თუ ცოტა მოშორებით დავჯექი, ინსტრუმენტებისა და ხმების მაღალ ტონებს ვერ ვიჭერ... როდესაც ხმადაბლა ლაპარაკობენ, ძლივს მესმის!.. ყვირილს ვერ ვიტან... ხშირად გაჩენის დღეს ვიწყეველი. პლუტარქემ ბედის მორჩილება მასწავლა. მინდა, თუ კი შევძელი, ჩემს სვე-ბედს წინ აღვუდგე, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში არის წუთები, როდესაც ღვთის მიერ გაჩენილ ქმნილებათა შორის ყველაზე საცოდავი ქმნილება მე ვარ... ბედის მორჩილება! რა უბადრუკი თავშესაფარია! თუმცა მეტი აღარაფერი დამრჩენია"[2].

ეს ტრაგიკული მწუხარება თავის გამოხატულებას პოულობს ამ ეპოქის რამდენიმე ნაწარმოებში, „პათეტიურ სონატაში" (op. 13, 1799 წ.), განსაკუთრებით კი ფორტეპიანოსათვის დაწერილ „მესამე სოხატის" ლარგოში (op. 10, 1798 წ.). საოცარია, რომ ეს მწუხარება არ შეეხო ბეთჰოვენის იმდროინდელ სხვა ნაწარმოებებს; მაგალითად, ძხიარული სეპტეტი (1800 წ.) და ბრწყინვალე პირველი სიმფონია (დო მაჟორი, 1800 წ.) ჭაბუკური უდარდელობით ბრწყინავენ. ეტყობა დროა საჭირო, რომ სული ტანჯვას შეეჩვიოს. სულს სიხარული სჭირდება, სიხარული, და თუ არა აქვს, თავად უნდა შექმნას. როდესაც აწმყო აუტანელია, სული წარსულით ცხოვრობს. წარსული ბედნიერი დღეების უცებ დავიწყება შეუძლებელია, მათი შარავანდედი დიდხანს კაშკაშებს. ვენაში მარტომყოფი და უბედური ბეთჰოვენი მშობელი

---

[1] ნოლი, „ბეთჰოვენის წერილები", XIII.

[2] ნოლი, „ბეთჰოვენის წერილები", XIV.

ძხარის ძოგონებაში ეძებს თავშესაფარს: მისი იმდროინდელი ფიქრი მხოლოდ მშობელ მხარეს ეკუთვნის. ანდანტეს თემა ვარიაციებით სეპტეტში რაინული ბალადაა (Lied). ასევე რაინის ქმნილებაა სიმფონია დო მაჟორი, პოემა ჭაბუკისა, რომელიც თავის ოცნებებს უღიმის. სიმფონია ნაზი და მხიარულია, იგრძნობა, რომ ავტორს იმედი აქვს და სურს კიდეც მოწონება დაიმსახუროს; მაგრამ ზოგ ადგილებში, ძაგალითად შესავალში, ბასების ნაღვლიან შუქჩრდილში, უცნაურ სკერცოში შეამჩნევთ, და მერე როგორი მღელვარებით, ამ ახალგაზრდის სახეზე მომავალი გენიოსის გამოხედვას. ეს ბოტიჩელის „წმინდა ოჯახების“ ბიუუნას თვალებია, ჩვილის თვალები, რომლებშიც თითქოს უკვე კითხულობთ მომავალ ტრაგედიას.

მის ფიზიკურ ტანჯვას სხვა სატკივარიც დაემატა. ვეგლერი გადძოგვცემს, არ მახსოვს ბეთჰოვენი უკიდურესობამდე მისული გატაცების გარეშეო; მისი გატაცება ყოველთვის დიდი სიწმინდით გამოირჩეოდა. ბეთჰოვენის სიყვარულს არავითარი კავშირი არა აქვს სიამოვნებასთან და თუ ახლა მათ ერთმანეთში ურევენ, ეს იმიტომ, რომ ადამიანების უმრავლესობას არ ესმის სიყვარული და ნამდვილი სიყვარული უაღრესად იშვიათი გახდა. ბეთჰოვენის სულში რაღაც პურიტანული რამ იყო; უტიფარი საუბარი და აზრი მასში ზიზღს იწვევდა, სიყვარულის სიწმინდეზე ურყევი აზრი ჰქონდა. ამბობენ, რომ მას ვერ ეპატიებინა მოცარტისათვის თავისი გენიის წაბილწვა „დონ ჟუანის“ დაწერით. მისი უახლოესი მეგობარი შინდლერი გვარწმუნებს, ბეთჰოვენმა თავისი ცხოვრება უმანკო სიწმინდით გასვლო და თავის თავს ვერც ერთ წუთიერ სისუსტეს ვერ უსაყვედურებსო. ასეთი ადამიანი თითქმის იმისათვისაა გაჩენილი, რომ იყოს სიყვარულის ბილანი და ძსხვერპლი. ის ერთიც იყო და მეორეც. მუდამ შეყვარებული, განუწყვეტლივ ბედნიერებაზე მეოცნებე, მუდამ მოტყუებული რჩებოდა და მწარედ იტანჯებოდა.

და სწორედ ამ სიყვარულისა და ქედმაღლური აღშფოთების მონაცვლეობაში უნდა ვეძიოთ ბეთჰოვენის ზეშთაგონების ყველაზე უფრო ნაყოფიერი წყარო, სანამ მისი ფიცხი ბუნების მგზნებარება ძელანქოლიურ მორჩილებაში არ დამშვიდდება.

1801 წელს მისი გატაცების საგანი, როგორც ჩანს, ჯულიეტა გიუჩიარდი იყო, რომელიც მან უკვდავყო იმით, რომ მიეძღვნა ცნობილი სონატა „მთვარის შუქი“, op. 27 (1802 წ.). „ახლა უფრო ტკბი-

ლად ვცხოვრობ, უფრო ხშირად გავდივარ ხალხში... ეს ცვლილება ერთი მშვენიერი ქალიშვილის მომხიბვლელობამ მოახდინა. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. ამ ორი წლის მანძილზე ეს პირველი ბედნიერი წუთებია".[1] ძვირად დაუჯდა ეს პირველი ბედნიერი წუთები ბეთჰოვენს. ჯერ ერთი, ამ სიყვარულმა უფრო მეტად აგრძნობინა მისი უკურნებელი სენით გამოწვეული უმწეობა და დუხჭირი ყოფა, რომლებიც ნებას არ აძლევდა შეერთო ის, ვინც უყვარდა. ესეც არ იყოს, ჯულიეტა პრანჭია, თავქარიანი და ეგოისტი გამოდგა. მან გაამწარა ბეთჰოვენი და 1803 წელს გრაფ გალენბერგზე[2] გათხოვდა. ასეთი სიყვარული აჩაბაგებს სულს და, თუ სული ავადმყოფობის გამო დაუძლურებულია, როგორც ბეთჰოვენის სული იყო, შეიძლება ის საბოლოოდ განადგურდეს. ეს ერთადერთი მომენტია ბეთჰოვენის ცხოვრებაში, როდესაც ის დაღუპვის მიჯნაზე იდგა. მან გადაიტანა სასოწარკვეთილებით აღსავსე კრიზისი, რასაც მისი ერთი წერილი გვამცნობს: ესაა მისი ძმების, კარლოსისა და იოჰანისადმი მიწერილი ჰაილიგენშტატის ახდერძი შემდეგი მითითებებით: „წაკითხულ და სისრულეში მოყვანილ იქნას ჩემი სიკვდილის შემდეგ"[3]. ეს წერილი აღშფოთებითა და უძოწყალო სულიერი ტანჯვით გამოწვეული გოდებაა. შეუძლებელია მისი წაკითხვისას სიბრალულის გრძნობამ არ შეგიპყროთ. მაშინ ბეთჰოვენი მზად იყო თავი მოეკლა და თუ გადარჩა, ეს მისი შეუდრეკელი სულიერი სიმტკიცის წყალობაა[4]. განკურნების უკანასკნელი იმედიც

---

[1] ვეგლერს, 16 ნოემბერი, 1801 წ. (ნოლი XVIII).

[2] შემდეგ ჯ. გიუჩიარდი არ მოერიდა თავისი ქმრის სასარგებლოდ გამოეყენებინა ბეთჰოვენის სიყვარული. ბეთჰოვენი დაეხმარა გალენბერგს. „ის ჩემი მტერი იყო და სწორედ ამიტომ უნდა გამეკეთებინა მისთვის ყოველნაირი სიკეთე, რაც შემეძლო", ეუბნება ის შინდლერს ერთ-ერთ თავის „სასაუბრო რვეულში" 1821 წელს. შაგრამ ამან უფრო მეტად შეაზიზღა იგი. „ჯულიეტა ვენაში რომ ჩამოვიდა, — წერს ფრანგულად ბეთჰოვენი, — ტიროდა და ისე ძეძებდა, შაგრამ მე მეზიზღებოდა".

[3] 6 ოქტომბერი, 1802 წ (ნოლი, XXVI).

[4] „თქვენს ბავშვებს სათნოება ასწავლეთ. მხოლოდ სათნოებას და არა ფულს შეუძლია ბედნიერების მოტანა. საკუთარი გამოცდილება მალაპარაკებს. ჩემს უბედურებაში ის მამხნევებდა, მას და ჩემს ხელოვნებას უნდა ეუმადლოდე, რომ ცხოვრება თვითმკვლელობით არ დავამთავრე". 1810 წლის 2 მაისს, ვეგლერისადმი მიწერილ მეორე წერილში იგი წერს: „მე რომ სადღაც არ წამეკითხა, ადამიანი თავისი ნებით არ უნდა გამოესალმოს სიცოცხლეს მანამდე, სანამ შეუძლია კეთილი საქმე აკეთოსო, დიდი ხანია ამ ქვეყნად აღარ ვიქნებოდი და უთუოდ ჩემივე ნებასურვილით".

ვაქრა. „ის დიდი მხნეობა, რომელიც მაიმედებდა, გაუჩინარდა. ჰოი, გახგებავ, მარგუნე ეოთი დღე, მხოლოდ ეოთი ნამდვილი სიხარულის დღე! რამდენი ხანია, რაც ჭეშმარიტი სიხარულის ჟღერა არა მსმენია. როდის, ო, როდის შემეძლება, უფალო, კვლავ შევხვდე სიხარულს?.. არასოდეს? არა, ეს მეტისმეტი გულქვაობა იქნებოდა!“

ეს სიტყვები აგონიის ოხვრას მოგვაგონებს. მიუხედავად ამისა, ბეთჰოვენი კიდევ ოცდახუთ წელს იცოცხლებს. მისი ძლიერი ბუნება ვერ დაიჩოქებდა ტანჯვის წინაშე. „ჩემი ფიზიკური ძლიერება ჩემს სულიერ სიძლიერესთან ერთად იზრდება ისე, როგორც არასოდეს. ვგრძნობ, რომ ჩემი სიუბუკე მხოლოდ ახლა იწყება. ყოველდღე ვუახლოვდები მიზანს, ვხედავ მას, მაგრამ არ შემიძლია განვსაზღვრო... მსოფლიოს გულში ჩავიკრავდი, ამ სენისაგან რომ შემეძლოს განთავისუფლება. ჩემთვის არ არსებობს დასვენება! მხოლოდ მაშინ ვისვენებ, როდესაც მძინავს და თავს უბედურად ვგრძნობ, რადგან იძულებული ვარ, ძილს უწინდელზე მეტი დრო დავუთმო. ნეტავი ნახევრად მაინც დავაღწევდე თავს ჩემს სატკივარს და მაშინ... არა ამას ვერ ავიტან, ბინდა ყელში ვწვდე ბედისწერას. იგი ვერ მომდრეკს. ო, რა კარგი იქნებოდა, ათასი ცხოვრება იცხოვროს კაცმა“ [1].

ეს სიყვარული, ტანჯვა, ხებისყოფა, სასოწარკვეთილებისა და ქედმაღლობის მონაცვლეობა, ეს შინაგანი ტრაგედიები თავიანთ გამოხატულებას პოულობენ ბეთჰოვენის მიერ 1802 წელს დაწერილ დიად ნაწარმოებებში: სონატაში სამგლოვიარო მარშით, op. 26, სონატაში „Quasi una fantasia“,—მთვარის შუქის სონატაში, op. 27, მეორე სოხატაში, op. 31, თავისი დრამატული რეჩიტატივებით, რომელიც სასოწარკვეთილ და გრანდიოზულ მონოლოგს მოგაგონებთ, იმპერატორ ალექსანდრესადმი მიძღვნილ სონატა დო მინორში ვიოლინოსათვის, op. 30, „კრაიცერის სონატაში“, op. 47 და გელერტის სიტყვებზე დაწერილ ექვს გმირულ, გულგამგმირავ და რელიგიურ მელოდიაში, op. 48. 1803 წელს დაწერილი მეორე სიმფონია უფრო მის ჭაბუკურ სიყვარულს გამოხატავს, იგრძნობა, რომ მისი ნებისყოფა უდაოდ იძარჯვებს. უძლეველი ძალა ფანტავს ნაღვლიან ფიქრებს. სიცოცხლის ძლიერი დუღილი აღაფრენს ფინალს. ბეთჰოვენს უნდა, ბედნიერი

---

[1] ვეგლერს (ნოლი, XVIII).

იყოს: არ სურს დაიჯეროს. რომ მისი უბედობა უკურნებელია: სურს განკურნება, სურს სიყვარული [1]. იმედს არ ჰკარგავს.

* * *

მის მრავალ ნაწარმოებში მარშისა და ბრძოლის რიტმების ენერგიასა და ჟინს განცვიფრებაში მოჰყავხართ. ეს განსაკუთრებით ალეგროსა და მეორე სიმფონიის ფინალში იგრძნობა, უფრო ძლიერად კი იმპერატორ ალექსანდრესადმი მიძღვნილ პირველ საზეიმო-გმირულ ნაწილში. ამ მუსიკისათვის დამახასიათებელი მებრძოლი კილო გვაგონებს ეპოქას, რომელმაც იგი შვა. რევოლუცია ვენისაკენ მიემართებოდა და ბეთჰოვენსაც იპყრობდა. მეგობართა ვიწრო წრეში გულწრფელად გამოთქვამდა თავის აზრს პოლიტიკურ მოვლენებზე და მათზე იშვიათი გამჭრიახობით, ნათლად და ზუსტად მსჯელობდაო, გადმოგვცემს კეთილშობილი ფონ ზეიფრიდი. ბეთჰოვენის მთელი თანაგრძნობა რევოლუციური იდეების მხარეზე იყო. მას უყვარდა რესპუბლიკური პრინციპებიო, ამბობს მისი მეგობარი შინდლერი, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობდა ბეთჰოვენს მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში. იგი განუსაზღვრელი თავისუფლებისა და ეროვნული დაძოუკიდებლობის მომხრე იყო... სურდა სახელმწიფოს მართვაში ყველას მიეღო მონაწილეობა... საფრანგეთისათვის საყოველთაო არჩევნები ეწადა, იმედი ჰქონდა, რომ ბონაპარტი შემოიღებდა საყოველთაო არჩევნებს და ამრიგად საფუძველს ჩაუყრიდა ადამიანთა ძოდგმის ბედნიერებას. პლუტარქეს შრომებით ნაზიარები მშფოთვარე რომაელი გმირულ რესპუბლიკაზე ოცნებობს, რესპუბლიკაზე, რომელსაც დააარსებდა გამარჯვების ღმერთი: პირველი კონსული, და ერთიმეორის მიყოლებით ქმნის „გმირულ სიმფონია — ბონაპარტს“ (1804 წ.),[2] — იმპერიის ილიადას და „სიმფონია დო მინორის“ ფინალს (1805—1808 წწ.) — დიდების ეპოპეას. ესაა ჭეშმარიტი რევოლუ-

---

[1] ჰორნემანის 1802 წლის მინიატურა ბეთჰოვენს წარმოგვიდგენს იმდროინდელ ძოდაზე ჩაცმულს, ბაკენბარდებით, ტიტუსის ყაიდაზე დავარცხნილი თმებით, ბაიროხისეული გმირის ფატალური იერით, მაგრამ ნაპოლეონისებური ნებისყოფის ადამიანად, რომელიც ფარ-ხმალს არასოდეს არ ჰყრის.

[2] ცნობილია, რომ „გმირული სიმფონია“ დაწერილია ნაპოლეონისათვის და ნაპოლეონზე და რომ პირველი ხელნაწერის სათაურია: „ბონაპარტი“. ამ დროს ბეთჰოვენმა ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა გაიგო და გააფთრდა: „მაშ, ის მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა“, — იყვირა მან და აღშფოთებულმა ძველ-

ციური მუსიკის პირველი ქმნილებები, რომლებშიც ეპოქის სულისკვეთება ისეთი სისპეტაკითა და ძლიერებითაა გადმოცემული, როგორითაც დიად მოვლენებს ამკობს დიდი და მარტომყოფი სული, ვისი შთაბეჭდილებებიც არ არის ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებით დამცირებული. აქ ბეთჰოვენი გვევლინება ამ ეპიკური ომების ათინათებით გასხივოსნებული და ეს ომები ყველგან, და შეიძლება მისი სურვილის მიუხედავად, ყველა მის იმდროინდელ ნაწარმოებებში არის ასახული: უვერტიურა „კორიოლანში“ (1807 წ.), სადაც ქარიშხლები ბობოქრობენ, „მეოთხე კვარტეტში“, op. 18, რომლის პირველი ნაწილი ასე ახლოა ამ უვერტიურასთან, სონატა „აპასიოხატაში“, op. 57 (1804 წ.), რომელზეც ბისმარკი ამბობდა: „ამ სონატას რომ ხშირად ვისმენდე, გმირთა გმირი ვიქნებოდიო“ [1], „ეგმონტის“

სათაური დახია და ეს ახალი, ერთსა და იმავე დროს შურისმგებელი და ამაღელვებელი სათაური წააწერა: „გმირული სიმფონია ...ერთი დიდი ადამიანის მოსაგონებლად“ („Sinfoniaa eroica... composta per festeggiare il sovvenize di un grand Uomo“). შინდლერი გადმოგვცემს, ბეთჰოვენის ზიზღი ნაპოლეონისადმი თანდათან დაცხრაო და ბოლოს ნაპოლეონში ის ხედავდა ერთ უბედურ ადამიანს, რომელიც ზეციდან გადმოჩეხილი იკაროსის მსგავსად სიბრალულის ღირსი იყო. 1821 წელს, როცა მან გაიგო კუნძულ წმინდა ელენეზე მომხდარი კატასტროფა, თქვა: „ჩვიდმეტი წელია, რაც ამ საშეუხარო ამბავის შესაფერი მუსიკა დაეწერე“. სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ მისი სიმფონიის სამგლოვიარო მარში დამპყრობლის ტრაგიკული სიკვდილის წინათგრძნობით იყო დაწერილი. ასე რომ, შესაძლებელია, „გმირული სიმფონია“ და, განსაკუთრებით, მისი პირველი ნაწილი იყო ბონაპარტის ერთგვარი პორტრეტი, ორიგინალისაგან უდაოდ მეტად განსხვავებული, მაგრამ ისეთი, როგორსაც წარმოიდგენდა და როგორიც უნდოდა ყოფილიყო ნაპოლეონი, ესე იგი: რეკოლუციის გენია. თანაც, აღსახიშნავია, რომ ბეთჰოვენი „გმირული სიმფონიის“ ფინალში უბრუნდება პარტიტურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფრაზას, რომელიც მას ერთხელ უკვე ჰქონდა დაწერილი უდიდესი რეკოლუციური გმირის, თავისუფლების ღმერთის, პრომეთეოსის, სადიდებლად.

[1] რობერტ ფონ კეიდელი (გერმანიის ყოფილი ელჩი რომში), „ბისმარკი და მისი ოჯახი“. 1901 წ. ე. ბ. ლანგის ფრანგული თარგმანი.

რობერტ ფონ კეიდელმა 1870 წლის 30 ოქტომბერს ვერსალში ძალიან ცუდ ფორტეპიანოზე ეს სონატა ბისმარკისათვის დაუკრა. ამ ნაწარმოების უკანასკნელ ფრაზაზე ბისმარკი ამბობდა: ეს არის მთელი ცხოვრების ბრძოლები და ქვითინი. ბისმარკს ბეთჰოვენი ყველა სხვა მუსიკოსზე მეტად მოსწონდა და არა ერთხელ უთქვამს: ბეთჰოვენი ყველაზე უკეთ ეგუება ჩემს ნერვებსო.

პარტიტურაში, საფორტეპიანო კონცერტებშიაც, კონცერტ მი-ბემოლ-ში, op. 73 (1809 წ.), სადაც თვით ვირტუოზობაც გმირულია და სადაც მეომართა ვაჟკაცური ნაბიჯების ომახიანი ხმა ისმის. ამან არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან, ბეთჰოვენმა, როდესაც ის „გმირის სიკვდილზე სამგლოვიარო მარშს“ წერდა (სონატაში op. 26), არ იცოდა, რომ მისი ჰიმნების ყველაზე ღირსეული გმირი, ის ვინც ბონაპარტზე უფრო მეტად მიუახლოვდა გმირული სიმფონიის იდეურ მოდელს, გენერალი ჰოში, ის-ის იყო რაინის ნაპირას დაიღუპა, სადაც კობლენცსა და ბონს შორის ერთი პატარა გორაკის მწვერვალიდან ძისი საფლავის ძეგლი გადმოიყურება; ბეთჰოვენმა ორჯერ მაინც ნახა გამარჯვებული რევოლუცია ვენაში: ფრანგი ოფიცრები 1805 წლის ნოემბერში „ფიდელიოს“ პრემიერას ესწრებიან. გენერალი ჰულენი, ბასტილია რომ აიღო, ცხოვრობდა მის მეგობარ და მფარველ ლობკოვიცთან, რომელსაც ბეთჰოვენმა „გმირული სიმფონია“ და სიმფონია დო მინორი უძღვნა. 1809 წლის 10 მაისს ნაპოლეონი ღამეს ათევს შონბრუნში [1]. ბეთჰოვენს მალე მესეტულდება ფრანგი დამპყრობლები, თუმცა ეს ხელს არ უშლის მთელის სიძლიერით იგრძნოს ნაპოლეონისეული ეპოპეის ციებ-ცხელება; და ვინც ამას არ გრძნობს ისე, როგორც თვით ბეთჰოვენი გრძნობდა, ის მხოლოდ ნახევრად თუ გაიგებს იმ ბრძოლებისა და იმპერიის ჯარების გამარჯვებათა ამ მუსიკას.

---

[1] ბეთჰოვენის სახლი ვენის ფორტიფიკაციულ ნაგებობათა მახლობლად მდებარეობდა. ქალაქის ალების შემდეგ, ნაპოლეონის ბრძანებით, ეს ნაგებობანი ააფეთქეს. „რა ველური ცხოვრებაა, ირგვლივ ნანგრევებსღა ვხედავ, — სწერს ბეთჰოვენი გამომცემლებს ბრეიტკოფს და ჰერტელს 1809 წლის 20 მაისს, — მხოლოდ დოლისა და ბუკის გამაყოველელი ხმა ისმის; ირგვლივ კი ყველგან ტანჯვა და ვაებაა“. ბეთჰოვენისა და მისი ცხოვრების იმდროინდელი სურათი დაგვიტოვა ერთმა ფრანგმა სახელმწიფო მრჩეველის თანაშემწემ ბარონ დე ტრემონმა, რომელმაც ბეთჰოვენი 1809 წელს ნახა ვენაში. დე ტრემონი მსტვრულად აღწერს უწესრიგობას, რომელიც დიდი ბუსიკოსის ბინაზე სუფევდა. ბეთჰოვენმა და დე ტრემონმა ისაუბრეს ფილოსოფიაზე, რელიგიაზე, პოლიტიკაზე და განსაკუთრებით შექსპირზე, რომელსაც ბეთჰოვენი ეთაყვანებოდა. ბეთჰოვენი მზად იყო ტრემონის მიპატიჟება მიეღო და მას პარიზში გაჰყოლოდა, იცოდა, რომ პარიზის კონსერვატორია მის სიმფონიებს უკვე ასრულებდა და პარიზში აღფრთოვანებული თაყვანისმცემლები ჰყავდა. იხილეთ 1906 წლის 1 მაისის „მერკურ მუზიკალში“ ბარონ დე ტრემონის სტატია: „დარბაზობა ბეთჰოვენთან“, გამოქვეყნებული ე. შანტავუანის მიერ.

* * *

ბეთჰოვენმა უეცრად თავი მიანება „სიმფონია დო მინორს“ და ერთი ხელის მოსმით და მისთვის ჩვეული ესკიზების გარეშე „მეოთხე სიმფონია“ დაწერა. მას ბედნიერება ეწვია. 1806 წლის მაისში ბეთჰოვენმა ტერეზა ფონ ბრუნსვიკი[1] დანიშნა. ტერეზას დიდი ხნიდან უყვარდა ბეთჰოვენი, იმ დროიდან, როდესაც ჯერ კიდევ პატარა გოგონა მასთან ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა, ბეთჰოვენის ვენაში დასახლების პირველ ხანებში. ბეთჰოვენი ტერეზას ძმის, გრაფ ფრანცის, მეგობარი იყო. 1806 წელს ის ბრუნსვიკებთან იყო სტუმრად უნგრეთის ქალაქ მარტონვაშარში, სწორედ აქ შეიყვარეს ერთმანეთი ტერეზამ და ბეთჰოვენმა. მოგონება იმ ბედნიერ დღეებზე თვით ტერეზამ შემოგვინახა[2] თავის ჩანაწერებში. „ერთ კვირა საღამოს, — ამბობს ტერეზა, — ნავახშმევს, მთვარის შუქზე, ბეთჰოვენი ფორტეპიანოს მიუჯდა. კლავიატურას ხელი გადაუსვა. მე და ფრანცი ამ ჩვეულებას უკვე ვიცნობდით. ყოველთვის ასე იწყებდა ხოლმე; შემდეგ რამდენიმე აკორდი დაბალ ნოტებზე აიღო და ნელა, იდუმალი ზეიმით დაუკრა სებასტიან ბახის „არია“[3]: „თუ გსურს მიძღვნა შენი გული, დე, ჯერ ეს საიდუმლოდ დარჩეს და ჩვენი საერთო ფიქრის

---

[1] ანდა, უფრო სწორად, ტერეზა ბრუნსვიკი. ბეთჰოვენმა ბრუნსვიკები გაიცნო ვენაში, 1796 — 1799 წლებში. ჯულიეტა გიუჩიარდი ტერეზას დეიდაშვილი იყო. ამბობენ, ერთხანს ბეთჰოვენი ტერეზას ალალი დით, ჟოზეფინათი იყო გატაცებული. ჟოზეფინა ცოლად გაჰყვა გრაფ დეიმს და შემდეგ კი ბარონ შტაკელბერგზე გათხოვდა. უფრო დაწვრილებით ბრუნსვიკების ოჯახზე მოგვითხრობს ანდრე დე ჰევეზის სტატია: „ბეთჰოვენი და უკვდავი სატრფო“ („რევიუ დე პარი“, 15 მარტი, 1910 წ.). ამ ნარკვევისათვის ბატონმა დე ჰევეზიმ გამოიყენა ტერეზას ხელთნაწერი მემუარები და წერილები, რომლებიც შემონახულია მარტონვაშარში — უნგრეთში. ბატონი დე ჰევეზი აგვიწერს ბეთჰოვენის გულითად დამოკიდებულებას ბრუნსვიკების ოჯახთან, თუმცა ეჭვის ქვეშ აყენებს დიდი მუსიკოსის სიყვარულს ტერეზასადმი. მაგრამ მისი საბუთები არ არის დამარწმუნებელი და მე ჩემს თავს ნებას მივცემ ერთ მშვენიერ დღეს შეეედაკო ამ საკითხზე ბატონ დე ჰევეზის.

[2] მარიამ ტენგერი, „ბეთჰოვენის უკვდავი სატრფო“ („Beethoven's unsterbliche Geliebte“), ბონი, 1890 წ.

[3] ეს შესანიშნავი არია ი. ს. ბახის მეუღლის ანა მაგდალენას ალბომშია ჩაწერილი სათაურით: „ჯიოვანინის არია“ „Aria di Giovannini“. ეს არია ბახს ეკუთვნოდა თუ არა, ერთ დროს დავის საგანი იყო.

გაგება ვერავინ შეძლოს". კიურესა და დედაჩემს ჩასძინებოდათ, ძმა ფიქრებში წასულიყო, მე კი, მისი მუსიკით და შემოსედვით მოხიბლულმა, ცხოვრება მთელი სიგრძე-სიგანით ვიგრძენი. მეორე დღეს, დილით, პარკში შევხვდით ერთმანეთს. ამჟამად ოპერას ვწერო, მითხრა. „მთავარი გმირი ჩემშია, ჩემს წინ; ყველგან, სადაც მივდივარ, თან მახლავს, ყველგან, სადაც უნდა ვიყო, ჩემთან არის. არასოდეს არ ავსულვარ ასეთ მწვერვალზე. ყველაფერი ნათელია, სპეტაკი და ცხადი. დღემდე ფერიათა ზღაპრის იმ ყრმას ვგავდი, რომელიც ქვებს აგროვებს და მის გზაზე გაფურჩქნულ დიდებულ ყვავილს ვერ ამჩნევს". 1806 წლის მაისში მისი საცოლე გავხდი, მხოლოდ ჩემი საყვარელი ძმა ფრანცი იყო თანახმა"

ამ წელს დაწერილი „მეოთხე სიმფონია" უსპეტაკესი ყვავილია, რომელიც მისი ცხოვრების ამ ყველაზე მშვიდი დღეების სურნელებას იხარჩუნებს. სამართლიანად შენიშნეს, რომ ამ სიმფონიაში ბეთჰოვენი ზრუნავს შეარიგოს, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, თავისი გენია იმ ძველ მუსიკალურ ფორმებთან, რომელიც მაშინ ძიღებული იყო და უყვარდათ მის თანამედროვეებს.[1] სიყვარულისაგან ი'მვა ივივე მიდრეკილება შერიგებისადმი, რომელიც კეთილისმყოფელ ზემოქმედებას ახდენდა მის მანერებსა და ყოფაქცევაზე. იგნაც ფონ ზეიფრიდსა და პოეტ გრილპარცერს ახსოვთ ბეთჰოვენი სიცოცხლით სავსე, მხნე, მხიარული, გონებამახვილი, საზოგადოებაში თავაზიანი, ძოძთძენი აბეზრებთან; მუდამ ნატიფადაა ჩაცმული და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ მის სიყრუეს ვერ ამჩნევენ, ამბობენ, ის სავსებით ჯანმრთელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის სუსტ მხედველობასო.[2] ასეთადვე წარმოგვიდგენს მას მელერის მიერ შესრულებული რომანტიკული მოხდენილობის ოდნავ არაბუნებრივი პორტრეტი. ბეთჰოვენს უნდა, რომ მოსწონდეთ და ისიც იცის, რომ მოს-

---

[1] ნოლი, „ბეთჰოვენის ცხოვრება".

[2] ბეთჰოვენი მართლაც ბეცი იყო. იგნაც ფონ ზეიფრიდი ამბობს, რომ მხედველობის სისუსტე ყვავილით იყო გამოწვეული და რომ ის იძულებული იყო სულ ახალგაზრდას სათვალე ეტარებინა; მისი აბნეული ცქერაც უთუოდ სიბეცეს უნდა ძივაწეროთ. 1823 — 1824 წლების წერილებში ბეთჰოვენი ხშირად უჩიოის თვალების ტკივილს. იხილეთ ქრისტიან კალიშერის ჟურნალ „მუზიკში" გამოქვეყნებული სტატია: „ბეთჰოვენის მხედველობა და თვალის დაავადებანი" (1 აპრილი, 1902 წ.) („Beethoven's Augen und Augenleiden").

წონთ. შეყვარებული ლომი ბრჭყალებს მალავს, მაგრამ ასეთი ქცევის, ფანტაზიებისა და თვით „სიმფონია სი ბემოლის“ სინაზის მიღმა იგრძნობა მრისხანე ძალა, ჭირვეული ხასიათი და ბრაზიანი ახირებანი.

ეს ოლიმპიური სიმშვიდე არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო, მაგრამ სიყვარულის სასიკეთო ზეგავლენა 1800 წლამდე გაგრძელდა. უთუოდ ამას უნდა უმადლოდეს ბეთჰოვენი იმ თავშეკავებას, რომელმაც საშუალება მისცა მის გენიას შეექმნა ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოებები: კლასიკური ტრაგედია: — „სიმფონია დო მინორი“ და ზაფხულის დღის ღვთიური ოცნება: „პასტორალური სიმფონია“ (1808 წ.) [1]. შექსპირის „ქარიშხალით“ შთაგონებული „აპასიონატა“ [2], რომელსაც იგი თავის სონატებს შორის ყველაზე მძლავრად ძიიჩნევდა, 1807 წელს გამოქვეყნდა და მიეძღვნა ტერეზას ძმას. თვით ტერეზას მან უძღვნა ოცნებით სავსე და უცნაური სონატა: op. 79 (1809 წ.). უკვდავი სატრფოსადმი მიძღვნილი დაუთარიღებელი წერილი[3] „აპასიონატაზე“ ნაკლებ არ გამოხატავს მის მგზნებარე სიყვარულს

„ჩემო ანგელოზო, ჩემო ყველავ, გული სავსე მაქვს იმით, რაც უნდა გითხრა... ეტირი, როდესაც ვფიქრობ, რომ კვირამდე ვერ მიიღებ ჩემს წერილს. მიყვარხარ ისე, როგორც შენ გიყვარვარ, მაგრამ მე გაცილებით უფრო ძლიერად... ღმერთო დიდებულო! ეს რა ცხოვრებაა! უშენოდ! ასე ახლოსა ხარ ჩემთან და ასე მეშორები... ჩემო უკვდავო სატრფო (meine unsterbliche Geliebte), შენკენ მოილტვიან ყველა ჩემი ფიქრები, ხან მხიარული, ხან კი მწუხარე, ეკითხებიან ბედისწერას, ეკითხებიან, შეინდობს თუ არა ჩვენს ვედრებას. მხოლოდ შენთან შემიძლია ვიცოცხლო, არადა, მე სიცოცხლე არ მიწერია... სხვა ქალი ვერასოდეს ვერ დაიპყრობს ჩემს გულს. ვერასოდეს! ვერასოდეს! ოჰ, უფალო! რად უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, როდესაც ერთმანეთი გვიყვარს? ჩემი ახლანდელი ცხოვრება მწუხარებითაა სავსე. შენმა სიყვარულმა ერთსა და იმავე დროს უბედნიერესი და ყველაზე უბედური ადამიანი გამხადა.

კაეშანს ნუ მიეცემი.... ნუ იდარდებ.

---

[1] გოეთეს სასცენო მუსიკის წერა ბეთჰოვენმა 1809 წელს დაიწყო. მას სურდა „ვილჰელმ ტელის“ მუსიკაც დაეწერა, მაგრამ ეს გიროვეცს მიანდეს.

[2] შინდლერთან საუბარი.

[3] როგორც ჩანს, ეს წერილი კორომპში დაწერა, ბრუნსვიკებთან.

... იყავი მშვიდად... იყავი მშვიდად. გიყვარდე.

დღესაც, გუშინაც, რა მგზნებარებით მოვისწრაფოდი შენკენ. ცხარე ცრემლსა ვღვრი. ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ყველავ! მშვიდობით! ოჰ! ნუ შემიძულებ, ნურასოდეს ზურგს ნუ შეაქცევ შენი სატრფოს გულს. სამუდამოდ ჩემი ხარ, სამუდამოდ შენი ვარ, სამუდამოდ ერთმანეთს ვეკუთვნით“ [1].

რა იდუმალმა მიზეზმა შეუშალა ხელი ამ ორი არსების ბედნიერებას, ორი ადამიანისა, რომლებსაც ასე უყვარდათ ერთმანეთი? შესაძლოა სიღარიბემ, საზოგადოებაში მათ მდგომარეობათა განსხვავებამ. შესაძლოა ბეთჰოვენი იმ ხანგრძლივმა ლოდინმა შეურაცხყო და აღაშფოთა, რომელსაც მისგან მოითხოვდნენ, შესაძლოა აჯანყდა იმის წინააღმდეგ, რომ აიძულებდნენ სიყვარული გაუთავებლად საიდუმლოდ შეენახა.

შესაძლოა ფიცხმა, ავადმყოფმა და მიუკარებელმა ბეთჰოვენმა, მისი სურვილის წინააღმდეგ. გატანჯა სატრფო და ამის გამო თვითონაც სასოწარკვეთილებას მიეცა. მათი კავშირი დაირღვა, თუმცა არც ერთს და არც მეორეს ეს სიყვარული არ დავიწყებია. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ტერეზა დე ბრუნსვიკს (იგი 1861 წელს გარდაიცვალა) უყვარდა ბეთჰოვენი.

ბეთჰოვენი კი 1861 წელს ამბობდა: მასზე რომ ვფიქრობ, გული ისევე ძლიერად მიძგერს, როგორც იმ დღეს, როდესაც პირველად ვნახეთ. სწორედ იმ წელს დაწერა „შორეული სატრფოსადმი მიძღვნილი“ („An die ferne Geliebte“), op. 98, მეტად ღრმა და ამაღელვებელი ხასიათის ექვსი მელოდია. თავის ჩანაწერებში ბეთჰოვენი წეროს: „გული ამოვარდნაზეა, როდესაც ამ მომხიბლავ ქმნილებას ვხედავ, თუმცა ის აქ არ არის, ჩემთან არ არის“. ტერეზამ ბეთჰოვენს თავისი პორტრეტი უძღვნა ასეთი წარწერით: „იშვიათ გენიოსს, დიდ ხელოვანს და კეთილ ადამიანს. ტ. ბ.“ [2] დიდი მუსიკოსის ცხოვრების უკანასკნელ წელს ერთმა მეგობარმა მას მაშინ მიუსწრო, როდესაც ის ტირილით კოცნიდა ამ სურათს და ჩვეულებისამებრ ხმამაღლა ამბობდა: „შენ ისე მშვენიერი იყავი, ისე სულდიდი, ანგელოსის სადარი“. მეგობარი ჩუმად გაიპარა და ცოტა მოგვიანებით დაბრუნდა; ბეთჰოვენი ამჯე-

---

[1] ნოლი, „ბეთჰოვენის წერილები“, XV.

[2] ეს პორტრეტი დღესაც ბეთჰოვენის სახლში ინახება, ბონში.

რად ფორტეპიანოსთან მიმჯდარი დაინახა და უთხრა: „დღეს, ჩემო ძველო მეგობარო, თქვენს სახეზე დემონური არაფერია“. ბეთჰოვენმა უპასუხა: „ეს იმიტომ, რომ დღეს ჩემი კეთილი ანგელოსი მეწვია“. ჭრილობა მეტად ღრმა იყო. „საბრალო ბეთჰოვენ, — ამბობდა თვითთხვე, — შენთვის ამქვეყნად ბედნიერება არ არსებობს. მხოლოდ იდეალის მხარეში იპოვი მეგობრებს“ [1].

თავის ჩანაწერებში ამბობს: „მორჩილება, სვე-ბედის უსიტყვო მორჩილება! შენ შენთვის ვეღარ იარსებებ, შენ მხოლოდ სხვებისთვის უნდა იცხოვრო; შენთვის ბედნიერება მხოლოდ შენს ხელოვნებაშია. უფალო, მიბოძე ძალა, ჩემი თავი დავძლიო!“

* * *

სიყვარულმა გასწირა ბეთჰოვენი. 1810 წელს ის კვლავ მარტოა. მაგრამ მოვიდა დიდება და საკუთარი ძლიერების რწმენაც თან მოჰყვა. ის აყვავების ხანაშია. მთლიანად ნებდება თავის მძვინვარე და ახირებულ ხასიათს, თავს არაფერზე იწუხებს, ანგარიშს არ უწევს არც საზოგადოებას, აოც მიღებულ პირობითობას, არც სხვის აზრს. რისი უნდა ეშინოდეს, რა უნდა შეიბრალოს? არ არის სიყვარული, აღარც პატივმოყვარეობა. თავისი ძალა, თავისი ძლიერების შეგნების სისარული, აი ესღა რჩება ბეთჰოვენს. უჩნდება მოთხოვნილება მისი გაძოყენებისა, თითქმის ბოროტად გამოყენებისაც კი. „ძალა, აი მორალი იმ ადამიანებისა, რომლებიც განირჩევიან უბრალო მოკვდავთაგან“. ისევე, როგორც წინათ, არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჩაცმას, საზოგადოებაში თავი თავხედურად უპირავს. იცის, რომ უფლება აქვს ყველაფერი თქვას, ყველაფერი უთხრას თვით ამა ქვეყნის ძლიერთაც. „უპირატესობის ნიშნად მე მხოლოდ სიკეთე მიმაჩნია“, — წერს იგი 1812 წლის 17 ივლისს [2]. ბეტინა ბრენტანო, რომელმაც მაშინ ნახა ბეთჰოვენი, ამბობს: არც ერთ იმპერატორს, არც ერთ მეფეს არ ჰქონდა თავისი ძლიერების ასეთი რწმენაო. ბეტინა ბრენტანო მოჯადოებული იყო მისი ძლიერებით: „როდესაც იგი პირველად ვნახე,—წერს გოეთეს, — მთელი სამყარო გაქრა ჩემთვის. ბეთჰოვენმა მსოფლიო

---

[1] წერილი გლეიჭენშტეინს (ნოლი, „ბეთჰოვენის ახალი წერილები“, XXXI).

[2] „გული ყოველივე დიადის ბერკეტია“. ჯიანატაზიო დელ რიოსადმი მიწერილი წერილი (ნოლი, „ბეთჰოვენის წერილები“, CLXXX).

დამავიწყა, დამავიწყა შენი თავიც. ოჰ! ჩემო გოეთე... არა მგონია შევცდე, თუ ვიტყვი, რომ ამ კაცმა დიდად გაუსწრო თანამედროვე ცივილიზაციას“ გოეთე ეძებდა შემთხვევას, გაეცნო ბეთჰოვენი. ისინი ბოჰემის წყლებზე, ტეპლიცში შეხვდნენ ერთმანეთს 1812 წელს და ერთმანეთს მაინცდამაინც ვერ შეეწყვნენ. ბეთჰოვენი გოეთეს გენიის[1] დიდი თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ მას მეტად მძვინვარე და თავნება ხასიათი ჰქონდა, რომ გოეთეს ხასიათს შეწყობოდა ისე, რომ მისთვის წყენა არ მიეყენებინა. ის თვითონვე ყვება გოეთესთან ერთადერთი გასეირნების ამბავს, როდესაც ქედმაღალმა რესპუბლიკელმა საკუთარი ღირსების პატივისცემის გაკვეთილი მისცა ვაიმარის დიდი ჰერცოგის კარის მრჩეველს. გოეთემ ბეთჰოვენს ეს არ აპატია.

„მეფეებსა და პრინცებს შეუძლიათ დანიშნონ პროფესორები და საიდუმლო მრჩეველები და უხვად დაურიგონ ტიტულები და ორდენები, მაგრამ არ შეუძლიათ დიდი ადამიანების შექმნა, ისეთი ნათელი გონების ადამიანებისა, რომლებიც ამ მაღალი საზოგადოების ხალხზე უფრო მაღლა დგანან. და როდესაც ორი ისეთი ადამიანი, როგორიც მე და გოეთე ვართ, ერთად არიან, ამ ვაებატონებმა უნდა იგრძნონ ჩვენი სიდიადე. გუშინ, როდესაც ვბრუნდებოდით, გზად იმპერატო-

---

[1] „გოეთეს ლექსები ბედნიერებას მანიჭებენ“,—სწერს ბეთჰოვენი ბეტინა ბრენტანოს 1811 წლის 19 თებერვალს.

„გოეთე და შილერი ჩემი საყვარელი პოეტები არიან, ისევე, როგორც ოსიანი და ჰომეროსი, სამწუხაროდ ამ უკანასკნელთა კითხვა მხოლოდ თარგმანებში შემიძლია“ (ბრეიტკოფსა და ჰერტელს. 1809 წლის 8 აგვისტო. ნოტი, „ახალი წერილები“. LIII)

. მიუხედავად იმისა, რომ ბეთჰოვენმა ვერ მიიღო შესაფერი აღზრდა, აღსანიშნავია მისი ჭეშმარიტი ლიტერატურული გემოვნება. გოეთეზე მან თქვა: „იგი არის ბუმბერაზი, უდიდებულესი, მუდამ რე მაჟორში“, მაგრამ გოეთეზე მეტად სამი ადამიანი უყვარდა: ჰომეროსი, პლუტარქე და შექსპირი. ჰომეროსისა ყველაზე მეტად „ოდისეა“ მოსწონდა. სულ მუდამ კითხულობდა შექსპირის ნაწარმოებების გერმანულ თარგმანს. ცნობილია, თუ როგორი ტრაგიკული სიდიადით აამეტყველა მუსიკალურ ენაზე „კორიოლანი“ და „ჟარიშმალი“. რაც შეეხება პლუტარქეს, ის მისთვის, ისევე როგორც რევოლუციის მოღვაწეთათვის, ყოველდღიური სულიერი საზრდო იყო; ბრუტუსი, ისევე როგორც მიქელანჯელოსათვის, მისი საყვარელი გმირი იყო და ოთახში ბრუტუსის პატარა ქანდაკება ედგა. მას პლატონი უყვარდა და მთელ მსოფლიოში პლატონის რესპუბლიკის დაარსებაზე ოცნებობდა. „სოკრატე და იესო მისაბაძი მაგალითები იყვნენ“. — უთქვამს ერთგან (1819—1820 წლების „სასაუბრო რვეულები“).

რის ოჯახს შეეხვდით. ჩვენ შორიდანვე შევნიშნეთ ისინი. გოეთემ ხელი მიშვა და გზის პირად გაჩერდა. რამდენი არ ველაპარაკე, რამდენი არ ვარწმუნე, მაინც ნაბიჯი ვერ გადავადგმევინე, მაშინ ქუდი წარბებამდე ჩამოვიფხატე, ქურთუკი შევიკარი, ხელები უკან დავიწყვე და ყველაზე ბრავალრიცხოვან ჯგუფს შევერიე. გზის ორივე მხარეზე პრინცები და ჯარისკაცები გამწკრივდნენ. ჰერცოგმა რუდოლფმა ქუდი მომიხადა, დედოფალი პირველი მომესალმა. დიდებულები მიცნობდნენ მე. თავის შესაქცევად ვუცქერდი, თუ როგორ გაიარა პროცესიამ გოეთეს წინ. ქუდით ხელში მდაბლად ქედმოხრილი იდგა იგი გზის პირად. იცოცხლეთ, მე ის გავჯორე, არაფერი შემირჩენია" [1]. გოეთემ არც ეს დაივიწყა [2].

ამ დროს განეკუთვნება 1812 წელს ტეპლიცში, რამდენიმე თვეში დაწერილი მეშვიდე და მერვე სიმფონიები: რიტმის ორგია და იუმორით

---

[1] ბეტინა ფონ არნიმისადმი მიწერილი წერილი.

[2] „სამწუხაროდ, ბეთჰოვენი თავშეუკავებელი პიროვნებაა, — ეუბნებოდა გოეთე ცელტერს, — რა თქმა უნდა, ის მართალია, როდესაც ამბობს, ეს ქვეყანა საძაგელიაო, მაგრამ ამით ხომ ვერ გახდის საამოდ ვერც თავისთვის და ვერც სხვისთვის. უნდა ვაპატიოთ და შევიბრალოთ, ის ხომ ყრუ არის". შემდეგში გოეთეს არაფერი გაუკეთებია ბეთჰოვენის საზიანოდ. მაგრამ მის სასარგებლოდაც არაფერი უღონია, სრული დუმილით ხვდებოდა მის ნაწარმოებებს, არც ერთხელ არ უხსენებია მისი სახელი. სინამდვილეში გოეთე აღტაცებული იყო ბეთჰოვენის მუსიკით, მაგრამ აღელვებდა და აშინებდა, სულიერი სიმშვიდე არ დამიკარგოსო. სულიერი სიმშვიდე, რომელიც ესოდენ ჯაფად და გარჯად დაუჯდა მას და რომელიც, მიუხედავად გავრცელებული აზრისა, მისთვის საკვებით არაბუნებრივი იყო; ის ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა. მხოლოდ ახალგაზრდა ფელიქს მენდელსონის წერილი უნებურად საშუალებას გვაძლევს შევაღწიოთ ბ-ის მგზნებარე და მშფოთვარე სულის სიღრმეში (Leidenschaftlicher Sturm und Verworrenheit), როგორც თვით გოეთე ამბობდა), რომელსაც ძლიერი გონება იმორჩილებს.

„...ჯერ ერთი, მას ლაპარაკიც არ სურდა ბეთჰოვენზე, — წერს მენდელსონი, — მაგრამ იძულებული გახდა დაეთმო და მოესმინა სიმფონია დო მინორის პირველი ხაზ-ყვეტი, რომელმაც საოცრად ააღელვა, მაგრამ არ შეიმჩნია და მითხრა: „ეს სრულებით არ გაღელვებს კაცს, მხოლოდ გაკვირვებს". შემდეგ კი დაუმატა: „დიდებულია, წარმოუდგენელი, ასე გგონიათ, სახლი სადაცაა დაირწევაო". სავახშმოდ დავსხედით, გოეთე დუმდა, სანამ ლაპარაკი ისევ ბეთჰოვენზე არ ჩამოვარდა, მაშინ ღამიწყო გამოკითხვა, მცდიდა, ცდილობდა ყველაფერი დაწვრილებით გაეგო. მე მივხვდი, შთაბეჭდილება დიდი იყო".

(გოეთესა და ბეთჰოვენის დამოკიდებულებახე იხილეთ ფოიმელის სტატიები).

აღსავსე სიმფონიები, სადაც ბეთჰოვენი, შესაძლოა, უფრო ბუნებრივია და, როგორც თვითონვე ამბობდა, „ღილშეხსნილი“ (aufgeknöpft). ეს სიხარული და სიბრაზე, ეს მოულოდნელი კონტრასტები, გასაოცარი და გრანდიოზული გონებამახვილობა, ტიტანური აფეთქება, შიშის ზარს სცემდა გოეთესა[1] და ცელტერს; ჩრდილოეთ გერმანიაში იმასაც კი ამბობდნენ, სიმფონია „ლა მინორი“ ლოთი კაცის დაწერილიაო. ლოთისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მთვრალი კაცისა კი, დიახაც, არის, — მაგრამ დამთვრალის თავისი გენიითა და სიძლიერით. იგი თვითონვე ამბობდა: „მე ვარ ბახუსი, რომელიც ღვთიურ ნექტარს უწურავს კაცობრიობას, ეს მე ვარ, ვინც ადამიანთ ანიჭებს გონების ღვთიურ გაშმაგებასო“. არ ვიცი, სურდა თუ არა მას თავისი სიმფონიის ფინალში, როგორც ამას ვაგნერი ამბობდა, ჩვენთვის დაეხატა დიონისესებრი დღესასწაული[2]. მე ამ ფინალში, ამ აღვირაწყვეტილ მხიარულებაში მის ფლამანდური მემკვიდრეობის ნიშანსა ვხედავ, ისევე, როგორც მისი ლაპარაკისა და მიხრა-მოხრის კადნიერ თავისუფლებაში (რაც არ ეგუება გერმანულ დისციპლინასა და მორჩილებას) მისი წარმოშობის ნიშნებს ვპოულობ. ვერსად ვერ ნახავთ უფრო მეტ გულახდილობასა და თავისუფალ ძლიერებას, როგორიც „სიმფონია ლა მინორშია“. ეს ზეადამიანური ენერგიის გიჟური ხარჯვაა, ხარჯვა უმიზნო, მხოლოდ სიამოვნებისათვის, იგი იმ მდინარის სიამოვნებას წააგავს, რომელიც ნაპირებიდან გადმოდის და ყველაფერს წალეკვით ემუქრება. მერვე სიმფონიის ძლიერება ნაკლებად გრანდიოზულია, მაგრამ კიდევ უფრო უცნაურია და დამახასიათებელი ისეთი ადამიანისათვის, რომელიც ერთმანეთში რევს ტრაგედიასა და ხუმრობას, ჰერკულესის ძალასა და ბავშვურ სიანცეს[3].

1814 წელი ბეთჰოვენის დიდების მწვერვალია. ვენის კონგრესზე იგი მთელს ევროპაში სახელგანთქმულ კაცად მიიღეს. აქტიური

---

[1] გოეთეს წერილი ცელტერისადმი, 1812 წლის 2 სექტემბერი და ცელტერის წერილი გოეთესადმი, 1814 წლის 14 სექტემბერი. „მეც აღფრთოვანებული ვარ ბეთჰოვენით, მაგრამ მეშიხია მისი („Auch ich bewundere ihn mit Schrecken“). 1819 წელს ცელტერი გოეთეს სწერს: „ამბობენ, რომ ის გიჟია“.

[2] ამ თემაზე ბეთჰოვენს უფიქრია; ამის დამამტკიცებელ საბუთებს მის ჩანაწერებში ვპოულობთ, განსაკუთრებით მეათე სიმფონიის მონახაზებში.

[3] ამ დროს მისი ახლო მეგობარი იყო და, შესაძლოა, ზოგჯერ მისი ნაწარმოებების შთამაგონებელიც, ახალგაზრდა ბერლინელი მომღერალი ქალი ამალია სებალდი.

მონაწილეობა მიიღო დღესასწაულებში. პრინცები მოკრძალებით იხრიან ქედს მის წინაშე, იგი ამაყად ღებულობს მათ თაყვანისცემას და შინდლერთან ტრაბახობს ამით.

ბეთჰოვენი გაიტაცა ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის. 1813 წელს დაწერა სიმფონია: „ველინგტონის გამარჯვება", 1814 წლის დასაწყისში — საომარი საგუნდო სიმღერა: „გერმანიის აღორძინება" („Germanias Weidergeburt"). 1814 წლის 29 ნოემბერს გვირგვინოსანთა საზოგადოების წინაშე უხელმძღვანელა პატრიოტულ კანტატას: „დიდებული წუთი" („Der glorreiche Augenblick"). 1815 წელს პარიზის აღების აღსანიშნავად შეთხზა ქორო: „ყოველივე აღსრულდა!" („Es ist vollbracht!"). ამ ნაწარმოებებმა უფრო დიდი რეპუტაცია შეუქმნეს ბეთჰოვენს, ვიდრე მთელმა მისმა დანარჩენმა შემოქმედებამ. ფრანგი ლეტრონის სურათის მიხედვით შესრულებული ბლაზიუს ჰეიფელის გრავიურა და 1812 წელს ფრანც კლაინის მიერ გამოძერწილი ბეთჰოვენის პირქუში ნიღაბი წარმოგვიდგენს მის ვენის კონგრესისდროინდელ ცოცხალ სურათს. ამ ყბებმოკუმული, მრისხანე და მწუხარე ნაოჭებიანი ლომისებური სახის დამახასიათებელი თვისებაა ნებისყოფა—ნაპოლეონისებური ნებისყოფა. შეიცნობა ადამიანი, რომელიც იენაზე გამარჯვების შემდეგ ნაპოლეონზე ამბობდა: „რა უბედურებაა, რომ არ ვიცნობ სამხედრო საქმეს ისე, როგორც მუსიკას. მე მას დავამარცხებდი". მაგრამ მისი სამეფო არ იყო ამქვეყნიური. „ჩემი იმპერია იქ, მაღლა, ჰაერშია" („Mein Reich ist in der Luft") [1], — სწერდა იგი ფრანც ფონ ბრუნსვიკს.

* * *

ამ დიდების საათს ცვლის მისი ცხოვრების ყველაზე მწუხარე და ყველაზე მწარე პერიოდი.

ბეთჰოვენს არასოდეს ჰყვარებია ვენა. მის აბაყ და თავისუფალ

---

[1] „მე თქვენ არაფერს გეტყვით ჩვენს მონარქებზე და მათ მონარქიებზე,—სწერს იგი კაუკს ვენის კონგრესის დროს, — ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იმპერია გონების იმპერიაა: ის პირველი სამეფოა საერო თუ სასულიერო სამეფოთა შორის" („Mir ist das geistlige Reich das Liebste und der Oberste aller geistlichen und weltlichen Monarchien").

გენიას არ შეიძლებოდა ამ ქარაფშუტა და უფერული საზოგადოების ქალაქში ცხოვრება ძოსწონებოდა, ქალაქში, რომელიც ასე ეზიზღებოდა ვაგნერს [1]. ბეთჰოვენი ცდილობდა აქედან გაქცევას. 1808 წელს გადაწყვიტა კიდეც ავსტრიის დატოვება და საცხოვრებლად ვესტფალიის მეფე ჟერომის კარზე [2] გადასვლა. მაგრამ ვენაში მუსიკას დიდი გასაქანი ჰქონდა და თანაც სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ იქ აღმოჩნდნენ მუსიკის კეთილშობილი მოყვარულები, ვინც იგრძნო ბეთჰოვენის სიდიადე და მოინდომა სამშობლოსათვის აეცდინა სირცხვილი, რომელსაც ბეთჰოვენის დაკარგვა გამოიწვევდა.

1809 წელს ვენის სამმა ყველაზე მდიდარმა დიდებულმა: ბეთჰოვენის მოწაფემ ერცჰერცოგ რუდოლფმა, პრინცმა ლობკოვიცმა და პრინცმა კინსკიმ ვალდებულება იკისრეს, მისთვის ყოველწლიურად გადაეხადათ პენსია 4000 ფლორინის ოდენობით იმ პირობით, თუ ავსტრიაში დარჩებოდა: „ვინაიდან ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია მთელი თავისი ცხოვრება ხელოვნებას მიუძღვნას, თუ თავისუფალია ყოველგვარი მატერიალური საზრუნავისაგან. — ამბობდნენ ისინი, — მხოლოდ ასეთ პირობებში შექმნის უკვდავ ნაწარმოებებს, რომლებიც ხელოვნებას ჭეშმარიტ დიდებას მოუტანენ, ჩვენ ქვემორე ამისა

---

[1] „ვენა — განა ეს ყველაფრის მთქმელი არ არის? არაეითარი ნიშანწყალი აღარ დარჩა გერმანული პროტესტანტიზმისა: ეროვნული გამოთქმაც დაკარგულია — გაიტალიურებული. გერმანული ხასიათი, მიხრა-მოხრა, ზნე-ჩვეულებანი ახსნილია და განმარტებული იტალიიდან ან ესპანეთიდან ჩამოტანილი სახელმძღვანელოებით... ქვეყანაში გაყალბებულია ისტორია, გაყალბებულია მეცნიერება, გაყალბებულია რელიგია.. მეფობს თავქარიანი სკეპტიციზმი, რომელმაც გაანადგურა და დაასაფლავა ჭეშმარიტების, ღირსებისა და დამოუკიდებლობის სიყვარული!“ (ვაგნერი, „ბეთჰოვენი“, 1870 წ.).

გრილპარცერი წერდა, ავსტრიელად დაბადება უბედურება არისო. XIX საუკუნის ბოლო წლებში დიდი გერმანელი კომპოზიტორები, რომლებიც ვენაში ცხოვრობდნენ, გაწამებული იყვნენ ამ ქალაქის სულიერი განწყობილებით, სადაც ბრამსის ფარისეველური თაყვანება იყო გაბატონებული. ბრუკნერის ცხოვრება ვენაში გაუთავებელი ტანჯვა იყო ჰუგო ვოლფმა, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაშმაგებით იბრძოდა. შეუბრალებლად გაკიცხა ვენა

[2] მეფე ჟერომმა ბეთჰოვენს აღუთქვა ექვსასი ოქროს დუკატი მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე და 150 ვერცხლის დუკატი სამგზავრო ხარჯებისათვის იმ პირობით, რომ ზოგჯერ მისთვის დაეკრა და კამერულ კონცერტებზე ედირიჟორა. კონცერტები ხშირად არ უნდა გაემართათ და არც ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო (ნოლი, XLIX). ბეთჰოვენი მზად იყო წასასვლელად.

ხელისმომწერნი ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ გაჟირვებისაგან დავიცვათ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი და ვაშოროთ მას უბადრუკი დაბრკოლებანი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მისი გენიის გაქანებას".

სამწუხაროდ, დაპირება დაპირებად დარჩა. ჯერ ერთი, პენსიას არ უხდიდხენ რეგულარულად და ძალიან მალე სულ შეუწყვიტეს. სხვათა შორის, 1814 წლის კონგრესის შემდეგ ვენამ ხასიათი შეიცვალა. საზოგადოებამ ზურგი აქცია ხელოვნებას და პირი პოლიტიკისაკენ იბრუნა, მუსიკალური გემოვნება იტალიანიზმმა გახრწნა, მოდამ როსინი გაამეფა და ბეთჰოვენი პედანტად გამოაცხადა[1]. ბეთჰოვენის მეგობრები და მფარველები მიმოიფანტნენ ან მიიცვალნენ: პრინცი კინსკი 1812 წელს გარდაიცვალა, ლიხნოვსკი 1814 წელს, ლობკოვიცი 1816 წელს. რაზუმოვსკიმ, რომელსაც ბეთჰოვენმა თავისი შესანიშნავი კვარტეტები, op. 59, მიუძღვნა, 1815 წლის თებერვალში მოაწყო ბეთჰოვენის უკანასკნელი კონცერტი. 1815 წელს ბეთჰოვენი ელეონორას ძმას, თავის ბავშვობის მეგობარ სტეფანე ფონ ბრონინგს წაეჩხუბა[2]. ამიერიდან ის მარტო რჩება, ყველასაგან მიტოვებული[3]. „ძე არა მყავს მეგობრები და მარტოდმარტო ვარ ამქვეყნად", — წერს იგი 1816 წელს.

სულ მთლად დაყრუვდა[4]. 1815 წლის შემოდგომიდან ხალხთან

---

[1] საკმარისი იყო როსინის „ტანკრედი", რომ გერმანული მუსიკის ტაძარი შერყეულიყო. ერჰარდი თავის დღიურში გამოთქვამს ბაუერნფელდის აზრს, რომელიც 1816 წელს მეტად გავრცელებული იყო ვენის სალონებში: „მოცარტი და ბეთჰოვენი ბებერი პედანტები არიან. მათ მხოლოდ წინა საუკუნის უმეცრება აფასებდა; ძხოლოდ როსინის წყალობით გავიგეთ, რა არის მელოდია. „ფიდელიო" ნაგავია; არ მესმის რატომ დადის ხალხი მის მოსასმენად".

1814 წელს ბეთჰოვენმა, როგორც პიანისტმა, უკანასკნელი კონცერტი გამართა.

[2] იმავე წელს ბეთჰოვენმა თავისი ძმა კარლოსი დაკარგა: „მას ძალიან უნდოდა სიცოცხლე, როგორც მე სიკვდილი მენატრება", წერდა იგი ანტონიო ბრენტანოს.

[3] თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაზ მეგობრობას კონტესა მარია ფონ ერდოდისთან, რომელიც მასავით უკურნებელი სენით იყო დაავადებული, და ამასთან, 1816 წელს უეცრად ერთადერთი ვაჟიშვილი გარდაეცვალა. ბეთჰოვენმა მარია ფონ ერდოდის 1809 წელს უძღვნა ორი ტრიო, op. 70 და 1815 — 1817 წლებში ორი დიდი სონატა ვიოლონჩელოსათვის, op. 102.

[4] სიყრუეს ჯანმრთელობის ყოველდღიური გაუარესება დაერთო. 1816 წლის ოქტომბრიდან ის სასუნთქი გზების მწვავე კატარით არის ავად. 1817 წელს, ზაფხულში, მკურნალმა ექიმმა უთხრა, ეს ფილტვების დაავადება არისო. ამას თან სდევს მწვავე რევმატიზმი 1820 — 1821 წლებში, სიყვითლე — 1821 წელს და კონიუნქტივიტი 1823 წელს.

მხოლოდ წერის საშუალებით ამყარებს კავშირს. ყველაზე ძველი „სასაუბრო რვეული“ 1816 წელს[1] განეკუთვნება. ცნობილია შინდლერის დიდი მწუხარებით აღსავსე ნაამბობი 1822 წელს „ფიდელიოს“ წარმოდგენის შესახებ:

„ბეთჰოვენმა მოისურვა, რომ გენერალურ რეპეტიციაზე თვითონვე ედირიჟორა... პირველი მოქმედების დუეტიდანვე აშკარა გახდა, რომ არ ესმოდა, რა ხდებოდა სცენაზე. საგრძნობლად ანელებდა რიტმს და მაშინ, როდესაც ორკესტრი მის წკეპლაკს მიჰყვებოდა, მომღერლები წინ გარბოდნენ. ამას მოჰყვა საერთო არევ-დარევა. უძლაუფმა, რომელიც ორკესტრს დირიჟორობდა, მიზეზის აუხსნელად წუთშესვენება შესთავაზა, მომღერლებს რაღაც უთხრა და რეპეტიცია განახლდა. კვლავ იგივე არევ-დარევა. იძულებული გახდნენ ოპერეტიცია ხელმეორედ შეეწყვიტათ. აშკარა გახდა, რომ ბეთჰოვენის ხელმძღვანელობით რეპეტიციის გაგრძელება შეუძლებელი იყო; მაგრამ მას როგორ გააგებინონ ეს? არავის ჰყოფნიდა გამბედაობა მისთვის ეთქვა: „საბრალო უბედურო! მოშორდი აქაურობას, შენ არ შეგიძლია დირიჟორობა“. შეშფოთებული და აღელვებული ბეთჰოვენი ხან მარჯვნივ მიბრუნდებოდა, ხან მარცხნივ; ცდილობდა სახეებზე წაეკითხა, რა ხდებოდა, გაეგო, რა დაბრკოლება ეღობებოდა: ყველანი დუმდნენ. უცბად ჩემკენ მობრუნდა და დაჟინებით მიხმო. როდესაც მივედი, „სასაუბრო რვეული“ გამომიწოდა და მთხოვა დამეწერა. ეს სიტყვები დავწერე: „გემუდარებით, ნუ განაგრძობთ, სახლში გეტყვით, თუ რატომ“. ერთი ნახტომით პარტერში გაჩნდა და მიყვირა: „ჩქარა წავიდეთ!“ სულმოუთქმელად თავის სახლამდე მიირბინა, შეავიდა და თითქმის უსიცოცხლოდ მიესვენა დივანზე, ორივე ხელი სახეზე აიფარა. ვახშამამდე არ ამდგარა. ვახშმობისას სიტყვა ვერ დავაძრევინე, ვერც ერთი სიტყვა; სასოწარკვეთილებისა და ღრმა მწუხარების გამომეტყველება არ მოშორებია. როდესაც წამოსვლა დავაპირე, შეშაჩერა და მთხოვა, მარტო ნუ დამტოვებო. შემდეგ კი, როდესაც ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, მთხოვა მიმეცილებინა თავის ყურის ექიმთან, რომელიც დიდი რეპუტაციით სარგებლობდა... მასთან ურ-

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ამ წლიდან ბეთჰოვენი მუსიკის სტილს იცვლის. ეს პირველად სონატა op. 101-ში გვხვდება.

ბეთჰოვენის „სასაუბრო რვეულები“ 11000 ხელნაწერ გვერდს შეიცავს და ინახება ბერლინის სამეფო ბიბლიოთეკაში.

თიერთობის შემდგომ პერიოდში არ მაგონდება არც ერთი დღე, რომელიც შეიძლება ამ საბედისწერო ნოემბრის დღეს შევადარო... შიგ გულში იყო დაკოდილი და ამ საშინელი სცენის შთაბეჭდილება სიკვდილამდე არ წაშლილა მის მეხსიერებაში"[1].

ორი წლის შემდეგ, 1824 წლის 7 მაისს, ის დირიჟორობდა „სიმფონიას გუნდებით" (ან უფრო ზუსტად, როგორც ამას პროგრამა იუწყებოდა, მოხაწილეობას ღებულობდა კონცერტის ხელმძღვანელობაში). არ ესმოდა დარბაზის გამაყრუებელი ხმაური, ვერაფერს ვერ გრძნობდა, მანამ, სანამ ერთმა მომღეროალმა ქალმა ხელი არ ჩაავლო და დარბაზისაკენ არ მოაბრუნა. რა დაინახა ბეთჰოვენმა? მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარიყო, ქუდებს იქნევდა და ტაშს უკრავდა.

ერთი ინგლისელი მოგზაური, რასელი, რომელმაც ბეთჰოვენი 1825 წელს ფორტეპიანოსთან ნახა, გადმოგვცემს: როდესაც დიდი მუსიკოსი პიანისიმოზე გადადიოდა, კლავიშები არ ეღერდნენ და ამ სიჩუმეში განსაცვიფრებელი იყო იმ მღელვარების ცქერა, რომელიც ეუფლებოდა მას, მის სახესა და დაჭიმულ თითებსო.

გულჩახვეული[2], ადამიანებისაგან გამდგარი, მხოლოდ ბუნებაში პოულობდა ნუგეშს. „მისი ერთადერთი მესაიდუმლე ბუნება იყო", — გადმოგვცემს ტერეზა დე ბრუნსვიკი. ბუნება გახდა მისი თავშესაფარი. ჩარლზ ნიტი, რომელიც ბეთჰოვენს 1815 წლიდან იცნობდა, ამბობს: „არასოდეს მინახავს ადამიანი, რომელსაც ასე ჰყვარებოდა ყვავილები, ღრუბლები, ბუნება[3]. ასე იტყოდით, ბუნებით ცხოვრობსო".

„არავის შეუძლია ამქვეყნად ჩემსავით შეიყვაროს სოფელი. — წერს ბეთჰოვენი, — მე ხე უფრო მიყვარს, ვიდრე ადამიანი"... ვენაში

---

[1] შინდლერმა, რომელიც 1819 წლიდან ბეთჰოვენის ახლო მეგობარი გახდა, გაიცნო იგი 1814 წელს; ბეთჰოვენს ძალიან ვაუძნელდა შინდლერთან მეგობრობა. თავდაპირველად შინდლერს ზიზღნარევი ქედმაღლობით ექცეოდა.

[2] იხილეთ ვაგნერის შესანიშნავი ჩანაწერები ბეთჰოვენის სიყრუეზე („ბეთჰოვენი", 1870 წ.).

[3] მას უყვარდა და ეცოდებოდა ცხოველები. ისტორიკოს ფონ ფრიმელის დედა ამბობდა, რომ მას დიდხანს სძულდა ბეთჰოვენი; როდესაც პატარა გოგონა იყო, ბეთჰოვენი თავისი ცხვირსახოცით უფრთხობდა პეპლებს, რომელთა დაჭერაც გულით სწადდა.

ყოველდღე ქალაქგარეთ სეირნობდა. დილიდან დაღამებამდე, მზეში თუ წვიმაში, სოფლად დაეხეტებოდა უქუდოდ. „ყოვლად ძლიერო! ტყეებში ვარ ბედნიერი, ბედნიერი ვარ ტყეებში, სადაც ყოველი ხე შესზე ლაპარაკობს. უფალო! რა დიდებულებაა ამ ტყეებში, ამ გორაკებზე! აქ, ამ სიმშვიდეში შემიძლია შენ გემსახურო“

მისი დაუდეგარი სული ტყეში პოულობდა წუთიერ სიმშვიდეს [1]. მუდამ გაწამებული იყო ფულის შოვნაზე ზრუნვით. 1818 წელს იგი წერს: „თითქმის მათხოვრობამდე ვარ მისული და თანაც ისე უნდა მეჭიროს თავი, ვითომც არაფერი მაკლდეს“. შემდეგ კი: „სონატა, op. 106 დაიწერა მძიმე მატერიალურ პირობებში. რა მწარე რამ არის მუშაობა ლუკმა პურისთვის“. შპორი ამბობს, ბეთჰოვენი დახეული ფეხსაცმელების გამო სახლიდან ვერ გამოდიოდა. გამომცემლების დიდი ვალიც ჰქონდა. მისი ახალი ნაწარმოებები არავითარ შემოსავალს არ აძლევდნენ. როდესაც „მესა რეში“ დაწერა, ხელის მოწერა გამოაცხადეს; მხოლოდ შვიდმა კაცმა მოაწერა ხელი (მათ შორის არც ერთი არ ყოფილა მუსიკოსი) [2]. მის შესანიშნავ სონატებში ოცდაათ თუ ორმოც დუკატს უხდიდნენ, ყოველ მათგანს კი სამი თვის მუშაობა სჭირდებოდა. თავადი გალიცინის შეკვეთით დაწერა კვარტეტები, op. 127, 130, 132; შესაძლოა ესენი მისი ყველაზე ღრმა ნაწარმოებებია, გულის სისხლით დაწერილი. გალიცინს ჰონორარის გადახდა ავიწყდებოდა ხოლმე. ბეთჰოვენს თავი ჰქონდა მობეზრებული ყოველდღიური სიძნელეებით, გაუთავებელი პროცესებით გადაუხდელი პენსიისა თუ 1815 წელს ჭლექით გარდაცვლილი ძმის, კარლოსის, შვილზე მეურვეობის შენარჩუნების გამო.

ამ ბავშვზე გადაიტანა სიყვარულის წყურვილი, რომლითაც სავსე ჰქონდა გული. აქაც უმოწყალო ტანჯვა ელოდა. თითქოს განგება იმაზე ზრუნავდა, რომ განუწყვეტლივ განეახლებინა და გაეზარდა მისი ტანჯვა, რათა მის გენიას საზრდო არ მოჰკლებოდა. მას ჯერ ბრძოლა დასჭირდა პატარა კარლის უღირს დედასთან, რომელსაც ბავშვის წართმევა უნდოდა.

---

[1] ბეთჰოვენი ძუდამ ცუდად იყო დაბინავებული. ვენაში ოცდათხუთმეტ წელს ცხოვრობდა და ოცდაათჯერ გამოიცვალა ბინა.

[2] ბეთჰოვენმა პირადად მიმართა კერუბინის, ვისაც „თავისი თანამედროვეებიდან ყველაზე მეტ პატივს სცემდა“ (ნოლი, „ბეთჰოვენის წერილები“, CCL). კერუბინიმ არც კი უპასუხა.

„ოჰ, ღმერთო ჩემო, — წერს იგი, — ჩემო საყრდენო, ჩემო დამცველო, ჩემო ერთადერთო თავშესაფარო! შენ ჩემი სულის სიღრმეში კითხულობ და იცი, რა ტანჯვას განვიცდი, როდესაც იძულებული ვარ გავტანჯო ისინი, ვინც ჩემს კარლოსს, ჩემს საუნჯეს [1] მედავებიან. ისმინე ჩემი, არსებავ, ვისი სახელიც კი არ ვიცი, შეიწყნარე ვედრება ყველაზე უბედური ქმნილებისა!"

„უფალო, მიშველე. ხომ ხედავ, რომ მთელმა კაცობრიობამ ზურგი მაქცია და ეს იმიტომ, რომ არ მინდა უსამართლობას შევურიგდე! შეიწყნარე ჩემი ვედრება, რომ მომავალში მაინც ჩემს კარლოსთან ვიცხოვრო... ოჰ, მწარე ხვედრო, ულმობელო ბედისწერავ! არა და არა, ჩემს უბედურებას ბოლო არ უჩანს".

და ეს ძმისწული, ასე გატაცებით რომ უყვარდა, მისი ნდობის უღირსი აღმოჩნდა. მასთან ბეთჰოვენის მიწერ-მოწერა მწუხარებითა და აღშფოთებითაა სავსე, ისევე როგორც მიქელანჯელოსი თავის ძმებთან, მაგრამ ბეთჰოვენისა უფრო გულუბრყვილო და ამაღელვებელია: „ნუთუ კიდევ ერთხელ შავი უმადურებით უნდა გადამიხადონ? კეთილი, თუ ჩვენს შორის კავშირი უნდა გაწყდეს, დე, ასე იყოს! ყველა მიუკერძოებელი ადამიანი, რომელიც ამას გაიგებს, ზიზღით ზურგს შეგაქცევს... თუ პირობა, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს, ასე გემძიმება, უფალი იყოს ჩვენი მსაჯული, აღსრულდეს ნება მისი. შენი ბედიღბალი განგებისათვის მიმინდვია. მე ყველაფერი, რაც შემეძლო, გავაკეთე. შემიძლია წარვდგე უზენაესი მსაჯულის წინაშე" [2].

„შენ ისე ხარ განებივრებული, რომ არ გაწყენდა, ბოლოს და ბოლოს, უბრალო და გულმართალი გამხდარიყავი. შენმა ფარისევლურმა ქცევამ ჩემს მიმართ გული დამითუთქა. ჩემთვის ძნელია ამის დავიწყება... ღმერთია მოწმე, მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, რაც შეიძლება შორს ვიყო შენგან, ბედუკუღმართი ძმისგან და თქვენი საძაგელი ოჯახისაგან. ვეღარ გენდობი". და ხელს აწერს: „საუბედუროდ, შენი მამა, უფრო სწორად, არა მამაშენი" [3].

---

[1] მე არასოდეს არ ვიძიებ შურს, — სწერს ის ქალბატონ შტრაიხერს, — როდესაც იძულებული ვარ, სხვა ადამიანების წინააღმდეგ ვიმოქმედო, მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც საჭიროა იმისათვის, რომ თავი დავიცვა და ხელი შეეშალო ცუდის გაკეთებას.

[2] ნოლი, CCCXIV.

[3] ნოლი, CCCLXX.

მაგრამ მყისვე პატიება მოსდევს ამ წერილს:

„ძვირფასო შვილო! დაივიწყე ყოველი, მოდი, ჩამეკარი, ვერც ერთ მწარე სიტყვას ვერ გაიგონებ ჩემგან... ძველებური სიყვარულით მიგიღებ. შენს მომავალზეც მეგობრულად ვილაპარაკებთ. პატიოსან სიტყვას გაძლევ, საყვედური აღარ დამცდება! ახლა საყვედურს არავითარი აზრი არა აქვს. მხოლოდ სიყვარულს, მზრუნველობასა და დახმარებას ელოდე ჩემგან. მოდი, მოდი, ჩაეკარი მამაშენის ერთგულ გულს. ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ ი. ამ წერილის მიღებისთანავე მოდი. დაბრუნდი სახლში“ (და მისამართის გვერდით ფრანგულადაა მიწერილი: „თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, უეჭველად მოდი“).

„ნუ ტყუი, — ევედრება ძმისწულს. — დარჩი მუდამ ჩემ საყვარელ შვილად! რა საზარელი შეუსაბამობა იქნებოდა, ფარისევლობით გადაძახადო ყველაფერი, როგორც ცდილობენ ამაში დამარწმუნონ!.. მშვიდობით! ის, ვისაც შენთვის სიცოცხლე არ მოუცია, მაგრამ სიცოცხლე შეგინარჩუნა და ყველაფერი, რაც შეიძლებოდა, გააკეთა შენი მორალური განვითარებისათვის, გულის სიღრმიდან მამობრივი სიყვარულით გეევედრება გაჰყვე ერთადერთ გზას, სიკეთისა და სამართლიანობის გზას. შენი ერთგული კეთილი მამა“ [1].

ბეთჰოვენი ბევრს ფიქრობდა თავისი ძმისწულის მომავალზე, რომელიც არც თუ ისე უნიჭო ყმაწვილი იყო. სურდა მისთვის საუნივერსიტეტო განათლება მიეცა, მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა შერიგებოდა აზრს, რომ კარლოსი კომერსანტი გახდებოდა. კარლოსი კი ქაღალდის სათამაშო ბუნაგებში დაეთრეოდა და ვალებში იყო ჩაფლული.

სამწუხაროდ, და არცთუ ისე იშვიათად, ბიძამისის მორალური სიდიადე არამცთუ არ ახდენდა დადებით გავლენას კარლოსზე, არამედ უარყოფითად მოქმედებდა, მოთმინებიდან გამოჰყავდა იგი, აშფოთებდა. ამას თვითონ აღიარებს და ამ აღიარებაში გაშიშვლებულია მისი ბილწი სული: „მე იმიტომ გავხდი ცუდი, რომ ბიძაჩემს უნდოდა კარგი ვყოფილიყავ“. 1826 წელს თავის მოკვლაც სცადა, მაგრამ გადარჩა. ბეთჰოვენს კი ცოტა დააკლდა, რომ ამ ამბავს არ გადაჰყოლო-

---

[1] ნოლი, „ბეთჰოვენის წერილები“, CCCLXII — LXVII. წერილი, რომელიც ბერლინში კალიშერმა იპოვა, გვამცნობს, თუ როგორი გატაცებით უნდოდა ბეთჰოვენს თავისი ძმისწულისაგან სახელმწიფოსათვის სასარგებლო ადამიანი გამოეყვანა (1 თებერვალი, 1819 წ.).

და. სიკვდილამდე გაჰყვა ამით გამოწვეული მღელვარება[1]. კარლოსი მორჩა: იცოცხლა, რათა გაემწარებინა ბიძამისი, ვის სიკვდილშიაც გარკვეული წვლილი მიუძღვის. როცა ბეთჰოვენი უკანასკნელ დღეში იყო, მაშინაც კი არ ინახულა. „უფალს არასოდეს მივუტოვებივარ, — სწერდა ბეთჰოვენი თავის ძმისწულს გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე. — ვინმე გამოჩნდება, რომ თვალები დამიხუჭოს". ვიღაცამ კი დაუხუჭა თვალები. მაგრამ არა იმან, ვისაც ბეთჰოვენი „თავის შვილს" უწოდებდა[2].

* * *

და აი, მწუხარების ამ უფსკრულიდან ბეთჰოვენმა განიზრახა სიხარულისათვის შეესხა ხოტბა.

ეს იყო მთელი მისი სიცოცხლის ჩანაფიქრი. ამაზე 1793 წლიდან ფიქრობდა, ჯერ კიდევ ბონში ყოფნისას[3]. მთელი სიცოცხლე სიხარულისათვის სურდა ემღერა და ამით დაეგვირგვინებინა თავისი ერთ-ერთი დიდი ნაწარმოებთაგანი. მთელი თავისი ცხოვრება მერყეობდა, ეძებდა ჰიმნის ზუსტ ფორმას და ნაწარმოებს, რომელშიც შეძლებდა

---

[1] შინდლერი, რომელმაც ის ამ დროს ნახა, ამბობს, ბეთჰოვენი უცბად სამოცდაათი წლის მოხუცს დაემსგავსაო, — განადგურებულს, უძლურს, უნებისყოფოს. კარლოსის სიკვდილს ვერ გადაიტანდა. რამდენიმე თვის შემდეგ ბეთჰოვენი გარდაიცვალა

[2] ჩვენი დროის ვაი-მუსიკის მოყვარულები არ მოერიდნენ და შეეცადნენ ამ სალახანის რეაბილიტაციას. ამან მაინცდამაინც დიდად არ უნდა გაგვაკვირვოს.

[3] ფიშენიხის მიერ შარლოტა შილერისადმი მიწერილი წერილი (1793 წლის იანვარი). შილერის ოდა დაწერილია 1785 წელს. ეს თემა კი გამოჩნდა 1808 წელს ნაწარმოებში „ფანტაზია ფორტეპიანოსა, ორკესტრისა და გუნდისათვის", op. 80 და 1810 წელს გოეთეს სიტყვებზე დაწერილ რომანსში: „პატარა ყვავილი, პატარა ფოთოლი" („Kleine Blümen, Kleine Blätter"). მე ვნახე ბონში დოქტორ პრიგერის 1812 წლის შენიშვნათა რვეულში „მეშვიდე სიმფონიის" ესკიზებსა და „მაკბეტის" უვერტიურის მონახაზს შორის შილერის ტექსტის იმ თემასთან ადაპტაციის ცდა. ბეთჰოვენმა უფრო მოგვიანებით რომ გამოიყენა უვერტიურაში, op 115. („Namensfeier"). მეცხრე სიმფონიის ზოგიერთი ინსტრუმენტალური მოტივი 1815 წლამდე დაწერილ ნაწარმოებებშიაც გვხვდება. დაბოლოს, 1822 წელს, ბეთჰოვენი წერს სიხარულის თემის საბოლოო ვარიანტს და სიმფონიის ყველა დანარჩენ მელოდიებს, გარდა ტრიოსი, რომელიც უფრო მოგვიანებით არის დაწერილი. ამას მოსდევს ანდანტე მოდერატო და ადაჯიო.

მისთვის ადგილის დათმობას. მაგრამ თავის მეცხრე სიმფონიაშიც კი ვერ გაბედა. უკანასკნელ წუთამდე თითქოს გადაწყვეტილი ჰქონდა „სიხარულის ოდა“ შეათე თუ მეთერთმეტე სიმფონიაში გადაეტანა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მეცხრე სიმფონიას“ აო ეწოდება, — როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე, — „სიმფონია გუნდებით“, არამედ: „სიმფონია ფინალური გუნდით სიხაოულის ოდაზე“. სიმფონიას შეიძლებოდა მიეღო და ცოტაც დააკლდა, რომ არ მიიღო სხვაგვარი დაბოლოება. 1823 წლის ივლისში ბეთჰოვენს განზრახული ჰქონდა მისთვის ინსტრუმენტული ფინალი მიეცა, რომელიც შემდეგ კვარტეტ ор. 132-ში გამოიყენა. ჩერნი და ზონლაიტნერი გვარწმუნებდნენ, რომ პირველი შესრულების შემდეგაც კი (1824 წლის მაისს) ბეთჰოვენს ამ განზრახვაზე ხელი არ აუღია.

სიმფონიაში გუნდის შეყვანა დიდ ტექსიკურ სიძნელეებს წარმოადგენდა, ამას გვიდასტურებენ თვით ბეთჰოვენის რვეულები და მისი მრავალი ცდა, ხმები შეიყვანოს სხვადასხვანაირად და ნაწარმოების განვითარების სხვადასხვა მომენტში. ადაჯიოს მეორე მელოდიის ესკიზებში[1] ბეთჰოვენმა ჩაწერა: „შეიძლება გუნდის შეყვანის შესაფერი ადგილი სწორედ აქ იყოს“. მაგრამ ვერ გადაეწყვიტა თავის ერთგულ ორკესტრთან განშორება. „როდესაც თავში რამე აზრი მომდის, მე ის ინსტრუმენტში მესმის და არა ხმაშიო“, — ამბობდა იგი. ამიტომაც აჭიანურებს, რამდენადაც შეუძლია, ხმების შეყვანის მომენტს. იქამდეც კი ძიდის, რომ თავდაპირველად ინსტრუმენტებს უთმობს არა მარტო ფინალის რეჩიტატივებს[2], არამედ თვით სიხარულის თემას.

მაგრამ კიდევ უფრო შორს უნდა წავიდეთ, თუ გვსურს გავიგოთ მისი მერყეობა, შეგვიანება. ამის მიზეზი უფრო ღრმაა. ეს მწუხარებით განაწამები ადამიანი მუდამ ოცნებობდა, რომ სიხარულის სიდიადისათვის ემღერა, მაგრამ წლობით აგვიანებდა თავისი განზრახვის განხორციელებას, რადგან ვნებათაღელვა განუწყვეტლივ ეუფლებოდა მას და მწუხარება, მელანქოლია იპყრობდა; მხოლოდ უკანასკნელ დღეს განახორციელა თავისი განზრახვა. განახორციელა და მერე როგორი სიდიადით!

და აი იმ დროს, როდესაც სიხარულის თემა პირველად გამოჩნდე-

---

[1] ბერლინის ბიბლიოთეკა.

[2] „თითქოს ეს სიტყვებზე ყოფილიყოს დაწერილი“ („Also ganz so, als ständen Wörte darunter“).

ბა, ორკესტრი მყისვე დუმდება; მყარდება სამარისებური სიჩუმე, რაც გალობის დაწყებას იდუმალსა და ღვთიურ ხასიათს აძლევს. ჭეშმარიტად: ეს თემა მართლაც ღმერთია. ციდან ზებუნებრივი სიმშვიდით მოსილი სიხარული ჩამოდის, თავისი მსუბუქი სუნთქვით მწუხარებას ეალერსება; და პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს იმ დროს, როდესაც განკურნებისაკენ პირმობრუნებულ სნეულ გულში შეიპარება, იმდენად ნაზი და სათუთია, რომ, ბეთჰოვენის ერთი მეგობარისა არ იყოს, „გსურთ იტიროთ მისი თვინიერი თვალების დახახვაზე". როდესაც თემა ხმებში გადადის, თავდაპირველად ბანში გამოჩნდება, ის მკაცრი და ოდნავ შებოჭილია, მაგრამ სიხარული თანდათან იპყრობს მთელს არსებას. ეს არის გამარჯვება, ეს არის ბრძოლა ტანჯვა-წამების წინააღმდეგ. და აი, საომარი მარშის რიტმები, მწყობრში ჩამდგარი ჯარი, ტენორის მგზნებარე და მღელვარე გალობა, ყველა ის ჟრუანტელის მომგვრელი ფურცლები, საიდანაც ასე გგოხია, თვით ბეთჰოვენის სუნთქვა უბერავსო, და თქვენ გესმით მისი სუხთქვისა და შთაგონებული ყიჟინის იმდროინდელი რიტმი, როდესაც ის მინდორ-მინდორ დადიოდა, ვით ქარიშხალში ბებერი ლირი და სატანისებური ბრაზით შეპყრობილი თავის ნაწარმოებებს ქმნიდა. საბრძოლო ლხენას რელიგიური ექსტაზი ცვლის, შემდეგ კი იწყება წმინდა ორგია, სიყვარულის ციებ-ცხელება. ადამიანთა მღელვარე მოდგმა ხელებს ცისკენ აღაპყრობს, სიხარულისაკენ მიჰქრის და გულში იკრავს მას.

ტიტანის ქმნილებამ სძლია საზოგადოებრივ შეზღუდულობას; ამან მხოლოდ ცოტა ხნით შეარყია ვენის ქარაფშუტობა. ვენა იტალიური ოპერებისა და როსინის სამფლობელო იყო. დამცირებულმა და დაღონებულმა ბეთჰოვენმა გადაწყვიტა ლონდონში გადასახლებულიყო და იქ შეესრულებინა თავისი მეცხრე სიმფონია. და ისევე როგორც 1809 წელს, რამდენიმე წარჩინებული მეგობარი მუდარით მიმართავს, სამშობლოს ნუ დატოვებო! „ჩვენ ვიცით, — ეუბნებოდნენ ისინი, — რომ თქვენ დაწერეთ საღმრთო მუსიკის ახალი კომპოზიცია [1], რომელშიც გამოხატეთ თქვენი ღრმა რწმენით შთაგონებული გრძნობები. ზებუნებრივი შარავანდი, რომელიც თქვენს დიად სულს ეფინება, აცისკროვნებს მას. ჩვენ ისიც ვიცით, რომ თქვენ დიად სიმფონიათა

[1] მესა რე-ში, op. 123.

გვირგვინს კიდევ ერთი უჭკნობი ყვავილი შეემატა... თქვენი სიჩუმე ამ უკახასკხელი წლების მანძილზე ამწუხრებდა ყველას, ვისაც თვალები თქვენკენ ჰქონდა მოპყრობილი [1]. ყველა გულის წუხილით ფიქრობდა, რომ ცოცხალთა შორის ასე მაღლა აფრენილი გენიალური ადამიანი სდუმდა მაშინ, როდესაც უცხოური მუსიკა ცდილობდა ჩვენს მიწაზე ფესვი გაედგა და დავიწყებისათვის მიეცა გერმანული ხელოვნების ქმნილებები... თქვენგან და მხოლოდ თქვენგან მოელის ერი ახალ ცხოვრებას, ახალ დაფნის გვირგვინს და ჰეშმარიტებისა და სილამაზის ხელახალ გამეფებას, მოელის, მიუხედავად დღეს გაბატონებული მოდისა... მოგვეცით ჩვენი სურვილების მოკლე ხანში განხორციელების იმედი... დაე, თქვენი ნიჭის წყალობით კარზე მომდგარი გაზაფხული ორმაგად აყვავილდეს ჩვენთვის და მთელი კაცობრიობისათვის!" [2] ამ კეთილშობილი მიმართვიდან სათლად ჩანს, თუ რა ძლიერი იყო ბეთჰოვენის როგორც მუსიკალური, ისე მორალური გავლენა გერმანიის რჩეულ ადამიანებზე. პირველი სიტყვა, რომელიც თაყვანისმცემლებს მისი გენიის სადიდებლად თავში მოსდით, არ არის არც მეცნიერება, არც ხელოვნება, არამედ: რწმენა [3].

ბეთჰოვენი დიდად ააღელვა ამ სიტყვებმა. ის დარჩა. 1824 წლის 7 მაისს ვენაში პირველად შეასრულეს მესა რეში და მეცხრე სიმფონია. ეს იყო ტრიუმფი, რომელმაც თითქმის აჯანყების ხასიათი მიიღო. როდესაც ბეთჰოვენი გამოჩნდა, მას ხუთმაგი ტაშით შეხვდნენ, ხოლო ამ ეტიკეტის ქვეყანაში ჩვეულება მოითხოვდა, რომ თვით

---

[1] საოჯახო საზრუნავებით, სიღატაკითა და ყოველგვარი წვრილმანი საქმეებით ჭაზცგაწყვეტილმა ბეთჰოვენმა ხუთი წლის ძანძილზე (1816 — 1821 წლებში) დაწერა მხოლოდ სამი ნაწარმოები ფორტეპიანოსათვის (op. 101, 102, 106). უკვე გამოიფიტაო, ამბობდნენ მისი მტრები. და აი, 1821 წელს ის კვლავ მიუბრუნდა სამუშაოს

[2] 1824 წლის თებერვალი. ხელს აწერენ: პრინცი ს. ლიხნოვსკი, გრაფი მორის ლიხნოვსკი, გრაფი მორის დე ფრიზი, გრაფი მ. დიტრიხშტეინი, გრაფი ფ. დე პალფი, გრაფი ჩერნი, იგნას ედლერ დე მოზელი, კარლოს ჩერნი, აბატი შტადლერი, ა. დიაბელი, არტარია, შტაინერი, ა. შტრაიხერი, ზმესკალი, კიზეველტერი და სხვები.

[3] „ჩემი მორალური სახე საკვეყნოდ აღიარებულია", ამაყად ამბობს ბეთჰოვენი 1819 წლის 1 თებერვალს ვენის მუნიციპალიტეტში, სადაც მოითხოვს თავის ძმისწულზე მეურვეობის უფლებას. „ისეთმა გამოჩენილმა მწერლებმა, როგორიც ვაისენბახია, ღირსად ჩამთვალეს ჩემთვის თავისი ნაწერები მოეძღვნათ".

საშეფო ოჯახს მხოლოდ სამმაგი ტაშით მისალმებოდნენ. საჭირო გახდა პოლიციის ჩარევა, ოვაციისათვის ბოლო რომ მოეღოთ. სიმფონიამ უდიდესი აღტაცება გამოიწვია. ბევრი ტიროდა კიდეც. კონცერტის შემდეგ ბეთჰოვენს მღელვარებისაგან გული შეუღონდა; გონდაკარგული შინდლერთან წაიყვანეს. მთელი ღამე და შემდეგი დილა იქ გაატარა: მთვლემარემ, ტანგაუხდელმა, უჭმელმა და უსმელმა. ტრიუმფი ხანმოკლე აღმოჩნდა, არავითარი პრაქტიკული შედეგი ბეთჰოვენისათვის კონცერტს არ მოუტანია. მისი დუხჭირი ყოფა არაფრით შეცვლილა. ისევ ისეთი ღატაკია, სნეული[1], მარტოსული, მაგრამ მან გაიმარჯვა[2]. სძლია ადამიანთა შეზღუდულობას, სძლია საკუთარ სვებედს, სძლია თავის ტანჯვასაც.

„შესწირე, მსხვერპლად მიიტანე ყოველთვის ცხოვრების ყოველდღიური წვრილმანები შენი ხელოვნების საკურთხეველზე! უფალი უწინარეს ყოვლისა!“ („O Gott über alles!“)

* * *

ამრიგად მან მიაღწია მიზანს, რომლისკენაც მთელი თავისი სიცოცხლე მიისწრაფოდა. სიხარულმა შეიპყრო, მაგრამ შესძლებს თუ არა დარჩეს სულის ამ მწვერვალზე, რომელიც ქარიშხლებზე მბრძანებლობს. უთუოდ იყო დღეები როდესაც უბრუნდებოდა თავის ძველ

---

[1] ჩემს ძვირფას პაპასავით მეც უეცრად მოვკვდებიო. — სწერს იგი 1824 წლის 16 აგვისტოს დოქტორ ბახს

ის მეტად იტანჯება კუჭის დაავადებით, ძალიან ცუდადაა 1824—1825 წლებში. 1825 წელს სისხლღებინება და ცხვირიდან სისხლის დენა დაეწყო. 1825 წლის 9 ივნისს თავის ძმისწულს სწერს: „ჩემი სისუსტე ხშირად უკიდურესობამდე მიდის.... ცელიანი ვაჟბატონი ჯუთუოდ არ დააყოვნებს მოსვლას“

[2] „მეცხრე სიმფონია“ ლერმანიაში ქ. ფრანკფურტში პირველად 1825 წლის 1 აპრილს შეასრულეს. ლონდონში — 1826 წლის 25 მარტს, პარიზის კონსერვატორიაში — 1831 წლის 27 მარტს. ჩვიდმეტი წლის მენდელსონმა „მეცხრე სიმფონია“ 1826 წლის 14 ნოემბერს ბერლინის იეგერჰალეში შეასრულა ფორტეპიანოზე. ლაიფციგელმა სტუდენტმა ვაგნერმა თავისი ხელით მთლიანად გადაწერა სიმფონია და 1830 წლის 6 ოქტომბერს გამომცემელ შოტს შესთავაზა „სიმფონიის შემოკლებული ვარიანტი ფორტეპიანოსათვის“. შეიძლება ითქვას, რომ მეცხრე სიმფონიამ გადაწყვიტა ბეთჰოვენის ცხოვრება.

წუხილს. უდავოა, რომ მისი უკანასკნელი კვარტეტები წყვდიადით არის მოცული. თუმცა ჩანს, რომ მეცხრე სიმფონიის გამარჯვებამ ბრწყინვალე კვალი დატოვა. მისი მომავლის გეგმები [1]: მეათე სიმფონია [2], ბახის ხსოვნისადმი მიძღვნილი უვერტიურა, მუსიკა გრილპარცერის „მელუზინისათვის" [3], კორნერის „ოდისევსისათვის" და გოეთეს „ფაუსტისათვის" [4], ბიბლიური ორატორია „საულსა და დავითზე" მოწმობენ, რომ მის გონებას ძველი, დიდი გერმანელი ოსტატების,

---

[1] „აპოლონი და მუზები სასიკვდილოდ არ გამწირავენ, რადგან ჯერ კიდევ ძალი დიდი ვალი მაქვს. ელისეის მინდვრებისაკენ (უცოდველ სულთა სამყოფელი — ბერძ. მითოლ. მთარგ.) გამგზავრებამდე უნდა დავტოვო ყოველივე ის, რაც გონებამ შთამაგონა და მიბრძანებს დავამთავრო. ასე მგონია, სულ რამდენიმე ნოტი დამიწერია" (ძმებს შოტებს, 17 სექტემბერი, 1824 წ. ნოლი, LXXII, „ახალი წერილები").

[2] 1827 წლის 18 მარტს ბეთჰოვენი მოშელესს სწერს: „ერთი სიმფონიის მთლიანი მონახაზი ახალი უვერტიურით უკვე მზადა მაქვს". ეს მონახაზი არავის უპოვია, მხოლოდ მის ჩანაწერიბში ვკითხულობთ: „ადაჯიო—რელიგიური ჰიმნი—საეკლესიო გალობა ძველებურ ყაიდაზე: „დიდება უფალს, ალილუია" („Herr Gott, dich loben wir, Halleluja"), ან სრულებით დამოუკიდებლად, ან როგორც ფუგას შესავალი. ამ სიმფონიისათვის შეიძლება დამახასიათებელი იქნეს ხმების შესვლა ან ფინალში ან ადაჯიოდანვე ორკესტრის ვიოლინოების ხმა გაათკეცდება უკანასკნელ მომენტში. ხმები შეყვანილ იქნება თითო-თითოდ, ანდა ადაჯიოს ზოგიერთი მოტივი უკანასკნელ ტაქტებში განმეორდება. ადაჯიოს ტექსტისათვის გამოყენებულ იქნება ბერძნული მითი ან საეკლესიო გალობა, ალეგროში — ბახუსის ზეიმი" (1818 წ.).

როგორც ვხედავთ, გუნდის დასკვნითი გამოსვლა შემონახული იყო „მეათე" და არა „მეცხრე სიმფონიისათვის"

უფრო მოგვიანებით ის ამბობს, რომ თავის „მეათე სიმფონიაში" სურს განახორციელოს თანამედროვე სამყაროს ანტიკურ სამყაროსთან შერიგება, რასაც შეეცადა გოეთე თავის „მეორე ფაუსტში".

[3] სიუჟეტი წარმოადგენს ლეგენდა ფერიაზე შეყვარებულ და ამავე ფერიის მიერ დატყვევებულ რაინდზე, რომელიც თავისუფლებაზე წუხილით იტანჯება. არის მსგავსება ამ პოემასა და „ტანჰაიზერს" შორის. ბეთჰოვენმა ამაზე 1823—1826 წლებამდე იმუშავა (იხ ა. ერპარდის „ფრანც გრილპარცერი", 1900 წ.).

[4] ჯერ კიდევ 1808 წლიდან ბეთჰოვენს განზრახული ჰქონდა დაეწერა მუსიკა „ფაუსტზე". პირველი ნაწილი გამოიდა 1807 წლის შემოდგომაზე სათაურით „ტრაგედია". ეს იყო ყველაზე ძვირფასი განზრახვა.

ბახისა და ჰენდელის, ძლიერი სიცხადე იზიდავს, უფრო მეტად კი სამხრეთის სინათლე, სამხრეთ საფრანგეთი, ან კიდევ იტალია, რომლის ნახვას ასე ოცნებობდა[1].

დოქტორ შპილერი, რომელმაც 1826 წელს ნახა ბეთჰოვენი, გადმოგვცემს, ხალისიანად და მხიარულად გამოიყურებოდაო. იმავე წელს, როდესაც გრილპარცერი უკანასკნელად ესაუბრებოდა მას, სწორედ ბეთჰოვენი ამხნევებდა სასოწარკვეთილ პოეტს: ეჰ! ნეტა თქვენი ძალ-ღონისა და სიმტკიცის მეათასედი მაინც მქონდესო, ამბობს სასოწარკვეთილი მგოსანი. მძიმე დროა; მონარქიული რეაქცია დევნის ძოაზროვხეთ. „ცენზურამ გამანადგურა, — წუხდა გრილპარცერი, — ჩრდილოეთ ამერიკაში უნდა გაიხიზნო კაცი, თუ გსურს თავისუფლად იფიქრო, თავისუფლად ილაპარაკო". მაგრამ არავითარ ძალაუფლებას არ შეეძლო ბორკილი დაედო ბეთჰოვენის აზრისათვის. „სიტყვებს ბოჭავენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ხმები ჯერ კიდევ თავისუფალია", — წერს მას პოეტი კუფნერი. ბეთჰოვენი არის გერმანული აზრის დიდი და თავისუფალი ხმა ღა შეიძლება იმ დროისათვის ერთადერთიც. ამას თვითონვე გრძნობდა ბეთჰოვენი. ხშირად ამბობდა, რომ მას ევალება იძოქმედოს თავისი ხელოვნების საშუალებით „საბრალო კაცობრიობისათვის", „მომავლის კაცობრიობისათვის" („der künftigen Menschheit"), ისაქმოს მისი კეთილდღეობისათვის, დაუბრუნოს მას მხნეობა, გამოაღვიძოს იგი, გაამათრახოს მისი სილაჩრე. „ჩვენს დროებას, — წერდა ის თავის ძმისწულს, — ესაჭიროება სულმაღალი და ძლიერი გონების ადამიანი ამ საბრალო, უნამუსო და სულმდაბალი კაცუნების გასამათრახებლად". 1827 წელს დოქტორმა მიულერმა თქვა: „ბეთჰოვენი მუდამ თავისუფლად გამოთქვამდა თავის აზრს მთავრობაზე, პოლიციაზე, არისტოკრატიაზე". პოლიციამ ეს იცოდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა, მის კრიტიკას და სატირას მოხუცი მეოცნების უწყინარ

---

[1] „სამხრეთ საფრანგეთი! იქით! იქით!" (Südliches Frankreich! dahin! dahin!) (ბერლინის ბიბლიოთეკის წიგნაკი). „უნდა წახვიდე აქედან. ამ ერთადერთი პირობით შეგეძლება კვლავ აფრინდე შენი ხელოვნების მაღალ სფეროში... კიდევ ერთი სიმფონია და მერე უნდა წახვიდე... ზაფხული მუშაობა-მოგზაურობისათვის... რომელიმე სხვა ხელოვანთან ერთად უნდა შემოიარო იტალია და სიცილია".

გართობად თვლიდა და არ აწუხებდა ადამიანს, ვისი გენიაც საოცარი სიძლიერით ბრწყინავდა [1].

ასე რომ, ვერაფერმა მოდრიკა ეს დაუმორჩილებელი ძალა, რომელიც ტანჯვას თითქოსდა არარად აგდებს. ამ წლებში დაწერილ მუსიკას, მიუხედავად იმ უმძიმესი გარემოებისა [2], რომელშიაც ის დაიწერა, ხშირად ახალი, ირონიული, ქედმაღლურად დამცინავი და მხიარული განწყობილება ახასიათებს.

სიკვდილამდე ოთხი თვით ადრე, 1826 წლის ნოემბერში მან დაამთავრა მეტად მხიარული ახალი ფინალი კვარტეტ op. 130-სათვის. მართალი რომ ვთქვათ, ეს მხიარულება არ არის ჩვეულებრივი მხიარულება. ზოგჯერ ეს მძაფრი და ხამუშ-ხამუში სიცილია, როგორც ძო'შელესი იგონებს, ზოგჯერ კი ამაღელვებელი ღიმილი, რომელშიც ამდენი დამარცხებული ტანჯვაა ჩაქსოვილი. მერედა რა, ბეთჰოვენი გამარჯვებულია. მას არ სჯერა სიკვდილისა. თუმცა სიკვდილი უახლოვდება. 1826 წლის ნოემბრის ბოლოს ის გაცივდა — პლევრიტით დაავადდა. ვენაში ძმისწულის მომავლის მოსაგვარებლად იყო ჩასული და რომ დაბრუნდა, ლოგინად ჩავარდა [3]. მეგობრები შორს იყვნენ მისგან. ძმისწულს დაავალა ექიმის მოყვანა. სალახანას დავალება დაავი-

---

[1] 1819 წელს ბეთჰოვენი კინაღამ პოლიციის დევნის საგანი არ გახდა და ეს იმიტომ, რომ საჯაროდ თქვა: ბოლოს და ბოლოს, ქრისტე მხოლოდ ჯვარცმული ებრაელი იყო. მაშინ დაწერა მან „მესა რეში". ეს საკმაოდ ნათლად მეტყველებს მის რელიგიურ შეხედულებათა თავისუფლებაზე (თეოდორ ფრიმელი, „ბეთჰოვენი", გამომცემლობა ჰარმონია; „ბეთჰოვენიანა" — გეორგ მიულერის გამომც. თავი II). არანაკლებ თავისუფლად მოაზროვნე იყო პოლიტიკაშიც, გაბედულად ესხმოდა თავს თავისი მთავრობის მანკიერებას. სხვათა შორის, უსაყვედურებდა მართლმსაჯულების ცუდ ორგანიზაციას, მართლმსაჯულებისა, რომელიც უსამართლო იყო, თვითნებური, მონურად მორჩილი, გაუთავებელი პროცედურებით შებოჭილი, უსაყვედურებდა პოლიციის მიერ მოქალაქეების თვითნებურ შევიწროებას, უწესო და უქნარა ბიუროკრატიას, რომელიც კლავდა პირად ინიციატივას და ახშობდა მოქმედებას; უსაყვედურებდა გადაგვარებული არისტოკრატიის პრივილეგიებს, რომელიც ასე ხარბად იტაცებდა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს. მისი იმდროინდელი პოლიტიკური სიმპათიები ინგლისის მხარეზეა.

[2] ძმისწულის თვითმკვლელობის ცდა

[3] ბეთჰოვენის უკანასკნელ ავადმყოფობაზე და გარდაცვალებაზე იხილეთ დოქტორ კლოც-ფორეს სტატია 1906 წლის 1 და 15 აპრილის ჟურნალ „კრონიკ მედი-

წყდა და ორი დღის შემდეგღა მოაგონდა. ექიმმა დააგვიანა და თან ცუდადაც უმკურნალა. სამი თვე ებრძოდა სენს მისი გოლიათური ორგანიზმი. 1827 წლის 3 იანვარს ანდერძი შეადგინა და ძმისწული ერთადერთ მემკვიდრედ დაასახელა. რაინელი მეგობრებიც მოიგონა და ვეგლერს მისწერა: „როგორ მინდა შენთან საუბარი, მაგრამ მეტად დასუსტებული ვაო, ისღა შემიძლია, რომ ჩაგიკრათ გულში შენ და შენი ლორხენი". რამდენიმე ინგლისელი მეგობრის გულუხვი დახმარება რომ არა, გაჭირვება უთუოდ გაამწარებდა მის უკანასკნელ წუთებს. მეტად უწყინარი და სათნო გახდა[1]. სასიკვდილო სარეცელს

კალში". საკმაოდ ზუსტი ცნობები ამ საკითხზე მოიპოვება „სასაუბრო რვეულებში", სადაც ჩაწერილია ექიმის კითხვები და აგრეთვე თვით ექიმის. დოქტორ ვავრუჩის ნაამბობი· „ექიმის მოგონება ლ. ვ. ბეთჰოვენის უკანასკნელ დღეებზე".

ავადმყოფობა ორ ფაზად მიმდინარეობს: 1. ფილტვების დაავადების მოვლენები, როძლებიც თითქოს ექვსი დღის შემდეგ შეწყდა; „მეშვიდე დღეს ბეთჰოვენმა თავი იმდენად კარგად იგრძნო, რომ შეძლო წამომდგარიყო, ეარა, ეკითხა და ეწერა". 2. კუჭის ძოშლილობა, რომელსაც დაერთო სისხლის მიმოქცევის გართულება. „მერვე დღეს გაფითრებული დამხვდა, სხეული სულ მთლად გაყვითლებოდა. გულის რეკით გართულებულმა კუჭის მოშლილობის ძლიერმა შეტევამ ლამის იმავე ღამეს აო იმსხვერპლა". მაშინ დაეწყო წყალმანკის განვითარება.

ჯანმრთელობის გაუარესება გამოწვეული იყო მორალური ხასიათის მიზეზებით, როძლებიც ზუსტად არ არის დადგენილი. „გაშმაგებულმა გულისწყრომამ, უმადურებით გამოწვეულმა ღრმა ტანჯვამ და დაუმსახურებელმა შეურაცხყოფამ გამოიწვია ავადმყოფის ასეთი აფეთქება, — ამბობს დოქტორი ვავრუხი, — ის კანკალებდა, ცახცახებდა, ტკივილისაგან წელში მოიხარა, ტკივილისაგან, რომელიც შიგნეულობას უღრღნიდა".

ყველა ამ დაკვირვების შემდეგ დოქტორი კლოც-ფორე შემდეგ დიაგნოზს სვამს: ფილტვების მწვავე ანთება, ლენეკის ატროფიული ციროზი (ღვიძლის დაავადება) და მუცლის აპკის წყალმანკი, ქვედა კიდურების შეშუპება. კლოც-ფორე ფიქრობს, რომ ყოველივე ამას ხელი შეუწყო სპირტიანი სასმელების უზომო მიღებამ. ეს დოქტორ მალფატის აზრიც იყო: იჯდა და სვამდა (Sedebat et bibebat).

[1] მომღერალი ლუდვიგ კრამოლინი თავის მოგონებებში მოგვითხრობს ამაღელვებელ ვიზიტზე ბეთჰოვენთან მისი უკანასკნელი ავადმყოფობის დროს. „ბეთჰოვენი მშვიდი და ამაღელვებელი სათნოებით იყო აღსავსე" (იხილეთ „ფრანკფურტერ ზეიტინგი", 1907 წლის 29 სექტემბერი).

მიკრული, სამი ოპერაციის შემდეგ და მეოთხის მოლოდინში[1], 1827 წლის 17 თებერვალს მშვიდად წეოს: „მოთმინებით ვიქურვები და ვფიქრობ, რომ ყოველ უბედურებას თან რაღაც სიკეთე მოაქვს“.

ეს სიკეთე ხსნა იყო, „კომედიის დასასრული“, როგორც თვითონვე თქვა სიკვდილის წინ. ჩვენ კი ვიტყვით: „ეს იყო მისი ცხოვრების ტრაგედიის დასასრული“.

ის რომ კვდებოდა, ქარიშხალი მძვინვარებდა, ქარბუქი იდგა, ჭექდა და ქუხდა. თვალები უცხო ადამიანის ხელებმა დაუხუჭა[2] (1827 წლის 26 მარტს).

* * *

ძვირფასი ბეთჰოვენი! ბევრმა შეასხა ქება-დიდება ამ ხელოვანის სიდიადეს. მაგრამ ის უფრო დიდია, ვიდრე უპირველესი მუსიკოსთა შორის. ის თანამედროვე ხელოვნების ყველაზე გმირული ძალაა. ის არის იმათი ყველაზე დიდი და ყველაზე საუკეთესო მეგობარი, ვინც იტანჯება და იბრძვის. და როდესაც ჩვენი სამყაროს ტანჯვა-ვაებით ვართ დამწუხრებულნი, ეს ბეთჰოვენია, ჩვენთან რომ მოდის, ისევე, როგორც შვილზე მგლოვიარე დედასთან მივიდოდა, ფორტეპიანოს ძიუჯდებოდა და უსიტყვოდ, ბედის მორჩილი სიმღერით ანუგეშებდა მტირალს. და როდესაც მანკიერებათა და წვრილმან სათნოებათა წინააღმდეგ ამაო ბრძოლით ვიღლებით, კალმით აუწერელი ბედნიერებაა, ჩაეშვა ამ ნებისყოფის და რწმენის ოკეანეში, საიდანაც გადამდე-

---

[1] ოპერაციები გაუკეთეს 20 დეკემბერს, 8 იანვარს, 2 თებერვალს და 27 თებერვალს. მომაკვდავის სარეცელზე საბრალო ადამიანს ბაღლინჯოები მისეოდნენ (გერჰარდ ფონ ბრონინგის წერილი)

[2] ახალგაზრდა მუსიკოსი ანსელმ ჰიუტენბრენერი.

„დიდება უფალს! — წერს ბრონინგი,—მადლობა შევწიროთ მას, რომ ბოლო მოუღო ამ ხანგრძლივ და საშინელ წამებას“.

ბეთჰოვენის ყველა ხელნაწერი, წიგნი და ავეჯი საჯარო ვაჭრობით 1575 ფლორინად გაიყიდა. კატალოგი 252 ხელნაწერს და მუსიკალურ წიგნს შეიცავდა და 982 ფლორინად და 37 კრეიცერად შეფასდა. „სასაუბრო რვეულები“ და დღიურები 1 ფლორინად და 20 კრეიცერად გაიყიდა. წიგნებს შორის ბეთჰოვენს ჰქონდა: კანტის „ბუნებისმეტყველება და ზეცის თეორია“, ბოდეს „ვარსკვლავიანი ცის შემეცნების შესავალი“, თომა კემპიელის „ქრისტეს მემკვიდრეობითობა“. ცენზურამ დაისაკუთრა: ზეიმეს „სირაკუზში გასეირნება“, კოცებუს „თავადაზნაურობის შესახებ“ და ფესლერის „შეხედულებანი რელიგიასა და ეკლესიურობაზე“.

ბი სენივით მოედინება მხნეობა, ბრძოლით გამოწვეული ბედნიერება[1] და აღტაცება იმის შეგნების გამო, რომ ჩვენთან არს უფალი. ასე გგონიათ, ბუნებასთან ყოველწუთიერი ურთიერთობისას შეითვისა ბუნების უშრეტი ძალ-ღონე[2]. გრილპარცერი, რომელიც მოკრძალებული შიშით აღმერთებდა ბეთჰოვენს, ამბობს: „მან მიაღწია იმ საშიშ წერტილს, სადაც ხელოვნება ველურ და ჭირვეულ სტიქიას უერთდება“. ამასვე წერს შუმანი სიმფონია დო მინორზე: „რამდენჯერაც არ უნდა მოვუსმინოთ მას, ის ჩვენზე უცვლელ და ძლიერ გავლენას ახდენს, ისეთს, როგორსაც ბუნების ის მოვლენები, რომლებიც რარიგ ხშირად არ უნდა განმეორდნენ, მაინც შიშის ზარსა გვცემენ და გვანცვიფრებენ“. და აი რას ამბობს მისი მესაიდუმლე შინდლერი: „მან დაიპყრო ბუნების სული“. დიახ, ეს მართალია: ბეთჰოვენი თვით ბუნების ძალაა. ჭეშმარიტად დიდებული სანახაობაა ამ სტიქიური ძალების ბრძოლა მთელ დანარჩენ ბუნებასთან.

ძთელი მისი ცხოვრება ქარიშხლიან დღეს წააგავს. ჯერ ნორჩი და ხათელი დილაა. ოდნავ შეიგრძნობა სასიამო მოთენთილობა. მაგრამ უძრავ ჰაერში უკვე რაღაც იდუმალი მუქარა, მძიმე წინათგრძნობაა. უეცრად უზარმაზარი ჩრდილები ჩამოწვება, გაისმის ტრაგიკული გრგვინვა, ზუზუნი და საშიშარ სიჩუმეში „გმირული სიმფონიისა“ და „დო მინორის“ შმაგი ქარიშხალი ამოვარდება. თუმცა დღის ნათელი ჯერ არ გამქრალა, სიხარული რჩება სიხარულად და მწუხარება ძაინც ინარჩუნებს იმედს. მაგრამ 1800 წლის შემდეგ სულიერი წონასწორობა ირღვევა. საოცარი სინათლე ეფინება გარემოს. ყველა ნათელი აზრი ორთქლივით ზევით მიემართება, იფანტება, კვლავ თავს იყრის და თავისი მელანქოლიური და ჭირვეული მღელვარებით გულს აღონებს. ხშირად მუსიკალური იდეა თითქოს მთლიანად გაუჩინარდება, ნისლში ერთი-ორჯერ ამოტივტივდება, მყისვე გაქრება და მხოლოდ ნაწყვეტის ფინალში ქარტეხილად ამოვარდება. მხიარულებაც გაშმაგდება და

---

[1] „ყოველთვის, როდესაც რაიმე სიძნელეს გადავლახავ, ბედნიერი ვარ“ (წერილი უკვდავი სატრფოსადმი). „რომ შეიძლებოდეს, ვისურვებდი, ჩემი ცხოვრება ათასჯერ მეცხოვრა... მე არა ვარ მშვიდი ცხოვრებისათვის გაჩენილი“ (ა. ვეგლერს, 16 ნოემბერი, 1801 წ.).

[2] ბეთჰოვენმა მასწავლა ბუნების მეცნიერება და მიხელმძღვანელა მის შესწავლაში, ისევე როგორც მუსიკის შესწავლაში. ის ბუნების „ანონებს“ კი არა, ბუნების თავდაპირველ ძლიერებას მოჰყავდა აღტაცებაში (შინდლერი).

გესლად დაიღვრება. ყველა გრძნობას რაღაცნაირი ციებ-ცხელება, საწამლავი უერთდება[1]. ახლოვდება საღამო ჟამი, ემზადება ჭექა-ქუხილი. და აი, ღამესავით გაშავებული, ქარიშხლებით დამძიმებული, ელვით დასერილი მძიმე ღრუბლები ჩამოწვება — ეს მეცხრე სიმფონიის დასაწყისია. უეცრად, როცა გრიგალი ყველაზე უფრო მეტად მძვინვარებს, წყვდიადი ქრება, ზეციდან ღამე განიდევნა და მისი ნების წყალობით დღის ნათელი გვიბრუნდება.

აბა, რომელი დამპყრობლის გამარჯვება შეედრება ამას? ბონაპარტის რომელ ბრძოლას, ან აუსტერლიცის რომელ მზეს შეუძლია მისწვდეს ძალ-ღონის ამ ზეადამიანური დაძაბვის დიდებას, რომელ ბრწყინვალე გამარჯვებას, რომლისათვისაც ოდესმე მიუღწევია გონებას. უბედური, ღატაკი, ხეიბარი, ეული, ხორცშესხმული წამება, ვისაც ქვეყანა უკრძალავს სიხარულს, თვითონვე ქმნის სიხარულს, რათა ის კაცობრიობას უბოძოს. ამ სიხარულს საკუთარი ტანჯვისაგან კეერავს, როგორც ამ სიამაყით აღსავსე სიტყვაში გამოთქვა, სადაც მოკლედაა შეჯამებული მთელი მისი ცხოვრება და რაც ყველა გმირი სულის დევიზს წარმოადგენს:

ტანჯვის გაელით სიხარულისაკენ!

Durch Leiden Freude[2]

---

[1] „ოჰ! რაოდენ მშვენიერია ცხოვრება, მე კი სამუდამჟამოდ მოშხამული ბედი მერგო“ (vergiftet). (2 მაისი. 1810 წ. წერილი ვეგლერს).

[2] კონტესა ერდოდის. 19 ოქტომბერი, 1815 წ.

ჰაილიგენშტატის[1] ანდერძი

ჩემს ძმებს, კარლოსსა და (იოჰან)[2] ბეთჰოვენებს

ჰოი თქვენ, ადამიანნო, რომლებმაც ხმა დამიყარეთ და თვითონაც ისე მიყურებთ, როგორც გაბოროტებულს, გიჟს ან კაცთმოძულეს, რამდენად უსამართლონი ხართ ჩემს მიმართ! თქვენ არ იცით იმის იდუმალი მიზეზი, რის გამოც ასე გეჩვენებით! ბავშვობიდანვე გულითა და სულით მივილტვოდი სიკეთისაკენ. მწადდა დიდი საქმეების განხორციელება. მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, ექვსი წელია მძიმე ავადმყოფი ვარ, უვიცი ექიმები ამ სენს კიდევ უფრო მირთულებენ, წლობით მატყუებენ, მორჩებიო და იძულებული ვარ, შევურიგდე აწრს, რომ ჩემი ავადმყოფობა ხანგრძლივი იქნება, მისი განკურნება შეიძლება წლებს მოითხოვდეს, ან იქნებ სულაც განუკურნებელია. ბუნებით მგზნებარესა და გამრჯეს საზოგადოებაში გართობაც მიყვარდა. მაგრამ ახალგაზრდობიდანვე იძულებული გავხდი ადამიანებს გავცლოდი და განმარტოებული ცხოვრება დამეწყო. როცა რამდენიმეჯერ ვცადე ყოველივე ეს დამეძლია, ო, რომ იცოდეთ, რა უმოწყალოდ მომაგონა თავი ჩემმა ხეიბრობამ. მე ხომ ვერ ვეტყოდი ადამიანებს: „ხმამაღლა ილაპარაკეთ, იყვირეთ, რადგან მე ყრუ ვარ!“ ეჰ! როგორ შემეძლო გამემეღავნებინა, რომ დაუძლურებული მქონდა გრძნობის ერთ-ერთი ორგანო, რომელიც მე ყველაზე სრულყოფილი უნდა მქონოდა, აკი ადრე სმენა სრულიად უნაკლო მქონდა, ისეთი, როგორიც უთუოდ ცოტა ვინმეს თუ ჰქონია ჩემი პროფესიის პირთა-

---

[1] ჰაილიგენშტატი — ვენის გარეუბანია. ერთხანს აქ ცხოვრობდა ბეთჰოვენი.

[2] ხელნაწერში ეს სახელი გამორჩენილია.

გან! ოჰ! არა! ეს არ შემეძლო! მაშ, მაპატიეთ, თუ განდგომილად ვცხოვრობ, თუმცა გულით მსურს თქვენთან ყოფნა. ჩემი უბედურება ორმაგად მიმძიმს, რადგან ამის გამო აღიარება ვერ მოვიპოვე: ჩემთვის აკრძალულია საზოგადოებაში თავის შექცევა, თავაზიანი საუბრები, გულის გადაშლა. მარტო ვარ, მარტოდმარტო. საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ შემიძლია შევბედო, თუ ამას უკიდურესი საჭიროება მოითხოვს. დევნილივით უხდა ვიცხოვრო. თუ ხალხს მივუახლოვდი, შიშის ზარი მეცემა, არ შენიშნონ-მეთქი ჩემი ხეიბრობა.

ამის გამო გავატარე ექვსი თვე სოფლად. ჩემმა სწავლულმა ექიმმა ძითხრა, რაც შეიძლება, სმენას გაუფრთხილდიო, მან ჩემს საკუთარ განზრახვას დაასწრო. თუმცა, საზოგადოებაში ყოფნის სურვილით შეპყრობილი, რამდენჯერმე ამ გრძნობას ავყევი, მაგრამ როგორი დამცირება განვიცადე, როდესაც ჩემს გვერდით მყოფს შორიდან ფლეიტის ხმა ესმოდა, მე კი არაფერი მესმოდა, ანდა გაიგონა მწყემსის სიმღერა, მე კი ისევ ვერაფერი გავიგე [1]. ასეთმა ცდამ ბევრჯერ სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა: ცოტა დამაკლდა, თავი არ მოვიკალი. ხელოვნებამ, მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებამ შემაჩერა. ვიფიქრე: შეუძლებელია ამ ქვეყანას გამოვეთხოვო მანამ, სანამ არ გახვახორციელებ ყოველივე იმას, რისთვისაც ვგრძნობ, რომ მოწოდებული ვარ. და ასე გავახანგრძლივე ჩემი ბედშავი ცხოვრება. — ნამდვილად ბედშავი, — რადგან ისეთი მგრძნობიარე სხეული მაქვს, რომ რაც უნდა კარგად ვიყო, სულ უბრალო ცვლილებას შეუძლია უარეს ყოფაში ჩამაგდოს.» მოთმინებაო! ასე ამბობენ, რომ ახლა ეს

---

[1] ამ მწუხარე ჩივილის გამო მინდა ერთი გარემოება აღვნიშნო. გარემოება, რომელიც, ვფიქრობ, არასოდეს შეუმჩნევიათ. ცნობილია, რომ „პასტორალური სიმფონიის“ მეორე ნაწყვეტის ბოლოს ორკესტრში გაისმის მწყერის, გუგულისა და ბულბულის გალობა. სხვათა შორის, შეიძლება ითქვას, რომ მთელი სიმფონია ბუნების გალობასა და ჩურჩულს შეიცავს. ესთეტიკოსებმა ბევრი იმსჯელეს იმაზე, მოსაწონი იყო თუ არა მიმბაძველობითი მუსიკის ეს ცდები. არც ერთს არ შეუმჩნევია, რომ ბეთჰოვენი არაფერს ბაძავდა, რადგან არაფერი ესმოდა: ის თავის აზროვნებაში აცოცხლებდა სამყაროს, რომელიც მისთვის მკვდარი იყო. და სწორედ ამიტომაცაა ამაღელვებელი ჩიტების გალობა. ერთადერთი საშუალება მათი მოსმენისა, რომელიც მას დარჩა, იყო მათი ამღერება თავის შინაგან მეში.

უნდა ავიყვანო მეგზურად. ავიყვანე კიდეც. იმედი მაქვს, ნებისყოფა ძეყოფა მანამ, სანამ შეუბრალებელი პარკები ჩემი ცხოვრების ძაფს არ გასწყვეტენ. შეიძლება უკეთ გავხდე, შეიძლება — არა: მე მზად ვარ. არც ისე ადვილია, ოცდარვა წლისა ფილოსოფოსი გახდე, ეს კიდევ უფრო მძიმეა ხელოვანისათვის, ვიდრე სხვა ვინმესათვის.

ღვთაებავ, შენ აღწევ ჩემი გულის სიღრმეში, შენ მას იცნობ, იცი, რომ ადამიანთა სიყვარული და კეთილის კეთების სურვილი ბინადრობს ჩემს სულში. ჰოი, ადამიანებო, თუ ოდესმე ამას წაიკითხავთ, წარმოიდგინეთ, თუ რაოდენ უსამართლონი იყავით ჩემს მიმართ—და დაე, ბედშავმა მასავით ბედშავის ნახვით ინუგეშოს თავი, ბედშავისა, რომელმაც, მიუხედავად ბუნების მიერ აღმართული მძაფრი წინააღმდეგობისა, ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რათა ხელოვანთა და რჩეულ ადამიანთა შორის მიეღოთ.

თქვენ, ჩემო ძმებო, კარლოს და (იოჰან), ჩემი სიკვდილისთანავე, თუ პროფესორი შმიდტი ისევ ცოცხალი იქნება, ჩემი სახელით სთხოვეთ, ჩემი ავადმყოფობა აღწეროს. ავადმყოფობის ისტორიას დაუმატეთ აი, ეს წერილიც, რომელიც აქვეა, რათა ხალხი სიკვდილის შემდეგ მაინც შემირიგდეს. ამავე დროს თქვენ ორივეს გაღიარებთ ჩემი პატარა ქონების მემკვიდრეებად, თუ შეიძლება ამას ქონება ეწოდოს. კეთილსინდისიერად გაინაწილეთ, შეხმატკბილებულად იცხოვრეთ. რაც მე ცუდი გამიკეთეთ, თქვენც იცით, დიდი ხანია, გაპატიეთ. ძმაო კარლოს, განსაკუთრებით შენი მადლიერი ვარ იმ ერთგულებისათვს, რომელიც ამ უკანასკნელ დროს გამოიჩინე. ჩემი სურვილია, რომ თქვენი ცხოვრება უფრო ბედნიერი და უდარდელი იყოს, ვიდრე ჩემი. თქვენს ბავშვებს შთაუნერგეთ სათნოება: მხოლოდ მას შეუძლია ბედნიერების მოტანა. მარტო ფულით ვერაფერს ვერ ეწევით. ამას გამოცდილებით ვამბობ. ჩემს უბედურ ყოფაში მე მხოლოდ სათნოება მამხნევებდა. სათნოებას, ისევე როგორც ჩემს ხელოვნებას, უნდა ვუმადლოდე, რომ ცხოვრება თვითმკვლელობით არ დავამთავრე. ბ'შვიდობით! გიყვარდეთ ერთმანეთი! ყველა ჩემი მეგობრის მადლობელი ვარ, განსაკუთრებით პრინც ლიხნოვსკისა და პროფესორ შმიდტის. მე მსურს, რომ პრინც ლიხნოვსკის ინსტრუმენტები რომელიმე თქვენგანმა შეინახოს. ოღონდ არავითარი უთანხმოება არ ატყდეს თქვენს შორის ამ ინსტრუმენტების გამო, თუ კარგი საქმისათვის

დაგჭირდეთ, მყისვე გაყიდეთ. ბედნიერი ვიქნები, თუ საფლავიდანაც რამეში გამოგადგებით.

ამის რწმენა რომ მქონდეს, სიხარულით გავფრინდებოდი სიკვდილისაკენ, თუკი ის კარზე მომადგა მანამ, სანამ შევძლებდე ჩემი უნარის გამ'ლას. მიუხედავად ჩემი უმოწყალო სვე-ბედისა, მის მოსვლას მაინც არ ვიჩქარებდი და ვისურვებდი დაეგვიანა. მაგრამ ასეც კმაყოფილი ვარ, განა სიკვდილი ამ გაუთავებელი ტანჯვა-წამებისაგან განთავისუფლება არ არის? მობრძანდი, როდესაც გენებოს, მხნედ შეგეგებები. მშვიდობით! სულ ნუ დამივიწყებთ სიკვდილის შემდეგ: მე დავიმსახურე, რომ ჩემზე იფიქროთ, რადგან სიცოცხლეში მე ხშირად მიფიქრია თქვენზე და თქვენს ბედნიერებაზე. იყავით ბედნიერი.

ლუდვიგ ვან ბეთოვენი

ჰაილიგენშტატი. 6 ოქტომბერი, 1802 წელი.

ჩემ ძმებს კარლოსა და (იოჰანს)

ჩემი სიკვდილის შემდეგ წასაკითხად და აღსრულებაში მოსაყვანად

ჰაილიგენშტატი, 10 ოქტომბერი, 1802 წ. გემშვიდობები და, ცხადია, დიდი გულის წუხილით. დიახ, განკურნების ტკბილი იმედი, რომელიც ხაწილობრივ მაინც მქონდა, მტოვებს. როგორც შემოდგომის ფოთლები ცვივა და ჭკნება, ისევე დაჭკნა ჩემთვის იმედი. ეს-ეს არის, მოვედი ამქვეყნად და უკვე მივდივარ. დიდი მხნეობა, გაზაფხულის ხათელ დღეებში ხშირად რომ მხარში მედგა, გაუჩინარდა. ჰეი განგებავ, ერთხელ მაინც გამითენე სიხარულის ნათელი დღე! რამდენი ხანია, რაც ჩემთვის უცხოა ჭეშმარიტი სიხარულის საამო ჟღერა. ოჰ! როდის! როდისღა შევძლებ, ჩემო ღვთაებავ, ვიგრძნო სიხარული ბუნებისა და ადამიანთა ტაძარში? ნუთუ არასოდეს? არა! ოჰ! ეს მეტისმეტი გულქვაობა იქნებოდა!

წერილები

პასტორ ამანდას — კურლანდიაში [1]

ჩემო ძვირფასო და კეთილო ამანდა! ჩემო გულითადო მეგობარო! დიდის მღელვარებით, წუხილისა და სიხარულის ნარევი გრძნობით მივიღე და წავიკითხე შენი უკანასკნელი წერილი. აბა, რას შემიძლია შევადარო შენი ერთგულება, შენი თავდადება! დიახ, მართლაც საამოა, რომ შენ სამუდამოდ ასეთ მეგობრად დამრჩი. შენი ერთგულება გამოვცადე და ვიცი განსხვავება შენსა და ყველა სხვას შორის. შენ არა ხარ ვენელი მეგობარი, არა, შენ ერთი იმათგანი ხარ, ვისაც მხოლოდ ჩემი სამშობლოს მიწა-წყალი წარმოშობს! რომ იცოდე, რა ხშირად ვნატრობ, რომ ჩემს გვერდით იყო, რადგან შენი ბეთჰოვენი მეტისმეტად უბედურია. იცოდე, ჩემი ყველაზე კეთილშობილი ნაწილი, ჩემი სმენა ძალიან დასუსტდა. ამის ნიშნებს ჯერ კიდევ მაშინ ვგრძნობდი, როდესაც ერთად ვიყავით, მაგრამ ვმალავდი; მას შემდეგ სმენა კიდევ უფრო გამიუარესდა. მოვრჩები თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს, მიზეზი უთუოდ ჩემი კუჭის დაავადებაა. ამისაგან მე თითქმის განვიკურნე, მაგრამ სმენა კი მოძირჩება? რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, მაგრამ ძალიან მიძძიმს, რადგან ასეთი სენი ყველაზე განუკურნებელია. როგორ მწუხარებაში უნდა ვიცხოვრო, განვერიდო ყოველივეს, ოაც ჩემთვის ძვირფასია, უნდა ვიყო ამ საზიზღარ ოავკერძა ადამიანთა შორის!.. შემიძლია ვთქვა, რომ აქაურთაგან ყველაზე ნაცადი მეგობარი ჩემთვის ლიხნოვსკია. შარშანდლიდან დღემდე 600 ფლორინი მომცა. ესა და ჩემი ნაწარმოებების ხელსაყრელი გაყიდვა საშუალებას მაძლევს ისე ვიცხოვრო, რომ არ ვიფიქრო ლუკმა პურზე. ყოველივე ის, რასაც ახლა ვწერ, შემიძლია დაუყოვნებლივ, თუნდაც ხუთჯერ, გავყიდო და ისიც კარგ ფასში. ამ უკანასკნელ დროს ბევრი რამ დავწერე და რადგან გავიგე, რომ კლავირები შეგიკვეთია ***-თვის, როდესაც გამოგიგზავნის შეკვეთას, მას გამოვაყოლებ ჩემს რამდენიმე ნაწარმოებს, რომ ძვირი არ დაგიჯდეს.

ამჟამად ჩემდა სანუგეშოდ აქ ჩამოვიდა ერთი კაცი, ვისთანაც

---

[1] უთუოდ 1801 წელსაა დაწერილი.

შემიძლია საუბრითა და უანგარო მეგობრობით დავტკბე: ის ჩემი ჭაბუკობის ერთ-ერთი მეგობართაგანია[1]. შენზე ბევრჯერ ველაპარაკე, ვუთხარი, რომ მას შემდეგ, რაც მშობლიური კუთხე დავტოვე, ჩემი გულის ერთ-ერთი რჩეულთაგანი შენა ხარ. შენი არ იყოს, მასაც არ უყვარს *** [2], რომელიც არაა სამეგობრო კაცი. მე მასა და ***-ს ვთვლი ინსტრუმენტებად, რომლებზედაც შემიძლია დავუკრა, როდესაც მომესურვება. მათ არ შეუძლიათ ჩემი მოღვაწეობის კეთილშობილი მოწმენი გახდნენ, ისევე როგორც არ შეუძლიათ ჩემს ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღონ. მე მათ ვაფასებ მხოლოდ იმ სამსახურისდა მიხედვით, რომელსაც მიწევენ. ოჰ! რა ბედნიერი ვიქნებოდი, უნაკლო სმენა რომ მქონდეს! მაშინვე შენკენ გამოვიქცეოდი, მაგრამ ყველაფერს უნდა განვერიდო; ყველაზე საუკეთესო წლები ისე გაირბენენ, რომ ვერ შევძლებ იმის განხორციელებას, რასაც ჩემგან ჩემი ხიბი და ძალა მოითხოვს. სევდიანი მორჩილება, აი, რას უნდა შევაფარო თავი. მართალია გადავწყვიტე, რომ ამ უბედურებაზე მაღლა დავდგე, მაგრამ შევძლებ კი? ამანდა! თუ ექვს თვეში არ განვიკურნე, შენგან მოვითხოვ, რომ გაანებო თავი ყველაფერს და ჩემთან ჩამოხვიდე. მაშინ ვიმოგზაურებ (ავადმყოფობა ჩემს შესრულებასა და კომპოზიტორობაზე ჯერ კიდევ დიდ გავლენას ვერ ახდენს, იგი ძალუმად მახსენებს თავს მხოლოდ საზოგადოებაში). შენ იქნები ჩემი თანამგზავრი; დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ მეღირსება ბედნიერება; ახლა, რასაც გინდა, შევებმები! მას შემდეგ, რაც შენ წახვედი, რა არ დავწერე, ოპერებიდან დაწყებული საეკლესიო მუსიკამდე. ვიცი, ამანდა, უარს არ იტყვი და დაეხმარები შენს მეგობარს, რომ აიტანოს ავადმყოფობა და გაჭირვება. მე ძალიან დავხვეწე შესრულების ტექნიკა, თანაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოგზაურობა შენთვისაც დიდად სასიამოვნო იქნება. მერე შენ სამუდამოდ ჩემთან დარჩები. შენი ყველა წერილი მივიღე და მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე არ გამიცია პასუხი, მუდამ ჩემთან იყავი... გული სავსე მაქვს შენი სიყვარულით. რაც ჩემს სმენაზე გითხარი, ძალიან გთხოვ, საიდუმლოდ შეინახო და არავის გაანდო, არავის, ვინც უნდა იყოს. ხშირად მომ-

---

[1] სტეფან ფონ ბრონინგი.

[2] ნ. ზმესკალი — სამეფო კარის მდივანი ვენაში. ის ბოლომდე ბეთჰოვენის ერთგული დარჩა.

წერე. შენი წერილები, თუნდაც ძალიან მოკლე იყოს, მანუგეშებენ და სიამოვნებას მომგვრიან. ჩემო ძვირფასო, ველი შენს ახალ წერილს. მე რომ დაგპირდი, ის კვარტეტი[1] არ გამოვიგზავნია; მას შემდეგ, რაც კვარტეტის წესიერი წერა ვისწავლე, სულ მთლად გადავაკეთე. ამაში დარწმუნდები, როდესაც მიიღებ. ახლა კი მშვიდობით, ჩემო კეთილო! თუ ფიქრობ, რომ შემიძლია შენთვის სასიამოვნო რამ გავაკეთო, თავისთავად ცხადია, უნდა მითხრა შენს ერთგულ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს, რომელსაც გულწრფელად უყვარხარ.

დოქტორ ფრანც გერჰარდ ვეგლერს

ვენა, 29 ივნისი, 1801 წ.

ჩემო კეთილო და ძვირფასო ვეგლერ! როგორი მადლობელი ვარ შოგოხებისათვის. ეს თითქმის არ დამიმსახურებია, თითქმის არ ვცდილვარ დამემსახურებინა და მიუხედავად ამისა, შენ ისეთი კეთილი ხარ, რომ ვერაფერმა აგაყრევინა გული ჩემზე, ვერც ჩემმა მოუტევებელმა დაუდევრობამ. მუდამ ერთგულ, კეთილ და პატიოსან მეგობრად დამრჩი. განა შემიძლია დაგივიწყო, დაგივიწყოთ ყველა თქვენ, ვინც ასე ძვირფასი და დაუფასებელი იყავით ჩემთვის? არა, ეს არ დაიჯერო! არის დღეები, როდესაც თქვენზე ვდარდობ და მსურს ცოტა ხნით მაინც ვიყო თქვენთან. ჩემი სამშობლო, ჩემი მშვენიერი მხარე, სადაც დღის სინათლე ვიხილე, ისევ ისე ნათლად მიდგას თვალწინ, როგორც იმ დღეს, როდესაც დაგტოვეთ. ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთი მაშინ დადგება, როდესაც შევძლებ კვლავ გნახოთ და მივესალმო ჩვენს მამა რაინს. თუ როდის მოხდება ეს, ზუსტად ვერ გეტყვი, ასეა თუ ისე, მინდა გითხრათ, რომ მიხილავთ უფრო დავაჟკაცებულს: მარტო ხელოვანს კი არა, ადამიანსაც ვგულისხმობ. დარწმუნებული ვარ, რომ მნახავთ უფრო უკეთესს, უფრო

[1] op. 18, № 1.

სრულყოფილს; და თუ კეთილდღეობა ცოტათი მაინც არ გაზრდილა ჩვენს სამშობლოში, მაშინ ჩემი ხელოვნება ღარიბთა სვე-ბედის გაუმჯობესებას უნდა ემსახუროს.

შენ ჩემი ამბავი გაინტერესებს: გეტყვი, რომ არა მიშავს რა. ლიხნოვსკიმ, რომელიც (რა დაუჯერებლადაც არ უნდა გეჩვენოს ეს, მაშინაც კი, როდესაც ამას მე გეუბნები) ყოველთვის იყო და დარჩა ჩემი ერთგული და მხურვალე მეგობარი (მართალია, ჩვენს შორის იყო უმნიშვნელო უთანხმოებანი, მაგრამ ამან კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი მეგობრობა), შარშან დამინიშნა პენსია: 600 ფლორინი. ამ პენსიას მივიღებ მანამ, სანამ ჩემ შესაფერ ადგილს არ მოვძებნი. ჩემს კომპოზიციებში ბევრს მაძლევენ, შემიძლია ვთქვა, რომ მეტი შეკვეთა მაქვს, ვიდრე შემიძლია შევასრულო. ყოველი ნაწარმოებისათვის ექვსი თუ შვიდი გამომცემელი მყავს და კიდევ მეტიც, თუ თავი შევიწუხე. უკვე აღარ მევაჭრებიან: ვამბობ ფასს და მიხდიან. ხედავ, რა შესანიშნავი რამ არის? მაგალითად, რომელიმე მეგობარს უჭირს, ჩემი ქისა კი ნებას არ მაძლევს დავეხმარო: საკმარისია, ჩემს სამუშაო მაგიდას მივუჯდე და მოკლე დროში მეგობარი გაჭირვებისაგან დახსნილია. ახლა მე უფრო მომჭირნეც გავხდი.

საუბედუროდ, ბოროტი სული — ჩემი ავადმყოფობა — გზას მიღობავს. უკვე სამი წელია, რაც სმენა უფრო და უფრო მისუსტდება. აძის მიზეზი უთუოდ კუჭის დაავადებაა, რაც, როგორც იცი, წინადაც მტანჯავდა, ახლა კი უფრო გაუარესდა; განუწყვეტელი კუჭის აშლილობა, რომელსაც საშინელი სისუსტე სდევს თან, მოსვენებას არ მაძლევს. ფრანკს უნდოდა სხვადასხვა წამლებით გავემაგრებინე და ჩემი სმენისათვის ნუშის ზეთით ემკურნალა. მაგრამ — Prosit [1] — არაფერი გამოვიდა, სმენა უფრო გამიუარესდა და კუჭსაც არაფერი ეშველა. ასე გაგრძელდა გასულ შემოდგომამდე, ხშირად სასოწარკვეთილებამდეც მივსულვარ. ერთმა ვირმა ექიმმა ცივი აბაზანები მირჩია, მეორემ, უფრო მცოდნემ, დუნაის წყლის თბილი აბაზანები. ამან სასწაულებრივი შედეგი გამოიღო; კუჭის მდგომარეობა გამიუმჯობესდა, მაგრამ სმენას ვერაფერი ეშველა, ის კი არა და, დამიქვეითდა კიდეც. ზამთარში ჩემი ყოფა სავალალო გახდა. დამეწყო საშინელი მუცლის

---

[1] დე, ამან სარგებელი მოიტანოს! (ლათ.)

გვრემა, ჯანი წამერთვა. ასეთ ყოფაში წინა თვემდე დავრჩი და ბოლოს გადავწყვიტე ვერინგთან მისვლა, რადგან ვიფიქრე, ჩემ სენს ქირურგი სჭირდება-მეთქი, თანაც ვერინგს ყოველთვის ვენდობოდი. შან თითქმის სულ შემიწყვიტა ეს საშინელი კუჭის აშლილობა; გამოშიწერა დუნაის წყლის თბილი აბაზანები, შიგ ერთი კოლბი მოსაღოხიერებელი რაღაც სითხე ჩამასხმევინა. არავითარი წამალი არ მოუცია, გარდა კუჭის აბებისა. ამ ოთხი დღის წინ კი ყურისათვის რაღაც სითხე დამინიშნა. ახლა თავს უკეთ და მხნედ ვგრძნობ; მხოლოდ ყურებში დღე და ღამე ზმუილი და შრიალი (sausen und brausen) მიდგას. ეს რა მწარე ცხოვრება მარგუნა ბედმა. თითქმის ორი წელია, ყველას თავს ვარიდებ, რადგან არ შემიძლია ხალხს ვუთხრა: „მე ყრუ ვარ". სხვა ხელობა რომ მქონდეს, კიდევ ჰო, მაგრამ ჩემი ხელობის კაცისათვის ამაზე საზარელი რაღა უნდა იყოს. აბა რას იტყოდნენ ჩემი მტრები, მათი რიცხვი კი არც თუ ისე მცირეა!

ამ ჩემს საოცარ სიყრუეზე წარმოდგენა მაინც რომ გქონდეს, გეტყვი: თეატრში მსახიობების სიმღერა რომ გავიგონო, ორკესტრთან სულ ახლოს უნდა დავჯდე. ცოტა მოშორებით თუ დავჯექი, ინსტრუმენტებისა და ხმების მაღალი ტონები არ მესმის. გასაკვირია, რომ ზოგნი ამას საუბარში ვერც კი ამჩნევენ. მეტისმეტად უგულისყურო რო? ვარ, უთუოდ ამას აწერენ ყველაფერს. როდესაც ჩუმად ლაპარაკობენ, ძლივს მესმის; დიახ, მესმის მხოლოდ ბგერები და არა სიტყვები, ყვირილსაც ვერ ვიტან. უფალმა უწყის, რა მომივა; ვერინგი ამბობს, თუ სმენა სავსებით არ დაგიბრუნდა, უთუოდ გაგიუმჯობესდებაო. რამდენჯერ მიწყევლია ჩემი ყოფა და გამჩენი[1]. პლუტარქემ ბედის შორჩილებამდე მიმიყვანა. მაგრამ მინდა, თუ შევძელი, ბედს შევებრძოლო; თუმცა ჩემს ცხოვრებაში არის წუთები, როდესაც ღვთის ქმნილებათა შორის მე ყველაზე უბედური ვარ. გეეედრები, არავის უთხრა, ავად რომა ვარ. ლორხენსაც[2] ნურაფერს ეტყვი. ამას განდობ, როგორც დიდ საიდუმლოებას. დიდად მასიამოვნებ, თუ ამაზე მოსწერ ვერინგს. თუ ჩემი მდგომარეობა ასე გაგრძელდა, გაის გაზაფხულს შენთან ჩამოვალ, მიქირავებ რომელიმე ლამაზ კუთხეში ერთ

---

[1] ნოლმა თავის გამოცემაში („ბეთჰოვენის წერილები") ამოიღო სიტყვები: und der Schöpfer (და გამჩენი).

[2] ელეონორა.

ბატარა სახლს და ექვსი თვე გლეხად ვიქცევი. შეიძლება ამან მარგოს კიდეც. ძორჩილება! რა უბადრუკი თავშესაფარია! თუმცა სხვა რაღა დამრჩენია! მაპატიე, რომ შენს პირად უსიამოვნებებს კიდევ ამ საზრუნავს ვუმატებ.

სტეფან ბრონინგი ამჟამად აქ არის და თითქმის ყოველდღე ერთადა ვართ. ისე მსიამოვნებს წარსული განცდების მოგონება! სტეფანი მართლაც ღირსეული და ბრწყინვალე ახალგაზრდა დამდგარა. ბევრი რამ იცის და (როგორც ჩვენ ყველას, ცოტად თუ ბევრად) გულიც კეთილი აქვს...

მინდა კეთილ ლორხენსაც მივწერო. არც ერთი თქვენთაგანი არასოდეს არ მავიწყდება, ჩემო საყვარლებო, არ მავიწყდებით მაშინაც კი, როდესაც სიცოცხლის ნიშანწყალიც არ მეტყობა, მაგრამ ხომ იცი, როგორ მეზარება წერა. საუკეთესო მეგობრებს წლების მანძილზე არ მიუღიათ ჩემგან წერილი. მე მხოლოდ ჩემს ნოტებში ვცხოვრობ; როგორც კი ერთ ნაწარმოებს დავამთავრებ, ვიწყებ მეორეს. ახლა ერთსა და იმავე დროს სამ-ოთხ ნაწარმოებს ვწერ. უფრო ხშირად მომწერეთ, ვეცდები, დრო გამოვნახო, რომ გიპასუხო. გადაეცი ყველას ჩემი სალამი...

მშვიდობით, კეთილო და ერთგულო ვეგლერ! დარწმუნებული იყავი შენი ბეთჰოვენის ერთგულებასა და მეგობრობაში.

ვეგლერს

ვენა, 16 ნოემბერი, 1801 წ.

ჩემო კეთილო ვეგლერ! მადლობელი ვარ ყურადღების ახალი გამოვლენისათვის, მით უფრო, რომ ასეთ ყურადღებას თითქმის არ ვიმსახურებ. შენ გსურს გაიგო, როგორ ვცხოვრობ, ხომ არაფერი მიჭირს. თუმცა ამაზე საუბარი ძალიან მიმძიმს, შენ მაინც არ მოგერიდები.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ვერინგი ორივე მკლავზე სამწიფარ სალბუნებს მადებს. ეს მკურნალობა არ მსიამოვნებს, რომ არაფერი ვთქვა ტკივილებზე, რადგან ამის შემდეგ ერთი თუ ორი დღე ხელებს ვერ ვანძრევ... ისე კი, უნდა ითქვას, რომ ყურებში შრიალმა და ზმუილმა უფრო მიკლო, განსაკუთრებით, მარცხენაში, სწორედ იმ ყურში, საიდანაც სიყრუე დამეწყო, მაგრამ დღემდე სმენა სრულებით არ გაუმმჯობესებია. ვერ ვბედავ ვთქვა, გამიუარესდა-მეთქი. მუცელს კი უკეთესობა ეტყობა. განსაკუთრებით, როდესაც რამდენიმე დღე თბილ აბაზანებს ვიღებ, რვა ან ათი დღე თავს უკეთ ვგრძნობ. დროდადრო კუჭის შემკვრელ წამლებს ვღებულობ, შენი რჩევით მუცელზე ბალახის საფენის დადება დავიწყე. ვერინგს შხაპების გაგონებაც არ უნდა. საერთოდ ვერინგით არც ისე კმაყოფილი ვარ. მართალი რომ გითხრა, ამგვარი ავადმყოფობისათვის ის ძალიან დაუდევარი და უყურადღებოა; მე რომ მასთან არ მივდიოდე, მასთან სიარული კი ძალიან მიჭირს, არც კი გავახსენდებოდი. რას ფიქრობ შმიდტზე? ექიმებს ადვილად არ ვიცვლი, მაგრამ ასე მგონია, რომ ვერინგი მეტისმეტად პრაქტიკოსია, ცოტას კითხულობს და თავის ცოდნას არ აახლებს, შმიდტი კი, მე მგონი, სულ სხვა კაცია და, ვფიქრობ, არც ისეთი დაუდევარი იქნება. ბევრ საოცრებას ლაპარაკობენ გალვანიზმზე; შენ რას ფიქრობ ამაზე? ერთმა ექიმმა მითხრა, რომ ნახა ყრუ-მუნჯი ბავშვი, რომელსაც დაუბრუნდა სმენა და ერთი კაცი, რომელიც შვიდი წელი ყრუ ყოფილა და განკურნეს. გავიგე, რომ შმიდტი ასეთ ექსპერიმენტებზე მუშაობს.

ჩემი ცხოვრება ახლა კვლავ ოდნავ ხალისიანი გახდა და ხშირად გავდივარ ხალხში. ვერ წარმოიდგენ, როგორი ეული და ნაღვლიანი ცხოვრება გავატარე ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. ჩემი სნეულება ყველგან აჩრდილივით წინ მიდგებოდა და მეც ადამიანებს გავურბოდი; უთუოდ ყველას კაცომძულედ ვეჩვენებოდი, მე კი არასოდეს ვყოფილვარ კაცთმძულე! ასეთი ცვლილება ჩემში ერთმა ძვირფასმა და მომხიბლავმა ასულმა მოახდინა; ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. და აი, ორი წლის შემდეგ კვლავ რამდენიმე ბედნიერი წუთი ბერგო და პირველად ვგრძნობ, რომ ქორწინებას ბედნიერების მოტანა შეუძლია. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვეკუთვნით ერთსა და იმავე წრეს; და თანაც, მართალი რომ გითხრა, ამჟამად არ შემიძლია დავქორწინდე. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს მოსაგვარებელი. ჩემი სმენა რომ არა,

აქამდე ნახევარი მსოფლიო შემოვლილი მექნებოდა, ეს კი უნდა გავაკეთო. ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა ვემსახურო ჩემს ხელოვნებას და ის ხალხს დავანახო. არ იფიქრო, რომ თქვენთან ბედნიერი ვიქნებოდი. განა ვინმეს შეეძლო კიდევ ბედნიერი გავეხადე? თვით თქვენი მზრუნველობა მძიმე ტვირთად დამაწვებოდა; თქვენ სახეზე ყოველ წუთს სიბრალულს წავიკითხავდი და თავს უფრო უბედურად ვიგრძნობდი. ჩემი სამშობლოს მშვენიერო მხარეებო! რა მიზიდავდა თქვენკენ? მხოლოდ იმედი უკეთესი მომავლის შექმნისა და, ეს სენი რომ არა, ამას მივაღწევდი! ოჰ! რომ შემეძლოს თავი დავიხსნა ამ სენისაგან, მსოფლიოს გულში ჩავიკრავდი! დიახ, მე ვგრძნობ, რომ ჩემი სიჯაბუკე მხოლოდ ახლა იწყება; განა ყოველთვის ავად არ ვიყავი? ამ ბოლო ხანებში ჩემს ფიზიკურ ძლიერებასთან ერთად ყოველდღიურად იზრდება ჩემი ინტელექტუალური ძალა. ყოველდღე უფრო და უფრო ვუახლოვდები მიზანს, რომელსაც თითქოს ვხედავ კიდეც, მაგრამ ვერ განმისაზღვრავს. მხოლოდ ასეთ ზრახვებში შეუძლია შენს ბეთჰოვენს ცხოვრება. დასვენება არც მჭირდება! მე მხოლოდ ძილში ვისვენებ და იმით ვარ უბედური, რომ ახლა ძილს წინანდელზე მეტი დრო უნდა დავუთმო. ჩემი სენისაგან თუნდაც სანახევროდ რომ გავთავისუფლდე, მყისვე თქვენთან მოვიდოდი, უფრო დავაჟკაცებული და შეუპოვარი, უფრო განვამტკიცებდი ჩვენს ძველ მეგობრულ კავშირს.

თქვენ უნდა მიხილოთ ისეთი ბედნიერი, როგორც ამქვეყნიურ ცხოვრებაში მეკუთვნის; უბედური კი — არასოდეს! არა, ამას ვერ ავიტანდი! მინდა ბედს ყელში ვწვდე. არა, ის ვერ დამაჩოქებს. ოჰ! რა კარგია, ათასი ცხოვრება იცხოვრო კაცმა! ვგრძნობ, რომ მშვიდი ცხოვრებისათვის არ ვარ გაჩენილი.

... ათასი კეთილი სურვილები ლორხენს...

შენ ცოტათი მაინც ხომ გიყვარვარ? გწამდეს ჩემი ერთგულება და მეგობრობა.

შენი ბეთჰოვენი.

ვეგლერისა და ელეონორა ფონ ბრონინგის წერილი ბეთჰოვენს [1]

კობლენცი, 28 დეკემბერი, 1825 წ.

ჩემო ძვირფასო და ძველო მეგობარო, ლუდვიგ!

არ შემიძლია რისის ბავშვი ვენაში ისე გავუშვა, რომ თავი არ მოგაგონო. ამ ოცდარვა წლის მანძილზე, რაც ვენიდან წამოველ, თუ ყოველ ორ თვეში მაინც არ მიგიღია თითო ვრცელი წერილი, ეს შეგიძლია შენს დუმილს დააბრალო: აკი ჩემი პირველი წერილები უპასუხოდ დატოვე. ეს კი არ არის კარგი, განსაკუთრებით ახლა; იმიტომ, რომ ჩვენ უკვე მოხუცები ვართ და ჩვენი ხნის ხალხი წარსულით ცხოვრობს; ჩვენც დიდ სიამოვნებას მოგვანიჭებს ჩვენი ჭაბუკობის დროიხდელი ცხოვრების მოგონება. ასეა თუ ისე, ჩემთვის შენი ნაცნობობა და შენთან ახლო მეგობრობა, შენი საყვარელი დედის წყალობით, უფალმა აკურთხოს მისი სული, ჩემი ცხოვრების ისეთი ბრწყინვალე შუქია, რომელსაც დიდი სიამოვნებით ვიგონებ. შემოგცქერი, როგორც გმირს, გიყურებ და ვამაყობ, რომ შემიძლია ვთქვა: „მეც მიმიძღვის წვლილი მის ჩამოყალიბებაში; მე მანდობდა თავის სურვილებსა და ოცნებას, თუმცა ხშირად მისი არ ესმოდათ, მე მუდამ ვიცოდი, რა სურდა, რა უნდოდა". დიდება უფალს, რომ შემიძლია შენზე ველაპარაკო ცოლს, ახლა კი შვილებსაც. შენთვის ჩემი სიდედრის ოჯახი უფრო მშობლიური იყო, ვიდრე შენი საკუთარი, განსაკუთრებით შენი კეთილი დედის გარდაცვალების შემდეგ. კიდევ ერთხელ მაინც გვითხარი: „დიახ, ჭირშიც და ლხინშიც მე თქვენზე ვფიქრობ". ადამიანი, თუნდაც შენსავით მაღლა აფრენილი, ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ არის ბედნიერი: ეს მაშინ, როცა ჭაბუკია. შენ უთუოდ ხშირად სიხარულით იგონებ ბონის ქვა-ლოდებს, კროიცბერგს, გოდესბერგს, პეპინიერს...

ახლა მინდა ჩემზე გესაუბრო, ჩვენზე გელაპარაკო, რათა მოგცე იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა მიპასუხო.

ვენიდან დაბრუნების შემდეგ, 1796 წელს საქმეები ცუდად წამი-

---

[1] გვგონია, ინტერესს მოკლებული არ იქნება გადმოგცეთ შემდეგი ორი წერილის შინაარსი, რითაც შეგვიძლია გავეცნოთ ორ კეთილ ადამიანს, ბეთჰოვენის უერთგულეს მეგობრებს. ადამიანს მეგობრებით აფასებენ.

ვიდა. კარგა ხანს იძულებული ვიყავი საექიმო კონსულტაციებით მეცხოვრა, ასე გაგრძელდა რამდენიმე წელს, ისიც ამ ღატაკ მხარეში. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე თითქმის უზრუნველყოფილ ცხოვრებას, შემდეგ გავხდი პროფესორი. დამენიშნა ყოველთვიური ჯამაგირი და 1802 წელს დავქორწინდი. ერთი წლის შემდეგ ქალი შეგვეძინა, რომელიც თავს კარგად გრძნობს და უკვე გაიზარდა. საღად აზროვნებს, მამასავით მშვიდი ხასიათი აქვს. ბრწყინვალედ უკრავს ბეთჰოვენის სონატებს. თუმცა, ეს მისი დამსახურება კი არა, თანდაყოლილი ნიჭია. 1807 წელს შემეძინა ვაჟი, ახლა იგი ბერლინში მედიცინას სწავლობს. ოთხი წლის შემდეგ ვენაში გამოვგზავნი. იზრუნებთ თუ არა მასზე? აგვისტოში ჩემი დაბადების სამოცი წლისთავი გადავიხადე. სამოციოდე ნაცნობ-მეგობარი შევიკრიბეთ, მათ შორის ქალაქის თავკაცებიც იყვნენ. აქ 1807 წლიდან ვცხოვრობ. ახლა მშვენიერი სახლი და კარგი ადგილი მაქვს. უფროსები კმაყოფილი არიან და შეფემ ორდენებით და მედლებით დამაჯილდოვა. ლორა და მე თავს კარგად ვგრძნობთ. აი, მე სრულად გაგაცანი ჩვენი ამბავი. ახლა კი შენი ჯერია...

ნუთუ ვერასოდეს ვერ მოაშორებ თვალს წმინდა სტეფანეს ტაძრის კოშკს? ნუთუ მოგზაურობა არ გხიბლავს? ნუთუ არა გსურს კვლავ ნახო რაინი? მიიღე ქალბატონ ლორასა და ჩემი გულითადი სალამი.

შენი ძველთაძველი მეგობარი ვეგლერი.

კობლენცი, 29 დეკემბერი, 1825 წ.

ძვირფასო! დიდი ხნიდან ძვირფასო ბეთჰოვენ! ეს ჩემი სურვილი იყო, რომ ვეგლერს კიდევ მოეწერა თქვენთვის. ახლა, როცა ეს სურვილი უკვე შესრულდა, მეც მინდა ორიოდე სიტყვა დავუმატო, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ თავი მოგაგონოთ, მინდა კიდევ ერთხელ გკითხოთ: ნუთუ არავითარი სურვილი არ გაქვთ, კვლავ იხილოთ რაინი და თქვენი მშობლიური მხარე, ნუთუ არა გსურთ დიდად გაგვახაროთ მე და ვეგლერი? ჩვენი ლენხენი დიდ მადლობას გიხდით უთვალავი ბედნიერი საათისათვის. მეტად სიამოვნებს თქვენზე ლაპარაკი, მან ჩვენი ბონში გატარებული ახალგაზრდობის ყველა წვრილმანი ამბავი იცის — უსიამოვნებანი და შერიგებანი... ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი იქნებოდა, რომ ენახეთ! სამწუხაროდ, გოგო-

ნას მუსიკის ნიჭი სულ არა აქვს. მაგრამ იმდენი ეცადა, იმდენი მონდომება და სიმტკიცე გამოიჩინა, რომ შეუძლია დაუკრას თქვენი სოხატები, ვარიაციები და სხვა. და რადგანაც მუსიკა, როგორც ყოველთვის, საუკეთესო დასვენებაა ვეგ.-ისათვის, ლენხენი მას დიდ სიამოვნებას ჰგვრის. იულიუსს მუსიკალური ნიჭი აქვს, მაგრამ ამ ბოლო დრომდე ამას არად აგდებდა. ახლა კი, აი უკვე ექვსი თვეა, რაც გატაცებით და სიამოვნებით სწავლობს ვიოლონჩელოზე დაკვრას და რადგანაც ბერლინში კარგი მასწავლებელი ჰყავს, ვფიქრობ, მიღწევები ექნება. ორივე ბავშვი ტანადია და მამასა ჰგავს კარგი და მხიარული ხასიათით, რომელიც, მადლობა ღმერთს, ვეგ.-ს ჯერ კიდევ სავსებით არ დაუკარგავს... ის დიდი სიამოვნებით უკრავს თქვენი ვარიაციების თემებს. ძველები უფრო მოსწონს, მაგრამ ხშირად წარმოუდგენელი მოთმინებით უკრავს თქვენს რომელიმე ახალ თემასაც. ყველაზე მაღლა თქვენს Opferlied-ს [1] აყენებს. ვეგ.-ი არასოდეს არ შევა თავის ოთახში ისე, რომ ბავშვი მაშინვე პიანინოს არ მიუჯდეს. ამგვარად, ძვირფასო ბეთჰოვენ, შეგიძლიათ განსაჯოთ, თუ რაოდენ ძლიერი და ცოცხალია თქვენი ხსოვნა ჩვენს ოჯახში. გვითხარით, რომ ამას ცოტაოდენი ფასი მაინც აქვს თქვენთვის და რომ ცოტათი მაინც გახსოვართ.

ასე ძნელი რომ არ იყოს ჩვენი ყველაზე სანუკვარი სურვილების განხორციელება, უკვე დიდი ხანია ვენაში ძმასთან ჩამოვიდოდით და თქვენი ნახვით გავიხარებდით, მაგრამ ახლა, როცა ჩვენი ვაჟი ბერლინშია, ასეთ მოგზაურობაზე ფიქრიც შეუძლებელია. ვეგ.-მა მოგწერათ, თუ როგორ ვცხოვრობთ: უფლება არა გვაქვს, ბედს დავემდუროთ. ყველაზე მძიმე წუთებიც კი ჩვენთვის უკეთ წარიმართა, ვიდრე ბევრი სხვისთვის. ყველაზე დიდი ბედნიერება ის არის, რომ ჩვენ კარგად ვართ, გვყავს კეთილი და კარგი ბავშვები, დიახ, დღემდე არავითარი უსიამოვნება არ მოუყენებიათ, მხიარული და საყვარელი ბავშვები არიან. ლენხენი დიდად დაამწუხრა ჩვენი საბრალო ბურშეიდის გარდაცვალებამ. ეს იყო დანაკლისი, რომელსაც ჩვენ ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ.

ძშვიდობით, ძვირფასო ბეთჰოვენ. კეთილად მოგვიგონეთ.

ელეონორა ვეგლერი

---

[1] მსხვერპლად მიტანის სიმღერა (გერმ.).

ვენა, 7 ოქტომბერი, 1826 წ.[1]

ჩემო ძველო და საყვარელო მეგობარო!

სიტყვებით ვერ გამოვთქვამ იმ სიამოვნებას, რომელიც შენი და შენი ლორხენის წერილების მიღებამ განმაცდევინა. უდაოდ მაშინვე უნდა მეპასუხნა, მაგრამ ცოტა დაუდევარი ვარ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე წერილების წერას შეეხება. ეს იმიტომ, რომ ვფიქრობ, კეთილი ადამიანები უამისოდაც მიცნობენ-მეთქი. ფიქრით ხშირად ვწერ პასუხს, მაგრამ, როდესაც მინდა ეს ქაღალდზე გადავიტანო, უმეტეს შემთხვევაში კალამს შორს ვისვრი ხოლმე, რადგან უძლური ვარ დავწერო, რასაც განვიცდი. რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს, როგორი სიყვარულით მეპყრობოდი ყოველთვის, მახსოვს, ჩემი ოთახი რომ შეათეთრებინე და ასე სასიამოვნოდ გამაკვირვე. ბრონინგების ოჯახიც არ მავიწყდება. თუ ერთმანეთს დავშორდით, ეს ბუნებრივ მოვლენათა კანონია: ყოველ ჩვენთაგანს უნდა განეგრძო სწრაფვა დასახული მიზნისკენ და ცდილიყო მის მიღწევას: მაგრამ სიკეთის მარად ურყევი პრინციპები მტკიცედ გვაკავშირებენ ერთმანეთთან. სამწუხაროდ, დღეს არ შემიძლია მოგწერო ყველაფერი ის, რისი მოწერაც მსურს, რადგან ლოგინად ვარ ჩავარდნილი...

შენი ლორხენის სახე მარად წინ მიდგას, ამას იმიტომ ვამბობ, რათა იცოდე, რომ ყოველივე ის, რაც კარგი და ძვირფასი იყო ჩემს ახალგაზრდობაში, ჩემთვის სამარადისოდ ძვირფასი რჩება.

...მე წესად მაქვს: Nulla dies sine linea[2], თუმცა ამჟამად ნებას ვაძლევ მუზას იძინოს და ეს იმიტომ, რომ ძალა მოიკრიბოს. იმედი მაქვს, კიდევ შევქმნი რამდენიმე ნაწარმოებს და შემდეგ, დაბერებული ბავშვი, დავასრულებ ჩემს ამქვეყნიურ საქმიანობას[3] კეთილ ადამიანთა შორის.

---

[1] უხდა აღვნიშნოთ, რომ იმდროინდელი მეგობრები მაშინაც, როდესაც ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ჩვენგან განსხვავებით, არ გამოირჩეოდნენ გრძნობათა მეუკავებლობით. ბეთჰოვენმა ვეგლერს ათი თვის შემდეგ უპასუხა.

[2] არც ერთი დღე ერთი სტრიქონის დაუწერლად (ლათ.).

[3] ბეთჰოვენს არც კი უფიქრია, რომ თავის უკანასკნელ ნაწარმოებს წერდა: კვარტეტ op. 130-ის მეორე ფინალს. ის იმ დროს თავის ძმასთან იყო გნეიქსენდორფში, კრემსთან ახლოს, დუნაიზე.

ვიცი. გაგიხარდება და ამიტომ გაცნობებ. რომ საფრანგეთის განსვენებული მეფისაგან მივიღე მედალი წარწერით: „ეძღვნება ბატონ ბეთჰოვენს მეფისაგან". მედალს თან ახლდა მეფის პირველი კარისკაცის ჰერცოგ დე შატრის[1] მეტად თავაზიანი წერილი. ჩემო ძვირფასო მეგობარო, დღეს ამით დაკმაყოფილდი. წარსულის მოგონება მომეძალა, ამ წერილს ვწერ და ცრემლები ვერ შემიკავებია. ეს წერილი მხოლოდ დასაწყისია, მალე ახალ წერილს მიიღებ და, რაც უფრო ხშირად მომწერ, მით უფრო გამახარებ. ამის საწინდარი ჩვენი მეგობრობაა. მშვიდობით. დამიკოცნე შენი ძვირფასი ლორხენი და ბავშვები. ნუ დამივიწყებთ. ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელი!

მუდამ შენი ერთგული და ჭეშმარიტი მეგობარი, შენი პატივისმცემელი

ბეთჰოვენი.

ვეგლერს

ვენა, 17 თებერვალი, 1827 წ.

ჩემო კეთილო და ღირსეულო მეგობარო!

ჩემდა სასიხარულოდ ბრონინგმა შენი მეორე წერილი გადმომცა. ჯერ კიდევ მეტად დასუსტებული ვარ, რომ წერილზე გიპასუხო, მაგრამ დარწმუნებული იყავი, რომ ყველაფერი ის, რასაც მწერ, მახარებს და მანუგეშებს. ჩემი გამოჯანმრთელების საქმე ძალიან ნელა მიდის წინ. ვფიქრობ, საჭირო იქნება მეოთხე ოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ ექიმები არაფერს მეუბნებიან. მე მოთმინებით ვიღჭურვები და ვამბობ: ყოველ უბედურებას თან ახლავს რაღაც სიკეთე... დღესაც რამდენი რამ მინდა გითხრა, მაგრამ მეტად დასუსტებული ვარ. ისღა შემიძლია, ფიქრით ჩაგიკრათ გულში შენ და შენი ლორხენი.

ჭეშმარიტი მეგობრობითა და ერთგულებით შენსა და შენიანების მიმართ —

შენი ძველი და ერთგული მეგობარი
ბეთჰოვენი.

---

[1] ჰერცოგი დე ლა შატრი.

მოშელესს

ვენა, 14 მარტი, 1827 წ.

ჩემო ძვირფასო მოშელეს!

... 27 თებერვალს მეოთხე ოპერაცია გამიკეთეს. ახლა კი აღმოჩნდა ახალი უდავო ნიშნები იმისა, რომ უნდა ველოდო მეხუთე ოპერაციას. რითი დამთავრდება ყოველივე ეს, ან რა დამემართება, თუ ეს კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელდა? მართლაც რომ მძიმეა ჩემი ხვედრი, მაგრამ ჩემი თავი ბედის ნება-სურვილისათვის მიმინდვია. უფალს იმასღა ვევედრები, მოწყალება მიიღოს და, რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელდეს ჩემი ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება, თავისი ღვთიური ნება-სურვილით განმარიდოს გაჭირვებას[1]. ეს ძალას მომცემს, რომ ზეციერის ნება-სურვილის მორჩილებაში ავიტანო ჩემი ხვედრი, რაოდენ მძიმე და საზარელი არ უნდა იყოს იგი.

თქვენი მეგობარი ბეთჰოვენი.

---

[1] უსახსროდ დარჩენილმა ბეთჰოვენმა ლონდონის ფილარმონიის საზოგადოებასა და ლონდონში მყოფ მოშელესს მიმართა თხოვნით მის სასარგებლოდ მოეწყოთ კონცერტი. საზოგადოებამ უაღრესი დიდსულოვნება გამოიჩინა და მყისვე ასი გირვანქა სტერლინგი ავანსად გაუგზავნა ბეთჰოვენს. ამ ამბავმა მეტად ააღელვა ბეთჰოვენი. ერთი მისი მეგობარი ამბობს: „მისი ყოფა ამ წერილის მიღების დროს გულგამგმირავი სანახაობა იყო. ზეცისკენ აღაპყრო ხელები და ქვითინებდა სიხარულისა და მადლიერებისაგან“. მღელვარებისაგან ჭრილობა გაეხსნა. სურდა ეკარხახა სამადლობელი წერილი „კეთილშობილი ინგლისელებისათვის“ გასაგზავნად, ინგლისელებისათვის, რომლებმაც ასე ახლოს მიიტანეს გულთან მისი მწარე ხვედრი. ჰპირდებოდა კიდეც ახალ ნაწარმოებებს: თავის მეათე სიმფონიას, უვერტიურას, ყველაფერს, რასაც მოისურვებდნენ. „ჯერ არასოდეს მომიკიდია ხელი რაიმე ნაწარმოებისათვის ამდენი სიყვარულით, რითაც დავიწყებ ამ უკანასკნელსო“, — ამბობდა იგი.

ეს წერილი დაწერილია 18 მარტს. 26 მარტს ბეთჰოვენი გარდაიცვალა.

ბეთოვენის აზრები

მუსიკაზე

არ არსებობს წესი, რომლის დარღვევა არ შეიძლებოდეს Schöner-ისათვის (უფრო უკეთესისათვის).

მუსიკა ადამიანების სულიდან ცეცხლს უნდა აკვესებდეს.

მუსიკა უფრო დიდი ზეშთაგონებაა, ვიდრე სიბრძნე და ფილოსოფია.

არაფერია უფრო მშვენიერი, ვიდრე ღვთიურთან მიახლოება და მისი სხივების ადამიანთა მოდგმაზე ფრქვევა.

რატომ ვწერ? ის, რაც გულში მაქვს, უნდა გამოვიდეს; აი ამიტომ ვწერ.

თქვენ გგონიათ, რომ მე საცოდავ ვიოლინოზე ვფიქრობ, როდესაც სული მელაპარაკება და ვწერ, რასაც ის მკარნახობს?

(შუპანციგს.)

ჩვეულებრივ, როდესაც ვწერ თუნდაც ინსტრუმენტულ მუსიკას, მუდამ თვალწინ მიდგას ჩანაფიქრის მთელი ანსამბლი.

(ტრეიჩკს.)

უფორტეპიანოდ წერა აუცილებელია... ნელ-ნელა იბადება უნარი წარმოვიდგინოთ ის, რაც გვსურს და რასაცა ვგრძნობთ, ეს კი არსებითი მოთხოვნილებაა კეთილშობილი ადამიანებისათვის.

(ჰერცოგ რუდოლფს.)

აღწერა მხატვრობის თვისებაა. მუსიკისაგან განსხვავებით პოეზიასაც შეუძლია ამ მხრივ თავი ბედნიერად ჩათვალოს, მისი არე არ არის ისე შემოფარგლული, როგორც ჩემი; სამაგიეროდ, ჩემი უფრო შორს მიდის სხვა განხრით და ვერც ისე ადვილად შემოაღწევთ ჩემს სამფლობელოში.

(ვილჰელმ გერჰარდს.)

ხელოვნებაში, ისევე როგორც მთელ ცხოვრებაში, თავისუფლება და პროგრესი მიზანია. თუ ჩვენ ისეთივე ძლიერები არა ვართ, რო-

გორც ძველი ოსტატები იყვნენ, ცივილიზაციის სინატიფემ მაინც ბევრი რამ განავითარა.

(პერცოგ რუდოლფს.)

მე არა მჩვევია შევასწორო ჩემი უკვე დამთავრებული კომპოზიციები. ეს მე არასოდეს არ გამიკეთებია, რადგან ღრმად მწამს, რომ ყოველგვარი, თუნდაც ნაწილობრივი შესწორება ამახინჯებს კომპოზიციის ხასიათს.

(ტომსონს.)

ჰეშმარიტი საეკლესიო მუსიკა მხოლოდ ხმებმა უნდა შეასრულოს, გარდა გ ლ ო რ ი ა ს ი, ან სხვა მისი მსგავსი ტექსტისა. აი რატომ მირჩევნია პალესტრინა სხვებს. მაგრამ თუკი მისი სული და რელიგიური შეხედულებები არა გაქვს, მისი მიბაძვა სისულელე იქნებოდა.

(ორღანისტ ფრეიდენბერგს.)

როდესაც თქვენს მოწაფეს ფორტეპიანოზე დაკვრისას თითები წესიერად აქვს დაწყობილი, ტაქტი არ ეშლება და ნოტებს საკმაოდ მართებულად იღებს, მაშინ ყურადღება მხოლოდ სტილს მიაქციეთ, უმხიშვნელო შეცდომებზე ნუ შეაჩერებთ. ამ შეცდომაზე მხოლოდ მაშინ ძიუთითეთ, როდესაც დაკვრას დაამთავრებს. ასეთი მეთოდით ყალიბდება მუსიკოსი, რაც, ბოლოს და ბოლოს, ერთი მთავარი მიზანთაგანია მუსიკალური ხელოვნებისა... ვირტუოზული ხასიათის პასაჟებისათვის რიგრიგობით გამოაყენებინეთ ყველა თითი... რა თქმა უნდა, როდესაც ყველა თითი არ უკრავს, გამოდის, როგორც ამბობენ, უფრო „დახვეწილი“ შესრულება ან „მარგალიტის ფარღული“, მაგრამ ზოგჯერ სხვა ძვირფასეულობას ამჯობინებენ ხოლმე [1].

(ჩერნის.)

ძველ ოსტატთა შორის მხოლოდ გერმანელი ჰენდელი და სებასტიან ბახი იყვნენ გენიოსები.

(პერცოგ რუდოლფს.)

---

[1] ბეთჰოვენი, როგორც პიანისტი, ძთლად სწორად არ უკრავდა, მისი თითების განლაგებაც ხშირად მცდარი იყო, ბგერის ხარისხსაც არ აქცევდა ყურადღებას. ძაგრამ აბა ვის შეეძლო ეფიქრა მუსიკოს-შემსრულებელზე? მსმენელები მისი აზრებით იყვნენ დატყვევებულნი, ღატყეევებულნი იყვნენ იმით, თუ როგორ გამოთქვამდნენ ამ აზრებს მისი ხელები, სულ ერთია, თუ როგორ გააკეთებდა იგი ამას.

(ბარონ დე ტრემონი, 1809 წ.)

ჩემი გული მოჯადოებულია ამ ჰარმონიის პატრიარქის (dieses Urvaters der Harmonie), სებასტიან ბახის, მაღალი და დიდი ხელოვნებით.

(ჰოფმაისტერს, 1801 წ.)

მე მოცარტის დიდი თაყვანისმცემელი დავრჩები.

(აბატ შტადლერს.)

თეატრისათვის დაწერილ ყველა ნაწარმოებთა შორის ყველაზე მაღლა თქვენსას ვაყენებ: როდესაც თქვენს ახალ ნაწარმოებებს ვისმენ, აღტაცებაში მოვდივარ, ისინი უფრო ინტერესს იწვევენ ჩემში, ვიდრე ჩემი საკუთარი ნაწარმოებები: მოკლედ, პატივს გცემთ და მიყვარხართ... **თქვენ ჩემთვის მუდამ იქნებით ერთი იმ ჩემი თანამედროვეთაგანი, ვისაც ყველაზე მეტ პატივსა ვცემ. თუ გნებავთ დიდად მასიამოვნოთ, მომწერეთ რამდენიმე სტრიქონი, ეს მე მეტად მანუგეშებს. ხელოვნება აერთიანებს ყველას, განსაკუთრებით კი ჭეშმარიტ ხელოვანთ.** და იქნებ ჩამთვალოთ ღირსად, რომ ჩემი თავიც მათ მივათვალო [1].

(ცერუბინის, 1823 წ.)

კრიტიკაზე

ჩემზე, როგორც ხელოვანზე, ვერავინ იტყვის, რომ როდისმე თუნდაც მცირე ყურადღება მიმექციოს იმისათვის, რაც ჩემზე დაუწერიათ.

(შოტს, 1825 წ.)

მე ვფიქრობ ისე, როგორ ვოლტერი: „ბუზანკლების კბენა ვერ შეაჩერებს ბედაურის ფიცხელ ჭენებას“.

(1826 წ.)

მაგ ლაიფციგელმა ბრიყვებმა დაე იყბედონ. მათი ყბედობა უკვდავს არავის გახდის, ისევე როგორც ვერ წაართმევს უკვდავებას მათ, ვისაც ეს აპოლონმა მიაკუთვნა.

(ჰოფმაისტერს.)

---

[1] ხაზგასმული სიტყვები მათი ორთოგრაფიული შეცდომებით ტექსტში ფრანგულადაა.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ამ წერილზე კერუბინის პასუხი არ გაუცია.

მიქელანჯელოს ცხოვრება

თარგმანი
ნესტან ციორდანიშვილისა

(ლექსების თარგმანი ეკუთვნის გივი გეგეჭკორს),

წინასიტყვაობა

ფლორენციის ნაციონალურ მუზეუმში არის ერთი მარმარილოს ქანდაკება, რომელსაც მიქელანჯელომ „გამარჯვებული“ უწოდა. ესაა ტახადი, შიშველი ჭაბუკი, დაბალ შუბლზე ხუჭუჭი თმები კულულებად რომ დაჰფენია. ფეხზე მდგომს მუხლი წვეროსანი ტყვისათვის ზურგზე აქვს დაბჯენილი. ტყვე წელშია გადრეკილი, თავი ხარივით წინ წაუწედია; მაგრამ გამარჯვებული მას არ უყურებს. დასარტყმელად შემართული ხელი ჰაერშივე გაშეშებია. თვითონაც უკან გადახრილა. სწორედ დარტყმის წინ არიდებს მსხვერპლს მწუხარე სახეცა და იქვნეულ მზერას. მას აღარ უნდა გამარჯვება; გამარჯვება მოყირჭდა უკვე. მან გაიმარჯვა. გაიმარჯვა და დამარცხდა კიდეც.

ეს გმირული იქვის სახე, ეს ფრთებდამსხვრეული გამარჯვება ერთადერთია მიქელანჯელოს ქმნილებათაგან, სიკვდილამდე ფლორენციულ სახელოსნოში რომ დაიტოვა. დანიელ დე ვოლტერას. მის ზრახვათა მესაიდუმლეს, ამ ძეგლით სურდა შეემკო მისი საფლავი.

* * *

ტანჯვა უსაზღვროა და მრავალნაირ ფორმას იღებს. ზოგჯერ ის საგანთა ბრმა ტირანიით: გაჭირვებით, ავადმყოფობით, ბედის უკუღმართობით, კაცთ გაუტანლობითაა გამოწვეული. ზოგჯერ კი მისი სათავე თვით ადამიანშია და მაშინ ეს ტანჯვა ნაკლებ სავალალო, ან ხაკლებ საბედისწერო როდია, რადგან კაცი თავის არსებას თავად ვერ ირჩევს. მას არც გაჩენა უთხოვია და არც ყოფნა ისეთად, როგორადაც აქცია არსთა გამრიგემ.

მიქელანჯელოსაც სწორედ ასეთი ტანჯვა ხვდა წილად. მძლეთა-მძლე იყო, შესწევდა ძალი, რომ ებრძოლა და გაემარჯვა; და გაიმარჯვა. მაგრამ რა? მას არ უნდოდა ეს გამარჯვება. მას რაღაც სხვა სურ-

და. ესაა ტრაგედია ჰამლეტისა! მძაფრი წინააღმდეგობა მძლე გენიასა და ნებისყოფას შორის, რომელსაც გამბედაობა არ მოსდევს; წინააღმდეგობა დაუოკებელ ვნებებსა და ნებისყოფას შორის, რომელსაც სურვილი არ ასხამს ფრთებს!

არ გეგონოთ, რომ ჩვენც სხვების დარად ამაში სიდიადის კიდევ ერთ ნიშანს ვხედავდეთ. ჩვენ თავის დღეში არ ვიტყვით იმას, რომ რაკი ადამიანი დიდია, სამყარო მიტომ უნდა ეცოტავებოდეს. აწრიალებული გონება სიდიადის ნიშანი როდია. ყოველგვარი შეუსაბამობა ადამიანსა და საგნებს შორის, ცხოვრებასა და მის კანონებს შორის, თვით უდიდეს კაცთათვისაც, მათი სიდიადიდან არ უნდა მომდინარეობდეს. ეს მათი სისუსტის ნიშანია. რად უნდა დავმალოთ ეგ სისუსტე? განა ის, ვინც სუსტია, სიყვარულს ნაკლებად იმსახურებს? უფრო მეტადაც იმსახურებს, რადგან სიყვარული სხვაზე მეტად მას სჭირდება. მე არ დაგიდგამთ თვალშეუდგამ გმირთა ქანდაკებებს. ძძულს გულნამცეცა იდეალიზმი, ცხოვრებისეულ გაჭირვებასა და სულის სიძაბუნეს თვალს რომ არიდებს. მე მინდა ვუთხრა ადამიანებს, ხედმეტ მგრძნობელობას რომ იჩენენ ცრუ ილუზიებისა და მყვირალა ფრაზების მიმართ: გმირული სიცრუე სიმხდალეა! ქვეყნად მხოლოდ ერთი გმირობა არსებობს: სამყაროს ისეთს ხედავდე, როგორც სინამდვილეშია და გიყვარდეს.

* * *

ტრაგედია ბედისა, რომელზედაც მოგახსენებთ, სწორედ ისაა, რომ ტახჯვა თანდაყოლილი აქვს; ის თვით აოსების შიგნიდან მოდის. გაძუდძებით უღრღნის სულსა და არ მოეშვება. სანამ საბოლოოდ არ დაახგრევს. ეს ქრისტიანია: ერთ-ერთი უმძლავრესი ტიპი ადამიანთა დიდებული მოდგმისა, რომელიც აგერ უკვე ცხრამეტი საუკუნეა, რაც ჩვენს დასავლეთს რწმენისა და მწუხარების ძახილით ავსებს.

ოდესმე, მომავალში, საუკუნეთა მიღმა (თუ ჩვენი მიწის ხსოვნა არ გაქრა მანამდე), ისინი, კინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, ამ გადაშენებული მოდგმის უფსკრულებს მალებოლჯის კიდეზე მდგარ დანტესავით აღტაცებით, ძრწოლითა და სიბრალულით გადმოხედავენ.

მაგრამ ვინ იგრძნობს, ვინ გაუგებს მათ ჩვენზე უკეთ; ჩვენც ხომ

სიყრმითვე ამ კაეშნით ვართ დაზაფრულნი, — ჩვენც ხომ გვინახავს, როგორ ღაფავდა მისგან სულს, ვისაც ყველაზე მეტად გვიყვარდა; ახლაც პირში გვაქვს ის მწკლარტე გემო დამათრობელი ქრისტიანული პესიმიზმისა, ხშირად მთელი ძალ-ღონის დაძაბვა გვიხდებოდა, რომ ჩვენც სხვებივით, ეჭვებით გვემულთ, ქედი არ მოგვეხარა თავბრუდამხვევი ღვთაებრივი არყოფნის წინაშე!

ღ მ ე რ თ ი! მ ა რ ა დ ი უ ლ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე! თაეშესაფარი მათთვის, ვისაც ამქვეყნად ბედი არ გაუღიმებს! რწმენა, რომელიც ხშირად სხვა არა არის რა, თუ არ ცხოვრებაში რწმენის არქონა მოჩაელისადმი რწმენის არქონა, საკუთარ თავში დაეჭვება, არასრული სიხარული და არასაკმარისი სიმამაცე!.. ვიცით ჩვენ, რამდენ მარცხზე არის აგებული ეგ მწარე გამარჯვება!..

და ამიტომაც მიყვარხართ თქვენ, ქრისტიანებო; მიყვარხართ და მებრალებით. მებრალებით და აღტაცებაში მოვყავარ თქვენს მწუხარებას. თქვენ ნაღველსა ჰფენთ სამყაროს, მაგრამ ამშვენებთ კიდეც. სამყარო გაღარიბდებოდა, თქვენი ტკივილი რომ მოაკლდეს. ლახართა ამ ეპოქაში, როცა მწუხარების წინაშე თრთიან და ხმაურით მოითხოვენ თავიანთ წილ ბედნიერებას (რაც უმთავრესად სხვათა უბედურებას მოასწავებს), გავბედოთ პირისპირ შევხედოთ მწუხარებას და თაყვანი ვცეთ! კურთხეულ იყოს სიხარული!- კურთხეულ იყოს მწუხარება! ისინი დები არიან და წმიდათაწმიდა ორთავე. ისინი ერთად სჭედავენ სამყაროსა და კაცთა სულებს ამაღლებენ. ორთავ ძალაა, ორთავ — სიცოცხლე, ღმერთია ორთავე.. ვისაც ორთავე ერთად არ უყვარს, არ ჰყვარებია არც ერთი და არც მეორე. ხოლო მან, ვისაც ერთიცა და მეორეც განუცდია, იცის სიცოცხლის ფასი და მასთან განშორების სიამე.

რომენ როლანი.

მიქელანჯელო

ის იყო ფლორენციელი მოქალაქე, მკვიდრი პირქუშსასახლეებიანი ქალაქისა, წვერწამახული კომკები ცისკენ შუბებივით რომ აღუმართავს და ხრიოკ გორაკებზე შეფენილა, რომლებიც ნატიფ ხვეულებად იხატებიან იისფერი ცის ფონზე. აქ პაწაწინა კვიპაროსები შავ თითისტარებს ჩამოჰგვანან და ზეთისხილის ვერცხლისფრად მოელვარე რტოთა ფარდა ქარის შემობერვაზე ტალღასავით ლივლივებს. სილაშაზეს აქ მუდამ თაყვანსა სცემდნენ. აქ ლორენცო მედიჩის ფერმკრთალი, ირონიული სახე და მაკიაველის ცბიერი ღიმილი აწყდებოდა „პრიმავერასა“ და ბოტიჩელის პირმკრთალ, ოქროსფერთმიან ვენერებს. ის გახლდათ მკვიდრი ფლორენციისა, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, ნერვებმოშლილი, ზვიადი, რელიგიური და სოციალური ისტერიებით ქენჯნილი ქალაქისა, რომელიც ყოველგვარი ფანატიზმის ტყვე იყო: მკვიდრი ქალაქისა, სადაც თავისუფლება ეწადა ყველას და თითქმის სუყველა ტირანი იყო: ქალაქისა, სადაც ცხოვრება ლხენა იყო და სადაც ცხოვრება ჯოჯოხეთად ქცეულიყო. ქალაქისა, სადაც ქკვიანი, შეწყნარების არმცოდნე, ხალისიანი, ენაკვიმატი, გულარძნილი, ეშვიანი ხალხი ცხოვრობდა: მუდამ ერთმანეთის თვალყურში იყვნენ, შურდათ ერთმანეთისა და ერთმანეთს სამარეს უთხრიდნენ. ქალაქისა, სადაც ლეონარდოს თავისუფალი გონებისათვის ადგილი არ ძოიძეებოდა, სადაც მისტიკური ჰალუცინაციებით შეპყრობილი ბოტიჩელი შოტლანდიელი პურიტანელივით ასრულებდა თავის სიცოცხლეს; სადაც სავონაროლა, პროფილი თხისას რომ მიუგავდა, თვალთაგან ცეცხლს აკვესებდა და თავის ბერებს აიძულებდა ფერხული ჩაებათ კოცონის გარშემო, რომელშიაც ხელოვნების ქმნილებებს წვავდნენ და სადაც სამიოდე წლის შემდეგ ხელახლა აგიზგიზდა კოცონი თვით ამ წინასწარმეტყველის დასაფერფლად.

* * *

აი, ამ ქალაქისა და ამ დროის პირმშო შვილი იყო მიქელანჯელო მთელი თავისი ცრურწმენებით, ვნებებითა და გატაცებით.

თანამემამულეთა მიმართ კეთილი არასდროს ყოფილა. მისი დამოუკიდებელი, მძლე გენია ზიზღით უცქეროდა მათ კარჩაკეტილ ხელოვნებას, მათ მანერულ გონებას, მათ უღიმღამო რეალიზმს, მათ სნებიან დახვეწილობას, მათ სანტიმენტალიზმს.

თანამოძმეებს უდიერად ეპყრობოდა, მაგრამ უყვარდა კიდეც. სამშობლოს მიმართ ლეონარდოს გამქირდავი ინდიფერენტიზმი არა ჰქონია. ფლორენციიდან შორს მყოფს უცხოობის ჟირი — ნოსტალგია სტანჯავდა ხოლმე [1]. მთელი თავისი სიცოცხლე ამაოდ ცდილობდა ამ ქალაქში დაბრუნებას. ფლორენციაში იყო ომის ტრაგიკულ წუთებში და სიბერეშიც ამას იხვეწებოდა: „რაკი ცოცხალმა ჩასვლა ვერ შევძელ, მკვდარი მაინც წამიღეთო იქ“[2].

ძველ ფლორენციელს ეამაყებოდა თავის გვარი და თავის სისხლი [3]. არავის აძლევდა ნებას, რომ იგი მარტო ხელოვნად მიეჩნიათ.

---

[1] „დროდადრო საშინელი დარდი შეძომაწვება, როგორც სჩვეულიათ ხოლმე იმათ, ვინც თავის კერასაა მოწყვეტილი“ (1497 წლის 19 აგვისტოს წერილი).

[2] თავის თავს გულისხმობდა, როცა მასავით რომს მცხოვრებ დევნილ ფლორენციელს, ჩეკინო დეი ბრაჩის, ათქმევინებდა ერთ თავის ლექსში:

> სიკვდილი მიჯობს, სამშობლოში ის დამაბრუნებს,
> სადაც ცოცხალი ვერასოდეს ვერ ჩავიდოდი.

(მიქელანჯელო, ლექსები; კარლ ფრეის გამოცემა. LXXIII, 24).

[3] სეტინიანოელი ბუონაროტი სიმონები ფლორენციულ ქრონიკაში მეთორმეტე საუკუნიდან არიან მოხსენებული. მიქელანჯელომ იცოდა ეს ამბავი და თავის გენეალოგიასაც ჩინებულად იცნობდა: „ჩვენ უკეთილშობილესი გვარისა ვართო“, — ამბობდა იგი 1546 წლის დეკემბერს ძმისადმი მინაწერ ბარათში და აღშფოთებას ვერ მალავდა, როცა მისი ძმისწული აზხაურობას ეძიებდა: „ეგ სიგლახეა; ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ ფლორენციის ძველი მკვიდრნი ვართ და გვარიშვილობით არავის ჩამოვუვარდებით“ (1549 წლის თებერვალი). ცდილობდა კვლავ აღემაღლებინა თავისი გვარი, უნდოდა მისიანებს ისევ ძველი გვარი — სიმონი ეტარებინათ და ფლორენციაში თავადურ ყიდაზე გამართული სახლი ჰქონოდათ, მაგრამ ძმების უნიათობამ შეუშალა ხელი. სირცხვილისაგან წითლდებოდა, როცა გაიხსენებდა, რომ მის ძმას (ჯისმონდოს) სახნისი ეჭირა ხელში და გლეხურ ცხოვრებას ეწეოდა. 1520 წელს გრაფმა ალექსანდრო დი კანოსამ მოსწერა, ჩემს საგვარეულო არქივში ვიპო-

„მე მოქანდაკე მიქელანჯელო კი არა, მიქელანჯელო ბუონაროტი ვარო“ [1], იტყოდა ხოლმე.

ის სულის არისტოკრატი იყო და თავისი კასტის ყველა ცრურწმენა მუდამ თან სდევდა. იმასაც ამბობდა: „ხელოვნებას მხოლოდ კეთილშობილნი უნდა მისდევდნენ, ხელოვნება რა უბირი ხალხის საქმეაო“ [2].

ოჯახზე რელიგიური, ძველთაძველი, თითქმის ბარბაროსული წარმოდგენა ჰქონდა. ოჯახს სწირავდი ყველაფერს და სურდა, სხვებიც ასე ძოქცეულიყვნენ. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახის გულისათვის „თავს მონადაც კი გაყიდდა“ [3]. მაგრამ აქ ნათესაური სიყვარული არაფერ შუაშია. ძმები სძულდა და ღირსნიც იყვნენ. სძულდა ძმისწულიც, თავისი მემკვიდრე; მაგრამ ყველა მათ პატივსა სცემდა როგორც თავისი გვარის წარმომადგენლებს.

ჩვენი გვარი — ეს სიტყვა ხშირად, ძალზე ხშირად გვხვდება მის ხაწერებში: „გადავარჩინოთ ჩვენი გვარი“... „რომ ჩვენი გვარი არ გადაშენდეს“.

ამ ძლიერი და უხეში გვარის ყველა ცრურწმენა, ფანატიზმი, ყველა მანკი გულში ჰქონდა ამოკვეთილი. გვარი იყო ტალახი, რომლისგანაც მისი არსება შექმნეს, მაგრამ ამ ტალახიდან იფეთქა ალმა, ღვთიურმა ნიჭმა და განწმინდა ყოველივე.

ვე საბუთი იმისა, რომ ნათესავები ვართო. ცნობა ყალბი ვამოდგა: მაგრამ მიქელანჯელომ ირწმუნა იგი და ვადაწყვიტა, კანოსას კოშკი ეყიდა, სადაც, მისი აზრით, დაირწა მის წინაპართა აკვანი ძისმა ბიოგრაფმა კონდივიმ მისივე ბითითებით მის წინაპართა რიცხვში შეიყვანა ანრი II-ის და, ბეატრიჩე. და გრაფის მეუღლე, დიდებული მატილდა.

1515 წელს, ლეო X-ის ფლორეხციაში სტუმრობასთან დაკავშირებით, ბიქელანჯელოს ძმას, ბუონაროტოს, პალატინის გრაფის (Comes palatinus) ტიტული ებოძა და ბუონაროტებს უფლება მიეცათ თავიანთ ღერბზე მედიჩითა ღერბის „palla“-ც (ბურთებიც) შეეტანათ სამი შროშანითა და პაპისეული ინიციალებით

[1] „მე არასოდეს ვეკუთვნოდი იმ მოქანდაკეთა რიცხვს, ვისაც თავისი ხელობა სავაჭროდ გაუხდია. ჩემი გვარი რომ არ შემერცხვინა, ამგვარი რამეებისაგან მუდამ შორს მეჭირა თავი“ (წერილი ლეონარდოსადმი, 1548 წლის 2. მაისს დაწერილი).

[2] კონდივი.

[3] 1497 წლის 29 აგვისტოს მამისადმი მინაწერი ბარათი. მამამისს მხოლოდ 1508 წლის 13 მარტს „გაძოეყო“. როცა უკვე ოცდაცამეტ წელს იყო მიტანებული (ოფიციალური აქტი 28 მარტსაა გაფორმებული).

* * *

ვისაც მოწოდებისა არ სჯერა და არ იცის, რა არის ნიჭი, დე, მიქელანჯელო გაიხსენოს. კაცი თავის ნიჭს ეგზომ ძლიერ არასოდეს შეუპყრია. მისი გენია ისეთივე ბუნებისა არ იყო, როგორც თვითონ. მისი ნიჭი ბუმბერაზი იყო ძლიერი, რომელიც დააცხრა მას და დაიმონა. ნებისყოფას აქ წილი არ ედო. შეიძლება ისიც ითქვას, რომ არც მის გულსა და არც გონებას არ ედოთ წილი.

ეს იყო შმაგზე შმაგი აღტყინება, ღვთიური ალი, საამისოდ ერთობ სუსტ სულსა და სხეულში რომ დაიბუდა.

მუდამ სამოქმედო ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი, ძალთა სიჭარბით გამოწვეული ტანჯვა მუდამ სამოქმედოდ იწვევდა და ერთი საათითაც, ერთი წამითაც არ ასვენებდა.

„მუშაობით ქანცი მაქვს გაწყვეტილი, დღედაღამ სამუშაოზე ვფიქრობ; ჩემდენი კაცს არ უშრომია თავის დღეში“.

მარად ქმედობის ეს ავადმყოფური ჟინი მარტო იმაში კი არ ვლინდებოდა, რომ სამუშაოებს აგროვებდა და უამრავ შეკვეთას იღებდა ისეთს, რომლის შესრულებასაც ვერ შესძლებდა. იგი მანიად იყო ქცეული. უნდოდა მთები გამოექანდაკებინა. თუკი რაიმე ძეგლი ჰქონდა ასაგები, წლებს კარგავდა ქვის სამტეხლოებში, ეძებდა შესაფერ ლოდებს, გაჰყავდა გზები მათ გადმოსატანად; უნდოდა თვითონ ყოფილიყო ყველაფერი: ინჟინერიც, შავი მუშაცა და ქვის მთლელიც; უხდოდა ყველაფერი თვითონ გაეკეთებინა: მარტოს აეგო სასახლეები და ტაძრები. მისი ცხოვრება ნამდვილი კატორღა იყო. ჭამისა და ძილისთვისაც კი ვერ იცლიდა. მის წერილებში ყოველ წუთს გაისმის ეს მწარე რეფრენი:

„ჭამის დროც არა მაქვს... ჭამისთვისაც კი ვერ ვიცლი... თორმეტი წელია, წელებზე ფეხს ვიდგამ, აუცილებელიც კი მაკლია... ერთი სუც კი არ გამაჩნია... ვებრძვი სიღატაკეს... ათასი სატკივარი მაწუხებს, შიშველ-ტიტველი დავიარები...“[1]

მართლა ღარიბი კი არ ყოფილა. ბოლოს მდიდარი იყო, ძალზე

---

[1] 1507, 1509, 1512, 1513, 1525, 1547 წწ. დაწერილი წერილები.

მდიდარი [1]. მაგრამ რა? მართლა უპოვარი კაციევით ცხოვრობდა, მუშა ცხენივით თავის დოლაბზე მიჯაჭვული. ვერვის გაეგო, თავს აგრერიგად რად იწვალებდა. არვის ესმოდა, რომ ეს მასზე არ იყო დამოკიდებული და რომ წამება თითქმის მოთხოვნილებად ქცეოდა. მამამისიც კი, ვისაც იგი ბევრ რამეში ჩამოჰგავდა, საყვედურობდა ხოლმე:

„შენმა ძმამ მითხრა, რომ მათხოვარივით ცხოვრობ და ძალიან დიდ მომჭირნეობას ეწევი. ყაირათიანობა კარგია, მაგრამ სიღატაკე — დასაძრახისი. ეგ მანკია ღვთისა და ადამიანთა თვალშიც. ვნებს შენს სულსა და ხორცს. სანამ ახალგაზრდა ხარ, კიდევ არაფერი, მაგრამ, როცა მოხუცდები, ათასი სენი და სატკივარი, ამ ცუდ ყოფაში რომ იშვა, ძზის შუქზე გამოვა. სიღატაკეს ნუ დაეჩაგვრინები. ყაირათიანად იცხოვრე, მაგრამ აუცილებელი არ მოიკლო... მუშაობით ქანცს ნუ გაიწყვეტ...“ [2]

მაგრამ არავითარი რჩევა არ ეშრიდა. თავს ლმობიერად არასოდეს ძოპყრობია. მხოლოდ ცოტაოდენი პურითა და ღვინით იკვებებოდა. დღეღამეში მარტო რამდენიმე საათს ეძინა. ბოლონიაში რომ იყო და იულიუს II-ის ბრინჯაოს ქანდაკებას ამზადებდა, მასა და მის სამ თანაშემწეს ერთ საერთო საწოლზე ეძინათ [3]. ტანსაცმლიანად და ჩექმებიანად წვებოდა ხოლმე. ერთხელ ფეხები დაუსივდა და ჩექმების გაჭრა გახდა საჭირო. ჩექმა რომ გააძრეს, კანიც თან მიჰყვა თურმე.

ამ საშინელმა ყოფამ, როგორც მამა უწინასწარმეტყველებდა, თავისი შედეგი გამოიღო. გამუდმებით ავადმყოფობდა. მის წერილებში

---

[1] მისი სიკვდილის შემდეგ მის სახლში 78.000 ოქროს დუკატი იპოვეს, რაც დღევანდელ 400 ან 500 ათას ფრანკს უდრის. ამას გარდა, ვაზარის ცნობით, მან უკვე ორჯერ მისცა თავის ძმისწულს 7.000 ეკიუ და თავის მსახურ ურბინოსაც უწყალობა 2.000 ეკიუ. ეს მარტო რომში. ფლორენციაშიც დიდძალი თანხა ჰქონდა დაბანდებული. 1534 წლის ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იმხანად მას ექვსი სახლი და შვიდი მამული ჰქონდა შეძენილი: ფლორენციაში, სეტინიანოში, როვეცანოში, სტრადელოში, სან-სტეფანო-დე-პო�ططატიკოსა და სხვაგან. მიწა გაგიეებით უყვარდა. სულ მამულების ყიდვაში იყო: 1505, 1506, 1512, 1515, 1517, 1518, 1519, 1520 წლებში. ამაში ჩანდა მისი გლეხური ბუნება. თუმცა ამ დოვლათს თავისთვის როდი აგროვებდა: ფულს სხვებს ახარჯებდა, თვითონ კი ყველაფერს იკლებდა.

[2] ამას მოსდევს რამდენიმე ჰიგიენური რჩევაც, მაშინდელი ყოფის სიბნელეზე რომ მეტყველებს: „ყველაზე მეტად თავს გაუფრთხილდი. სხეული სითბოში გქონდეს და ხურასოდეს ნუ დაიბან: ტანი გააწმენდინე ხოლმე. მაგრამ ნურასოდეს ნუ დაიბან“ (1500 წლის 19 დეკემბერს დაწერილი წერილი).

[3] წერილები, 1506 წ.

მოჩანს კვალი თოთხმეტი თუ თხუთმეტი მძიმე სენისა[1]. ხურვება სჭირდა და ამ სენმა ბევრჯერ სიკვდილის კარამდეც კი მიიყვანა იგი. სტკიოდა თვალები, კბილები, თავი და გული[2]. ნევრალგია ღრღნიდა, განსაკუთრებით ღამით. ძილი მისთვის წამება იყო. ადრე დაბერდა. ორმოცდაორი წლისა უკვე თვითონაც გრძნობს საკუთარ დაჩაჩანაკებას[3]. ორმოცდარვა წლისა წერდა: „ერთ დღეს რომ ვმუშაობ, ოთხი დღე მაინც უნდა დავისვენო“[4]. მაგრამ თავს მაინც არ უვლიდა, არასდროს ჩვენებია ექიმებს.

ამ თავგადაკლულმა შრომამ სხეულზე უფრო მის გონებას დაასვა დაღი; მუდამ პესიმისტურად იყო განწყობილი. ეს მემკვიდრეობითი სენი იყო. ახალგაზრდობაში ამაოდ ცდილობდა დაემშვიდებინა მამა, რომელსაც, როგორც ჩანს, დროდადრო დევნილობის მანია შეიპყრობდა ხოლმე[5]. მაგრამ ამ სენით თავად უფრო იყო დაზაფრული, ვიდრე

[1] 1517 წლის სექტემბერს „სან ლორენცოსა“ და მინერვას ჭრისტეზე მუშაობისას ისე დაძაბუნდა, რომ „სიკვდილის პირას იყო მისული“. 1518 წელს სერავეცის ქვის სამტეხლოებში ძეტისმეტი ჯაფისა და უსიამოვნებისაგან ლოგინად ჩავარდა. 1520 წელს, რაფაელის სიკვდილის შემდეგაც ავადმყოფობდა. 1521 წლის მიწურულს მისი მეგობარი ლეონარდო-სარაჯი ულოცავს „რომ გადურჩა მძიმე სენს, რომელსაც ცოტანი თუ ურჩებიან“. 1531 წლის ივნისში, ფლორენციის დაცემის შემდეგ უძილობა დასჩემდა; ჭამის მადაც დაკარგა. საშინლად აწუხებდა გული და თავი. ამ მდგომარეობამ წლის ბოლომდე გასტანა. მეგობრებს უკვე დაღუპულად მიაჩნდათ იგი. 1539 წელს სიქსტის ხარაჩოებიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. 1544 წელს საშინელმა ციებ-ცხელებამ დარია ხელი. მაშინ სტროცის სახლში იწვა, ფლორენციაში, და მისი მეგობარი, ლუიჯი დელ რიჩო, უვლიდა. 1545 წლის დეკემბერსა და 1546 წლის იანვარში ისე ერთბაშად დაუვარდა სიცხე, რომ სულ მთლად წაერთვა ძალი. ისევ სტროცის სახლში აღმოჩნდა, ისევ რიჩომ იკისრა მისი პატრონობა. 1549 წლის მარტში კენჭის გავლა ჰქონდა. 1555 წლის იელისში ქარებმა გატანჯეს. 1559 წლის ივლისში ისევ კენჭმა გაუარა. ამან და სხვა ათასმა სატკივარმა მთლად დაასუსტა. 1561 წლის აგვისტოში შეტევა მოუვიდა: „უგონოდ დაეცა ძირს და კრუნჩხვები დაეწყო“.

[2] „Febbre, fianchi, dolor', morbi occhi e denti“ (ლექსები, LXXXII).

[3] 1517 წლის ივლისს კარარიდან დომენიკო ბუონინსენისადმი მიწერილი ბარათი.

[4] 1523 წლის ივლისს ბარტოლომეო ანჯოლინისადმი მიწერილ ბარათში.

[5] მამამისს გამოგზავნილ წერილებში სულ იმასა სთხოვს: „თავს ნუ იტანჯავთ“ (1509 წ. გაზაფხული); „ძალიან ეწუხვარ, რომ ამ საშინელ დარდს შეუპყრიხართ; გეძუდარებით, გადაიგდეთ გულიდან ეგ საფიქრალი“ (1509 წლის იანვარი); „ერთ ბეწო ნაღველსაც კი ნუ გაიელებთ გულში“ (1509 წლის სექტემბერი).

როგორც ჩანს, მოხუც ბუონაროტისაც მიქელანჯელოსავით დროდადრო მოიცავდა ხოლმე პანიკური შიში. 1521 წელს (როგორც შემდეგ ვნახავთ) იგი ერთბაშად გაიქცა საკუთარი სახლიდან და შვილს ხმა დაუგდო, გამომაგდოო.

ის. ვისაც ნუგეშსა სცემდა. მუხლჩაუხრელმა შრომამ, ენით უთქმელ-ბა დაღლილობამ, რომელსაც ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი, იარაღი აჰყარა. მისი ისედაც ეპვიანი და მფრთხალი გონება ცდომილებათა ახაბარა იყო ბიგდებული. მტრებს ეპვის თვალით უცქეროდა. არ ენ-დობოდა არც მეგობრებს [1]. არ ენდობოდა არც ნათესავებს, არც შვი-ლობილს, აღარც ღვიძლ ძმებს; სულ იმის ფიქრში იყო, ჩემს სიკვ-დილს მოუთმენლად მოელიანო.

სუყველაფერი აშფოთებდა [2]; მისიანებიც კი დასცინოდნენ ამ გაუ-თავებელი შიშის გამო [3]. როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე: „სულ ბუდამ მელანქოლიით, ან უფრო უკეთ, სიშმაგით იყო შეპყრობილი“ [4]. ამდენი წვალების შემდეგ შეიყვარა კიდეც წვალება და მასში რაღაც მწარე შვებას ჰპოვებდა ხოლმე:

ის უფრო მიყვარს, რაც მავნებს და ზიანს მომიტანს.
E piu mi giova dove piu mi nuoce [5].

---

[1] „ხშირად თვლემს სრულქმნილ მეგობრობის სიტკბოებაში
საფრთხე ღირსების შელახვისა და სიკვდილისა“.

(LXXIV სონეტი, მიძღვნილი მეგობარ ლუიჯი დელ რიჩოსადმი, რომელმაც იმ-ხანად (1546 წელს) მძიმე სენისაგან განკურნა იგი).

ხახეთ აგრეთვე თავის ძართლების შესანიშნავი წერილი, რომელიც 1561 წლის 15 ნოემბერს მოსწერა მისმა ერთგულმა მეგობარმა ტომაზო დეი კავალიერიმ, ვის-მიაც მიქელანჯელომ უსაფუძვლოდ შეიტანა ეპვი: „მე მთელის არსებით მჯერა, რომ არასოდეს შეურაცხყოფა არ მომიყენებია თქვენთვის; მაგრამ თქვენ ძალიან ადვილად უჯერებთ იმათ, ვისაც საერთოდ არ უნდა უგდოთ ყური“...

[2] „ბუდამ ეპვში ვარ... ნურავის ნუ მიენდობით; ძილის დროსაც კი ნუ მოხუჭავთ თვალს“...

[3] 1515 წლის ოქტომბერს თავის ძმის, ბუონაროტოსადმი მიწერილ წერილში ამბობს:

„... ნუ გაიცინებ იმაზე, რასაც ახლა გწერ.., არასოდეს არ უნდა დასცინო ადა-ბიანს... ჩვენს შფოთიან დროს შიში და სიფრთხილე არც სულსა და არც ხორცს ვხებას არ მოუტანს... თუმცა სიფრთხილე არც არასოდეს ყოფილა საძრახისი“...

[4] წერილებში ხშირად უწოდებს თავის თავს „მელანქოლიით შეპყრობილსა და შეშლილს“, „ბებერ შლეგს“, „შლეგსა და ბოროტს“. თუმცა ზოგჯერ, როცა ამ სიგიჟეს ბრალადა სდებეხ, თავს იცავს და ამბობს, რომ ეს სიგიჟე მხოლოდ მასა ვნებს, „სხვისთვის არასოდეს მოუტანია ზიანი“.

[5] ლექსები, XLII.

მისთვის სატანჯველი იყო ყველაფერი: თვით ბედნიერებაც [1], თვით სიყვარულიც [2].

მელანქოლია არის ჩემი სიმხიარულე.

La mia allegrez'è la malinconia[3].

მისთვის უცხო იყო სიხარული, მწუხარებისათვის იყო გაჩენილი. მხოლოდ მას ხედავდა, მხოლოდ მას გრძნობდა უსაზღვრო სამყაროში: მსოფლიო პესიმიზმი შეკრებილა ამ სასოწარკვეთილ ძახილში, რომელიც მომხიბველელია თავისი უსამართლობით:

არ ღირს ათასი სიხარული ერთ მჭმუნვარებად!..

Mille piacer non vaglion un tormentol.. [4]

* * *

„მისმა შმაგმა ენერგიამო, — ამბობს კონდივი, — მთლად ჩამოაცილა საზოგადოებას, იმდროინდელ ადამიანებს“.

სულ მარტო იყო. სძულდა და სიძულვილითვე პასუხობდნენ. უყვარდა და არვინ არ შეიყვარა. მისი ეშინოდათ და მისით აღტაცებაში ძოდიოდნენ. ბოლოს რელიგიურ მოწიწებას შთააგონებდა ყოველს.

თავის საუკუნეზე რომ ამაღლდა, ცოტა დამშვიდდა. ადამიანებს ზემოდან დასცქეროდა, ისინი ქვევიდან შეჰყურებდნენ. მაგრამ არასოდეს ჰყოლია ტოლი. არასოდეს უნახავს მოსვენება, შვება, რომელსაც ღმერთი თვით უმდაბლეს არსებებსაც კი მიუბოძებს; სიცოცხლეში თუნდაც ერთის წამით სხვის თანაგრძნობაში ვერ ჰპოვა ნუგეში. ქალის სიყვარული არ რგებია. მხოლოდ წამით აენთო მის უდაბურ ცაზე ვიტორია კოლონას მეგობრობის ცივი და წმიდა ვარსკვლავი. გარს ეკრა წყვდიადი, რომელსაც მისი მგზნებარე გონების მეტეორები ჰკვეთდნენ: მისი შმაგი სურვილები და ოცნებანი. ბეთჰოვენს არასოდეს სწვევია ასეთი ბნელი ღამე. ეს იმიტომ, რომ ღამე თვით მიქელანჯელოს გულში იყო დაბუდებული. ბეთჰოვენი საზოგადოებამ

---

[1] „ყველაფერი მამწუხრებს, — წერს იგი, — თვით ბედნიერებაც თავის უხანობით უფრო მტანჯავს და უფრო მიკლავს გულს, ყიდრე უბედურება“.

[2] ბედნიერია მიჯნურთათვის ტრფობის სიუხვის
ჟამი კი არა, მათ რომ ვნებას უცხრობს, არამედ
მათ რომ იმედით ასულდგმულებს, ის ძნელბედობა.
Che degli amanti è men felice stato
Quello ove'l gran desir gran conia affrena
C'una miseria di speranza piena
(სონეტი CIX, 48).

[3] ლექსები, LXXXI.

[4] ლექსები. LXXIV.

დაამწუხრა, ბუნებით მხიარული იყო, სიხარულისაკენ მიილტვოდა. მიქელანჯელოს კი მწუხარება სულში ჰქონდა ამოკვეთილი, რაც ასე აშინებს ადამიანებს, რასაც ინსტინქტურად გაურბის ყველა. თავის გარშემო თვითონ ქმნიდა სიცარიელეს. სულ მუდამ დაობდა თავის თავთან, დღეს ისწრაფებდა საკუთარ თავთან ბრძოლით. მისი გენია შეუღლებული იყო სულთან, რომელიც მას გამუდმებით ღალატობდა. ზოგჯერ ამბობენ, უცნაურად გაუწყრა ბედი და ნება არ მისცა ბოლომდე მიეყვანაო თუნდაც ერთი დიდი პროექტი. ეს ბედისწერაც თვითონ იყო. და ერთადერთი გასაღები, რომელიც მისი ცხოვრების ყველა ტრაგედიას ხსნის, იყო ის, რაც ყველაზე ნაკლებ დაუნახავთ, რისი დანახვაც ვერ გაუბედავთ — მისი უნებისყოფობა და სუსტი ხასიათი.

გაუბედავი იყო ხელოვნებაში, გაუბედავი იყო პოლიტიკაში, გაუბედავი იყო ყველა თავის მოქმედებასა და ნააზრევში. ორ საქმეს შორის, ორ პროექტს შორის, ორ პარტიას შორის ერთ-ერთს ვერასგზით ვერ ამოირჩევდა. ამის ნათელი დადასტურებაა იულიუს II-ის საფლავის ძეგლის, სან-ლორენცოს ფასადისა და მედიჩითა საფლავების ბედი. სულ იწყებდა, იწყებდა და ბოლომდე ვერასოდეს მიჰყავდა საქმნელი. სურდა და არც სურდა. არჩევანს ერთზე რომ შეაჩერებდა, ძაშინვე დაეჭვდებოდა ხოლმე. ცხოვრების მიმწუხრისას უკვე აღარაფერი მიჰყავდა ბოლომდე, ისე მობეზრდა ყველაფერი. ამბობენ, შეკვეთებს თავს ძალად ახვევდნენო და სხვებს აბრალებენ, ფეთიანივით რომ აწყდებოდა ხან ერთ პროექტსა და ხან — მეორეს და ავიწყდებათ, რომ ბატონები თავს ძალად ვერაფერს მოახვევდნენ, გადაწყვეტით რომ ეთქვა უარი. მაგრამ უარის თქმას ვერ ბედავდა.

სუსტი იყო, ძალიან სუსტი. პატიოსნებასა და მორცხვობას დაეჩაგრა. სინდისი სტანჯავდა ხოლმე, ათასი ეშვი ქენჯნიდა ისეთი, რომელთაც სხვა, უფრო ძლიერი ბუნების კაცი სულ იოლად მოიცილებდა. მოვალეობის გრძნობა მეტისმეტად გადაჭარბებულად ესმოდა და ასე ეგონა, თავისი ხელით უნდა გაეკეთებინა ის საქმეც კი, რასაც ნებისმიერი შავი მუშა მასზე უკეთ გააკეთებდა[1]. მას არ შეეძლო არც ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, არც დავიწყება მათი[2].

---

[1] აკი მთელი წლები გაატარა სერავეცის ქვის სამტეხლოებში სან-ლორენცოს ფასადზე მუშაობისას.

[2] გავიხსენოთ თუნდაც ის „ქრისტე“ მანერვასათვის, 1514 წელს რომ შეუკვეთეს;

სუსტად სიფრთხილე და შიში აქცევდა. ამ კაცს, რომელსაც იულიუს II „საშინელს“ („terribile“-ს) ეძახდა, ვაზარი „ფრთხილს“, მეტისმეტად ფრთხილს უწოდებს. ამ კაცს, „ვინც შიშის ზარს სცემდა ყველას, თვით პაპებსაც კი“ [1], თვითონ ეშინოდა ყველასი. მთავრებთან სისუსტეს იჩენდა. თუმცა კი მასზე მეტად ვის სძაგდა ისინი, ვინც მთავრებს ფეხქვეშ ეგებოდნენ. მათ „პაპის საპალნის ვირებს“ ეძახდა [2]. უნდოდა პაპებს გაქცეოდა, მაგრამ ვერასგზით ვერ ასერხებდა [3]. თავისი ბატონების შეურაცხმყოფელ წერილებზე მორჩილად უპასუხებდა [4]. ხანდახან გული მოეჯინებოდა ყელში და ამაყად იწყებდა ლაპარაკს, მაგრამ უმალვე თმობდა თავის პოზიციებს. მთელი თავისი სიცოცხლე იწევდა საბრძოლველად, მაგრამ საამისოდ ძალა არ შესწევდა. კლიმენტ VII-მ, ვინც საყოველთაოდ აღიარებული აზრის მიუხედავად, მისდამი სხვა პაპებზე მეტ სიკეთეს იჩენდა, იცოდა მისი სისუსტე და ებრალებოდა იგი [5].

სიყვარულში ყოველგვარ ღირსებას ჰკარგავდა. თავს იმცირებდა ისეთი ბრიყვების წინაშე, როგორიც ფებო დი პოჟიო იყო [6]. „ძალე

სასოწარკვეთაში ვარდებოდა, რაკი 1518 წელსაც არ ჰქონდა ღირსებული: „ჯავრი მკლავს... თავი ქურდი მგონია“. სიენის პიკოლომინის კაპელაზედაც ასე მოუხდა: 1501 წელს დადო ხელშეკრულება, სამ წელიწადში უნდა დაემთავრებინა სამუშაო და სამოცი წლის შემდეგაც, 1561 წელსაც საშინელ სინდისის ქენჯნას გრძნობდა, დანაპირები რომ ვერ შეასრულა.

[1] „Facte paura a ognuno insino a papi“—სწერდა მას სებასტიანო დელ პიომბო 1520 წლის 27 ოქტომბერს.

[2] ვაზარისთან საუბარში.

[3] თუნდაც 1534 წელს, როცა პაველ III-ს სურდა გაქცეოდა; ბოლოს მაინც დამორჩილდა და ახალ სამუშაოს შეუშვირა ქედი.

[4] გავიხსენოთ კარდინალ დე მედიჩის (მომავალი კლიმენტ VII-ის) დამამცირებელი წერილი, 1518 წლის 2 თებერვალს გამოგზავნილი, რომელშიაც მომავალი პაპი ცილს სწამებს მიქელანჯელოს, თავი კარარელებს მიპყიდაო. მიქელანჯელო მაინც ქედს იდრეკს, არ ეურჩება და სწერს კარდინალს: „ქვეყნად ყველაზე მეტად თქვენი ამება მწადიაო“.

[5] იხილეთ მისი წერილები და წერილები, რომელთაც ფლორენციის აღების შემდეგ მისი სახელით სწერდა სებასტიანო დელ პიომბო. პაპს აინტერესებდა მიქელანჯელოს ჯანმრთელობა, მისი საზრუნავი და სატკივარი. 1531 წელს სპეციალური ბრეეფეც გამოსცა და იმ პირთა მაბეზრობისაგან დაიცვა ხელოვანი, რომლებიც მის კეთილგანწყობას ბოროტად იყენებდნენ

[6] იხ. მიქელანჯელოს მორჩილებით აღსავსე წერილი ფებოსადმი (1533 წლის დეკემბერი) და ფებოს საპასუხო წერილი (1534 წლის იანვარი), რომელშიც აშკარად მოჩანს დამწერის ორგულობა და ანგარებიანი ხასიათი.

გენიას“ ეძახდა მომხიბვლელ, მაგრამ საშუალო ნიჭის მქონე ტომაზო დეი კავალიერის [1].

სიყვარული მის სისუსტეს მისატევებელს მაინც ხდიდა. მაგრამ ეს სისუსტე სამწუხარო იყო და საკვალალო, ვერ გამიბედავს, სამარცხვინო-მეთქი, მაშინ, როცა ძალაში იყო გამოწვეული. პანიკური შიში უეცრად შეუდგებოდა და გარბოდა ხოლმე იტალიის ერთი კიდიდან ძეორეში შიშით ატანილი. 1494 წელს ფლორენციიდან გაიქცა რაღაც საშიხელის ხილვით თავზარდაცემული. 1529 წელს კვლავ გაიქცა. ამჟამად უკვე ალყაშემორტყმული ფლორენციიდან, ქალაქიდან, რომლის დაცვაც მას ჰქონდა ნაბრძანები. ვენეციამდე სული არ მოუთქვამს. საფრანგეთშიც სურდა გადასვლა. მერე თვითონვე შერცხვა თავისი სისუსტის და გამოისყიდა კიდეც, დაბრუნდა ალყაშემორტყმულ ქალაქში და ალყის ბოლომდე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. მაგრამ როდესაც ფლორენცია აიღეს და რეპრესიები დაიწყო, როგორ კანკალებდა, რა სისუსტე გამოიჩინა მაშინ! ეპირფერებოდა დამსჯელი რაზმის უფროსს — ვალორის, რომელმაც მოაკვლევინა ქველი ბატისტა დელა პალა, მისი მეგობარი. სხვა? ზურგი აქცია თავის მეგობრებს, უარყო დევნილი ფლორენციელები [2].

---

[1] „... და თუ ნავი არ გამაჩნია, რომ ვიცურავო თქვენი მძლე გენიის ზღვაში, ვიცი, თქვენივე ნიჭი შემინდობს და არ გამწირავს, რაკი ვერაფერში ვერ შეგედრებით. მას, ვინც ერთადერთია ყველაფერში, არ შეიძლება ჰყავდეს ბადალი“ (მიქელანჯელოს წერილი ტომაზო დეი კავალიერისადმი, 1533 წლის პირველ იანვარს მიწერილი).

[2] „...დღემდე თავს ვიკავებ და არ ველაპარაკები განდევნილებს, არც ვაჭრობა მაქვს მათთან. მომავალშიაც ასე მოვიქცევი... არავის არ ველაპარაკები, მეტადრე ფლორენციელებისგან მიჭირავს შორს თავი. ქუჩაში თუ მესალმებიან, რა დამრჩენია, მეც შეგობრულად უნდა შევესალმო, მაგრამ არავის არ ვუჩერდები. მე რომ ვიცოდე, მათგან დევნილი რომელია, სულაც არ ვუპასუხებდი“... (1548 წელს რომიდან ძმისწულ ლიონარდოსათვის გამოგზავნილ ბარათში). ადრე ლიონარდომ მისწერა, ფლორენციაში ბრალად გდებენ, ჩვენს განდევნილ თანამემამულეებს ემეგობრებაო (კოზიმო II-მ მათ წინააღმდეგ სწორედ მაშინ გამოსცა მეტად მკაცრი ედიქტი).

მიქელანჯელო უფრო შორსაც წავიდა. უარყო სტუმართმოყვარეობა, ავადმყოფს რომ გაუწიეს სტროცის სახლში:

„იმას კი ტყუილად მსაყვედურობენ, ავადმყოფობისას სტროცის სახლში რად გივლიდნენო; ჩემის აზრით, მე მის სახლში სულაც არ ვყოფილვარ, მე მხოლოდ ჩემი მეგობრის, ლუიჯი რიჩოს ოთახში ვიწექი“. ლუიჯი რიჩო სტროცის მსახური გახლდათ. სტროცის სტუმარი რომ იყო და არა რიჩოსი, თვითონ მიქელანჯელოსაც ორი წლის წინათ ამაში ეკვი არ ეპარებოდა: აკი ამიტომაც გაუგზავნა რობერტო სტროცის მადლობის ნიშნად ორი „მონა“, რომლებიც ამჟამად ლუვრში ინახება.

მას ეშინოდა და წარმოუდგენლად რცხვენოდა ამ შიშის. თავი მოსძულდა. ლოგინადაც კი ჩავარდა, ისე ეჯავრებოდა თავისი თავი. სიკვდილს უხმობდა და მართლაც სიკვდილის პირად იყო მისული [1].

მაგრამ სიკვდილი არ ეწერა. მასში სიცოცხლის შმაგი ძალა იყო დაბუდებული. ძალა, რომელიც ყოველდღე ხელახლა იბადება, რომ უფრო მეტად დაიტანჯოს. უმოქმედობა მაინც შესძლებოდა; მაგრამ არც ამაში ჰქონია ბედი. გულხელდაკრეფით ყოფნა არ შეეძლო და მოქმედებდა. უხდა ემოქმედა. — ემოქმედაო? ის თავად იყო მოქმედება და როგორც დანტეს ღვთისაგან წყეულ სულს ისე მიმოიტაცებდა შმაგ და ურთიერთსაწინააღმდეგო ვნებათა ქარიშხალი.

რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო მისი სატანჯველი!

Ohime, ohime, pur reiterando
Vo'l mio passato tempo e non ritruovo
In tucto un giorno che sie stato mio!
ვაგლახ! ბედკრული ვიგონებ წარსულს,
მაგრამ არ არის ერთი დღე მაინც,
რომ შემეძლოს და დავარქვა ჩემი! [2]

ღმერთს მიმართავდა სასოწარკვეთილი ძახილით:

O Dio, o Dio, o Dio!
Chi piu di me potessi, che poss' io!
ო, ღმერთო! ღმერთო! მე ვინ მიშველის,
ჩემს თავს მე თვითონ თუ არ ვეშველე! [3]

სიკვდილსაც მხოლოდ იმიტომ უხმობდა, რომ მასში ამ აუტანელი ყოფის დასასრულს ხედავდა. რა შურით ლაპარაკობდა მიცვალებულებზე:

Ne tem'or piu cangiar vita ne voglia,
Che quas i senza invidia non lo scrivo...
L'ore distinte a voi non fanno forza,
Caso o necessita non vi conduce...
არ შეიცვლება არც ცხოვრება და არც სურვილი...
ძალმომრეობით ვერ გახდება ჟამი ვერაფერს:
ვერც შემთხვევა და იძულება აგვედევნებათ...
ვწერ შურით ამას, ვერ დავფარავ. ბედი მშურს თქვენი [4].

---

[1] 1531 წელს, ფლორენციის აღების შემდეგ, მას შემდეგ, რაც კლიმენტ VII-ს დამორჩილდა და ვალორის ჩაუდგა სამსახურში

[2] ლექსები, XLIX (დაახლოებით 1532 წ.).

[3] იქვე, VI (1504—1511 წლებში).

[4] ლექსები, LVIII (1534 წ.).

მოკვდეს! დატოვოს ეს სოფელი! სამარეს ჩავიდეს! განიძარცვოს შეობა თვისი! გაექცეს საგანთა ტირანიას. საკუთარი მეობის ჰალუცინაციებს როგორმე დააღწიოს თავი!

ისე ჰქმენ, ჩემს თავს არ დაუბრუნდე!
De, fate, c'a me stesso piu non torni! [1]

* * *

მე მესმის, როგორ სწყდება ეს ტრაგიკული ძახილი მწუხარე ბაგეს; ბაგეს კაცისას, რომლის თვალებიც დღესაც შეშფოთებით გვიცქერიან კაპიტოლიუმის მუზეუმის კედლებიდან[2].

საშუალო ტანისა იყო, მხარბეჭიანი და დაკუნთული სხეული მეტისმეტი ჯაფისაგან მორღვეული ჰქონდა. თავაწეული დადიოდა, ზურგჩავარდნილი და მუცელგადმოგდებული. ასე წარმოგვიდგენს მას ფრანსუა დ'ოლანდეს სურათი. მიქელანჯელო პროფილში დგას, შავით შემოსილი. მხრებზე რომაული მოსასხამი მოუსხამს; შუბლზე ნაჭერი გაუკრავს; შავი ფეტრის ქუდი თვალებამდე აქვს ჩამოფხატული[3]. თავის ქალა მრგვალი ჰქონია, შუბლი კვადრატული და წინ წამოწეული. თვალებთან წვრილი ნაოჭები ასხდა. შავი, მეჩხერი თმა მუდამ აჩეჩილი ჰქონდა და კულულებად დახვეული. თვალები—წვრილი, გამჭოლავი და ნაღვლიანი[4], მუდამ ცვალებადი, მოყვითალო და მოცისფრო წინწკლებით დაწინწკლული. ცხვირი ფართო ჰქონდა, სიყრმეში სწორი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტორიჯიანიმ მუშტით ჩაუმტვრია[5], შუაში გაღუნული და ჩაჭეჭყილი. ნესტოებსა და ტუჩის კუ-

[1] ლექსები, CXXXV.

[2] ეს აღწერა მიქელანჯელოს სხვადასხვა პორტრეტმა შთამაგონა. განსაკუთრებით იაკობ დელ კონტეს მიერ 1544—45 წლებში დახატულმა სურათმა, რომელიც უფიციაში ინახება და რომლისგანაც მარჩელო ვენუტიმ შედარებით მკთალი ასლი გადაიღო (ამჟამად კაპიტოლიუმის მუზეუმში დაცული). ეხელმძღვანელობდი აგრეთვე ფრანსუა დ'ოლანდეს მიერ 1538—39 წლებში შესრულებული გრავიურით, ჯულიო ბონასონის მიერ 1546 წელს დახატული ნახატითა და კონდივის აღწერით, რომელიც 1553 წელს განეკუთვნება. მისმა მოწაფემ და მეგობარმა, დანიელ დე ვოლტერამ მისი სიკვდილის შემდეგ მისი ბიუსტი გამოაქანდაკა. ლეონე ლეონიმ კი 1561 წელს მედალი შექმნა მისი გამოსახულებით.

[3] ასეთი ნახეს იგი მათ, ვინც მისი კუბო გახსნეს 1564 წელს, როცა მისი ნეშტი რომიდან ფლორენციას გადმოასვენეს. თითქოს ეძინაო. თავზე ისევ ის შავი ფეტრის ქუდი ეხურა; ფეხებზე დეზებიანი ჩექმები ეცვა.

[4] კონდივი. ვენუტის ნახატში კი საკმაოდ დიდრონი უჩანს.

[5] 1490—92 წლებში.

თხეებს ღარივით ჩასდევდა ნაოჭები. ტუჩები თხელი ჰქონდა; ქვედა ბაგე — ოდნავ ჩამოვარდნილი. მეჩხერ ქილვაშებს ატარებდა, ეს ქილვაშები და ორად გაყოფილი, თხელი, ოთხი თუ ხუთი გოჯის სიგრძე წვერი, ფავნისას რომ მიუგავდა, გარს ეფინებოდა ჩავარდნილ ლოყებსა და მაღალ ყვრიმალებს.

მისი სახიდან სხვაზე უმალ მწუხარება და იქვი გამოკრთის. ეს მართლაც ტასოსდროინდელი სახეა, ეპვით ქენჯნილი და დარდიანი. მისი თვალები სულში გვწვდებიან, თანაგრძნობას გამოითხოვენ.

ნურც დავუძვირებთ. მივუბყრათ მას ეგ სიყვარული, მთელი სიცოცხლე რომ ნატრობდა და ვერ კი ეღირსა. მას წილადა ხვდა ყველაზე დიდი უბედურებანი, რაც კი კაცს შეიძლება თავს დაატყდეს: ნახა სამშობლო დამონებული, ნახა იტალია, საუკუნოდ ბარბაროსთა ხელში ჩავარდნილი, ნახა როგორ ჩაკლეს თავისუფლება, ნახა ერთიმეორის მიყოლებით როგორ დაიხოცნენ ისინი, ვინც უყვარდა, ნახა ერთიმეორის მიყოლებით როგორ ჩაქრა ხელოვნების ყველა ჩირაღდანი. დარჩა სულ მარტო, უკანასკნელი, როცა მწუხრი წვებოდა ირგვლივ და სამარის კართან მისულმა, უკან რომ მოიხედა, თავი იმითაც ვერ ინუგეშა, რომ გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო, რაც კი ჰქონდა გასაკეთებელი. სიცოცხლე უქმი ეჩვენა მაშინ. ტყუილად მოიკლო სიხარული, ხელოვნების კერპს ტყუილად შესწირა თავი.

ჯოჯოხეთური შრომა, თავის თავს თვითონ რომ მიუსაჯა თავისი ცხოვრების ოთხმოცდათორმეტი წლის მანძილზე ისე, რომ ერთი დღის შვებაც კი არ უნახავს, ერთი დღეც კი არ უცხოვრია ნამდვილი სიცოცხლით, იმაშიც კი არ წაადგა, რომ თავის დიდ ქმნილებათაგან რომელიმე მაინც დაესრულებინა. არც ერთი მისი დიდი ნაწარმოები არაა დასრულებული. ბედის დაცინვა იყო სწორედ, რომ ამ მოქანდაკემ[1] მხოლოდ ნახატების მიყვანა შესძლო ბოლომდე, ნახატებისა, რომელთაც ძალით ახატვინებდნენ. იმ დიდ სამუშაოთაგან კი, რომელთაც რიგრიგობით მოუტანეს მას ზვიადური ზრახვები და სატანჯველი, ზოგი (პიზის ომის სურათი და იულიუს მეორის ბრინჯაოს

---

[1] თავის თავს „მოქანდაკეს" ეძახდა და არა „მხატვარს". 1508 წლის მარტს ასე ჩაწერა თავის დავთარში: „დღეს, 1508 წლის 10 მარტს, მე, მოქანდაკე მიქელანჯელომ დავიწყე კაპელის მოხატვა". „ეს ჩემი ხელობა არ არის, — წერდა იგი ერთი წლის შემდეგ (1509 წლის იანვარში) — დროს ტყუილუბრალოდ ვკარგავ". ამ საკითხზე არასოდეს შეუცვლია აზრი.

ქანდაკება) მის სიცოცხლეშივე გაცამტვერდა; სხვები (იულიუს II-ის საფლავის ძეგლი და მედიჩითა კაპელა) საბრალობლად ჩაიფუშა და მისი იდეების კარიკატურად იქცა.

მოქანდაკე ჯიბერტი თავის „კომენტარებში“ ანჟუელ ჰერცოგთან ნამსახურები ერთი საწყალი გერმანელი ოქრომჭედლის ამბავს ჰყვებოდა. ეს კაცი ოსტატობით „ძველ ბერძენ მოქანდაკეებსაც არ ჩამოუვარდებოდა“. მანაც თავისი ცხოვრების მიწურულში ნახა, როგორ დაინგრა მისი ქმნილება, რომელსაც მთელი სიცოცხლე შეალია. „მაშინღა მიხვდა, რომ ამაოდ დაშვრა, მუხლებზე დაემხო და შეჰღაღადა მამაზეციერს: „ღმერთო ძლიერო! ცისა და ქვეყნის მეუფეო, არსთა გამრიგევ, ცდომილებაში ნუღა შემიყვან; შენს გარდა ნურვის ნუ წარემართოს სავალი ჩემი, მექმენ მოწყალედ!“ შემდეგ ყველაფერი ღარიბებს დაურიგა, ბერად შედგა და იქვე, სენაკს დალია სული“.

მიქელანჯელომაც, იმ საბრალო გერმანელი ოქრომჭედლის მსგავსად, ცხოვრების მიმწუხრისას სინანულით გადახედა თავის ფუჭად განვლილ ცხოვრებას, ამაო გარჯას, თავის დანგრეულ, დაუსრულებელ ქმნილებებს.

მანაც უარყო ყველაფერი და რენესანსული სიამაყე, საუცხოო სიამაყე სამყაროს მბრძანებელი თავისუფალი სულისა გაქრა, განქარდა „იმ ღვთაებრივი სიყვარულისთვის, ჩვენს შესახვედრად ორთავ ხელი რომ გაშალა, გაკრულმა ჯვარზე“[1].

„ოდა სიხარულისადმი“ ვერ გაისმა. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მწუხარებისა და მხსნელი-სიკვდილის ოდას ამბობდა საბოლოოდ დამარცხებული.

* * *

ასეთი იყო ეს სამყაროს დამმარცხებელი. ჩვენ, ვინც მისი გენიის ნაღვაწით ვტკბებით, ვტკბებით ისევე, როგორც ჩვენს წინაპართა მიღწევებით და მონაგარით და აღარ ვფიქრობთ დაღვრილ სისხლზე.

Non vi si pensa
Quanto sangue costa[2].

მე კი მინდოდა სწორედ ეს სისხლი მეჩვენებინა თქვენთვის, მინდოდა ჩვენს თავთა ზემოთ ამეფრიალებინა გმირთა წითელი ბაირაღი.

---

[1] ლექსები, CXXVII.

[2] არავინ იცის, თუ რამდენი დაღვრილა სისხლი. დანტე: სამოთხე. XXIX, 91.

ნაწილი პირველი

ბრძოლა

I

ძალა

Davide cholla fromba
e io choll' archo
Michelagniolo[1]

ის დაიბადა 1475 წლის 6 მარტს, კაპრეზში. კაზანტენის პირქუში მხარე: „სუფთა ჰაერი"[2], კლდეები და ხშირი წიფლნარი, რომელსაც თავს აპენინის აჩონჩხილი ქედი გადმოჰყურებს. აქ, შორიახლოს, ალვერნის მთაზე ფრანსუა ასიზელს გამოეცხადა მაცხოვარი.

მამამისი[3], კაპრეზისა და კიუზის პოდესტა, შფოთიანი, მძვინვარე და „ღვთის მოშიში" კაცი იყო. დედა[4] ექვსი წლისას გარდაეცვალა[5]. სულ ხუთნი იყვნენ: ლიონარდო, მიქელანჯელო, ბუონაროტო, ჯოვანი სიმონე და სიგიზმონდო[6].

ბალღი ძიძას, სეტინიანოელი ქვის მთლელის ცოლს მიაბარეს. მოგვიანებით ხუმრობით ამბობდა ხოლმე, ქანდაკების სიყვარული ამ

---

[1] დავითი თავის შურდულით და მე ჩემი მშვილდით. მიქელანჯელო. ლექსები. I. (ლუვრის ერთ-ერთ ფურცელზე, დავითის ესკიზის ქვეშ მინაწერი).

[2] მიქელანჯელო ხშირად იტყოდა ხოლმე: თუკი რამ არის ჩემში კარგი და კეთილი, არეცოს წმინდა ჰაერისაგან მაქვსო მომადლებული.

[3] ლოდოვიკო დი ლიონარდო ბუონაროტი სიმონი. — ნამდვილი გვარი სიმონი იყო

[4] ფრანჩესკა დეი ნერი დი მინიატო დელ სერა.

[5] რამდენიმე წლის შემდეგ, 1485 წელს, მამამ მეორე ცოლი შეირთო, ლუკრეცია უბალდინი, რომელიც 1497 წელს გარდაიცვალა

[6] ლიონარდო 1473 წელს დაიბადა; ბუონაროტო — 1477 წელს; ჯოვანი სიმონე—1479 წელს; სიგიზმონდო — 1481 წელს. ლიონარდო ბერად შედგა. ასე რომ, მიქელანჯელო გახდა ოჯახის თავი და უფროსი.

ქალის რძესთან ერთად შეევითვისეო. სკოლაში ხატვის მეტს არაფერს აკეთებდა. „ამის გამო მამამ და ბიძებმა აითვალწუნეს და ხშირად სასტიკადაც სცემდნენ, რადგან ეჯავრებოდათ მხატვრის ხელობა და სამარცხვინოდ მიაჩნდათ, რომ მათ გვარში მხატვარი გარეულიყო"[1]. ასე რომ, სიყრმიდანვე შეიცნო წუთისოფლის გაუტანლობა და სულიერი სიმარტოვე.

მაგრამ სიჯიუტით აჯობა მამას და ცამეტი წლისა დომენიკო გირლანდაიოს, ფლორენციელ მხატვართა შორის ყველაზე უფრო დიდსა და ჯანსაღი სულის ხელოვანს მიებარა შეგირდად. მის პირველ ნამუშევრებს ისეთი წარმატება ხვდა წილად, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს შურით დაუწყო ცქერა[2] და წლის ბოლოს კიდევაც დასცილდნენ ერთმანეთს.

ხატვა მალე მოიძულა. უფრო გმირული ხელოვნებისაკენ მიუწევდა გული და სულ მალე ქანდაკების კლასში გადავიდა, რომელიც ლორენცო მედიჩის წმ. მარკოზის მონასტრის ეზოში ჰქონდა გამართული[3]. მთავარი დაინტერესდა მიქელანჯელოთი, თავის სასახლეში დაუდო ბინა და სუფრაზე თავის შვილებთან ერთად დასვა; ბავშვი ეოთბაშად აღმოჩნდა რენესანსის შუაგულში, ანტიკურ კოლექციათა შორის, დიდ პლატონიანელთა პოეტურსა და სწავლულ წრეში. მარსილიო ფიჩინოს, ბენივენის, ანჯელო პოლიციანოს სულმა დაათრო; ანტიკურ სამყაროში გატარებულმა ხანმა თავადაც ანტიკური სული ჩაუდგა და ბერძენ მოქანდაკედ აქცია იგი. პოლიციანოს რჩევით, „რომელსაც იგი ძალიან უყვარდა", გამოაქანდაკა „კენტავრებისა და ლაფიტების ომი"[4].

ამ ზვიად ბარელიეფში, სადაც მხოლოდ ამაყი ძალა და სილამაზე

---

[1] კონდივი.

[2] კაცმა რომ თქვას, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ საუცხოო ხელოვანს შეშურებოდა ვინმესი. ასეა თუ ისე, მე არ მჯერა, რომ ეს ყოფილიყოს მიქელანჯელოს ასე მალე წასვლის მიზეზი. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ მიქელანჯელო თავისი პირველი მასწავლებლის პატივისმცემელი იყო სიბერემდე.

[3] ამ სკოლას დონატელოს მოწაფე, ბერტოლდო ედგა სათავეში.

[4] „კენტავრებისა და ლაფიტების ომი" ფლორენციაში, ბუონაროტის სახლში ინახება. ამავე პერიოდს განეკუთვნება „მომცინარე ფავნის ნიღაბი", რომელმაც ყომა მიქელანჯელოს ლორენცო მედიჩის ყურადღება მოუპოვა და „მადონა კიბეზე", ბუონაროტის სახლის ბარელიეფი.

სუფევს, აისახა ჭაბუკის გოლიათური სული და მისი ველური თამაში უხეშ ამხანაგებთან.

ლორენცო დი კრედისთან, ბუჯარდინისთან, გრანაჩისთან და ტორიჯიანო დეი ტორიჯიანისთან ერთად კარმინის ეკლესიაში მაზაჩიოს ფრესკების გადმოსახატავად დადიოდა. თავისზე ნაკლებად გაწაფულ ამხანაგებს ხშირად დასცინოდა ხოლმე. ერთხელ პატივმოყვარე ტორიჯიანისაც დაუწყო გახელება. ტორიჯიანიმ მუშტი ჩასცხო სახეში და ცხვირი ჩაუმტვრია. მერე ამაყობდა კიდეც: „მუშტი ისე მაგრად ვთხლიშე ცხვირში, რომ ვიგრძენი, როგორ ჩაეჭეჭყა ძვალი და ხრტილი. ასე დავასვეო სამუდამო დაღი“ [1], უამბობდა იგი ბენვენუტო ჩელინის.

* * *

მაგრამ ანტიკური ხელოვნებით გატაცებამ მაინც ვერ ჩაუქრო ქრისტიანული ალი. ორი მტრული სამყარო იბრძოდა მისი სულის დასაუფლებლად.

1490 წელს ბერმა სავონაროლამ დაიწყო თავისი მგზნებარე წინასწარმეტყველებანი აპოკალიფსის თემაზე. მაშინ ის ოცდაჩვიდმეტი წლისა იყო. მიქელანჯელოს კი სწორედ მაშინ შეუსრულდა თხუთმეტი წელი. მან თავისი თვალით ნახა პატარა, ჩია ტანის წინასწარმეტყველი, სულიწმიდა რომ აწვალებდა. ნახა და თავზარი დასცა მისმა მჭახე ხმამ, ტაძრის კათედრიდან რომ კრულავდა რომის პაპსა და მთელს იტალიას ღვთის სისხლიანი მახვილით ემუქრებოდა. ფლორენცია ძრწოდა. ხალხი ტირილითა და ბღავილით, შეშლილივით დარბოდა ქუჩებში. ყველაზე მდიდარი მოქალაქენი: რუჩელაი, სალვიატი, ალბიცი, სტროცი მონასტერში შესვლას ითხოვდნენ. თვით მეცნიერებიც კი, ფილოსოფოსნი — პიკო დე ლა მირანდოლა და პოლიციანოც განუდგნენ გონებას [2]. მიქელანჯელოს უფროსი ძმა ლიონარდო ბერად შედგა [3].

---

[1] ეს მოხდა 1491 წელს.

[2] ისინი მალე, 1949 წელს, გარდაიცვალნენ. პოლიციანომ დაიბარა, წმ. მარკოზის ტაძარში — სავონაროლას ეკლესიაში — დამასაფლავეთო, როგორც დომინიკანელი; პიკო დე ლა მირანდოლამაც სიკვდილის წინ შეიმოსა დომინიკანელთა შესამოსელი.

[3] 1491 წელს.

ამ საერთო შიშიანობამ მიქელანჯელოსაც დარია ხელი. და როდესაც სავონაროლას წინასწარმეტყველებისამებრ გამოჩნდა ახალი კვიროსი, მესიის მახვილი, საფრანგეთის მეფე კარლოს VIII, პატარა და გონჯი ურჩხული, პანიკურმა შიშმა მოიცვა.

განსაკუთრებით ერთმა სიზმარმა დასცა თავზარი. მის ერთ მეგობარს, პოეტსა და მუსიკოსს კარდერეს სიზმრად ლორენცო მედიჩის ლანდი მოევლინა, ძაძით მოსილი, დაკონკილი და ნახევრად შიშველი [1]. მიცვალებულმა უბრძანა კარდერეს: წადი და ჩემს შვილს — პიეტროს უთხარ, განგაძევებენ და ვეღარასოდეს დაბრუნდებიო იტალიაში. კარდერემ მიქელანჯელოს გაანდო ეს სიზმარი და მანაც წაქეზება დაუწყო მეგობარს, წადი და მთავარს უამბე ეგ ამბავიო. მაგრამ კარდერემ პიეტროს შიშით თქმა ვერ გაბედა. რამდენიმე დღის შემდეგ ის კვლავ ეწვია მიქელანჯელოს, ამჯერად კიდევ უარესად ზარდაცემული და უთხრა, მიცვალებული ისევ გამომეცხადა, ისევ ისე ჩაცმული და რაკი ვიწექ და მდუმარედ ვუცქერდი, ჩემთან მოვიდა და ურჩობისათვის სილა გამაწნაო. მიქელანჯელომ მკაცრად დატუქსა იგი და აიძულა იმწამსვე ფეხით წასულიყო ფლორენციის მახლობლად, კარეჯში მდებარე მედიჩითა ვილაში. შუა გზაზე ლტოლვილს თვით პიეტრო შემოეყარა; კარდერემ შეაჩერა იგი და ყველაფერი უამბო. მთავარს გაეცინა და მეჯინიბეებს მისი გაროზგვა უბრძანა. კანცლერმა ბიბიენამ კი უთხრა: „გაგიჟებულხარ. ლორენცოს, შენი აზრით, ვინ უფრო უყვარს? შენა თუ თავისი შვილი? აგრე რომ ნდომოდა, უწინ მას გამოეცხადებოდაო". გაწბილებული და ნაცემი კარდერე ფლორენციაში დაბრუნდა, მიქელანჯელოს თავისი მარცხი უამბო და

---

[1] ლორენცო მედიჩი 1492 წელს გარდაიცვალა; იგი მისმა ვაჟმა პიეტრომ შესცვალა. მიქელანჯელო სასახლიდან წამოვიდა, მამამისთან დაბრუნდა და რამდენიმე ხანს უსაქმოდ დარჩა. შემდეგ პიეტრომ ისევ თავის სამსახურში ჩააყენა იგი და გემებისა და კამეების ყიდვა დაავალა. იმხანად გამოაქანდაკა მიქელანჯელომ მარმარილოსაგან უზარმაზარი „ჰერკულესი", რომელიც ჯერ სტროციის სასახლეში იდგა, შემდეგ კი, 1529 წელს მეფე ფრანცისკ I-მა შეიძინა. ეს ქანდაკება მეჩვიდმეტე საუკუნემდე ფონტენებლოში იდგა, მერე კი უკვალოდ გაქრა. ამავე პერიოდს განეკუთვნება „ხის ჯვარცმა", რომელიც სან სპირიტოს მონასტერშია შენახული. მასზე მუშაობისას მიქელანჯელო გვამებზე ისეთის გამწარებით სწავლობდა ანატომიას, რომ 1494 წელს ავადაც კი გახდა.

ისე დაარწმუნა ფლორენციის მოსალოდნელ უბედურებაში, რომ მიქელანჯელო მეორე დღესვე გაიქცა ქალაქიდან [1].

პირველად მაშინ დარია ხელი პანიკურმა შიშმა, რომლის მსგავსი მერეც არაერთხელ სწვევია და რომელიც თავდაპირველად მუდამ ეოდა ხოლმე, რა სანანებლადაც არ უნდა დარჩენოდა შემდეგში.

* * *

ვენეციამდე სული არ მოუთქვამს.

მაგრამ ფლორენციის ცხელებიან ატმოსფეროს რომ გასცდა, მღელვარება დაუცხრა. მალევე დაბრუნდა ბოლონიაში. იქ გამოიზამთრა [2] და მთლად დაავიწყდა წინასწარმეტყველიცა და მისი წინასწარმეტყველებანიც. სამყაროს სილამაზემ კვლავ მოხიბლა იგი. პეტრარკას, ბოკაჩოსა და დანტეს კითხვამ გადაიყოლა. 1495 წლის გაზაფხულზე, ყველიერის საეკლესიო ზეიმის დღეებში, პარტიათა გამძაფრებული ბრძოლების ჟამს კვლავ დაბრუნდა ფლორენციაში. მაგრამ ამჯერად ისე შორს იყო იქ ატეხილ ვნებათღელვიდან, რომ სავონაროლას ფანატიკოს მიმდევართა ჯიბრზე თავისი ცნობილი „მძინარე კუპიდონი“ გამოაქანდაკა, რომელიც თანამედროვეთ ჭეშმარიტ ანტიკურ ძეგლად მიიღეს. ფლორენციაში მხოლოდ სამ თვეს დარჩა. მერე რომს ჩავიდა და სავონაროლას სიკვდილამდე მხატვართა შორის ყველაზე უფრო წარმართული სულისა იყო. გამოაქანდაკა „მთვრალი ბახუსი“, „მომაკვდავი ადონისი“ და უზარმაზარი „კუპიდონი“ იმ წელს, როცა სავონაროლამ ცეცხლს მისცა „ამაოებანი და ანათემები“:

---

[1] კონდივი.

მიქელანჯელო 1494 წლის ოქტომბერს გაიქცა ქალაქიდან; ერთი თვის შემდეგ პიეტრო მედიჩიც გაიქცია ხალხის აჯანყებამ; ფლორენციაში სავონაროლას მხარდაჭერით სახალხო ხელისუფლება დამყარდა. სავონაროლა წინასწარმეტყველებდა, რომ ფლორენცია რესპუბლიკურ წყობას დაამყარებდა მთელს მსოფლიოში. მაგრამ ამ რესპუბლიკას მაინც ჰყავდა თავისი მეფე: იესო ქრისტე — მაცხოვარი.

[2] აქ ის სტუმრად იყო კეთილშობილ ჯოვანი ფრანჩესკო ალდოვრანდისთან, რომელმაც ბევრჯერ შემწეობა აღმოუჩინა ბოლონიის პოლიციასთან წამოკოლ უსიამოვნებაში. მიქელანჯელო იმხანად სან პეტრონიოს ძეგლსა და სან დომენიკოს სანაწილეს ანგელოზზე მუშაობდა. მაგრამ ამ ქანდაკებებს რელიგიური იერი როდი ახლავთ. მათშიაც იგივ ზეიადი ძალა გამოსჭვივის.

წიგნები, სამკაულები, ხელოვნების ნიმუშები[1]. მიქელანჯელოს ძმას ლიონარდოს, წინასწარმეტყველისა რომ სჯეროდა, დევნა დაუწყეს. სავონაროლას თავზე შავი ღრუბელი შეიყარა. მიქელანჯელო მის დასაცავად არ დაბრუნებულა ფლორენციაში. სავონაროლა კოცონზე დაწვეს[2]. მიქელანჯელო დუმს; მის წერილებში გაკვრითაც კი არ არის ნახსენები ეს ამბავი.

მიქელანჯელო დუმს, მაგრამ თავის „Pietà"-ს[3] აქანდაკებს.

მარად ყმაწვილ ღვთისმშობელს მუხლებზე მკვდარი ქრისტე უსვენია. მძინარესა ჰგავს მაცხოვარი. ოლიმპიური სიმკაცრე ახლავს წმიდა ქალღმერთისა და გოლგოთის ღმერთის ნაკვთებს. მაგრამ ენით უთქმელი ნაღველიც დაჰფენიათ, ამ ნაღველში განბანილან ლამაზი სხეულები. ნაღველი დაეუფლა მიქელანჯელოს სულსაც.

* * *

მარტო უბედურებათა და დანაშაულთა ცქერამ როდი დააღონა. ტირანული ძალა შეიჭრა მის სულში, რომ არასოდეს განმორებოდა. სამუდამოდ ემსხვერპლა შმაგ გენიას, რომელიც სიკვდილამდე სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა. გამარჯვებისა აღარ სწამდა და მაინც

---

[1] მიქელანჯელო რომს ჩავიდა 1496 წლის ივნისში. „მთვრალი ბახუსი", „მომაკვდავი ადონისი" (რომლებიც ბარჯელოს მუზეუმში ინახება) და საუტ-კენსინგტონის „კუპიდონი" 1497 წელს განეკუთვნება. — მიქელანჯელოს იმავე პერიოდში უნდა ჰქონდეს დახატული „წმ. ფრანციზკი მონის დაღის მიღებისას" სან-პიეტრო-ინმონტორიოსათვის.

[2] 1498 წლის 23 მაისს.

[3] აქამდე თვლიდნენ, რომ „Pietà" მიქელანჯელოს კარლ VIII-ის ელჩმა, ფრანგმა კარდინალმა, სენ-დენის აბატმა ჟან დე გროსლეი დე ვილიერმა, შეუკვეთა წმ. პეტრეს ტაძარში, ფრანგ მეფეთა კაპელაში დასადგმელად (1498 წლის 27 აგვისტოს კონტრაქტი). მაგრამ ბატონმა შარლ სამარანმა თავის გამოკვლევაში: „არმანიაკების გვარი XV საუკუნეში", დაამტკიცა, რომ ფრანგი კარდინალი, ვინც „Pietà" შეუკვეთა, იყო ჟან დე ბილერი, ლომბეზის ეპისკოპოსი და სენ-დენის აბატი. მიქელანჯელო ამ ძეგლზე 1501 წლამდე მუშაობდა.

კონდივისთან საუბარში ღვთისმშობლის სიყმაწვილეს მიქელანჯელო სახის ერთგვარი რაინდულ-მისტიკური გადაწყვეტით ხსნის, რაც ასე თვალში საცემია დონატელოს, სინორელის, მანტენისა და ბოტიჩელის „Mater Dolorosa"-თა („მტირალ ღვთისმშობელთა") მწუხარებით დაღმეკილ, დამჭკნარ, ველურ სახეებთან შედარებით.

აღთქმა დადო, რომ თავისი და თავისიანების სადიდებლად გაიმარ-ჯვებდა. მთელი ოჯახი მძიმე ტვირთად მარტო მას აწვა მხრებზე. მამა და ძმები ფულის თხოვნით გულს უწყალებდნენ. ფული თვითონაც არ ჰყოფნიდა, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა უარი ეთქვა. მზად იყო, მონად გაეყიდა თავი, ოღონდ მისიანებს მიშველებოდა. ავადმყოფობამაც დარია ხელი. ცუდმა კვებამ, სიცივემ, სინესტემ, თავგადაკლულმა შრომამ თავისი ჰქნეს. გამუდმებით სტკიოდა თავი; ცალი გვერდიც გაუსივდა [1]. მამამისი საყვედურობდა, ასეთ ცხოვრებას რად ეწევიო და ვერც კი გრძნობდა, რომ შვილს ამ ყოფაში თვითონ აგდებდა.

„ყველა სამუშაო, რაც მაკისრია, თქვენი სიყვარულის გამო ვიტვირთე", — სწერდა მოგვიანებით მამას მიქელანჯელო [2].

„... სულ თქვენი სიყვარულის ბრალია ჩემი ამდენი საფიქრალი და საზრუნავი" [3].

* * *

1501 წლის გაზაფხულზე ფლორენციაში დაბრუნდა.

ორმოცი წლის წინათ ტაძრის სამზრუნველომ (Opera del Duomo-მ) მოქანდაკე აგოსტინო დი დუჩოს უზარმაზარი მარმარილოს ლოდი მისცა, მისგან წინასწარმეტყველის ფიგურა რომ გამოექანდაკებინა. აგოსტინოც შეუდგა საქმეს, მაგრამ ძლივს დაწყებული ქანდაკება დაუსრულებელი დარჩა. არავის ყოფნიდა გამბედაობა მუშაობა გაეგრძელებინა. მიქელანჯელომ იტვირთა ეს ძნელად შესამართი საქმე [4] და მარმარილოს ვეება ლოდიდან „დავითი" გამოჰკვეთა. ამბობენ, როცა გონფალონიერმა პიეტრო სოდერინიმ ქანდაკება ნახა, მიქელანჯელოს რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა მისცაო. თავი გემოვნებიან კაცად სურდა მოეჩვენებინა და დაიკინა, ცხვირი ერთობ სქელი აქ-

---

[1] მამამისის წერილი, 1500 წლის 19 დეკემბერს დაწერილი.

[2] მამისადმი მინაწერი ბარათი (1509 წლის გაზაფხული).

[3] მამისადმი მინაწერი ბარათი, 1521 წ.

[4] 1501 წლის აგვისტოს. — რამდენიმე თვით ადრე კარდინალ ფრანჩესკო პიკოლომინის ხელი მოუწერა კონტრაქტზე, რომლის თანახმადაც პიკოლომინის საკურთხეველი უნდა მოერთო სიენის ტაძარში. ვალდებულება არ შეუსრულებია და ეს ამბავი სინდისის ქენჯნად დაურჩა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ვსო. მიქელანჯელო ხარაჩოებზე შეძვრა, თან საკრეთელი და ცოტა მარმარილოს მტვერი წაიღო; საკრეთელი ცხვირს ოდნავ მიუსვ-მოუსვა ისე, რომ მისთვის არაფერი მოუკლია, მტვერი თანდათან ჩამოყარა, მერე მოუბრუნდა გონფალონიერსა და უთხრა:

— აბა, ახლა ნახეთ!

— ახლა გაცილებით უფრო მომწონს, — მიუგო სოდერინიმ.

მაშინ მიქელანჯელო ძირს ჩამოვიდა და ულვაშებში ჩაიცინა [1]. თითქოს ქანდაკებაშიაც მოჩანს ეს მდუმარე ზიზღი. ესაა შმაგი ძალა მოსვენების ჟამს. კაეშანსა და მწუხარებას მოუცავს გმირი. მუზეუმის კედლებში სული ეხუთება. მას სუფთა ჰაერი, „მოედნის შუქი" სწყურია, როგორც იტყოდა ხოლმე მიქელანჯელო [2].

1504 წლის 25 იანვარს, როცა მხატვართა კომისია ფილიპინო ლიპის. ბოტიჩელის, პერუჯინოსა და ლეონარდო და ვინჩის შემადგენლობით იხილავდა საკითხს, თუ სად დადგმულიყო „დავითი", მიქელანჯელოს თხოვნით მისი სენიორიის სასახლის წინ დადგმა გადაწყვიტეს [3]. ქანდაკების იქამდე მიტანა ტაძრის არქიტექტორებს დაევალათ. თოთხმეტ მაისს, საღამოს, გამოანგრიეს სახელოსნოს ფიცრული კედელი, რადგან მარმარილოს გოლიათი კარებში არ ეტეოდა. ღამით უბირი ხალხი მოაწყდა ქანდაკებას და ქვების სროლა აუტეხა: რომ არ დაემტვრიათ, მეთვალყურეობის დაწესება გახდა საჭირო. შეკრულ-შებოჭილი და ხელის სიმსხო ბაგირებზე დაკიდებული ქანდაკება ნელა, ტაატით მიიწევდა წინ. ტაძრიდან პალაცო ვეკიომდე მის გადატანას ოთხი დღე მოუნდა. თვრამეტში, მზის ჩასვლისას ძეგლმა და-

---

[1] ვაზარი.

[2] ერთ მოქანდაკეს, რომელიც ცდილობდა თავის სახელოსნოში განათება ისე მოეწყო, როგორც უფრო მომგებიანი იქნებოდა მისი ქანდაკებებისათვის, მიქელანჯელომ უთხრა: „აგრე რად წვალობ, ანგარიშში მხოლოდ მოედნის შუქიაო ჩასაგდები".

[3] ამ საკითხზე ბჭობის ამბავი მილანეზის თავის „მხატვართა ხელშეკრულებებში" 620-ე და მომდევნო გვერდებზე დაწვრილებით აქვს მოთხრობილი.

„დავითი" 1873 წლამდე მიქელანჯელოს მიერ მიჩენილ ადგილზე იდგა, სენიორიის სასახლის წინ. მერე კი, რაკი ქანდაკება წვიმას საგრძნობლად გაეფუჭებინა, ფლორენციის ხელოვნებათა აკადემიაში, სპეციალურ როტონდაზე (Tribuna del David-ზე) იქნა ატანილი. ამჟამად ფლორენციელ „მხატვართა საზოგადოება" თანამემამულეებს ურჩევს თითრი მარმარილოსაგან გააკეთონ ქანდაკების ასლი და ძველ ადგილას, პალაცო ვეკიოს წინ დადგან.

ნიშნულ ადგილს მიაღწია. ღამღამობით აქაც ყარაულობდნენ, მაგრამ სიფრთხილის მიუხედავად ერთხელ ქვები მაინც დაუშინეს [1].

ასეთი იყო ფლორენციელი ხალხი, რომელსაც ხშირად ჩვენს ხალხს მისაბაძ მაგალითად უსახავენ ხოლმე [2].

* * *

1504 წელს ფლორენციის სენიორიამ ერთმანეთს წაჰკიდა ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო.

ამ ორს ერთმანეთი ისედაც არ უყვარდა. ორთავე მარტო იყო. საერთო სიმარტოვეს თითქოს კიდეც უნდა დაეახლოვებინა ისინი. მაგრამ თუკი თავს მთელი კაცობრიობისაგან გარიყულად გრძნობდნენ, ერთიმეორისაგან კიდევ უფრო იყვნენ მოწყვეტილი. ლეონარდო უფრო მარტო იყო. ორმოცდათორმეტი წელი შეუსრულდა, ოცი წლით უფროსი იყო მიქელანჯელოზე. ოცდაათი წლისამ დატოვა ფლორენცია, რადგან მისმა მგრძნობიარე და მორცხვმა ბუნებამ, მისმა ნათელმა და სკეპტიკურად მომართულმა გონებამ, რომელსაც ყველაფერი ესმოდა, არაფერი გამოეპარებოდა, იქაურ შუღლსა და ლალვას ვეო გაუძლო. ეს დიდი დილეტანტი, ეს სრულიად თავისუფალი და სრულიად მარტო კაცი ისე შორს იყო სამშობლოსაგან, რელიგიისაგან, მთელი სამყაროსაგან, რომ თავს ლაღად მხოლოდ ტირანებთან, მასავით თავისუფალი გონების ხალხთან გრძნობდა. 1499 წელს იძულებული გახდა მილანოდან გადახვეწილიყო, რადგან მისი მფარველი ლუდოვიკო მორო ჩამოეგდოთ. 1502 წლიდან ცეზარე ბორჯიას სამსახურში ჩადგა, მაგრამ პრინცის პოლიტიკური კარიერის დასასრულმა აიძულა კვლავ ფლორენციაში დაბრუნებულიყო. აქ მისი ირონიული ღიმილი მშფოთვარე და პირქუშ მიქელანჯელოს წააწყდა და მოთმინებიდან გამოიყვანა იგი. მიქელანჯელო თავით ფეხამდე თავისი

---

[1] პიეტრო დი მარკო პარენტის „ფლორენციული ქრონიკები" და ერთი თანამედროვის მოგონებანი.

[2] ამას დავსძინოთ ისიც, რომ „დავითის" უბიწო სიშიშვლე ფლორენციელთა კდემამოსილებას შეურაცხყოფდა. არეტინო, რომელიც მიქელანჯელოს მისი „განკითხვის დღის" უხამსობას უკიჟინებდა, სწერდა მას 1545 წელს: „ფლორენციელთა ზნეობას მიჰბაძეთ, თავიანთი მშვენიერი გოლიათის სასირცხო ადგილებს ოქროს ფოთლებით რომ ფარავენ".

ვნებებისა და რწმენის ტყვე იყო. სძულდა სუყველა, ვინც მის რწმენასა და ვნებებს მტრობდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად სძულდა ისინი, ვისაც არავითარი რწმუნა და არავითარი ვნება არ გააჩნდა. და რაც უფრო დიდი იყო ლეონარდო, მიქელანჯელომ მით უფრო მოიძულა იგი და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ეს აღენიშნა.

„ლეონარდოს დახვეწილი მანერები ჰქონდა. თავადაც სანდომიანი, გულითადი კაცი იყო. ერთხელ თავის მეგობართან ერთად ფლორენციის ქუჩებში სეირნობდა. ტანთ ვარდისფერი ჯუბა ეცვა, რომელიც მუხლებამდე სწვდებოდა. მკერდს ჩახუჭუჭებული, ნაპატივები წვერი უმშვენებდა. წმ. სამების ტაძარს რომ ჩაუარეს, იქ რამდენიმე მოქალაქე დახვდათ. იდგნენ და დანტეს რომელიღაც პასაჟის გამო დაობდნენ. ლეონარდოსაც უხმეს და სთხოვეს, ამ ადგილის აზრი გაგვიმარტეო. ამ დროს მიქელანჯელომაც ჩაიარა. ლეონარდომ უთხრა იქ მყოფთ: „ამ ლექსს მიქელანჯელო აგიხსნითო“; მიქელანჯელომ იფიქრა, ჩემი დაცინვა უნდაო და მწარედ შენიშნა: „შენ თვითონ აუხსენი, შენ, ვინც ბრინჯაოს ცხენის მოდელი შექმენ [1], ვეღარ ჩამოასხი და შენდა სამარცხვინოდ შუა გზაზე მიატოვეო“. თქვა ეს, იქ მყოფთ ზურგი აქცია და გზა განაგრძო. ლეონარდოს არაფერი უთქვამს, მხოლოდ სიწითლემ გადაჰკრა სახეზე. მაგრამ მიქელანჯელომ ესეც არ აკმარა, სურვილი წვავდა კიდევ უფრო მოეკლა გული და დაუყვირა: „ტყუილად ეგონათ იმ ცვედან მილანელებს, რომ შენ ამ საქმეს მოეერეოდი“ [2].

ასეთი იყო ეს ორი კაცი, მედროშე სოდერინიმ რომ დაუპირისპირა ერთმანეთს. ერთსაც და მეორესაც სენიორიის სასახლის სათათბირო დარბაზის მოხატვა დაავალა. ეს არნახული ბრძოლა იყო რენესანსის ორ უდიდეს ძალას შორის. 1504 წლის მაისში ლეონარდომ „ანგიერის ბრძოლის“ ხატვა დაიწყო [3]. 1504 წლის აგვისტოს მიქელანჯელომაც მიიღო შეკვეთა „კაშინას ბრძოლის“ შესაქმნელად [4].

---

[1] მიქელანჯელოს მხედველობაში აქეს ფრანჩესკო სფორცის ქანდაკება, რომელიც ლეონარდოს დაუსრულებელი დარჩა და რომლის თაბაშირის მოდელიც ლუი XII-ის გასკონელმა მეისრეებმა ცოტა მოგვიანებით სანიშნედ იხმარეს.

[2] თანამედროვის მოგონებანი

[3] მისი დამცირება სურდათ და განზრახ დაახატვინეს მის მეგობარ მილანელებზე ფლორენციელთა გამარჯვების ამბაკი.

[4] ანუ „პიზის ომი“.

ფლორენცია ორ ბანაკად გაიყო. ერთი ერთს ემხრობოდა, მეორე—მეორეს. მაგრამ მოკლე ხანში ორივე ნაწარმოები უკვალოდ გაქრა. დრომ გაათანაბრა ყოველივე [1].

• • •

1505 წლის მარტში იულიუს II-მ რომში მიიწვია მიქელანჯელო. მისი ცხოვრების გმირული პერიოდიც აქედან დაიწყო.

ორივ მძვინვარე და დიდებული, პაპიცა და ხელოვანიც, შობილნი იყვნენ იმისათვის, რომ შეხმატკბილებით ემოქმედათ, თუკი მათი სურვილები ერთიმეორეს შმაგის ძალით არ ეხლებოდა. გონება გიგანტური პროექტებით ჰქონდათ სავსე. იულიუს II-ს სურდა თავისთვის ძველ რომაელთა საკადრისი საფლავის ძეგლი აეგო. მიქელანჯელო გაიტაცა ამ ჭეშმარიტად მეფურმა და ზვიადმა წამოწყებამ. ბაბილონური რამ განიზრახა, არქიტექტურული მთა სურდა აეგო. კოლოსალური სიმაღლის ორმოცზე მეტი ქანდაკება ერთიმეორის გვერდით უნდა დაეყენებინა. პაპი აღაფრთოვანა მისმა იდეამ და მიქელანჯელო კარარში გაგზავნა, რომ იქაური სამტეხლოებიდან ამ ძეგლისათვის საჭირო მარმარილო წამოეღო. მიქელანჯელო რვა თვეზე მეტ ხანს დარჩა მთებში. მთელი ამ ხნის მანძილზე ზეკაცური აღტყი-

---

[1] მიქელანჯელოს ნახატი, შესრულებული 1505 წელს, 1512 წელს უკვალოდ გაქრა ფლორენციის აჯანყების დროს, ეს მედიჩითა ქალაქში დაბრუნებით იყო გამოწვეული. ნაწარმოები მხოლოდ ფრაგმენტული ასლებითაა ცნობილი. მათგან ყველაზე მეტად გახთქმულია მარკ ანტონიუსის გრავიურა („მხოხავები“). — ლეონარდოს ფრესკის წახდენაში კი თავად ლეონარდოს მიუძღვის ბრალი. მხატვარმა მოინდომა ფრესკის ტექნიკა გაეუმჯობესებინა და რაღაც ახალი ზეთის საღებავი იხმარა; კედელმა საღებავი ვერ დაიჭირა. ლეონარდომ ხელი ჩაიქნია ყველაფერზე და 1506 წელს მუშაობას თავიც ანება. 1550 წელს ეს ნახატი აღარ არსებობდა.

ამავე პერიოდს (1501—1505 წწ.) განეკუთვნება მიქელანჯელოს ორი მრგვალი ბარელიეფი — „მადონა“ და „ყრმა იესო“, რომლებიც ლონდონის სამეფო აკადემიასა და ფლორენციის ბარჯელოს მუზეუმში ინახება; ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს „ბრუჯის მადონა“, 1506 წელს ფლამანდიელმა ვაჭრებმა რომ შეიძინეს და წყლის საღებავებით შესრულებული უზარმაზარი ნახატი, უფიცის გალერეის „წმიდა ოჯახი“, რომელიც მიქელანჯელოს ნახატთაგან ყველაზე უფრო დახვეწილად და სრულყოფილად გვევლინება ამ ნახატის პურიტანული სიმკაცრე და გმირული სული აშკარად ეწინააღმდეგება ლეონარდოს მეტისმეტად ნაზ ხელოვნებას.

ნებით იყო შეპყრობილი. „ერთ დღეს, როცა ცხენდაცხენ კარარის სანახებს ათვალიერებდა, დაინახა მთა, ზღვაში რომ ედგა ფეხი. სურვილმა მოუარა ამ მთიდან რამე გამოექანდაკებინა, ექცია კოლოსად, რომელსაც შორით მომავალი ზღვაოსნებიც დაინახავდნენ... და აქცევდა კიდეც, დრო რომ ჰქონოდა და უფლება რომ მიეცათ“ [1].

1505 წლის დეკემბერს რომს დაბრუნდა, სადაც მის მიერ შერჩეული მარმარილოს ვეება ლოდები ზღვით უკვე ჩამოეტანათ. ქვები წმ. პეტრეს მოედანზე დაყარეს, წმ. ეკატერინეს ტაძრის უკან, იქ, სადაც მიქელანჯელოს სახლი იდგა. ვეება ლოდები ხალხის უზომო გაოცებას იწვევდა და პაპის სიხარულსაც საზღვარი არ ჰქონდა. მიქელანჯელო მუშაობას შეუდგა. პაპი ვეღარ ითმენდა, ჩქარ-ჩქარად აკითხავდა და „ღვიძლ ძმასავით ესაუბრებოდა“. უფრო მოხერხებულად რომ ევლო, ვატიკანის დერეფნიდან მიქელანჯელოს სახლამდე საიდუმლო ასაწევი ხიდიც კი გააკეთებინა.

მაგრამ ამ სიამტკბილობამ დიდხანს არ გასტანა. იულიუს II მიქელანჯელოზე ნაკლებ ცვალებადი ზნისა როდი იყო და სულ მალე თავისი სახელის უკვდავსაყოფად სხვა გეგმა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია. ამჯერად წმ. პეტრეს ტაძრის რეკონსტრუქციას მიჰყო ხელი. ეს აზრი მიქელანჯელოს მტრებმა ჩააგონეს. მტრები კი მიქელანჯელოს მეტად ბევრი და ძლიერი ჰყავდა. სათავეში მათ მიქელანჯელოს ტოლი ნიჭისა და უფრო ძლიერი ნებისყოფის მქონე კაცი, პაპის არქიტექტორი და რაფაელის მეგობარი ბრამანტე ურბინოელი ედგათ. ცხადია, ამ ორი დიდი უმბრიელის ამაღლებულ გონებასა და ფლორენციელის ველურ გენიას შორის თანხმობა ვერ იქნებოდა, მაგრამ თუკი ერთმანეთს გადაემტერნენ [2], უთუოდ იმიტომ, რომ თვითონ მიქელან-

---

[1] კონდივი.

[2] აქ უპირატესად ბრამანტეა ნაგულისხმები. რაფაელი კი მისი მეგობარი იყო და მისგან დიდად იყო დავალებული: ასე რომ, შეუძლებელი იყო მისი მხარე არ დაეჭირა: მაგრამ არაფერი ამტკიცებს იმას, რომ პირადად მიქელანჯელოს საზიანო რამ ჩაედინა. და ბაინც, მიქელანჯელო ასე აშკარად დებს ბრალს: „ყველა ის უთანხმოება, რაც ჩემსა და პაპ იულიუსს შორის მოხდა, ბრამანტესა და რაფაელის შურის შედეგია: მათ ჩემი დაღუპვა ჰქონდათ გადაწყვეტილი; და რაფაელს კიდევაც ჰქონდა ამის საბაბი, რადგან ყველაფერი, რაც ხელოვნებაში იცოდა, ჩემგან ჰქონდა ბოძებული“ (1542 წლის ოქტომბერს ვიღაც უცნობისადმი მიწერილი ბარათი. წერილები, მილანეზის გამოცემა, 489—494 გვ.).

ჯელომ მისცა საბაბი. ყოველ წუთს აკრიტიკებდა ბრამანტეს და სამართლიანად თუ უსამართლოდ ბრალად სდებდა, გამორჩენას მისდევს და ტაძრის აგებაზე უზომოდ ბევრ ფულს ფლანგავსო[1]. მაშინ ბრამანტემ მისი დაღუპვა გადაწყვიტა.

ჯერ იყო და პაპის წყალობა დაუძვირა მიქელანჯელოს. ისარგებლა იულიუს II-ის ცრუმორწმუნეობითა და შეახსენა ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სიცოცხლეშივე საფლავზე ზრუნავა ცუდი ნიშანი იყო. ამით მოახერხა პაპის ინტერესი მეტოქის გეგმებისათვის ჩამოეშორებინა და ნაცვლად თავისი გეგმით დაეინტერესებინა. 1506 წლის იანვარში იულიუს II-მ საბოლოოდ გადაწყვიტა წმ. პეტრეს ტაძრის რეკონსტრუქციისათვის მიეყო ხელი. საფლავის ეგვლი აღარ ახსოვდა და მიქელანჯელო მარტო დამცირებული კი არა, ვალებში ჩაფლულიც აღმოჩნდა, რადგან ძეგლზე მუშაობისას თვითონაც დიდძალი ხარჯი გაიღო[2]. გაწბილებული მწარედ ჩიოდა. პაპმა კარები მოუკეტა და როცა მიქელანჯელო მეორედაც მივიდა საჩივლელად, თავის მეჯინიბეებს ვატიკანიდან კინწისკვრით გამოაგდებინა იგი.

ამ ამბავს ლუკის ეპისკოპოსიც შეესწრო და ჰკითხა მეჯინიბეს:

— ვერა ცნობთ ამ კაცს?

მეჯინიბემ ასე მოუბოდიშა მიქელანჯელოს:

---

[1] კონდივი, ვის მტკიცებასაც მიქელანჯელოსადმი მისი ბრმა სიყვარული ცოტა საეჭვოს ხდის, მოგვითხრობს: „ბრამანტე თავდაპირველად მიქელანჯელოს იმიტომ გადაეკიდა, რომ შურდა მისი; თან შიშიც ჰქონდა, ჰიქელანჯელო ჩემს შეცდომებს ცხადად ხედავს და გამამხელსო. თვითონ, მოგეხსენებათ, რომ ქეიფის დიდი მოყვარული და მეტად მფლანგველი კაცი იყო, პაპის ჯამაგირი, რაოდენ დიდიც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ ჰყოფნიდა და გადაწყვიტა თავისი სამუშაოებით გამდიდრებულიყო: კედლებს უხეირო, გამოუსადეგარი მასალისაგან აგებინებდა. ეს ცხადად აჩნია წმ. პეტრეს ტაძარს, ბელვედერის დერეფანს, სან-პიეტრო-ინ-ვინკოლსა და სხვ. კედლებს აქ კავებისა და ბურჯების შეყენება დასჭირდა, რომ არ ჩამოქცეულიყო“

[2] „რაკი პაპმა გუნება იცვალა, ნავებს, რომელთაც კარარიდან მარმარილო ჩამოიტანეს, მე თვითონ გავუსწორე ანგარიში. ცოტა ხნის შემდეგ რომს იულიუსის საფლავის ძეგლზე სამუშად ფლორენციიდან გამოწერილი მუშებიც ჩამოვიდნენ. და რაკი მათთვის უკვე მოწყობილი მქონდა წმ. ეკატერინეს ტაძრის უკან მდგარი სახლი, პაპმა რომ მაჩუქა, ვალებში ჩავვარდი და უსახსროდ დავრჩი“ (1542 წლის ოქტომბერს დაწერილი ბარათი, რომელიც წელან დავიმოწმეთ).

— მაპატიეთ, მაგრამ პაპის ბრძანებას ვერ გადაკუვალ, ჩემო ბატონო.

მიქელანჯელო შინ დაბრუნდა და პაპს ეს ბარათი მისწერა:

„წმიდა მამაო! თქვენი უწმინდესობის ბრძანებით, ამ დილით სასახლიდან გამომაგდეს. გაცნობებთ, რომ თუ ამას იქით ჩემს ნახვას ინებებთ, შეგიძლიათ ყველგან მეძებოთ, გარდა რომისა".

გააგზავნა წერილი, დაიბარა ქვის მთლელები, მასთან რომ ცხოვრობდნენ, და უთხრა:

„ვინმე ებრაელი ვაჭარი მიშოვეთ, მიჰყიდ-მოჰყიდეთ ყველაფერი, რაც მაბადია და ფლორენციაში გამომყევით".

თქვა ეს, შეჯდა ცხენზე და მშობლიური ქალაქისაკენ გასწია [1]. პაპმა, წერილი რომ მიუვიდა, ხუთი ცხენოსანი დაადევნა მიქელანჯელოს. მდევარი საღამოს თერთმეტი საათისათვის პოჯიბონის გზაზე წამოეწია და ეს ბრძანება გადასცა: „ამ წერილის მიღებისთანავე რომს დაბრუნდი, თუ არ გინდა თავს ჩვენი რისხვა დაიტეხო". მიქელანჯელომ ასე უპასუხა: „დაებრუნდები, როცა პაპი დანაპირებს შემისრულებს, თუ არა და იულიუს II-ს ტყუილად ნუ ექნება იმედი ჩემი ოდესმე ხილვისა" [2].

და პაპს ეს სონეტი მიუძღვნა [3]:

თუ დავუჯერებთ, სენიორო, ჩვენს ძველ ანდაზას,
ის ამბობს: ვისაც ძალა შესწევს, აღარ სურს იმას.
შენ დაუჯერე ჭორებსა და ცილისწამებას,
დაჯილდოვე უხვად მტერი ჭეშმარიტების...

ვარ და ვიქნები შენი მონა, შენი მსახური,
შენი სხივი ვარ, ერთი სხივი შარავანდედის;
ჩემი გაქრობით ვერასოდეს მოიღუშები,
და მე შენდამი სიყვარულის მღლის მგზნებარება!

მეგონა, შენი სიდიადით ამამაღლებდი,
ჩემი მსაჯული იქნებოდა ჭორი კი არა,
არამედ შენი სასწორი და ბასრი მახვილი.

---

[1] 1506 წლის 17 აპრილს.

[2] მთელი ეს ამბავი მიქელანჯელოს 1542 წლის ოქტომბრის წერილიდან თითქმის სიტყვასიტყვით არის გადმოწერილი.

[3] მე ეს სონეტი ამ წელს დაწერილად მიმაჩნია; თუმცა ფრეი მას რატომღაც 1511 წელს მიაკუთვნებს.

მაგრამ, ეტყობა, სათნოებას დასცინის ზეცა,
თუ მას ჰგონია, რომ ამ ცოდვილ დედამიწაზე
ხე ჩამომხმარი ძველებურად მოისხამს ნაყოფს [1].

მარტო იულიუს II-ის მიერ მიყენებული წყენა როდი იყო მიზეზი იმისა, რამაც მიქელანჯელოს რომიდან გაქცევა გადააწყვეტინა. ჯულიანო და სან გალოსადმი მიწერილ ბარათში გადაკვრით ამბობს, რომ ბრამენტეს მისი მოკვლა ჰქონდა განზრახული [2].

მიქელანჯელო წავიდა და ყველაფრის ბატონ-პატრონად ბრამანტე დარჩა. მეტოქის გაქცევის მეორე დღესვე ჩააყრევინა წმ. პეტრეს ტაძრის საძირკველი [3]. მისმა ულმობელმა შურისძიებამ მიქელანჯელოს ნამუშევარზედაც აღმართა ხელი. უმოწყალოდ დაარბია მისი საალმშენებლო მოედანი და იულიუს II-ის საფლავის ძეგლისათვის განკუთვნილი მასალა მოსახლეობას დაატაცებინა [4].

ამასობაში თავისი მოქანდაკის ჯანყით განრისხებული პაპი ბრძანებას ბრძანებაზე უგზავნიდა ფლორენციის სენიორიას, რომელსაც მიქელანჯელო ჰყავდა შეფარებული. სენიორიამ დაიბარა ხელოვანი და უთხრა: „შენ პაპს ისეთი ოინი უყავ, რომლის მსგავსი საფრანგეთის მეფეებსაც კი არ უკადრებიათ. შენი გულისთვის იულიუს II-ს მტრად ვერ მოვიკიდებთ, ამიტომ გირჩევთ, რომს დაბრუნდე. ისეთ წერილს გაგატანთ, რომ ყოველგვარი უსამართლობა, რომელსაც შენ მოგაყენებენ, სენიორიის შეურაცხყოფად იქნება მიჩნეული“ [5].

მიქელანჯელო ჯიუტობდა. იულიუს II-ს თავის პირობებს კარნახობდა. მოითხოვდა, რომ პაპს კვლავ დაევალებინა მისთვის საფლავის ძეგლის აშენება და ფლორენციაში მუშაობის ნება მიეცა. მერე

---

[1] ლექსები, III. „ხე ჩამომხმარიო“, რომ ახსენებს, მხედველობაში აქვს მწვანე მუხა, რომელიც იულიუს II-ის ოჯახის, დე ლა როვერეთა საგვარეულო გერბზე იყო გამოხატული.

[2] „ჩემი წამოსვლის მიზეზი მარტო ეგ არ ყოფილა, სხვა რამეც იყო, რის შესახებაც მიჯობს გავჩუმდე. ვიტყვი მხოლოდ, რომ რომში რომ დავრჩენილიყავ, აკლდამა ალბათ მე დამჭირდებოდა და არა პაპს. სწორედ ეს გახდა ჩემი სწრაფი გამგზავრების საბაბი“.

[3] 1506 წლის 18 აპრილს.

[4] 1542 წლის ოქტომბრის წერილი.

[5] იქვე.

კი, როცა იულიუს მეორემ ბოლონია დალაშქრა და პერუჯის შემოეწყო [1], როცა მისი წერილებიც უფრო დაჟინებული და მუქარით აღსავსე გახდა, მიქელანჯელომ თურქეთს გადასვლა დააპირა, სადაც სულთანი ფრანცისკანელი ბერების პირით კიდეეაც იწვევდა პერას ხიდის ასაგებად [2]

ბოლოს, მაინც იძულებული გახდა, დაეთმო და 1506 წლის ნოემბრის მიწურულში თავისი ფეხით ჩასულიყო ბოლონიაში, სადაც გამარჯვებული იულიუს II დროებით დამკვიდრებულიყო.

„დილით მიქელანჯელო სან პეტრონიოში შევიდა წირვის მოსასმენად. პაპის მსახურმა შენიშნა იგი, იცნო და პირდაპირ მიჰგვარა იულიუს II-ს, რომელიც თექვსმეტთა სასახლეში სუფრას უჯდა. გაბრაზებულმა პაპმა მიაძახა: „ჩვენს სანახავად რომში უნდა ჩამოსულიყავ, შენ კი გვალოდინე, სანამ აქ (ბოლონიაში) არ მოგაკითხეთო". მიქელანჯელომ მუხლი მოიყარა მის წინაშე და ხმამაღლა სთხოვა პატიება. ევედრებოდა, რაც გაწყენინეთ, ეშმაკობით არ მომსვლია, სიფიცხით დამემართა, რადგან ვერ ავიტანე უკადრისად რომ გამომაგდეთო. პაპი კვლავ უხმოდ იჯდა თავდახრილი; სიბრაზისაგან სახე გასწითლებოდა. მაშინ ერთმა ეპისკოპოსმა, სოდერინის რომ გაძოეგზავნა მიქელანჯელოს დასაცავად, მოინდომა საქმეში ჩარეულიყო და პაპს ასე მიმართა: „დე თქვენი უწმინდესობა ყუოადღებას ნუ მიაქცევს მის სიბრიყვეს. თუ სცოდა, უვიცობით სცოდა. ყველაფერში, ოაც მათ ხელობას არ შეეხება, ყველა მხატვარი ასეთი სულელია". პაპი მთლად წამოენთო: „შენ მას ისეთი შეურაცხყოფა მიაყენე, როგორიც ჩვენ არ გვიკადრებია! ბრიყვი თვითონა ხარ. თავიდან მომწყდი და ეშმაკსაც წაუღიხარ!" და ოაკი წვეული არ მიდიოდა, პაპის მსახურებმა კინწისკვრით გააგდეს დარბაზიდან. და პაპმაც, რაკი გულის ჯავრი ეპისკოპოსზე ამოიყარა, მიქელანჯელოს უბრძანა, მომიახლოვდიო და ყველაფეიი შეუნდო"[3].

---

[1] 1506 წლის აგვისტოს მიწუოულში.

[2] კონდივი. — მიქელანჯელოს ჯეო კიდევ 1504 წელს დაებადა ეს აზრი.

1519 წელსაც ჰქონდა მოლაპარაკება „ადრიანოპოლის ბატონთან", რომელიც ეხვეწებოდა, ჩამოდიო და ბევრ სამუშაოსაც ჰპირდებოდა. ცნობილია, რომ ერთხანს ლეონარდო და ვინჩიც აპირებდა თურქეთში გადასვლას.

[3] კონდივი.

საუბედუროდ, იულიუს II-ის წყალობა რომ შეენარჩუნებინა, მისი ყველა ენერგია უნდა შეესრულებინა. პაპის ყოვლისშემძლე გუნებას კი მალე ცვალება სჩვეოდა. საფლავის ძეგლი აღარ აინტერესებდა. ახლა ბოლონიაში ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკების დადგმა ისურვა. ამაოდ უარობდა მიქელანჯელო, ამ საქმისა არაფერი გაეგებაო. იძულებული გახდა ესწავლა. გაშმაგებით შეუდგა მუშაობას. წელებზე ფეხს იდგამდა: ერთ უხეირო ოთახში იდგა თავის ჩამოძსხმელ ბერნარდინოსთან და ორ შეგირდთან: ლაპოსა და ლოდოვიკოსთან ერთად. ოთხივეს ერთ საერთო საწოლზე ეძინა. თხუთმეტ თვეს ამ ჭაპანწყვეტაში იყო. წაეკიდა ლაპოსა და ლოდოვიკოს, რომლებიც თურმე ანგარიშში ატყუებდნენ

„ამ არამზადა ლაპომ, — სწერდა მამას მიქელანჯელო,— ხმა დაძიყარა, მე და ლოდოვიკო ვაკეთებთო ყველაფერს, თითქოსდა მართლაც ჩემი თანამშრომლები ყოფილიყვნენ. ვერაფრით ვერ შეიგნო, რომ თვითონ არ იყო უფროსი, სანამ ძაღლივით კარში არ გავაგდე“ [1].

ლაპო და ლოდოვიკო მწარედ ჩიოდნენ: ფლორენციაში მიქელანჯელოზე ცილისმწამებლური ხმა დაარხიეს და მამამისს ფული გამოძალეს, აქაოდა თქვენმა ვაჟმა გაგვყვლიფაო.

მერე ჩამომსხმელის უვიცობაც გამომჟღავნდა.

„მე მეგონა მეტრ ბერნარდინო უცეცხლოდაც შესძლებდა ჩამოსხმას. მისი ისე მჯეროდა“.

1507 წლის ივნისში ჩამოსხმა ვერ მოხერხდა. მხოლოდ წელამდე გამოვიდა ქანდაკება. ყველაფერი თავიდან გახდა დასაწყები. მიქელანჯელო 1508 წლის თებერვლამდე ამ საქმეს მოუნდა და კინაღამ ჯანიც ზედ შეალია:

„ჭამის დროც არა მაქვს, — სწერდა თავის ძმას, — უკიდურეს სიღატაკეში ვცხოვრობ; ხელის შეწყობაც არსაიდანა ჩანს. დღეღამ ჩემს სამუშაოზე ვფიქრობ. ისე ვიტანჯები, ისეთი გაჭირვება მადგას, ერთხელ კიდევ რომ მომიხდეს ამ ქანდაკების ჩამოსხმა, ვფიქრობ, ვეღარ გადავიტან.

ამ საქმეს გოლიათური ძალა სჭირდება“ [2].

ამ მძიმე ჯაფის შედეგი უმნიშვნელო გამოდგა. იულიუს II-ის

---

[1] 1507 წლის 8 თებერვალს მამისადმი მიწერილ ბარათში.

[2] 1507 წლის 29 სექტემბერსა და 10 ნოემბერს მიწერილ ბარათებში.

ძეგლი, 1508 წლის თებერვალს სან-პეტრონიოს ფასადის წინ აღმართული, ადგილზე მხოლოდ რამდენიმე წელს დარჩა. 1511 წლის დეკემბერში ეს ქანდაკება დაანგრია ბენტივოლოს პარტიამ, რომელიც იულიუს II-ს ექიშპებოდა. ნამსხვრევები კი ალფონსო ესტელმა იყიდა ზარბაზნის ჩამოსასხმელად.

* * *

მიქელანჯელო რომს დაბრუნდა. იულიუს II-მ მას მეორე საქმე დაავალა, პირველზე არანაკლებ მოულოდნელი და სახიფათო. მხატვარს, რომელსაც ფრესკის ტექნიკისა არაფერი გაეგებოდა, სიქსტის კაპელის მოხატვა მიანდო. იტყოდით, პაპს შეუძლებლის მოთხოვნა სიამოვნებს, მიქელანჯელოს კი — მისი აღსრულებაო.

ამბობენ, ეს აზრი პაპს ბრამანტემ შთააგონაო. სწყინდა, პაპმა მიქელანჯელოზე გული რომ მოიბრუნა და დიდი ხნის მეტოქეს თავს ეს საქმე მოახვია, რითაც, მისი აზრით, ფლორენციელის დიდებას ჩრდილი მოეფინებოდა [1]. მიქელანჯელოსათვის ეს გამოცდა მით უფრო სახიფათო იყო, რომ იმავ 1508 წელს მისი მოქიშპე რაფაელიც იწყებდა ვატიკანის „სტანცების“ მოხატვას და უბადლო წარმატებასაც აღწევდა [2]; და მიქელანჯელომაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს საშიში პატივი თავიდან აეცილებინა; იქამდეც კი მივიდა, რომ თავის ნაცვლად პაპს რაფაელი შესთავაზა; ფრესკა ჩემი ხელობა არ არის და არაფერი გამომივაო. მაგრამ პაპმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მიქელანჯელოც იძულებული გახდა, დაეთმო.

ბრამანტემ კაპელაში ხარაჩოები დაუდგა. ფლორენციიდან მის დასახმარებლად რამდენიმე მხატვარი მოიწვიეს, რომელთაც ფრესკების ხატვის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მიქელანჯელო ვერავითარ დამხმარეებსა და დახმარებას ვერ იტანდა.

---

[1] ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს კონდივი. თუმცა მიქელანჯელოსათვის რომ სიქსტის კაპელა მოეხატვინებინათ, ამაზე მის ბოლონიაში გაქცევამდეც ყოფილა საუბარი. და მაშინ ეს ამბავი ძალიან სწყინდა ბრამანტეს, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა რომიდან გაეძევებინა თავისი მეტოქე (პიეტრო როსელის წერილი მიქელანჯელოსადმი, 1506 წლის მაისი).

[2] 1508 წლის აპრილ-სექტემბერში რაფაელმა მოხატა ე. წ. „Signatura“-ს დარბაზი („ათენის სკოლა“ და „რელიგიის ტრიუმფი“).

დაიწყო იმით, რომ ბრამანტეს ხარაჩოები უვარგისად სცნო და თვითონ აღმართა. მერე ფლორენციელი მხატვრებიც აითვალწუნა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე კარში გამოაგდო. „ერთ დღეს ჩამოაფხეკინა ყველაფერი, რაც მათ აქამდე ჰქონდათ დახატული, კაპელაში ჩაიკეტა და მათთვის კარის გაღება აღარ ისურვა; შინაც კი არ შეუშვა სალაპარაკოდ. მხატვრებმა პატარა ხანს ადროვეს, მერე კი, როცა დარწმუნდნენ, ხუმრობა ძალიან გაუგრძელდაო, ძალზე შეურაცხყოფილნი ფლორენციაში დაბრუნდნენ“ [1].

მიქელანჯელო მარტო დარჩა რამდენიმე შავი მუშის ამარა [2] და ნაცვლად იმისა, რომ ასეთ დიდ სიძნელეს მისი სითამამისათვის ფრთები შეეკვეცა, კიდევ უფრო გაზარდა პროექტი და თუმცა თავდაპირველად მხოლოდ თაღის მოხატვა ჰქონდა განზრახული, გადაწყვიტა, კედლებიც მიეყოლებინა.

ეს გიგანტური სამუშაო 1508 წლის 10 მაისს დაიწყო. ეს წლები მიქელანჯელოს სიცოცხლეში ყველაზე უფრო მძიმე და დიადი წლებია! ლეგენდარული მიქელანჯელო, სიქსტის კაპელის გმირი, კაცი, რომლის დიადი სახეც აღბეჭდილა და სამუდამოდ უნდა დარჩეს აღბეჭდილი კაცობრიობის მეხსიერებაში.

როგორ იტანჯა. მისი იმდროინდელი წერილები მოწმობენ უზომო სასოწარკვეთას, ღვთაებრივ სახეებშიც რომ ვერ ჰპოვებს ნუგეშს.

„სულიერად გატეხილი ვარ. უკვე ერთი წელია, რაც პაპისგან ფული არ მიმიღია. არც არაფერსა ვთხოვ. ნახატი ისე ნელა მიიწევს წინ, რომ სინდისი ნებას არ მაძლევს, გასამრჯელო ვითხოვო. ეს სიზანტე სამუშაოს სიძნელითაა გამოწვეული და კიდევ იმით, რომ ფრესკების ხატვა ჩემი ხელობა არ ყოფილა. ამიტომ დროს უქმად ვკარგავ და შედეგს კი ვერ ვღებულობ. ღმერთი იყოს ჩემი შემწე!“ [3]

„წარღვნის“ ხატვას რომ მორჩა, ნახატმა მაშინვე დაიწყო წახდომა. ობი მოეკიდა და ფიგურებიც კი ძნელი გასარჩევი გახდა. მიქელანჯელომ უარი თქვა სამუშაოს გაგრძელებაზე, მაგრამ პაპს არაფრის

---

[1] ვაზარი.

[2] 1510 წელს მამისადმი მინაწერ ბარათში მიქელანჯელო უჩივის ერთ-ერთ თანავის თანაშემწეს, არაფრის მაქნისია და იქით სჭირდებაო სამსახური... „ეგღა მაკლდა! თითქოსდა სხვაფრივ ჩემს ბედს ძაღლი არა ჰყეფდეს... ეს კაცი პირდაპირ შაე დღეში მაგდებს“.

[3] მამისადმი 1509 წლის 27 იანვარს მიწერილი ბარათი.

გაგონება არ სურდა და მიქელანჯელოც იძულებული გახდა კვლავ გა-ნეგრძო სამუშაო.

მის დაღლილობასა და მწუხარებას მისიანები კიდევ უფრო ამძაფ-რებდნენ. მთელი ოჯახი კისერზე აწვა; ბოროტად იყენებდნენ მის სი-კეთეს და სიცოცხლეს უსწრაფებდნენ. მამამისი სულ წუწუნებდა, სულ უფულობას უჩიოდა და მიქელანჯელოც იძულებული იყო გაემხნევე-ბინა მოხუცი, თუმცა თვითონაც ხელის შემწყობი და შემძახებელი სჭირდებოდა.

„ნურას ნაღვლობთ. ეგ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი როდია. რაც გაბადიათ, ყველაფერი რომ წაგართვან, სანამ პირში სული მიდ-გას, მე თქვენ არაფერს მოგაკლებთ... მირჩევნია, თავად ღატაკი ვიყო და ვიცოდე, რომ ცოცხალი მყავხართ, ვიდრე მთელი ქვეყნის ოქრო მქონდეს და თქვენ მკვდრად გიგულოთ. თუ სხვებსავით არ შეგიძ-ლიათ ყველა ამქვეყნიური პატივი იქონიოთ, ხმელა პურს უნდა დას-ჯერდეთ და უფლის წიაღში საწყლადა და პატიოსნად უნდა იცხოვ-როთ, როგორც მე ვცხოვრობ. მეც უპოვარი ვარ და არ ვზრუნავ არც ცხოვრებაზე, არც პატივზე და არც სხვა რამ ამქვეყნიურზე. სულს ძლივსღა ვღაფავ ეჭვებითა და უნდობლობით გარემოცული. თხუთმეტი წელია, მოსვენება არ მინახავს. ყველაფერი გავაკეთე თქვენს დასახმარებლად, თქვენ კი არასოდეს მადლობაც არ გითქვამთ. არც კი გესმით ჩემი. ორივეს ღმერთმა შეგვინდოს! მზად ვარ კვლავაც შეგე-წიოთ, სანამ პირში სული მიდგას. ოღონდ კი შევიძლო!“ [1]

სამივე ძმა ექსპლოატაციას უწევდა. მისგან მხოლოდ ფულსა და პატივს გამოელოდნენ. ურცხვად უფლანგავდნენ ფლორენციაში წვი-თა და დაგვით შეგროვილ თანხას: რომშიაც აკითხავდნენ და თვეო-ბით მის ხარჯზე ცხოვრობდნენ. ბუონაროტო და ჯოვანი სიმონე მისი ფულით სავაჭრო დუქნებს იძენდნენ, ჯისმონდო მიწებს ყიდულობდა ფლორენციის მახლობლად და მადლობასაც კი არ ეუბნებოდნენ, თითქოსდა მიქელანჯელო მოვალე იყო, მათთვის თავი გაეწირა. კარ-გად ესმოდა, რომ ძმები უნამუსოდ ყვლეფდნენ, მაგრამ სიამაყე ამის გამხელის ნებას არ აძლევდა. ძმები ამასაც არ სჯერდებოდნენ და მი-ქელანჯელოს იქ არყოფნაში მამას უდიერად ექცეოდნენ. მაშინ მი-

---

[1] მამისადმი მიწერილი ბარათი, 1509—1512 წწ.

ქელანჯელო მუქარას იწყებდა და ძმებს, როგორც ონავარ ბიჭებს, ისე ტუქსავდა. ხელში რომ ჩავარდნოდნენ, მოჰკლავდა კიდეც...

„ჯოვანი სიმონე [1],

ნათქვამია, კარგს მადლი სიკეთეს ჰმატებს, ბოროტს კი უფრო აბოროტებსო. აი უკვე რამდენი წელია ვცდილობ კეთილი სიტყვითა და კეთილის ქცევით პატიოსან გზასა გწიო და მამასა და ჩვენთან ერთად მშვიდად გაცხოვრო. შენ კი სულ უფრო და უფრო უარესდები. კიდევ შემეძლო ბევრი რამ მეთქვა, მაგრამ ტყუილი გარჯა იქნებოდა. მხოლოდ ერთს გეტყვი და დაიხსომე, ქვეყნად არაფერი გაბადია, ცხოვრების სახსარს სამადლოდ გაძლევ, რადგან მეგონა, შენც სხვებსავით ჩემი ძმა იყავი. მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ ძმა არ ყოფილხარ. ძმა რომ იყო, მამაჩვენს ასე არ მოექცეოდი. მხეცი ყოფილხარ და მეც მხეცსავით მოგექცევი. იცოდე, კაცი თუ ხედავს, რომ მამამისს უდიერად ეპყრობიან, მისთვის თავი უნდა გასწიროს... მაგრამ კარა ამათზე ლაპარაკი... მითქვამს, რომ არაფერი გაგაჩნია დედამიწის ზურგზე და თუ შენზე კიდევ გავიგე რამე, ჩამოვალ და გასწავლი, როგორ უნდა სხვისი მონაგარი ქონების განიავება, ან როგორ უნდა მისცე ცეცხლს სახლი და ადგილ-მამული, რომელიც შენ არ შეგიძენია. ნახტომი შეგეშალა, ჯოვანი სიმონე. მანდ თუ მოვედი, ისეთ რამეებს გიჩვენებ, რომ სულ ცხარე ცრემლით გატირებ და გაგაგებინებ, რაზედ ამყარებ შენს სითავხედეს. თუ შეეცდები კარგად მოიქცე, გვასახელო და პატივი სცე მამაჩვენს, უწინდებურად შეგეწევი და სულ მოკლე ხანში დუქანსაც შეგძენ. მაგრამ თუ არ გამიგონებ, მოვალ და დაეთრევს ისე აგირ-დაგირევ, რომ გაგაგებინებ, ვინა ხარ და რა გაგაჩნია დედამიწის ზურგზე. ჭკუით იყავი! თორემ მოვალ და, რაც სიტყვით დაგაკელი, საქმით შეგისრულებ.

მიქელანჯელო.

---

[1] ჯოვანი სიმონე უდიერად მოპყრობია მამას. მიქელანჯელო ამ უკანასკნელს სწერდა: „თქვენი წერილიდან შევიტყვე, როგორ მიდის მანდ საქმე და როგორ გეპყრობათ ჯოვანი სიმონე. ათი წელია, რაც ამაზე ცუდი ამბავი არ მსმენია... რომ შემძლებოდა, წერილის მიღებისთანავე შევჯდებოდი ცხენზე, თქვენკენ გამოვეშურებოდი და ყველაფერს მოვაგვარებდი. მაგრამ არ შემიძლია და წერილსა ვწერ. თუ ხასიათი არ იცვალა, სახლიდან კიდევ ერთი ქინძისთავიც თუ წაიღო, ან სხვა თქვენი უნებური რამ ჩაიდინა, მაცნობეთ: პაპს შეებულებასა ვთხოვ და მაშინვე ჩამოვალ თქვენთან“ (1509 წლის გაზაფხულს).

ორ სიტყვას კიდევ გეტყვი. აგერ უკვე თორმეტი წელია, მთელი იტალიის დასანახად მათხოვარივით ვცხოვრობ. ყოველგვარ სირცხვილსა და გაჭირვებას ვიტან, წელებზე ფეხს ვიდგამ, თავს ათას საფრთხეში ვიგდებ, რომ როგორმე ოჯახს ვუშველო. და ახლა, როცა ძლივს წელში გავიმართეთ, თავს იმით ირთობ, რომ გსურს ერთ საათში დამინგრიო ის, რის აგებასაც ამდენი დრო და ჯანი შევალიე. დალახვროს ღმერთმა, ეგ არ ეგების! რადგან მე ისეთი ზნის კაცი ვარ, რომ თუ გაჭირდა, შემიძლია ათასობით შენისთანა გავაცამტვერო. ამიტომ ჭკუით იყავ და მოთმინებიდან ნუ გამოიყვან კაცს, ვისაც უშენოდაც თავზე საყრელი საქმე და საზრუნავი აქვს" [1].

მერე ჯისმონდოზე მიდგა ჯერი:

„მე აქ ვწვალობ და წელებზე ფეხს ვიდგამ. ერთი მეგობარიც არ გამაჩნია და არცა ვნატრობ. ეს ცოტა ხანია, რაც მაძღრისად ჭამა შევიძელ. აწი ნუღა გამაწვალებთ, რადგან მოთმინების ფიალა ამევსო" [2].

ბოლოს, მესამე ძმაც, სტროცის სავაჭრო სახლში რომ მსახურობდა, მას შემდეგ რაც უამრავი ფული დასცინცლა, მიქელანჯელოს აუხირდა და უსირცხვილოდ მოჰყვა ტრაბახს, მაგან რა მომცა, მე უფრო მეტი დავახარჯეო.

„მინდა მოვკითხო შენს უმადურობას, — სწერს მიქელანჯელო, — საიდან გაგიჩნდა შენ ეგ ფული; მინდა ვიცოდე, სანტა მარია ნუოვას ბანკიდან ჩემი ორას ოცდარვა დუკატი რომ გამოიტანეთ, თუღა გახსოვთ. სხვაც რამდენი ასი დუკატი გამომიგზავნია. თქვენს სარჩენად რამდენი ჯაფა და მღელვარება გადავიტანე. მინდა ვიცოდე, ყოველივე ეს თუღა გახსოვს. ჭკუა რომ გქონდეს და ჭეშმარიტების დანახვა შეგეძლოს, აღარ იტყოდი, ჩემი ამდენი დავახარჯეო; სულთამხუთავივით თავს არ დამადგებოდი, შენი საქმეებით არ გამაბეზრებდი და ამდენ ამაგს წყალში არ გადამიყრიდი. იტყოდი, „მიქელანჯელომ იცის, რასაც გვწერს და თუკი ახლა არ გვეხმარება, ალბათ, რაღაც ისეთი უშ-

---

[1] ჯოვანი სიმონესადმი მიწერილი ბარათი. ანრი ტოდე მას 1509 წლის გაზაფხულით ათარიღებს (მილანეზის გამოცემაში კი თარიღად 1508 წლის ივლისი უზის).

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჯოვანი სიმონე იმხანად უკვე ოცდაათი წლისა იყო და მიქალანჯელო მხოლოდ ოთხი წლით იყო მასზე უფროსი.

[2] ჯისმონდოსადმი 1509 წლის 17 ოქტომბერს მიწერილი ბაოათი.

ლის ხელს, რაც ჩვენ არ ვიცით. სჯობს, მოვითმინოთო". როცა ცხენი რაც ძალი და ღონე აქვს, მირბის, დეზი აღარ უნდა ჰკრა, რომ ვიდრე შეუძლია, იმაზე ჩქარა ირბინოს. მაგრამ თქვენ მე არასოდეს გცნობიეართ, არც ახლა მიცნობთ. ღმერთმა შეგინდოთ. სწორედ მან მომცა ძალა ამეტანა ყველაფერი, რაც თქვენს დასახმარებლად ვიტვირთე. მაგრამ თქვენ ამას მხოლოდ მაშინ იგრძნობთ, როცა მე ცოცხალი აღარ ვიქნები" [1].

ასეთი იყო უმადურობისა და შურის ატმოსფერო, რომელშიაც სულს ღაფავდა მიქელანჯელო. აქეთ უღირსი ოჯახი ყვლეფდა, იქით მოსისხლე მტრები უტევდნენ. თვითონ კი, ორ ცეცხლსშუა მოქცეული, სიქსტის გმირულ შედევრებს ქმნიდა. მაგრამ რა სასოწარკვეთილი შრომის საფასით! ცოტას გაწყდა, კინაღამ თავი ანება ყველაფერს და ხელახლა არ გაიქცა. ეგონა, მოკვდებიო [2] და ეგებ სანატრელადაც ჰქონდა სიკვდილი.

პაპს აბრაზებდა მისი სიზანტე და კიდევ ის, რომ მიქელანჯელო ჯიუტად უმალავდა ნახატებს.

„ერთ დღეს,—გვიამბობს კონდივი,—იულიუს II-მ ჰკითხა, როდის მორჩებითო სამუშაოს, მიქელანჯელომ ჩვეულებისამებრ უპასუხა: „როდესაც შევძლებ!" გაგულისებულმა პაპმა ჯოხი დაუღირა და თან დასძახოდა: „როდესაც შევძლებ! როდესაც შევძლებ!" მიქელანჯელო შინ გაიქცა და რომიდან წასასვლელად მზადება იწყო. მაგრამ იულიუს II-მ კაცი დაადევნა. მოციქულმა პაპს ბოდიში მოჰხადა, მისი ნაბოძები ხუთასი დუკატი მისცა ხელოვანს და დაამშვიდა, როგორც კი შეეძლო.

მიქელანჯელომ ეს ბოდიში მიიღო".

მაგრამ მეორე დღესვე თავიდან დაიწყო ყველაფერი. ბოლოს მოთმინებადაკარგულმა პაპმა ბრაზით უთხრა: „შენ, როგორც გატყობ, გინდა მაგ ხარაჩოებიდან ჩამოგაგდო!" და მიქელანჯელოც იძულებული გახდა, დაეთმო. ხარაჩოები ააშლევინა და 1512 წლის ყველაწმინდის დღესასწაულზე გამოაჩინა თავისი ნამუშევარი.

ეს გარდაცვლილ სულთა ათინათინით გაცოცხლებული ბრწყინვა-

---

[1] ბუონაროტოსადმი მიწერილი ბარათი (1513 წლის 30 ივლისს).

[2] წერილები, 1512 წლის აგვისტო.

ლე და პირქუში დღესასწაული ძალიან უხდებოდა ამ ზარდამცემი ნახატების გახსნას, რომლებშიაც მოჩანდა ღვთის მწყალობელი და მსახვრალი ხელი, ღვთისა, რომელიც ქარტეხილივით შთანთქავს ყოველს და ყველაფერს სასიცოცხლო სულს შთაბერავს ხოლმე.

II

ძალა დამსხვრეული

Rocl'è l'alla cholonna [1]

ამ გოლიათის საფერმა საქმემ მიქელანჯელოს სახელი მოუხვეჭა, მაგრამ ჯანი კი გაუტეხა; და რაკი სიქსტის თაღის მოსახატად თავი თვეების მანძილზე ზეაწეული ეჭირა, „ისე წაიხდინა მხედველობა, რომ დიდხანს წერილებსა და სხვა რამ საგნებს თავს ზემოთ იჭერდა, უკეთ რომ დაენახა“ [2]

ეოთ სახუმარო ლექსში თვითონაც დასცინის თავის უნიათობას:

განუზომელმა მწუხარებამ მაჩუქა ჩიყვი
და ლომბარდული კატის სენით ვარ შეპყრობილი.
უახლოვდება უკვე ნიკაპს ჩემი მუცელი,
ყალყზე დამდგარა გაწეწილი ჩემი თმა-წვერი.

ეს გახრეკილი თავის ქალა ჩამიძვრა მხრებში
ეადმოგდებული მკერდი ჩემი — ჰარპის მკერდია,
წვეთავს ფუნჯი და საღებავი სახეზე დამდის
და საღებავის ფორეჯებით ამჭრელებია.

სად არის ჩემი თეძოები, აღარ მეტყობა,
გამსიებია მხოლოდ გავა, გასულა განზე
და ფეხს არ ვიცი, როგორ ვადგამ, ბრმად მივაბიჯებ.

---

[1] და ჩამოიქცა სვეტი მაღალი. ლექსები, I.

[2] ვახაო.

სხეულზე ახლა მომჩვარული მკიდია ტყავი
და ძირს ეწევა ნაოჭებად ქცეული გავა.
ვარ დაჭიმული სირიული მშვილდ-ისარივით [1].

მაგრამ ამ მოჩვენებითმა მხიარულებამ არ უხდა მოგვატყუოს... მიქელანჯელო მწარედ განიცდიდა თავის სიმახინჯეს. მისი ჯერის კაცისათვის, ვინც ყველაზე უფრო მეტად ეტრფოდა ფიზიკურ სილამაზეს, საკუთარი სიგონჯე სირცხვილი იყო [2]. მის მადრიგალებში ბოჩანს კვალი ამ გულნაკლულობისა. ეს დაღი მით უფრო მწარედ აჩნდა მის სულს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწვავდა სიყვარული და, როგორც ჩანს, სიყვარულითვე არ უპასუხებდნენ. მაშინ თავის თავში იკეტებოდა და პოეზიას ანდობდა თავის სინაზესა და თავის დარდებს.

ლექსებს ბავშვობიდანვე წერდა: მისთვის ეს სულიერი მოთხოვნილება იყო. ნახატებს, წერილებს ნაწერებით ავსებდა, ისევ უბრუნდებოდა და გამუდმებით ასწორებდა და ასწორებდა. საბოლოოდ, 1518 წელს დაწვა თავისი ყრმობისდროინდელი ლექსები. ზოგიაც სიკ-

---

[1] ლექსები, IX.

ეს ლექსი, ფრანჩესკო ბერნის ლექსებივით ბურლესკურ ყაიდაზე დაწერილი, ჯიოვანი და პისტოიასადმია მიძღვნილი; ფრეი მას 1510 წლის ივნის-ივლისით ათარიღებს. ბოლო სტრიქონებში მიქელანჯელო გადაკვრით ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, სიქსტის კაპელის მოხატვისას რომ აწყდებოდა და თავს იმით იმართლებს, მხატვრობა ჩემი ხელობა არ არისო:

ისევე როგორც ჩემი სხეული,
გაუცნაურდა, გაუხეშდა ჩემი გონება,
წელში გამართვა ძნელი არის მოხრილი ლერწმის,

ო, ჯიოვანი, ჩემი ნაღვაწიც
ბრის ასევე, ჩემს ღირსებას შენ თუ დაიცავ.
არ ვარ მხატვარი და მხატვრობა უცხოა ჩემთვის...

[2] ანრი ტოდემ კარგად შენიშნა მიქელანჯელოს ხასიათის ეს თვისება თავის „მიქელანჯელო და გვიანი აღორძინების" პირველ ტომში (ბერლინი, 1902 წელი).

ვდილის წინ მოულო ბოლო. მაგრამ ის მცირედიც, რაც გადარჩა. ნათელ წარმოდგენას გკაძლევს მის ვნებებზე [1].

ყველაზე ადრინდელი ლექსი დაწერილი უნდა იყოს ფლორენციაში, დაახლოებით 1504 წელს [2]:

მე ვიყავ დღემდე ბედნიერი, ვცხოვრობდი მშვიდად,
ვინარჩუნებდი, სიყვარულო, სულის თანხმობას,
ვუმკლავდებოდი შენს სიშმაგეს და გამარცხებდი!
ახლა კი ცრემლი მკერდს მისველებს. ხარ უძლეველი [3].

1504—1511 წლებს შორის დაწერილი ეს ორი მადრიგალიც უთუოდ იძავე ქალისადმია მიძღვნილი და გულში ჩამწვდომი შთამბეჭდაობითაა სავსე:

ეს ვინ მეწევა ან რა ძალას მოვყავარ შენკენ...
ო, ვაგლახ! ვაგლახ!
თავისუფალი ვარ და მაინც ვინ მიკრავს ხელებს?

Chi è quel che per forzaa te me mena,
Ohime, ohime, ohime!
Legalo e stretto, e son libero e sciolto? [4]

რატომ არ ვგავარ, მე რომ ვიყავ ოდესღაც, იმას...
ო. ღმერთო! ღმერთო! ღმერთო!
ვინ დამაშორა ჩემს თავს?
ანდა ჩემი სურვილი
ვის ძალასა და ნება-სურვილს დაემორჩილა?
ო, ღმერთო! ღმერთო! ღმერთო!
Come puo esser, ch'io non sia piu mio?
O Dio, o Dio, o Dio!
Chi m'ha tolto a me stesso,

---

[1] მიქელანჯელოს ლექსების სრული კრებული პირველად მისმა ძმისწულის შვილმა გამოაქვეყნა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში სათაურით „მიქელანჯელო ბუონაროტის ლექსები, შეკრებილი მისი ძმისწულის მიერ“. წიგნი 1623 წელს დაბეჭდილა ფლორენციაში. იგი შეცდომებითაა სავსე. ცეზარე გუასტიმ 1863 წელს ფლორენციაშივე გამოსცა მიქელანჯელოს ლექსთა პირველი, თითქმის სრული კრებული; მაგრამ ერთადერთი, ნამდვილად მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის კარლ ფრეის. წიგნი ბერლინშია დაბეჭდილი 1897 წელს სათაურით: „მიქელანჯელო ბუონაროტის ლექსები, შეკრებილი და კომენტირებული დოქტორ კარლ ფრეის მიერ“. მეც ამ წიგნს ვიმოწმებ ხოლმე ამ ბიოგრაფიაში.

[2] ამავე ფურცელზე დახატულია მეომარი ცხენები და ადამიანები.

[3] ლექსები, II.

[4] იქვე, V.

Ch'à me fusse piu psesso
O più di me potessi, che poss'io?
O Dio, o Dio, o Dio![1]

ბოლონიიდან 1507 წლის დეკემბერში გამოგზავნილი წერილის მეორე მხარეს გვხვდება ეს ჭაბუკური სონეტი, რომლის გრძნობადი სინატიფეც ბოტიჩელის ხილვას მოგვაგონებს:

კურთხეულია ბედნიერი მისი გვირგვინი,
რთავს ყვავილების გაზაფხული ოქროს კულულებს,
რომ ჩასს შუბლი დაუმშვენოს და რომ პირველად
მას ეამბოროს, ეჯიბრება ყვავილი ყვავილს!

კურთხეულია, კურთხეული ოქროს ქსოვილი,
მკერდზე რომ ეკვრის, ითენთება და ეფერება,
ეალერსება მოუღლელი ყელსა და ღაწვებს
და ბედნიერი იშლება და ეშვება ქვევით.

კურთხეულია კიდევ ბაფთა მოოქროვილი,
რომელიც იმის მკერდს ეხება მუდამ დღე ფრთხილად,
ასე მსუბუქი, უზრუნველი, ათრთოლებული.

და ვნებიანი თითქოს ამბობს მისი სარტყელი:
„მსურს მოვეხვიო, მოვეხვიო სამარადისოდ...“
ოჰ... ეს ხელები სად წავიღო, მითხარით რა ვქნა![2]

ერთ გრძელ, ინტიმურ ლექსში, აღსარებას რომ ედარება[3] და რომლის ზუსტად თარგმნა შეიძლება კიდეც გაჭირდეს, მიქელანჯელო უჩვეულო გულახდილობით აღწერს თავის სამიჯნურო ვნებებს:

ის დღე რა დღეა, თუ დაღამდა და ვერ გიხილე,
ვეღარ ვისვენებ, მეკარგება სიმშვიდე სულის
და თუ გიხილე, თუ გიხილე, ისე ვარ, თითქოს
დიდი ხნის შემდეგ დამშეულმა ვიხილე საზრდო...
რომ გამიღიმებ და ქუჩაში მომესალმები,

---

[1] ლექსები, VI.

[2] იქვე, VII.

[3] ეს გამოთქმა ფრეის ეკუთვნის, რომელიც ამ ლექსს რატომღაც 1531—32 წლებით ათარიღებს; ჩემის აზრით კი გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი.

ვით თოფის წამალს, ცეცხლი ისე წამეკიდება...
და თუ ხმა გამეც, მღელვარებით ხმა მეკარგება,
აღარ არსებობს და მიქრება მძაფრი სურვილი... [1]

ამას ისევ მწარე კვნესა და ჩივილი მოსდევს:

ო, დასასრული არა აქვს ტანჯვას
და მეფლითება გული წამებულს,
რადგან ის მიყვარს, ვინც სიყვარული
არ იცის რაა! როგორ ვიცოცხლო?..

Ah! che doglia 'nfinita
Sente 'l mio cor, quando li torna a mente,
Che quella ch'io tant'amo amor non sente!
Come restero 'n vita?

აი ეს ლექსიც, მედიჩთა კაპელაზე დასახატი ღვთისმშობლის ესკიზის ქვეშ რომაა მიწერილი:

მე ვდგევარ მხოლოდ აღგზნებული, მე ვდგევარ ჩრდილში,
არის ქვეყანა მზის სხივებით გაშიშვლებული.
ხარობს ყოველი; მხოლოდ მე ვარ დედამიწაზე
ძირს დაცემული, სევდიანი, ეკვნესი და ვტირი [3].

---

[1] ლექსები, XXXVI.

[2] ლექსები, XIII.

იმავე პერიოდშია დაწერილი ეს შესანიშნავი მადრიგალიც, რომელიც კომპოზიტორმა ბარტოლომეო ტრომბონჩინომ 1518 წლამდე მუსიკაზე გადაიტანა.

როგორ შევძლებდი, ჩემო საუნჯევ,
უთქვენოდ ყოფნას და არსებობას,
თუ შემწეობას არ მოგთხოვდით განშორებისას!
გამოთხოვების ცხარე ცრემლი, ჩემო მადონავ,
და კიდევ ოხვრა უნუგეშო, თქვენ მიგახვედრებთ,
ოოგორ გშორდებით, ვით ვიტანჯები
და რა ახლოა სიკვდილი ჩემი.
მაკრამ თუ იგი მართალია, რომ ჩემს სამსახურს
აო დაივიწყებთ არასოდეს, ეს გული მაშინ
დე, იყოს თქვენი თანამდევი, მე არ მეკუთვნის.

[3] ლექსები, XXII.

Sol' io ardendo all' ombra mi rimango
Quand' el sol de suo raggio el mondo spoglia;
Ogni altro per piaciere, e io per doglia,
Prostrato in terra, mi lamento e piangho.

სიყვარულმა მიქელანჯელოს ძლიერ ქანდაკებებსა და მხატვრობაში ვერ ჰპოვა ადგილი. მათში ხელოვანმა მხოლოდ თავის ყველაზე უფრო გმირულ აზრებს შთაბერა სული. ეტყობა, რცხვენოდა ხვაშიადის გამხელა. მხოლოდ პოეზიას გაუხსნა გული. ჩვენც პოეზიაში უნდა ვეძიოთ საიდუმლო ამ მოსიყვარულე და უნდო გულისა, უხეში გარეგნული საფარის ქვეშ რომ იმალებოდა:

Amando, a che son nato?
მე მიყვარს, მიყვარს, რად დავიბადე? [1]

* * *

სიქსტის კაპელის მოხატვისა და იულიუს II-ის სიკვდილის შემდეგ [2] მიქელანჯელო ფლორენციას დაბრუნდა და კვლავ მიჰყო ხელი იმ სამუშაოს, რომლისკენაც გული უწევდა: ისევ მოაწერა კონტრაქტს ხელი და ივალდებულა შვიდ წელიწადში დაესრულებინა იულიუს II-ის საფლავის ძეგლი [3]. თითქმის სამი წელი მხოლოდ ამ ძეგლზე მუშაობდა [4]. ამ შედარებით მშვიდ პერიოდში, მელანქოლიური და ნათელი სიმწიფის ჟამს, როცა სიქსტის მხურვალე ვნებები დაცხრა, როგორც მღელვარე ზღვა ცხრება ხოლმე მოქცევის შემდეგ, მიქელანჯელო ჰქმნის თავის ყველაზე მეტად სრულყოფილ ნაწარმოებებს, რომლებიც მისი ვნებებისა და ნებისყოფის წონასწორობას ყველაზე

---

[1] ლექსები, CIX, 35.

შეადარეთ ეს სამიჯნურო ლექსები, სადაც ტრფობა და ტანჯვა სინონიმებადაა ქცეული, რაფაელის გრძნობადი ექსტაზით აღბეჭდილ, გულუბრყვილო და მოუქნელ სონეტებს, „რელიგიის ტრიუმფის“ ესკიზების უკანა მხარეს რომაა მიწერილი.

[2] იულიუს II გარდაიცვალა 1513 წლის 21 თებერვალს, სიქსტის ფრესკების გახსნიდან სამი თვის შემდეგ.

[3] 1513 წლის 6 მარტს დადებული კონტრაქტი. ახალ გეგმაში, რომელიც პირველს გაცილებით სჭარბობდა, ოცდათორმეტი ქანდაკება იყო გათვალისწინებული.

[4] როგორც ჩანს, მიქელანჯელომ იმხანად მხოლოდ ერთი შეკვეთა მიიღო. დათანხმდა გამოექანდაკებინა „ქრისტე“ ბიეტრასათვის.

უკეთ გამოხატავენ: „მოსესა“ [1] და ლუვრის „მონებს“ [2]. მაგრამ შესვენებამ დიდხანს არ გასტანა. სულ მალე დაჭროლა ქარიშხლიანი ცხოვრების ტალღამ და კვლავ წყვდიადში ჩააგდო მიქელანჯელო.

ახალმა პაპმა, ლეონ X-მ განიზრახა თავისი წინამორბედის განდიდების საქმისათვის ჩამოეცილებინა იგი და თავისი სახელის სადიდებლად გამოეყენებინა. პატივმოყვარეობა ამოძრავებდა, თორემ მის ეპიკურულ ბუნებას მიქელანჯელოს მწუხარე გენიასთან რა ჰქონდა საერთო? [3] თავად უპირატესობას რაფაელს ანიჭებდა, მაგრამ სიქსტის კაპელის მომხატველი კაცი მთელი იტალიის სიამაყე იყო და ლეონ X-ს სურდა თავის კარზე ჰყოლოდა იგი.

ახალმა პაპმა სან-ლორენცოს, მედიჩითა ფლორენციული ეკლესიის ფასადის შექმნა შესთავაზა მიქელანჯელოს. რაფაელს მის იქ არყოფნაში რომაელ ხელოვანთა შორის პირველი ოსტატის სახელი დაემკვიდრებინა [4] და მასთან მეტოქეობით წაქეზებული მიქელანჯელოც ადვილად დათანხმდა ეტვირთა ეს ახალი სამუშაო, რომლის შესრულებაც არასგზით არ შეეძლო, თუკი ძველს არ მიატოვებდა. ეს სამუშაო მისთვის დაუსრულებელი ტანჯვის წყაროდ იქცა. ცდილობდა

[1] „მოსე“ უნდა ყოფილიყო ერთი იმ ექვს უზარმაზარ ქანდაკებათაგანი, რომლებიც საფლავის ძეგლის მეორე სართულის შესამკობად იყო განზრახული. მიქელანჯელოს მასზე მუშაობა არ შეუწყვეტია 1545 წლამდე.

[2] „მონები“, რომლებზედაც მიქელანჯელო 1513 წლიდან მუშაობდა, 1546 წელს თვითონვე გადასცა ფლორენციელ რესპუბლიკელს რობერტო სტროცის, რომელიც იმხანად საფრანგეთში იყო გადახვეწილი. ამ უკანასკნელმა ქანდაკებები მიქელანჯელოს სახელით ფრანცისკ I-ს მიართვა.

[3] მიქელანჯელოს გულმოწყალედ ეჭცეოდა, მაგრამ მისი ეშინოდა კიდეც. მასთან თავს უხერხულად გრძნობდა:

„როცა პაპი თქვენზე ლაპარაკობს, — სწერს სებასტიანო დელ პიომბო მიქელანჯელოს, — ზედვე ეტყობა, რომ ღვიძლ ძმებში არ გამოერჩევთ; ცრემლიც კი მოადგება ხოლმე თვალზე. შიამბო, ერთად გავიზარდეთო და მარწმუნებს, რომ უყვარხართ და შესანიშნავადაც გიცნობთ; მაგრამ თქვენ შიშსა გერით ყველას, — თვით პაპებსაც კი“ (1520 წლის 27 ოქტომბერს).

ლეონ X-ის კარზე მიქელანჯელოს დასცინოდნენ, გაუფრთხილებელი ლაპარაკი რომ იცოდა, იმიტომ. განსაკუთრებით რაფაელის მფარველ კარდინალ ბიბიენასადმი მიწერილმა ერთმა უხეირო წერილმა გაახარა მისი მტრები. „სასახლეში ყველას ეგ წერილი აკერია პირზე და საცინლად გიგდებენ“.—სწერდა სებასტიანო მიქელანჯელოს (1520 წლის 3 ივლისს).

[4] ბრამანტე 1514 წელს გარდაიცვალა და იმწამსვე რაფაელი დაინიშნა წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობის მეთვალყურედ.

დაერწმუნებინა თავისი თავი, რომ ერთდროულად იულიუს II-ის საფლავის ძეგლის დასრულებასაც შესძლებდა და სან-ლორენცოს ფასადსაც ააშენებდა[1]. განზრახული ჰქონდა, სამუშაოს მეტი წილი თანაშემწეებისათვის მიენდო, თვითონ კი მხოლოდ უმთავრესი ფიგურები გამოექანდაკებინა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, თანდათან ისე გაიტაცა საკუთარმა წამოწყებამ, რომ აღარ ისურვა ეს პატივი სხვისთვის გაეყო. ის კი არა და, სულ ეშინოდა, პაპს არ წაერთმია მისთვის ეს სამუშაო და ემუდარებოდა ლეონ X-ს, ბორკილს ნუ ამხსნითო.

ცხადია, იულიუს II-ის საფლავის ძეგლზე მუშაობა ვეღარ შესძლო. მაგრამ ყველაზე მეტად სავალალო ისაა, რომ სან-ლორენცოს ფასადიც ვერ ააგო. სხვასთან თანამშრომლობა არ იკადრა, მაგრამ მარტო ამასაც არ დასჯერდა: ყველაფერი თვითონ, სხვის დაუხმარებლად სურდა გაეკეთებინა და იმის მაგივრად, რომ ფლორენციაში დარჩენილიყო და თავის ქანდაკებებზე ემუშავა, კარარის მიაშურა, რათა მარმარილოს ამოღებისათვის ედევნებინა თვალყური. იქ უამრავ დაბრკოლებათა გადალახვა მოუხდა. მედიჩებს სურდათ კარარის ნაცვლად პიეტროსანტეს ქვის სამტეხლოები გამოეყენებინათ, რომლებიც ფლორენციას იმხანად ჰქონდა შეძენილი, და რაკი მიქელანჯელო კარარელებს მიემხრო, პაპმა ბრალი დასდო, თავი კარარელებს მიჰყიდაო[2].

---

[1] „მე მინდა ისე ავაგო ეს ფასადი, რომ მთელს იტალიას არქიტექტურისა და ქანდაკების სარკედ ექცეს. ოღონდ პაპმა და კარდინალმა (ჟიულ დე მედიჩიმ, მომავალმა კლიმენტ VII-მ) დროზე უნდა გადაწყვიტონ, მომანდობენ თუ არა ამ საქმეს: და თუ მომანდობენ, კონტრაქტი უნდა დავდოთ... მესერ დომენიკო, გთხოვთ, მათი აზრი დანამდვილებით გამაგებინოთ. ამით უდიდეს სიხარულს მომგვრით". (დომენიკო ბუონინსენინადმი მიწერილი ბარათი, 1517 წლის ივლისს).

ლეონ X-მ 1518 წლის 19 იანვარს მოაწერა კონტრაქტს ხელი. მიქელანჯელო კისრულობდა რვა წელიწადში აეგო ეკლესიის ეს ფასადი.

[2] კარდინალ ჟიულ დე მედიჩის წერილი მიქელანჯელოსადმი, 1518 წლის 2 თებერვალს მიწერილი: „ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ კარერელების მხარეს პირადი გამორჩენის მიზნით იქერთ და ამიტომაც ცდილობთ, რომ პიეტროსანტეს ქვის სამტეხლოებს გაუტეხოთ სახელი... სხვა რამ განსჯაში ახლა არ შეგვალთ, მაგრამ გაცნობებთ, რომ მის უწმინდესობას სურს, ყველაფერი, რაც დამზადდება, მხოლოდ და მხოლოდ პიეტრაოსანტეს მარმარილოთი იყოს გაკეთებული... თუ არ გაგვიგონებთ, ვიფიქრებთ, რომ მისი უწმინდესობისა და ჩვენს ნებას განზრახ აღუდექით წინ და მაშინ ჩვენი რისხვა თავს სამართლიანად დაგატყდებათ... ამიტომ გიჯობთ, გადაიგდოთ გულიდან ეგ ჯიუტი სურვილი".

მერე კი, როცა იძულებული გახდა პაპის ბრძანებას დამორჩილებოდა, კარარელები აუხირდნენ, ლიგურელ მეზღვაურებთან შეჰკრეს პირი, ისე, რომ გენუიდან პიზას მიმავალი ვერც ერთი ნავი ვერ იშოვა მიქელანჯელომ და იძულებული გახდა, მარმარილოს გადმოსატანად უგზო მთებსა და ჭაობიან დაბლობებში გზა გაეყვანა[1]. მკვიდრ მოსახლეობას არ უნდოდა ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო. მათ არც თანხის გაღება სურდათ და არც გზის გაყვანაში ხელის შეწყობა. მუშებს ამ საქმისა არაფერი გაეგებოდათ: ქვის სამტეხლოები ახალი იყო; ხალხს გამოცდილება აკლდა. მიქელანჯელო მწარედ ჩიოდა: „მიცვალებულთა გაღვიძება მომინდომებია. რაკი გადავწყვიტე დამემორჩილებინა მთები და აქ ხელოვნება შემომეტანაო"[2].

მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა:

„მე შევასრულებ იმას, რასაც შეგპირდით, რადაც უნდა დამიჯდეს. ღვთის შემწეობით შევქმნი უმშვენიერეს ნაგებობას, რომლის ბადალიც თავის დღეში არ უნახავთ იტალიის ზურგზე".

რამდენი ძალა, ენთუზიაზმი, ნიჭი და უნარი დაიხარჯა უსაგნოდ! 1518 წლის სექტემბრის მიწურულს სერავეცში გადაღლილობისა და უსიამოვნებისაგან ლოგინად ჩავარდა. შესანიშნავად ესმოდა, რომ ასეთი შავი სამუშაო ჯანმრთელობას ურყევდა და მის ოცნებებსაც ფრთებს აკვეცდა. გულით უნდოდა, ბოლოს და ბოლოს, დაეწყო მუშაობა და გული ეთანაღრებოდა, რაკი საშუალება არ ჰქონდა. გარს სხვა სამუშაოები შემოჯარვოდნენ და აჩქარებდნენ, მაგრამ ვეღარც მათ ასრულებდა[3].

---

[1] „ნავების ძებნაშ. გენუამდეც კი ჩავედი... მაგრამ კარარელებმა ყველა გემთმეპატრონე მოისყიდეს... იძულებული ვარ პიზას ჩავიდე"... (მიქელანჯელოს წერილი ურბინოსადმი, 1518 წლის 2 აპრილს). „პიზას ნავები ვიქირავე, მაგრამ ბათ ჩამოსვლას აღარ დაადგა საშველი. მგონი, გამაცურეს: მუდამ ასეთია ჩემი ბედი! დაიქცეს ის დღე, როცა კარარიდან წამოვედი! იმან დამღუპა, იმან ამირია სუყველაფერი"... (1518 წლის 18 აპრილის წერილი).

[2] 1518 წლის 18 აპრილის წერილი. — მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ისევ წერდა: „ქვის სამტეხლო ძალიან ციცაბოზეა; მუშებიც გამოუცდელები არიან: უნდა მოვითმინოთ! უნდა დაეთრგუნო მთები და გავწვრთნა ადამიანები"... (ბერტო და ფილიკაიასადმი 1518 წლის სექტემბერს მიწერილი ბარათი).

[3] „ქრისტე" მინერვასათვის და იულიუს II-ის საფლავი.

„მოუთმენლობისაგან სული მიმდის, მაგრამ ჩემი უბედო ბედი როდი მანებებს ვაკეთო ის, რაც გულით მინდა. ჯავრი მკლავს, თავი მატყუარა მგონია, თუმცა რაც ხდება, იმაში მე არ მიმიძღვის ბრალი“ [1].

ფლორენციიდან დაბრუნებულს გული ელეოდა ძარძარილოთი დატვირთული ფლოტილიის მოლოდინში. მაგრამ არნო დაშრა და ნავები, რომლებზედაც მარმარილო იყო დაწყობილი, მდინარის აღმა წელზე ვეღარ ამოდიოდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, ამოვიდნენ. ამჯერად მაინც თუ შეუდგება მუშაობას? — არა, ისევ ქვის სამტეხლოებს მიაშურებს. არაფრის დიდებით არ სურს სამუშაოს დაწყება, როგორც მაშინ, იულიუს II-ის საფლავის ძეგლზე მუშაობისას, სანამ მარმარილოს ზვინებს არ დაიგროვებს. სამუშაოს სულ სდებს და სდებს. იქნებ უფრთხის კიდეც. ძალიან ბევრი ხომ არ იტვირთა? დაუფიქრებლად ხომ არ მოჭკიდა ხელი ამ უზარმაზარ არქიტექტორულ სამუშაოს? არქიტექტურა ხომ მისი ხელობა არ ყოფილა. ან კი სად უნდა ესწავლა? უთუოდ აშის ბრალია, რომ ახლა ბიჯიც ვერ წაუდგამს წინ და ვეღარც უკან დაუხევია.

ამ ჭაპანწყვეტამ მარმარილოს მშვიდობიანად ჩამოტანაც კი ვერ უზრუნველყო. ფლორენციას გამოგზავნილი ექვსი მთლიანი სვეტიდან ოთხი გზაშივე დაიმტვრა, ერთს თვით ფლორენციაში მოეღო ბოლო. მუშებმა მოატყუეს მიქელანჯელო.

ბოლოს, პაპსა და კარდინალ მედიჩის მოთმინება გაუწყდათ, რაკი ხედავდნენ, რომ ძვირფასი დრო უქმად იხარჯებოდა ქვის სამტეხლოებსა და მტვრიან გზებზე. 1520 წლის 10 მარტს პაპის დეკრეტმა გაუქმა 1518 წელს დადებული ხელშეკრულება სან-ლორენცოს ფასადის აგების თაობაზე. მიქელანჯელომ ეს მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა პიეტროსანტეში მის შესაცვლელად მუშათა ჯგუფი ჩამოვიდა და საშინელი შეურაცხყოფა იგრძნო:

„არ ვუთვლი კარდინალს სამი წელი უქმად რომ დამაკარგვინა კარარის გზებზე, სათვალავში არ ვაგდებ არც იმას, რომ გავკოტრდი

[1] წერდა იგი 1518 წლის 21 დეკემბერს აჟენის კარდინალისადმი მიწერილ ბარათში. ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს ბობოლის გამოქვაბულში მდგარი ოთხი დაუმთავრებელი ქანდაკება (ოთხი „მონა“ იულიუს II-ის საფლავის ძეგლისათვის).

სან-ლორენცოზე მუშაობისას, სათვალავში არ ვაგდებ არც იმ წყენას, რომელიც მომაყენეს, რაკი მომანდეს ეგ საქმე, მერე კი, თვითონაც არ ვიცი რატომ, ხელიდან გამომგლიჯეს. სათვალავში არ შემაქვს ყოველივე ის, რაც დავხარჯე და დავკარგე ამ საქმეზე... ახლა კი, საბოლოო ჯამში, მდგომარეობა ასეთია: პაპს ქვის სამტეხლოები და დამუშავებული მარმარილოს სვეტები რჩება; მე კი ხელთა მაქვს ხუთასი დუკატი და თავისუფლება მოვიპოვე" [1].

მაგრამ მიქელანჯელოს თავის მფარველებისათვის კი არ უნდა დაედო ბრალი. ბრალი მის მეტს არავის მიუძღოდა და ეს თვითონაც კარგად იცოდა. ყველაზე მეტად სწორედ ეს იყო, რომ აწვალებდა. თავის თავს ებრძოდა. 1515 წლიდან 1520 წლამდე ჯან-ღონით სავსემა და ზეგარდმო ნიჭით ცხებულმა რა გააკეთა? რაღაც უნიათო „ქრისტე" მინერვასათვის — მიქელანჯელოს ერთადერთი ნახელავი, სადაც არც კი მოჩანს მიქელანჯელო — და მისი დასრულებაც კი ვერ შესძლო [2].

1515 წ.-დან 1920 წლამდე, დიდი რენესანსის უკანასკნელ წლებში, იმ დიდი ძვრების წინადღით, რომლებმაც იტალიის გაზაფხულს ბოლო მოუღო, რაფაელმა მოხატა „ლოჯია", „ხანძრის დარბაზი", ფარნეზინა, ყველა დარგში შექმნა შედევრი, ააგო ღვთისმშობლის ვილა, ხელმძღვანელობდა წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობას, ნადიმებს, გათხრებს, ძეგლთა აგებას, იყო ხელოვნების კანონმდებელი, შექმნა უზარმაზარი სკოლა და გარდაიცვალა კიდეც ყველასაგან პატივდებული [3].

---

[1] წერილები, 1520 წ. (მილანეზის გამოცემის 415-ე გვერდი).

[2] მიქელანჯელომ ამ „ქრისტეს" დამთავრება თავის ხელმარცხიან შეგირდს პიეტრო ურბინოს მიანდო; მან ისე დაასახიჩრა ქანდაკება (იხ. სებასტიანო დელ პიომბოს მიქელანჯელოსადმი 1521 წლის 6 სექტემბერს მიწერილი ბარათი), რომ რომაელმა მოქანდაკემ ფრიციმ ძლივს გამოასწორა მისი წამხდარი საქმე.

ამ უსიამოვნებათა მიუხედავად მიქელანჯელო თავისას მაინც არ იშლიდა და ძველ სამუშაოებს, რომელთაგანაც წელში წყდებოდა, კიდევ ახალსა და ახალს უმატებდა. 1519 წლის 20 ოქტომბერს ხელი მოაწერა ფლორენციელ აკადემიკოსთა არზას ლუი V-ისადმი; დანტეს ნეშტის რავენიდან ფლორენციაში გადმოსვენების ნებას თხოულობდნენ და მიქელანჯელოც პირობას დებდა: „ღვთაებრივ პოეტს მის საკადრის ძეგლს ავუგებო".

[3] 1520 წლის 6 აპრილს.

* * *

ილუზიათა მოშლის სიმწარე, დაკარგულ დღეთა სასოწარკვეთა, გაცრუებული იმედები, დამსხვრეული ნებისყოფა მოჩანს შემდგომი პერიოდის პირქუშ ქანდაკებებში: მედიჩითა საფლავებსა და იულიუს II-ის საფლავის ძეგლის ახალ სკულპტურებში [1].

თავისუფალმა მიქელანჯელომ, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე ერთი უღლიდან მეორეში ჰყოფდა თავს, გამოიცვალა ბატონი. მალე კარდინალი ჟიულ დე მედიჩი კლიმენტ VII-ის სახელით პაპის ტახტზე ავიდა და 1520 წლიდან 1534 წლამდე მიქელანჯელო მისი ყურმოჭრილი ყმა იყო.

კლიმენტ VII-ს მეტისმეტად მკაცრად მოექცნენ. მართალია, სხვა პაპების მსგავსად მასაც ხელოვნებაცა და მხატვრობაც თავისი გვაროვნული პატივმოყვარეობის მსახურად სურდა ექცია, მაგრამ მისი სასაყვედურო ბევრი არაფერი სჭირს მიქელანჯელოს. არც ერთ პაპს იგი ასე ძლიერ არ ჰყვარებია. არც ერთს არ გამოუჩენია ასეთი ცხოველი და ერთგული ინტერესი მისი სამუშაოების მიმართ [2]; არავის ესმოდა უკეთ მისი ნებისყოფის სისუსტე. ხშირად საკუთარი თავისაგანაც იცავდა ხელოვანს და არ ანებებდა, წვრილმანებზე დახარჯულიყო. ფლორენციის ჯანყის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მიქელანჯელოც გადაუდგა, კლიმენტ VII-ს გული არ აუყრია მასზე[3]. მაგრამ პაპს სად შეეძლო დაეცხრო მღელვარება, უსაგნო შიში, პესიმიზმი და უკურნებელი მელანქოლია, ამ დიდებულ სულს რომ ღრღნიდა. ბატონის სიკეთეს რა აზრი ჰქონდა? ბატონი მაინც ბატონი იყო.

---

[1] „გამარჯვებულში".

[2] 1526 წელს მიქელანჯელო მას ყოველ კვირა წერილობით აბარებდა ანგარიშს.

[3] „პაპს მეტისმეტად მოსწონს ყველაფერი, რასაც თქვენ აკეთებთ, — სწერს სებასტიანო დელ პიომბო მიქელანჯელოს, — ისეთნაირად მოსწონს, რომ წარმოედგენელიც კია მეტი მოწონება და სიყვარული. ისეთის პატივისცემით გიხსენიებთ, ისეთის სიყვარულით, რომ მამა ვერ ილაპარაკებს თავის შვილზე ისე, როგორც ის თქვენზე ლაპარაკობს ხოლმე" (1531 წლის 29 აპრილს).

„თუკი რომს ჩამოსვლაზე დათანხმდებით, გექნებათ ყველაფერი, რასაც ისურვებთ; გნებავთ — მეფობა, გნებავთ — ჰერცოგის ტახტი... თქვენც წილს დაიდებთ პაპის ძალაუფლებაში, პაპისა, რომლის ბატონადაც ქცეულხართ და რომელიც შეგიძლიათ თქვენს ნებაზე ატაროთ და მოიხმაროთ" (1531 წლის 5 დეკემბერს).

(ცხადია, ამ დაპირებებში სებასტიანო დელ პიომბოს ვენეციური ენაწყლიანობაც ერია და ყველაფერი ცოტა გაზვიადებულ-გადაჭარბებული იყო).

„მთელი ჩემი დღე და მოსწრება პაპების სამსახურში ვიყავ, მაგრამ ამას იძულებით ვაკეთებდიო“, — წერდა მოგვიანებით მიქელანჯელო [1].

რა ფასი ჰქონდა ცოტა დიდებასა და თითო-ოროლა შესანიშნავ ქანდაკებას? განა მისი ოცნების საგანი მხოლოდ ეს იყო? ახლოვდებოდა სიბერე. მწუხრი ეფინებოდა ირგვლივ ყველაფერს. აღორძინების ხანა დასრულდა. რომს საცაა ბარბაროსთა ურდოები შემოესეოდნენ. მწუხარე ღმერთის მრისხანე ჩრდილი მძიმედ დააწვებოდა იტალიურ აზრს. მიქელანჯელო გრძნობდა ტრაგიკული ჟამის მოახლოვებასა და დარდით გვემულს სული ეხუთებოდა.

მას შემდეგ, რაც იმ გამოუვალი მდგომარეობიდან იხსნა, რომელშიაც მიქელანჯელო ჩავარდნილიყო, პაპმა გადაწყვიტა, მისი ნიჭი ახალი გზით წარემართა და ზედ მავალისათვის გამუდმებით თვალყური ედევნებინა. ჯერ მხოლოდ მედიჩითა კაპელისა და საფლავის ძეგლთა აგება მიანდო [2]. განზრახული ჰქონდა, მთლიანად თავის სამსახურში ჩაეყენებინა. ბერად შედგომაც კი შესთავაზა [3]; საეკლესიო ბენეფიციუმებსაც შეჰპირდა. მიქელანჯელომ უარი უთხრა, მაგრამ კლიმენტ VII-მ მაინც დაუნიშნა თვიური ხელფასი, რომელიც სამჯერ აღემატებოდა იმ თანხას, თვითონ მიქელანჯელო რომ ითხოვდა და სან-ლორენცოს მეზობლად მდგარი სახლიც კი დაუთმო.

თითქოს მოგვარდა ყველაფერი; კაპელაზე მუშაობასაც კარგი პი-

---

[1] მიქელანჯელოს წერილი თავის ძმისწულ ლიონარდოსადმი (1548 წ.).

[2] მუშაობა 1521 წლის მარტს დაიწყო, მაგრამ მხოლოდ კარდინალ ჟიულ მედიჩის (კლიმენტ VII-ის) პაპის ტახტზე ასვლის მერე, 1523 წლის 19 ნოემბრის შემდეგ წაიწია სწრაფად წინ (ლეონ X 1521 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა და 1522 წლის იანვრიდან 1523 წლის სექტემბრამდე პაპის ტახტზე ადრიან VI იჯდა).

თავდაპირველად ოთხი საფლავის ძეგლის გაკეთება იყო განზრახული: მიქელანჯელოს ლორენცო მშვენიერის, მისი ძმის — ჟულიენის, მისი ვაჟის, ნემურის ჰერცოგ ჟულიენისა და მისი შვილიშვილის, ურბენის ჰერცოგ ლორენცოს საფლავების გაკეთება ჰქონდა დავალებული 1524 წელს კლიმენტ VII-მ თავისი და ლეონ X-ის სარკოფაგების მიმატებაც გადაწყვიტა, თანაც ისე, რომ მათ საპატიო ადგილი ჰქონოდა დათმობილი (იხ. მარსელ რაიმონის „მედიჩითა საფლავების არქიტექტურა“).

იმხანად მიქელანჯელო სან-ლორენცოს ბიბლიოთეკასაც აგებდა.

[3] იგულისხმება ფრანცისკანელების ორდენი (ფატუჩის წერილი მიქელანჯელოსადმი, 1542 წლის 2 იანვარს კლიმენტ VII-ის ბრძანებით მონაწერი).

რი უჩანდა. მაგრამ უეცრად მიქელანჯელომ უარი თქვა პაპის პენსიაზე და ნაჩუქარი სახლიც მიატოვა[1]. ხელოვანი ახლა ახალი სულიერი კრიზისის ტყვე იყო. იულიუს II-ის მემკვიდრეებს ვერ ეპატიებინათ მისთვის დაწყებული სამუშაოს მიტოვება; მუქარით სულს ხდიდნენ, უპირულობას სწამებდნენ. მიქელანჯელოს საშინლად ეშინოდა სასამართლო პროცესისა. სინდისიც ამხელდა, რომ მისი მოწინააღმდეგენი მართალნი იყვნენ და თავს ბრალად სდებდა, მიცემულ სიტყვას რად გადაუხვიეო; ეჩვენებოდა, რომ უფლება არ ჰქონდა კლიმენტ VII-სგან აეღო ფული, სანამ არ აანაზღაურებდა ყველაფერს, რაც იულიუს II-სგან ჰქონდა ბოძებული.

„ვეღარ ვმუშაობ, ვეღარ ვცოცხლობ“,[2] — სწერდა პაპსა და ევედრებოდა, მიშუამდგომლეთ იულიუს II-ის მემკვიდრეების წინაშე, ნება მიბოძეთ, შევუსრულო ყველაფერი, რაც რამ მმართებსო.

„ყველაფერს გავყიდი, ყველაფერს ვიზამ, ოღონდ ამ ვალს გადავურჩე“.

მოკლედ, მოითხოვდა, მარტო იულიუს II-ის საფლავის ძეგლზე მამუშავეთო. „სიკვდილსაც არად ჩავაგდებ, ოღონდ ეს ვალი თავიდან მოვიცილო“. იმის შიშით, რომ კლიმენტ VII-ის სიკვდილის მერე უქმიაგოდ შთენილი მტრების საჯიჯგნად გახდებოდა, ბალღივით ტიროდა და სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი.

„თუ პაპი ამ დღეში მიმატოვებს, თავს არ ვიცოცხლებ. მე თვითონაც არ ვიცი, რასა ვწერ, გონება ისე მაქვს არეული“...[3]

კლიმენტ VII მაინცდამაინც სერიოზულად არ ღებულობდა თავისი მხატვრის სასოწარკვეთასა და დაჟინებით მოითხოვდა, მედიჩითა კაპელაზე მუშაობას ნუ შესწყვეტო. მეგობრებსაც არ ესმოდათ მისი სინდისის ქენჯნა. ურჩევდნენ, თავს სასაცილოდ ნუ გაიხდი, ჯამაგირზე უარს ნუ იტყვიო. ერთი მათგანი მწარედ ტუქსავდა: „წინდაუხედავად მოიქეცი და ეცადე, შენს ახირებას ამას იქით მაინც არ აჰყვეო“[4]. მეორე სწერდა: „გავიგე, რომ უარი გითქვამთ თქვენს ჯამა-

---

[1] 1524 წლის მარტს.

[2] მიქელანჯელოს წერილი პაპის აგენტ ჯოვანი სპინასადმი (1525 წლის 19 აპრილს).

[3] მიქელანჯელოს წერილი ფატუჩისადმი (1525 წლის 24 ოქტომბერს).

[4] ფატუჩის წერილი მიქელანჯელოსადმი (1524 წლის 22 მარტს).

გირზე. შუშაობას თავი ანებეთ და სახლიც მიგიტოვებიათ. ყოველივე ეგ სრულ სისულელედ მიმაჩნია. მეგობარო და ნათლიავ ჩემო, ამით თქვენს მტრებს ახარებთ მხოლოდ... იულიუს II-ის საფლავის ძეგლზე ნუღა ფიქრობთ და ჯამაგირსაც, რაკი წრფელი გულითაა მოძღვნილი, თამამად მოჰკიდეთ ხელი“ [1].

მიქელანჯელო ჯიუტობდა. პაპის ხაზინადარმა გამასხარავება მოუნდომა, სიტყვაზე დაიჭირა და ხელფასი მართლაც შეუწყვიტა; და უბედური, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი, იძულებული გახდა, რამდენიმე თვის შემდეგ თავად ეთხოვა ის, რაზედაც ადრე უარს ამბობდა. ჯერ გაუბედავად, მორცხვად დაიწყო:

„ძვირფასო ჯოვანი, რაკი კალამი მუდამ ენაზე უფრო გულადია, მეც წერილობით მოგითხრობთ იმას, რისი თქმაც ამ დღეებში ბევრჯერ დავაპირე, მაგრამ ვერ გავბედე ზეპირ მომეხსენებინა. შემიძლია თუ არა ხელფასის იმედი კვლავ ვიქონიო? დარწმუნებულიც რომ ვიყო, ფულს ვეღარ ავიღებ, ეგ ჩემს განზრახვას არ შეცვლიდა. კვლავაც ძალ-ღონის დაუზოგავად ვიმუშავებდი პაპისათვის. მაგრამ გადაწყვეტით მინდა ვიცოდე და ამისდა შესაბამისად მოვაწყო ჩემი საქმეები“ [2].

შემდეგ, სიღარიბით დევნილი თავის თხოვნას კვლავ იმეორებს:

„ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე: მივხვდი, ამ სამუშაოთი როგორაა პაპი დაინტერესებული და რაკი მისმა უწმინდესობამ თავად დამინიშნა ჯამაგირი იმ მიზნით, რომ უფრო უკეთ და სწრაფად მოვემსახურო, ფულის აუღებლობა ჩემის მხრით სამუშაოს შეფერხება იქნებოდა. ამიტომ შევცვალე ჩემი უწინდელი გადაწყვეტილება და თუმცა აქამდე კუთვნილი თანხა არ მითხოვია, ახლა მოვითხოვ იმ მიზეზთა გამო, რომლებიც გაცილებით მეტი მაქვს, ვიდრე ჩამოთვლა შემიძლია. გთხოვთ, მომცეთ ხელფასი იმ დღიდან მოყოლებული, რაც დამენიშნა... და მაცნობოთ მის ასაღებად როდის შემოვიარო“[3].

მაგრამ განზრახული ჰქონდათ მისთვის ჭკუა ესწავლებინათ და მის თხოვნას მოუყრუეს. ორი თვე ისე გავიდა, რომ პასუხიც კი არ აღირ-

---

[1] ლეონარდო-მეუნაგირის წერილი მიქელანჯელოს (1524 წლის 24 მარტი).

[2] მიქელანჯელოს წერილი ჯოვანი სპინასადმი (1524 წ. მილანეზის გამოცემა, გვ. 425).

[3] მიქელანჯელოს წერილი ჯოვანი სპინასადმი (1525 წლის 29 აგვისტო).

სეს. იძულებული გახდა შემდეგშიაც არაერთხელ მოეთხოვა კუთვნილი გასამრჯელო.

მუშაობდა და იტანჯებოდა; ჩიოდა, ეს ათასგვარი საზრუნავი ჩემს აღმაფრენას ფრთებს უკვეცავსო:

„უსიამოვნებანი საშინლად მოქმედებს ჩემზე. არ შეიძლება ხელი ერთს აკეთებდეს, გონება კი სხვა რამით იყოს დაკავებული, განსაკუთრებით ქანდაკების დროს. მეუბნებიან, ეს ყველაფერი უფრო უნდა გაქეზებდესო, მე კი ვფიქრობ, ცუდი წაქეზებაა, და უფრო იქითკენ მიბიძგებს, რომ სამუშაოს თავი ვანებო. უკვე წელიწადზე მეტია, ხელფასი არ მიმიღია და სიღატაკეს ვეომები. მარტოკა დავრჩი ჩემს ჭირთა შორის; ჭირი კი იმდენი მაქვს, რომ იძულებული ვარ, ხელოვნებაზე მეტი დრო მათ მოვანდომო. უფულობით მსახურიც ვერ ამიყვანია“[1].

ხანდახან მისი ტანჯვა კლიმენტ VII-ს გულს მოულბობდა და პაპი მეგობრობას ეფიცებოდა მიქელანჯელოს. არწმუნებდა, „სანამ სული მიდგას პირში, შემწეობას არ მოგაკლებო“[2], მაგრამ მედიჩთა მარადიული ქარაფშუტობა სძლევდა ხოლმე და ტვირთის შემსუბუქების ნაცვლად ხელოვანს სულ ახალ და ახალ შეკვეთებს აყრიდა. სხვათა შორის, ერთი სულელური გოლიათიც შეუკვეთა, რომლის თავშიაც სამრეკლო უნდა მოთავსებულიყო, მკლავი კი საკვამლე მილად გამომდგარიყო[3]. მიქელანჯელო იძულებული გახდა ერთხანს ამ უაზრო გეგმაზედაც ეფიქრა. თან თავის მუშებთან, ქვის მთლელებთან, მტვირთავებთანაც უხდებოდა ჩხუბი, შრომის შეღავათიანი პირობების ადრეულ მეხოტბეთა მიერ წაქეზებულნი სულ ერთთავად რვასაათიანი სამუშაო დღის ნატვრაში რომ იყვნენ[4].

ამას ახალი ოჯახური უსიამოვნებანიც ზედ დაერთო. მამა წლითიწლობით სულ უფრო და უფრო ფხუკიანი და უსამართლო ხდებოდა; ერთხელ სახლიდან გაქცევაც სცადა და შვილს ხმა დაუგდო, ში-

---

[1] მიქელანჯელოს წერილი ფატუჩისადმი (1525 წლის 24 ოქტომბერს).

[2] პიერ პაოლო მარცის მიერ კლიმენტ VII-ის სახელით მიქელანჯელოსადმი 1525 წლის 23 დეკემბერს მიწერილი ბარათი.

[3] 1525 წლის ოქტომბერ-დეკემბრის წერილები. (მილანეზის გამოცემის 448—449 გვ. გვ.) იხ. „ხელოვნების ოსტატთა“ კოლექციის „მიქელანჯელოში“ ამ უცნაური საქმის აღწერა და მიქელანჯელოს პროექტი.

[4] მიქელანჯელოს წერილი ფატუჩისადმი (1526 წლის 17 ივნისს).

ნიდან გაძევება დამიპირაო. მაშინ მიქელანჯელომ ეს საუცხოო ბარათი მისწერა [1]:

„ძვირფასო მამავ, წუხელ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შინ დავბრუნდი და ვერ გიხილეთ; ეხლა კი, როცა გავიგე, რომ ჩივით ჩემზე და ამბობთ, სახლიდან გამომაგდოო, უფრო მეტ განცვიფრებაში მოვდივარ. გაჩენის დღიდან დღემდე არასდროს მომსვლია აზრად თქვენი უნებური რამ ჩამედინა. რაც აქამომდე ტანჯვას ვიტან, თქვენი გულისათვის ვიტვირთე. მუდამ თქვენი ერთგული ვიყავ. ამ რამდენიმე დღის წინაც შეგპირდით, სანამ პირში სული მიდგას, არაფერს გაგიჭირვებთ-მეთქი; ახლაც ამასვე გპირდებით. გაოცებული ვარ, ასე მალე რამ დაგავიწყათ ეს. ოცდათი წლის მანძილზე სულ მცდიდით თქვენცა და თქვენი შვილებიც და იცოდით, რომ მუდამ თქვენი კეთილის მოსურნე ვიყავი და რამდენადაც ძალა შემწევდა, გეხმარებოდით ფიქრითაც და საქმითაც. მაშ, რატომღა მიყრით ხმებს, გამომაგდოო? ნუთუ არ გესმით, რომ სახელს მიტეხთ? თითქოსდა სხვა საზრუნავი აღარ მქონდეს. ყველაფერი კი თქვენი სიყვარულის გამო ვიტვირთე. ასე მიხდით სამაგიეროს? მაგრამ დე, რაც მოსახდენია, მოხდეს! მინდა თავი დავირწმუნო, რომ მთელი ჩემი დღე და მოსწრება მართლაც გარცხვენდით და გაწუხებდით; და პატიებასა გთხოვთ, თითქოსდა მართლაც ცუდად მოგქცეოდეთ. შემინდეთ ისე, როგორც მამა შეუნდობს ურჩ შვილს, ვინც უამრავი სატკივარი გაუჩინა. კიდევ ერთხელ გთხოვთ შენდობას მე უკეთური და ნუ მივრცელებთ ხმებს, თითქოს კარში გამომეგდეთ, რადგან ჩემი სახელი უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ.

ყველაფრისდა მიუხედავად მარად თქვენი ერთგული შვილი

მიქელანჯელო“.

ასეთმა სიყვარულმა და თავდადებამ მხოლოდ წამით მოალბო ჭირვეული მოხუცის გული. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ბრალად დასდო შვილს, გამქურდაო. მოთმინებიდან გამოსული მიქელანჯელო სწერდა [2]:

---

[1] ანრი ტოდე ამ წერილს დაახლოებით 1521 წლით ათარიღებს. მილანეზის გამოცემაში მას შეცდომით უზის 1516 წელი.

[2] წერილები (1523 წლის ივნისი).

„არ ვიცი, რაღას მოითხოვთ ჩემგან. თუ ჩემი სიცოცხლე გიმძიმთ, კარგი ხერხისთვის მიგიგნიათ, რომ თავიდან მომიშოროთ და კვლავ ხელთ იგდოთ იმ სალაროთა კლიტეები, რომელთაც თქვენის აზრით მე ვდარაჯობ. სწორადაც იქცევით, რადგან უკვე მთელმა ფლორენციამ იცის, რომ უზომოდ მდიდარი კაცი იყავით, მე კი გაგქურდეთ და ყოველგვარ სასჯელს ვიმსახურებ. ილაპარაკეთ, თქვით ჩემზე, რაც მოგესურვებათ, მაგრამ წერილს კი ნუღარ მომწერთ, რადგან მუშაობაში ხელი მეშლება. თქვენ მაიძულებთ მოგაგონოთ ყველაფერი, რაც ჩემგან მიგიღიათ ამ ოცდახუთი წლის მანძილზე. ამის დამადლებას არ ვაპირებდი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მოთმინებიდან გამომიყვანეთ. ფრთხილად იყავით. კაცი ერთხელ კვდება და მერე ძალიანაც რომ ეცადოს, ჩადენილ ცოდვათა გამოსასწორებლად ვეღარ მობრუნდება დედამიწაზე. თქვენ კი ბოროტებას სწორედ მაშინ სთესავთ, როცა სიკვდილი კარზე გიკაკუნებთ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე!“

აი, ასე ეხმარებოდნენ მისიანები.

„უნდა მოვითმინო, — წერდა იგი მეგობრისადმი მიწერილ ერთ ბარათში,—ღმერთმა ნუ ჰქნას, არ ვინდომო ის, რასაც ღმერთი ჩემთვის ნდომულობს“ [1].

ამდენი დარდით გაბეზრებული სამუშაოსაც ვერ ასრულებდა და როცა 1527 წლის პოლიტიკურმა ამბებმა შესძრეს იტალია, მედიჩითა კაპელის არც ერთი ქანდაკება დასრულებული არ ჰქონდა [2]. ამ პერიოდმა, 1520—27 წლებს რომ მოიცავდა, წინანდელზე უფრო მეტად დაღალა და უფრო მეტად გაუცრუა იმედები მიქელანჯელოს; და თავს იმითაც ვერ ინუგეშებდა, რომ ამ ათი წლის მანძილზე ერთი ქანდაკება მაინც დაასრულა, რომ ერთ განზრახვას მაინც შეასხა ხორცი.

---

[1] მიქელანჯელოს წერილი ფატუჩისადმი (1526 წლის 17 ივნისს).

[2] 1526 წლის ივნისის იმავე წერილში ნათქვამია, რომ დაწყებული ჰქონდა კიდევ ჰერცოგის ქანდაკებაც, ოთხი ალეგორია სარკოფაგებისათვის და ღვთისმშობელი.

III

სასოწარკვეთა

Ohime! Ohime! Ch'i' son tradito [1] ...

გარემოსა და საკუთარი თავისადმი ზიზღმა რევოლუციაში ჩააბა იგი, ფლორენციაში 1527 წელს რომ იფეთქა.

მაგრამ პოლიტიკურ საქმეებშიც ისეთსავე გაუბედაობას იჩენდა, როგორსაც საერთოდ ამყღავნებდა პირად ცხოვრებასა და ხელოვნებაში. ვერ იქნა და ვერ მოახერხა ერთმანეთთან შეერიგებინა საკუთარი გრძნობები და მედიჩითა მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობანი. ეს მძლე გენია მეტად გაუბედავი იყო მოქმედების დროს; ამა ქვეყნის ძლიერთ პოლიტიკასა და რელიგიის დარგში შებრძოლებას ვერ უბედავდა. მისი წერილებიდან ნათლად მოჩანს, რომ მუდამ აღელვებდა თავისი და თავისიანების ბედი; ეშინოდა სახელის გატეხის, უმალვე გადათქვამდა, თუკი ტირანიით შეძრულს ერთბაშად თამამი სიტყვა წამოსცდებოდა [2]; ყოველ წუთს სწერდა თავისიანებს, ფრთხილად იყავით, სიტყვა არ დაგცდეთ, შიშიანობა თუ ჩამოვარდა, პირველსავე ნიშანზე გაიქეცითო:

„ისე მოიქეცით, როგორც ჭირიანობის დროს; პირველები გაიქეცით... ქონების გადარჩენას თავის გადარჩენა სჯობს... მშვიდად იცხოვრეთ, მტრად ნურვის გადაეკიდებით. ღვთის გარდა ნურვის მიენდობით, ნურავიზე ნუ იტყვით ნურც კარგს, ნურც ავს, რადგან წინასწარ არავინ იცის, როგორ დასრულდება საქმე. ამიტომ ნურაფერში ნუ გაერევით და თქვენს თავს მიხედეთ“ [3].

მეგობრები და ღვიძლი ძმები დასცინოდნენ მის უთავბოლო შიშს და სულელს ეძახდნენ [4].

---

[1] „ვაგლახ, რა ერთგული ვიყავ“... ლექსები, XLIX.

[2] 1512 წლის სექტემბრის წერილი, სადაც ლაპარაკობს მედიჩითა მოკავშირე იმპერატორის ჯარების მიერ პრატოს აღებაზე.

[3] მიქელანჯელოს წერილი ბუონაროტოსადმი (1512 წ. სექტემბერს).

[4] „მე გიჟი არა ვარ, ტყუილად ფიქრობთ“ (მიქელანჯელო ბუონაროტოს, 1515 წლის სექტემბერი).

„ნუ დამცინით, — პასუხობდა დამწუხრებული მიქელანჯელო, — კაცს არასოდეს არ უნდა დასცინო“ [1].

მართლაცდა ამ დიდი ადამიანის გამუდმებულ შიშში არაფერია სასაცილო. უფრო შესაბრალისი იყო, ასეთი სუსტი ნერვების პატრონი ათას შიშის ზარს სათამაშოდ რომ გაეხადა. სულ იმის ცდაში იყო, შიში როგორმე დაეოკებინა, მაგრამ თავს მაინც ვერ ერეოდა. და უფრო მეტი პატივისცემის ღირსია, რაკი ამ დამამცირებელი ყოფის შემდეგ თავის ავადმყოფ სულსა და სხეულს დათრგუნავდა და აიძულებდა, პირისპირ შებმოდა განსაცდელს, თუმცა მისი უპირველესი სურვილი გაქცევა იყო. კაცმა რომ თქვას, მას სხვაზე მეტიც ჰქონდა საშიში, რადგან სხვაზე მეტად ჭკვიანი იყო. მისი პესიმიზმიც საოცრად ნათლად სჭვრეტდა იტალიის მომავალ უბედურებას და რაკი მისთვის ჩვეული სიფრთხილის მიუხედავად მაინც ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, ეტყობა, მართლაც სასოწარკვეთის უმაღლეს წერტილამდე მისულიყო.

ამ ნაბიჯმა ფარდა ახადა მისი სულის სიღრმეს და გაამეღავნა, რომ ეს კაცი, ასე რომ თრთოდა ყველაფრის წინაშე, სულის სიღრმეში მგზნებარე რესპუბლიკელი იყო. ეს მოჩანს მისი ცეცხლოვანი სიტყვებიდან, ხანდახან, უკიდურესი აღელვების ან გულახდილობის ჟამს რომ წამოსცდებოდა ხოლმე; მოჩანს მის კერძო საუბრებში, უფრო მოგვიანებით რომ ჰქონდა [2] თავის მეგობრებთან: ლუიჯი დელ რიჩოსთან, ანტონიო პეტრეოსა და დონატო ჯანოტისთან [3]. ამ უკანასკნელმა ეს საუბრები აღწერა კიდეც თავის „დიალოგებში დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“ [4]. მეგობრებს უკვირდათ, რომ დანტემ ბრუტუსი და

---

[1] მიქელანჯელო ბუონაროტოს (1512 წლის სექტემბერ-ოქტომბერი).

[2] 1545 წელს.

[3] სწორედ ამ დონატო ჯანოტისათვის გაუკეთებია მიქელანჯელოს ბრუტუსის ბიუსტი. „დიალოგებიდან“ რამდენიმე წლით ადრე, 1536 წელს ლორენცინომ მოკლა ალექსანდრო მედიჩი და მას მეორე ბრუტუსად მიიჩნევდნენ მადლიერი თანამედროვენი.

[4] „De' giorni che Dante consumò nel cercare l' Inferno e 'l Purgatorio“.— მეგობრები მსჯელობდნენ, თუ რამდენი დღე დაჰყო დანტემ ჯოჯოხეთში: პარასკევ საღამოდან შაბათს საღამომდე, თუ ხუთშაბათ საღამოდან კვირა დილამდე? ბოლოს ისევ მიქელანჯელოს მიმართეს, რადგან ყველაზე უკეთ მან იცოდა დანტეს ნაწარმოები.

კასიუსი ჯოჯოხეთის უკანასკნელ წრეში ჩააგდო, კეისარი კი — ზემოთ. როცა მიქელანჯელოს ჰკითხეს ამის შესახებ, მან ტირანთმკვლელობას ხოტბა შეასხა:

„თქვენ რომ პირველი სიმღერები უფრო გულდასმით წაგეკითხათ, შენიშნავდით, რომ დანტე შესანიშნავად ჩასწვდა ტირანთა ბუნებას და მიხვდა, ღვთისაგან და კაცთაგან რა სასჯელს იმსახურებენ ისინი, ამიტომაც ჩასვა მათ შორის, ვინც „თავის მოყვასს აყენებდა ძალადატანებას“, მათ შორის, მეშვიდე წრეში რომ იტანჯებიან და ადუღებულ სისხლში ცურავენ... და რაკი დანტემ ეს იცოდა, შეუძლებელი იყო მხედველობაში არ მიეღო, რომ კეისარი თავისი ქვეყნის ტირანი იყო და რომ ბრუტუსმა და კასიუსმა სამართლიანად მოჰკლეს იგი; რადგან ის, ვინც ტირანსა კლავს, ადამიანს კი არ კლავს, ადამიანის სახის მქონე მხეცს უღებს ბოლოს. ტირანთათვის უცხოა სიყვარული, რომელსაც მოყვასის მიმართ ყველა ჩვენგანი უნდა გრძნობდეს. მათ არც ადამიანური მისწრაფებანი გააჩნიათ; მაშასადამე, ადამიანები კი არა, მხეცები არიან. მოყვასი რომ არ ებრალებათ, ეგ ცხადია. სხვაფრივ არ მიითვისებდნენ იმას, რაც სხვის საკუთრებას შეადგენს, არ გახდებოდნენ ტირანები და სხვათა ღირსებას არ გაქელავდნენ. მაშასადამე, ვინც ტირანსა კლავს, მკვლელობას კი არ სჩადის, მხეცს უღებს ბოლოს. მაშ, ბრუტუსსა და კასიუსსაც ცოდვა არ ჩაუდენიათ კეისარის მოკვლით, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მოკლეს კაცი, ვისი სისხლიც ყველა რომაელ მოქალაქეს უნდა დაეღვარა, მეორეც იმიტომ, რომ მათ კაცი კი არ მოუკლავთ, მხოლოდ ადამიანის სახის მქონე მხეცს მოუღეს ბოლო“ [1].

ამიტომ კარლოს მეხუთის მიერ რომის აღებისა [2] და მედიჩითა განდევნის [3] შემდეგ ქვეყნად ეროვნულმა გრძნობამ რომ გაიღვიძა,

---

[1] მიქელანჯელო (ან ჯანოტი, რომელიც აქ მისი სახელით ლაპარაკობს) ტირანებისაგან დიდად განასხვავებს კანონიერ მთავრებსა და მეფეებს, რომელთაც თავიანთი ტიტული შემკვიდრეობით აქვთ ბოძებული: „მე მხედველობაში არ მყავს მთავრები, რომელთა ძალაუფლებაც საუკუნეებით, ანდა ხალხის ნებით არის განმტკიცებული და რომლებიც თავიანთ ქალაქს ხალხის ნება-სურვილისამებრ მართავენ“.

[2] 1527 წლის 6 მაისს

[3] იპოლიტო და ალექსანდრო მედიჩები 1527 წლის 17 მაისს განდევნეს ფლორენციიდან.

მიქელანჯელო ფლორენციელ აჯანყებულთა პირველ რიგებში აღმოჩნდა. ეს კაცი, ვინც მშვიდობის დროს თავისიანებს სულ იმას უოჩევდა, პოლიტიკას როგორც შავ ჭირს, ისე ერიდეთო, ისეთნაირად იყო აღგზნებული, რომ არც ერთსა და არც მეორეს არ დაგიდევდათ. თავისი ნებით დარჩა ფლორენციაში, სადაც შავი ჭირი და რევოლუცია ერთად მძვინვარებდა. სენი მის ძმას, ბუონაროტოსაც შეეყარა და საბრალომ მიქელანჯელოს ხელში დალია სული[1]. 1528 წლის ოქტომბერში მიქელანჯელომ ქალაქის დასაცავად გამართულ თათბირში მიიღო მონაწილეობა. 1529 წლის იანვარს კი იმ ცხრათა კოლეგიის (Nove di milizia-ს) წევრად იქნა არჩეული, რომელიც ქალაქის გასამაგრებელ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. 6 აპრილს კი ერთი წლის ვადით დაინიშნა ამ სამუშაოთა მეთვალყურედ და მთავარ განმგებლად (governatore generale-დ და procuratore-დ). ივნისში პიზის ციხე-სიმაგრისა და არეცოსა და ლივორნოს ბასტიონების შესამოწმებლად გახლდათ. ივლისსა და აგვისტოში ფერარში მიავლინეს, რათა იქაური სახელგანთქმული თავდასაცავი ზღუდეები შეესწავლა და თან ამ საქმის საუცხოო მცოდნეს, იქაურ ჰერცოგს მოთათბირებოდა.

მიქელანჯელო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პუნქტი ფლორენციის დაცვაში სან მინიატოს ბორცვი იყო და გადაწყვიტა, ეს ბორცვი ბასტიონებით გაემაგრებინა. მაგრამ აქ რატომღაც გონფალონიერ კაპონის წინააღმდეგობას წააწყდა. გონფალონიერმა ფლორენციიდან გაძევებაც მოუნდომა[2] მიქელანჯელოს და ხელოვანს ეპვი შეეპარა, კაპონისა და მედიჩითა პარტიას ჩემი თავიდან მოცილება იმიტომ უნდათ, რომ ქალაქის დაცვას ხელი შეუშალონო. გაგულისებული სან მინიატოში დასახლდა და იქიდან ფეხს არ იცვლიდა. მაგრამ მისი ავადმყოფურად უნდო გონება კრეფდა ყველა ხმას, რომელიც დაძრწის ხოლმე ალყაშემორტყმულ ქალაქში და რომელიც ამჯერად საფუძველს მოკლებული არ იყო. კაპონი, როგორც საეპვო პირი, თანამდებობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად ფრანჩესკო კარდუჩი დანიშნეს. მაგრამ მთავარმართებლადა და ფლო-

---

[1] 1528 წლის 2 ივლისს.

[2] ეს ამბავი მიქელანჯელოს ბუზინისათვის გაუნდვია. (ბუზინი მიქელანჯელოს ნაამბობს ასე იმეორებს).

რენციის ჯარების განმგებლად კაპონიზე მეტად საეჭვო მალატესტა ბანლიონი დააყენეს, რომელმაც ქალაქი ბოლოს პაპს ჩაუგდო ხელში. მიქელანჯელო გრძნობდა, რომ დანაშაული მზადდებოდა. თავისი შიში სენიორიასაც გაანდო. მაგრამ გონფალონიერმა კარდუჩიმ, ნაცვლად იმისა, რომ მადლობა ეთქვა, მწარედ დატუქსა და გათათხა მიქელანჯელო, — უსაყვედურა, მუდამ ეჭვიანი და მშიშარა ხარო [1]. მალატესტამ ამ დაბეზღების ამბავი შეიტყო. მისი ჯურის კაცი არაფრის წინაშე არ დაიხევდა უკან, რომ სახიფათო მოწინააღმდეგე თავიდან მოეცილებინა. თან ფლორენციაში ყოვლისშემძლე იყო, როგორც მხედართმთავარი და მიქელანჯელოს უკვე დაღუპულად მიაჩნდა თავი.

„მაინც გადავწყვიტე ომის დასრულებამდე უშიშრად მეცადა, მაგრამ სამშაბათ დილით, ოცდაერთ სექტემბერს ერთი კაცი მოვიდა სან-ნიკოლოს კედლებთან, სადაც მე ბასტიონებზე ვიდექ და ყურში ჩამჩურჩულა, თუკი სიცოცხლე რამედ გიღირთ, ფლორენციაში ერთ წუთს ნუღარ გაჩერდებითო. მერე შინაც მიმყვა, ისადილა ჩემთან ერთად, ცხენები გამომიყვანა და მანამ არ მომცილდა, სანამ ქალაქგარეთ არ დამიგულა“[2].

ვარკი უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბავს. მიქელანჯელომ სამ პერანგში ჩააკერებინა 12000 ფლორინი, რინალდო კორჩინი და თავისი შეგირდი ანტონიო მინი გაიყოლა და იმ კარებით, რომელიც შედარებით ნაკლებად იყო დაცული, რის ვაივაგლახით ფლორენციიდან გაიპარაო.

„ღმერთი მეწეოდა თუ ეშმაკი, არ ვიცი“, — წერდა რამდენიმე დღის შემდეგ მიქელანჯელო.

ღმერთი? ეშმაკი? ეს მისი ნაცნობი შიშისა და ეჭვიანობის დემონი იყო. რა თავზარდაცემული უნდა ყოფილიყო, თუ მართალია, როგორც ამბობენ, რომ გზად მავალმა კასტელნოვოში ყოფილ გონფალონიერ კაპონისთან შეიარა და თავისი ნაამბობით ისე დააფრთხო, რომ მოხუცმა რამდენიმე დღეში სული დალიაო [3].

---

[1] კონდივი. — თუმცა კი ერჩია, — დასძენს კონდივი, — ყურად ეღო კეთილი რჩევა, რადგან, როცა მედიჩები დაბრუნდნენ, პირველ რიგში თავი მას მოჰკვეთესო.

[2] მიქელანჯელოს წერილი ბატისტა დელა პალასადმი (1529 წლის 25 სექტემბერს).

[3] სენი.

ოცდასამ სექტემბერს მიქელანჯელო უკვე ფერარში იყო, მაგრამ ისე იყო აფორიაქებული, რომ უარი თქვა ჰერცოგის სტუმართმოყვარეობაზე და მის კოშკში თავის შეფარების ნაცვლად ლტოლვა განაგრძო. ოცდახუთ სექტემბერს ვენეციაში ჩავიდა. იქაურმა სენიორიამ მისი ჩამოსვლის ამბავი რომ შეიტყო, ორი კეთილშობილი მოქალაქე მიუგზავნა და აღუთქვა, რასაც ინებებთ, ყველაფერს მოგართმევთო. მაგრამ ბუნებით ველურმა და მორცხვმა უარი თქვა დახმარებაზე და ჯუდეკაში განმარტოვდა. სამშვიდობოს ჯერ კიდევ არ ეგონა თავი. საფრანგეთში გაქცევა სწადდა. ვენეციაში ჩამოსვლის დღესვე დამფრთხალი და აღელვებული წერილი მისწერა ბატისტა დელა პალას, ფრანცისკ I-ის აგენტს იტალიაში, რომელსაც ხელოვნების ნიმუშთა შეძენა ჰქონდა დავალებული.

„ბატისტა, ძვირფასო მეგობარო! ფლორენციიდან გამოვიქეცი და საფრანგეთში მინდა წავიდე. ვენეციაში რომ ჩამოველ, გზის ამბავი გამოვიკითხე. მითხრეს, რომ საფრანგეთისკენ მიმავალს ჯერ გერმანიის ქვეყნებზე მომიხდება გავლა, რაც ჩემთვის მეტად სახიფათო და სამძიმოა. თქვენ კიდევ აპირებთ საფრანგეთში წასვლას? გემუდარებით, მაცნობეთ, როდის მიდიხართ და ჩემს წამოყოლას თუ ინებებთ? გემუდარებით, წერილის მიღებისთანავე მიპასუხეთ; რაც შეიძლება ჩქარა, რადგან იქ წასვლის სურვილით ვიწვი. თქვენ თუ წასვლა გადაიფიქრეთ, ეგეც მაცნობეთ, რომ რადაც უნდა დამიჯდეს, მარტო წავიდე“ [1].

საფრანგეთის ელჩმა ვენეციაში ლაზარე დე ბაიფმა მყისვე აცნობა ეს ამბავი ფრანცისკ I-სა და კონეტაბლ მონმორანსის. არწმუნებდა, შემთხვევას ნუ გაუშვებთ ხელიდან და მიქელანჯელო საფრანგეთის სამეფო კარზე მიიზიდეთო. მეფემაც მყისვე შესთავაზა ლტოლვილს ჩინებული სახლი და პენსია. მაგრამ მიმოწერას საკმაო დრო დასჭირდა და როდესაც ფრანცისკ I-ის წყალობა მოვიდა, მიქელანჯელო უკვე ფლორენციაში დაბრუნებულიყო.

შიშის ქარი დაუცხრა. ჯუდეკას სიმყუდროვით გარემოცულს შერცხვა კიდეც თავისი სიმხდალისა. მისმა უეცარმა გაპარვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფლორენციაში. ოცდაათ სექტემბერს სე-

---

[1] მიქელანჯელოს წერილი ბატისტა დელა პალასადმი. (1529 წლის 25 სექტემბერს).

ნიორიამ გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმადაც ყველა, ვინც შვიდ ოქტომბრამდე არ დაბრუნდებოდა, მოჯახყედ ჩაითვლებოდა და სამუდამოდ იქნებოდა მოკვეთილი. დანიშნულ დღეს ლტოლვილები მართლაც მოჯანყეებად გამოაცხადეს და ქონება ჩამოართვეს. მაგრამ მიქელანჯელოს სახელი ჯერ კიდევ არ მოხვედრილა ამ სიაში; სენიორიამ უკანასკნელი ვადა მისცა. ფლორენციის ელჩმა ფერერში გალეოტო ჯუნიმ აცნობა რესპუბლიკას, მიქელანჯელომ მეტად გვიან შეიტყო დეკრეტის გამოცემის ამბავი, ჩამოსვლას აპირებს და თუ შეიწყნარებთო. სენიორიამ პატიება აღუთქვა მიქელანჯელოს და ქვის მთლელის, ბასტიანო დი ფრანჩესკოს ხელით ვენეციაში წყალობის ქაღალდი გაუგზავნა. ბასტიანომ სიგელთან ერთად მეგობრების ათი ბარათიც გადასცა მიქელანჯელოს. ათივე გულმხურვალედ ევედრებოდა, ფლორენციას დაუბრუნდიო [1]. სხვათა შორის, ქველმა ბატისტა დელა პალამაც მოსწერა სამშობლოს სიყვარულით გამთბარი ბარათი:

„ყველა თქვენი მეგობარი უყოყმანოდ, ერთხმად გირჩევთ დაბრუნებას, რომ შეინარჩუნოთ თქვენი სიცოცხლე, თქვენი სამშობლო, თქვენი მეგობრები, თქვენი სახლი, თქვენი ქონება და დატკბეთ ახალი დროებით, რომელსაც ასე გზნებით ნატრობდით და რომლის დადგომის იმედიც გქონდათ".

ეგონა, ფლორენციას ოქროს ხანა დაუდგაო და კეთილი საქმის გამარჯვებაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. საბრალო, ერთ-ერთი პირველი შეიქნა რეაქციის მსხვერპლი მედიჩითა დაბრუნების შემდეგ.

მისმა სიტყვებმა საბოლოოდ დაარწმუნეს მიქელანჯელო, მაგრამ დაბრუნებას არ ჩქარობდა. და ბატისტა დელა პალას, მის დასახვედრად ლუკში რომ ჩამოვიდა, დიდხანს მოუხდა ლოდინი. მისი ნახვის იმედიც გადაუწყდა [2]. ოც ნოემბერს, როგორც იქნა, მიქელანჯელომ ფლორენციაში ჩააღწია [3]. ოცდასამში სენიორიამ შერისხვა ახსნა, მაგრამ გადაწყდა, რომ სამი წლის ვადით მისთვის დიდი სათათბიროს კარი დახშული ყოფილიყო [4].

---

1 1529 წლის 22 ოქტომბერს.

2 კიდევ მრავალი წერილი მისწერა: ევედრებოდა, დაგვიბრუნდიო.

3 ოთხი დღით ადრე სენიორიის დეკრეტით პენსია შეუწყვიტეს.

4 მიქელანჯელოს მიერ სებასტიანო დელ პიომბოსადმი მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომ ამას გარდა მას კომუნისათვის უნდა გადაეხადა ჯარიმა — 1500 დუკატი.

მას შემდეგ მიქელანჯელო ბოლომდე პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ისევ დაიბრუნა თაკისი ადგილი სან მინიატოში, რომელსაც მტერი ყუმბარებს უშენდა. ერთ თვეში ხელახლა გაამგრეებინა ბორცვი, გამოიგონა ახალი საომარი მანქანები და როგორც ამბობენ, დაღუპვას გადაარჩინა სამრეკლო იმით, რომ გარს თოკებზე დაკიდებული მატყლის ფუთები და ლეიბები შემოუწყო[1]. უკანასკნელი ცნობა ალყის დროს მისი საქმიანობის შესახებ 1530 წლის 22 თებერვალს განეკუთვნება. ცნობაში ნათქვამია, მიქელანჯელო ტაძრის გუმბათზე აძვრა. რომ მისი მდგომარეობა შეემოწმებინა და თან მტრების მოძრაობისათვისაც თვალყური ედევნებინაო.

მაგრამ მოსალოდნელი უბედურება მაინც დაატყდათ თავს. 1530 წლის 2 აგვისტოს მალატესტა ბანლიონიმ უღალატა ფლორენციელებს. 12-ში ფლორენცია მტერს დანებდა და იმპერატორმა ქალაქი პაპის კომისარს, ვაჩიო ვალორის, მისცა დასარბევად. დაიწყო რეპრესიები. პირველ დღეებში გამარჯვებულთა შურისძიება ვეღარაფერმა დააკავა. მიქელანჯელოს მეგობრები. მათ შორის ქველი ბატისტა დელა პალაც, პირველ რიგში დაეცნენ. ამბობენ, რომ მიქელანჯელო სან ნიკოლო ოლტრ'არნოს სამრეკლოზე დაიმალა და ჰქონდა კიდეც შიშის საფუძველი: ხმა დაირხა, მედიჩითა სასახლის დანგრევა სურდაო. მაგრამ კლიმენტ VII-ს არასოდეს აუყრია მასზე გული და, სებასტიანო დელ პიომბოს თქმით, ძალიან წუხდა, როცა ალყის დროს მიქელანჯელოს საქმიანობის ამბავს იგებდა. მაგრამ მარტო მხრებს იჩეჩდა და ამბობდა: „მიქელანჯელო მწარედ ცდება, მე მისთვის ავი არასოდეს მდომებიაო"[2]. როცა დამსჯელებს თავდაპირველი ბრაზი დაუცხრათ,

---

1 „როცა პაპი კლიმენტ VII და ესპანელები ფლორენციას შემოწყვენენ,—უამბობდა მიქელანჯელო ფრანსუა დ'ოლანდეს, — მტერი დიდი ხნით შეაჩერა ჩემს მიერ დადგმულმა და აგებულმა მანქანებმა. ერთხელ, ღამით, ჩემს ქვეშევრდომებს კედლების ირგვლივ მატყლის ლეიბების დაწყობა ვუბრძანე; მეორედ თხრილები გავათხრევინე და შიგ კასტილიელების ამოსაბუგად დენთი ჩავაყრევინე; ჰაერში ცვიოდა მათი დაფლეთილი სხეულის ნაწილები... აი, რისი მაქნისია მხატვრობა! იგი სამხედრო მანქანებსა და ნაგებობებს უდგას სამსახურში; სრულქმნის სიათებსა და შაშხანებს; აგებს ხიდებსა და მისადგმელ კიბეებს; და რაც მთავარია, ციხესიმაგრეების, ბასტიონებისა და თხრილების პროექტებსა და მოცულობას ადგენს"... (ფრანსუა დ'ოლანდე: დიალოგი მხატვრობაზე ქალაქ რომში. მესამე ნაწილი, 1549 წ.)

2 სებასტიანო დელ პიომბოს წერილი მიქელანჯელოსადმი (1531 წლის 29 აპრილს).

წერილი გამოგზავნა ფლორენციაში. ბრძანებდა, დაუყოვნებლივ მოენახათ მიქელანჯელო და საკადრისი პატივითაც მოპყრობოდნენ, თუკი მედიჩთა საფლავებზე მუშაობას განაგრძობდა [1].

მიქელანჯელო გამოვიდა სამალავიდან და კვლავ დაიწყო შრომა იმათ სადიდებლად, ვისი დამხობაც სურდა. ის კი არა და, ვაჩიო ვალორისათვის, ვინც პაპის შავბნელ ზრახვებს ხორცს ასხამდა და ბატისტა დელა პალა მოკლა, ისარმომარჯვებული აპოლონი გამოაქანდაკა [2]. მალე მთლად განუდგა ლტოლვილ ფლორენციელებს [3]. ეს სავალალო სასუსტე იყო დიდი ხელოვანისა, რომელიც იძულებულია, საკუთარი სიმდაბლითა და პირფერობით დაიცვას თავის ხელოვნებისეულ ოცნებათა სიცოცხლე უხეში, ტლანქი ძალის მსახვრალი ხელისაგან, რომელსაც შეუძლია წამში, თავისდა გუნებისად დაახრჩოს იგი. ტყუილად კი არ შეალია თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ოცი წელი პეტრე მოციქულის უზარმაზარი ტაძრის აგებას. მასაც ხომ პეტრე მოციქულივით არაერთხელ წასკდომია ტირილი მამლის ყივილის გაგონებისას.

იძულებული იყო ეცრუა, ეპირფერა ვალორის წინაშეც, განედიდებინა ლორენცო, ურბინელი ჰერცოგი. სირცხვილი და ბრაზი აღრჩობდა. არყოფნის ჟინს მუშაობაში იკლავდა [4] და მედიჩები კი არ გამო-

---

[1] კონდივი. — 1530 წლის 11 დეკემბრიდან პაპმა ისევ დაუნიშნა პენსია მიქელანჯელოს.

[2] 1530 წლის შემოდგომას. ქანდაკება ფლორენციის ნაციონალურ მუზეუმში ინახება.

[3] 1544 წელს.

[4] იმავე წლებში, მისი ცხოვრების უმძიმეს წლებში, მიქელანჯელო ველური ძალით წინ აღუდგა ქრისტიანულ პესიმიზმს, დახრჩობას რომ უქადდა და გამომწვევად წარმართული სულით აღბეჭდილი ნაწარმოებები შექმნა. ერთი მათგანი, 1529-30 წლებში ფერარის ჰერცოგის შეკვეთით დახატული „გედთან მოალერსე ლედა“ რომელიც შემდეგში თავის მოწაფეს, ანტონიო მინის აჩუქა და რომელიც ამ უკანასკნელმა საფრანგეთში წაიღო, სუბლე დე ნუაიეს გაუნადგურებია 1643 წელს მისი აკხორცობის გამო. ცოტა ხნის შემდეგ მიქელანჯელომ ბარტოლომეო ბეტინისათვის „ამურთან მოალერსე ვენერას“ ესკიზი დაამზადა. პონტორმომ ამ ესკიზის მიხედვით შექმნა ტილო, რომელიც დღესაც ინახება უფიციის მუზეუმში. სხვა ნახატებიც, დიდებული და მკაცრი უსირცხვილობის ბეჭდით აღნიშნულნი, უთუოდ ამ პერიოდს განეკუთვნება. შარლ ბლანი აღწერს ერთ-ერთ მათგანს, „სადაც მამრთან შეჭიდებული ქალის აღტაცება მოჩანს. ღონიერი ქალი გააფთრებით იცავს თავს მასზე უფრო ღონიერი მამაკაცისაგან, მას გატაცებას რომ უპირებს, მაგრამ თან ბედნიერებასა და სიამაყეს ვერ ფარავს“.

აქანდაკა, ქვაში თავის სასოწარკვეთას შეასხა ხორცი. თუ შენიშნავდნენ, ეგ პორტრეტები მაინცდამაინც არ გვანანო ჟულიენსა და ლორენცო მედიჩებს, ამაყად მიუგებდა: „ამას ვინ შეამჩნევს ათი საუკუნის შემდეგ?“ ერთისგან „ქმედება“ გამოჰკვეთა, მეორისგან—„ფიქრი“. ცოკოლის ქანდაკებები კი, მათი ამხსნელნი და მათი გამვრცობნი—„დღე“ და „ღამე“ „განთიადი“ და „მწუხრი“ ცხოვრებისეულ დიდ ტანჯვასა და არსებულისადმი არაჩვეულებრივ ზიზღზე მეტყველებენ. ადამიანური კაეშნის ეს უკვდავი სიმბოლოები 1531 წელს დაასრულა [1]. მაგრამ ვაი, რომ ვერვინ გაიგო ისინი. ჯოვანი სტროციმ, როცა უბადლო „ღამე“ იხილა, კონცეტი შეთხზა:

ო, ღამევ, ღამევ უნაზესო, რომ გძინავს ტკბილად,
ქვის ქანდაკებავ, ხორცშესხმული ხარ ანგელოსი,
შენ რადგან გძინავს, ცოცხალი ხარ, შენ ცოცხლობ ჩემთვის.
არ გჯერა? ხელი შეახე და ხმას ამოიღებს.

მიქელანჯელომ უპასუხა:

Caro m'è 'l sonno et piu l'esser di sasso,
Mentre che 'l danno et la vergogna dura.
Non veder, non sentir m'è gran ventura;
Pero non mi destar, deh! parla basso.

ო, ჩემთვის ძილი ძვირფასია და უკეთესი
არის ქვად ქცევა; სირცხვილი და დანაშაული
სანამ გრძელდება, არ ვისმენდე, არ ვუყურებდე!
ნუ გამაღვიძებთ, ოჰ, ჩურჩულით ილაპარაკეთ! [2]

„ცაში სძინავთო, — წერდა იგი ერთგან, სხვა ლექსში, — თორემ ერთი კაცი ვერ მიითვისებდა ყოველივეს, რაც ამდენი კაცის ქონებას შეადგენდაო“.

და ფლორენციაც, დამონებული, მის გოდებას ბანს აძლევდა [3]:

---

[1] „ღამე“ 1530 წლის შემოდგომას უნდა იყოს გამოქანდაკებული; 1531 წლის გაზაფხულს უკვე დასრულებული იყო იგი; „მწუხრი“ და „განთიადი“ 1531 წელს შეიქმნა; „დღე“ ცოტა უფრო ადრე (იხ. ერნსტ შტეინმანის ნაშრომი: „მედიჩითა საფლავის საიდუმლო, ლაიფციგი, 1907 წ.).

[2] ლექსები, CIX, 16, 17. — ფრეი მათ 1545 წლით ათარიღებს.

[3] მიქელანჯელო აქ წარმოგვიდგენს დიალოგს ფლორენციასა და დეენილ ფლორენციელებს შორის.

არ აიმღერიოთ წმინდა ფიქრი, არ აიმღვრიოთ,
ის, ვინც ფიქრობს, რომ თქვენს თავს მართავს, შიშის მიზეზით
იგი ვერ ტკბება ჩადენილი დანაშაულით.
ბედნიერია მიჯნურთათვის ტრფობის სიუხვის
ჟამი კი არა, მათ რომ ენებას უცხრობს, არამედ
მათ რომ იმედით ასულდგმულებს, ის ძნელბედობა [1].

ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, თუ რა იყო რომის გაძარცვა და ფლორენციის დაცემა იმდროინდელ მოღვაწეთათვის: გონების უდიდესი კრახი, იმედის საშინელი გაცრუება. ბევრი წელში ვეღარ გაიმართა ამ ამბის შემდეგ.

სებასტიანო დელ პიომბო სიტკბოების მძებნელ სკეპტიციზმში გადაეშვა.

„იმ ზომამდე მიველ, სამყარო რომც დაიქცეს, არას ვინაღვლი. ყველაფერზე ვიცინი... თვითონაც არ მჯერა, რომ ისევ ის ბასტიანო ვარ. რომის გაძარცვამდე რომ ვიყავი... ჯერ გონს ვერ მოვსულვარ“ [2].

მიქელანჯელოს თავის მოკვლა ჰქონდა განზრახული:

მხოლოდ მას ძალუძს სიცოცხლეზე აღმართოს ხელი
და არსებობა მიწიერი დათმოს, გაექცეს, —
ვისაც რწმენა აქვს ჰეშმარიტი და მონობაში
ამოსდის სული, საბრალოა და საძულველი [3].

სული კინალამ განუტევა. 1531 წელს ლოგინად ჩავარდა. კლიმენტ VII ამაოდ ცდილობდა მის დამშვიდებას. რამდენჯერმე შეუთვალა კიდეც თავისი მდივნისა და სებასტიანო დელ პიომბოს პირით, თავს

---

[1] ლექსები, CIX, 48.

[2] სებასტიანო დელ პიომბოს წერილი მიქელანჯელოსადმი (1531 წლის 24 თებერვალს დაწერილი). ეს პირველი ბარათი იყო, რომელიც მან მოიწერა რომის აღების შემდეგ:

„ღვთის მეტმა არავინ იცის, რა ბედნიერი ვიყავი, რაკი ამდენი გაჭირვების, უბედურებისა და საფრთხის შემდეგ ყოვლისმძლე უფალმა გულმოწყალება და სიბრალული გამოიჩინა ჩვენდამი და ცოცხლები და საღ-სალამონი დაგვტოვა: მართლაც სასწაული მოხდა-მეთქი, ასე მგონია. ეხლა კი, ნათლიმამ, რაკი წყალსა და ცეცხლს გადაეურჩით და წარმოუდგენელი ამბები გადავიტანეთ, ღმერთს მადლობა შევწიროთ ყველაფრისათვის და ის ორიოდ დღის სიცოცხლე, რაც გადაგვრჩა, მშვიდად და მოსვენებით მაინც გავატაროთ. ბედს კი მაინცდამაინც ნუ მივენდობით; ბედი მაცდური და ბოროტია“...

წერილებს ხსნიდნენ. სებასტიანო ურჩევს მიქელანჯელოს, ხელი შეიცვალეო.

[3] ლექსები, XXXVIII.

რაზე იკლავ, ნელა იმუშავე, გაისეირნე კიდეც, თავი შავ ძუშად ნუ გაგიხდიაო[1]. 1531 წლის შემოდგომას სული კინაღამ განუტევა. ერთი მისი მეგობარი სწერდა ვალორის: „მიქელანჯელო მთლად ჩამოხმა, ამასწინათ ველაპარაკე ბუჯარდინისა და ანტონიო მინის: სამივე იმ აზრზე ვდგევართ, რომ თუ სერიოზულად არ მივხედეთ, სულ მალე გამოგვეცლება ხელიდან. ძალიან ბევრს შრომობს, ჭამით კი სულ არა ჭამს, ძილითაც არ სძინავს. ერთი წელია, რაც გულს იტკივებს და საშინელი თავის ტკივილები აწუხებს"[2]. კლიმენტ VII სერიოზულად შეაშფოთა ამ ამბავმა. 1531 წლის ოცდაერთ ნოემბერს ბრძანება გასცა, რომ მიქელანჯელოს ეკლესიიდან მოკვეთის მუქარით აკრძალოდა იულიუს II-სა და მედიჩითა საფლავებს გარდა სხვა რამეზე მუშაობა[3], რომ ჯაფით წელში არ გამწყდარიყო და „კიდევ უფრო დიდხანს განედიდებინა რომი, თავისი ოჯახი და საკუთარი თავი".

* * *

პაპმა ვალორისა და იმ მდიდარ მათხოვართა მაპეზრობისაგან დაიცვა მიქელანჯელო, რომლებიც თხოვნით გულს უწყალებდნენ, სურათი დაგვიხატეო. „მათ წყენას გულთან ახლოს ნუ მიიტან და შეკვეთებზე ნუ დათანხმდები. ნახატს რომ მოგთხოვენ,—უთვლიდა იგი მიქელანჯელოს, — ფუნჯი ფეხზე მოიბი, ორიოდ ხაზი გაავლე და უთხარი: ნახატი მზადაა-თქო"[4]. მერე, როცა მას იულიუს II-ის მემკვიდრეებმა მაგრად შემოუტიეს საფლავის ძეგლის თაობაზე, მიქელანჯელოსა და იულიუს II-ის მემკვიდრეთა შორისაც იკისრა შუამავლობა[5]. მიქელანჯელომ ვალად იდო შეექმნა ძეგლის ახალი, გამარტივე-

---

[1] „...Non voria che ve fachinasti tanto..." (პაოლო მარცის წერილი მიქელანჯელოსადმი, 1531 წლის 20 ივნისი. — შდრ. სებასტიანო დელ პიომბოს წერილი მიქელანჯელოსადმი, 1531 წლის 16 ივნისი)

[2] ჯოვანი ბატისტა დი პაოლო მინის წერილი ვალორისადმი (1531 წლის 29 სექტემბერს).

[3] .....Ne aliquo modo laborare debeas, nisi in sepultura et opera nostre, quam tibi commisimus..." — „...ჩვენ რომ მოგანდეთ, იმ საფლავის ძეგლის გარდა სხვა საშუშაოს ხელი არ ახლო"... (ლათ.).

[4] ბენვენუტო დელა ვოლპაიას წერილი მიქელანჯელოსადმი (1531 წლის 26 ნოემბერი)

[5] „პაპის წყალობა რომ არ გიფარავდეთ,—სწერს სებასტიანო, — გველებივით დაგეხვეოდნენ" (Saltariano come serpenti). 1532 წლის 15 მარტი.

ბული მოდელი[1] და სამ წელიწადში თავის ხარჯზე დაესრულებინა იგი, გადაეხადა ყველა გადასახადი და კიდევ 2000 დუკატი, ყოველივე იმის სანაცვლოდ, რაც იულიუს II-სა და მისი მემკვიდრეებისაგან ჰქონდა ბოძებული. „ოღონდ ნაწარმოებში თქვენი სული ჩანდეს", (un poco del vostro odore) — სწერდა სებასტიანო დელ პიომბო მიქელანჯელოს[2].

სავალალო პირობა, მისი დიდი პროექტის მარცხი, — ესღა დაურჩა იმ დიდებული გეგმის სანაცვლოდ. თან ფულსაც თვითონ იხდიდა: მაგრამ განა ყოველ წელს ასე არ იყო? ყველა ტრაგიკული ნაწარმოების შექმნით თავისი ცხოვრების მარცხზე არ აწერდა ხელს მიქელანჯელო?

იულიუს II-ის ძეგლის პროექტის შემდეგ მედიჩითა საფლავთა ძეგლის პროექტიც ჩაიშალა. 1534 წლის 25 სექტემბერს კლიმენტ VII გარდაიცვალა. ბედად მიქელანჯელო მაშინ ფლორენციაში არ იყო: კარგახანია გულში შიში ჰქონდა ჩავარდნილი, რადგან ჰერცოგ ალექსანდრო მედიჩის ძალიან სძულდა. პაპის ხათრი რომ არა, მოაკვლევინებდა კიდეც[3]. მეტადრე მაშინ გადაეკიდა, როცა მიქელანჯელომ ხელი არ შეუწყო ფლორენციის დამორჩილებაში და ქალაქის თავზე ციხე-კოშკის აგებაზე უარი უთხრა.

ეს საუცხოო გმირული საქციელი მოწმობს, თუ რა ძლიერად უყვარდა ამ მფრთხალ კაცს თავისი სამშობლო. მას შემდეგ მიქელანჯელო ყველაფერს ელოდა ჰერცოგისაგან და როცა კლიმენტ VII გარდაიცვალა, მხოლოდ იმან იხსნა, რომ იმხანად ფლორენციის საზღვრებს გარეთ იყო[4]. მას შემდეგ იქ აღარც დაბრუნებულა. მედიჩითა საფლავი სამუდამოდ დაუმთავრებელი დარჩა. ის, რასაც ამ

---

[1] ახლა იმასაც დასჯერდებოდნენ, რომ საფლავის ძეგლისათვის, რომელიც სან პიეტრო ინ ვინკოლიში უნდა აღმართულიყო, მოემზადებინა 6 დაწყებული და დაუმთავრებელი ქანდაკება (უთუოდ „მოსე", „გამარჯვება", „მონები" და ბობოლის გამოქვაბულის ფიგურები).

[2] სებასტიანო დელ პიომბოს წერილი მიქელანჯელოსადმი (1532 წლის 6 აპრილს).

[3] კლიმენტ VII-მ თავის ძმისწულ ჰერცოგ ალექსანდროსაგან ბევრჯერ იპატივა მიქელანჯელო. სებასტიანო დელ პიომბო მიქელანჯელოს ერთ ასეთ ამბავს უამბობს: „პაპი ისეთის მგზნებარებით, ბრაზითა და რისხვით გიცავდათ, ისეთი საშინელი სიტყვები უთხრა, რომ ჭათი დაწერა შეუძლებელიაო" (1533 წლის 16 აგვისტოს).

[4] კონდივი.

სახელით ვიცნობთ, მხოლოდ შორეული ლანდია იმისა, რაზედაც ოცნებობდა მიქელანჯელო. ჩვენამდე კედლის დეკორაციის ჩონჩხმა მოაღწია. თავი დავანებოთ იმას, რომ მიქელანჯელომ ქანდაკებათა[1] და ნატეხების[2] ნახევარიც კი ვერ შეასრულა, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მისმა მოწაფეებმა სცადეს, ხორცი შეესხათ მისი ჩანაფიქრისათვის, იმის თქმაც კი ვეღარ შესძლო, თუ რა ჰქონდა განზრახული[3].

ყველა ადრინდელ წამოწყებაზე ისე მწარედ ჰქონდა ჩაქნეული ხელი, რომ ყველაფერი დავიწყებოდა.

* * *

1534 წლის 23 სექტემბერს მიქელანჯელო რომს დაბრუნდა და სიკვდილამდე ფეხი არ მოუცვლია იქედან[4]. ოცდაერთი წელი იყო, რაც რომი არ ენახა. ამ ოცდაერთი წლის მანძილზე მხოლოდ სამი ქანდაკება გააკეთა იულიუს II-ს დაუმთავრებელი საფლავისათვის და შვიდი დაუმთავრებელი ქანდაკება მედიჩითა დაუმთავრებელი საფლავებისათვის; ვერ დაამთავრა ვერც ლორენცო მედიჩის სასახლის დერეფანი, ვერც ქრისტე სანტა მარია დე ლა მინერვას ეკლესიისათვის და ვერც აპოლონი ვაჩიო ვალორისათვის. დაკარგა ჯანი, ენერგია, რწმენა ხელოვნებისა და სამშობლოსადმი. დაკარგა ძმა, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა[5]. დაკარგა მამა, რომელსაც აღმერთებდა[6].

---

[1] მიქელანჯელომ ნაწილობრივ დაასრულა შვიდი ძეგლი (ურბენის პერცოგ ლორენცოსა და ჟულიენ ნემურელის საფლავები და ღვთისმშობელი). ის ოთხი ფიგურა კი, ცოცოლის დასამშვენებლად რომ ჰქონდა გამიზნული, არც დაუწყია. ლორენცო მშვენიერისა და მისი ძმის, ჟულიენის საფლავის ძეგლების აგებაც სხვებს მიანება

[2] ვაზირი 1563 წლის 17 მარტს ეკითხება მიქელანჯელოს, კედლებზე რისი დახატვა გქონდათო განზრახული.

[3] არავინ იცოდა, სად მოეთავსებინათ უკვე დამზადებული ქანდაკებები, არც ის, რა უნდა დადგმულიყო ცარიელ ნიშებში. ამაოდ ეკითხებოდნენ მიქელანჯელოს ვაზარი და ამანატი, რომელთაც ჰერცოგ კოზიმო I-საგან მის მიერ დაწყებული ნაწარმოების შექმნა ჰქონდათ დავალებული; მიქელანჯელოს აღარაფერი ახსოვდა: „ეკუამ და მეხსიერებამ წინ გამისწრეს და იმ ქვეყნად მიმელიანო“, — წერდა იგი 1557 წლის აგვისტოს თვეში.

[4] მიქელანჯელომ რომის მოქალაქეობა 1546 წლის 20 მარტს მიიღო.

[5] ბუონაროტო, რომელიც 1528 წელს ჰირმა იმსხვერპლა ფლორენციაში.

[6] 1534 წლის ივნისში.

მათდა სამახსოვროდ საუცხოო სევდით აღსავსე ლექსი დაწერა, მაგრამ ეს ლექსიც ისევე, როგორც ყველაფერი, რასაც ხელს ჰკიდებდა, დაუსრულებელი დარჩა.

ჩვენს ამქვეყნიურ სიდუხჭირეს ცამ მოგაშორა.
ო, შემიბრალე, ვცოცხლობ, მაგრამ მე ვარ ცხედარი...
სიკვდილს სიკვდილით გაექეცი, ხარ ღვთაებრივი;
არ შეიცვლება არც ცხოვრება და არც სურვილი.
(ვწერ შურით ამას, ვერ დავფარავ, ბედი მშურს თქვენი...)
ვეღარც იღბალი, ვეღარც ჟამი, რომ გვთავაზობენ
ორგულ სიხარულს, ანდა ერთგულ უბედურებას,
თქვენს ზღურბლზე უკვე ვერ გადმოვლენ ამიერიდან.
ო, თქვენს სინათლეს ვერც ღრუბელი დაემუქრება,
ძალმომრეობით ვერ გახდება ჟამი ვერაფერს,
ვერც შემთხვევა და იძულება აგედევნებათ,
ვერც ღამის ბინდი დააბნელებს თქვენს ბრწყინვალებას
და დღის სინათლით ვეღარც შუქი მოგვმატებათ...
სიკვდილს შეიცნობს ჩემი სული შენი სიკვდილით,
ძვირფასო მამავ...
არაფერია სიკვდილიო, ამბობენ, მისთვის,
უკანასკნელი დღე ვისთვისაც არის პირველი,
დღე მარადისი, დღე უფალთან მიახლოვების.
ჩვენ იქ შევხვდებით, ო, მე მჯერა, ჩვენ იქ შევხვდებით
ჩემი გონების შემწეობით, ან ღვთის წყალობით.
ცად ავმაღლდები, მოიშორებს სული მიწიერს,
ვით სათნოება, ავმაღლდები იქ, სადაც უფრო
არის ნეტარი სიყვარული მამის და შვილის [1].

უკვე აღარაფერი აკავებდა დედამიწაზე; არც ხელოვნება, არც პატივმოყვარეობა, არც სიყვარული და არც იმედი. სამოცი წელი შეუსრულდა. მისი ცხოვრებაც დასრულდა თითქოს. კენტად დარჩენილს უკვე აღარ სჯერა საკუთარი შემოქმედებისა. სიკვდილი ენატრება, ცდილობს გაექცეს „ადამიანთ და საგანთა ცვალებადობას", „ჟამთა სიავეს", აუცილებლობისა და შემთხვევითობის ტირანიას.

ვაგლახ! დღეები გამიქრნენ და მიბრუნეს ზურგი...
დაღონებული დამტოვა და გამისხლტა ჟამი...
მოვხუცდი უკვე, აღარ ძალმიძს მონანიება
და მომაკვდავი ვეღარც სიკვდილს შევურიგდები...

[1] ლექსები. LVIII.

ეტირი ამაოდ! ვერაფერი ვერ მანუგეშებს,
გამისხლტა ყამი და ვერასდროს ვერ დავიბრუნებ...
ვაგლახ! ჩემს წარსულს რომ ვუყურებ ახლა აქედან,
ერთ დღეს ვერ ვხედავ, ერთ დღეს მაინც, მე მეკუთვნოდეს!
გაცრუებული იმედები და სურვილები...
მე ვიყავ, ახლა ვაღიარებ. მე ვიყავ მუდამ
შეყვარებული, მე ვტიროდი, მე ვცახცახებდი.
მე ვიყავ მუდამ შეპყრობილი (რადგან არ იყო
უცნობი ჩემთვის თანაგრძნობა მომაკვლავისა)
და მე ხელიდან მისხლტებოდა ჭეშმარიტება...
ვაგლახ! მივდივარ და არ ვიცი, საით მივდივარ...

გზააბნეული ხომ არა ვარ... მე მეშინია...
მე ვხედავ სასჯელს მარადიულს, მელის მსაჯული,
მე ჩავდიოდი ბოროტებას პირმშო სიკეთის
და აღარც ვიცი, რისი უნდა მქონდეს იმედი...[1]

---

[1] ლექსები, XLIX.

ნაწილი მეორე

უარყოფა

I

სიყვარული

j'me la morte, in te la vita mia [1].

მას შემდეგ, რაც უარი თქვა ყველაფერზე, რაც კი აქამდე აცოცხლებდა, ამ განაწამებ, დამზრალ სულში კვლავ იშვა ახალი ცხოვრება, კვლავ აყვავილდა გაზაფხული, კვლავ აელვარდა სიყვარული კიდევ უფრო ნათელი შუქით. მაგრამ ამ ტრფობას თითქმის აღარაფერი ჰქონდა გრძნობადი და ეგოისტური; ეს იყო კავალიერის სილამაზის მისტიკური გაღმერთება, ეს იყო ვიტორია კოლონას რელიგიური სიყვარული — სულთა წრფელი ერთობა უფლის წიაღში. და ბოლოს, ეს გახლდათ მამობრივი სიყვარული დაობლებულ ძმისწულთა მიმართ, ღვთიური ქველმოქმედება და ღარიბ-ღატაკთა სიბრალული.

მიქელანჯელოს სიყვარულს ტომაზო დეი კავალიერისადმი შეუძლია საგონებელში ჩააგდოს საშუალო გონების ხალხი — პატიოსნებიცა და უპატიოსნოებიც. თვით რენესანსის მიწურულის იტალიაშიც კი ბევრს საჩოთიროდ მიაჩნდა ეგ ამბავი. არეტინო გადაკვრით ლაპარაკობს მასზე ერთ-ერთ თავის წერილში [2]. მაგრამ არეტინოთა ცი-

---

[1] მე სიკვდილი ვარ ჩემი თავისა და შენში არის სიცოცხლე ჩემი. ლექსები, LIX.

[2] აღსანიშნავია, რომ მიქელანჯელოს ძმისწულის შვილმა 1623 წელს თავისი დიდებული წინაპრის „ლექსების“ პირველ გამოცემაში ვერ გაბედა უცვლელად გამოექვეყნებინა სწორედ ტომაზო დეი კავალიერისადმი მიძღვნილი ლექსები. მიანიშნებდა, თითქოს ისინი ვიღაც ქალისადმი იყო მიძღვნილი. შეფლერისა და სიმონდსის უახლოეს გამოკვლევებამდე კავალიერის გამონაგონ სახელად თვლიდნენ და მიაჩნდათ, რომ მის უკან ვიტორია კოლონა იყო დამალული.

ლისწამება სად მისწვდება მიქელანჯელოს: ასეთები მუდამ მრავლად არიან: „მათ მიქელანჯელო თავის ხატად და მსგავსად წარმოუდგენიათ“ [1].

არავის სული არ ყოფილა ისე წმიდა, როგორც მიქელანჯელოსი. არავის მიაჩნდა სიყვარული ესოდენ ღვთაებრივად.

„ხშირად მსმენია, — ამბობს კონდივი, — თუ როგორ ლაპარაკობდა სიყვარულზე: ისინი, ვინც ესწრებოდნენ ამ საუბრებს, ერთხმად აღიარებდნენ, ზუსტად ისე ლაპარაკობს, როგორც პლატონიო. პლატონისა რა მოგახსენოთ და მიქელანჯელოზე კი გეტყვით, რომ ამდენი ხნის ნაცნობობისა და ახლო მეგობრობის მანძილზე არასოდეს მსმენია, რომ მის ბაგეთაგან თუნდაც ერთი ურიგო სიტყვა გამოსულიყოს. მისი მსჯელობა მუდამ ღირსებით იყო აღსავსე და შეეძლო ყმაწვილთა გულებშიაც ჩაექრო იმ უკეთურ ვნებათა ალი, რომელიც დაგვეუფლება ხოლმე ჭაბუკობაში“.

მაგრამ ეს პლატონისეული იდეალიზმი როდი იყო ლიტერატურული და ცივი: იგი გონების სიშმაგესთან იყო შერწყმული, რაც მიქელანჯელოს ყოველივე ლამაზის ტყვედ აქცევდა. ეს თვითონაც კარგად უწყოდა და ერთხელ ასე გამოხატა საკუთარი გულის პასუხი, როცა თავისი მეგობრის, ჯანოტის სტუმრობაზე უარს ამბობდა:

„როდესაც ვხედავ ადამიანს, კისაც ზეგარდმო ნიჭი ან გონებრივი საუნჯე გააჩნია, როცა ვხედავ კაცს, ვინც რაიმეს გაკეთება, ან რაიმე საგანზე მსჯელობა სხვაზე უკეთ იცის, სიყვარული მიბყრობს და ჩემდაუნებურად მონად ვუხდები იმ ზომამდე, რომ საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი... თქვენ ყველანი ისეთი ნიჭიერები ხართ, თქვენი მოპატიჟება რომ მივიღო, თავისუფლებას დავკარგავდი; ყველა თქვენგანი ჩემივე თავის ნაწილს წამართმევდა. მოცეკვავეცა და ჩანგზე დამკვრელიც, თუკი თავიანთ ხელოვნებაში აღმატებულნი არიან, რადაც უნდათ, იმად მაქცევენ! და ნაცვლად იმისა, რომ დავისვენო, ძალა მოვიკრიბო, გულს დარდი გადავიყარო თქვენს სიახლოვეს, სულს ამიშფოთებთ და ქარს გაატანთ ნაწილ-ნაწილ, ისე, რომ მრავალი დღის შემდეგაც აღარ მეცოდინება, რა ქვეყანაში ვიმყოფები“[2].

---

[1] მიქელანჯელოს წერილი ვიღაც უცნობისადმი (1542 წლის ოქტომბერში დაწერილი). წერილები, მილანეზის გამოცემა, CDXXXV.

[2] დონატო ჯანოტი, „დიალოგები“, 1545 წ.

და თუკი გონების, სიტყვის და ბგერათა სილამაზე ასე ხიბლავდა, რაოდენ უფრო მოხიბლული უნდა ყოფილიყო სხეულის სილამაზით!

La forza d'un bel viso a che mi sprona!
C'altro non è c'al mondo mi diletti...

თითქოს დეზი მკრეს, მშვენიერი მიზიდავს სახე,
ამქვეყნად ჩემთვის არ არსებობს სხვა სიხარული [1].

საუცხოო ფორმათა დიდი შემოქმედისათვის, ვინც ამავე დროს ღრმად მორწმუნე კაციც იყო, ლამაზი სხეული ღვთაებრივი რამ გახლდათ. ეს თვით ღმერთი იყო ხორცის საფარქვეშ განცხადებული და როგორც მოსე ღვთაებრივ ეკალს, მხოლოდ თრთოლვით თუ მიეახლებოდა. ტრფობის საგანი მისთვის ნამდვილი კერპი იყო, როგორც თავად ამბობდა; ამ კერპის ფერხთით იყო გართხმული და ეს ნებაყოფლობითი თვითდამცირება დიდი ადამიანისა, რაც ასე ძნელი ასატანი იყო კეთილშობილი კავალიერისათვის, მით უფრო უცნაური ჩანდა, როცა ნაკვთად მშვენიერ კერპს, როგორც მაგალითად ფებო დი პოჟიოს, საძაგელი და მდაბალი სული ჰქონდა. მაგრამ მიქელანჯელო ვერაფერს ამჩნევდა... მართლა ვერ ამჩნევდა ვერაფერს? — არაფრის შემჩნევა არ სურდა; ბუნების მიერ მოხაზულ სახეს თავის გულში წარმოდგენის საკრეთელით ასრულებდა.

მის იდეალურ მიჯნურთაგან, მის თვალხილულა სიზმართაგან უპირველესი ჯერარდო პერინი იყო. მიქელანჯელო მას დაახლოებით 1522 წელს ეტრფოდა [2]. შემდეგ, 1533 წელს, ფებო დი პოჟიოს გაუმიჯ-

---

[1] ლექსები, CXXXXI.

[2] მიქელანჯელოს რომ ესხმოდა თავს, არეტინოს უშუალოდ ჯერარდო პერინი ჰყავდა მხედველობაში. ფრეიმ გამოაქვეყნა მისი რამდენიმე საუცხოო გრძნობით გამთბარი წერილი, რომლებიც 1522 წლითაა დათარიღებული: „...che avendo di voi lettera, mi paia chon esso voi essere. che altro desiderio non o" („...როცა თქვენს წერილს ვღებულობ, თქვენს სიახლოვეს მგონია თავი და სწორედ ეს არის ჩემი ერთადერთი სურვილი"). ხელს ასე აწერს: „Vostro come figliuolo" („თქვენი შვილობილი")

მიქელანჯელოს ეს მშვენიერი ლექსიც დავიწყებასა და გაყრის სიმწარეზე მისდამი უნდა იყოს მიძღვნილი:

ნურდა, 1544 წელს კი ჩეკინო დეი ბრაჩის [1]. ასე რომ, კავალიერისადმი სიყვარული გამონაკლისი არ ყოფილა, მაგრამ იგი ყველაზე უფრო ხანიერი გამოდგა და ეგზალტაციის მიჯნამდე მიაღწია, რაც მეგობრის მარტო უბადლო სილამაზით კი არა, მისი მორალური კეთილშობილებითაც აიხსნებოდა.

„ყველაზე მეტადო, — ამბობს ვაზარი, — ცხადია, ახალგაზრდა რომაელი აზნაური, ხელოვნების დიდად მოყვარული კაცი, ტომაზო დეი კავალიერი უყვარდა; მუყაოზე ნატურალური ზომით მისი პორტრეტიც კი დახატა, ერთადერთი პორტრეტი, რომელიც კი ოდესმე გამოსულა მისი ხელიდან, რადგან ვერ იტანდა ვისიმე პორტრეტის

აქ ნათელია ყოველივე: აქ სიყვარულმა
წაიღო ჩემი გულიცა და ჩემი სიცოცხლეც.
უთქვამთ უარი სამოთხეზე და აქ სამოთხეს
შემპირებიან მშვენიერი თვალები მისი;
აქ დაუდვიათ ბორკილი და აქ შეუხსნიათ;
მე შეპყრობილი მწუხარებით აქ ვქვითინებდი,
ქვის ქანდაკებად აქ ვიხილე, ვის გამოც ალბათ
თავს დავკარგავ და ვერასოდეს ვერ დავიბრუნებ.

ლექსები, XXXV.

[1] ანრი ტოდე, ვინც თავის ნაშრომში: „მიქელანჯელო და გვიანი აღორძინების ხანა“ ცდილობს შეალამაზოს თავისი გმირი, თუნდაც ჭეშმარიტებას ამით ჩრდილი მიადგეს, ჯერარდო პერინის მეგობრობის შემდეგ ფებო დი პოჟიოს მეგობრობას ათავსებს, რათა თანდათანობით ამაღლდეს ტომაზო დეი კავალიერის მეგობრობამდე, რადგან ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ მიქელანჯელოს უნარი შესწევდა ყველაზე მეტად სრულყოფილი სიყვარულიდან ფებოს უმადურ ტრფობამდე დაშვებულიყო სინამდვილეში თითქმის წელიწადზე მეტი იყო, რაც მიქელანჯელო კავალიერისთან მეგობრობდა, როცა ფებოს გაუმიჯნურდა და მოკრძალებულ წერილებს სწერდა (ტოდეს მიხედვით, 1533 წლის დეკემბერს, ფრეის მიხედვით, 1534 წლის სექტემბერს). მასვე უძღვნიდა შმაგსა და ბუნდოვან ლექსებს, რომლებშიაც სიტყვები „ფებო“ და „პოჟიო“ ზმითა აქვს გამოყვანილი (ფრეი, „მიქელანჯელოს ლექსები“, CIII, CIV) და საპასუხოდ ღებულობდა წერილებს, რომლებშიაც პატარა გაიძვერა ფულსა სთხოვდა (იხ. მიქელანჯელოს ლექსების ფრეისეული გამოცემა, გვ. 526).

ჩეკინო დეი ბრაჩი კი, მისი მეგობრის, ლუიჯი დელ რიჩოს მეგობარი, მიქელანჯელომ მაშინ გაიცნო, როცა კავალიერისთან უკვე ათი წლის მეგობრობა აკავშირებდა ჩეკინო იყო ვაჟი ერთი დევნილი ფლორენციელისა და 1544 წელს რომში სულ მთლად ჭაბუკი გარდაიცვალა. მიქელანჯელომ მის სამახსოვროდ მაღმერთებელი იდეალიზმით აღბეჭდილი ორმოცდარვა სამგლოვიარო ეპიგრამა დაწერა, რომელთა შორისაც ბევრი გამოირჩევა უბადლო სილამაზით. ეს ლექსები ყველაზე უფრო მწუხარე ჩანს მიქელანჯელოს ლექსებში.

დახატვას, თუ ეს უკანასკნელი შეუდარებელი სილამაზისა არ იქნებოდა".

„როდესაც რომში მესერ ტომაზო კავალიერი გავიცანი, დავრწმუნდი, რომ იგი მარტო უბადლო სილამაზის პატრონი არ ყოფილა: ისეთი ზრდილი იყო, ისეთი მოხდენილი მიხრა-მოხრა ჰქონდა, ისეთი გონება და ისეთი კეთილშობილური საქციელი, რომ რაც უფრო ახლოს გაიცნობდით, მით უფრო ღირსი იყო სიყვარულისა", — დასძენს ვარკი [1].

მიქელანჯელო მას რომში შეხვდა, 1532 წლის შემოდგომას. პირველი წერილი, რომლითაც კავალიერიმ უპასუხა მიქელანჯელოს მგზნებარე აღსარებას, კეთილშობილური ღირსებითაა სავსე:

„მივიღე თქვენი წერილი, რომელიც მით უფრო ძვირფასია ჩემთვის, რამდენადაც მოულოდნელი; მოულოდნელი-მეთქი, ვამბობ, რადგან ჭეშმარიტად ღირსი არა ვარ თქვენისთანა კაცმა მომწეროს. ხოლო რაც შეეხება იმას, რასაც ჩემსა და ჩემი ნაწარმოების საქებრად ბრძანებთ, რომლებიც თითქოსდა მოგწონებიათ, ვფიქრობ, ისინი სულაც არ არიან ისეთი ღირსებისა, რომ თქვენისთანა ნიჭის მქონე კაცმა, რომლის არამცთუ ბადალი, მსგავსიც კი არ მოიძებნება დედამიწის ზურგზე, მოუწონოს ყმაწვილ კაცს, ვინაც ეს-ესაა ფეხი შედგა ხელოვნებაში და ჯერ მთლად უვიცია. მაგრამ ვერც იმას დავიჯერებ, რომ ცრუობდეთ. მე მჯერა, დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ჩემდამი ტრფიალება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ იმ სიყვარულით, რასაც თქვენებრი კაცი, ხელოვნების განსახიერება, უეჭველად გრძნობს იმათ მიმართ, ვისაც უყვარს ხელოვნება და ემსახურება კიდეც მოკრძალებით: მეც ერთი იმათგანი ვარ და ხელოვნების სიყვარულში არავის ჩამოვუვარდები. თქვენს სიყვარულზე მეც საპასუხო გრძნობას მოგიპყრობთ და გეფიცებით, რომ არასოდეს მყვარებია ვინმე თქვენზე მეტად და არასდროს მინატრია ვისიმე მეგობრობა თქვენსაზე უფრო. გთხოვთ მიმსახუროთ ყველაფერში და მარად თქვენს ყურმოჭრილ ყმად მიგულოთ.

სამუდამოდ თქვენი ერთგული
ტომაზო დეი კავალიერი" [2].

---

[1] ბენედეტო ვარკი „ორი ლექცია", 1549 წელი.

[2] ტომაზო დეი კავალიერის წერილი მიქელანჯელოსადმი (1533 წლის პირველი იანვარი).

როგორც ჩანს, კავალიერიმ ბოლომდე შეინარჩუნა ეს მოკრძალებული და თავდაჭერილი ტონი. ბოლომდე მიქელანჯელოს ერთგული დარჩა, მისი ნდობაც არ დაუკარგავს ბოლომდე. მიქელანჯელომ მის ხელში დალია სული. ეს ერთადერთი კაცი იყო, ვისზედაც ამბობდნენ, მიქელანჯელოზე გავლენა აქვსო და იშვიათი ღირსებაც გააჩნდა, ეს გავლენა მუდამ მეგობრის სასიკეთოდ და სადიდებლად გამოეყენებინა. სწორედ მან ჩააგონა მიქელანჯელოს პეტრე მოციქულის ტაძრის გუმბათისათვის ხის მოდელის დასრულება. მანვე შემოგვინახა მიქელანჯელოს გეგმები კაპიტოლიუმის ასაგებად. და მათი განხორციელებისათვის დიდძალი შრომაც გასწია. დაბოლოს, მიქელანჯელოს სიკვდილის შემდეგ, სწორედ ის ადევნებდა თვალყურს მისი ანდერძის აღსრულებას.

მაგრამ მიქელანჯელოს გრძნობა მისდამი მიჯნურთ სიშმაგეს ედარებოდა. გიჟურ წერილებს სწერდა და თავის კერპს მიწაზე პირქვე დამხობილი ეგედრებოდა [1]. „უბადლო გენიას... სასწაულს... ჩვენი საუკუნის ჩირაღდანს“ უწოდებდა და ემუდარებოდა, ნუ მომიძულებთ, რაკი არ ძალმიძს გაგიტოლდეთ თქვენ, ვისაც ქვეყნად ტოლი არ მოეძევებაო. მას მიუძღვნა მთელი თავისი აწმყო, მთელი მომავალი და დასძინა:

„ჩემთვის მეტისმეტად სამძიმოა, რომ არ შემიძლია ჩემი წარსულიც შემოგთავაზოთ, რომ უფრო დიდხანს ვიყო თქვენი ნამსახური, რადგან მომავალი, ვგრძნობ, ხანმოკლე იქნება: მე ძალიან მოხუცი ვარ... [2] არ მჯერა, რომ რამეს შეეძლოს ჩვენი მეგობრობის შესუსტება, მაგრამ შეიძლება ერთობ დაჯერებულადაც გელაპარაკებით, რადგან მე თქვენზე განუზომლად დაბლა ვდგავარ... [3] მე ისევე არ შემიძლია თქვენი სახელის დავიწყება, როგორც საკმლისა, რომლითაც

---

[1] იხ. უპირველეს ყოვლისა, მიქელანჯელოს პასუხი კავალიერის პირველ წერილზე, იმავე დღეს, 1533 წლის პირველ იანვარს მიწერილი. შემონახულია ამ წერილის სამი, ერთიმეორეზე უფრო მღელვარე შავი. ერთ-ერთი მათგანის პოსტსკრიპტუმად მიქელანჯელოს შემდეგი სიტყვები აქვს გამოყვანილი: „შეიძლებოდა საკუთარი სახელით მოგვეხსენებინა ის, რასაც ერთი კაცი მეორეს უძღვნის და რასაც მეორე ღებულობს მისგან; მაგრამ წესი არ არის და მეც არ დამიწერია ამ წერილში“. — ცხადია, აქ სიტყვა „სიყვარულია“ ნაგულისხმეები.

[2] მიქელანჯელოს წერილი კავალიერისადმი (1533 წლის პირველი იანვარი).

[3] კავალიერისადმი მიწერილი წერილის შავი (1533 წლის 28 ივლისი).

ვიკვებები; თუმცა საქმელს უფრო ადვილად დავივიწყებ,—იგი ხორცს კვებავს მხოლოდ, სიამოვნებას კი არ მანიჭებს, — ვიდრე თქვენს სახელს, რომელიც სულსაც ასაზრდოებს და ხორცსაც და ავსებს მათ ისეთის სიმშვიდით, რომ სანამ თქვენზე ვფიქრობ, ვეღარა ვგრძნობ ვერც ტანჯვასა და ვერც სიკვდილის შიშს [1]... ჩემი სული მის ხელთაა, ვისაც თავად მივუძღვენი[2]... მასზე ფიქრი რომ შემაწყვეტინონ, უმალვე სულს დავლევდი" [3].

კავალიერის ბევრი საუცხოო ძღვენი უძღვნა:

„შესანიშნავი ნახატები, წითელი და შავი ფანქრით შესრულებული საუცხოო თავები, რომლებიც საგანგებოდ დაუხატა, რათა მისთვის ხატვა ესწავლებინა. მასვე მიუძღვნა განიმედი, ზევსის არწივი რომ მიაქანებს ზეცად, ტიტიუსი, გულ-ღვიძლს გრიფი რომ უძიძგნის და მზის ეტლიანი ფაეტონის ჩავარდნა პოში. ყოველივე ეს საუცხოო სილამაზისაა და სრულყოფილადაა შესრულებული" [4].

სონეტებსაც ხშირად უწერდა, ზოგს საუცხოოს, ზოგს — ბუნდოვანსა და გაუგებარს; ბევრი მათგანი სწრაფად გავრცელდა ლიტერატურულ წრეებში და მთელს იტალიაში გახდა ცნობილი [5]. აი, ერთი სონეტი, რომელზედაც ხშირად უთქვამთ, ულამაზესი ლირიკული ლექსიაო XVI საუკუნის იტალიაში [6]:

---

[1] მიქელანჯელოს წერილი კავალიერისადმი (1533 წლის 28 ივლისი).

[2] მიქელანჯელოს წერილი ბარტოლომეო ანჯოლინისადმი.

[3] მიქელანჯელოს წერილი სებასტიანო დელ პიომბოსადმი.

[4] ვაზარი.

[5] ვარკიმ ორ მათგანს საჯაროდ გაუკეთა კომენტარი და გამოაქვეყნა კიდეც თავის „ორ ლექციაში". მიქელანჯელო არ მალავდა თავის სიყვარულს. ბარტოლომეო ანჯოლინისა და სებასტიანო დელ პიომბოს მასზე ესაუბრებოდა. ასეთი მეგობრობა არავის აოცებდა. როცა ჩეკინო დეი ბრაჩი გარდაიცვალა, რიჩო თავის სასოწარკვეთასა და სიყვარულზე ყველას გასაგონად გაჰყვიროდა: „ო, ჩემო მეგობარო დონატო! ჩვენი ჩეკინო გარდაიცვალა. მთელი რომი გლოვას მოუცავს; მიქელანჯელომ საფლავის ძეგლის ესკიზი დამიხატა; გემუდარებით, დამიწერეთ ეპიტაფია და სანუგეშოდ რამე მითხარით: მწუხარებამ გონი წამართვა. დღე ერთია და ათასჯერ ვკვდები ო, ღმერთო! რა საზარლად დატრიალდა ჩემი ბედი!" (დონატო ჯანნოტისადმი მიწერილი ბარათი, 1544 წლის იანვარი). „მკერდში ათასი მიჯნურის სულს ვატარებდი", ათქმევინებს მიქელანჯელო ჩეკინოს ერთ-ერთ სამგლოვიარო ეპიგრამაში (ლექსები, ფრეისეული გამოცემა, LXXIII, 12).

[6] შეფლერი.

თქვენი თვალებით ვხედავ ნათელს, მე ის ნათელი
გამიქრებოდა და უთქვენოდ ბრმა ვიქნებოდი.
ტვირთის ზიდვასაც ვერ შევძლებდი, თქვენ მეხმარებით,
ჩემს უძლურ ნაბიჯს ეხმარება თქვენი ნაბიჯი.

თქვენი გონება მეზიდება და ცად ვმაღლდები...

თქვენი სურვილი არის ყველა ჩემი სურვილი,
მხოლოდ თქვენს სულში იბადება ჩემი ფიქრები,
ყოველი სიტყვა ჩემგან თქმული, სუნთქვაა თქვენი.

უთქვენოდ მე ვარ მიღეული, მსგავსი მთვარისა,
რომლის დანახვაც შეგვიძლია მხოლოდ იმიტომ,
რომ დიდებული მზის ნათელი ტრიალებს ცაში [1].

კიდევ უფრო ცნობილი იყო ეს მეორე სონეტი, ერთი საუკეთესო სიმღერათაგანი, რომელიც კი ოდესმე თქმულა სრულქმნილი მეგობრობის სადიდებლად:

თუ უბიწოა სიყვარული, თუ ამ სიყვარულს
ემონებიან და მონობა თანასწორია;
თუ ულმობელი ბედისწერა მბრძანებლობს მათზე,
ან თუ ერთია მათი ფიქრი, მათი სურვილი;

თუ ერთნაირად მიელტვიან მარადისობას,
ერთი ფრთები აქვთ და იმ ფრთებით ადიან ცაში,
მათ სიყვარულმა თუ ესროლა ოქროს ისარი
და ორივენი ერთი ცეცხლით ააბრიალა;

თუ ერთს მეორე ისე უყვარს, თავს ურჩევნია
და თუ გონებით მოხიბლული არის გონება,
თუ მიელტვიან და ერთმანეთს თუ ესწრაფვიან;

თუ სხვა ხატება არ არსებობს და ვერ ხედავენ,
ო, ასეთ რწმენას, ასეთ კავშირს, ასეთ სიყვარულს
განა იქნება, რომ სიკვდილი გადაეღობოს? [2].

ამ თავდავიწყებას, მსხვერპლად მოტანას საკუთარი არსებისას, რომელიც მთლად განიბნევა მეგობრის სულში, მუდამ ასეთი სიცხადე არ

---

[1] ლექსები, CIX, 19.

[2] ლექსები, XLIV.

ხლებია: ზოგჯერ მწუხარება სძლევდა ხოლმე და სიყვარულით შეპყრობილი ტანჯული სული კვნესით აწყდებოდა აქეთ-იქით:

ვარ აღგზნებული, მე ექვითინებ, მე ვიღუპები
და ამ საზრდოთი საზრდოობს სული...

I' piango, i' ardo, i' mi consumo, e 'l pio
Di questo si nutriscie.. [1]

„შენ, ვინც წაართვი სიხარული ჩემს არსებობას",

მიმართავს ერთგან კავალიერის [2].

ამ მეტისმეტად მგზნებარე ლექსებს „სანატრელი და ტკბილი რაინდი" [3] თავის ცივსა და მშვიდ სიყვარულს აგებებდა [4]. მეგობრულ გრძნობათა ასეთი გადაჭარბება გულის სიღრმეში კიდევაც აკრთობდა და მიქელანჯელოც ბოდიშს უხდიდა·

ჩემო ძვირფასო სენიორო, ნუ მირისხდები,
რომ არ მგონია უკეთესი შენზე არავინ;
ერთი გონებით ანთებულა გონება სხვათა.
მე რაც მინდა და რასაც ვსწავლობ შენთან და შენით
იმას უთუოდ ვერ მიხვდება ძეხორციელი:
რომ მიხვდეს, უნდა გამოსცადოს უწინ სიკვდილი [5].

ცხადია, სილამაზის ამ სიყვარულს უპატიოსნო არა შესდგამს რა [6], მაგრამ ამ შმაგი, მღვრიე [7] და მაინც წმიდა ტრფობის სფინქსი შემაშფოთებელი იყო და ჰალუცინაციებით შეპყრობილს ჰგავდა.

მაგრამ ამ ავადმყოფურ მეგობრობათა რიგს — სიყვარულს მოშიე-

---

[1] ლექსები, LII. ერთ-ერთი სონეტის ბოლოს მიქელანჯელოს კავალიერის სახელი ზმითა აქვს გამოყვანილი:

Resto prigion d'un Cavalier armato.

მე დამატყვევა კავალერმა ეჯარასხმულმა.

[2] Onde al mio viver lieto, che me'ha tolto... (ლექსები, CIX. 18).

[3] Il desiato mie dolce signore (ლექსები, L).

[4] Un freddo aspetto (ლექსები, CIX. 18).

[5] ლექსები, XLV.

[6] Il foco onesto, che m'arde... მე წაშეკიდა უწმინდესი ხანძარი... (ლექსები, L.)
La casta voglia, che 'l cor dentro infiamma... ნება-სურვილი უწმინდესი, სულის გამთბობი (იქვე, XLIII)

[7] ერთ სონეტში მიქელანჯელო ნატრობს: „ნეტა ტყავი მქნა, ჩემი სატრფოს ტანის მმოსველი, ან საქალამნე, რომ მთელავდეს მისი თოვლზე უფრო თეთრი ფეხები"...

ბული სულის ამაო ლტოლვას თავის უსაგნო არსებობის ამოსავსებად — საბედნიეროდ მოჰყვა წმიდა და უშფოთველი ტრფობა ქალისა, ვინც შესძლო გაეგო ამ უზარმაზარ ქვეყანაში გზააბნეული მოხუცი ბავშვისათვის და მისი სულისათვის ცოტა მშვიდობა, ნდობა, საღი აზრი და სიკვდილ-სიცოცხლის მელანქოლიური მიღება შთაებერა.

* * *

მიქელანჯელოს სიყვარულმა კავალიერისადმი 1533-34 წლებში თავის ზენიტს მიაღწია[1]. 1535 წლიდან კი იწყება მისი და ვიტორია კოლონას მეგობრობა.

ვიტორია კოლონა 1992 წელს დაიბადა. მამამისი ფაბრიციო კოლონა პალიანოს ბატონი და ტალიაკოცოს პრინცი იყო. დედამისი — აგნეს და მონტეფელტრო — დიდი ფედერიგოს, ურბენის მთავრის ქალი გახლდათ, ეს გვარი ერთ-ერთი უკეთილშობილესთაგანი იყო მთელს იტალიაში; ერთი იმათგანი, სადაც ყველაზე უკეთ განხორციელებულიყო რენესანსის ნათელი სული. ჩვიდმეტი წლისა მარკიზ დე პესკარას, პავიის ბრძოლაში სახელმოხვეჭილ გმირს, დიდ მხედართმთავარ ფერრანტე ფრანჩესკო დ'ავალოსს მიათხოვეს ცოლად. ქმარი უყვარდა გაგიჟებით; მაგრამ ქმარს სულაც არ ჰყვარებია. ლამაზი არ ეთქმოდა ვიტორიას[2]. მედლები, რომლებზედაც მისი სახეა გამოხატული, წარმოგვიდგენენ ვაჟკაცურ სახეს, ქალს ნებისყოფიანი, უხეში ნაკვთები აქვს: შუბლი მაღალი აქვს, ცხვირი — გრძელი და სწორი, ტუჩები — კუშტად მოკუმული. ზედა ბაგე ოდნავ მოკლე ჰქონია,

---

[1] განსაკუთრებით 1533 წლის ივნის-ოქტომბერში, როცა მიქელანჯელო ფლორენციაში დაბრუნდა და კავალიერის კარგა ხნით იყო მოცილებული.

[2] შესანიშნავი ნახატები, მის პორტრეტად რომ სახავენ, მაინცდამაინც სანდო არ არის. ასეთია უფიციაში დაცული ცნობილი ნახატი, სადაც მიქელანჯელოს ახალგაზრდა კასკიანი ქალი ჰყავს გამოყვანილი. მაგრამ მსგავსება შემთხვევითი ჩანს: იქნებ ხატვისას მიქელანჯელოს ქვეცნობიერად ვიტორიას სახე ედგა თვალწინ და ის გადაიტანა ქაღალდზე, ოღონდ ბევრად უფრო გაახალგაზრდავებული და გალამაზებული. ნახატზე გამოყვანილ ქალს მართლაც ვიტორიას სწორი ნაკვთები, დიდრონი, ფიქრიანი თვალები და პირქუში მზერა აქვს. კისერი შიშველი აქვს, მკერდი — მოღებული, გამომეტყველება კუშტი და მკაცრი.

ქვედა—ოდნავ ჩამოვარდნილი[1]. ფილონიკო ალიკარნასო, ვინც იცნობდა მას და მისი ცხოვრებაც აღწერა, თუმცა დიდი სიფრთხილით არჩევს სიტყვებს, იძულებულია აღიაროს, რომ ქალი ლამაზი არ ყოფილა: „როცა მარკიზ დე პესკარას გაჰყვა ცოლად — მოგვითხრობს იგი, — სულიერ ნიჭთა განვითარებას მიჰყო ხელი და რაკი დიდი სილამაზის პატრონი არ ყოფილა, ლიტერატურა შეისწავლა, რათა შეემკო თავი თვისი უკვდავი სილამაზით, რომელიც ხორციელ სილამაზესავით წარმავალი როდია“. ჭკუა-გონებას მუდამ თაყვანს სცემდა. ერთ-ერთ სონეტში თვითონვე ამბობს: „უხეშ ვნებებს, რომელთაც არ ძალუძთ შექმნან ჰარმონია, რასაც შეიქმს კეთილშობილ სულთა წმიდა სიყვარული, თავის დღეში არ გამოუწვევიათ ჩემში არც ტანჯვა, არც სიხარული... ნათელმა ალმაო, — დასძენს იგი, — ისე მაღლა აზიდა ჩემი გული, რომ მდაბალი ზრახვები ვერ შეეხება“. დიახ, მას არაფერი ჰქონდა ისეთი, რომ მგრძნობიარე და ბრწყინვალე პესკარას შეჰყვარებოდა; მაგრამ სიყვარულის ალოგიკურობის წყალობით თავად შექმნილი იყო იმისათვის, რომ ჰყვარებოდა და მით დატანჯულიყო.

მართლაც უზომოდ იტანჯებოდა, როცა ქმრის ღალატს შეიტყობდა. ქმარი კი ყოველ ნაბიჯზე ატყუებდა, საკუთარ ჭერქვეშ. მთელი ნეაპოლის დასანახად და გასაგონად. და მაინც, როცა პესკარა გარდაიცვალა, ქალმა ვეღარსად ჰპოვა ნუგეში. ისევ რელიგიასა და პოეზიას შეაფარა თავი; ჯერ იყო და რომში ეწეოდა განდეგილივით ცხოვრებას, შემდეგ ნეაპოლში გადავიდა[2]. მაგრამ ამსოფლიურ ზრახ-

---

[1] ასე წარმოგვიდგენს მას უცნობი მხატვრის ნაკეთები მედალიონი, რომელიც ერმანო ფერეროსა და ჯუზეპე მიულერის მიერ გამოცემულ „ვიტორია კოლონას მიმოწერაში“ არის დაბეჭდილი. უთუოდ ასეთად ხედავდა მას მიქელანჯელოც: თმები ზოლებიან ქუდში აქვს შეკეცილი; დახურული, კისერზე მჭიდროდ მომდგარი კაბა აცვია.

მეორე ანონიმურ მედალზე იგი ახალგაზრდად და იდეალიზირებულად არის წარმოდგენილი (დაბეჭდილია მუნცის წიგნში: „რენესანსული ხელოვნების ისტორია“, ტ. III. გვ. 248: აგრეთვე „ხელოვნებათა გაზეთის“ გამოცემულ „მიქელანჯელოს ცხოვრებასა და შემოქმედებაში“).

[2] მაშინ სულიერ მოძღვრად კერონის ეპისკოპოსი მატეო ჯიბერტი ჰყავდა, ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც კათოლიკური ეკლესიის განახლება სცადა. პოეტი ფრანჩესკო ბერნი ჯიბერტის მდივანი იყო.

ვებზე ჯერ მთლად არ აუღია ხელი: მარტოობასაც მხოლოდ იმიტომ ეძიებდა, რომ თავის ტრფობის მოგონებებში ჩაძირულიყო და მისთვის თავის ლექსებში ეგალობა. ის მეგობრობდა იტალიის უდიდეს პოეტებთან: სადოლეტოსთან, ბემბოსთან, კასტილიონესთან, ვინც მას თავისი „Cortegiano"-ს („კარისკაცის") ხელნაწერი ჩააბარა, არიოსტოსთან, ვინც მას თავის „ოოლანდოში" ქება შეასხა, პაოლო ჯოვიოსთან, ბერნარდო ტასოსთან, ლოდოვიკო დოლჩესთან. 1530 წლიდან მოკიდებული მისი სონეტები მთელს იტალიაში გავრცელდა და ავტორს იმჟამინდელ ქალთა შორის არნახული სახელი მოუხვეჭა. ისკიაზე გარდახვეწილი, ამ საუცხოო კუნძულზე განმარტოებული, მშვენიერი ზღვის ნაპირას თავის სახეცვლილ სიყვარულს თავდავიწყებით უგალობდა.

მაგრამ 1534 წლიდან რელიგიამ მთლიანად მოიცვა მისი არსება. კათოლიკურმა რეფორმამ გაიტაცა, რელიგიურმა თავისუფლებიმოყვარეობამ, რომელიც იმხანად განხეთქილების თავიდან აცილებას ცდილობდა, მაგრამ ეკლესიის გარდაქმნისა და ხელახალი აღორძინებისათვის იღწვოდა მაინც. არავინ იცის, ნეაპოლში ხუან დე ვალდესს [1] თუ იცნობდა, მაგრამ სულით ხორცამდე შესძრა თურმე ბერნარდინო ოკინო დე სიენის [2] ქადაგებებმა. პიეტრო კარნესეკის [3], ჯიბერტის,

---

[1] ხუან დე ვალდესი, კარლოს V-ის პირადი მდივნის ვაჟი, 1534 წელს ნეაპოლში გადმოსახლდა და იქ რეფორმატორულ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. გარს შემოიკრიბა უმაღლესი არისტოკრატია და დიდგვაროვანი ბანოვნები. გამოაქვეყნა მრავალი ნაშრომი, რომელთა შორისაც უმთავრესი იყო „ას ათი საღვთო მოსაზრება" (ბაზელი, 1550 წ.) და „საღვთო წერილის გაგებისათვის". გარდაიცვალა 1541 წელს. ამბობენ, ნეაპოლში სამი ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავდაო.

[2] ბერნარდინო ოკინო, დიდი მქადაგებელი, კაპუცინთა ქორეპისკოპოსი; 1539 წელს ხუან დე ვალდესს დაუმეგობრდა და დიდი გავლენა იქონია მასზე. თუმცა აბეზღებდნენ, მაინც უშიშრად განაგრძობდა ქადაგებას ნეაპოლში, რომში, ვენეციაში და ეკლესიის წინააღმდეგ ხალხის მეოდგარ მხარდაჭერას პოულობდა, სანამ 1542 წელს ლუთერიანობა არ შესწამეს და იძულებული არ გახადეს ფლორენციიდან ფერარს გახიზნულიყო: აქედან ჟენევას გადავიდა, სადაც პროტესტანტობა მიიღო კიდეც. ვიტორია კოლონას ახლო მეგობარი იყო და სანამ იტალიიდან გადაიხვეწებოდა, თავისი გადაწყვეტილება მას საიდუმლო ბარათით ამცნო.

[3] ფლორენციელი პიეტრო კარნესეკი, კლიმენტ VII-ის მთავარი ნოტარიუსი, ვალდესის მოწაფე და მეგობარი; ინკვიზიციის წინაშე პირველად 1546 წელს წარსდგა; 1567 წელს კოკონზე დაწვეს რომში. ვიტორია კოლონას სიკვდილამდე ურთიერთობა არ შეუწყვეტია მასთან.

სადოლეტოს, ქველ რეჯინალდ პოლესა და ამ რეფორმატორ პრელატთა შორის უპირველესს, კარდინალ გასპარ კონტარინის[1] ემეგობრებოდა. ეს ის კონტარინი იყო, ვინც 1536 წელს Collegium de emendandâ Ecclesiâ (ეკლესიის ამღორძინებელი კოლეგია) დააარსა, რატისბონის სეიმზე პროტესტანტების შემორიგებას ამაოდ ცდილობდა და ასეთი თამამი სიტყვების დაწერასაც არ უფრთხოდა[2]:

„მცნება ქრისტესი თავისუფლების მცნებაა... მთავრობად ვერ მივიჩნევთ იმას, რაც ერთი კაცის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, კაცისა, ვინც ბუნებით ბოროტებისკენაა მიდრეკილი და თავის ათასგვარ ვნებათაგან ნაკარნახევ წესისამებრ ირჯება. არა! ყოველი მეუფება გონების მეუფებაა და ვალად აძევს სწორი გზით წარმართოს ყველა, ვინც თავისი სწორი მიზნისაკენ — ბედნიერებისაკენ მიემართება. პაპის ხელისუფლებაც სხვა არა არის რა, თუ არ გონების ხელმწიფება. პაპმა უნდა იცოდეს, რომ თავისუფალ ხალხს განაგებს და თავის გუნებისად კი არ უნდა მართოს, განსაჯოს, დაიცვას, არამედ ოდენ გონების კარნახით, უფლის მცნებათა და სიყვარულის კანონთა შესაბამისად, რომელთაც ღვთისა და საერთო კეთილდღეობისაკენ მივყავართ“.

ვიტორია კოლონა ერთი ყველაზე გულმხურვალე წევრი იყო იდეალისტთა ამ პატარა ჯგუფისა, რომელსაც იტალიის ყველაზე უფრო წრფელი სულები შეადგენდნენ. მას მიმოწერა ჰქონდა გამართული რენე ფერარელთან და მარგარიტა ნავარელთან; პიერ პაოლო ვერჯერიო კი, ვინც მოგვიანებით პროტესტანტობა მიიღო, მას „ჭეშმარიტების ერთ ჩირაღდანს“ უწოდებდა. მაგრამ, როცა დაიწყო რე-

---

[1] გასპარ კონტარინი. ვენეციელი დიდგვაროვანი; ჯერ ვენეციის ელჩად იყო კარლოს V-ის კარზე ნიდერლანდებში, გერმანიასა და ესპანეთში, შემდეგ კლიმენტ VII-ის დროსაც, 1528 წლიდან 1530 წლამდე. პაელე III-მ 1535 წელს კარდინალის ტიტული უბოძა; 1541 წელს რატისბონის სეიმზე პაპის დესპანად იყო წარგზავნილი. პროტესტანტებთან საერთო ენა ვერ გამონახა და სახელი გაიტეხა კათოლიკების თვალშიც. იმედდაწურული დაბრუნდა იქიდან და 1542 წლის აგვისტოს ბოლონიაში გარდაიცვალა. ბევრი ნაშრომი დაწერა: „სულის უკვდავებისათვის“, „ფილოსოფიის მოკლე მიმოხილვა“ და ტრაქტატი „გამართლებისათვის“, სადაც თითქმის პროტესტანტული თვალსაზრისი აქვს გამოთქმული.

[2] მოყვანილი აქვს ანრი ტოდეს.

ფორმის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომელსაც ულმობელი კარაფა[1] ედგა სათავეში, მისი სული საზარელმა ეჭვმა მოიცვა. მიქელანჯელოსავით ისიც მგზნებარე, მაგრამ სუსტი სულის პატრონი იყო: რწმენა სჭირდებოდა და არ შეეძლო ეკლესიის ავტორიტეტს გამკლავებოდა. „მარხვით იგვემდა თავს, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, ფლასით მოსილი დადიოდა“[2]. მისმა მეგობარმა კარდინალმა პოლემ[3] დაუბრუნა სიმშვიდე იმით, რომ აიძულა დამორჩილებულიყო, დაეთრგუნა გონების სიამაყე და ღვთის წიაღში მისცემოდა თავდავიწყებას. ქალი დათანხმდა; ღვთის სამსხვერპლოდ დადო თავი და ამაში ჰპოვებდა დამათრობელ ნეტარებას... მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ თავისი თავი არ მოუტანია მსხვერპლად! გასწირა ყველა მეგობარი, უარჰყო ოკინო და მისი ნაწერები რომის ინკვიზიციას გადასცა. მიქელანჯელოს მსგავსად ეს დიდებული სულიც შიშმა მოდრიკა და სინიდისის ქენჯნას სასოწარკვეთილ მისტიციზმში აღრჩობდა:

„თქვენ ნახეთ, რა უვიცობის ქაოსში ვიყავ დანთქმული და ცდომილებათა რა ლაბირინთი მერტყა გარს; თუმცა კი მუდამ მიველტვო-

---

[1] ჯამპიეტრო კარაფა, კეტის ეპისკოპოსი; 1524 წელს თეატინთა ორდენი დააარსა, 1528 წლიდან ვენეციაში რეფორმის საწინააღმდეგო მოძრაობა გაშალა და სახელი გაითქვა თავის სისასტიკით; ეს ულმობლობა არც კარდინალობის ქამს მოუშლია და არც მას შემდეგ, რაც 1555 წელს პავლე IV-ის სახელით რომის პაპად იქნა არჩეული. 1540 წელს იეზუიტთა ორდენი დაარსდა, 1542 წლის ივლისში იტალიის ინკვიზიციის სამსჯაერო შეიქმნა, რომელსაც ერეტიკოსთა წინააღმდეგ საბრძოლველად სრული ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული; 1545 წელს ტრიდენის სასულიერო კრება გაიხსნა. ეს იყო დასასრული თავისუფალი კათოლიციზმისა, რომელზედაც ოცნებობდნენ კონტარინი, პოლე და ჯიბერტი.

[2] კარნესეკის ჩვენება ინკვიზიციის სამსჯაროში, 1566 წელი.

[3] რეჯინალდ პოლე, იორკის სახლიდან; იძულებული გახდა ინგლისიდან გადახვეწილიყო, რადგან ანრი VIII-სთან ჰქონდა შუღლი; 1532 წელს ვენეციაში გადავიდა და კონტარინის გულმხურვალე მეგობარი გახდა; პავლე III-მ კარდინალის ტიტული უბოძა და წმ. პეტრეს ტაძრის სამონასტრო მიწების ლეგატად დანიშნა. ეს თვინიერი ხასიათის კაცი მალე დამორჩილდა კონტრეფორმაციასა და რაკი თავის უზომო მომხიბველობის წყალობით სხვათა გულის მონადირებაც არ უჭირდა, მორჩილებისაკენ მოაქცია კონტარინის ბევრი მიმდევარი, რომელთაც უკვე პროტესტანტობის მიღება ჰქონდათ გადაწყვეტილი. ვიტორია კოლონა 1541 — 1514 წლებში მთლიანად მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. — 1554 წელს პოლე ინგლისში დაბრუნდა ლეგატად; აქ კენტერბერის არქიეპისკოპოსად ეკურთხა და 1553 წელს აქვე დალია სული.

დი სულის მშვიდობას, სხეული ჩემი მუდამ წრიალებდა და სულიც მუდამ აფორიაქებული მქონდა მაგრამ უფალმა შემიბრალა და „იყავნ ნათელიო!“ გადმომძახა, რათა მეხილა და გულისხმა მეყო, რომ არარა ვარ და რომ ყოველივე სუფევს ქრისტესთან“ [1].

სიკვდილს უხმობდა მხსნელად და გარდაიცვალა კიდეც 1547 წლის 25 თებერვალს.

* * *

მიქელანჯელო სწორედ მაშინ გაიცნო, როცა ყველაზე მეტად იყო განმსჭვალული ვალდებულისა და იკანონ თავისუფალი მისტიციზმით. ამ მწუხარე და ტანჯულ ქალს, ვისაც შემწედ მუდამ გზის მაჩვენებელი და წინამძღოლი სჭირდებოდა, არანაკლებ სჭირდებოდა თავისზე უფრო სუსტი და უბედური არსება, რომ მასზე დაეხარჯა ის დედობრივი სიყვარული, რომლითაც გული სავსე ჰქონდა. იგი შეეცადა თავისი შეშფოთება მიქელანჯელოსათვის არ გაემხილა და გარეგნულად მშვიდსა და თავდაჭერილს მისთვის მოებერა სულის მშვიდობა, რასაც თვითონაც სხვებთან დაეძებდა. მათი მეგობრობა, 1535 წელს დაწყებული, 1538 წლის შემოდგომისათვის კიდევ უფრო მყარი შეიქნა. იგი მთლიანად ღმერთზე იყო დაფუძნებული. ვიტორია ორმოცდაექვსი წლისა იყო, მიქელანჯელო—სამოცდასამი წლისა. ვიტორია რომში, სან-სილვესტრო-ინ-კაპიტეს მონასტერში, მონტე პინჩიოს ძირას ცხოვრობდა. მიქელანჯელოს მონტე კავალოს მაჯლობლად დაედო ბინა. კვირაობით მონტე კავალოს სან-სილვესტროს ეკლესიაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ძმა აბროჯიო კატერინო პოლეტი მათ პავლეს ეპისტოლეებს უკითხავდა, რომლებიც შემდგომ მაჯელიბის საგნად იქცეოდა. პორტუგალიელმა მხატვარმა ფრანსუა დ'ოლანდემ თავის „ოთხ დიალოგში მხატვრობაზე“ [2] ამ საუბრების ხსოვნა

---

[1] ვიტორია კოლონას წერილი კარდინალ მორონესადმი (1543 წლის 22 დეკემბერი). იხ. აგრეთვე ალფრედ დე რემონის წიგნი ვიტორია კოლონაზე და ტოდეს „მიქელანჯელოს“ მეორე ტომი.

[2] ფრანსუა დ'ოლანდე: „ოთხი დიალოგი მხატვრობაზე, რომში 1538-39 წლებში გამართული“, დაწერილი. 1548 წელს და იოაქიმ დე ვასკონსელოს მიერ გამოქვეყნებული. ფრანგული თარგმანი დაბეჭდილია გრაფ რაჩინსკის „პორტუგალიურ ხელოვნებაში“ (პარიზი, რეხუარი, 1846 წელი).

შემოგვინახა. ესაა ცოცხალი სურათი ამ სერიოზული და ნაზი მეგობრობისა.

პირველად, როდესაც ფრანსუა დ'ოლანდე სან-სილვესტროს ეკლესიას ეწვია, იქ მარკიზა დე პესკარა დაუხვდა რამდენიმე მეგობართან ერთად. წმიდა საკითხავს უსხდნენ. მიქელანჯელო მათ შორის არ ერია. ეპისტოლეების კითხვა რომ დაასრულეს, ქალმა თავაზიანი ღიმილით უთხრა უცხოელს:

— ეჭვი არ არის, რომ ფრანსუა დ'ოლანდე მიქელანჯელოს საუბარს უფრო მეტის სიამოვნებით მოისმენდა, ვიდრე ამ ქადაგებებს.

ფრანსუამ ბრიყვულად იწყინა და მიუგო:

— როგორ, ქალბატონო, ნუთუ თქვენს აღმატებულებას ჰგონია, რომ მე მხოლოდ ხატვისთვის გამოვდგები და სხვად არაფრისად არ შემწევს გონება?

— გულს კი ნუ მოიყვანთ, მესერ ფრანჩესკო, — დაუყვავა ლატანციო ტოლომეიმ, — მარკიზა სწორედაც დარწმუნებულია, რომ მხატვარს ყველაფერი შეუძლია. ჩვენ, იტალიელები, ისეთ დიდ პატივს ვცემთ მხატვრობას! მას ალბათ იმის თქმა სურდა, რომ კარგი იქნებოდა, იმ სიამოვნებას, რომელიც აქ მიიღეთ, მიქელანჯელოს მოსმენის სიხარულიც ზედ დართვოდა.

ფრანსუა ბოდიშებად დაიღვარა და მარკიზამ უბრძანა ერთ-ერთ მსახურთაგანს:

— წადი მიქელანჯელოსთან და უთხარი, რომ მე და მესერ ლატანციო წირვის შემდეგ ამ ეკვდირში დავრჩით და თუ ცოტა დრო დასაკარგად არ ენანება, შემოგვიერთდეს, მასთან საუბარი ძალიან გვეამება... მაგრამ, — დასძინა ისევ,— რაკი მიქელანჯელოს ველურობის ამბავი ყველამ იცის, ნუ ეტყვით, რომ ესპანელი ფრანსუა დ'ოლანდეც აქ არის, ჩვენთან.

სანამ წარგზავნილი დაბრუნდებოდა, იქვე დარჩნენ სასაუბროდ და შეუდგნენ ბჭობას, რა გზით ეიძულებინათ მიქელანჯელო მხატვრობაზე ელაპარაკა, თანაც ისე, რომ მათი განზრახვა არ შეემჩნია, თორემ, რომ მიმხვდარიყო, კრინტსაც არ დასძრავდა.

„მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ვიღაც მოადგა კარს. ჩვენ შეგვეშინდა, ვაითუ მიქელანჯელო არ მოვიდეს, რაკი წარგზავნილი ასე სწრაფად დაბრუნდაო. მაგრამ ჩემმა ვარსკვლავმა ინება, რომ მიქელანჯელო, რომელიც აქვე ახლოს ცხოვრობდა, გზად ყოფილიყო

სან-სილვესტროსკენ ესკვილინას ქუჩით მომავალი; მოდიოდა და თან თავის მოწაფეს, ურბინოს ემუსაიფებოდა; და რაკი ჩვენგან წარგზავნილი კაციც შეეგება, უკვე მოსულიყო და კარის ზღურბლზე იდგა. მარკიზა წამოდგა და სანამ ჩვენთან მოიწვევდა და თავისსა და ლატანციოს შორის ჩასვამდა, ფეხზე მდგომი დიდხანს განმარტოებით ესაუბრა".

ფრანსუა დ'ოლანდეც გვერდიც მისჯდომია, მაგრამ მიქელანჯელოს მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ესპანელს ეს ძალიან სწყენია და ნაწყენი კილოთი უთქვამს:

— თუ გინდათ, რომ არ შეგამჩნიოთ ვინმემ, საამისოდ ყველაფერს სჯობია, ცხვირწინ დაუდგეთო

მიქელანჯელომ გაკვირვებით შეიხედა და მყისვე დიდი თავაზიანობით მოუბოდიშა:

— მაპატიეთ, მესერ ფრანჩესკო. ღმერთმანი, ვერ შეგნიშნეთ, რადგან მარკიზას მეტს ვერავის ვამჩნევ, მისმა მზერამ დამაბრმავა.

ამასობაში ვიტორიამ მცირე ხნის დუმილის შემდეგ ისეთის ხელოვნებით, რომელსაც ვერავითარი ქება ვერ მისწვდება, დაიწყო ათას რამეზე საუბარი, ისეთი სიფრთხილითა და ოსტატობით, რომ მხატვრობას ერთხელაც არ შეხებია. გამოცდილ მოალყეს ჰგავდა. მიქელანჯელოსაც ეჭვიანი და ფხიზელი მეცხოვნის იერი ჰქონდა, თავს გულდაგულ რომ იცავს: აქ მცველს აყენებს, იქ ხიდებსა სწევს, მიდამოებს ნაღმავს, კარებსა და კედლებთან კი გარნიზონი ჩაუსაფრებია. მაგრამ ბოლოს მარკიზამ მაინც აჯობა და მართლაც ვერავინ შესძლებდა მისგან თავის დაცვას.

— უნდა ვაღიაროთ, რომ მუდამ დავმარცხდებით, როცა მიქელანჯელოს მისივე საკუთარი იარაღით — ეშმაკობით ვუტევთ. მესერ ლატანციო, თუ გვინდა, ხმა არ ამოიღოს და უკანასკნელი სიტყვა ჩვენ დაგვრჩეს, სასამართლო პროცესებზე, პაპის დეკრეტზე, ანდა... მხატვრობაზე უნდა ჩამოვუგდოთ სიტყვა.

ამ ეშმაკურმა ილეთმა გასჭრა და საუბარი ხელოვნებაზე გადავიდა. ვიტორიამ მიქელანჯელოს რომელიღაც სამლოცველოზე დაუწყო საუბარი, რომლის აგებასაც თვითონ აპირებდა და მიქელანჯელომაც მაშინვე გამოთქვა სურვილი ადგილმდებარეობის დათვალიერებისა და გეგმასაც ახლავე შეავადგენო, დაიჟინა:

— მე ვერ გავბედავდი თქვენთვის ასეთი დიდი სამსახური მე-

თხოვა, — მიუგო მარკიზამ, — თუმცა კი ვიცი, რომ ზედმიწევნით მისდევთ მაცხოვრის მცნებას. რომელიც მაღალთ ამდაბლებს და მდაბალთ განადიდებს... ამიტომ, ვინც თქვენ გიცნობთ, თქვენს პიროვნებას უფრო დიდ პატივსა სცემს, ვიდრე თქვენს ხელოვნებას. ისინი კი, ვინც არ გიცნობენ, თქვენს უაუსტეს მხარეს, ე. ი. თქვენს ხელოვნებას სცემენ თაყვანს. მაგრამ მე ნაკლებ როდი მხიბლავს, რომ განმარტოებით გიყვართ ცხოვრება: გაურბიხართ ჩვენს ფუჭ საუბრებს და აბეზარი პრინცების პორტრეტების ხატვის ნაცვლად თითქმის მთელ სიცოცხლეს ერთ დიდ ხელოვნებისეულ ქმნილებას სწირავთ.

მიქელანჯელომ მოკრძალებით უარყო ეს ქათინაური და დაჟინა: ყბედსა და მცონარა ხალხს — თავადებსა და პაპებს ვერ ვიტან, რადგან ჰგონიათ, რომ უფლება აქვთ ყოველ წუთს თავისთან იბარებდნენ ხელოვანს. ამ უკანასკნელს სიცოცხლე ისედაც არ ჰყოფნის თავისი მიზნის შესასრულებლადო.

შემდეგ საუბარი ხელოვნების უფრო ამაღლებულ მხარეებზე გადავიდა, რომელთა შესახებაც მარკიზა რელიგიური მოწიწებით ლაპარაკობდა. ხელოვნების ნაწარმოებები მისთვისაც, ისევე როგორც მიქელანჯელოსათვის, რწმენის აქტი გახლდათ.

— კარგი მხატვრობა, — თქვა მიქელანჯელომ, — ღმერთს უახლოვდება და მას შეერწყმება. ის ოდენ ასლია ღვთის სრულქმნილების, მისი ყალმის ჩრდილი, ანარეკლი მისი მუსიკის, მისი მელოდიისა... ამიტომ არ კმარა, რომ მხატვარი დიდი და დახელოვნებული ოსტატი იყოს, მთავარია, თვითონაც, რაც შეიძლება, წმიდა ცხოვრებით იცხოვროს, რათა სულიწმიდამ წარმართოს მისი აზრები მუშაობის ჟამს [1]...

ასე მიიწურა ის დღე, ამ მართლაცდა წმიდა საუბარში, ნათელი დიდებულებით აღსავსე მსჯელობაში სან-სილვესტროს ეკლესიის მაჯლობლად, ან იქნებ მეგობრებმა, ფრანსუა დ'ოლანდე რომ აგვიწერს, იმ ბაღში გასვლა ისურვეს, საიდანაც მათ ფეხქვეშ გადაშლილი მთელი რომი მოჩანდა და იქ, „შადრევნის ახლოს, დაფნის ბუჩქების

---

[1] რომში მხატვრობაზე გამართული დიალოგის პირველი ნაწილი.

ჩრდილში, ქვის სკამებზე მსხდარნი და ზურგით სუროს კედელს მიყრდნობილნი“ აგრძელებდნენ საუბარს [1].

სამწუხაროდ, ეს შესანიშნავი საუბრები დიდხანს აღარ გაგრძელებულა. მარკიზა დე პესკარას რელიგიურმა კრიზისმა ერთბაშად მოუღო მათ ბოლო. ვიტორია 1541 წელს რომიდან წავიდა და ჯერ ორვიეტოს, შემდეგ კი ვიტერბოს მონასტერში ჩაიკეტა.

„მაგრამ ვიტერბოდანაც ხშირად ჩამოდიოდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიქელანჯელოს შეხვედროდა. მიქელანჯელოს გაგიჟებით უყვარდა მისი ღვთაებრივი გონება და ქალიც სიყვარულით პასუხობდა. მიქელანჯელომ მისგან უამრავი წერილი მიიღო, ისეთი წრფელი და უმწიკვლო გრძნობით აღსავსე, როგორიც ამ კეთილშობილ სულს შეეფეროდა და დიდხანს მოწიწებით ინახავდა“ [2]. მისივე ნებითო, — დაძენს კონდივი, — მიქელანჯელომ შიშველი ქრისტე დახატა, რომელიც ჯვრიდან გარდმოხსნილი დაეცემოდა კიდეც წმიდა ღვთისმშობლის ფერხთით, ორ ანგელოზს რომ არ შეეკავებინა. დედა ღვთისა ჯვრის ქვეშა ზის; გაშლილი ხელები ცისკენ აღუპყრია; სახეზე უზომო ტანჯვა და მწუხარება აღბეჭდია. ჯვარზე წარწერაა გამოყვანილი: „Non vi si pensa quanto sangue costa“ [3]. ვიტორიას სიყვარულმა და-

---

[1] ამავე დიალოგის მესამე ნაწილი. ამ საუბრის დღეს ოქტავ ფარნეზი, პაველ III-ის ძმისწული, ცოლად ირთავდა მარგარიტას, ალექსანდრო მედიჩის ქვრივს; საზეიმო კორტეჟი, ანტიკურ ყაიდაზე გამართული თორმეტი ეტლი, ნავონის მოედნისაკენ მიემართებოდა, გზად ხალხის ტევა აღარ იყო და მიქელანჯელოსა და მის მეგობრებს ქალაქს თავს გადმოცქირალი სან-პილვესტროს ეკლესიის სიმყუდროვისათვის შეუფარებიათ თავი

[2] კონდივი.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვიტორიას ის წერილები, რომლებიც დღევანდლამდე შემონახულა, უაღრესად კეთილშობილურია, მაგრამ ოდნავ ცივი. საფიქრებელია, რომ ამ კორესპონდენციიდან ბევრი განადგურდა; შემოგვრჩა მხოლოდ ხუთი წერილი: სამი რომიდან, ერთი ორვიეტოდან და ერთიც ვიტერბოდან გამოგზავნილი.

[3] ეს ნახატი, როგორც ა. გრენიე ამტკიცებს, პირველი ესკიზი უნდა იყოს იმ რამდენიმე Pietà-სთვის, მიქელანჯელომ მოგვიანებით რომ გამოაქანდაკა. ესენია: ფლორენციული (1550-55 წწ.), რონდანინისა (1563 წ.) და ამას წინათ პალესტრინაში ნაპოვნი Pietà, რომელიც იმავე 1550-60 წლებში უნდა იყოს შესრულებული. ამავე ჩანაფიქრს ეხმაურება ოქსფორდის ბიბლიოთეკის ნახატი და ბრიტანეთის ნაციონალური გალერეის „საფლავად დადება“.

იხ. ა. გრენიე, „პალესტრინაში ნაპოვნი ერთი უცნობი „ჯვრიდან გარდმოხსნა“ მიქელანჯელოსი. აქვე ნახავთ სხვადასხვა Pietà-ს რეპროდუქციებსაც.

ახატვინა მიქელანჯელოს სხვა ჯვარცმული ქრისტეც; მკვდარი კი არ, როგორც ჩვეულებრივ ხატავენ, აოამედ ცოცხალი, სახე ცისკენ რომ მიუბყრია და შეჰღაღადებს: ელი! ელი! „სხეულიც მოშვებული და მოდუნებული როდი აქვს: სიმწრით იგრიხება და იკრუნჩხება სულთ-მობრძავი“.

იქნებ ვიტორიამვე შთააგონა ორი შესანიშნავი ნახატი „მკვდრეთით აღდგომისა“, ლუვრსა და ბრიტანეთის მუზეუმში რომ ინახება. ლუვრის ნახატში ჰერკულესის დარ ქრისტეს საფლავის მძიმე ლოღი გადაუგდია, ცალი ფეხი ისევ სამარეში აქვს, თავი ზეკით აუწევია, ხელებიც მაღლა აღუპყრია და აღტყინებით ცისკენ მიიწევს, უნდა ღმერთს დაუბრუნდეს, ჩქარა დატოვოს ეს ცრუ სოფელი, ბრიყვი ადამიანები, რომელთაც ზედ არ უყურებს და რომლებიც მის ფერხთით თავზარდაცემულნი დახოხავენ. როგორც იქნა, მოსწყდა ამ სოფელს, მიაღწია თავის საწადელს!.. ეს ნახატი ლუვრის ერთ „ტყვეს“ მოგვაგონებს. ბრიტანეთის მუზეუმის ნახატში მეტი სიმშვიდეა. ქრისტე უკვე ამოსულა საფლავიდან: მაღლა მიფრინავს, მისი ღონიერი სხეული ჰაერში ჰკიდია; ჰაერი ეალერსება. გულხელი დაკრეფილი აქვს, თავი უკან გადაუგდია, ექსტაზში მყოფს თვალები დაუხუჭავს და მზისა სხივივით ნათლით მოსილი ზეცად მაღლდება.

ასე გაუღო კვლავ ვიტორიამ მიქელანჯელოს ხელოვნებას რწმენის კარი. და უფრო მეტიც: ფრთა შეასხა მის პოეტურ გენიას, რომელიც კავალიერის სიყვარულმა გამოაღვიძა[1]. მარტო რელიგიურ გამოცხა-

---

[1] სწორედ ამ დროს გადაწყვიტა მიქელანჯელომ გამოექვეყნებინა თავისი ლექსების კრებული. მისმა მეგობრებმა, ლუიჯი დელ რიჩომა და დონატო ჯანოტიმ წააქეზეს; თვითონ აქამდე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა იმას, რასაც წერდა. ჯანოტიმ ამ გამოცემას 1545 წლისათვის მოჰკიდა ხელი. მიქელანჯელომ გადაარჩია თავისი ლექსები, მეგობრებმა გადაუწერეს კიდეც, მაგრამ რიჩოს სიკვდილმა (1546 წ.) და ვიტორიას სიკვდილმა (1547 წ.) ეს საქმე ფუჭ პატივმოყვარეობად დაუსახა და მწარედ ჩააქნევინა ხელი. მისი ლექსები მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, გარდა იმ მცირე ნაწილისა, რომელიც ვარკის, ჯანოტის, ვაზარისა და სხვათა ნაწერებში იყო გამოქვეყნებული; მაგრამ მაინც ხელიდან ხელში გადადიოდა: უდიდესმა კომპოზიტორებმა: არკადელტმა, ტრომბონჩინომ, კონსილიუმმა, კონსტანცო ფესტამ მუსიკაზე გადაიტანეს ბევრი მათგანი. ერთ სონეტს ვარკიმ კომენტარიები დაურთო და 1546 წელს საჯაროდ წაიკითხა ფლორენციის აკადემიაში. ამბობდა: აქ ანტიკური სიცხადე დანტესეული აზრის საუსებასთან არისო შერწყმული.

მიქელანჯელო დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“ იყო გაზრდილი. „არავის მასზე

დებათა არსში კი არ ჩაახედა, რომელთაც მიქელანჯელო მხოლოდ გუმანით გრძნობდა, არამედ, როგორც ტოდემ გვიჩვენა, თავისი მაგალითით წააქეზა, რომ მათთვის თავის ლექსებში ეგალობა. სწორედ მათი მეგობრობის დასაწყისში მოეფინა ვიტორიას „სასულიერო სონეტები“ [1] მთელს იტალიას. ამ ლექსებს ვიტორია დაწერისთანავე უგზავნიდა მეგობარს [2] და მიქელანჯელოც მათში ნუგეშს, შვებასა და ახალ სიცოცხლეს პოულობდა.

ეს საუცხოო სონეტი, ვიტორიას საპასუხოდ რომ მიუძღვნა, მოწმობს მის ნაზ მადლიერებას:

ნეტარი არის სული მისი, ჩვენ სიბერეში
გულებს მხურვალე სიყვარულით ვინც აგვიძგერებს,
ან სიკეთისა და განცხრომის რთულ არჩევანში
ამათგან უფრო კეთილშობილს აგვარჩევინებს.

ჩემს თვალებს ისევ ეცხადები უწინდელივით,
ისევ ჩემს სულში იხედები, რომ მანუგეშო...
შენ ფიქრობ ჩემზე, ზრუნავ ჩემზე, ვხედავ სიკეთეს
და მე ვწერ ამას, რომ მადლობა გადაგიხადო...

დიდი სირცხვილი იქნებოდა და ქედმაღლობა,
რომ დამეხატა ღარიბული შენი სურათი
ხორცშესხმული და მშვენიერი ლექსების ნაცვლად [3].

უკეთ არ ესმოდა და არ იცოდა მისი ნაწარმოები“, — ამბობს ჯანოტი. არავის არ შეესხამს მისთვის ისეთი ხოტბა, როგორც მიქელანჯელომ შეასხა ერთ თავის სონეტში: „Dal ciel discese“... („ცით მოვლენილი“... ლექსები, CIX, 37). პეტრარკას. კავალკანტის, ჩინო და პისტოიასა და იტალიური პოეზიის კლასიკოსებს ნაკლებ როდი იცნობდა. მისი სტილი მათი პოეზიით არის ნაკვები, მაგრამ ყოველივეს სულს უდგამდა მისი მგზნებარე პლატონური იდეალიზმი.

[1] ლექსები და XVI სასულიერო სონეტი, 1539 წელი. ლექსები და XXIV სასულიერო სონეტი, ვენეცია, 1544 წელი.

[2] „მე მაქვს პატარა პერგამენტის წიგნი, ათი წლის წინათ რომ მაჩუქა, — წერდა მიქელანჯელო ფატუჩის 1551 წლის მარტს, — იგი შეიცავს ას სამ სონეტს, თუ სათვალავში არ შევიტანთ ორმოც დანარჩენს, ვიტერბოდან რომ გამომიგზავნა და უბრალო ქაღალდზე რომაა დაწერილი. ისინიც წიგნთან ერთად ავაკინძინე... შენახული მაქვს მისი წერილებიც, ორვიეტოდან და ვიტერბოდან რომ მიგზავნიდა. აი, სულ ეს არის ჩემი სახსოვარი“.

[3] ლექსები, LXXXVIII.

1544 წლის ზაფხულში ვიტორია საცხოვრებლად კვლავ რომს გადმოვიდა, სანტა ანას მონასტერში და სიკვდილამდე იქ დარჩა. მიქელანჯელო მას ამ მონასტერში ეწვია. მოსიყვარულე ქალს სურდა ცოტაოდენი სითბო და კეთილდღეობა შეეტანა მის ცხოვრებაში და საიდუმლოდ პატარ-პატარა საჩუქრებს უგზავნიდა, მაგრამ თავმოყვარე მოხუცი, „თავის დღეში რომ არ ღებულობდა საჩუქრებს“ [1] იმათგანაც კი, ვინც სხვაზე მეტად უყვარდა, ამ სიამოვნებაზე უარს ეუბნებოდა.

ვიტორია გარდაიცვალა. მიქელანჯელომ ნახა იგი მომაკვდავი და თქვა ეს გულსაკლავი სიტყვები, რომლებიც მოწმობს, თუ რაოდენ წმიდა და მოკრძალებული იყო მათი დიდი სიყვარული:

„არაფერი არ მაწუხებს ისე, როგორც ფიქრი იმისა, რომ მკვდარს მაინც არ დავუკოცნე შუბლი და სახე და მხოლოდ ხელზე ვემთხვიე“.

„ამ სიკვდილმაო, — ამბობს კონდივი, — დიდი ხნით წაართვა ცნობა და შმაგს დაამსგავსა“.

„მას ჩემთვის დიდი სიკეთე სურდა, — ამბობდა იგი მოგვიანებით, — მეც აურაცხელი სიკეთე მსურდა მისთვის (Mi voleva grandissimo bene, e io non meno a lei). სიკვდილმა უახლოესი მეგობარი გამომგლიჯა ხელიდან“ [2].

ამ სიკვდილის გამო ორი სონეტი შეთხზა. ერთი მათგანი, თავიდან ბოლომდე პლატონური სულისკვეთებით განმსჭვალული, გამოირჩევა თავისი მძიმე პრეციოზულობით და ჰალუცინაციური იდეალიზმით ელვის ზოლებით დასერილ ღამეულ ზეცას ედარება. მიქელანჯელო ვიტორიას ღვთაებრივი მოქანდაკის ჩაქუჩს ადარებს, მატერიიდან ამაღლებული აზრები რომ გამოაქვს:

ჩემი უხეში ჩაქუჩი თუ უმტკიცეს კლდესაც
ძეხორციელად აქანდაკებს ან სხვა რაიმედ,
ეს იმიტომ, რომ იმეორებს კაცს რაც სწადია
და შემოქმედის ნება-სურვილს ემორჩილება.

---

[1] ვაზარი.

ერთხანს თავის უახლოეს მეგობარს, ლიუიჯი რიჩოსაც წაეკიდა, რადგან ეს უკანასკნელი მისი ნების წინააღმდეგ საჩუქრებს უგზავნიდა ხოლმე:

„შენი უზომო სიკეთე მეტად მაწუხებს; რომ გაგეკურდე, ასე ძლიერ არ ვინაღვლებდი. მეგობართ შორის თანასწორობა უნდა სუფევდეს: ერთმა თუ მეტა გაიღო, მეორემ — ნაკლები. საქმე ბრძოლამდე მივა და გამარჯვებულს დამარცხებული თავის დღეში არ აპატიებს“.

[2] კონდივი.

ღვთაებრივია ის ჩაქუჩი, რომელიც ცაში
მშვენიერების შესაქმნელად აღიმართება,
ვერ შეედრება სხვა ჩაქუჩი, ის ჩაქუჩია,
სიცოცხლეს სული იმ ჩაქუჩმა უნდა შთაბეროს.

რაც უფრო ძლიერ ხელს უპირავს ჩაქუჩი გრდემლზე,
მით უფრო მაღლა და ღონივრად აღიმართება,
ახლა ჩემს თავთან აღმართულა უკვე ჩაქუჩი,

კეთილი საქმე რომ კეთილად დააბოლოოს
და მომაშველოს დახმარება უფლის სამეფოდმ,
ჩემი მშველელი დღეანდლამდე ის იყო მხოლოდ [1].

მეორე სონეტი უფრო ნაზია და ამბობს, რომ სიყვარულს სიკვდილი ვერ მოერევა:

მე ვინც მტანჯავდა, ვინც ბიყვარდა, ის აღარ არის,
გაუჩინარდა და ამაოდ დაეძებს მზერა.
რომ სურდა ჩვენი ამაღლება, დღეს ის ბუნება
თავდახრილია და უპეებს უსველებს ცრემლი.

და თვით სიკვდილიც აღტაცებით ვერ იტყვის ვერსად,
მზე ჩავუქრეო, ვინც მზესავით ქვეყნად ბრწყინავდა,
ოადგან მას ისევ სიყვარულმა შთაბერა სული
და დაუბრუნა მიწიერი და ღვთაებრივი.

ო. სურდა სიკვდილს უსამართლოს და უბოროტესს,
უმანკოების დაეფარა გამოძახილი
და დაეჩრდილა სახილველი მშვენიერების.

მაგრამ, ამაოდ, წინ აღუდგა ნაწერი მისი.
ამ სიცოცხლეზე ძლიერია მისი სიცოცხლე
და ამ ზეცაზე მაღალია იმისი ზეცა [2].

---

[1] ლექსები, CI.

მიქელანჯელომ ამ სონეტს ასეთი კომენტარი გაუკეთა:

„ის (ჩაქუჩი — ვიტორია) ერთადერთი იყო ამ ქვეყნად, ვინც თავის უბადლო სათნოებით სხვებშიაც სათნოებას აღვივებდა; აქ არვინ ჰყავდა ისეთი, საბერველის გაბერვაში რომ მოხმარებოდა. ცაში ალბათ მრავალი ეყოლება ხელის შემწყობი, რადგან სათნოება იქ ყველას ხიბლავს. მეც ვიმედოვნებ, რომ არსება ჩემი ცად აღსრულდება. ცაში საბეველს მაინც გაუმართავს ვინმე: აქ მარტო იდგა გრდემლთან, სადაც სათნოებანი იკვერება".

[2] ლექსები, C.

* * *

სწორედ ამ ნაზი და სერიოზული მეგობრობის ჟამს[1] შექმნა მიქელანჯელომ უკანასკნელი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები მხატვოობასა და ქანდაკებაში: „განკითხვის დღე", პავლეს კაპელის ფრესკები და იულიუს II-ის საფლავის ძეგლი.

როდესაც მიქელანჯელო 1534 წელს ფლორენციას განერიდა და საცხოვრებლად რომს გადავიდა, ფიქრობდა, რომ კლიმენტ VII-ის

ამ სონეტის მეორე მხარეს ქალმით დახატულია მკერდდამჭკნარი ქალის სურათი, რომელსაც დიდხანს ვიტორია კოლონას პორტრეტად მიიჩნევდნენ

[1] ვიტორიას სიყვარული მისთვის სხვა ვნებებს როდი გამორიცხავდა. მარტო ეს ტრფობა არ ეკმაროდა მიქელანჯელოს სულის ასავსებად. მაგრამ მისი „გაიდეალების" სასაცილო სურვილით შეპყრობილნი ამას ჩვეულებრივ არ ამხელენ; თითქოსდა მიქელანჯელოს მათგან შელამაზება სჭირდებოდეს!

ვიტორია კოლონასთან მეგობრობის ჟამს, 1535-46 წლებში მიქელანჯელოს სხვა ქალიც უყვარდა, „ულმობელი და ლამაზი", „donna aspra e bella" (CIX, 89), „lucente e fera stella, iniqua e fella. dolce pieta con dispietato core" (CIX, 9), „cruda e fera stella" (CIX, 14), „bellezza e gratia equalmente infinita" (CIX, 3). „ჩემი მოსისხლე ქალბატონიო" „la donna mia nemica" (CIX. 54), ამ ქალს ასედაც ეწოდებდა. მიქელანჯელოს გაგიჟებით ყვარებია იგი, თავს იმცირებდა, მისი გულისათვის მზად იყო სულის ცხონებაზედაც უარი ეთქვა:

Godo gl' inganni d'una donna bella... (CIX, 90)
Porgo umilmente al'aspro giogo il collo... (CIX. 54).
Dolce mi seria l'inferno teco... (CIX, 55).
მომხიბვლელია მშვენიერი ქალის სიცრუეც...
მე მსურს უღელი მორჩილების დავიდგა ქედზე...
თვით ჯოჯოხეთიც საამური იქნება შენთან...

მას სტანჯავდა ეს სიყვარული. ქალი კი ერთობოდა, ეპეს აღუძრავდა და სხვებს ეკეკლუცებოდა. ბოლოს მიქელანჯელომ შეიძულა იგი. ბედს ეეჯერებოდა, უსახური და გონჯი გახადე, რომ შემიყვაროს, მე კი მეზიზღებოდეს და დავტანჯო ისე, როგორც ის მტანჯავდაო.

სიკვდილმა ყველა სხვა სამუშაოსაგან გაათავისუფლა და შესძლებდა, მშვიდად დაესრულებინა იულიუს II-ის საფლავის ძეგლი და მომკვდარიყო ისე, რომ სამარეში არ ჩაეტანა სინდისის ქენჯნა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მთელი სიცოცხლის მანძილზე. მაგრამ რომს ჩამოვიდა თუ არა, თავი ახალი ბატონების საძიძგნად გაიხადა.

„პავლე III-მ უხმო მას და სამსახური სთხოვა. მიქელანჯელომ ჯერ იუარა, დრო არა მაქვსო, რადგან კონტრაქტით ურბენის ჰერცოგთან იყო შეკრული, სანამ იულიუს II-ის საფლავის ძეგლს დაასრულებდა. მაშინ პაპი გაბრაზდა და უთხრა: „აგერ უკვე ოცდაათი წელია, რაც ამ სურვილს გულში ვიმარხავ და ახლა, როცა პაპი შევიქენი, ნუთუ ვერ მივაღწევ მიზანს? მე დავხევ მაგ კონტრაქტს, მინდა, რომ მე მემსახურო ყველაფრისდამიუხედავად“ [1].

მიქელანჯელომ კინაღამ ისევ გაქცევით უშველა თავს.

„გადაწყვიტა გენუის მახლობლად, ეპისკოპოს ალერიას საბატოში გახიზნულიყო. ეგ ალერია უწინ იულიუს II-ის მეგობარი იყო და მიქელანჯელოსაც ემეგობრებოდა. აქ ხელის შემშლელი არავინ ეყოლებოდა და თავის ქმნილებასაც მშვიდად დაასრულებდა კარარის მახლობლად. ურბენს გამგზავრებასაც აპირებდა, მყუდრო ადგილია და იულიუს II-ის ხსოვნის საპატივცემლოდ კარგი თვალით დამიწყებენ ცქერასო. ამ მიზნით იქ სანდო კაციც კი გააგზავნა, რომ მისთვის სახლი ეყიდა“ [2].

მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ჟამს, როგორც ყოველთვის, გამბედაობამ უღალატა; შეეშინდა თავის საქციელის მოსალოდნელი შედეგებისა და თავი ისევ მარადიული ილუზიით დაიმშვიდა, რომ რაიმე კომპრომისით შესძლებდა თავი დაეღწია; ასე დაადგმევინა ქედზე უღელი და სიკვდილამდე იძულებული იყო ეს ჭაპანი ეწია.

1535 წლის 1 სექტემბერს პავლე მესამის ბრძანებით იგი პაპისეული სასახლის მთავარ არქიტექტორად, მოქანდაკედ და მხატვრად დაინიშნა. წინა წლის აპრილის თვიდან მიქელანჯელო უკვე თანახმა

---

[1] ვაზარი.

[2] კონდივი.

იყო „განკითხვის დღეზე“ ემუშავა[1] და 1536 წლიდან აპრილიდან 1541 წლის ნოემბრამდე. ე. ი. ვიტორიას რომში ყოფნის დრო მთლიანად ამ სამუშაოს მოანდომა. ამ მეტისმეტად მძიმე შრომის დროს, 1539 წელს მოხუცი ხარაჩოებიდან ჩამოვარდა, მძიმედ დაიშავა ფეხი და „სიმწრისა და სიბრაზისაგან ექიმიც კი არ მიიკარა“[2]. ექიმები თვალის დასანახავად ეჯავრებოდა და თავის წერილებში ხუმრობით შიშსაც კი გამოსთქვამდა ხოლმე, როცა შეიტყობდა, რომ ვინმე მისიანი წინდაუხედავად მოქცეულა და ექიმს ჩვენებია.

„მისდა საბედნიეროდ, ამ მარცხის შემდეგ მის მეგობარს, ფლორენციელ ბაჩო რონტინის — მეტად დახელოვნებულ ექიმს, რომელსაც მიქელანჯელო გულით უყვარდა, — შეებრალა იგი, მიაკითხა, კარზე დაუკაკუნა და რაკი არავინ უპასუხა, შეიდა სახლში, ყველა კუთხე-კუნჭული მოიარა და ბოლოს ერთ ოთახში მწოლარე მიქელანჯელოს წააწყდა. მიქელანჯელო სასოწარკვეთილებას მიეცა, ექიმი რომ დაინახა, მაგრამ ბაჩომ ფეხი არ მოიცვალა იქიდან, სანამ მეგობარი არ განკურნა“[3].

როგორც ოდესღაც იულიუს II, პავლე III-ც მოდიოდა იმის სანახავად, თუ როგორ ხატავდა მიქელანჯელო, თან თავის ცერემონმეისტერი ბიაჯო და ჩეზანაც ახლდა. ერთხელ პაპმა ჰკითხა ამ ჩეზანას, მიქელანჯელოს ნამუშევარი თუ მოგწონსო. ბიაჯომ, რომელიც, ვაზარის თქმით, მეტად უკადრისი კაცი იყო, განაცხადა, დიდი უხამსობაა ასეთ წმინდა ადგილას ამდენი უმსგავსი სიშიშვლის გამოფენაო. ეს მხატვრობა აბანოებისა და სამიკიტნოების კედლებს თუ შეეფერებაო. სტუმრები რომ წავიდნენ, შეურაცხყოფილმა მიქელანჯელომ გონებაში აღიდგინა ბიაჯოს სახე და იგი ჯოჯოხეთის ცოდვილ სულებს შორის, ფეხებზე უზარმაზარგველშემოხვეული მინოსის სახით წარმოადგინა და გარს ეშმაკთა გუნდი დაახვია. ბიაჯომ პაპს შესჩივლა. პავლე III-მ აქეთ დასცინა: „მიქელანჯელოს სალხინებელში რომ ჩაეგდე, კიდევ გიშველიდი, მაგრამ ჯოჯოხეთში გიკრა თავი და შენი ხსნა არ შემიძლია: ჯოჯოხეთიდან გამოსვლა არ იქნებაო“[4].

---

[1] იდეა ამ უზარმაზარი ფრესკისა, რომელიც სიქსტის კაპელის საკურთხეველის კედელს ფარავს, ჯერ კიდევ კლიმენტ VII-ს დაებადა 1533 წელს.

[2] ვაზარი.

[3] ვაზარი.

[4] ვაზარი.

მიქელანჯელოს მხატვრობა უხამსობად მარტო ბიაჯოს როდი ეჩვენებოდა. იტალია ახლა კდემამოსილობას ჩემულობდა და შორს როდი იყო ის დრო, როცა ვერონეზი თავის „სიმონ ფარისეველთან ნადიმის“ [1] გამო ინკვიზიციის წინაშე წარსდგებოდა. „განკითხვის დღესაც“ იმთავითვე ბევრი დამძრახველი გაუჩნდა. ყველაზე უფრო ხმამაღლა არეტინო გაჰკიოდა. პორნოგრაფიის დიდოსტატმა კისრად იდო გულით უბიწო მიქელანჯელოსათვის კდემამოსილება ესწავლებინა [2]; მხატვარს ტარტიუფის საკადრისი უტიფარი წერილი მისწერა [3]. ბრალად დასდო, „ისეთი რამ დაგიხატავს, რაც საროსკიპოს ბინადართაც კი გააწითლებდაო“ და ახლადფეხადგმულ ინკვიზიციასთან ასმენდა, „რადგან ნაკლები ცოდვაა თავად არ გწამდეს, ვიდრე სხვებში ამგვარად რწმენას არყევდეო“. პაპს აქეზებდა მიქელანჯელოს ფრესკის მოსასპობად. მხატვარს ლუთერიანობას სწამებდა, ნამუსიან კაცს უხამსი მონაჭორით სახელს უტეხდა [4] და ბოლოს, ბრალად იმასაც სდებდა, მიქელანჯელომ იულიუს II გაქურდაო. ამ უმსგავს წე-

---

[1] 1573 წლის ივლისში. ვერონეზმა „ვანკითხვის დღის“ შაგალითი მოიყვანა:

— მჯერა, რომ ცუდია; მაგრამ ვიტკვი ამაზე, რაც უწინაც მითქვამს: ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა მიმებაძა იმ მაგალითებისათვის, რაც ჩვენმა მასწავლებლებმა დაგვიტოვეს.

— თქვენი მასწავლებლებიც ასეთ უხამსობას ხატავდნენ?

— მიქელანჯელომ რომში, პაპის კაპელაში, იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, წმიდა იოანე, წმიდა პეტრე, ციურნი ძალნი და ყველა პერსონაჟი, თვით წმიდა ეალწული მარიამიც კი, შიშველი დახატა, ისეთ პოზებში, რაც არ შეიძლება მკაცრი რელიგიის მიერ იყოს ნაკარნახევი“..

(ა. ბაშე, „ვერონეზი ინკვიზიციის წინაშე“, 1880 წელი).

[2] ეს შურისძიება იყო. არეტინო ჩვეულებისამებრ ცდილა მიქელანჯელოსათვის რამე ნაწარმოები დაეცინცლა: გარდა ამისა, ეყო კადნიერება მისთვის შეეთავაზებინა „განკითხვის დღის“ პროექტი. მიქელანჯელომ თავაზიანად უარყო ეგ უცნაური თანამშრომლობა და არც მის თხოვნას ათხოვა ყური. როგორ თუ საკადრისი პატივით არ მომეპყროო, გაცხარდა არეტინო და მიქელანჯელოს დასჯა განიზრახა.

[3] არეტინოს ერთი კომედიის, „მლიქვნელის“, გმირი ტარტიუფის პროტოტიპად იქცა (პ. გოტიე: არეტინო, 1895 წელი).

[4] ბილწად გადაუკოავდა სიტყვას „ჯერარდისა და ტომაიზე“ (ჯერარდო პერინისა და ტომაზო დეი კავალიეიზე).

რილზე [1], სადაც ყველაფერი, რაც მიქელანჯელოს წმიდათაწმიდა ჰქონდა: ღვთისმოსაობა, მეგობრობა, ღირსების გრძნობა, ლაფში ამოსვრილი და ფეხქვეშ გაქელილი იყო, ამ წერილზე, რომლის წაკითხვაც მიქელანჯელოს არ შეეძლო ისე, რომ ზიზღით არ ეცინა და სიმწრით არ ეტირა, მხატვარს არაფერი უპასუხნია. უთუოდ გაიფიქრა ის, რაც მომნუსხველი ქედმაღლობით ხშირად უთქვამს თავის მტრებზე: „ბრძოლად არ ღირან, მათზე გამარჯვებას ფასი არა აქვსო" — და როცა არეტინოსა და ბიაჯოს აზრმა მის „განკითხვის დღეზე" გზა გაიკაფეს, არც საპასუხოდ, არც მათ გასაჩერებლად ხელი არ გაუ-ღია. არაფერი უთქვამს, როცა მის ქმნილებას „ლუთერანული ჭუჭყი" უწოდეს[2], არაფერი უთქვამს, როცა პავლე IV-მ მოინდომა ფრესკის ჩამოფხეკა [3], არაფერი უთქვამს, როცა პაპის ბრძანებით დანიელ დე ვოლტერამ მის გმირებს „ნიფხავი ჩააცვა"[4]. მას აზრი ჰკითხეს. რისხვა არ დასტყობია, მხოლოდ სიბრალული და ირონია ისმოდა მის ხმაში, როცა მიუგო: „უთხარით პაპს, რომ ეგ უმნიშვნელო ამბავია და ადვილად მოსაგვარებელიც; დე, მისმა უწმინდესობამ სამყაროს მოწესრიგებაზე იზრუნოს, ნახატის გასწორებას რა დიდი ჯაფა სჭირდება". მან ხომ იცოდა, რა მგზნებარე რწმენით აღეჭურვილი ქმნიდა ამ ფრესკებს, ვიტორია კოლონას უბიწო სულის მფარველობის ქვეშ, მასთან რელიგიური საუბრებისას და შერცხვებოდა, თავისი გმირული იდეების უმანკო სიშიშვლე ფარისეველთა და სულმდაბალთა ბილწი ეჭვებისაგან რომ დაეცვა.

---

[1] შანტაჟს რომ ეწევა, ამას არც მალავს: ამ მუქარით აღსავსე წერილის ბოლოს, მას შემდეგ, რაც კადნიერად ახსენებს მიქელანჯელოს, საჩუქრებს რომ გაბოველი შენგან, როდის მომცემო, არეტინო პოსტსკრიპტუმად ურთავს: „ახლა, როდესაც ცოტა ჯავრი ვიყარე და დაგანახეთ, რომ თუკი თქვენა ხართ „ღვთაებრივი" (divino), არც მე მეთქმის „წყალი" (acqua), დახიეთ ეს წერილი, როგორც მე ვხევ და გადაწყვიტეთ"...

[2] ერთმა ფლორენციელმა, 1549 წელს (გეი, „მიმოწერა", II, 500).

[3] 1596 წელს კლიმენტ VIII-საც განუზრახავს ჩამოფხეკა.

[4] 1559 წელს. დანიელ დე ვოლტერას ამ ამბის შემდეგ (braghettone) „მენიფხვე" შეარქვეს. დანიელი მიქელანჯელოს მეგობარი იყო. მისი მეორე მეგობარი, მოქანდაკე ამანატიც უძრახავდა ამდენი სიშიშვლის გამოფენას. ასე რომ, ამ საქმეში მიქელანჯელოს მისმა შეგირდებმაც კი არ დაუჭირეს მხარი.

სიქსტის ფრესკა რომ დაასრულა[1], მიქელანჯელოს ეგონა, ახლა კი უფლება მაქვს იულიუს II-ის საფლავის ძეგლს დავუბრუნდეო, მაგრამ გაუმაძღარმა პაპმა ისურვა, რომ სამოცდაათი წლის მოხუცს მისთვის პავლეს კაპელის ფრესკებიც მოეხატა[2]. ცოტას გაწყდა და საკუთარი კაპელის მოსართავად კინაღამ იულიუს II-ის ძეგლისათვის განკუთვნილ ქანდაკებებსაც მოხვია ხელი. მიქელანჯელოს თავი ბედნიერად უნდა ჩაეთვალა, რომ ნება დართეს იულიუს II-ის მემკვიდრეებთან მეხუთე, უკანასკნელი კონტრაქტი დაედო. ამ კონტრაქტის თანახმად ყველა დამთავრებულ ქანდაკებას[3] ორ სხვა მოქანდაკეს მიანდობდა; ძეგლზე მუშაობას ისინი განაგრძობდნენ, მიქელანჯელო მათ ჯამაგირსაც გაუჩენდა და სამაგიეროდ ყველა სხვა ვალდებულებისაგან თავისუფლდებოდა.

მაგრამ მის ტანჯვას ბოლო მაინც არ უჩანდა. იულიუს II-ის მემკვიდრეები სასტიკად სდევნიდნენ და მოითხოვდნენ მისგან ფულს, ვითომდა უწინ რომ გადაეხადათ. პაპმა შემოუთვალა: მაგაზე ნუ ჯავრობ, მთელი შენი ძალ-ღონე პავლეს კაპელას მოახმარეო.

„კი მაგრამ, — უპასუხებდა მიქელანჯელო, — ხატავენ თავით და არა ხელებით; ვისაც გონება დაფანტვია, ვერაფერს გახდება და სახელს გაიტეხს, ამიტომ ვერაფერს შევქმნი ფასეულს, სანამ ეს საზრუნავი გამჩენია... მთელი ჩემი სიცოცხლე ამ საფლავის ძეგლზე ვიყავ მიჯაქვული; მთელი ჩემი ახალგაზრდობა ვცდილობდი ლეონ X-ისა და კლიმენტ VII-ის წინაშე თავი მემართლებინა; ჩემმა სინდისიერებამ მევე დამღუპა. ასე ისურვა ჩემმა ბედმა! მე ბევრი კაცი

---

[1] „განკითხვის დღე" 1541 წლის 25 დეკემბერს გაიხსნა. ამ დღეს აქ მთელი იტალიიდან მოაწყდა ხალხი. ბევრი საფრანგეთიდან, გერმანიიდან და ფლანდრიიდანაც ჩამოვიდა. — იხილეთ ამ ფრესკის აღწერა ჩემს წიგნში: „ხელოვნების ოსტატები", გვ. 90—93.

[2] ეს ფრესკები („პავლე მოციქულის მოქცევა" და „მარტვილობა წმ. პეტრესი") მიქელანჯელოს 1542 წელს დაუწყია, მაგრამ ავადმყოფობამ მუშაობაში ორგზის (1544-46 წლებსა და 1549 — 1550 წლებში) შეუშალა ხელი. „ეს მისი უკანასკნელი ნახატები იყო, — ამბობს ვაზარი, — და ძალიანაც გაუჭირდა, რადგან ფერწერა, განსაკუთრებით ფრესკის ხატვა ძალიან მძიმე სამუშაოა მოხუცთათვის".

[3] თავდაპირველად ეს უნდა ყოფილიყო „მოსე" და „ორი მონა", მაგრამ მიქელანჯელოს უფიქრია, რომ საფლავის ახალ ძეგლს „მონები" აღარ შეშვენოდა და ორი სხვა ფიგურა გამოუქანდაკებია: „ქმედითი ცხოვრება" და „მჭვრეტელობითი ცხოვრება" („ლია" და „რახილი").

ვიცი ისეთი, ვინც ორი ან სამ-ათასი ეკიუს რენტა დაიგოოვა; მე კი, ამ საშინელი ჯაფის შემდეგაც ისევ ღარიბად ვრჩები და ქურდობასაც აქეთ მემართლებიან!.. კაცთა წინაშე, ღვთის წინაშე-მეთქი, აღარ ვამბობ, თავი პატიოსან კაცად მიმაჩნია; არასოდეს მომიტყუებია ვინმე... ქურდი არა ვარ, მე კეთილშობილი მოქალაქე ვარ, სახელოვანი ოჯახიშვილი... და როცა იძულებული ვარ ამ თაღლითებისაგან თავი დავიცვა, ჭკუა მერევა!" [1]

ავის მდომლები რომ ჩაეჩუმებინა, თავისი ხელით დაასრულა „ქმედითი ცხოვრება" და „მჭვრეტელობითი ცხოვრება", თუმცა კონტრაქტი ამას არ ავალებდა.

ბოლოს, 1545 წლის იანვარს სან პიეტრო ინ ვინკოლიში იულიუს II-ის საფლავის ძეგლი, როგორც იქნა, გაიხსნა. მაგრამ პირვანდელი დიდებული ჩანაფიქრიდან რაღა დარჩა? მხოლოდ „მოსე", ძეგლის ცენტრად ქცეული, თუმცა უწინ მარტო დეტალად იყო გამიზნული. ეს სასაცილო კარიკატურა იყო ბრწყინვალე გეგმისა!

მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბოლო მოეღო ყველაფერს; მიქელანჯელომ თავიდან მოიშორა კოშმარი, მთელი სიცოცხლის მანძილზე მძიმე ლოდად რომ აწვა.

II

რწმენა

Signior mie caro, i' te sol chiamo e 'nvoco
Contra l' inutil mie cieco tormento[2].

ვიტორიას სიკვდილის შემდეგ გულით უნდოდა ფლორენციას დაბრუნებულიყო, რათა „იქ დაემარხა თავის დაღლილი ძვლები, იქ, მამის გვერდით, სამუდამოდ განსასვენებლად"[3]. მაგრამ მას შემდეგ,

---

[1] ვიღაც სასულიერო პირისადმი მიწერილი ბარათი (1542 წლის ოქტომბერი). (წერილები, მილანეზის გამოცემა, CDXXXV).

[2] უფალო ჩემო, დამიფარე, შენ გიხმობ მხოლოდ,
მე უმწეო ვარ, მემუქრება ბრმა სატანჯველი (ლექსები, CXXXIII).

[3] მიქელანჯელოს წერილი ვაზარისადმი (1552 წ. 12 სექტემბერი).

რაც მთელი თავისი სიცოცხლე პაპების სამსახურს მოანდომა, მოისურვა, სიცოცხლის უკანასკნელი წლები ღვთის სამსახურში გაეტარებინა იქნებ მისმა მეგობარმა ვიტორიამაც წააქეზა ამისათვის და ვინ იცის, იქნებ მის უკანასკნელ სურვილსაც ასრულებდა. მართლაც, ვიტორიას სიკვდილამდე ერთი თვით ადრე, 1547 წლის პირველ იანვარს, მიქელანჯელო პავლე II-ის ბრძანებით წმ. პეტრეს ტაძრის პრეფექტად და მთავარ არქიტექტორად დაინიშნა და უფლება მიეცა მთელი სამუშაოები თავისი ნება-სურვილისამებრ წარემართა. ძლივს დაიყოლიეს; პაპის დაჟინებამ როდი აიძულა სამოცდაათი წლის მოხუცი კისრად ედო ყველაზე უფრო მძიმე ტვირთი, რაც კი ოდესმე უტარებია. მან ამ საქმეში წმიდა მისია, ღვთიური ვალი დაინახა:

„ბევრს ჰგონია და მეც აგრე მწამს, რომ ამ ადგილზე ღვთის განგებითა ვარ დანიშნული, — წერდა ივი,—და მიუხედავად ჩემი ხანდაზმულობისა, არ მსურს ამ საქმეს თავი ვანებო, რადგან ღვთის სიყვარულით ვირჯები და მთელს ჩემს იმედებს მასზედ ვამყარებ“ [1].

ამ წმიდა საქმეში არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა.

უამრავი მტერიც გაიჩინა. გადაიკიდა, ვაზარის თქმით, „სან გალოს სექტა“ [2], მშენებლობის ადმინისტრატორები, მომმარაგებლები, მოიჯარეები, რომელთა თაღლითობასაც გულდაგულ ამხელდა. სან გალო კი ამგვარ რამეებზე მუდამ თვალს ხუჭავდა ხოლმე.

„მიქელანჯელომო. — ამბობს ვაზარი, — პეტრე მოციქულის ტაძარი ქურდებისა და ავაზაკებისაგან იხსნა“.

მის წინააღმდეგ შეიქმნა კოალიცია. მისი მეთაური თავხედი ნანი დი ბაჩო ბიეიო იყო, არქიტექტორი, ვისაც ვაზარი ბრალად სდებს, მიქელანჯელო გაქურდაო და ვინც თურმე მის ადგილს უმიზნებდა. ხმა დაარხიეს, მიქელანჯელოს არქიტექტურისა არაფერი გაეგება,

---

[1] მიქელანჯელოს წერილი ძმისწულ ლეონარდოსადმი (1557 წ. 7 ივლისი).

[2] იგულისხმევა ანტონიო და სან გალო, ვინც 1537 წლიდან სიკვდილამდე (1546 წლის ოქტომბრამდე) წმ პეტრეს ტაძრის მთავარ არქიტექტორად იყო. ეს კაცი მუდამ მტრობდა მიქელანჯელოს და ეს უკანასკნელიც მკაცრად მოეპყრო. პირველად ბორგოს (ვატიკანის უბნის) გამაგრების თაობაზე წაიკიდნენ, როცა 1545 წელს მიქელანჯელომ სან გალოს გეგმა უარყო. უთანხმოება ჰქონდათ ფარნეზის სასახლის აგებისასაც; ეს სასახლე მესამე სართულამდე სან გალომ აიყვანა, შემდეგ მიქელანჯელომ დაასრულა, 1549 წელს ლავგარდანი თავისებურად გააკეთა და მით თავისი მეტოქის პროექტი უკუაგდო (იხ. ტოდეს „მიქელანჯელო“).

უთავბოლოდ ფლანგავს ფულს და ტყუილად ანგრევს თავისი წინამორბედის ნამუშევარსო. მშენებლობის ადმინისტრაციული კომიტეტიც მიემხრო თავისი არქიტექტორის მტრებს, მიქელანჯელოს ეპვით დაუწყო ცქერა და 1551 წელს პაპის მეთაურობით მისი საქმიანობის საჯაროდ გამოძიებას შეუდგა. ზედამხედველები და მუშებიც მოვიდნენ სამსჯავროში და კარდინალების სალვიატისა და ჩერვინისაგან [1] წაქეზებულებმა მიქელანჯელოს წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. მიქელანჯელომ თავის მართლებაც კი არ იკადრა; ყოველგვარ კამათზე უარს ამბობდა: „მე მოვალე არა ვარ,—უთხრა კარდინალ ჩერვინის,—ანგარიში ჩაგაბაროთ თქვენ ანდა სხვა ვინმეს, რას ვაკეთებ. ან რის გაკეთებას ვაპირებ. თქვენი ვალია დანახარჯს ადევნოთ თვალყური, დანარჩენი კი მე მეხებაო“ [2]. უზომო სიამაყე არასოდეს აძლევდა ნებას ვინმესთვის გაენდო თავისი გეგმები. მუშები რომ ჩივილს მოჰყვებოდნენ, ასე მიუგებდა: „თქვენი საქმე ქვის თლა, აგურის აგურზე დაწყობა და დურგლობაა. მაგას მიხედეთ და ბრძანებები შეასრულეთ. რაც შეეხება იმის ცოდნას, თუ რა მაქვს განზრახული, ამას ვერასოდეს შეიტყობთ, ეს ჩემი ღირსების შებღალვა იქნებაო“ [3].

იმ ზიზღს, ასეთი მოპყრობა რომ იწვევდა, იგი წამითაც ვერ გაუძლებდა პაპების მხარდაჭერა რომ არა[4]. ამიტომ, როდესაც იულიუს III გარდაიცვალა [5] და პაპის ტახტზე კარდინალი ჩერვინი დაჯდა, მიქელანჯელოს კინაღამ რომიდან წასვლა მოუხდა. მაგრამ მარსელ II

---

[1] მომავალი პაპი მარსელ II.

[2] ვაზარი.

[3] ბოტარი.

[4] 1551 წლის გამოძიების ბოლოს მიქელანჯელო მიუბრუნდა იულიუს III-ს, რომელიც კრებას თავმჯდომარეობდა და უთხრა. „წმიდა მამაო, ხომ ხედავთ, როგორია ჩემი სარგებელი. თუ ეს უსიამოვნებანი, რომელთაც განვიცდი, ჩემს სულსაც არ წაადგა, ამაოდ ვკარგავ დროსა და ენერგიას“. მაშინ პაპმა, რომელსაც იგი უყვარდა, მხარზე დაადო ხელი და შესძახა: „ორმაგად იგებ, სულისთვისაც და ხორცისთვისაც, ნურაფრისა გეშინიაო“ (ვაზარი).

[5] პავლე III 1549 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა; იულიუს III, ვისაც მასავით უყვარდა მიქელანჯელო, პაპის ტახტზე 1550 წლის 8 თებერვლიდან 1555 წლის 28 მარტამდე იჯდა. კარდინალი ჩერვინი პაპად მარსელ II-ის სახელით 1555 წლის 9 აპრილს იქნა არჩეული, მაგრამ მან მხოლოდ რამდენიმე დღე გასძლო; 1555 წლის 23 მაისს იგი პავლე IV კარაფამ შესცვალა.

მხოლოდ მციოე ხნით იყო პაპად, მალე იგი პავლე IV-მ შესცვალა და მიქელანჯელომაც, რაკი კვლავ უზენაესი მფარველი დაიგულა, ისევ განაგრძო ბრძოლა. თავს პატივაყრილად მიიჩნევდა, სასუფეველში მოხვედრის იმედიც გარდაუწყდებოდა, სამუშაოსათვის თავი რომ მიეენებებინა.

„ეს საქმე ჩემივე ნების წინააღმდეგ ამკიდეს, — ამბობდა იგი, — უკვე რვა წელია ვმუშაობ და ამაოდ დავშვერ. საშინლად დავიქანცე და ყველა მტრად გადავიკიდე. ახლა, როცა მშენებლობის საქმემ, ასე თუ ისე, წინ წაიწია და ჯერი ლამის გადახურვაზე მიდგა, რომიდან ჩემი წასვლა დიდი თავის მოჭრა და ამდენი ნაშრომის წყალში ჩაყრა იქნებოდა, რაც ჩემს სულს მძიმე ცოდვად დააწვება“ [1].

მაგრამ მტრები არ ცხრებოდნენ და ბრძოლამ ერთხანს ტრაგიკული ხასიათიც კი მიიღო. 1563 წელს მიქელანჯელოს უერთგულესი თანაშემწე, პიერ ლუიჯი გაეტა ყალბი ბრალდების საფუძველზე ციხეში ჩასვეს. მშენებლობის უფროსს ჩეზარე და კასტილდურანტეს კი ხანჯლით გაუპეს გული. მიქელანჯელომ ამ გამოწვევას იმით უპასუხა, რომ ჩეზარეს ნაცვლად თავის ქურდობაშეწამებული თანაშემწე გაეტა დანიშნა. ადმინისტრაციულმა კომიტეტმა გააგდო გაეტა და მის ადგილას მიქელანჯელოს მოსისხლე მტერი ნანი დი ბაჩო ბიჟიო დასვა. განრისხებულ მიქელანჯელოს ფეხი აღარ მიუდგამს მშენებლობაზე. ხმა დაირხა, მიქელანჯელო უარს ამბობს უფროსობაზეო და კომიტეტმა მის თანამდებობაზე ნანი დანიშნა, რომელმაც მყისვე თავის გუნებისად იწყო მუშაობა. ეგონა, ოთხმოცდარვა წლის ავადმყოფი და მომაკვდავი მოხუცი გაბეზრდებოდა და დანებდებოდა, მაგრამ თავის მოწინააღმდეგეს არ იცნობდა. მიქელანჯელო მაშინვე წავიდა პაპის სანახავად და დაემუქრა, რომიდან წავალ, თუ სამართალს არ გამიჩენთო. მერე ხელახალი გამოძიება მოითხოვა, ამხილა ნანის უუნა-

---

[1] მიქელანჯელოს წერილი ლიონარდოსადმი (1555 წლის 11 მაისს). მაგრამ მეგობართა შენიშვნებით გულმოკლულმა 1560 წელს მაინც ითხოვა „გაენთავისუფლებინათ ამ მძიმე ტვირთისაგან, რომელსაც აგერ უკვე ჩვიდმეტი წელია, უსასყიდლოდ ატარებდა“. მაგრამ მისი გადადგომა არ ისურვეს და პიუს IV-მ სპეციალური ბრეეეთი კვლავ განაახლა მისი ძალაუფლება. სწორედ იმხანად კავალიერის დაჟინებული თხოვნით მიქელანჯელომ თაღის ხის მოდელის გაკეთება გადაწყვიტა. მანამ მთელ თავის გეგმებს გულში ინახავდა და ძეხორციელს არ ანდობდა.

რობა და სიცრუე და გააგდებინა იგი [1]. ეს მოხდა 1563 წლის სექტემბერს, მის სიკვდილამდე ოთხი თვით ადრე. ასე უკანასკნელ წუთამდე ეომებოდა შურსა და მტრობას.

ნუ შევიბრალებთ, მან კარგად იცოდა თავის დაცვა და მომაკვდავსაც შესწევდა უნარი სხვის დაუხმარებლად, როგორც ოდესღაც თავის ძმას, ჯოვანე სიმონეს სწერდა, „ათასობით ასეთი არამზადასათვის მოეგრიხა კისერი“.

* * *

წმ. პეტრეს უზარმაზარი ტაძრის გარდა ცხოვრების მიწურულში სხვა არქიტექტურული სამუშაოებიც მრავლად ჰქონდა: მუშაობდა კაპიტოლიუმზე [2], სანტა მარია დელი ანჯელის ეკლესიაზე [3], სან ლორენცოს კიბეზე [4], პორტა პიასა და მეტადრე სან ჯოვანის ეკლესიაზე ფლორენციისათვის, რომელიც მის უდიდეს პროექტთაგან უკანასკნელი და უწინდელებივით უიღბლო იყო.

ფლორენციელებმა სთხოვეს მათდა სადიდებლად რომში ეკლესია აღემართა; თვით ჰერცოგმა კოზიმომ მოსწერა ლიქნით აღსავსე ბარათი და მიქელანჯელოც, ფლორენციის სიყვარულით ფრთაშესხმული, ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა საქმეს [5]. თანამემამულეებს შეუთვალა: თუ ჩემს გეგმას განახორციელებთ, არც რომაელებს, არც ბერძნებს არაფერი ექნებათო ამის ბადალი. ასეთი სიტყვები, ვაზარის თქმით, „არც მანამ, არც მერე არ ამოსულა მისი პირიდან, რადგან მეტისმეტად მოკრძალებული იყო“. ფლორენციელებმა უცვლელად მიიღეს ეს გეგმა. მიქელანჯელოს მეგობარმა, ტიბერიო კალკანიმ

---

[1] მაგრამ ამ ნანიმ მიქელანჯელოს სიკვდილის მეორე დღესვე სთხოვა ჰერცოგ კოზიმო მედიჩის, წმ. პეტრეს ტაძრის მთავარი არქიტექტორის თანამდებობა აწი მე მომეცითო.

[2] მაგრამ მიქელანჯელო მარტო კიბეებისა და მოედნის აგებას მოესწრო. კაპიტოლიუმის მშენებლობა მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეში დასრულდა.

[3] მიქელანჯელოს ეკლესიიდან ახლა აღარაფერი დარჩა; იგი მთლიანად იქნა რეკონსტრუირებული მეთვრამეტე საუკუნეში.

[4] მიქელანჯელოს მოდელი ქვისაგან გააკეთეს და არა ხისაგან, როგორც ავტორს სურდა

[5] 1559 — 1560 წლებში.

მისი ხელმძღვანელობით ტაძრისათვის ხის მოდელი გააკეთა. „თავისი სილამაზით, სიმდიდრითა და ბრავალფეროვნებით, ეს იმდენად საუცხო ნიმუში იყო ხელოვნებისა, რომ თავის დღეში არავის ენახა მსგავსი რამ. მშენებლობაც დაიწყეს, 5000 სკუდო დახარჯეს; მერე ფული შემოაკლდათ. ყველაფერს თავი ანებეს და საქმეც ამით დასრულდა. მიქელანჯელო მეტად დაამწუხრა ამ ამბავმა“ [1]. ტაძარი ვეღარ აშენდა და მოდელიც გაქრა.

ასე გაუცრუვდა მიქელანჯელოს უკანასკნელი შემოქმედებითი იმედი და ვინ დაუდგებოდა თავდებად მომაკვდავს, რომ წმ. პეტრეს ძლივსდაწყებული ტაძარი ოდესმე აიგებოდა და რომ რომელიმე მისი ქმნილება მასზე უფრო დღეგრძელი გამოდგებოდა. ნება რომ მიგეცათ, იქნებ თავადაც დაენგრია ყველაფერი. მისი უკანასკნელი ქანდაკების, ფლორენციული ტაძრისათვის განკუთვნილი „ჯვრიდან გარდმოხსნის“ ბედი გვიჩვენებს, თუ რა მწარედ ჰქონდა ჩაქნეული ხელი ხელოვნებაზე; და თუკი მაინც გახაგრძობდა ქანდაკებას, ხელოვნებისადმი რწმენა კი არ ამოქმედებდა, ღვთის რწმენა ამოძრავებდა და კიდევ ის, რომ „მის გონებასა და ძალას არ შეეძლო არ ემოქმედნა“ [2]. მაგრამ, როგორც კი დაასრულა ნამუშევარი, დამტვრევა მოუნდომა [3]. „მთლად დაამსხვრევდა, მის მსახურს, ანტონიოს რომ არ მიესწრო და არ ეთხოვა, მე მაჩუქეთო“ [4].

სიკვდილის წინ თავის ქმნილებებს მიქელანჯელო ასე გულგრილად ეკიდებოდა.

---

[1] ვაზარი.

[2] იქვე. ეს ქანდაკება 1553 წელს დაიწყო. იგი ყველაზე უფრო ამაღელვებელია მის ქმნილებათაგან, რადგან ყველაზე უფრო ახლო იყო მის გულთან: იგრძნობა, რომ აქ მხოლოდ თავისთვის ლაპარაკობს, თავისთვის იტანჯება და ნებდება კიდეც ამ ტანჯვას. უნდა ითქვას ისიც, რომ მას თითქოს თავის თავი ჰყავს გამოყვანილი იმ მწუხარესახიან მოხუცში, რომელსაც ქრისტეს სხეული უჭირავს.

[3] 1555 წელს.

[4] ანტონიოსაგან ეს ქანდაკება ტიბერიო კალკანიმ იყიდა და მიქელანჯელოს მისი აღდგენის ნებართვა სთხოვა. მიქელანჯელო დათანხმდა, კალკანიც შეუდგა საქმეს, მაგრამ სიკვდილმა მოუსწრო და ხაწარმოები ისევ დაუსრულებელი დაჩა.

* * *

ვიტორიას სიკვდილის შემდეგ არც ერთ დიდ გრძნობას არ გაუშუქებია მისი ცხოვრება. სიყვარული გაჰქრა, წავიდა:

Fiamma d'amor nel cor non m'e rimasa.
Se'l maggior caccia sempre il minor duolo
D penne l'alm' ho ben tarpat' et rara
ჩემს სულში ცეცხლი სიყვარულის აღარ გიზგიზებს,
სხვა ჭირს აჯობა უფრო მეტმა ჭირმა—სიბერემ,
მე დავიკერი ჩემი სულის გაშლილი ფრთები [1].

დაკარგა ძმები: უახლოესი მეგობრებიც დაეხოცა. ლუიჯი დელ რიჩო 1546 წელს გარდაიცვალა, სებასტიანო დელ პიომბო—1547 წელს, მისი ძმა ჯოვანი სიმონე — 1548 წელს. უმცროს ძმასთან, ჯისმონდოსთან, რომელიც 1555 წელს გარდაიცვალა, მაინცდამაინც ახლო ურთიერთობა არასოდეს ჰქონია და მთელი თავისი სითბო და სინაზე დაობლებულ ძმისწულებზე, უსაყვარლესი ძმის ბუონაროტოს ქალვაჟზე: ჩეკასა (ფრანჩესკასა) და ლიონარდოზე გადაიტანა. გოგონა მონასტერში შეიყვანა, ყოველმხრივ გამოაწყო, მისი სწავლის ფულს იხდიდა და როცა ყმაწვილქალს გათხოვების დრო დაუდგა [2], მზითვად ერთ-ერთი თავისი მამული მისცა [3]. ლიონარდო მამის სიკვდილის შემდეგ ცხრა წლისა დარჩა და მიქელანჯელომ მისი სწავლა-აღზრდის საქმე თავად იკისრა. დიდძალი წერილები, ბეთჰოვენის მიერ ძმისწულისადმი მიწერილ ბარათებს რომ გვაგონებს, გვიჩვენებს, თუ რა სერიოზულად ეკიდებოდა მიქელანჯელო თავის „მამობას" [4]. ხშირად უცნაური ბრაზიც შეიპყრობდა, რადგან ლიონარდო ბიძის მოთმინებაზე თამაშობდა; ეს მოთმინება კი, როგორც ჩანს, მაინცდამაინც დიდი არ ყოფილა. ბიჭის ცუდი ხელი კმაროდა მის გასაცოფებლად, ამაში მისდამი უპატივცემლობას ხედავდა.

---

[1] ლექსები, LXXXI (დაახლ. 1550 წელს). მაგრამ ზოგიერთი ლექსი, უკიდურესი მოხუცებულობის ჟამს დაწერილი, მოწმობს, რომ ცეცხლი მთლად ისე ჩაქრალი არ ყოფილა, როგორც მას ეგონა და რომ „ძველ, დანახშირებულ ჯირკს" ალი ხანდახან ისევ შემოეგზნებოდა.

[2] 1538 წელს იგი მიქელ დი ნიკოლო გვიჩარდინის გაჰყვა ცოლად.

[3] პოცოლატიკოს მახლობლად მდებარე მიწა.

[4] ეს მიმოწერა 1540 წელს დაიწყო.

„შენგან ერთი ბარათიც კი არ მიმიღია, რომ წაკითხვამდე სიცხემ არ ამიწიოს. არ ვიცი, სად ისწავლე ასეთი წერა!.. სულ არ გიყვარ-ვარ!.. მე მგონი, ქვეყნად უდიდეს ბრიყვს რომ სწერდე, მაშინაც კი მეტ გულისყურს გამოიჩენდი.. შენი უკანასკნელი წერილი ცეცხლს მივეც, რადგან ვერ მოვახერხე მისი წაკითხვა; თუ გსურს რამე შემატყობინო, იპოვე ვინმე ისეთი, ვინც წერა იცის, რადგან მე ჩემი გონება სხვა რამისათვის მჭირდება და არ შემიძლია დრო უქმად ვკარგო შენი ბატიფეხურის ამოსაკითხად“ [1].

გონებით უნდოს, კიდევ უფრო ეჭვიანი რომ გახადა ძმათა გაუტანლობამ, ძმისწულის სიყვარულისა მაინცდამაინც არ სჯეროდა. სულ ეჩვენებოდა, რომ მასზე მეტად მისი ქისა უყვარდა, ლიონარდომ აკი იცოდა, რომ ბიძის მემკვიდრეობა მას დარჩებოდა. მიქელანჯელოს ეს ხშირად პირშიაც უთქვამს მისთვის. ერთხელ, როცა ავადმყოფობამ დარია ხელი და სიკვდილის პირას იყო მისული, გაიგო, რომ ლიონარდო სასწრაფოდ ჩამოსულა რომში და სამარცხვინო თათბირი გაუმართავს მის ნოტარიუსთან. გულმოსულმა ძმისწულს მრისხანებით აღსავსე წერილი მისწერა:

„ლიონარდო! მე ავად ვიყავ, შენ კი სერ ჯოვანი ფრანჩესკოსთან გაქცეულხარ, რომ გენახა, მემკვიდრეობად რა გრჩებოდა. განა ფლორენციაში რომ ფულს გიგზავნი, არ გყოფნის? მაგრამ არ შეგიძლია შენს ჯილაგს უღალატო და მამაშენის კვალს არ გაჰყვე, მამიშენისა, ვინც ფლორენციაში საკუთარი სახლიდან გამომაგდო. იცოდე, ისეთი ანდერძი დავწერე, რომ თავის დღეში ვერაფერს მიიღებ ჩემგან. თვალით აღარ დამენახო, ღმერთი იყოს შენი მფარველი და წერილსაც ნუღარასოდეს მომწერ!“ [2].

ასეთი რისხვა სულაც არ აკრთობდა ლიონარდოს, რადგან მას ჩვეულებრივ ალერსიანი წერილები და საჩუქრები მოსდევდა [3]. ერთი

---

[1] „...Stare a spasimare intorno alle tue lettere“ (წერილები, 1536 — 1548 წწ.).

[2] 1544 წლის 11 ივლისით დათარიღებული ბარათი.

[3] პირველად თვითონვე მისწერა ძმისწულს, როცა 1549 წელს ავადმყოფობამ დარია ხელი, რომ ანდერძში მისი სახელი შეჰქონდა. ანდერძში ნათქვამია: „ყველაფერს, რაც გამაჩნია, შენა და ჯისმონდოს გიტოვებთ. ის ძმაა ჩემი, შენ ძმისწული ხარ, ორივეს თანაბარი უფლებები გაქვთ და არც ერთს არ შეგეძლებათ ხელყოთ ჩემი ქონება ისე, თუ მეორის თანხმობაც არ იქნა“.

წლის შემდეგ იგი ისევ გამოქანდა ფლორენციიდან; ამჯერად ბიძის დანაპირებმა 3 000 ეკიუმ მოიზიდა. მიქელანჯელოს საწყენად დარჩენია ეს ანგარებიანი სისწრაფე:

„თვალის დახამხამებაში რომში გაჩნდი. არ ვიცი, ასე სასწრაფოდ თუ ჩამოხვიდოდი, უკიდურეს სიღატაკეში რომ გეგულებოდე და ლუკმა-პური მაკლდეს! შენ ამბობ, ჩემი ვალი იყოო ჩამოსვლა; ამას თურმე ჩემდამი სიყვარული გავალებს. დიახ, ჩემი ქისის სიყვარული[1]. მე რომ გყვარებოდი, მომწეოდი, ბიძაჩემო, ეგ 3 000 ეკიუ შენს თავს მოახმარე, თქვენი სიცოცხლე ჩვენთვის ყოველგვარ ქონებაზე უფრო ძვირფასია. ჩვენ რაც მოგვეცი, ისიც საკმარისიაო. მაგრამ აგერ უკვე 40 წელია, რაც ყველანი ჩემს ხარჯზე ცხოვრობთ და თქვენგან ერთი კეთილი სიტყვაც არ მახსოვს“[2]...

მეტად მნიშვნელოვან საკითხად იქცა ლიონარდოს დაქორწინება. ამ საქმეს ბიძა-ძმისწულმა ექვს წელზე მეტი ხანი მოანდომა[3]. ლიონარდო ხათრს არ უტეხდა ბიძას, რომლის მემკვიდრეობაც უნდა დარჩენოდა და მის ყველა რჩევას ითვალისწინებდა; არჩევანიც მას მიანება. მისთვის თითქოს სულერთი იყო. მიქელანჯელო კი პირიქით, დიდ აქტივობას იჩენდა და ისე იყო გატაცებული, თითქოს ცოლს ძმისწული კი არა, თავად ირთავდა. ქორწინებას სერიოზულ საქმედ თვლიდა: „აჩქარება არ ეგების, გულისთქმას ნუ აჰყვებიო“. მაინცდამაინც არც ქონებას დაეძებდა. მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ საცოლე ჯანმრთელი და კარგი ოჯახიშვილი ყოფილიყო. უხეშ, საქმიან, პოეტურობას მოკლებულსა და წინდახედულ რჩევას იძლეოდა:

„ქორწინება სერიოზული საქმეა; გახსოვდეს, რომ ცოლ-ქმარს შორის ათი წლის სხვაობა მაინც უნდა იყოს. ეცადე, რომ შენი რჩეული მარტო კეთილი კი არა, ჯანმრთელიც იყოს. აქ ვიღაც-ვიღაცეებზე ჩამომიგდეს სიტყვა. ზოგი მათგანი მომეწონა, ზოგი კი — არა. თუ შენც გიფიქრია ამ საკითხზე, მომწერე, რომელს აძლევ უპირატესობას. მეც ჩემს აზრს მოგაწვდენ. რომელიც გინდა, აირჩიე, ოღონდ ზრდილი და კეთილშობილი იყოს. დიდმზითვიანს ისევ უმზითვო

[1] „L'amore del tarlo“.

[2] 1546 წლის 6 თებერვალი. იგი დასძენს: „თუმცა შარშან ისე დაგტუქსე, რომ შეგრცხვა და ერთი კასრი ტრებინული ღვინო გამომიგზავნე. ო, როგორ დაიხარჯე!..“

[3] 1547 წლიდან 1553 წლამდე.

გერჩიოს, რომ დაწყნარებულად იცხოვროთ...[1] ერთმა მანდაურმა კაცმა მითხრა, ჯინორის ქალს ურიგებენო და დასძინა, რომ ეგ ასული მოგწონს. მე კი არ მომწონს, რომ ისეთი ქალის შერთვა გინდა, რომლის მამაც შვილს არ მოგცემდა, საკადრისი მზითევის გაცემა რომ შეეძლოს. მე მინდა ქალი შენ გამოგატანონ და არა შენს ქონებას... შენ მხოლოდ ის უნდა ეცადო, რომ სულით და ხორცით ჯანმრთელი შეგხვდეს, კარგი სისხლი ჰქონდეს და არც ავი ზნისა იყოს... ამას გარდა, დედ-მამა ვინა ჰყავს, ისიც უნდა გამოიძიო, რადგან ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გაისარჯე და ისეთი ცოლი შეირთე, რომ თუ დასჭირდა, კერძის მომზადება და გარეცხვაც არ ითაკილოს და შინაურობაშიც გამოსადეგი იყოს. სილამაზეს კი, რაკი თავადაც ფლორენციის ულამაზესი ჭაბუკი არ ბრძანდები, თუ ქალს ფიზიკური ნაკლი არ ექნა, მაინდამაინც ნუ გამოეკიდები, ოღონდ მთლად გონჯსაც კი ნუ მოიყვან"[2].

დიდი ძებნის შემდეგ ეტყობა მიაგნეს ამ უცხო ფრინველს, მაგრამ ბოლო წუთს მასაც უპოვეს ნაკლი: ქალი ბეცი ყოფილიყო.

„გავიგე, რომ ბეცი ყოფილა. ეს კი, ჩემის აზრით, პატარა ხინჯი როდია. მე ჯერ სიტყვა არ მიმიცია და რაკი შენც არაფერს შეპირებიხარ, თუ ეგ ამბავი დადასტურდა, ჩემის აზრით, სჯობს საერთოდ უარი ვუთხრათ"[3].

ლიონარდოს იმედი გადაუწყდა. უკვირს კიდეც, რომ ბიძამისს დაჟინებით სურს მისი დაქორწინება.

„მართლაც გულით მინდა, — პასუხობს მიქელანჯელო, — ეგ იმიტომ, რომ ჩვენი გვარი ჩვენს შემდეგ არ გადაშენდეს. კარგად ვიცი, ამით სამყარო არ დაიქცევა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველა სულ-

---

[1] და სხვაგან: „ფულს ნუ დაიეებ, მხოლოდ სიკეთესა და სახელს მისდიე... ისეთი ცოლი უნდა გყავდეს, რომ მუდამ მხარში გედგას, შენი მორჩილი იყოს და უსიამოვნებას არ შეგამოხვიოს. ქორწილებსა და ქეიფებს გადაყოლილიც ნუ იქნებ», რადგან ეგ ისეთი ადგ-ლებია, სადაც ქალებს ეარშიყებიან და ადვილი შესაძლებელია კიდეეაც გაიყვნენ (diventar puttana), მეტადრე მაშინ, თუ ყურს არავინ დაუგდებს"... (წერილები, 1549 წლის თებერვალი).

[2] „...Storpiata o shifa"... (წერილები, 1547—1552 წწ.).

[3] 1551 წლის 19 დეკემბერს მიწერილ ბარათში.

დგმული თავისი მოდგმის გამრავლებასა ცდილობს. აი, რატომ მინდა შენი ცოლის შერთვა“ [1].

ბოლოს თვითონაც დაიღალა; უკვე სასაცილოდ მიაჩნია, რომ ძმისწულის ქორწინებაზე მარტო თვითონ ზრუნავს, ლიონარდო კი ისე იქცევა, თითქოს ამ ამბავს აინუშშიც არ აგდებდეს. გულმოკლული ამბობს, ამას იქით აღარც მე ჩავერევიო.

„აგერ უკვე სამოცი წელია, რაც თქვენზე ვზრუნავ, ახლა უკვე მოვხუცდი და ჩემს საქმეებსაც უნდა მივხედო“. სწორედ ამ დროს გაიგო, რომ მისი ძმისწული კასანდრა რიდოლფიზე დანიშნულა. მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ულოცავს ძმისწულს, საჩუქრად 15 000 დუკატს ჰპირდება. ლიონარდო ჯვარს იწერს [2]. მიქელანჯელო მოლოცვის ბარათს უგზავნის ახლადდაქორწინებულთ და კასანდრას მარგალიტის ყელსაბამს აღუთქვამს. სიხარული მაინც არ უშლის ხელს გააფრთხილოს ძმისწული: „თუმცა მაგ საქმეში ბევრი არაფერი გამეგება, მაინც, ჩემის აზრით, სჯობს ცოლის მოყვანამდე ზედმიწევნით მოაგვარო ფულის საკითხი, რადგან განხეთქილების თესლი მუდამ აქ იმალება“, და ამ სახუმარო რჩევით ამთავრებს: „ეხლა კი ეცადე, სიამტკბილობით იცხოვროთ და გახსოვდეს, რომ ქვრივი დედაკაცები უფრო მეტნი არიან ქვეყნად, ვიდრე ქვრივი მამაკაცები“ [3].

ორი თვის შემდეგ ნაცვლად აღთქმული ყელსაბამისა, კასანდრას ორ ბეჭედს უგზავნის: ბრილიანტისთვლიანსა და ლალისთვლიანს. კასანდრა მადლობის ნიშნად რვა პერანგს უგზავნის. მიქელანჯელო სწერს:

„ლამაზი პერანგებია; განსაკუთრებით ტილო მომწონს, მაგრამ ვჯავრობ, რომ ასე დაიხარჯენით. მე არაფერი მაკლია. მადლობა გადაეცი კასანდრას ჩემგან და უთხარი, რომ არაფერში დავზარდები და თუ რამ წვრილმანი სჭირდება, უეჭველად გამოვუგზავნი რომაულ ან სხვა ნაკეთობას. ამჯერად მხოლოდ მცირედ მოსაკითხს გიგზავ-

---

[1] და იქვე დასძენს. „მაგრამ თუ ჯანმრთელობის საქმე მთლად კარგად ვერა გაქვს, სჯობს ისევ მარტოობაში მოკვდე და ქვეყნად უბედურები აღარ მოამრავლო“. (წერილები. 1552 წლის 24 ივნისი).

[2] 1553 წლის 16 მაისს.

[3] წერილები, 1553 წლის 20 მაისი.

ნით: სხვა დროს უკეთესს მოგართმევთ, ისეთს რასმე, რაც კასანდრას სიამეს მოგვრის, ოღონდ მაცალეთ, რა უფროა უნდა"[1].

მალე ბავშვებიც გაჩნდნენ: პირველს მიქელანჯელოს სურვილისამებრ ბუონარროტო უწოდეს[2], მეორეს მიქელანჯელო დაარქვეს[3], მაგრამ ბალღი დაბადებიდან სულ მალე გარდაიცვალა. მოხუცი ბიჭა 1556 წელს თავისთან იწვევს ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, მას მერეც მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ოჯახის ჭირსა და ლხინში, მავრამ არასოდეს აძლევს ნებას თავისიანებს, რომ მის საქმეებში ჩაერიონ ან თუნდაც მისი ჯანმრთელობის ამბავს მიხედონ.

* * *

ამ მოყვრებს გარდა მიქელანჯელოს სახელოვანი და რჩეული მეგობრებიც მრავლად ჰყავდა[4]. მიუხედავად მისი ველური ბუნებისა,

---

[1] 1553 წლის 5 აგვისტოს მიწერილ ბარათში.

[2] დაიბადა 1554 წელს.

[3] დაიბადა 1555 წელს.

[4] უნდა განვასხვავოთ მისი ცხოვრების პერიოდები. ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გარს მარტოობის უდაბნოც ხშირად ერტყა, მაგრამ შიგადაშიგ მეგობრობის პერიოდებიც ჰქონდა. ასე მაგალითად, 1515 წელს რომში ფლორენციელთა პატარა წრეში ტრიალებდა, რომელიც თავისუფალი, მხიარული და სმა-ჭამის მოყვარული ხალხისაგან შედგებოდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ: დომენიკო ბუონინსენი, სარაჯი ლიონარდო, ჯოვანი 'პეციალე, ბარტლომეო ვერაცანო, ჯოვანი ჯელეზი, კანიჯიანი. ცოტა მოგვიანებით, კლიმენტ VII-ის პაპობის ჟამს, თავისი ჭკუით სახელგანთქმულ ფრანჩესკო ბერნისა და ფრა სებასტიანო დელ პიომბოს მეგობრობდა. პიომბო იყო ერთგული, მაგრამ სახიფათო მეგობარი, რომელსაც მოჰქონდა ყოველგვარი ჭორები, რაც მიქელანჯელოს ირგვლივ ტრიალებდა და ხელოვანს რაფაელის პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდა. განსაკუთრებით საგულისხმოა ვიტორია კოლონასთან მეგობრობის ჟამს გაჩენილი ამხანაგი — ლუიჯი დელ რიჩო, ფლორენციელი ვაჭარი, რომელიც რჩევა-დარიგებას აძლევდა საქმეებში და მისი უახლოესი მეგობარი შეიქნა. მასთან ხვდებოდა მიქელანჯელო დონატო ჯანოტის, მუსიკოს არკადელტსა და მშვენიერ ჩეკინოს. ოთხივეს ერთნაირად უყვარდა პოეზია, მუსიკა და გეშრიელი კერძები. სწორედ ჩეკინოს სიკვდილით სასოწარკვეთილი რიჩოსათვის დაწერა მიქელანჯელომ ორმოცდარვა სამგლოვიარო ეპიგრამა და ყოველი ეპიგრამის საპასუხოდ რიჩო მას კალმახებს, მტრედებს, სოკოებს, ტრუფელებს, ნესვსა და სხვა ნუგბარ საჭმელებს უგზავნიდა. (იხ. ფრეის გამოცემული „ლექსები", LXXIII). 1546 წლის შემდეგ, როცა რიჩო გარდაიცვალა, მიქელანჯელოს მეგობრები აღარ ჰყოლია, მაგრამ ჰყავდა მოწაფეები: ვაზარი, კონდივი, დანიელ დე ვოლტერა, ბრონზინო, ლეონე ლეონი, ბენვენუტო ჩელინი. მოწაფეები აღმერთებდნენ და თვითონაც მათდამი გულითადობასა და სიყვარულს იჩენდა.

სრული სიყალბე იქნებოდა, რომ იგი ბეთჰოვენივით დუნაისპირა გაუთლელი გლეხის მსგავსად წარმოგვედგინა. მიქელანჯელო იტალიელი არისტოკრატი იყო, მაღალი კულტურისა და ზვიადი გვარის კაცი და სიყრმიდანვე, სან-მარკოს ბაღში, ლორენცო მშვენიერის გვერდით რომ გაატარა, მუდამ გარშემორტყმული იყო იმით, რაც კი იტალიის საუკეთესო გააჩნდა და რითაც შეეძლო თავი მოეწონებინა: ახლო ურთიერთობაში იყო დიდებულებთან, მთავრებთან, პრელატებთან[1], მწერლებთან[2], არტისტებთან[3]. გონებამახვილობაში ეჯიბრებოდა პოეტ ფრანჩესკო ბერნის[4], ბენედიტო ვარკისთან მიმოწერა ჰქონდა გა-

---

[1] რელიგიური აზრის სიმძაფრისა და თავისი თანამდებობის წყალობით ვატიკანში მეტად ახლოს იყო კათოლიკური ეკლესიის ბევრ გამოჩენილ მოღვაწესთან.

[2] საინტერესოა აღინიშნოს, რომ მიქელანჯელოს თურმე მაკიაველიც სცნობია. ბიაჯო ბუონაკორსი თავის 1508 წლის 6 სექტემბრით დათარიღებულ ბარათში მაკიაველის ამცნობს, რომ მიქელანჯელოს ხელით გამოუგზავნა ფული ერთი ქალისაგან, რომლის სახელიც არ არის გამხელილი.

[3] როგორც ჩანს, სწორედ მხატვართა შორის ჰყავდა ყველაზე ნაკლები მეგობარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი სიცოცხლის ბოლო წლებს, როცა პირმოთნე მოწაფეებით იყო გარემოცული. თანამოძმეები მაინცდამაინც არ უყვარდა და არც მალავდა გაღიზიანებული იყო ლეონარდო და ვინჩისთან, პერუჯინოსთან, ფრანჩასთან, სინიორელისთან, რაფაელთან, ბრამანტესთან, სან-გალოსთან. „ეჰა მგონია, რომ თქვენ ვინმეზე კარგი გეთქვათ როდისმე?"—სწერდა მას ბაიონეში სანსოვინო 1517 წლის 30 ივნისს. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მიქელანჯელოსათვის 1524 წელს დიდი სიკეთე გაეკეთებინა სანსოვინოსათვის და... ბევრი სხვისთვისაც. ოღონდ მისებრ მგზნებარე გენიის კაცს არ შეეძლო თავისი იდეალის გარდა რომელიმე სხვაც ჰყვარებოდა; თან ერთობ გულწრფელი იყო საიმისოდ, რომ თავი მოეკატუნებინა და რაც არ უყვარდა, იმისი სიყვარული დაეჩემებინა. და მაინც დიდი პატიოსანი გამოიჩინა ტიციანისადმი. როცა ეს უკანასკნელი 1545 წელს რომს ჩავიდა. მაგრამ მხატვართა კულტურული დონე ჩვეულებრივ ბრწყინვალე არ იყო და მათთან ყოფნას მწერლებთან და საქმოსნებთან ყოფნა ერჩია.

[4] ერთიმეორეს ლექსად დაწერილ და სახუმარო წერილებს სძღვნიდნენ (ლექსები LVII და CLXXII). ბერნიმ თავის „მიმართვაში ფრა სებასტიანო დელ პიომბოსადმი" მიქელანჯელოს საუცხოო ხოტბა შეასხა: მიქელანჯელო ქანდაკებისა და არქიტექტურის განსახიერებაა ისევე, როგორც თავისი ჭკუითა და სიკეთით განთქმული ასტრეა — სამართლიანობის იდეისაო. იგი მას მეორე პლატონს უწოდებდა და სხვა პოეტებს მიმართავდა შესანიშნავი სიტყვებით, რომელთაც მას მერე ხშირად იმეორებენ: „თქვენ, ტაბილხმოვანო საკრავებო, ხმა გაიკმინდეთ, თქვენ სიტყვებს ამბობთ, ის საგნებს ასახამს ხორცს". (Ei dice cose et voi dita parole...).

მართული, ლუიჯი დელ რიჩოსა და დონატო ჯანოტის ლექსებს უძღვნიდა და არც ისინი რჩებოდნენ ვალში. მასთან საუბარს დაეძებდნენ, მის ღრმა მსჯელობას ხელოვნებასა და დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე", რომელსაც არავინ იცნობდა მასზე უკეთ, აღტაცებაში მოჰყავდა ყველანი. ერთი რომაელი ბანოვანი[1] წერდა: „თუ მოისურვებდა, მომხიბვლელი და საუცხოო მანერების მქონე კავალერიც იყო, უებრო რაინდი, რომლის მსგავსიც იშვიათად თუ მოიძებნებოდა მთელს ევროპაში". ჯანოტისა და ფრანსუა დ'ოლანდეს დიალოგებიც ერთხმად ღაღადებენ მის ურვეულო ზრდილობაზე და მიქელანჯელოს მაღალ საზოგადოებაში გაჩვეულ კაცად თვლიან. პრინცებისადმი მიწერილ მის წერილებში ისიც მოჩანს, რომ მას ბრწყინვალე კარისკაცად ყოფნაც შეეძლო[2]. საზოგადოებას არასოდეს შეუქცევია მისთვის ზურგი. საზოგადოებას თავად გაურბოდა. რომ მოესურვებინა, მისი ცხოვრება გაბმული ტრიუმფი იქნებოდა: იტალიელთათვის იგი ხომ ეროვნული გენიის განხორციელება იყო; თავის კარიერის დასასრულს— უკანასკნელი წარმომადგენელი დიდი აღორძინების ხანისა, მისი ერთადერთი განსახიერება. მარტო მისი სახელი კმაროდა საუკუნის სადიდებლად. მხოლოდ ხელოვანნი როდი უცქეროდნენ როგორც ზებუნებრივ არსებას[3]. პრინცები ქედს იხრიდნენ მისი მეფური დიდებულების წინაშე. ფრანცისკ I და ეკატერინე მედიჩი თაყვანსა

---

[1] დონა არჯენტინა მალასპინა, 1516 წელს.

[2] განსაკუთრებით ფრანცისკ I-ისადმი მიწერილ უსტარში (1544 წ. 26 აპრილი).

[3] კონდივი ასე იწყებს თავის „მიქელანჯელოს ცხოვრებას":

„მას შემდეგ, რაც მაღალმა ღმერთმა თავის უსაზღვრო გულმოწყალებით ღირსი გამხადა არა მარტო მენახა მიქელანჯელო ბუონაროტი, უბადლო მხატვარი და მოქანდაკე, რისი მხოლოდ ნატვრაც კი ჩემის მხრით უდიდესი კადნიერება იქნებოდა, არამედ ღირსმყო ხშირად მესაუბრა მასთან და მისი სიყვარული და ნდობაც მომიპოვა, მადლობის ნიშნად თავს მოვალედ ვრაცხ ქებით აღვწერო ყოველივე, რაც მის ცხოვრებაში აღტაცებისა და ხოტბის ღირსად მიმაჩნია, რათა ასეთი იშვიათი კაცის მაგალითით სხვებსაც მოვუტანო სარგებლობა".

სცემდნენ [1]. კოზიმო მედიჩის მისი სენატორად დანიშვნა სურდა [2] და როცა მიქელანჯელო რომს ჩაკიდა [3], ტოლივით მიიღო, გვერდით მოისვა და გულითადად ესაუბრა. კოზიმოს ვაჟი, დონ ფრანჩესკო მედიჩი თავმოხდილი შეეგება, „რათა გამოეხატა ის უსაზღვრო მოწიწება, რასაც ამ უბადლო კაცის მიმართ გრძნობდა“ [4]. მის ნიჭსა და „მის უდიდეს სათნოებას“ ერთნაირად სცემდნენ თაყვანს [5]. მისი სიბერე ისეთივე დიდებით იყო მოსილი, როგორც სიბერე ჰიუგოსი და გოეთესი. მაგრამ თვითონ იყო სხვა რკინისაგან ნაჭედი კაცი: მას არ გააჩნდა არც პირველის პოპულარობის წყურვილი და არც მეორის დიდი მოწიწება საზოგადოებისა და დაწესებული წყობილებისადმი. მიქელანჯელოს სძულდა დიდება, სძულდა საზოგადოება და თუ პაპებს ემსახურებოდა, „მხოლოდ იძულებით“ და არც ფარავდა, რომ პაპებიც თავიანთი საუბრებითა და სასახლეში ხშირი ხმობით თავს აბეზრებდნენ და რომ „მათი ბრძანების მიუხედავად, როცა გუნებაზე არ იყო, მოწვევას არც კი ღებულობდა“ [6].

„როცა კაცს ბუნებითა და სწავლა-აღზრდის გამოისობით ასე სძულს ცერემონიები, ეჯავრება პირმოთნეობა, უგუნურებაა თავის ნებაზე არ მიუშვა და თავის გუნებისად არ აცხოვრო. თუ თვითონ არაფერს გთხოვთ და თქვენთან ყოფნას არა ცდილობს, თქვენ რად უნდა ეძიოთ? რად უნდა დაამციროთ ასე, რად უნდა დააკნინოთ? რად უნდა მოახვიოთ თავს ის, რასაც მისი განდეგილობა არ ფერობს? კაცი, ვინც ცდილობს სულელებს მოაწონოს თავი და უდიერად ეპყრობა თავის ნიჭს, ღირსი არაა მოწინავის სახელი ატაროს“ [7].

---

[1] ფრანცისკ I 1546 წელს. ეკატერინე მედიჩი 1559 წლის 14 ნოემბერს ბლუადან სწერდა: „მთელმა მსოფლიომ იცის და მეც ვიცი ჩვენს დროში ოსტატობით რაოდენ აღემატებითო ყველას“ და სთხოვდა, ცხენზე ამხედრებული ანრი II-ის ძეგლი გამოგვიქანდაკეთ, ან საამისო ესკიზი მაინც გამოგვიგზავნეთო.

[2] 1552 წელს. მიქელანჯელომ არ უპასუხა და ჰერცოგს ეს მეტად საწყენად დარჩენია. როცა მოგვიანებით ბენვენუტო ჩელინიმ გაახსენა ეს ამბავი მიქელანჯელოს, ამ უკანასკნელმა რაღაც სარკასტული პასუხი მისცა.

[3] 1560 წლის ნოემბერში.

[4] 1561 წლის ოქტომბერში.

[5] ვაზარი (იმ შეხვედრასთან დაკავშირებით, რომელიც მთავარმა კოზიმომ მიქელანჯელოს გაუმართა).

[6] ფრანსუა დ'ოლანდე: „საუბრები მხატვრობაზე“.

[7] იქვე.

საზოგადოებასთან მხოლოდ საქმიანი, ანდა წმინდად ინტელექტუალური ურთიერთობა ჰქონდა. თავს არავის უყადრებდა და პაპებს, პრინცებს, მწიგნობრებსა და არტისტებს მცირე ადგილი ეჭირათ მის ცხოვრებაში. იმ თითო-ოროლასთანაც კი, ვის მიმართაც ჭეშმარიტ სიმპათიას გრძნობდა, იშვიათად თუ აბამდა ხანიერ მეგობრობას. უყვარდა კი, მათდამი იშვიათ სულგრძელობასაც ამჟღავნებდა, მაგრამ მისი ფიცხი ხასიათი, სიამაყე და ეჭვიანი ბუნება ხშირად მოსისხლე მტრად უქცევდა იმათ, ვისზედაც ყველაზე მეტი ამაგი მიუძღოდა. ერთ დღეს ეს საუცხოო და სევდიანი წერილი დაწერა:

„უმადური კაცი ასე გაუჩენია განგებას: უბედურების ჟამს რაც უნდა დაეხმაროთ, იტყვის, რომ თვითონ მოგანიჭათ ყოველივე, რაც თქვენგანა აქვს ბოძებული. და თუ სამადლოდ სამუშაო მიეცით, ხელად ირწმუნებს, რომ იძულებული იყავით ეგ საქმე მისთვის მიგენდოთ, რადგან თავად არაფერი გაგეგებათ. ყველა მინიჭებულ წყალობაზე ამბობს, იძულებული იყვნენ მოენიჭებინათო. და თუ მადლი ისეთი დიდია, რომ მისი მიჩქმალვა არ შეიძლება, მაშინ უმადური მოუთმენლად ელის წუთს, რომ მის მოკეთეს სადმე ფეხი წაუცდეს, რათა ძვირი თქვას მასზე და მადლიერების გრძნობიდან თავი გაითავისუფლოს. ასე მექცეოდნენ მე მუდამ. და მაინც, არც ერთ ხელოვანს არ მოუმართავს ჩემთვის ისე, რომ მთელის გულით დახმარების ხელი არ გამეწვდინოს. მერე ჩემს უხასიათობას, ანდა ჩემს ვითომდა სიგიჟეს მოიმიზეზებენ, ჩემს ძეტს არავის რომ არ ენებს და ჩემზე აუგს იტყვიან... შეურაცხყოფასაც მაყენებენ: ასეთია ყველა კეთილი კაცის ხვედრი“ [1].

* * *

შინ მუდამ საკმაოდ ერთგული თანაშემწეები ჰყავდა, მაგრამ დიდი ნიჭის პატრონი არც ერთი მათგანი არ ყოფილა. ეჭვიც კი ეპარებოდათ, ასეთ უხეირო ხალხს განგებ ირჩევს, რომ ყურმოჭრილ ყმებად გაიხადოს და არა თანამშრომლებადო, — რაც სხვათა შორის, კანონზომიერი იქნებოდა.

„მაგრამო,—ამბობს კონდივი,—ტყუილად სწამებდნენ ცილს, თით-

---

[1] პიერო გონდის, 1542 წლის 26 იანვარი.

ქოსდა არ სურდა თავისი ცოდნა სხვებისათვის გაეზიარებინა. სამწუხაროდ, ბედმა ისურვა, რომ მუდამ უნიჭოებს, ანდა ნიჭით დაჯილდოებულთ, მაგრამ ზარმაცებსა და ისეთ სულსწრაფებს წასწყდომოდა, რომლებსაც რამდენიმე თვის შეგირდობის შემდეგ თავი უკვე ოსტატებად მოჰქონდათ".

თუმცა რა დასამალია, რომ პირველი, რასაც იგი თავის მოწაფეებისაგან მოითხოვდა, უსიტყვო მორჩილება იყო და რაც უფრო ულმობელი ჩანდა მათ მიმართ, ვინც მისდამი ნაკლებ მოწიწებასა და თვითნებობას ამჟღავნებდა, მით უფრო გულმოწყალე და სულგრძელი იყო მათ მიმართ, ვინც მოკრძალებასა და ერთგულებას იჩენდა. ზარმაც ურბინოს, — ვისაც მუშაობა ჭირის დღესავით ეჯავრებოდა [1] და არც ტყუოდა, რადგან როგორც კი რამეს მოჰკიდებდა ჯელს (როგორც მაგალითად „მინერვას ქრისტეს"), მყისვე უნუგეშოდ აფუქებდა,—ავადმყოფობისას მამასავით თავს ევლებოდა [2]. თვითონ ურბინო „ძამაზე უტკბესოს" ეძახდა; პიერო დი ჯანოტო „შვილივით ჰყვარებია"; სილვიო დი ჯოვანი სეპარელი, რომელიც მისგან წამოვიდა, რათა ანდრე დორიას სამსახურში შესულიყო, საშინლად ნანობს თავის საქციელს და კვლავ შენთან მიმიღეო, ეევედრება. ანტონიო მინის გულისამაჩუყებელი ამბავიც კმარა შეგირდთა მიმართ მიქელანჯელოს გულკეთილობის საჩვენებლად. მინი, ერთი მისი მოწაფეთაგანი, ვისაც, ვაზარის თქმით, „მონდომება და ნებისყოფა არ აკლდა, მაგრამ ნიჭი კი არ შესწევდა", ერთი ფლორენციელი დიდკაცის ქვრივს გაუმიჯნურდა. მშობლების თხოვნით მიქელანჯელომ ჭაბუკი ფლორენციას განარიდა. ანტონიოს საფრანგეთში გადასვლა სურდა [3] და მიქელანჯელო-

---

[1] ვაზირი ასე აგვიწერს მიქელანჯელოს თანაშემწეებს: „პიეტრო ურბინო დე პისტოია ნიჭიერი იყო, მაგრამ თავის შეწუხება არ უნდოდა: ანტონიო მინი ბევრს ცდილობდა, მაგრამ ნიჭი არ მოსდევდა. ცდას არც ასკანიო დელა რიპა ტრანსონე აკლებდა, მაგრამ მასაც არაფერი გამოუვიდა".

[2] მიქელანჯელოს აწუხებდა მისი მცირედი სატკივარიც; აინტერესებდა მის შეგირდს გაჭრილი თითი რა დღეში ჰქონდა. არიგებდა ხოლმე, კულისხმიერად მოეკიდეო შენს რელიგიურ ვალდებულებას: „აღსარებას ნუ დააკლდები, კარგად იმუშავე, სახლს მოუარე" . (წერილები, 1518 წლის 29 მარტი).

[3] სწორედ ანტონიო მინისთან ერთად აპირებდა მიქელანჯელო ჯერ კიდევ 1529 წელს საფრანგეთში გადასვლას, მას შემდეგ, რაც ფლორენციიდან გამოიქცა.

მაც მეფური საჩუქრით გაისტუმრა. „აჩუქა „ლედას“ [1] ყველა ესკიზი, ყველა მოდელი, თიხისა თუ სანთლის, რაც კი მისთვის გაეკეთებინა“. ამ განძით ხელდამშვენებულმა ანტონიომ საფრანგეთს მიაშურა [2]; მაგრამ უბედო ბედი, რომელიც მიქელანჯელოს პროექტებს მუდამ თან სდევდა, მის ტლუ მეგობარს კიდევ უფრო მკაცრად მოექცა. ანტონიო პარიზს ჩავიდა, რომ „ლედას“ სურათი მეფისათვის ეჩვენებინა. მაგრამ ფრანცისკ I სასახლეში არ დაუხვდა და „ლედა“ შესანახად ერთ თავის მეგობარს, იტალიელ ჯულიანო ბუონაკორსის მიაბარა, თვითონ კი ლიონში დაბრუნდა, სადაც ადრე დაედო ბინა. პარიზს რომ ჩავიდა რამდენიმე თვის შემდეგ, „ლედა“ გამქრალიყო. ბუონაკორსის იგი მეფე ფრანცისკ I-ისათვის როგორც თავისი კუთვნილი რამ, ისე მიეყიდა. სიმწრით გაგიჟებულ, უსახსროდ დარჩენილ ანტონიოს თავის დაცვის უნარი არ ჰქონდა და უცხო ქალაქში გადაკარგული 1533 წლის მიწურულს დარდისაგან გარდაიცვალა.

მაგრამ თავის შეგირდებს შორის მიქლანჯელოს ყველაზე მეტად ურბინოდ სახელდებული ფრანჩესკო დ'ამადორე დე კასტელდურანტე უყვარდა: შეგირდს უკვდავებაც კი მოუტანა ოსტატის სიყვარულმა. იგი 1530 წლიდან მიქელანჯელოს სამსახურში იდგა და იულიუს II-ის საფლავის ძეგლზე მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა. ოსტატს აწუხებდა შეგირდის ბედი და ხშირად ეტყოდა ხოლმე: „მე რომ მოვკვდები, რა გეშველებაო“.

სხვასთან დავდგებიო,—უპასუხებდა ურბინო.

„შე უბედურო, შენს გაჭირვებას მინდა ვუწამლოო“, — უთქვამს მიქელანჯელოს და ერთბაშად 2 000 სკუდო მიუცია. „ასეთი საჩუქრის ძიცემა მხოლოდ იმპერატორებსა და პაპებს თუ ძალუძთ“ [3].

მაგრამ პირველად ურბინო მოკვდა [4]. მისი სიკვდილის მეორე დღეს მიქელანჯელო თავის ძმისწულს სწერდა:

---

[1] ეს სურათი მიქელანჯელომ ფლორენციის ალყის დროს ფერარის ჰერცოგისათვის დახატა. მაგრამ მერე გადაფიქრა მიცემა, რადგან ფერაროის ელჩი მას თურმე სათანადო პატივით არ მოპყრობია.

[2] 1531 წელს.

[3] ვაზირი.

[4] 1555 წლის 3 დეკემბერს. მიქელანჯელოს უკანასკნელი ძმის, ჯისმონდოს, სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ.

„ურბინო გუშინ, საღამოს 4 საათზე გარდაიცვალა და ისეთ ჯავრსა და მწუხარებაში დამტოვა, რომ მერჩია მეც მასთან ერთად მოვმკვდარიყავ, ისე მიყვარდა ეს საცოდავი. და ღირსიც იყო: მართლაც რომ ყოვლად ღირსეული, უზაკველი, ალალმართალი და ერთგული კაცი იყო. მისმა სიკვდილმა ისე დამწყვიტა გული, რომ სიშვიდეს ვერსად ვპოვებ და მგონია, აღარც მე ვიცოცხლო დიდხანს“.

მისი მწუხარება იმდენად დიდი იყო, რომ სამი თვის შემდეგ კიდევ უფრო მწველი გახდა, რაც ნათლად ჩანს ვაზარისადმი მინაწერი ცნობილი წერილიდან:

„მესერ ჯორჯიო, ძვირფასო მეგობარო, შეიძლება აბნეულად ვწერ, მაგრამ თქვენს ბარათს ორიოდ სიტყვით მაინც ვპასუხობ: თქვენ იცით, რომ ურბინო გარდაიცვალა. ეს ჩემთვის სასტიკი განსაცდელი და ამავე დროს დიდი ღვთის წყალობაც იყო. წყალობა იმიტომ, რომ ამ კაცმა, ვისგანაც მისი სიცოცხლის ჟამს პირში სული მედგა, თავისი სიკვდილით მასწავლა, როგორ უნდა სიკვდილი — ხალისით და არა დანანებით. ოცდაექვს წელიწადს მხარში მედგა; მუდამ ჩემი ერთგული და გამტანი იყო. მე იგი წყალობით ავავსე, მისი იმედი მქონდა სიბერეში, მაგრამ ბედმა მისი თავიც წამართვა და ნუგეშად ისღა დამრჩენია, რომ სამოთხეში მაინც შევხვდები სადმე, რადგან ღმერთი, რომელმაც ასეთი უშფოთველი სიკვდილი არგუნა, უეჭველად გაუღებს სამოთხის კარებს. სიკვდილზე უფრო ის უმძიმდა, რომ ამდენი დარდით გარემოცულს ამ ცრუ და მუხანათ წუთისოფელში მე მარტოდმარტო მტოვებდა. თუკი რამ კარგი მქონდა, მას გაჰყვა და აღარაფერი დამრჩენია, უსაზღვრო მწუხარების გარდა“... [1]

ამ სასოწარკვეთილებაში მყოფი ძმისწულს სთხოვდა, რომს გადმოსახლდიო. ლიონარდო და კასანდრა, მისი მწუხარებით შეშფოთებულნი, უმალვე მასთან გაჩნდნენ. ძალიან დასუსტებული ეჩვენათ

---

[1] 1556 წლის 23 თებერვალს.

მიქელანჯელო ასე ამთავრებს: „მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და ბოდიში მომხადეთ მესერ ბენვენუტო ჩელინისთან, რადგან მის წერილზე ვერ ვუპასუხე; მაგრამ ისეთი დარდითა ვარ მოცული, რომ წერის თავი აღარა მაქვს“.

იხილეთ აგრეთვე CLXII ლექსიც:

Et piango et parlo del mio morto Urbino..

ვტირი და ვუხმობ ამ ქვეყნიდან წასულ ურბინოს...

მოხუცი. ძალი მხოლოდ იმით მოიცა, რომ ურბინოს ანდერძით მეურვეობა უნდა გაეწია მისი უწლოვანი ვაჟებისათვის, რომელთაგანაც ერთი მის სახელს ატარებდა და მისი ნათლული იყო [1].

* * *

სხვა ბევრი უცნაური მეგობრობაც სჩვეოდა. საზოგადოებისაგან თავსმოხვეულ პირობითობათა წინააღმდეგ ამბოხის ნიშნად, ძლიერი ბუნების ადამიანებს რომ სჩვევიათ, უყვარდა თავის გარშემო ისეთი მიამიტი ხალხის შემოკრება, ვისაც უცნაური გამოხდომები და თავისუფალი მანერები ჰქონდა. ასეთები იყვნენ: ტოპოლინო, კარარელი ქვის მთლელი, რომელსაც თავი უდიდეს სკულპტორად მოჰქონდა და არასოდეს არ გაუშვებდა რომისაკენ მიმავალ კარჭაპს ისე, რომ სამი-ოთხი თავის ნაქანდაკევი არ გაეყოლებინა, რომელთა შემხედვარე მიქელანჯელოც სიცილით კვდებოდა [2]; მენიგელა, ვალდარნოელი მხატვარი, ვინც დროდადრო მოდიოდა ხოლმე მიქელანჯელოსთან და სთხოვდა, წმ. როქი, ანდა წმ. ანტონიო დამიხატეო. ამ ნახატებს შემდეგ აფერადებდა და გლეხებში ყიდდა. და მიქელანჯელოც, რომლისგანაც თვით მეფეებსაც კი უჭირდათ უმცირესი ნაშრომის მიღება, ყველაფერს თავს ანებებდა და მენიგელას კარნახით ამ სახატავს ჩაუჯდებოდა. მიქელანჯელომ მისთვის, სხვათა შორის, ერთი შესანიშნავი „ჯვარცმაც“ დახატა [3]. იყო კიდევ ერთი დალაქი, რომელიც თურმე მხატვრობასაც მისდევდა და რომლისთვისაც მიქელანჯელომ „მონის დაღიანი წმინდა ფრანსუა“ დახატა. იყო ერთი რომაელი მუშაც, ვინც იულიუს II-ის საფლავის ძეგლზე მუშაობდა და თავი უკვე დიდ სკულპტორად წარმოედგინა, რაკი ბრმად მისდევდა მიქელანჯელოს მითითებებს და თავისდა გასაოცრად მარმარილოსაგან საუცხოო

---

[1] ურბინოს ქვრივს. კორნელიას გრძნობით აღსავსე წერილებს სწერდა, ჰპირდებოდა: „ჩემთან წამოვიყვან თქვენს პატარა მიქელანჯელოს, უფრო მეტი სიყვარულით მოვეპყრობი, ვიდრე ჩემი ძმისწულის ლიონარდოს შვილებს და ვასწავლი ყველაფერს, რისი სწავლებაც ურბინოს უნდოდაო“ (1557 წლის 28 მარტს მიწერილი ბარათიდან). 1559 წლიდან კი გული აიყარა ქალზე — ვერ აპატია კორნელიას ხელმეორედ გათხოვება.

[2] მისი ოინების შესახებ ნახეთ ვაზარისთან.

[3] იქვე.

ფიგურა გამოკვეთა; იყო ერთი მასხარა ოქრომჭედელი პილოტიც, „თევზად“ წოდებული; უცნაური მხატვარი, უსაქმური ინდაკო, რომელსაც ისე უყვარდა საუბარი, რომ სახატავად დრო არ რჩებოდა. და ვისაც ჩვეულებად ჰქონდა, ეთქვა: „ყოველ ცისმარე დღეს შეუსვენებლად მუშაობა ქრისტიანისათვის საძრახისიაო“ [1]. დაბოლოს, სასაცილო და უწყინარი ჯულიანო ბუჯარდინი, რომელიც მიქელანჯელოს განსაკუთრებულის სიყვარულით უყვარდა.

„ჯულიანო ბუნებით კეთილი კაცი იყო, მარტივი ცხოვრებით ცხოვრობდა, უბოროტოდ და უზაკველად, რაც მიქელანჯელოს ძალიან მოსწონდა. მას ერთადერთი ნაკლი ჰქონდა: თავისი ნაწარმოებებით მუდამ აღტაცებაში მოდიოდა. მაგრამ მიქელანჯელო სწორედ ამიტომ რაცხდა ბედნიერად, რადგან თვითონ ძალზე უბედური იყო იმით, რომ არაფრით არ აკმაყოფილებდა თავის ნახელავი. ერთხელ მესერ ოტავიანო დე მედიჩიმ სთხოვა ჯულიანოს მისთვის მიქელანჯელოს პორტრეტი დაეხატა. ჯულიანოც შეუდგა საქმეს და მას შემდეგ, რაც მხატვარი ორ საათს გაუნძრეველად გააჩერა, გამოსძახა: „მიქელანჯელო, მოდი, ნახე! მთავარი უკვე ვაკეთებულია!“ მიქელანჯელო წამოდგა და როცა პორტრეტი ნახა, ჯულიანოს სიცილით უთხრა: „ეგ რა გიქნია? აბა, უცქირე! ცალი თვალი საფეთქელზე აგიტანია“. ჯულიანო ამ სიტყვებმა მოთმინებიდან გამოიყვანა. რამდენჯერმე შეხედა პორტრეტს, მერე მიქელანჯელოს და თამამად უპასუხა: „არა მგონია: მაგრამ მიდი, ისევ შენს ადგილას დაჯექი და თუ საჭირო იქნა, გავასწორებ“. მიქელანჯელომ, ვინც იცოდა რაში იყო საქმე, ისევ დაჯდა თავის ადგილზე. ჯულიანომ კვლავ რამდენჯერმე შეხედა პორტრეტს, მზერა იმდენჯერვე მიქელანჯელოზე გადაიტანა და გადაწყვეტით უთხრა: „თვალი ისეთია, როგორიც დავხატე, ბუნებას ასეთი შეუქმნია და მე რა გიყო“. „მაშასადამე, — გაეცინა მიქელანჯელოს, — ბუნებას მოსვლია შეცდომა. მიდი, განაგრძე და საღებავს ნუ დაიშურებ“ [2].

ასეთი შემწყნარებლობა, რომელსაც მიქელანჯელო სხვების მიმართ არასოდეს იჩენდა და რომელსაც ამ პაწია კაცუნებს ასე უხვად

---

[1] ვაზარი.

[2] ვაზარი.

მიუპყრობდა ხოლმე, მწარე დაცინვა იყო კაცისგან, ვისაც ადამიანის სასაცილო მხარები ამხიარულებს[1] და ამავე დროს—სიბრალულიანი სიყვაოული ამ ბრიყვებისა, თავი დიდ მხატვრებად რომ წარმოედგინათ და ვინ იცის, ხელოვანს იქნებ საკუთარ სისულელესაც მოაგონებდნენ. აქ მეღავნდებოდა მისი ირონიული და მასხრული მელანქოლია.

III

სიმარტოვე

L'anima mia, che chon la morte parla[2].

ასე ცხოვრობდა მარტოდმარტო, თავისი მოკრძალებული მეგობრებით. შეგიოდებითა და შეშლილებით გარემოცული. გარს სხვებიც ერტყნენ—უფრო ჩუმნი და თავდადრეკილნი—შინაური ცხოველები: ქათმები, კატები[3].

სინამდვილეში მარტო იყო და ეგ სიმარტოვე თანდათან უფრო იზრდებოდა. „მუდამ მარტო ვარ, — სწერდა იგი თავის ძმისწულს 1548 წელს, — ხმის ვამცემიც არავინა მყავს". თანდათანობით ჩამოსცილდა ხალხს, მათ მისწრაფებებს, მათ დროსტარებას, მათ ინტერესებს.

უკანასკნელი გატაცებაც, თანამედროვეებთან რომ აკავშირებდა, რესპუბლიკის მხურვალე სიყვარულიც ჩაუქრა. უკანასკნელად მისმა ალმა 1544 და 46 წლებში იფეთქა, როცა ავადმყოფობამ ორგზის მწარედ დარია ხელი და თავის მეგობარ რიჩოსთან, დევნილი რესპუბლიკელის, სტროცის სახლში იყო შეხიზნული. რომ მოიკეთა, თხოვნა

---

[1] როგორც ყველა მეშეფნვარე სულის მქონე ადამიანს, მიქელანჯელოსაც ხანდახან მასხრობის სურვილი მოუვლიდა ხოლმე. მაშინ იწყებდა ბერნისებური სახუმარო ლექსების წერას; მაგრამ მასხრობა მუდამ უხეში და ტრაგიკული გამოუდიოდა. გავიხსენოთ მისი საზარელი კარიკატურა სიბერით მოუძლურებაზე (ლექსები, LXXXI) და პაროდია სატრფიალო ლექსებზე (ლექსები, XXXVII).

[2] ო, სული ჩემი, დღეს რომ სიკვდილს ესაუბრება... ლექსები, CX.

[3] „ქათმები და მესერ მამალი ლაღად არიან,—სწერს ანჯოლინი მისი ერთ-ერთი მოგზაურობის ჟამს, — მაგრამ კატები, თუმცა საკმილო არ აკლიათ, რომ ვერ გხედავენ, სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი".

გაუგზავნა რობერტო სტროცის, ვინც იმხანად ლიონს იყო გადახვეწილი: საფრანგეთის მეფეს მისი დახაპირები შეახსენეთო და თან დაუძინა: თუ ფრანცისკ I ფლორენციას თავისუფლებას დაუბრუნებს, სენიორიის მოედანზე ჩემივე ხარჯით ბრინჯაოს ძეგლს დავუდგამო [1]. 1546 წელს სტუმართმოყვარული მიღების სამახსოვროდ და მადლობის ნიშნად სტროცის თავისი „ორი ტყვე" გაუგზავნა, რომლებიც ამ უკანასკნელმა ფრანცისკ I-ს მისცა საჩუქრად.

მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური ციებ-ცხელების შეტევა იყო, თანაც უკანასკნელი. 1545 წელს ჯანოტისთან საუბარში თითქმის იმავე აზრებს ავითარებს, რასაც ტოლსტოი: ბრძოლა უაზროა და ბოროტებას წინ არ უნდა აღუდგეო.

„დიდი ბოროტებაა ვინმეს მოკვლა, რადგან ზუსტად არავინ იცის რამე სიკეთე თუ მოჰყვება ამ კაცის სიკვდილს, ან რამე სასიკეთო ხომ არ გამოვიდოდა მისი სიცოცხლით. ამიტომ ვერ ვიტან ხალხს, ვინც ამტკიცებს, შეუძლებელია სიკეთის დამყარება ისე, თუ ბოროტებით, ე. ი. მკვლელობით არ დაიწყეო. ხანი გადის, დროება იცვლება, სურვილები იცვლებიან, ხალხი იღლება... და საბოლოო ჯამში მუდამ ის ხდება, რასაც არ ელოდი".

მიქელანჯელო, ვინც ადრე ტირანთმკვლელობას ხოტბას ასხამდა, ახლა ლანძღავდა რევოლუციონერებს, რომლებიც ერთის დაკვრით სამყაროს გარდაქმნას აპირებდნენ. თავად შესანიშნავად უწყოდა, რომ ჭაბუკობაში თვითონაც ერთი მათგანი იყო და ახლა ჯავრს იყრიდა საკუთარ თავზე. ჰამლეტივით ყველაფერს ეჭვის თვალით უმზერდა. არ ენდობოდა თავის აზრებს, თავის სიძულვილს, იმას, რაც უწინ სწამდა და მოქმედებას ზურგს აქცევდა.

„მართალი იყო ის კაცი. ვინც ამბობდა: „მე სახელმწიფო მოღვაწე კი არა და, პატიოსანი და საღი გონების კაცი ვარო", — წერდა იგი და დასძენდა: „ეჰ, ნეტავ ჩემი რომაული სამუშაოებიც ისე ნაკლებად მაწუხებდეს, როგორც სახელმწიფო საქმეებიო" [2].

სიმართლე თუ გნებავთ, მას აღარ სძულდა. სიძულვილი აღარ შეეძლო. საამისოდ მეტად გვიან იყო:

Ahime, lasso chi pur tropp' aspetta,
Ch'i gionga a suoi conforti tanto tardi!

---

[1] რიჩოს წერილი რობერტო დი ფილიპო სტროცისადმი (1544 წ. 21 ივლისი)
[2] ძმისწულ ლიონარდოსადმი მიწერილ ბარათში (1547 წელს).

Ancor'se ben riguardi.
Un generoso, alter'e nobil core
Perdon' et porta a chi l'offend' amore.
ვაგლახ, ხანგრძლივი მოლოდინით ვარ მოქანცული,
ვაგლახ, რაზედაც ვოცნებობდი, აღსრულდა გვიან.
შეურაცხყოფილს დიდსულოვნად სურს მიუტევოს
და ჩემი სული, მიმნდობი და კეთილშობილი,
შეურაცხმყოფელთ მეგობრობას სთავაზობს ახლა [1].

* * *

მაჩელ დე კორვიში, ტრაიანის ფორუმზე ცხოვრობდა. სახლი ედგა და პატარა ბაღი ჰქონდა. შინ მარტო ერთი მსახური [2], მოახლე ქალი და ცხოველები ჰყავდა. მსახურებში ბედი არ სწყალობდა. ვაზარის თქმით, „თითქმის სუყველა დაუდევარი და ბინძური იყო". მიქელანჯელო ხშირად იცვლიდა მათ და მწარედ ჩიოდა [3]. მსახურები მასაც იაევე აწვალებდნენ, როგორც ბეთჰოვენს და მის „შენიშვნებსაც", ბეთჰოვენის „სასაუბრო რვეულებივით", ოჯახურ უსიამოვნებათა დაღი აზის: „ნეტამც არასდროს მყოლოდაო", — წერდა იგი 1560 წელს მსახურ ქალ ჯიროლამაზე, რომელიც თურმე ძლივს გააგდო სახლიდან.

საწოლი ოთახიც სამარესავით ბნელი და პირქუში ჰქონდა [4]. „უკვე მოქსოვა ობობამ ქსელი და თითსტარზე მატყლის ფთილა აღარ

---

[1] ლექსები, CIX, 64

მიქელანჯელო აქ წარმოგვიდგენს პოეტის დიალოგს დევნილ ფლორენციელთან. შესაძლოა ეს ლექსი 1536 წელს, ლორენცინოს მიერ ალექსანდრო მედიჩის მოკვლის შემდეგ ჰქონდეს დაწერილი. იგი პირველად 1543 წელს გამოქვეყნდა, ჯაკომო არკადელტის მუსიკის თანხლებით.

[2] მსახურთა შორის ერთი ფრანგიც ჰყავდა, სახელად რიშარი — „რიკარდო ფრანგი" („Ricardo franzese"). (1552 წ 18 ივნისი, „შენიშვნები", გვ. 606).

[3] „მე მინდა, — სწერს იგი ლეონარდოს, — მსახური ქალი, პატიოსანი და ფაქიზი, მაგრამ ასეთის პოვნა ძალიან ძნელია: თითქმის სუყველა ბინძური და კახპა გამოდგა (son tutte puttane e porche). თვეში ათ იულიას მიცემ. ღარიბად ვცხოვრობ, მაგრამ გასამრჯელოს არ დავიშურებ.

[4] La mia scura tomba.. (ლექსები, LXXXI).

ირთვება"[1]. კიბის თავში ზურგზე კუბომოკიდებული სიკვდილი დახატა[2].

მართლა უპოვარი კაცივით ცხოვრობდა; ჭამითაც არ ჭამდა[3]. „უძილობით გვემული ღამღამობით დგებოდა და საკრეთლით მუშაობდა. ერთი მუყაოს ჩაჩიც გაიკეთა: ზედ, შუაში, ანთებულ სანთელს იმაგრებდა, რომ მუშაობისას ხელები თავისუფალი ჰქონოდა" [4].

რაც უფრო ბერდებოდა, ხალხს მით უფრო ერიდებოდა. ღამღამობით, როცა რომში ყველას ეძინა, მუშაობა მოთხოვნილებად ექცა. სიჩუმე იყო მისი ნეტარება, ღამე მეგობრად გახდომოდა:

„ო, ბნელო ღამევ, მაგრამ მაინც ჟამო სიმშვიდის,
შენს მკერდზე სული დაქანცული იშორებს ზრუნვასს
ღამევ, ვინც იცის შენი ფასი, სავსეა აზრით,
სავსეა ფიქრით, იგი არის ყოველის მხილველი.

---

[1] Dov'è Aragn'e mill' opre et lavoranti
Et fan di lor filando fusaiuolo...
(ლექსები, LXXXI).

[2] კუბოზე შემდეგი ეპიტაფია იყო გამოყვანილი:

„თქვენ გეუბნებით, ვინც ძალ-ღონეს არ იშურებდით,
თქვენ გეუბნებით, ვინც სწირავდით სულს და გონებას:
ამ ყუთში არის, აქ დამარხეთ თქვენ ყველაფერი".

,,Io dico a voi, ch'al mondo avete dato
L'anima e 'l corpo et lo spirito 'nsieme:
In questa cassa oscura è'l vostro lato''.
(ლექსები. CXXXVII).

[3] „დიდი სმა-ჭამის მოყვარული არ ყოფილა. ახალგაზრდობაში ცოტაოდენი პური და ღვინო ჰყოფნიდა, რომ მთელის არსებით მუშაობას მისცემოდა. სიბერეში, მას შემდეგ, რაც „განკითხვის დღე" დახატა, სმას შეეჩვია. მაგრამ მხოლოდ საღამოობით სვამდა, როცა სამუშაო დღე დამთავრებული ჰქონდა და ისიც ძალიან ცოტას. მდიდარი იყო, მაგრამ ღარიბ-ღატაკივით ცხოვრობდა. თითქმის არასოდეს მიუწვევია მეგობრები სტუმრად. სხვისგან საჩუქარსაც არ მიიღებდა, რადგან ფიქრობდა, რომ სამუდამოდ ვალში იქნებოდა მბოძებელთან. მისი ზომიერება იყო მიზეზი იმისა, რომ მუდამ მხნედ იყო და ძალიან ცოტა ძილი სჭირდებოდა" (ვაზარი).

[4] როცა ვაზარიმ შენიშნა, რომ თაფლის სანთლის ნაცვლად თხის ქონის სანთელს ხმარობდა, მსახურის ხელით ორმოცი ფუნტი თაფლის სანთელი გამოუგზავნა. მაგრამ მიქელანჯელომ საჩუქარი არასდიდებით არ მიიღო. მაშინ მსახურმა უთხრა: ბატონო, ხელები დამაწყდა მაგათი თრევით; უკან წაღება აღარ შეიძლება. თუ არ დაიტოვებთ, სახლის წინ რომ ნაგვის გროვაა, შიგ ჩავარჭობ და ყველას ერთბაშად ავანთებო. მიქელანჯელო მოლბა და უპასუხა: კარგი, აქ დაწყვე; არ მინდა ჩემი სახლის წინ .სისულელეებს სჩადიოდეო (ვაზარი).

დღით მოქანცული ჩემი ფიქრი და საკრეთელი
ახლა შენია, შუბლზე მაფენ ღამის სიგრილეს
და... ამ ქვეყნიდან იქ მიგყავარ ოცნების ფრთებით,
სიკვდილის შემდეგ დასახლებას რომ ველოდები.

სიკვდილის ლანდო, შენს წყვდიადში არ მეკარება
უბედურება, სიმძიმილი, შუოი და მტრობა,
შენ მალამო ხარ ნაღვლიანთა და მწუხარეთა.

დასნეულებულთ შენ უბრუნებ სულის მხნეობას,
შეხ გვიმსუბუქებ დაღლილობას და გვიშრობ ცრემლებს,
სათნოს და კეთილს შენ აშორებ ზიზღს და სიძულვილს [1].

ერთხელ, ღამით, სახლში გამოკეტილ მოხუცს, მარტოდმარტო რომ დარჩენილიყო თავისი ტრაგიკული „Pietà"-სა და აზრების ამარა, ვაზარი ეწვია.

კაკუნზე მიქელანჯელო წამოდგა და სანთლით ხელში კარებთან მივიდა. ვაზარიმ ქანდაკების ნახვა მოისურვა, მაგრამ მიქელანჯელომ, ხელი რომ შეეშალა, სანთელი განზრახ გააგდო ხელიდან. და სანამ ურბინო მეორე სანთელს მოიტანდა, მასპინძელი მიუბრუნდა სტუმარსა და უთხრა: „ისე დავბერდი, რომ ხშირად სიკვდილი კალთაზე მეწევა, აბა, გამომყეო. ერთ მშვენიერ დღეს მეც დავეცემი ამ სანთელივით და ჩემი ცხოვრების ნათელიც ამ სანთელივით ჩაქრება".

სიკვდილზე ფიქრი, დღითიდღე უფრო ულმობელი და მიმზიდველი, მუდამ თან სდევდა.

„ერთი ფიქრიც კი არა მაქვს, სადაც სიკვდილი საკრეთლით არ იყოს ამოკვეთილი", ეუბნებოდა იგი ვაზარის[2].

სიკვდილი ახლა ცხოვრებაში ერთადერთ ბედნიერებად ესახებოდა:

---

[1] (ლექსები, LXXVIII).

ფრეი ამ ლექსს დაახლოებით 1546 წლით ათარიღებს, იმ პერიოდით, როცა მიქელანჯელო „განკითხვის დღესა" და პავლე მოციქულის ტაძრის კაპელას ხატავდა; გრიმს კი უფრო მოგვიანებით, დაახლოებით 1554 წელს დაწერილად მიაჩნია.

მეორე, ღამეზე დაწერილ ლექსს (ლექსები LXXVII) უფრო დიდი პოეტური ღირსება და სილამაზე გააჩნია, მაგრამ უფრო ლიტერატურულია და ოდნავ პრეციოზული.

[2] Non nasce i me pensiero che non vi sia de. tro sculpia la morte (წერილები, 1555 წლის 22 ივნისი).

როცა ჩემს წარსულს ვიხსენებ ახლა,
ჩემთვის, მუხთალო წუთისოფელო,
აოის ნათელი, თუ რა ცოდვები
ჩაუდენია ადამის მოდგმას.
ვინც შეურიგდა პირმოთნეობას
და სიტკბოებას ეტანება ფუჭს და ამაოს, —
უნდა სამსალა გამოცალოს მან მწუხარების.
გამოცდილებით დამძიმებულმა
იცის, აღთქმული სიმშვიდე და სიკეთე რაა,
რაც არასოდეს არ გქონია
და არც გექნება.
მან იცის სიტკბო წუთისოფლის ხანმოკლეობის,
რადგან რაც უფრო მცირე ხანს ვცხოვრობთ,
მით უფრო მალე ცას ვუბრუნდებით [1].

მე მახსოვს მუდამ, დღე დადგება უკანასკნელი,
წუთისოფელო, შენი სიტკბო შევიცან გვიან.
შენ აღმითქვამდი იმ სიმშვიდეს, რაც არ გებადა,
სულის სიმშვიდე სანამ ვიშვი, მანამდე გაქრა...
მე გამოვცადე და გეუბნებით:
ის არის მხოლოდ რჩეული ცისა,
ვინც გარდაცვლილა შობისთანავე [2].

და როცა მისმა ძმისწულმა ლიონარდომ ძეობა გადაიხადა, მიქელანჯელომ მწარედ დატუქსა იგი.

„ეგ ზარ-ზეიმი მე არ მომწონს. არ შეიძლება სიცილი, როცა მთელი ქვეყანა გლოვობს. უგუნურებაა, ქვეყნად ვინმეს მოსვლა ასე იდღესასწაულო. სიხარული მარტო მაშინ გვმართებს, როცა კვდება კაცი, ვინც თავის ცხოვრება კეთილად განვლო“ [3].

და შემდეგსავე წელს, როცა ლიონარდოს მეორე, ჩვილი ვაჟი გარდაეცვალა, მიქელანჯელომ მილოცვა გაუგზავნა ძმისწულს.

---

[1] ლექსები, CIX, 32.

[2] ლექსები, CIX. 34.

[3] ვაზარისადმი მინაწერი ბარათი, რომელსაც თარიღად: „1554 წლის აპრილის რომელიღაც დღე“ („A di non so quanti d'aprile 1554“) უზის.

* * *

ბუნება, რომელსაც აქამდე მისი მხურვალე ვნებები და ინტელექტუალური გენია უგულებელყოფდა[1], ცხოვრების მიმწუხრის ჟამს მის ერთადერთ ნუგეშად იქცა. 1556 წელს, როცა რომს ჰერცოგ ალბას ესპანური ჯარები შემოადგნენ, ქალაქიდან გაქცეულმა სპოლეტოში შეიარა, შემოდგომის ნათელი დიდებულებით მოხიბლულმა ხუთი კვირა მუხებისა და ზეთისხილის ტყეებში დაჰყო და სინანულით დაბრუნდა რომში, სადაც ოქტომბრის მიწურულს უხმეს. „იქ ჩემი არსების საუკეთესო ნაწილი დავტოვეო, — სწერდა ვაზარის, — რადგან მხოლოდ ტყეთა შორის შეიძლება კაცმა სიმშვიდე ჰპოვოს“.

Pace non si trova se non ne boschi[2].

და რომს ჩასულმა ოთხმოცდაორი წლის მოხუცმა მინდვრებისა და სოფლური ყოფის სადიდებლად შესანიშნავი ლექსი დაწერა, რომელშიაც ქალაქის სიცრუეს სოფლის სურათებს უპირისპირებდა. ეს მისი უკანასკნელი და მაინც ჭაბუკური სიფაქიზით სავსე პოეტური ნაწარმოები იყო[3].

მაგრამ ბუნებაშიც, ისევე როგორც ხელოვნებასა და სიყვარულში, ღმერთს დაეძებდა და დღითიდღე უახლოვდებოდა კიდეც. მორწმუნე

---

[1] ბუნებას არასოდეს არ აქცევდა დიდ ყურადღებას, თუმცა დიდხანს ცხოვრობდა ქალაქს მოშორებულ კარარსა და სერავეცში. პეიზაჟს მის შემოქმედებაში ერთობ მცირე ადგილი უჭირავს; სიქსტის ფრესკებში იგი მხოლოდ აქა-იქ, სქემატურად არის წარმოდგენილი ამ მხრივ მიქელანჯელო მეტად განსხვავდება თანამედროვეთაგან: რაფაელისგან, ტიციანისგან, პერუჯინოსგან, ლეონარდოსაგან. სძულდა იმხანად მეტად მოდური ფლამანდიური პეიზაჟები: „ძონძები, ქოხმახები, ხეებით მოჩრდილული მწვანე მინდვრები, მდინარეები, ხიდები — რასაც პეიზაჟს უწოდებენ—და ზედ აქა-იქ გაბნეული უამრავი ფიგურები“ (ფრანსუა დ'ოლანდეს „დიალოგები“).

[2] წერილები, 1556 წლის 28 დეკემბერი.

[3] მხედველობაში მაქვს ერთი მეტად გრძელი, 115 სტრიქონიანი დაუსრულებელი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

„რა შეედრება ამა იმას, როდესაც უმზერ
თამამი თხები ციცაბოზე როგორ დახტიან
და ბალახს ძოვენ ხან ამ თხემზე და ხან იმ თხემზე“...

მუდამ იყო და თუმცა მღვდლების, ბერებისა და ორთავ სქესის „მოწმინდანოთა“ ანკესს არასდროს წამოგებია და თუ შემთხვევა ეძლეოდა, მწარედ დასცინოდა კიდეც [1], როგორც ჩანს, სარწმუნოებაში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია. როცა მისი მამა ან ძმები ავადმყოფობდნენ, ანდა ვინმე მახლობელი მოუკვდებოდა, სხვაზე უწინ იმას იკითხავდა, ზიარება თუ მიიღესო [2]. ლოცვის მადლისა ბრმად სჯე-

„Nuovo piacere e di maggiore stima
Veder l'ardite capre sopr' un sasso
Montar, pasciendo or questa or quella cima“.

(ლექსები, CLXIII, ფრეის გამოცემა 249—253 გვ.)

აქ მე მხარს ვუჭერ ფრეის ინტერპრეტაციას, რომელიც ამ ლექსს 1556 წლის ოქტომბერ-დეკემბრით ათარიღებს. ტოდე სხვაგვარად ფიქრობს და ამ ლექსს მიქელანჯელოს ჭაბუკობის ხანას მიაწერს, მაგრამ, ჩემის აზრით, ამ მოსაზრების განსამტკიცებლად საკმაო საბუთს არ იძლევა.

[1] 1548 წელს ურჩევს თავის ძმისწულს, ლიონარდოს, „ლორეტოში სამლოცველოდ წასვლას გიჯობს ეგ ფული სამოწყალოდ ღარიბ-ღატაკებს დაურიგოო, თორემ მღვდლებს თუ ჩაუვარდათ ხელში, ღმერთმა უწყის, რას უზამენ“.

სებასტიანო დელ პიომბოს სან პიეტრო ინ მონტორიოში ერთი ბერი უნდა დაეხატა; მიქელანჯელომ კი უთხრა, ეგ ბერი ყველაფერს გააფუჭებსო: „ბერებმა დააქციეს ეს ქვეყანა, რომელიც ასე დიდი და ვრცელია და რა გასაკვირია, ერთი ციცქნა კაპელა რომ წაახდინონო“.

იმხანად, როცა მიქელანჯელო თავისი ძმისწულის დაქორწინებას აპირებდა, ერთი მოწმინდანო დედაკაცი ეწვია, დამომღვრა, ღვთისმოსაობას შთააგონებდა და ძმისწულისათვის ცოლად ერთი მეტად ღვთისმოშიში, კეთილი ზნის ასული შეესთავაზა. „მე კი ვუპასუხე, — სწერს მიქელანჯელო, — სჯობს მაგ ქალმა საქსოვს და სართავს მოკიდოს ხელი, ხალხის ირგვლივ ტრიალსა და წმიდა საგნებით ვაჭრობას თავი ანებოს“ (წერილები, 1549 წლის 19 ივლისი).

მას ბევრი მკვახე, საეონაროლას სულით განმსჭვალული ლექსიცა აქვს დაწერილი რომაული ეკლესიის მამათა ზნედაცემულობასა და სიმონიაზე. გავიხსენოთ ეს ერთი სონეტი:

„მუზარადებად, ჯაჭვარდნებად აწრთობენ თასებს,
და ქრისტეს სისხლით ვაჭრობენ ყველგან“...
„Qua si ta elmi di chalici e spade
E'l sangue di Christo si vend'a giumelle“...

(ლექსები, X, დაახლოებით 1512 წ.).

[2] ბუონაროტოსადმი მამის ავადმყოფობის თაობაზე მიწერილ ბარათში (1516 წლის 23 ნოემბერს) და ჯოვანი სიმონეს სიკვდილის შემდეგ ლიონარდოსადმი მიწერილ ბარათში, 1548 წლის იანვარს: „...ჩემთვის სასიამოვნო იქნება ამის გაგება, რომ აღსარების თქმა მოასწრო და ზიარებაც მიიღო. რომ ვიცოდე, აგრე მოხდა, ნაკლებს ვიწუხებდი“.

როდა. „მისი ძლიერებისა უფრო სწამდა, ვიდრე წამლებისა“ [1]. ყველა მიღწეულ წარმატებასა და თავს არდამტყდარ უბედურებას მათ კეთილ გავლენას მიაწერდა. მარტოობაში ზოგჯერ მისტიურ ექსტაზში ვარდებოდა თურმე. ჩვენამდე შემთხვევით მოაღწია ამ ამბავმა. ერთი თანამედროვის ნაამბობი გვიხატავს სიქსტის გმირის ექსტაზურ პოზას, როცა რომს მყოფი, ღამით მარტოდმარტო ლოცულობდა თავის ბაღში· მზერა ვარსკვლავებით მოჭედილი ცისთვის პიეპყრო და მწუხარე თვალებით ზეცას რაღაცას შეჰღაღადებდა [2].

ტყუილად ცდილობენ დაგვარწმუნონ[3], რომ მისი რწმენა წმინდანებისა და ღვთისმშობლის კულტს გულგრილად ეკიდებოდა. სასაცილოა, პროტესტანტობა დასწამო კაცს, ვინც თავისი სიცოცხლის ოცი უკანასკნელი წელი პეტრე მოციქულის ტაძრის აგებას შეალია და ვისი უკანასკნელი ნამუშევარიც (სიკვდილის გამო შეწყვეტილი) წმ. პეტრეს ქანდაკება იყო. არ უნდა დავივიწყოთ არც ის, რომ რამდენჯერმე, 1545-სა და 1556 წლებში, სენ ჟაკ დე კომპოსტელსა და ლორეტოში აპირებდა სალოცავად წასვლას და რომ დიდხანს სანჯოვანი დეკოლატოს, წმ. იოანეს ძმობის წევრი იყო; თქმა არ უნდა, რომ როგორც ყველა დიდი ქრისტიანი, ისიც ღვთის წიაღ ცხოვრობ-

---

[1] „Più credo ogli orazioni che alle medicine“ (ლეონარდოსადმი მიწერილი ბარათი, 1549 წლის 25 აპრილი).

[2] „...ქრისტეს შობიდან 1513-ე წელს, ლეონ X-ის პაპობის პირველ წელიწადს მიქელანჯელო, რომელიც იმხანად რომს იმყოფებოდა, თუ არ ვცდები, გვიანი შემოდგომის ერთ ღამეს თავისი სახლის ბაღში იდგა და ღია ცის ქვეშ მუხლმოყრილი ლოცულობდა უეცრად დაინახა მეტეორი, სამკუთხა ნიშანი სამი სხივით. პირველი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა, კაშკაშა იყო და ალესილი მახვილის პირივით გაკრიალებული: ბოლოში კაუკი ჰქონდა გამობმული; მეორე — ლალისფერი და მეწამული, რომს ადგა თავზე. მესამე — ალივით წითელი ორკაპიანი ზოლი იმდენად გრძელი იყო, რომ მისი წვერი ფლორენციას სწვდებოდა... როცა მიქელანჯელომ ეგ ღვთაებრივი ნიშანი იხილა, სახლში შევარდა ფურცლის, ყალმისა და საღებავების ასაღებად; დახატა ნიშანი და რომ დაასრულა, ჩვენებაც გაქრა“... (ფრა ბენედეტო, „წამებულთა დაღი“, მესამე ნაწილი).

[3] ანრი ტოდე.

და და მიიცვალა[1]. „ვცხოვრობ ღარიბად, უფლის ზიაღში“,—სწერდა ძამას 1512 წელს; სიკვდილის წინაც მოითხოვა, „ვნებანი უფლისანი“ გაეახსენეთო. ვიტორია კოლონასთან მეგობრობის ჟამს, მეტადრე მისი სიკვდილის შემდეგ, ამ რწმენამ ეგზალტირებული ხასიათი მიიღო. ამ ხნიდან მოყოლებული ქანდაკებაში მხოლოდ ქრისტეს ვნებებს გახადიდებდა[2] და მისი პოეზიაც მისტიციზმში იყო დანთქმული. იგი უარყოფდა ხელოვნებას და თავშესაფარს ჯვარცმული ღმერთის ფაქთოდ გაშლილ მკლავებში ეძებდა:

ჩემი ცხოვრების ქარიშხლიან ზღვებზე ნავალმა
უმწეო ნავმა მიაღწია იმ ნავსაყუდელს,
სადაც გემიდან გადმოდიან, სადაც ფასდება
შრომა და ღვაწლი მორწმუნეთა და ურწმუნოთა.
ჩემი გონება აღგზნებული, რომელიც ქმნიდა
ყერპს და ის ყერპი ხელოვნება იყო აქამდე,
მიხვდა, შეცდომა ჩაიდინა თურმე მრავალი:
ბევრჯერ სურვილი სათავეა ბოროტებისა.
ფიქრო მსუბუქო, მხიარულო, ფიქრო ამაოვ,
ახლა ორ სიკვდილს მიახლოვებ: ერთი თანა მდევს
და უთუოა, მეორე კი აწ მემუქრება.
ვერც საკრეთელი და ვერც ფუნჯი ვერ მომასვენებს,
სულს სიყვარული ღვთაებრივი მოსწყურებია,
ის ღვთაებრივი სიყვარული, ჩვენს შესახვედრად
ორივე ხელი რომ გაშალა, გაკრულმა ჯვარზე[3].

* * *

მაგრამ ყველაზე უტურფესი ყვავილი, რაც კი რწმენაი და ტანჯვამ ამ ბებერ, უბედურ გულში აღმოაცენა, ღვთაებრივი გულ-

---

[1] როდესაც ლეონე ლეონიმ 1560 წელს მიქელანჯელოსსახიანი მედალი შექმნა, ამ უკანასკნელმა მედლის მეორე მხარეს ამოაკვეთინა ბრმა, რომელიც ძაღლს მისდევს და ზედ წააწერინა: „Docebo iniquos vias tuas et impii ad te convertentur“. [„ცოდვილთ ვასწავლი შენს გზასა და ურწმუნონი გამოგუეებიან“ (ლათ.).] (ვაზარი).

[2] „ჯვარცმა“, „კუბოში ჩადება“, „ჯვრიდან გარდმოხსნა“, „Pietà“.

[3] ლექსები, CXLVII. ეს სონეტი, რომელსაც ფრეი არცთუ უსაფუძვლოდ მიქელანჯელოს საუკეთესო ლექსთა რიგს მიაკუთვნებს, 1555—56 წლებში უნდა იყოს დაწერილი. მაგრამ სხვა ლექსებიც, შესაძლოა ნაკლები ოსტატობით, მაგრამ არანაკლები რწმენითა და გატაცებით უმღერიან მსგავს გრძნობებს.

მოწყალება იყო. ეს კაცი, რომელსაც მტრები ძუნწობას სწამებდნენ[1], მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე წყალობას არ აკლებდა ნაცნობსა თუ უცნობ უბედურებს. თავის და მამამისის მსახურთა მიმართ მუდამ გულისამაჩუყებელ ყურადღებას იჩენდა და მოხუცი ბუონაროტის ყოფილი მსახურის, ვინმე მონა მარგარიტას სიკვდილმა ისე დასწყვიტა გული, „როგორც ღვიძლი დის სიკვდილმა“[2]. იმ უბირ დურგალს კი, სიქსტის კაპელაში ხარაჩოებს რომ უგებდა, ქალიშვილისათვის მზითევი მისცა[3]. სხვა ღარიბებსაც არ აკლებდა მოწყა-

---

[1] ეს ხმები არეტინომ და ბანდინელიმ დაარხიეს. ურბენის ჰერცოგის ელჩი 1542 წელს, ვისაც სმენა არ ეზარებოდა, ყველას უყვებოდა, რომ მიქელანჯელო მეტად გამდიდრდა, რადგან ვახშად იძლეოდა ფულს, რომელიც იულიუს II-საგან მიეღო ჯერ აუგებელი ძეგლის საფასურად. ასეთი რამ რომ შესწამეს, ამაში ერთგვარად მიქელანჯელოსაც ედო ბრალი, რადგან ზოგჯერ არაჩვეულებრივ სიმკაცრეს ინენდა საქმეებში (მაგალითად მოხუც სინორელისთან, რომელსაც 1518 წელსაც სდევნიდა 1513 წელს აღებული ვალისათვის); მის ხასიათში მომხვეჭი გლეხკაცის სიხარბე ბუნებრივ ხელგაშლილობასთან იყო შერწყმული. მუდამ ფულსა და დოვლათს აგროვებდა; მაგრამ ამას ანგარიშმიუცემლად სჩადიოდა, მემკვიდრეობით მიღებული თვისების ძალით. სინამდვილეში მეტად დაუდევარი იყო საქმეებში, არავითარ ანგარიშს არ აწარმოებდა, არ იცოდა, რა ქონების პატრონი იყო და გაცემაც მუდამ ხელგაშლით უყვარდა. ოჯახი ხშირად მის ხარჯზე იყო; მეფურ საჩუქრებს უძღვნიდა მეგობრებსა და მსახურებს. მის ნაწარმოებთა უმეტესობა გაჩუქებული იყო და არა გაყიდული; წმ. პეტრეს ტაძრისათვის ოც წელს უსასყიდლოდ მუშაობდა და მასზე მეტად არც არავის დაუგმია ფულის სიყვარული. მომხვეჭელობა დიდი ცოდვაო, სწერდა იგი თავის ძმას, ბუონაროტს. ვაზარი აღშფოთებით უარყოფს მიქელანჯელოს მტერთა ამ ცილისმწამებლურ ბრალდებას და ჩამოთვლის ყველაფერს, რაც მის მასწავლებელს გაუცია. ტომაზო დეი კავალიერისათვის, ბინდო ალტოვიტისათვის, სებასტიანო დელ პიომბოსათვის, ჯერარდო პერინისათვის მართლაც საუცხოო ნახატები უჩუქებია. ანტონიო მინისათვის — „ლედას“ მთელი ესკიზები და მოდელები, ბარტოლომეო ბეტინისათვის — არაჩვეულებრივი „ვენერასთან მოალერსე კუპიდონი“; მარკიზ დელ ვასტოსთვის — „ხელი არ მახლო“, რობერტო სტროცისათვის — ორი „მონა“; მსახურ ანტონიოსათვის: „ჯვრიდან გარდმოხსნა“ და სხვ. „არ ვიცი, — დასძენს ვაზარი, — როგორ შეიძლება ძუნწობა შესწამო კაცს, ვისაც ათასობით ეკიუს ღირებულების საგნები აქვს გაჩუქებული“.

[2] ჯოვანი სიმონესადმი და ლიონარდო ბუონაროტისადმი მიწერილი ბარათები (1533 და 1540 წლები).

[3] ვაზარი.

ლებას, განსაკუთრებით ნამუსიან ღარიბებს, ვისაც საკუთარი სიღარიბისა რცხვენოდა. ამ ქველ საქმეში ძმისწულების ჩაბმა უყვარდა. დასაც და ძმასაც მუდამ ქველმოქმედებას ჩააგონებდა, ავალებდა ამ საქმის შესრულებას, თან უკრძალავდა მისი სახელის გამხელას, რადგან სურდა, რომ მისი სიკეთე საიდუმლოდ დარჩენილიყო [1]. „ერჩია სიკეთე მართლა ჩაედინა, ვიდრე კეთილად მხოლოდ ხალხის თვალში გამოჩენილიყო“ [2]. ყველაზე მეტად ხელმოკლე ქალიშვილებზე ზრუნავდა და ეს ამბავი ყველაზე უკეთ ამხელს მისი სულის სისათუთეს: სულ იმის ცდაში იყო, მათთვის როგორმე საიდუმლოდ ცოტაოდენი სამზითვო, ანდა მონასტერში შესასვლელი ფული მიეცა.

„ეცადე გამიგო, ხომ არ არის მანდ ვინმე ღარიბი მოქალაქე, მოწიფული ქალის პატრონი, ქალისა, რომელსაც გათხოვების ან მონასტერში შესვლის დრო დაუდგა, — სწერდა იგი თავის ძმისწულს და დასძენდა, — ხომ იცი, ისეთებს დავეძებ, ვისაც უჭირთ და მოწყალების თხოვნას თაკილობენ. მიეცი მათ ჩემი გამოგზავნილი ფული, მიეცი საიდუმლოდ; მაგრამ ერთსა გთხოვ: ეცადე, არ მოგატყუონ“... [3]

---

[1] „მგონია, ქველმოქმედებას სულ არ მისდევ“, — სწერდა იგი ლიონარდოს 1547 წელს.

„გადაგიწყვეტია, რომ იმ ქალს სამოწყალოდ ოთხი ოქროს ეკიე მისცე: ძალიან მასიამოვნე ამით“ (1547 წლის აგვისტოს მიწერილ ბარათში).

„მეგობრობის გრძნობას არ აჰყვე, ეცადე მისცე მას, ვისაც ნამდვილად უჭირს. ფული საიდან გაჩნდა, იმას ნუ იტყვი“ (1549 წლის 29 მარტი).

„ჩემზე სიტყვა არ დასძრა“ (1547 წლის სექტემბერი).

„მე უფრო კმაყოფილი ვიქნები, რომ ის ფული, რომლითაც ჩემთვის საჩუქრებს ყიდულობ, ქველმოქმედებას მოახმარო და ღარიბ-ღატაკებს დაურიგო ღვთის გულისათვის, რადგან, რამდენადაც ვიცი, თქვენში ბევრია გაჭირვებული“ (1553 წელი).

„მინდა სიბერეში ცოტაოდენი სიკეთე ჩავიდინო ქველმოქმედებით. სხვაგვარი სიკეთე არც ვიცი და არც მეხერხება“ (1561 წლის 18 ივლისი).

[2] კონდივი.

[3] ლიონარდოსადმი მიწერილ ბარათში (1547 წლის აგვისტოს).

სხვაგანაც სთხოვდა:

„მაცნობე, კიდევ ხომ არ გეგულება გაჭირვებაში მყოფი ვინმე კეთილშობილი მოქალაქე; განსაკუთრებით ისეთი, ვისაც შინ გასათხოვარი ქალი უზის. ძალიან მეამება, თუკი ჩემი სულის საცხონებლად რაიმე სიკეთეს გავუკეთებ“ [1].

---

[1] 1550 წლის 20 დეკემბერს ისევ ლიონარდოსადმი მიწერილ ბარათში. სხვაგან ვინმე ჩერეტანის ამბავსაც გამოიკითხავს: ქალი ჰყოლიათ მონასტერში შესაყვანი. (1549 წლის 29 მარტი). მისი ძმისწული ჩეკა ერთი ღარიბი ქალიშვილის მონასტერში შესაყვან ფულს სთხოვს და მიქელანჯელოც საჭირო თანხას სიხარულით უგზავნის (წერილი ლიონარდოსადმი. 1556 წლის 31 მაისი).

„ღარიბი ქალიშვილის ცოლად მოყვანაც, — ამბობს ერთგან, — ქველმოქმედებაა ერთგვარი“.

ეპილოგი

სიკვდილი

...Et l'osteria
E morte... [1]

„ნანატრი სიკვდილი, მოსვლას ასე რომ აგვიანებდა“ [2], ეწვია ბოლოს.

მაგარი აგებულებისა და ასკეტური ცხოვრების მიუხედავად ავადმყოფობამ მაინც დაიგდო. 1544 და 46 წლის ავთვისებიანი ციებ-ცხელების შემდეგ ვერ იქნა და საბოლოოდ ვერ გამოკეთდა; კენეტი [3] და ნიკრისის ქარი [4] სტანჯავდა. მრავალმა სენმა საბოლოოდ შეარყია მისი ჯანმრთელობა. სიბერის ჟამს დაწერილ ერთ მწუხარე სახუმარო ლექსში იგი ასე აღწერს ავადმყოფობით დაძაბუნებულ თავის საბრალო სხეულს:

„ვარ მარტოსული და განწირული
და მომწყვდეული, როგორც ქერქში გულია ხისა...
. . . . . .
მე ვგზუი ისე, როგორც კრაზანა,
ძელისა და ტყავის ტომარაში მოთავსებული...
ჩემი კბილები ისე ირყევა,
ვით კლავიშები კლავესინისა...
მაქვს პირისახე გაფითრებული...
. . . . . .
ცალ ყურში მიზის მე ობობა, ქსელის მქსოველი,
მღერის ჭრიჭინა მეორეში გათენებამდე...
ისე ვხრიალებ, თვალებს რული არ ეკარება...
. . . . . .
მე დიდებას რომ აღმითქვამდა, იმ ხელოვნებამ
აი, სადამდე მიმიყვანა, როგორ გათავდა.
მე ვარ მოხუცი, უბადრუკი და გათელილი

---

[1] ... ჩემი სასტუმრო ერთადერთი არის სიკვდილი... (ლექსები, LXXXI).

[2] ლექსები, LXXIII, 30.

[3] 1549 წლის მარტში ვიტერბოს წყლებზე წასვლა ურჩიეს; მართლაც მომჯობინდა (იხ. წერილი ლიონარდოსადმი), მაგრამ 1559 წლის ივლისში ისევ კენეტი აწვალებდა.

[4] 1555 წლის ივლისს.

და ბედშაეს ახლა სიკვდილი თუ მიშველის მხოლოდ...

. . . . . .

მოქანცული ვარ, გატანჯული და მოტეხილი,
ჩემი სასტუმრო ერთადერთი —
არის სიკვდილი... [1]

„ჩემო ძვირფასო მესერ ჯორჯიო, — სწერდა იგი ვაზარის 1555 წლის ივნისში, — ჩემს ნაწერზე უთუოდ მიხვდებით, რომ უკვე ცხოვრების ოცდამეოთხე საათს მივაღწიე“ [2].

ვაზარის, რომელიც მას 1560 წლის გაზაფხულზე ეწვია, იგი მეტად დასუსტებული ეჩვენა. სახლიდან თითქმის აღარ გამოდიოდა, ძილითაც თითქმის სულ არ ეძინა. ყველაფერი იმის მაუწყებელი იყო, რომ თავადაც დიდხანს ვერ გასტანდა. რაც უფრო სუსტდებოდა, მით უფრო გულჩვილი ხდებოდა და ხშირად ტიროდა ხოლმე.

„ჩემს დიდ მიქელანჯელოს ვეწვიე, — წერს ვაზარი, — ჩემს ნახვას არ ელოდა და ისე აღელდა, თითქოს მშობელი მამა ყოფილიყოს და დიდი ხნის დაკარგული შვილი ეპოვოს. მკერდში ჩამიკრა, კოცნით ამავსო და სიხარულის ცრემლები ღვარა“ [3].

მაგრამ გონების სიცხადე და ენერგია არ დაუკარგავს. ამ სტუმრობის დროს, რომლის შესახებაც ვაზარი მოგვითხრობს, მოსულს დიდხანს ესაუბრა ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე, ათასი რჩევა-დარიგება მისცა და ცხენით წმ პეტრეს ტაძრამდე მიაცილა [4].

1561 წლის აგვისტოში შეტევა მოუვიდა. სამ საათს ფეხშიშველა ხატავდა თურმე თავის ოთახში, უეცრად საშინელი ტკივილი იგრძნო, იატაკზე დავარდა და კრუნჩხვები დაეწყო. მსახურმა ანტონიომ უგონოდ მყოფი ნახა. კავალიერიმ, ბანდინიმა და კალკანიმ მაშინვე მოირბინეს. ისინი რომ მოვიდნენ, მიქელანჯელო უკვე გონს მოსულიყო. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაიწყო ცხენით სეირნობა და პორტა პიასათვის ჩანახატების გაკეთება [5].

---

1 ლექსები, LXXXI.

2 ვაზარისადმი მინაწერ ბარათში (1555 წლის 22 ივნისს). „არა თუ მოვხუცდი, მკვდრებში ვწერიეარ უკვე“—სწერდა ვარკის ჯერ კიდევ 1549 წელს („Non solo son vecchio, ma quasi nel numero de'morti“).

3 ვაზარის წერილი კოზიმო მედიჩისადმი (1560 წლის 8 აპრილი).

4 მაშინ იგი ოთხმოცდახუთი წლისა იყო

5 აი, როდის გაახსენდა პიუს III-ის მემკვიდრეებთან სამოცი წლის წინათ დადებული კონტრაქტი, სიენის პიკოლომინის საკურთხეველის აგების თაობაზე რომ დაედო, და მოისურვა კიდეც მისი შესრულება.

თავნება მოხუცი ვერ ითმენდა, როცა მისდამი რაიმე საბაბით მზრუნველობას იჩენდნენ. მეგობრებს მუდამ აწვალებდათ აზრი, რომ მარტოდმარტო მყოფს ყოველ წუთს შეიძლებოდა შეტევა განმეორებოდა და გვერდში არავინ ეყოლებოდა უგულისყურო და დაუდევარი მსახურების მეტი.

მისი მემკვიდრე ლიონარდო, ასე მწარედ რომ დატუქსა, რაკი ერთხელ ბიძამისის ავადმყოფობა გაიგო და უმალვე რომს მოაშურა, მეტად ვეღარ ბედავდა გამოჩენას. 1563 წლის ივლისში დანიელ დე ვოლტერას პირით შემოუთვალა ბიძას, ჩემს ნახვას თუ ინებებთო. და ყოველგვარი ეჭვი რომ გაეფანტა, რაც მისი უეცარი ჩამოსვლის გამო მოხუცის უნდო გონებას შეიძლებოდა აღძვროდა, ისიც დასძინა, საქმე კარგად მიმდის, მდიდარი ვარ და არაფერი მჭირდებაო. მაგრამ მოხუცი მიუხვდა ოინს და შეუთვალა: ძალიან მახარებს ეგ ამბავი და თუკი აგრეა, იმ მცირედსაც, რაც გამაჩნია, ღარიბებს ვუანდერძებო.

ასეთი პასუხით არცთუ მთლად კმაყოფილმა ლიონარდომ ერთი თვის თავზე კვლავ სცადა ბედი და ბიძას ისევ შემოუთვალა: ძალიან მაფიქრებს თქვენი ჯანმრთელობა, ის მაინც ვიცოდე, გარს სანდო ხალხი თუ გახვევიაო. მაშინ მიქელანჯელომ მრისხანებით აღსავსე წერილი მისწერა, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ ოთხმოცდარვა წელს მიღწეულ კაცს, სიკვდილამდე ექვსი თვით ადრეც, საოცარი სიცოცხლისუნარიანობა ჰქონდა:

„შენი წერილიდან შევიტყვე, რომ თურმე ყურს უგდებ იმ შურიან არამზადათა მონაჭორს, ჩემი გაქურდვა და მოტყუება რომ ვერ მოახერხეს და ვინ იცის, რა სისულელეებს არ ჩმახავენ. იცოდე, გაიძვერები და არამზადები ბრიყვან; შენ კი ისეთი ბრიყვი ჩანხარ, რომ გჯერა, რასაც ისინი ჩემზე ამბობენ. თითქოს უსუსური ბალღი ვიყო. გირჩევ, მაგათ ნუ აჰყვები. ასეთი ხალხი მხოლოდ უსიამოვნებას შეგამთხვევს. შურის მეტი არაფერი შეუძლიათ და მაწანწალებივით ცხოვრობენ. იწერები, ვაითუ ცუდად გემსახურებიანო. მე კი გარწმუნებ, წარმოდგენაც არ შეიძლება, რომ ვინმეს ჩემზე უკეთ მსახურებდნენ. ნურც იმის ფიქრი გექნება, არ გაქურდონო, რაკიგან ხალხს, ვინც ჩემთან ერთად ცხოვრობს, შემიძლია ყველაფერში ვენდო და მშვიდად ვიყო. ამიტომ გირჩევ, ჩემს საქმეებს თავი ანებო და შენსას მიხედო,

რადგან ბავშვი აღარა ვარ და თუ დამჭირდა, თავს უშენოდაც კარგად დავიცავ.

კარგად იყავი, მიქელანჯელო [1]".

მაგრამ მემკვიდრეობის საკითხი მარტო ლიონარდოს როდი აღელვებდა: მთელი იტალია მიქელანჯელოს მემკვიდრე იყო. მეტადრე ჰერცოგი ტოსკანელი და რომის პაპი ცდილობდნენ, რომ სან-ლორენცოსა და წმ. პეტრეს ტაძრის ესკიზები უცაბედად არ გამქრალიყო. 1563 წელს ვაზარის თხოვნით წაქეზებულმა ჰერცოგმა კოზიმომ თავის ელჩს, ავერარდო სერისტორის დაავალა საიდუმლოდ მოლაპარაკებოდა პაპს, რათა მიქელანჯელოს დაძაბუნება მხედველობაში მიეღოთ და მკაცრი თვალყური დაეწესებინათ მის მოსამსახურეებზე და ყველა იმათზე, ვინც მხატვრის სახლში დადიოდა. და თუ ხელოვანს სიკვდილი უეცრად ეწვეოდა, მთელი მისი ქონება, ნახატები, ესკიზები, საბუთები, ფული, მყისვე აღეწერათ და თვალყური ედევნებინათ, რომ იმ ორომტრიალში არაფერი დაკარგულიყო. ცხადია, იმაზედაც უნდა ეზრუნათ, რომ მიქელანჯელოს არაფერზე ეჭვი არ აეღო [2].

ჟამმა დაჰკრა და ეგ სიფრთხილე ნაადრევი სულაც არ იყო.

მიქელანჯელოს უკანასკნელი წერილი 1563 წლის 28 დეკემბრით თარიღდება. უკვე წელიწადზე მეტი იყო, რაც თვითონ არ წერდა, სხვას კარნახობდა და ბოლოში ხელს აწერდა მხოლოდ. მის ნაცვლად დანიელ დე ვოლტერა აწარმოებდა მიმოწერას.

მუშაობას კი მაინც არ წყვეტდა. 1564 წლის 12 თებერვალს მთელი დღე ფეხზე იდგა და Pietà-ს [3] აკეთებდა. თოთხმეტში სიცხემ აუწია. ტიბერიო კალკანი, რომელსაც აცნობეს ეს ამბავი, მყისვე გამოეშურა ავადმყოფის სანახავად, მაგრამ მოხუცს შინ ვეღარ მიუსწრო. მიქელანჯელო წვიმასაც არ დარიდებოდა და ფეხით კამპანში სასეირნოდ წასულიყო. შინ რომ დაბრუნდა, კალკანიმ უთხრა, ასეთ ამინდში სახლიდან ფეხი არ უნდა გაგედგათო.

---

1 ლიონარდოსადმი მიწერილი ბარათი (1563 წლის 21 აგვისტოს).

2 ვაზარი.

3 საუბარია რონდანინის სასახლის დაუსრულებელ პიეტაზე (დანიელ დე ვოლტერას წერილი ლიონარდოსადმი, 1564 წლის 11 ივნისს).

„რას ჩამაცივდით? — უთქვამს თურმე მიქელანჯელოს, — ავადა ვარ და სულ ერთია, სიმშვიდეს მაინც ვერსად ვპოვებო“.

მისმა არეულმა მეტყველებამ, მღვრიე გამოხედვამ და სახის ფერმა მეტად შეაშფოთა კალკანი. მაშინვე წერილი აფრინა ლიონარდოსთან: „შეიძლება ერთბაშად არ მოკვდეს, მაგრამ ვშიშობ, დიდი დღე არ უწერიაო“ [1].

იმავე დღეს მიქელანჯელომ კაცი გაუგზავნა დანიელ დე ვოლტერას. დანიელმა ექიმ ფედერიგო დონატის უხმო; თხუთმეტ თებერვალს კი მომაკვდავის თხოვნით მისწერა ლიონარდოს, შეგიძლიათ მობრძანდეთ და ინახულოთო. მოხუცს იმის შეთვლაც არ დავიწყებია: „გზები ცუდია და ფრთხილად იარეო“ [2].

„ღამის რვა საათი იქნებოდა, როდესაც მისგან წამოვედი, — წერს დანიელ დე ვოლტერა,—სრულიად დამშვიდებული და ნათელ გონებაზე მყოფი დავტოვე. მხოლოდ ის იყო, რომ ძილი უმძიმებდა ქუთუთოებს და ეს ისე აწუხებდა, რომ ნასადილევს ცხენით გასეირნებაც კი სცადა, მაგრამ ცუდმა ამინდმა, სახსრებისა და თავის ტკივილმა ამ განზრახვაზე ხელი ააღებინეს. შინ დაბრუნდა და ბუხრის პირას მდგარ სავარძელში ჩაეშვა, რადგან წოლას ისევ ჯდომა ერჩია“.

მისი ერთგული კავალიერიც გვერდით ჰყავდა.

სიკვდილამდე მხოლოდ ორი დღით ადრე დათანხმდა საწოლში გადასულიყო. მეგობართა და მსახურთა წრეში სრულიად საღ გონებაზე მყოფმა უკარნახა თავისი ანდერძი: „სულს უფალს ვაბარებ, სხეულს მიწას“... დაიბარა: „მშობლიური ფლორენციის მიწას მკვდარი მაინც მიმაბარეთო“ და:

Da l'orribil procella in dolce calma
ჯოჯოხეთურ ქარიშხლიდან მშვიდ სავანეში [3]

გადავიდა. ეს მოხდა თებერვალში, პარასკევ დღეს, ხუთ საათზე [4]. მწუხრი წვებოდა:

---

[1] ტიბერიო კალკანის წერილი ლიონარდოსადმი (1564 წლის 14 თებერვალს).

[2] დანიელ დე ვოლტერას წერილი ვაზარისადმი (1564 წლის 17 მარტს).

[3] ლექსები, CLII.

[4] 1564 წლის 18 თებერვალს, პარასკევ დღეს. მის სიკვდილს ტომაზო დეი კავალიერი, დანიელ დე ვოლტერა, დიომედე ლეონი, ორი ექიმი: ფედერიგო დონატი და ჯერარდო ფიდელისიმო და მსახური ანტონიო ფრანცეზე ესწრებოდნენ. ლიონარდო რომში მხოლოდ სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა.

„უკანასკნელი დღე სიცოცხლისა
ბუდროების სავანეში მხოლოდ პირველი!..“ [1]

როგორც იქნა, განისვენა. გაექცა ყამთასელას, მიაღწია დიდი ხნის საწადელს.

Beata l'alma, ove non corre tempo!
ნეტარ არს სული, რომლისთვისაც შეჩერდა ყამი! [2]

ასეთი იყო ღვთაებრივი სევდით აღბეჭდილი ეს სიცოცხლე.

Fuss'io pur lui! c'a tal fortuna nato
Per l'aspro esilio suo con la virtute
Dare' del mondo il piu felice stato![3]

* * *

ამ ტრაგიკულ ამბავს რომ ვასრულებ, სინდისის ქენჯნასა ვგრძნობ; თავს ვეკითხები: ტანჯულთათვის მწუხარებაში ნუგეშად მეგობართა გაჩენა მსურდა და ვაითუ მათ სატანჯველს ამ უკანასკნელთა დარდიც შევმატე-მეთქი. იქნება სჯობდა, მეც სხვების დარად გმირების მხოლოდ გმირული მხარეები მეჩვენებინა და არ გამოვკიდებოდი მათი მწუხარების უფსკრულებს.

მაგრამ არა! ჭეშმარიტებას ვერ ვუღალატებ! ჩემს მეგობრებს სიცრუის ფასად ნაყიდ ბედნიერებას ვერ შევთავაზებ. მე მათ სიმართლის თქმას შევპირდი, თუნდაც ამით ბედნიერებას ჩრდილი მიადგეს. დიახ, სიმართლის თქმას შევპირდი, ვაკკაცური სიმართლის თქმას, რომელიც მარადიულ სულებს აქანდაკებს. მისი სუნთქვა პირქუშია, მაგრამ წმინდაა. მოდით, ჩვენი სისხლნაკლი გულები მასში განვიბანოთ.

დიადი სულები მაღალ მწვერვალებს გვანან. ღრუბლები გარს ეხვევა, ზედ ქარი დათარეშობს. მაგრამ იქ სუნთქვა უფრო იოლია. ჰაერი იქ ისეთი სუფთაა, რომ გულიდან ყველა ლაქას გადარეცხს.

---

[1] De giorni mie',.....
L'ultimo primo in piu tranquilla corte...
(ლექსები, LIX).

[2] ლექსები, LIX.

[3] ო, ის მსურს ვიყო, ვის წილად ხვდა სულის მხნეობით
სიკვდილის პირქუშ დილეგიდან ამ ქვეყანაზე
რომ მოიტანოს მყუდროება და ნეტარება!
(ლექსები, CIX, 57).

და როცა ღრუბელი გაიფანტება, ადამის მოდგმას ზემოდან გადმოჰყურებ.

ასეთი იყო ეს გოლიათი მთაც, აღორძინების ხანის იტალიას თავს რომ დაჰყურებს. ჩვენ ვხედავთ, მაღლა ცაში როგორ იხატება მისი ნაწვალები პროფილი, მაგრამ მის მწვერვალს თვალს ვეღარ ვუწვდენთ.

მე არ ვამტკიცებ, რომ ამ მწვერვალებზე ცხოვრება ყველა ადამიანს ძალუძს. მაგრამ დე, წელიწადში ერთხელ მაინც ავიდნენ მაღლა სალოცავად. იქ განწმენდილი ფილტვებით სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავენ, სისხლი აუჩქროლდებათ ძარღვებში, მარადიულთან უფრო ახლოს მივლენ. შემდეგ ისევ დაეშვებიან ცხოვრების თავდაღმართში ყოველდღიური ბრძოლებისათვის გულგაკაჟებულნი.

შენიშვნები

კოლა ბრონიონი

გვ. 30.

ჭალწული—იგულისხმება ჟანა დ'არკი.

გვ 32

მიდასი—ფრიგიის მითიური მეფე იყო, რომელმაც აპოლონის ლირას პანის ფლეიტა არჩია. გაბრაზებულმა ხელოვნების ღვთაებამ კარის ყურებით შეამკო საბრალო მიდასი. მიდასი თავის ყურებს ბეჯითად მალავდა, მაგრამ ერთხელ მისმა დალაქმა შენიშნა მეფის ყურები და, რადგან საიდუმლოების შენახვა არ შეეძლო, პატარა ორმო ამოთხარა და საიდუმლოება მიწას გაანდო, მერე კი ორმო ამოავსო. ლეგენდა გადმოგვცემს, იმ ადგილას ლერწმები აღმოცენდნენ და ყოველ ნიავის დაქროლებაზე გამომელელთ ამცნობდნენ: „მიდასს, მეფე მიდასს ვირის ყურები აქვსო".

გვ. 36.

დიანა—რომაული მითოლოგიის მიხედვით, იუპიტერის ასული, აპოლონის და. ტყეებისა და ნადირობის ღვთაება, ბერძნული არტემიდა.

გვ. 37.

ბიუგ სამბენი—XVI საუკუნის ფრანგი არქიტექტორი.

მედონის კიურე—XVI საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მწერალი რაბლე. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ქ. მედონის მოძღვარი იყო.

გვ. 38.

აქატი—ვირგილიუსის „ენეიდას" გმირი. ერთგული მეგობრისა და განუყრელი თანამგზაურის განსახიერება.

გვ. 40.

არტაბანი—ლა-კალპრენედის (1614—1663) რომანის „კლეოპატრას" პერსონაჟი. მისი სიმამაცე საანდაზო გახდა. „არტაბანივით ამაყიო", იტყვიან ხოლმე.

გვ. 41.

ოდისევსი—იტაკის მითიური მეფე. ჰომეროსის „ოდისეას" გმირი.

გვ. 43.

ლიგა—ჟერკოგ ანრი გიზის მიერ 1576 წელს პროტესტანტებთან საბრძოლველად დაარსებული კათოლიკეების კავშირი.

ჰუგენოტი—პროტესტანტი.

გვ. 44

ბეიანი, ანუ ბეთლემი—კლამსის გარეუბანია.

გვ. 45.

მატამორი—(ესპანური სიტყვაა, ნიშნავს „მავრების მკვლელ.). ესპანური კომედიის პერსონაჟი, რომელიც წარამარა ტრაბახობს თავისი ვითომდაც გმირული საქმეებით მავრებთან ბრძოლაში.

გვ. 47.

იუდეა—ბეთლემის გარეუბანი, სადაც კლამსელი მეტიოვეები ცხოვრობენ.

რომი—კლამსის ზემო ნაწილი, ზემო ქალაქი. ეს სახელწოდება ქალაქის ამ ნაწილმა ძველი რომაული კიბეების გამო მიიღო. კიბეები წმიხდა მარტენის მოედნიდან ბეიანის გარეუბნისაკენ მიემართება.

გვ. 52.

გარგანტუა — რაბლეს რომანის გმირი. დიდი ღორმუცელა ვინმე.

გვ. 53.

ხილენი—ფრიგიელთა ღვთაება, იუპიტერის შვილის ბახუსის აღმზრდელი. ვირგილიუსის ერთ პასტორალურ პოემაში სილენი გალეშილი მთვრალია გამოყვანილი.

ეიაქსი—ჰომეროსის „ილიადას" გმირი, ტროადის ომის მონაწილე.

ჰექტორ ტროელი—„ილიადას" მთავარი გმირი. ყველაზე სახელმოხვეჭილი ტროადელი მხედართმთავარი, ტროადის მეფის პრიამოსის წყილი. მოკლა ბერძნების მხედართმთავარმა აქილევსმა.

გვ. 61.

„De Legibus"—„კანონებზე".

ნოსტრადამიუსი—ცნობილი ასტრონომი და ექიმი (1503—1566). წინასწარმეტყველებათა კრებულის, „ცენტურიების" ავტორი.

კომიუსი — ქეიფისა და პურ-მარილის ღვთაება (ბერძ. მით.).

ზომიუსი—ავყიობის ღვთაება (ბერძნ. მით.).

გვ. 67.

Ibi ceciderunt—დაე იქვე დაეცნენ (ლათ.).

Atque expulsi sunt—აგრეთვე გაძევებულ იქნენ (ლათ.).

Stare—დგომა (ლათ.).

Ibi cecidit—იქვე დაეცა (ლათ.).

გვ. 71.

ჟი კოკი—ფრანგი სამართლისმცოდნე. ნეველრის ზნე-ჩვეულებათა კრებულის ავტორი

ხამ სულელს ერთში ან ერთს ხამში — ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ღმერთია ერთი და სამპირიანი — მამა ღმერთი, შვილი იესო ქრისტე და სული წმინდა. პაიარი სწორედ ამ რწმენას გადაკრავს.

გვ. 72.

პირონელი — პირონის მიმდევარი. პირონი ანტიური იდეალისტი ფილოსოფოსი იყო.

გვ. 73.

ბერნი — შვეიცარიის დედაქალაქი.

კანტონი—შვეიცარიის რესპუბლიკაში შემავალი ფედერალური სახელმწიფოებრიები ერთეული.

გვ. 74.

კონჩინი — ლუი XIII-ის მინისტრი. ეროვნებით იტალიელი.

დიდი ანრი — იგულისხმება მეფე ანრი IV.

დე სიული — ანრი IV-ის მინისტრი და მეგობარი.

გვ. 84.

„Ora pro nobis"—„უფალო, შეგვიწყალე".

გვ. 89.

In petto—ჩვენთვის, გულებში (იტალ.).

გვ. 90.

Absolvo te—მომიტევებია შენთვის (ლათ.).

გვ. 91.

ბეზლა—ისევე გამოითქმის, როგორც „baise-la", რაც ნიშნავს „აკოცე მას". („მას" მდედრობით სქესშია).

გვ. 93.

რომს თუ ჟენევას — იგულისხმება: რომს, ესე იგი კათოლიკეებს, ჟენევას, ესე იგი, პროტესტანტებს.

წმინდა ბართლომეს ღამე — იგულისხმება 1572 წლის 24 აგვისტოს ღამე, როდესაც კათოლიკურმა ლიგამ ჰერცოგ გიზის მეთაურობით პროტესტანტებს ხოცვა-ჟლეტა მოაწყო.

გვ. 95.

პანტენორი — საავადმყოფო.

გვ. 97

ტიტუსი — რომის იმპერატორი ტიტუს-ფლავიუს ვესპასიანუსი. ამ მეტად კეთილ იმპერატორს, როდესაც მთელი დღის განმავლობაში შემთხვევა არ ექნებოდა კეთილი საქმე გაეკეთებინა, ჩვეულებად ჰქონდა ეთქვა: „Diem perdidi", რაც ნიშნავს: „მე დღე დავკარგე".

გვ. 102.

დანაე — არგოსის მეფის ასული. ღმერთების მამისა და მბრძანებელი იუპიტერისგან შეეძინა შკილი.

გვ. 103.

ანტიოპე — ფივანელი მეფის ასული, რომელსაც ძილის დროს ღმერთების მამა ზევსი დაეუფლა (ბერძნ. მითოლ.).

ორესტი და პილადე — ანტიკური საბერძნეთის გმირები, განთქმული თავიანთი მეგობრობით.

გვ. 109.

ჰერაკლიტე და დემოკრიტე — ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფოსები.

ამადისი და გალაორი — XI საუკუნის ესპანური რაინდული რომანების გმირები. სიყვარულისა და ერთგულების განსახიერებანი.

გვ. 111.

ნოეს კიდობანი — ბიბლიის გადმოცემით უფალმა გადაწყვიტა ცოდვების გამო წარღვნით მოესპო ადამიანთა მოდგმა, მაგრამ უცოდველი და სამართლიანი პატრიარქი ნოე თავისი ოჯახით გადაერჩინა; ამიტომ უბრძანა მას აეშენებინა კიდობანი თავისთვისა და თავისი ოჯახისათვის და შიგ ჩაესვა ყოველი ცხოველისა და ფრინველის წყვილი. ლეგენდა გვარწმუნებს, რომ ამით გადარჩა ადამიანთა და ცხოველთა მოდგმა.

გვ. 120.

ხოლი — ძველი ფრანგული ფულის ერთეული.

გვ. 121.

პანდორი — ბერძნული მითოლოგიის თანახმად პირველი ქალის სახელი. ცნობის-მოყვარეობის განსახიერება. პანდორი ბიბლიის ევას ეთანაბრება.

გვ. 128.

ფიუდი — წონის ერთეული.

გვ. 134.

წმინდა კოზმა — ბერი მკურნალი (287 წ.), არაბი. ექიმებისა და დოსტაქრების მფარველი. აწამეს დიოკლეტიანეს დროს.

პოეზიეგმები — ზნეობრივ-დამრიგებლობითი ხასიათის წარმონათქვამები (სენ-ტენციები).

„კატონის ოქროს სიტყვები" — რომაელ პოეტ დიონისე კატონის მიმბაძველი XVI საუკუნის ფრანგი პოეტის პიერ გრონეს ნაწარმოები.

გიომ ბუშე—XVI საუკუნის ფრანგი პოეტი.

ჟილ კოროზე — XVI საუკუნის ფრანგი პოეტი და ისტორიკოსი.

კუტა — ვენახი დაბალი ბორცვის ფერდობზე.

გვ. 135.

რეგულუსი — მარკუს-ატილიუს-რეგულუსი. რომის კონსული (III საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

გვ. 139.

Confiteor — კათოლიკური ლოცვა, ითქმის აღსარების წინ და ამ სიტყვით იწყება, სიტყვა კი ნიშნავს: „ვაღიარებ" (ლათ.).

გვ. 140.

Sursum corda—აღამაღლეთ გულები. გამხნევედით (ლათ.).

Consummatum est — აღსრულდა. ყველაფერი გათავდა (ლათ.). ჯვარცმული ქრისტეს უკანასკნელი სიტყვა.

გვ. 141.

იესოს ხე — იესო ქრისტეს გენეალოგიური ხე. შუა საუკუნეების ნახატებში ბიბ-ლიური პატრიარქი ეაია გამოსატული იყო მიწაზე გაწოლილი, მისი მუცლი-დან იზრდებოდა ხე, რომლის წვეროზეც იდგა ღვთისმშობელი მარიამი ხელ-ში ყრმა იესოთი.

გვ. 142.

De profundis — სიღრმიდან (ლათ.). სულთათანას პირველი სიტყვა.

ეპითალამი — ძველი ბერძნებისა და რომაელების საქორწინო სიმღერა.

ნოელი — ფრანგული საეკლესიო-სახალხო სიმღერა.

Laudate — გალობა: „ადიდეთ სახელი უფლისა" (ლათ.).

ფანფარი — საზეიმო ან სამხედრო მუსიკალური ნაწარმოები ლითონის ჩასაბერი საკრავისათვის. საზეიმო ან სამხედრო სიმღერა.

ვიოლი—ძველი სიმებიანი საკრავი.

გვ. 143.

წმინდა როკი — დაიბადა და გარდაიცვალა მონპელიეში. მკურნალობდა ჭირიან-ნებს. მკირწყლავთა და ქვის მტეხელთა მფარველი.

Mea culpa, mea culpa—ცოდვილი ვარ ჩემი ბრალია (ლათ.).

გვ 144.

წმინდა ლაზარე — ბიბლიური ლეგენდის გადმოცემით ქრისტეს მიერ გაცოცხლებული.

სამსონის იარაღი—ყბა. ებრაელთა მსაჯული სამსონი განთქმული იყო თავისი ღონით. ბიბლიური ლეგენდის გადმოცემით სამსონმა ვირის ყბით დახოცა ფილისტიმელები.

გვ. 147.

მეკლე ძროხები — ეგვიპტის ფარაონს შვიდი მსუქანი და შვიდი მეკლე ძროხა დაესიზმრა. ებრაელთა პატრიარქმა იოსებმა სიზმარი ასე ახსნა: 7 წელს უხვი მოსავალი იქნება, შვიდ შემდეგ წელს მოუსავლიანობა და შიმშილიო (ბიბლიიდან).

Requiescat—„განისვენოს" (ლათ.). სულთათანა.

გვ. 150.

ლიარდი — ძველი ფრანგული ფულის ერთეული.

გვ. 151.

იანუსი — რომაულ მითოლოგიაში დროის (დასაწყისის და დასასრულის) ღვთაება. გამოისახებოდა ორი პირისახით, რომელთაგან ერთი წინ ჰქონდა, მეორე კი უკან.

გვ. 152.

„Nunc dimittis" — „აწ განუტევე" (ლათ.).

გვ. 153.

კრეზუსი — ლიდიის უკანასკნელი მეფე. განთქმული თავისი სიმდიდრით.

გვ. 154.

იოანიკა ნათლისმცემელი—იოანე ნათლისმცემელი. ქრისტეს მომნათველელი (ბიბლ.).

გვ. 159

ლოტის ცოლი — ლოტი — ბიბლიური პატრიარქი, რომელსაც უფალმა ამცნო თავისი განაჩენი სოდომის დანგრევის შესახებ და უბრძანა თავისი ოჯახით ქალაქიდან წასულიყო. მისი ცოლი არ დაემორჩილა ანგელოზების ბრძანებას — უკან არავის მოეხედა და ანგელოზებმა ის მარილის ქანდაკებად აქციეს.

გვ. 161.

ატილა — ჰუნების მეფე. დაამარცხა აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიები. დაარბია გალების ქვეყანა

გვ. 162.

იუპიტერი — (ბერძენთა ზევსი). რომაული მითოლოგიის მიხედვით, ღმერთების მამა და მბრძანებელი.

გვ. 171.

Ab haedis scindere oves — გამოვყოთ თხები ცხვრებისაგან (ლათ.).

გვ. 175.

„ვინც აგებს — იგებს" — ფრანგული თამაში, რომელშიც უნდა წააგო, რომ მოგე-

ბული დარჩე.

გვ. 178.

გერლიუ (Gueurlu)—არამზადა. უქნარა.

გვ. 182.

გამბი (Gambi)—კოჭლი.

გვ. 184.

კეისარი — გაიუს იულიუს კეისარი. რომის კონსული (100-44 ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე).

გვ. 185.

ანთეოსი — ზღვებისა და ნაოსნობის ღვთაების ნეპტუნისა და მიწის გოლიათი შვილი. ანთეოსთან ბრძოლის დროს ჰერკულესმა შენიშნა, რომ, როგორც კი ანთეოსი მის დედას — მიწას ფეხებს მიაკარებდა, ახალი ძალა ემატებოდა, მაშინ ჰერკულესმა გოლიათი ჰაერში აიტაცა და ისე დაახრჩო.

გვ. 186.

მარმარილოს მაგიდა — მიწის საქმეების საგაპელაციო სასამართლო.

გვ. 188.

წმინდა იოაქიმი—ქრისტეს პაპა. ღვთისმშობელ მარიამის მამა.

წმინდა ანა — ქრისტეს ბებია. ღვთისმშობელ მარიამის დედა.

წმინდა ელუა — მეფე კლოტერ VI-ისა და მეფე დაგობერის მეკურკლეთეხუცესი. ნუაიონის ეპისკოპოსი. ოქრომჭედლებისა და მჭედლების მფარველი.

წმინდა ნიკოლოზი — მეტივეების მფარველი.

წმინდა ონორე — ამიენის ეპისკოპოსი. მეფურნეების მფარველი.

წმინდა ფიაკრი — მწირი. წარმოშობით ირლანდიელი. მებაღეებისა და მებოსტნეების მფარველი.

წმინდა კრეპინი — გალების ქვეყანაში წამებული წმინდანი (287 წ.). ხელობით მეწაღე იყო. მეწაღეების მფარველი.

წმინდა ვენსენი — წარმოშობით სარაგოსიდან იყო. დიოკლეტიანეს მეფობის დროს აწამეს ვალანსში (304 წ.). მევენახეების მფარველი.

In medio stat—შუაში დგას (ლათ.).

გვ. 189.

წმინდა ივი — მოსამართლე. თავი გაანება თავის თანამდებობას და ღარიბების ვექილი გახდა. მოსამართლეთა და ვექილთა მფარველი.

Sub invocatine — მფარველობის ქვეშ (ლათ.).,

გვ. 192.

Urbi et orbi — მთელს სამყაროს (ლათ.).

ბალთაზარი — სამთაგან ერთ-ერთი მეფე მოგვთაგანი. რომელნიც ურიასტანში მოვიდნენ, რათა თაყვანი ეცათ ახლადშობილი ქრისტესათვის.

გვ. 206.

პლუტარქე — ბერძენი მორალისტი და ისტორიკოსი (45—125 წწ.), „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების“ ავტორი.

გვ. 207.

იობი — ბიბლიური ლეგენდის მიხედვით, ცნობილი ებრაელი პატრიარქი, კაცი

მდიდარი, რომელსაც ღმერთმა მისი ღვთისმოსაობის გამოსაცდელად ყველაფერი წაართვა და ბოლოს ნეხვზე მჯდარს დასცინოდნენ მისივე ცოლი და მეგობრები.

გვ. 210.

ანტონიუსი — მარკუს-ანტონიუსი, კეისრის დისწული და მისი ერთ-ერთი მხნე სარდალი, მეორე ტრიუმვირატის წევრი.

პომპეუსი — ჯერ ესპანეთის პროკონსული, შემდეგ კონსული. პირველი ტრიუმვირატის წევრი. კეისრის სიძე, შემდეგ კეისარს ბრძოლა დაუწყო. დამარცხდა. მოკლეს ეგვიპტეში, სადაც თავშესაფარს ეძებდა.

პოლიორკეტე — მაკედონიის მეფის დემეტრიოსის მეტსახელი (პოლიორკეტე — ნიშნავს ქალაქების ამღებს).

არტაქსერქსე — სპარსეთის მეფე (465 — 425 ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

ალექსანდრე მშვენიერი — ალექსანდრე მაკედონელი.

კლეოპატრა — ეგვიპტის დედოფალი, კეისრისა და ანტონიუსის საყვარელი, განთქმული თავისი სილამაზითა და გონებამახვილობით.

სტატირა — სპარსელი პრინცესა, დარიოს III-ის მეუღლე; ტყვედ ჩაუვარდა ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც მას პატივისცემით მოეპყრო. ალექსანდრემ ცოლად შეირთო სტატირას ასული, ახალგაზრდა სტატირა.

ეკბატანი — მიდიის სატახტო ქალაქი. ამჟამად ქ. ჰამადანი სპარსეთში.

თაისი — ათინელი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა აზიის ლაშქრობაში წაიყვანა. შემდეგ თაისი ეგვიპტის მეფე პტოლომეუსმა შეირთო.

როქსანე — ალექსანდრე მაკედონელის ცოლი. მოკლეს მაკედონელის სიძის კასანდრის ბრძანებით.

სტრატონიკე — ბერძენი პრინცესა, ასული დემეტრიოს პოლიორკეტესი, სირიის მეფის ნიკატორეს მეუღლე. ნიკატორემ სტრატონიკე თავის გერს ანტიოქიუსს დაუთმო, ამ უკანასკნელს თავდავიწყებით უყვარდა თავისი ლამაზი დედინაცვალი.

მივდივარ, ვხედავ, ვიმარჯვებ! — კოლა იმეორებს კეისრის სიტყვებს: მივედი, ვნახე, გავიმარჯვე.

კარაველა — ესპანური და პორტუგალური სამანძიანი ხომალდი.

გვ. 211.

კვიროსი — სპარსეთის იმპერიის დამაარსებელი.

გვ. 212.

კომოდი — რომის იმპერატორი, განთქმული გარყვნილებით, ულმობელობითა და სისასტიკით. მოწინააღმდეგეებმა, რომელთა მოკვლასაც აპირებდა, მოწამლეს და აბაზანაში მოუღეს ბოლო.

კრისპინა — რომის დედოფალი.

ბრუტუსი — ფიქრობენ, თითქოს ის კეისრის უკანონო შვილი იყო. კეისარი დიდ ყურადღებასა და სიყვარულს იჩენდა მის მიმართ; მიუხედავად ამისა, ბრუტუსმა მონაწილეობა მიიღო შეთქმულებაში და კეისრის მკვლელობაში.

კეისრის მომხრეები დევნიდნენ და თავი მოიკლა.

ფორტუნა — ბერძნული და რომაული ღვთაება. შემთხვევითობისა და ბოლოდნელობის განსახიერება. წარმოსახულია ბორბალზე ან გლობუსზე მდგარი, თვალახვეული რომ მიიწევს წინ.

მენელაოსი — სპარტის მეფე. მშვენიერი ელენეს ქმარი. ტროას მეფისწულმა პარისმა მოიტაცა მენელაოსის მეუღლე, ამან გამოიწვია ტროადას ომი.

გვ. 213.

კახპა კლეო—იგულისხმება ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა.

ბეფესტიონი — ალექსანდრე მაკედონელის უახლოესი მეგობარი, რომელსაც მაკედონელმა მეტად მდიდრული დაკრძალვა მოუწყო.

კლიტუსი — მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი, რომელიც მოკლა ალექსანდრე მაკედონელმა იმის გამო, რომ მან გაბედა გადაკვრით გაეკიცხა მაკედონელის ხელგაშლილი ცხოვრება, შემდეგ კი დამპყრობელმა დიდის გულისტკივილით ინანა თავისი საქციელი.

ნერეიდები—ზღვის ნიმფები, ზღვის ღმერთის, ნერეოსის ქალიშვილები (მითოლ.).

გვ. 214.

ადამი — ბიბლიური გადმოცემით, პირველი ადამიანის სახელი.

გვ. 215.

Ave, Caesar imperator! — სალამი შენდა, კეისარო! სასიკვდილოდ განწირული კლადიატორები ასე ესალმებოდნენ კეისარს ბრძოლის დაწყების წინ.

გვ. 216.

კეთილი როეე — იტალიური რენესანსის პოეტის, არიოსტოს ნაწარმოების „მძვინვარე როლანდის" გმირი.

ალსინა — გრძნეული ქალი, რომლის გამო როეე ივიწყებს თავის მეუღლე ბრადამანტას.

ხმლით ხამოსის მკვეთავი — ლეგენდის გადმოცემით, ტურის ეპისკოპოსმა წმინდა მარტენმა, რომელიც განთქმული იყო გულუხვობითა და მოწყალებით, ერთ მეტად სუსხიან ზამთარში თავისი მოსასხამი ხმლით ორად გაჭრა და ნახევარი ერთ საბრალო კაცს მისცა.

გვ. 217.

ვიიონის კვანტი, იონი — ლაპარაკია XV საუკუნის პოეტ ვიიონზე, რომელმაც სახელი გაითქვა დაუღეგარი ბოჰემური ცხოვრებითა და თავზეხელაღებული ოინებით.

გვ. 225

ნიკეას კრედო — ლაპარაკია ნიკეას საეკლესიო კრების გაუთავებელ დავა-კამათზე (325 წ.).

Ventre-saint-gris — დაახლოებით: „დალახვროს ეშმაკმა", ანრი IV-ის საყვარელი გამოთქმა გულისწყრომის, სიხარულის ან გაკვირვების გამოსახატავად.

გვ. 226.

Ejusdem farinae — „ერთი და იმავე ფქვილისაგან" (ლათ.). იხმარება მუდამ ცუდი მნიშვნელობით, ისეთი პირების შესადარებლად, რომელთაც ერთი და იგივე ნაკლი ან მანკი ახასიათებთ.

გვ. 230.

უმიწაწყლო იოანე — ინგლისის მეფე ანრი II-ის მეოთხე ძე. ეს მეტსახელი იმიტომ შეარქვეს, რომ ანრი II-მ ძთელი თავისი მამული თავის სამ უფროს შვილს გაუნაწილა და იოანე უმიწაწყლოდ დატოვა.

ბეთჰოვენის ცხოვრება

გვ. 236.

პოლკოვნიკი პიკარი — დრეიფუსის ერთ-ერთი მგზნებარე დამცველი.

გვ. 238

მედუზის გველები — მედუზა ერთი სამ ურჩხულთაგანია, რომელსაც დიდებული თმები ჰქონდა მან ქალღმერთი მინერვა შეურაცხყო და ამ უკანასკნელმა თმები გველებად უქცია (მითოლ.).

გვ. 244.

პასტორი — პროტესტანტების მღვდელი.

გვ. 246.

ბოტიჩელი — ალეკსანდრო (სანდრო) ფილიპო ბოტიჩელი, იტალიელი მხატვარი და გრაფიკოსი (1447—1510 წწ., ფლორენცია). მის კალამს ეკუთვნის უამრავი მადონები და მითოლოგიური სურათები.

გვ. 249.

პირველი კონსული — ნაპოლეონ ბონაპარტი.

გვ. 261.

ფლორინი — ძველებური ფლორენციული ოქროს ან ვერცხლის ფული.

დუკატი — XIII — XIX სს.-ში ჯერ ვერცხლის, შემდეგ ოქროს ფული დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

გვ. 273.

აპოლონი — ბერძნულ მითოლოგიაში სინათლის, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთი.

მუზა — ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთი ცხრა ქალღმერთთაგანი, რომლებიც ითვლებოდნენ ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველებად.

გვ. 277.

კრეიცერი — ძველებური ხვრილი ფული გერმანიაში.

გვ. 282.

პარკები — ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლის ძაფის მქსოველნი (მითოლ.).

მიქელანჯელოს ცხოვრება

გვ 304.

მალებოლჯე — ჯოჯოხეთის მერვე წრე დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“.

გვ. 310.

ბაიუ — ძველებური ფრანგული ოქროსა და ვერცხლის ფული.

გვ. 315.

ბრევე — პაპის უსტარი, ეპისტოლე.

გვ. 318.

კაპიტოლიუმი — რომში ერთ-ერთი გორაკი, რომელზედაც აშენებულია სასახლეები, მუზეუმები და სხვ. ძველად ამ გორაკზე მოთავსებული იყო იუპიტერის, მინერვასა და იუნონას ტაძარი (შემდეგ თვით ამ ტაძარს ეწოდა კაპიტოლიუმი).

გვ. 319.

ფავნი — რომაულ მითოლოგიაში ტყეების და მინდერების ღმერთი. პიკუსისა და პომონის შვილი, ჯოგებისა და მწყემსების მფარველი.

გვ. 321.

პოდესტა — მთავარი მოსამართლე ჩრდილო და შუა იტალიის ქალაქებისა შუა საუკუნეებში.

გვ. 322.

კენტავრი — მითიური კაცისთავიანი ცხენი, ან ცხენისთავიანი კაცი. თხის ჩლიქებიც ჰყავდათ ბერძნებს წარმოდგენილი.

ლაფიტები — თესალიის მითიური მკვიდრნი, კენტავრების ნათესავები.

კენტავრებისა და ლაფიტების ომი — ერთხელ, როცა მათი მეფე ფირუტუსი ქორწილს იხდიდა, ლაფიტებმა სტუმრად კენტავრებიც მიიწვიეს. კენტავრები დათვრნენ და ლაფიტების ცოლების გატაცება მოინდომეს. ლაფიტები შეებრძოლნენ მათ და სასტიკად დაამარცხეს (ბერძნ. მითოლ.).

გვ. 323.

აპოკალიფსი — ერთ-ერთი ქრისტიანული საეკლესიო წიგნი, „ახალი აღთქმის" ბოლოს დართული, რომელიც შეიცავს მისტიურ წინასწარმეტყველებას ქვეყნის დასასრულზე.

გვ. 325.

კუპიდონი — რომაულ მითოლოგიაში სიყვარულის ღმერთი, რომელიც წარმოდგენილი ჰყავდათ მშვილდ-ისრიანი ფრთოსანი ბიჭის სახით ამური.

ბახუსი — რომაულ მითოლოგიაში ღვინისა და დროსტარება-მხიარულების ღმერთი (ბერძნულ მითოლოგიაში მას დიონისე შეესაბამება).

ადონისი — მითიური ლამაზი ჭაბუკი, სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტეს სატრფო.

გვ. 326.

Pietà — ქრისტეს დატირება (იტალ.).

გვ. 327.

დავითი — ბიბლიური მეფე და გმირი, რომელმაც მოკლა გოლიათი.

გონფალონიერი — მებაირაღე, მედროშე.

გვ. 328.

ხენიორია — ადგილი, სადაც ვრცელდება უფლება მემამულისა, ქალაქში საპოლიციო დაწესებულების მაგვარი.

გვ. 332.

ვატიკანი — კათოლიკური ეკლესიის მეთაურის, რომის პაპის რეზიდენცია 1378 წლიდან. უზარმაზარი სასახლე (ვატიკანის ბორცვზე), რომლის აგებაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი იტალიელი ხუროთმოძღვრები და მხატვრები,

კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი დაწესებულებახი. გაოდა პაპის სასახლისა აქ არის მოედანი და წმ. პეტრეს ტაძარი.

გვ. 344.

ბარპი — ქარიშხლის ქალღმერთი, წარმოდგენილი ჰყავთ ფრთიან ურჩხულად, რომელსაც ჩიტის ტანი და ქალის თავი აქვს.

გვ. 346.

მადრიგალი — პატარა ლირიკული ლექსი, ჩვეულებრივ მიძღვნილი ქალისადმი.

გვ. 349.

მინერვა—რომაულ მითოლოგიაში სიბრძნის ქალღმერთი, ბერძნულ ათენა პალადას დარი, ერთ-ერთი ტაძრის სახელი რომში.

გვ. 350.

მოსე—ბიბლიის გადმოცემის მიხედვით ებრაელების წინასწარმეტყველი იყო, რომელიც, ჯერ კიდევ ჩვილი, ლერწმებში იპოვეს.

გვ. 351.

მესერი — საპატიო ტიტული, რომელსაც უპირველეს მიაკუთვნებდნენ ყველა გამოჩენილ პიროვნებას, მერე ყველა კეთილშობილს, შემდეგ ამ ტიტულს იტალიაში ირქმევდნენ მღვდლები, ექიმები, ადვოკატები. ნიშნავს ბატონს.

გვ. 356.

ბენეფიციუმი — საეკლესიო თანამდებობასთან დაკავშირებული ქონება ან შემოსავალი კათოლიკურ ეკლესიაში.

გვ. 367.

კონეტაბლი — ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო ჩინი საფრანგეთში.

გვ. 370.

ლედა — ბერძნულ მითოლოგიაში ტესტიუსის ქალი. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ზევსს მოეწონა ეს ქალი და ბანაობისას გედის სახით გამოეცხადა.

გვ. 384.

განიმედი — მეფის ვაჟიშვილი, რომელიც არაჩვეულებრივი სილამაზის გამო ღმერთებმა მოიტაცეს და ცად აიყვანეს.

ზევსი — ბერძნულ მითოლოგიაში უზენაესი ღმერთი, ღმერთი ცისა, ქუხილისა, ელვისა და წვიმისა, ითვლება ღმერთებისა და ადამიანების მამად და მეუფედ (რომაულ მითოლოგიაში მას შეესაბამება იუპიტერი).

ტიტიუსი — ზევსის ვაჟიშვილი. მოკლა აპოლონმა, რადგან მის დედას ლეტოს დაუპირა ხელყოფა. საიქიოში ღმერთებმა პრომეთეოსის სასჯელის მსგავსი სასჯელი მოუვლინეს. კლდეზე მიჯაჭვულს გრიფი უძიძგნის გულ-მკერდს (მითოლ.).

გრიფი — ანტიკურ მითოლოგიაში ფანტასტიკური ცხოველი, აქვს ლომის ტანი, არწივის ფრთები და არწივის ან ლომის თავი.

ფაეტონი — ბერძნულ მითოლოგიაში მზის ღმერთის ჰელიოსის შვილი. მან მამას სთხოვა ცეცხლოვანი ეტლი და კინაღამ მსოფლიო ხანძარი გააჩინა.

გვ. 386

სფინქსი — ბერძნულ მითოლოგიაში ფრთოსანი არსება, რომელსაც ტანი ლომისა

აქვს, თავი და მკერდი ქალისა. კლავდა მგზავრებს, რომლებიც ვერ გამოიცნობდნენ მათთვის მიცემულ გამოცანას.

გვ. 389.

ინკვიზიცია — შ. სკ-ში ქრისტიანულ ეკლესიასთან დაწესებული სასამართლო მწვალებელთა, ურწმუნოთა და სარწმუნოების მკრეხელთა აღმოსაჩენად და დასასჯელად. ეს საშინელი დაწესებულება, რომელიც აშკარად სდევნიდა სინდისის თავისუფლებას, განსაკუთრებით მძვინვარებდა იტალიასა და ესპანეთში.

გვ. 391.

ლეგატი — კათოლიკურ ეკლესიაში რომის პაპის რწმუნებული.

გვ. 403.

მინოსი — ზევსისა და ევროპის ვაჟიშვილი. მითებში გამოყვანილია ბრძენ და სამართლიან მმართველად. სიკვდილის შემდეგ მიცვალებულთა მსაჯულად იქცა.

გვ. 408.

პრეფექტი — ძველ რომში ზოგი ადმინისტრაციული და სამხედრო თანამდებობის სახელწოდება.

გვ. 412.

სკუდო — ძველებური იტალიური მსხვილი ოქროს ან ვერცხლის ფული.

გვ. 419.

პრელატი — კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი (არქიეპისკოპოსი და სხვა).

ასტრეა — ზევსისა და თემიდას ქალიშვილი. გადმოცემის თანახმად ადამიანთა შორის ცხოვრობდა, სანამ ოქროს ხანა იდგა. შემდეგ ცად ამაღლდა და დამკვიდრდა ქალწულის თანავარსკვლავედში (მითოლ.).

გვ. 421.

სენატორი — ძველ რომში უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოს, სენატის წევრი.

გვ. 430.

იულია — ძველებური წვრილი ვერცხლის ფული.

გვ. 435.

სიმონია — (ისტ.) საეკლესიო თანამდებობის ფულით შეძენა. შუა საუკუნეებში რომის პაპები გამორჩენის მიზნით ამ თანამდებობებით ვაჭრობდნენ (ბიბლიური მოგვის სიმონის სახელის მიხედვით. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ სიმონს სურდა მოციქულთაგან ეყიდა სასწაულების მოხდენის საიდუმლოება).

შინაარსი

ათასი სიცოცხლე—გასტონ ბუაჩიძე 5

კოლა ბრონიონი

ომის შემდგომი წინასიტყვაობა 27
გაფრთხილება მკითხველისადმი 29
I. მირქმის ტოროლა 31
II. ალუა, ანუ მწყემსი, მგელი და ბატკანი 42
III ბრევის მოძღვარი 60
IV. დოყლაპია მოხეტიალე, ანუ გაზაფხულის დღე 77
V. დედოფალა 97
VI. მოფრენილი ჩიტუნები, ანუ სერენადა ანუაში 120
VII. ჭირი 131
VIII. დედაბრის სიკვდილი 144
IX. დამწვარი სახლი 153
X. აჯანყება 165
XI. ვერ მივართვით ჰერცოგს 183
XII. სხვისი სახლი 194
XIII. პლუტარქეს კითხვა 205
XIV. მეფე ქეიფობს 215

ბეთჰოვენის ცხოვრება

წინასიტყვაობა 235
ბეთჰოვენი 238
ჰაილიგენშტატის ანდერძი 280
წერილები 284
ბეთჰოვენის აზრები 298

მიქელანჯელოს ცხოვრება

წინასიტყვაობა 303
მიქელანჯელო 305

ნაწილი პირველი. ბრძოლა
I. ძალა 321
II. ძალა დამსხვრეული 344
III. სასოწარკვეთა 362
ნაწილი მეორე. უარყოფა
I. სიყვარული 378
II. რწმენა 407
III. სიმარტოვე 428
ეპილოგი. სიკვდილი 441
შენიშვნები 448

რედაქტორი გივი ნახუცრიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი მანანა იორდანიშვილი
მხატვრული რედაქტორი დავით დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ციცინო შველიძე
კორექტორი თამარ მაჩაბელი
გამომშვები ნოე მაკარაშვილი

გადაეცა წარმოებას 15/II-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/I-73 წ. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 26,97+1 ჩაკვრა. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,48. ტირაჟი 50 000. შეკვ. № 200.
ფასი 1 მან. 08 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5
Издательство «Сабчота Сакартвело».
Тбилиси, Марджанишвили, 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, კამოს ქ. № 18.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Камо № 18.

Библиотека всемирной литературы

(На грузинском языке)

Ромен Роллан

Кола Брюньон
Жизнь Бетховена
Жизнь Микеланджело

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1973